ზბიგნევ ბჟეზინსკი

დიდი
საჭადრაკო დაფა

ამერიკის ბატონობა და მისი
გეოსტრატეგიული იმპერატივები

გამომცემლობა არტანუჯი
თბილისი

მთარგმნელი
პროფესორი არჩი ათანელიშვილი

რედაქტორი
პროფესორი თეიმურაზ პაპასქირი

რეცენზენტები:
პროფესორი იოსებ ცინცაძე
პროფესორი კლიმენტი შელია

ISBN 978-9941-445-55-2
First published in the united States by Basic Books.
a member of the Perseus Books Group

გამომცემლობა „არტანუჯი“, 2014

სარჩევი

წინათქმა ქართული თარგმანისათვის.....5
შესავალი.....14
ზესახელმწიფოს პოლიტიკა.....14
თავი I.....17
ახალი ტიპის ჰეგემონია.....17
მოკლე გზა მსოფლიო ბატონობისკენ.....18
პირველი მსოფლიო სახელმწიფო.....29
ამერიკული გლობალური სისტემა.....56
თავი II.....66
ევრაზიული საჭადრაკო დაფა.....66
გეოპოლიტიკა და გეოსტრატეგია.....76
გეოსტრატეგიულად მოქმედი პირები და.....83
გეოპოლიტიკური ცენტრები.....83
მნიშვნელოვანი არჩევანი და.....98
პოტენციური პრობლემები.....98
თავი III.....112
დემოკრატიული პლაცდარმი.....112
სიდიადე და მონანიება.....119
აშშ-ის ძირითადი მიზანი.....138
ევროპის ისტორიული განრიგი.....155
თავი IV.....165
შავი ხვრელი.....165
რუსეთის ახალი გეოპოლიტიკური მდგომარეობა....166
გეოსტრატეგიული ფანტასმაგორია.....181
ერთადერთი ალტერნატივის დილემა.....219
თავი V.....228
„ევრაზიული ბალკანეთი“.....228
ეთნიკური ურთიერთწინააღმდეგობების ქვაბი.....232
მრავალმხრივი მეტოქეობა.....249
არც დომინიონი, არც აუტსაიდერი.....272
თავი VI.....277
საყრდენი პუნქტი შორეულ აღმოსავლეთში.....277
ჩინეთი: არა მსოფლიო,.....289
არამედ რეგიონული „დერჟავაა“.....289

იაპონია არა რეგიონული,.....317
არამედ მსოფლიო „დერჟავაა“.....317
ამერიკის გეოსტრატეგიული ადაპტაცია.....338
თავი VII.....353
დასკვნა.....353
გეოსტრატეგია ევრაზიის მიმართ.....359
უსაფრთხოების ტრანსევრაზიული სისტემა.....380
უკანასკნელი მსოფლიო ზესახელმწიფოს შემდეგ...382
დასასრული.....392

წინათქმა ქართული თარგმანისათვის

თანამედროვე პოლიტოლოგიის კლასიკოსმა, ზბიგნევ ბჟეზინსკიმ თავისი ნაშრომი – „დიდი საჭადრაკო დაფა“, ანუ აშშ-ს ბატონობა და მისი გეოსტრატეგიული იმპერატივები – გამოაქვეყნა 1997 წელს და მსოფლიოში ბესტსელერად იქცა! წიგნის მიზანია ევრაზიის კონტინენტზე აშშ-ს ბატონობის რაც შეიძლება დიდხანს შენარჩუნების დასაბუთება და იმ ქვეყნების პოლიტიკური ქცევის შესწავლა, რომელთაგან ერთი ან რამდენიმე, კოალიციის სახით შეიძლება წინ აღუდგეს მის ბატონობას კონტინენტზე. წიგნი აღსავსეა რეკომენდაციებით აშშ-ს მთავრობისადმი, რჩევებით, თუ როგორ უნდა შეძლოს იქ ყოფნა და „დიდ საჭადრაკო დაფაზე“ – ევრაზიაზე „საჭადრაკო სვლების“ – პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური მანევრების განხორციელება. ძირითადი ქვეყნები – „ძირითადი ფიგურებია“ – ევროპაში საფრანგეთი, გერმანია და რუსეთი; აზიაში – იაპონია და ჩინეთი. პოლონეთი, უკრაინა, კავკასია და შუა აზიის სახელმწიფოები, თურქეთი, ირანი, ავღანეთი და ინდოეთი „პაიკებია“, რომელთა უკეთ გამოყენებით აშშ ცდილობს პარტიის ისეთ გათამაშებას, რომ თამაში ყოველთვის მის სასარგებლოდ დამთავრდეს.

აშშ-სათვის ერთიანი ევროპის შექმნა, რომელიც, მისი აზრით, პირველ ყოვლისა, ფრანგებისა და გერმანელების საქმეა, ხელს შეუწყობს ამერიკელების გავლენის საზღვრების გაფართოებას, ევროპის საბჭოში კი პროამერიკული ორიენტაციის სახელმწიფოთა რიცხვის გაზრდას. ამიტომაც, ზბ. ბჟეზინსკის აზრით, ამერიკამ მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს როგორც საფრანგეთთან, ისე გერმანიასთან ისეთი ევროპის შექმნის საქ-

მეში, „რომელიც შეინარჩუნებდა კავშირებს შეერთებულ შტა-
ტებთან“.

ევროპის გაერთიანების საკითხში, – რომელიც უშუალოდ და-
კავშირებულია ნატოსა და ევროპული კავშირის გაფართოებას-
თან, – აქაც პირველი როლი აშშ-სთვის არის განკუთვნილი,
რამეთუ გაფართოებული ევროპა, გეოპოლიტიკური თვალსაზ-
რისით თუ „ევროატლანტიკური სივრცის ნაწილად დარჩება, მა-
შინ ნატოს გაფართოება აუცილებელი იქნება, რათა შენარჩუნე-
ბულ იქნეს ევროპის გაფართოების კონცეფცია და რუსეთის ფა-
რული გეოპოლიტიკური მისწრაფებების აღკვეთა ცენტრალურ
ევროპაში“. ზბ. ბუეზინსკის აზრით, ეს ამერიკისათვის მაღლა უნ-
და დადგეს სხვა ამოცანებთან შედარებით.

ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ევროპის გაფართოებაში
უკავია ევროპულ კავშირს, რომელსაც რუსი პოლიტიკოსები
ხშირად ადარებენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობ-
რობას – დსთ. აქ ზბ. ბუეზინსკი მოურიდებელი პირდაპირობით
შენიშნავს, რომ „სინამდვილეში რუსეთის პოლიტიკა შუა აზიისა
და კავკასიის სახელმწიფოებთან ურთიერთობებში გაცილებით
უფრო მოგვაგონებს სიტუაციას ფრანგულენოვანი ქვეყნების გა-
ერთიანებასთან, სადაც საფრანგეთის სამხედრო კონტინგენტე-
ბი და ფულადი სუბსიდიები განსაზღვრავენ... პოსტკოლონია-
ლური აფრიკის სახელმწიფოების პოლიტიკურ ცხოვრებას და
პოლიტიკურ კურსს“, რაზეც მართებული იქნება, დავსვათ შე-
კითხვა: ოდნავ ხომ არ აჭარბებს ზბ. ბუეზინსკი შეფასებაში? რუ-
სეთის განზრახვა ნამდვილად ასეთია, მაგრამ დღევანდელი სა-
ქართველოს რეალური მდგომარეობა აშკარად განსხვავდება
ავტორის მიერ დახატული სურათისაგან.

ზბ. ბუეზინსკის შენიშვნით დსთ-სა და ევროკავშირს შორის ძი-
რითადი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ეკ-ში „არ დო-
მინირებს ერთი რომელიმე სახელმწიფო, რომელიც მარტოხე-

ლა დაჩრდილავდა ეკ-ის ყველა დანარჩენ წევრს ერთად აღებულს, შესაბამისი მრეწველობის ხვედრითი წილით, მოსახლეობის რაოდენობითა და ტერიტორიით. ევროკავშირში ევროპის ღარიბი სახელმწიფოები ჭვრეტენ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ხელსაყრელიანობას, მიიღონ მნიშვნელოვანი დოტაციები და სხვა. ყოველივე ეს მართლაც კარდინალურად განასხვავებს ეკ-ს დსთ-სგან, რამეთუ ეს უკანასკნელი რუსი პოლიტიკოსების ტაქტიკური ხერხი, საშუალება იყო და არის იმპერიული მიზნების განსახორციელებლად. ცდება ზბ. ბუეზინსკი, როცა წერს, რომ „ეს იყო რუსეთის მცდელობა, არ დაეშვა ირანი და თურქეთი კავკასიასა და შუა აზიაში, შეეზღუდა აშშ-ს თანამშრომლობა მათთან და რომ საკითხი არ ეხება იმპერიის აღორძინებას, ეს ერთობ შეუსაბამო იქნებოდა და გამოიწვევდა ალბათ გააფთრებულ წინააღმდეგობას“, მაგრამ სინამდვილე გვკარნახობს, რომ რუსეთისათვის „შეუსაბამო“ არაფერი არსებობს, წინააღმდეგობა კი აშკარად გამოვლინდა დსთ-ს მიმართ უკრაინის, ყაზახეთის, უზბეკეთის და საქართველოს ოფიციალური განცხადებებით. სხვა ზემოთ დასახელებულ მოსაზრებებში კი შეუძლებელია არ დავეთანხმოთ ავტორს.

ზბ. ბუეზინსკიმ გასაოცარი მიხვედრილობით განსაზღვრა ბალტიისპირა, ცენტრალური ევროპის ქვეყნების, უკრაინისა და თვით საქართველოს ნატოსა და ეკ-ში გაწევრიანების წლები (2000-2010), ხაზი გაუსვა ფრანკო-გერმანულ-პოლონურ-უკრაინული თანამშრომლობის შესაძლებლობას, თუმცა კი ეჭვი გამოთქვა ზემოთ მოყვანილი სცენარის მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობაზე რუსეთთან სულ უფრო მზარდი დაძაბულობის კონტექსტში.

ამერიკა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ რუსეთის დემოკრატიზაცია და ევროპიზაცია შეუძლებელი იყო, მისი იმპერიული ზრახვები კვლავ იმ „შავი ხვრელის“ მდგომარეობით გამოიხა-

ტებოდა, რომელიც ასტროფიზიკაში ირგვლივ მყოფ ყველა სხეულს ყლაპავდა – წარსულისა და აწმყოს ისტორიული ფაქ-ტები ამის დამადასტურებელია.

კავკასიის სამხრეთით მდებარე ქვეყნების და შუა აზიის სტაბი-ლურობისა და დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის ზბ. ბუე-ზინსკი აშშ-ს მთავრობას ურჩევს, სიფრთხილე გამოიჩინოს თურქეთის მიმართ, რათა არ გამოიწვიოს მისი გაუცხოება, შე-ისწავლოს და აუცილებლად გააუმჯობესოს ურთიერთობები ირანთან. პირველთან დაკავშირებით უნდა გამოიყენოს თავისი გავლენა ევროპაში და ხელი შეუწყოს თურქეთის ევროპულ კავშირში გაწევრიანებას, ხელი შეუშალოს თურქეთის ისლამურ ფუნდამეტალიზმისაკენ მკვეთრ გადახრას, მხარი დაუჭიროს ამ ქვეყნის აშშ-თან სტრატეგიული თანამშრომლობის შეგნების გა-ჩენას, მის მისწრაფებას, გაიყვანოს ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადე-ნი (რაც წარმატებით იქნა განხორციელებული 2006 წელს).

რაც შეეხება ირანს, მის მიმართაც ზბ. ბუეზინსკი პრაგმატიკულ მიდგომას იჩენს: ის დარწმუნებულია, რომ „ამერიკელების ინ-ტერესებში არ შედის მუდმივი მტრული განწყობილების შენარ-ჩუნება ამერიკა-ირანის ურთიერთობებში. ნებისმიერი დაახ-ლოება უნდა განხორციელდეს ორივე მხარის დაინტერესებით და არ უნდა გამოიყურებოდეს როგორც სამსახური, რომელსაც ერთი მხარე უწევს მეორეს. აშშ-ში დაინტერესებულნი არ არიან ფანატიკური ანტიდასავლური განწყობის ირანით, მით უმეტეს ირანით, რომელიც ამჟამად ატომური იარაღისკენ იშვერს ხელს. ამისათვის ზბ. ბუეზინსკის რჩევით, აშშ-მ უარი უნდა თქვას თავის ზოგიერთ მოსაზრებაზე, ხელი შეუწყოს თურქეთსა და ირანს შორის მჭიდრო თანამშრომლობას, ირან-აზერბაიჯა-ნის, ირან-თურქმენეთის კავშირების განვითარებას, რომელთა ფინანსირებაში ამერიკელთა ინვესტიციები ინტერესების შესაბა-მისი იქნებოდა.

საინტერესოა ზბ. ბჟეზინსკის მიდგომა ჩინეთისადმი – აქაც მას ძირითადად აშშ-ს კეთილდღეობა ამოქმედებს. მოვუსმინოთ მას: „ნებისმიერ შემთხვევაში, – წერს ის, – ევრაზიის ზოგიერთ სფეროში დიდ ჩინეთს შეეძლო მოეხდინა ისეთივე გეოპოლიტიკური ზეგავლენა, რომელიც შესაბამისი იქნებოდა ამერიკის დიდი გეოსტრატეგიული ინტერესების... მაგალითად, ჩინეთის მზარდი ინტერესი შუა აზიისადმი გარდაუვალად ზღუდავს რუსეთის თავისუფალ მისწრაფებას.. რეგიონის პოლიტიკურ რეინტეგრაციას.. სპარსეთის ყურესთან დაკავშირებით, ენერგეტიკაში ჩინეთის მზარდი მოთხოვნილება კარნახობს ერთობლივი ინტერესები ჰქონდეს ამერიკასთან ნავთობმომპოვებელ რეგიონებში თავისუფალი დაშვებისა და იქ პოლიტიკური სტაბილურობის დამყარების მხარდაჭერის საქმეში..."

ზბ. ბჟეზინსკი ასევე აცხადებს, რომ – „ამერიკის გლობალური გეოსტრატეგიული ინტერესების ჩარჩოებში შედის იაპონიასთან მჭიდრო პოლიტიკური თანამშრომლობა“, ზბ. ბჟეზინსკი იწონებს, რომ იაპონიის საერთაშორისო ორიენტაციაში ურთიერთობები ამერიკასთან ჯერ კიდევ რჩება ცენტრალურ შუქურად“, მაგრამ შეშფოთებას გამოხატავს იმასთან დაკავშირებით, რომ მისი ორიენტაციის შეცვლა ხელახალი შეიარაღების ან ჩინეთის მხარეზე „ამერიკელების როლის დასასრული იქნებოდა აზიაწყნარი ოკეანის რეგიონში, ჩაშლიდა სტაბილურ სამმხრივ – ამერიკას, იაპონიასა და ჩინეთს შორის შეთანხმებას, დაარღვევდა ამერიკელების მართვად პოლიტიკურ თანაფარდობას“ –- და იმის განცხადებით, რომ „მხოლოდ იაპონიასთან მჭიდრო ალიანსის საშუალებით შეეძლო ამერიკას საჭირო კალაპოტში მიემართა ჩინეთის რეგიონული მისწრაფებები და შეეკავებინა მათი მოულოდნელი აღმოცენება“, ზბ. ბჟეზინსკი ასკვნის, რომ, აქედან გამომდინარე, ახლო მომავალში იაპონიაში (და ამის

შესაბამისად კორეაშიც) არასასურველია აშშ-ს შეიარაღებული ძალების შემცირება".

აშშ ჰგავს სახელმწიფოს, რომელიც იყენებს მოკავშირე ქვეყნის გეოპოლიტიკურ სივრცეს, პოლიტიკასა და სამხედრო შესაძლებლობებს ისე, რომ უნარჩუნებს მას სუვერენიტეტს, ეროვნულობას, ენასა და კულტურას. ამ მოსაზრებებში კი შეუძლებელია არ დავეთანხმოთ ავტორს.

აშშ-ზე შეყვარებულ ზბ. ბჟეზინსკის შეიძლება ყველაფერი მიეტევოს, თუმცა კი ზოგიერთი მისი მტკიცება უხერხულობას იწვევს და შეუფერებელია მისი რანგის პოლიტოლოგისათვის. ასე მაგალითად, ზბ. ბჟეზინსკის მტკიცებით, „ამერიკას არა აქვს აზიური მატერიკისადმი არავითარი გეგმები და ისტორიულად როგორც იაპონიის, ისე რუსეთის მხრიდან გაცილებით სუსტი ჩინეთის ხელყოფის წინააღმდეგ გამოდიოდა". იქნებ პირიქით? აშშ ისეთივე იმპერიული ზრახვებით იყო გამსჭვალული ჩინეთის მიმართ როგორც რუსეთი, იაპონია, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი. ამას ადასტურებს კუშინგის მისია ჩინეთში – 1844 წლის 3 ივნისს მის მიერ ჩინეთთან ხელმოწერილი არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება, მეორე საოპიუმო ომის მთავარი ინიციატორის – აშშ-ს ქმედება, ღია კარის პოლიტიკა და სხვა. ეს ღონისძიებები, ვფიქრობ, არ გამოხატავდა აშშ-ს მხრიდან „სუსტი ჩინეთის ხელყოფის წინააღმდეგ გამოსვლას".

რაც შეეხება იაპონიას – კომანდორმა პერიმ იაპონიის იზოლაციის ლიკვიდაციით 1853-54 წლებში განა დიდ კაპიტალისტურ ქვეყნებს კარი არ გაუხსნა იაპონიის გასაძარცვად, განა აშშ-მ არ ჩაუყარა საფუძველი იაპონიასთან სხვა სახელმწიფოების მხრიდან არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებების დადებას? გავიხსენოთ 1858 წელს ჰარისის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება. განა ის იაპონიისათვის რაიმე სასარგებლოს ტოვებ-

და? ვფიქრობთ, ისტორიულად არც ისინი ადასტურებენ აშშ-ს კეთილ ნებას იაპონიის მიმართ.

შეუძლებელია კომენტარის გარეშე გავიზიაროთ ზბ. ბჟეზინ-სკის მტკიცება, რომ „იაპონიისათვის ამერიკა იყო „ქოლგა“, რომლის ქვეშ ქვეყანას შეეძლო უშფოთველად მოსულიყო გონს ამაოხრებელი ომის შემდეგ, განევითარებინა ეკონომიკის ტემპები.“ 1945 წლის 2 სექტემბრის შემდეგ აშშ-ს მხრიდან არა-ვითარი „ქოლგა“ არ არსებობდა. იყო აშკარად გამოხატული მცდელობა იაპონიის ამერიკის კოლონიად გადაქცევისა, მხო-ლოდ l950 წლის შემდეგ, ჩინეთში 1949 წელს სახალხო რეს-პუბლიკის გამოცხადების შემდეგ, აშშ-ს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს შორის ძალთა თანაფარდობის მიზნით დასჭირ-და იაპონიის თავის „უმცროს პარტნიორად“ გამოცხადება და მისი მილიტარიზაციისათვის ხელის შეწყობა.

ასევე გაუგებარია ზბ. ბჟეზინსკის მსჯელობა, რომ „თურქეთის ევოლუცია და ორიენტაცია, როგორც ჩანს, განმსაზღვრელ როლს თამაშობს კავკასიის სახელმწიფოთა მომავალში, თუ თურქეთი მყარად გაივლის თავის გზას ევროპისაკენ, ევროპა კი მას კარს არ ჩაუკეტავს, მაშინ კავკასიის სახელმწიფოები, როგორც ჩანს, ასევე ჩართული იქნებიან ევროპის ორბიტაში... თუ თურქეთის ევროპეიზაციამ კრახი განიცადა საგარეო და სა-შინაო მიზეზებით, მაშინ საქართველოსაც და სომხეთსაც არჩე-ვანი აღარ დარჩებათ, გარდა იმისა, რომ შეეგუონ რუსეთის ინ-ტერესებს...“ თურქეთისა და სხვა საქართველოსადმი კეთილად განწყობილი სახელმწიფოების ჩვენი ქვეყნისადმი მხარდაჭერას საერთოდ და კერძოდ, ნატოსა და ევროკავშირში გაერთიანე-ბის საქმეში ჭეშმარიტად უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ საქართველოს ასე ცალსახად თურქეთის ევოლუციასა და ევ-როპეიზაციაზე დამოკიდებულება ერთობ გაზვიადებულად მიგ-ვაჩნია თანამედროვე ვითარებაში. ვფიქრობთ, აქ დროის ფაქ-

ტორმა ითამაშა გარკვეული როლი, რამეთუ 1997 წლიდან თითქმის ათმა წელმა განვლო და ვითარებაც კარდინალურად შეიცვალა.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი იოსებ ცინცაძე

ჩემს სტუდენტებს,
რათა დავეხმარო მათ ხვალინდელი
დღის მსოფლიოს გამოსახულების
ფორმირებაში.

შესავალი

ზესახელმწიფოს პოლიტიკა

იმ მომენტიდან, როცა დაახლოებით 500 წლის წინ კონტინენტებმა, პოლიტიკური თვალსაზრისით, ერთმანეთთან ურთიერთობები დაიწყეს, ევრაზია იქცა მსოფლიო ძლიერების ცენტრად. ის ძალები, რომლებიც დასახლებულნი იყვნენ ევრაზიაში, კერძოდ, ისინი, ვინც მის ძირითადად დასავლეთევროპულ ნაწილში ცხოვრობდნენ, სხვადასხვა დროს შეიჭრნენ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში და იქ გაბატონდნენ, როცა ცალკეულმა ევრაზიულმა სახელმწიფოებმა განსაკუთრებულ სტატუსს მიაღწიეს და წამყვანი მსოფლიო სახელმწიფოების პრივილეგიებით სარგებლობდნენ.

XX საუკუნის ბოლო ათწლეული მსოფლიოს საქმეებში ტექტონიკური ძვრებით აღინიშნა. პირველად ისტორიაში არაევრაზიულნი სახელმწიფო იქცა არა მარტო მთავარ არბიტრად ევრაზიულ სახელმწიფოთა ურთიერთობებში, არამედ, უძლიერეს სახელმწიფოდ მსოფლიოში. საბჭოთა კავშირის დამარცხება და დაშლა ფინალურ აკორდად იქცა დასავლეთ ნახევარსფეროს სახელმწიფოს, შეერთებული შტატების, როგორც ერთადერთი და ჭეშმარიტად პირველი გლობალური სახელმწიფოს კვარცხლბეკზე სწრაფი აღზევების საქმეში.

მიუხედავად ამისა, ევრაზია ინარჩუნებს თავის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას. არა მარტო მისი დასავლეთი მხარე – ევროპა – არის უწინდებურად მსოფლიოს პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერების მნიშვნელოვანი ნაწილის თავშესაყარი ადგილი, არამედ მისი აღმოსავლეთი ნაწილიც – აზია – უკანასკნელ დროს ეკონომიკური განვითარებისა და მზარდი პოლი-

ტიკური გავლენის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ცენტრად იქ-
ცა. შესაბამისად, საკითხი იმის შესახებ, თუ გლობალური ინტე-
რესების მქონე ამერიკამ როგორ უნდა შეძლოს ევრაზიულ
„დერჟავებს“ შორის რთული ურთიერთობების დაძლევა და,
რაც მთავარია, შეძლებს კი ის საერთაშორისო არენაზე დომი-
ნირებული და ანტაგონისტური ევრაზიული ა„დერჟავის“ წარ-
მოქმნის თავიდან აცილებას, მსოფლიო ბატონობის განხორ-
ციელების უნარში ცენტრალურ საკითხად რჩება.

აქედან გამომდინარეობს, რომ თავისი ძლიერების სხვადასხვა
უახლოესი დარგის (ტექნოლოგიების, კომუნიკაციების, ინფორ-
მაციის სისტემების, აგრეთვე ვაჭრობისა და ფინანსების) განვი-
თარების დამატებით, ამერიკის საგარეო პოლიტიკამ კვლავ
თვალი უნდა მიადევნოს გეოპოლიტიკურ სპექტრს და ევრაზია-
ში თავისი გავლენა ისე გამოიყენოს, რომ სტაბილური თანა-
ფარდობა შექმნას კონტინენტზე, სადაც ამერიკის შეერთებული
შტატები გამოდის პოლიტიკური არბიტრის როლში.

ამრიგად, ევრაზია „საჭადრაკო დაფაა“, რომელზეც გრძელ-
დება ბრძოლა მსოფლიო ბატონობისათვის, ასეთი ბრძოლა
ეხება გეოსტრატეგიას – გეოპოლიტიკური ინტერესებით სტრა-
ტეგიულ მართვას. უნდა შევნიშნოთ, რომ არც ისე დიდი ხნის
წინ, 1940 წელს მსოფლიო ბატონობის ორმა პრეტენდენტმა –
ადოლფ ჰიტლერმა და იოსებ სტალინმა (1940 წლის ნოემბერ-
ში – საიდუმლო მოლაპარაკებების დროს) არაორაზროვანი შე-
თანხმება დადეს იმის შესახებ, რომ ამერიკა გაძევებული უნდა
ყოფილიყო ევრაზიიდან. თითოეულ მათგანს შეგნებული ჰქონ-
და, რომ ევრაზიაში ამერიკული ძლიერების გამოჩენა ბოლოს
მოუღებდა მათ ამბიციებს მსოფლიო ბატონობაზე, თითოეული
მათგანი იზიარებდა იმ შეხედულებას, რომ ევრაზია წარმოად-
გენდა მსოფლიო ცენტრს და ის, ვინც გააკონტროლებდა ევრა-
ზიას, კონტროლს განახორციელებდა მთელ მსოფლიოზე. ნა-

ხევარი საუკუნის შემდეგ საკითხი ჩამოყალიბდა სხვანაირად: გაგრძელდება თუ არა ამერიკელთა უპირატესობა ევრაზიაში და რა მიზნებისთვის შეიძლება იქნეს ის გამოყენებული?

ამერიკის პოლიტიკის საბოლოო მიზანი უნდა იყოს კეთილმოსურნე და ამაღლებული: შექმნას კაცობრიობის ხანგრძლივი ტენდენციებისა და ფუნდამენტალური ინტერესების შესაბამისი თანამშრომლობისათვის ჭეშმარიტად მზა მსოფლიო თანამეგობრობა. თუმცა, იმავდროულად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკურ არენაზე არ გამოჩნდეს მეტოქე, რომელსაც უნარი ექნება იბატონოს ევრაზიაში და, შესაბამისად, ორთაბრძოლაში გაიწვიოს ამერიკა. ამიტომაც წიგნის მიზანია ყოვლის მომცველი და თანმიმდევრული ევრაზიული გეოსტრატეგიის ფორმირება.

ზბიგნევ ბჟეზინსკი
ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი,
1997 წლის აპრილი

თავი I

ახალი ტიპის ჰეგემონია

ჰეგემონია ისევე ხანდაზმულია, როგორც მსოფლიო. მაგრამ ამერიკის მსოფლიო უპირატესობა გამოირჩევა სრულყოფილებისკენ სწრაფვით, გლობალური მასშტაბურობითა და განხორციელების უნარით. სულ რაღაც ერთი საუკუნის მანძილზე, ამერიკა, საშინაო ცვლილებების ზეგავლენითა და ასევე, საერთაშორისო მოვლენების დინამიკური განვითარებით, დასავლეთ ნახევარსფეროს შედარებით იზოლირებული ქვეყნიდან, თავისი ინტერესებისა და გავლენის გაქანებით, ტრანსფორმირებულ იქნა მსოფლიო მასშტაბის სახელმწიფოდ.

მოკლე გზა მსოფლიო ბატონობისკენ

1898 წელს ესპანეთ-ამერიკის ომი ამერიკისათვის კონტინენტის საზღვრებგარე პირველ დაპყრობით ომს წარმოადგენდა.[1] მისი წყალობით ამერიკის ძალაუფლება გავრცელდა წყნარი ოკეანის რეგიონის სიღრმეში, შორს ჰავაის კუნძულებს იქით, ფილიპინებამდე. ახალი საუკუნის ზღურბლზე სტრატეგიული დაგეგმარების ამერიკელი სპეციალისტები უკვე აქტიურად მოღვაწეობდნენ ორ ოკეანეში სამხედრო-საზღვაო ბატონობის დოქტრინის გამომუშავებისათვის, ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალებმა კი დავა დაუწყეს დამკვიდრებულ აზრს, რომ ბრიტანეთი „მართავდა ზღვებს“. ამერიკელების პრეტენზიები დასავლეთ ნახევარსფეროს უსაფრთხოების ერთადერთი დამცველის როლზე, ამ საუკუნეში, ჯერ კიდევ ადრე იყო გაცხადებული „მონროს დოქტრინით“ და გამართლებული მტკიცებებით „ბედის დანიშნულების“ შესახებ, რამაც კიდევ უფრო იმატა პანამის არხის მშენებლობის შემდეგ, რომელმაც გააადვილა სამხედრო-საზღვაო ბატონობა როგორც ატლანტიკის, ისე წყნარ ოკეანეში.

ამერიკის მზარდი გეოპოლიტიკური ამბიციების ფუნდამენტი უზრუნველყოფილი იყო ქვეყნის სწრაფი ინდუსტრიალიზაციით. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისისათვის ამერიკის ეკონომიკური პოტენციალი უკვე შეადგენდა მსოფლიო მრეწველობის ხვედრითი წილის 33%-ს, რაც დიდ ბრიტანეთს ხელიდან აცლიდა წამყვანი ინდუსტრიული სახელმწიფოს როლს. ეკონომიკური ზრდის ასეთ შესამჩნევ დინამიკას ფართო ფონს უქმნი-

1 1898 წელს აშშ-ს მიერ გაჩაღებული ესპანეთ-ამერიკის ომით შტატებმა ხელთ იგდეს ფილიპინები, პუერტო-რიკო, კუბა კი, ფაქტობრივად, თავის კოლონიად აქციეს (რედ. შენიშვნა).

და კულტურა, რომელიც ყოველდღიურად ხელს უწყობდა ექ-
სპერიმენტებსა და ნოვატორობას. ამერიკის პოლიტიკურმა ინ-
სტიტუტებმა და თავისუფალმა საბაზრო ეკონომიკამ შექმნა უპ-
რეცედენტო შესაძლებლობები ამბიციური და არაცრუმორწმუნე
ნოვატორობისათვის, რომელთა პირადი მისწრაფებების გან-
ხორციელება არ იზღუდებოდა არქაული პრივილეგიებით ან
მკაცრი სოციალური იერარქიული მოთხოვნებით. მოკლედ
რომ ვთქვათ, ეროვნული კულტურა უნიკალური სახით სასიკე-
თოდ ხელს უწყობდა ეკონომიკურ ზრდას, საზღვარგარეთიდან
იზიდავდა და სწრაფად უწევდა ასიმილაციას ტალანტით და-
ჯილდოებულებს, მანვე გააადვილა ეროვნული ძლიერების ექ-
სპანსია.

პირველი მსოფლიო ომი პირველ შესაძლებლობად იქცა ამე-
რიკის შეიარაღებული ძალების ევროპაში გადასროლისათვის.
ქვეყანამ, რომელიც შედარებით იზოლაციაში იმყოფებოდა, ატ-
ლანტიკის ოკეანეზე სწრაფად გადაისროლა რამდენიმე ასეუ-
ლი ათასი კაცის შემადგენლობით საჯარისო შენაერთები: ეს
იყო ტრანსოკეანური სამხედრო ექსპედიცია, უპრეცედენტო თა-
ვის ზომებითა და მასშტაბებით, პირველი დამოწმება საერთა-
შორისო არენაზე ახალი დიდი მოქმედი პირის გამოჩენისა.
არანაკლები მნიშვნელობით წარმოგვიდგება ომი, რომელმაც
ამერიკული პრინციპების გამოყენებით ევროპის პრობლემების
გადასაჭრელად განაპირობა პირველი დიდი დიპლომატიური
ნაბიჯები. ვუდრო ვილსონის ცნობილი „თოთხმეტი პუნქტი“ წარ-
მოადგენდა ამერიკული იდეალიზმის გაჩენას ევროპულ გე-
ოპოლიტიკაში, რომელიც შემაგრებული იყო ამერიკის სიძლიე-
რით (15 წლით ადრე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წამყვა-
ნი როლი შეასრულა რუსეთსა და იაპონიას შორის შორეული
აღმოსავლეთის კონფლიქტის დარეგულირებაში და, ამით ასე-
ვე განიმტკიცეს თავისი მზარდი საერთაშორისო სტატუსი). ამე-

რიკული იდეალიზმისა და ამერიკის ძალის შენადნობმა ამგვარად გააკეთა თავის თავზე განაცხადი მსოფლიო არენაზე.

და მაინც, პირდაპირ უნდა ითქვას, პირველი მსოფლიო ომი, უპირველეს ყოვლისა, იყო ევროპული ომი და არა გლობალური, თუმცა კი, მისმა დამანგრეველმა ხასიათმა დანარჩენ მსოფლიოზე ევროპის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული უპირატესობის დასასრულის დასაწყისი აღნიშნა. ომის მსვლელობისას ვერც ერთმა ევროპულმა სახელმწიფომ ვერ შეძლო თავისი გადამწყვეტი უპირატესობის დემონსტრირება და მის საბოლოო შედეგზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა კონფლიქტში ჩარეულმა, სულ უფრო მზარდი წონის არაევროპულმა სახელმწიფომ – ამერიკამ. მომავალში ევროპა სულ უფრო გლობალური სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ობიექტად და არა სუბიექტად ვითარდებოდა.

და მაინც, ამერიკის მსოფლიო ლიდერობის მოკლე გაელვებამ არ მიიყვანა ის მსოფლიო საქმეებში მუდმივ მონაწილეობამდე. პირიქით, ამერიკამ სწრაფად დაიხია უკანა პოზიციაზე, რომელიც თავისთავად საპატიო იყო იზოლაციონიზმისა და იდეალიზმის კომბინაციებისათვის. მართალია, 20-იანი წლების შუა ხანისათვის და 30-იანი წლების დასაწყისში ევროპის კონტინენტზე ძალას იკრეფდა ტოტალიტარიზმი, ამერიკის სახელმწიფოს, რომელსაც იმ დროისათვის ორივე ოკეანეში ჰყავდა უძლიერესი ფლოტი, აშკარა უპირატესობა ჰქონდა ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ძალებზე, უწინდებურად, მონაწილეობას არ იღებდა საერთაშორისო საქმეებში. ის უპირატესობას მსოფლიო პოლიტიკიდან განზე დგომას ანიჭებდა.

ასეთი პოზიციით იყო შეპირობებული ამერიკის უშიშროების კონცეფციაც, რომელიც ამერიკის, როგორც კონტინენტური კუნძულის, შეხედულებას ეფუძნებოდა. ამერიკის სტრატეგია მიმართული იყო საკუთარი სანაპიროების თავდაცვაზე და, ამის

შესაბამისად, თავისი ხასიათით, იყო ვიწრონაციონალური. ამასთან, საერთაშორისო ან გლობალურ მოსაზრებებს ნაკლები ყურადღება ექცეოდა. მთავარ საერთაშორისო მოთამაშეებად კვლავინდებურად რჩებოდნენ ევროპული სახელმწიფოები და სულ უფრო იზრდებოდა იაპონიის როლი.

მსოფლიო პოლიტიკაში ევროპული ერა თავის საბოლოო დასასრულამდე მივიდა მეორე მსოფლიო ომის დროს, ჭეშმარიტი გლობალური ომის მსვლელობის ჟამს. საომარი მოქმედებანი ერთდროულად გაიშალა სამ კონტინენტზე, ასევე, გაათრეული ბრძოლები მიმდინარეობდა ატლანტიკისა და წყნარი ოკეანეებისათვის, ომის გლობალური ხასიათი კი, სიმბოლურად, დემონსტრირებული იქნა, როცა ბრიტანეთისა და იაპონიის ჯარისკაცები, რომლებიც შესაბამისად შორეულ დასავლეთევროპულ და ასევე შორეულ აღმოსავლეთ აზიის კუნძულების წარმომადგენლები იყვნენ. ერთმანეთს ბრძოლის ველზე შეეჯახნენ თავისი სანაპიროებიდან რამდენიმე ათასი მილის მოშორებით, ინდოეთ-ბირმის საზღვარზე. ევროპა და აზია ერთიან საომარ ველად იქცა.

ომი ნაცისტური გერმანიის აშკარა გამარჯვებით რომ დასრულებულიყო, ერთიან ევროპულ სახელმწიფოს, შეეძლო გლობალური მასშტაბის გაბატონებული სახელმწიფო გამხდარიყო (იაპონიის გამარჯვება წყნარ ოკეანეში მას ნებას დართავდა წამყვანი როლი შეესრულებინა შორეულ აღმოსავლეთში, თუმცა კი, მთელი თავისი ალბათობით, იაპონია უწინდებურად რეგიონული მასშტაბის ჰეგემონიად დარჩებოდა). ამის ნაცვლად, გერმანიის დამარცხება ძირითადში დაგვირგვინებულ იქნა იმ ორი არაევროპული გამარჯვებული ქვეყნის: ამერიკის შეერთებული შტატების და საბჭოთა კავშირის მიერ, რომლებიც

ევროპაში მსოფლიო ბატონობისათვის ჯერ კიდევ დაუმთავრებელი დავის მემკვიდრეებად იქცნენ.

შემდგომი 50 წელი, უპირატესად, მსოფლიო ბატონობისათვის ორპოლუსიან, ამერიკულ-საბჭოთა, ომით აღინიშნა. ზოგიერთ ასპექტში, შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის მეტოქეობა, თავისთავად, გეოპოლიტიკოსების საყვარელი თეორიების განხორციელებას წარმოადგენდა. ის ურთიერთს უპირისპირებდა მსოფლიოში წამყვან სამხედრო-საზღვაო სახელმწიფოს, რომელიც ბატონობდა როგორც ატლანტის, ისე წყნარ ოკეანეებზე, მსოფლიოში უდიდეს სახმელეთო სახელმწიფოს, რომელსაც ეკავა ევრაზიის ტერიტორიის დიდი ნაწილი (თანაც ჩინეთ-სსრკ-ს ბლოკი მოიცავდა სივრცეს, რომელიც აშკარად მოგვაგონებდა მონღოლეთის იმპერიის მასშტაბებს). გეოპოლიტიკური განლაგება არ შეიძლებოდა უფრო აშკარა ყოფილიყო: ჩრდილოეთ ამერიკა მთელი მსოფლიოსათვის დავაში ევრაზიას დაუპირისპირდა. როგორც კი საბოლოო გამარჯვება მიღწეული იქნებოდა, გამარჯვებული მოიპოვებდა ჭეშმარიტ ბატონობას დედამიწის სფეროზე, ამაში მას ვერავინ შეუშლიდა ხელს.

მოწინააღმდეგეთა შორის თითოეული მთელ მსოფლიოში ავრცელებდა თავის იდეოლოგიურ მოწოდებას, რომელიც გაჟღენთილი იყო ისტორიული ოპტიმიზმით, თითოეულის თვალში ამართლებდა აუცილებელ ნაბიჯებს და ამტკიცებდა მათ რწმენას გარდაუვალ გამარჯვებაში. ორი მეტოქე აშკარად ბატონობდა საკუთარ სივრცეში, განსხვავებით მსოფლიო ჰეგემონიაზე იმპერიულ ევროპელ პრეტენდენტებისგან, რომელთა შორის ვერც ერთმა ვერ შეძლო ოდესმე გადამწყვეტი ბატონობა დაემყარებინა თავად ევროპის ტერიტორიაზე. ამიტომაც თითოეული იყენებდა საკუთარ იდეოლოგიას თავის ვასალებსა და დამოკიდებულ სახელმწიფოებზე ძალაუფლების განმტკიცებისათვის, რაც, გარკვეული დონით, მოგვაგონებდა რელიგიური ომების დროს.

ჩინეთ-საბჭოთა ბლოკი და სამი ცენტრალური სტრატეგიული ფრონტი

გლობალური გეოპოლიტიკური გაქანების კომბინაცია და ერთმანეთში მოქიშპე დოგმათა უნივერსალობის განაცხადი, მეტოქეობას უპრეცედენტო ძალას სძენდა. თუმცა კი, დამატებითი ფაქტორი, რომელიც ასევე აღვსილი იყო გლობალური შინაარსით, მეტოქეობას ჭეშმარიტად უნიკალურს ხდიდა. ბირთვული იარაღის გაჩენა ნიშნავდა, რომ ორ ძირითად მეტოქეს შორის მომავალი, კლასიკური ტიპის ომი, არა მარტო მიგვიყვანდა მათ ურთიერთგანადგურებამდე, არამედ მას შეეძლო დამღუპველი შედეგი ჰქონოდა კაცობრიობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის. კონფლიქტის ინტენსივობა შეკავებული იყო ორივე მოწინააღმდეგის მხრიდან გამოვლენილი არაჩვეულებრივი მოთმინებით.

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, კონფლიქტი, ძირითადად, მიმდინარეობდა თავად ევრაზიის პერიფერიებში. ჩინეთ-სსრკ-ს ბლოკი ბატონობდა ევრაზიის დიდ ნაწილში, თუმცა კი, კონტროლს ვერ უწევდა მის პერიფერიას. ჩრდილოეთ ამერიკამ შეძლო, გამაგრებულიყო ევრაზიის დიდი კონტინენტის როგორც უკიდურეს დასავლეთ, ასევე უკიდურეს აღმოსავლეთ საზღვაროზე. ამრიგად, ამ კონტინენტური პლაცდარმების (რაც დასავლეთ „ფრონტზე“ ბერლინის ბლოკადაში, აღმოსავლეთით კი, კორეის ომში იყო გამოხატული) დაცვა წარმოადგენდა იმის პირველ სტრატეგიულ გამოცდას, რაც შემდგომში ცნობილი გახდა ცივი ომის სახელით.

ცივი ომის დასკვნით სტადიაზე ევრაზიის რუკაზე გაჩნდა მესამე თავდაცვითი „ფრონტი“ – სამხრეთის ფრონტი (იხ. რუკა I). საბჭოთა ძალების შეჭრამ ავღანეთში დააჩქარა ამერიკის ორმხრივად ბასრი პასუხი: საბჭოთა არმიის გეგმების ჩაშლის მიზნით აშშ-ს მხრიდან ავღანეთში ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობისადმი უშუალო დახმარება და სპარსეთის ყურის რეგიონში, ამერიკის სამხედრო ყოფნის როგორც შემაკავებელი

საშუალების, ფართომასშტაბიანი ზრდა, რათა ასე წინასწარ აღეკვეთა სამხრეთის მიმართულებით საბჭოთა პოლიტიკური თუ სამხედრო ძალების ნებისმიერი წინსვლა. შეერთებული შტატები შეუდგა სპარსეთის ყურის რაიონის დაცვას, იმავდროულად კი, დასავლეთ და აღმოსავლეთ ევრაზიაში თავისი ინტერესების უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

ჩრდილოეთ ამერიკის მიერ ევრაზიული ბლოკის იმ ძალისხმევის წარმატებულმა შეკავებამ, რომელიც მიმართული იყო მთელ ევრაზიაზე მყარი ბატონობის დამყარებისკენ, ორივე მხარის მიერ ბირთვული ომის შიშით უშუალო სამხედრო შეჯახებაზე უარის თქმამ განაპირობა მეტოქეობის დაგვირგვინება არასამხედრო საშუალებებით. პოლიტიკური სიცოცხლისუნარიანობა, იდეოლოგიური მოქნილობა, ეკონომიკის დინამიკურობა და კულტურულ ღირებულებათა მომხიბვლელობა გადამწყვეტ ფაქტორებად იქცა.

კოალიციამ ამერიკის წინამძღოლობით შეინარჩუნა ერთობა, მაშინ, როცა ჩინეთ-სსრკ-ს ბლოკი დაიშალა ორ ათეულ წელზე ნაკლებ დროში. ასეთი მდგომარეობა ნაწილობრივ შესაძლებელი შეიქნა დემოკრატიული კოალიციის მეტი მოქნილობის ძალით, იერარქიულ და დოგმატურ, იმავდროულად კი, სუსტ, კომუნისტურ ბანაკთან შედარებით. პირველ ბლოკს საერთო ღირებულებები ჰქონდა, მაგრამ ფორმალური დოქტრინის გარეშე, მეორე კი ეყრდნობოდა დოგმატურ, ორთოდოქსულ მიდგომას, ჰქონდა რა ერთადერთი მნიშვნელოვანი ცენტრი თავისი პოზიციების ინტერპრეტაციისათვის. ამერიკის მთავარი მოკავშირეები გაცილებით სუსტები იყვნენ, ვიდრე თავად, მაშინ, როცა საბჭოთა კავშირს სრულიადაც არ შეეძლო ჩინეთს ისე მოჰქცეოდა, როგორც მასზე დამოკიდებულ სახელმწიფოს. მოვლენათა ასეთი განვითარება იმის შედეგი იყო, რომ ამერიკის მხარე გაცილებით უფრო დინამიკური აღმოჩნდა ეკონომი-

კური და ტექნოლოგიური თვალსაზრისით, მაშინ, როცა, საბჭოთა კავშირი თანდათან შედიოდა სტაგნაციის სტადიაში და არ შეეძლო, ეფექტური მეტოქეობა გაეწია როგორც ეკონომიკური ზრდის, ისე სამხედრო ტექნოლოგიების სფეროში. ეკონომიკური დაქვეითება, თავის მხრივ, აძლიერებდა იდეოლოგიურ დემორალიზაციას.

ფაქტობრივად, საბჭოთა სამხედრო ძალა და შიში, რომელსაც ის უნერგავდა დასავლეთის წარმომადგენლებს ხანგრძლივი დროის მანძილზე, ფარავდა მეტოქეთა შორის არსებულ ასიმეტრიას. ამერიკა იყო გაცილებით მდიდარი, გაცილებით დაწინაურებული ტექნოლოგიების განვითარების სფეროში, გაცილებით მოქნილი და მოწინავე სამხედრო სფეროში და გაცილებით შემოქმედებითი და მიმზიდველი სოციალურ ურთიერთობაში. იდეოლოგიური ხასიათის შეზღუდულობა, ასევე, ძირს უთხრიდა საბჭოთა კავშირის შემოქმედებით პოტენციალს, რომელიც მის სისტემას ხდიდა სულ უფრო და უფრო უძრავს, ეკონომიკას კი სულ უფრო მფლანგველსა და ნაკლებკონკურენტუნარიანს სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში. მშვიდობიანი შეჯიბრის მსვლელობაში სასწორის პინა აუცილებლად ამერიკის სასარგებლოდ უნდა გადაწეულიყო.

საბოლოო შედეგებზე არსებითი ზეგავლენა მოახდინა კულტურულმა მოვლენებმაც. კოალიცია, რომელსაც ამერიკა მეთაურობდა, ძირითადად დადებითი სახით აღიქვამდა ამერიკის პოლიტიკური და სოციალური კულტურის მრავალ ატრიბუტს. ამერიკის ორმა ყველაზე მნიშვნელოვანმა მოკავშირემ ევრაზიის კონტინენტის დასავლეთ და აღმოსავლეთ პერიფერიებში – გერმანიამ და იაპონიამ – თავისი ეკონომიკა აღიდგინეს ამერიკელებისადმი თითქმის თავშეუკავებელი აღტაცების კონტექსტში. ამერიკა ფართოდ აღიქმებოდა, როგორც მომავლის

წარმომადგენელი, როგორც საზოგადოება, რომელიც აღტაცებასა და ღირსეულ მიმბაძველობას იმსახურებდა.

მისგან განსხვავებით, რუსეთი კულტურულ ურთიერთობებში იწვევდა ზიზღს ცენტრალური ევროპის თავისი ვასალების უმრავლესობის მხრიდან და კიდევ უფრო მეტს თავისი მთავარი და სულ უფრო დაუყოლიებელი აღმოსავლეთელი მოკავშირის – ჩინეთისაგან. ცენტრალური ევროპის წარმომადგენლებისათვის რუსეთის ბატონობა ნიშნავდა დასავლეთ ევროპისა და მისი ქრისტიანულ-რელიგიური ტრადიციებისგან იზოლაციას, იმისგან, რასაც ისინი, ფილოსოფიისა და კულტურის თვალსაზრისით, თავიანთ სახლად მიიჩნევდნენ. უფრო მეტიც, ეს ნიშნავდა ხალხის ბატონობას, რომელსაც ცენტრალური ევროპის მაცხოვრებლები, ხშირად უსამართლოდაც, კულტურული თვალსაზრისით, თავისზე დაბლა მდგომად თვლიდნენ.

ჩინელები, რომელთათვის სიტყვა „რუსეთი“ ნიშნავდა „მშიერ მიწას“, კიდევ უფრო აშკარად ავლენდნენ ზიზღს. მართალია, თავდაპირველად ისინი მხოლოდ ხმადაბლა ედავებოდნენ მოსკოვის პრეტენზიას საბჭოთა მოდელის უნივერსალობის უპირატესობაზე, მაგრამ ჩინეთის კომუნისტური რევოლუციის ათწლეულში, მოსკოვის მეთაურობის აკვიატებული იდეოლოგიის უარყოფის დონემდე ამაღლდნენ და აშკარადაც კი, დაიწყეს ჩრდილოელი მეზობლების – ბარბაროსებისადმი ზიზღის დემონსტრირება.

დაბოლოს, თავად საბჭოთა კავშირის მოსახლეობის 50%, რომელიც არ ეკუთვნოდა რუს ეროვნებას, ასევე, უგულებელყოფდა მოსკოვის ბატონობას. არარუსი მოსახლეობის თანდათანობითი პოლიტიკური გამოფხიზლება ნიშნავდა, რომ უკრაინელებმა, ქართველებმა, სომხებმა, აზერბაიჯანელებმა დაიწყეს საბჭოთა ხელისუფლების, როგორც უცხო იმპერიული ბატონობის იმ ხალხის მხრიდან თავზე მოხვეულად მიჩნევა, რომელსაც

ისინი, კულტურული თვალსაზრისით, არ თვლიდნენ თავისზე მაღლა მდგომ ხალხად. შუა აზიაში ეროვნული მისწრაფებები შეიძლება სუსტი იყო, მაგრამ ხალხთა განწყობილება იქ თანდათანობით ღვივდებოდა იმის შეგნებით, რომ ისინი ისლამურ სამყაროს მიეკუთვნებოდნენ, რასაც საფუძველს უმტკიცებდა დეკოლონიზაციაზე საყოველთაოდ გავრცელებული ცნობები.

ადრე არსებული, საკმაოდ მრავალი იმპერიის მსგავსად, საბჭოთა კავშირი საბოლოოდ აფეთქდა შიგნიდან და ნაწილებად დაიყო, იქცა იმდენად არა სამხედრო დამარცხების, რამდენადაც დეინტეგრაციის პროცესის მსხვერპლად, რომელიც დაჩქარებულ იქნა ეკონომიკური და სოციალური პრობლემებით. მისი ბედი, მეცნიერის იმ ფრთიანი გამოთქმის დამამტკიცებელ საბუთად იქცა, რომ

> „იმპერიები“, თავისი არსით, არასტაბილურები არიან, რადგან დამორჩილებული ელემენტები, თითქმის ყოველთვის, უპირატესობას ანიჭებენ ავტონომიის უფრო მაღალ დონეს, კონტრელიტები კი, ასეთ ელემენტებში, შესაძლებლობის გაჩენის დროს, თითქმის ყოველთვის, ნაბიჯებს დგამენ უფრო მეტი ავტონომიის მისაღწევად. ასეთი თვალსაზრისით, იმპერიები არ ინგრევიან, ისინი ნაწილებად იშლებიან, ჩვეულებრივ, ძალიან ნელა, თუმცა კი, ზოგჯერ არაჩვეულებრივად სწრაფად“.[2]

2 Donald Puchala The History of the Future of International Relations/Etics and International affairce – 1944 № 8. p. 183.

პირველი მსოფლიო სახელმწიფო

შეერთებული შტატები, მეტოქის კრახის შედეგად, უნიკალურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ის იქცა პირველ და ერთადერთ ჭეშმარიტ მსოფლიო სახელმწიფოდ. და მაინც, ამერიკის გლობალური ბატონობა გარკვეულწილად გვაგონებს წარსულ იმპერიებს, მიუხედავად მათი უფრო შეზღუდული, რეგიონული მასშტაბებისა. ეს იმპერიები, თავიანთი ძლიერების დროს, ეყრდნობოდნენ ვასალური და დამოკიდებული სახელმწიფოების იერარქიას, პროტექტორატებსა და კოლონიებს და ყველა იმათ, ვინც არ შედიოდა იმპერიაში, ჩვეულებრივ, მიიჩნევდნენ ბარბაროსებად, რაღაც დონით ეს ანაქრონული ტერმინოლოგია არ წარმოადგენდა მთლად მიუღებელს იმ მთელი რიგი სახელმწიფოებისათვის, რომლებიც ამჟამად ამერიკის გავლენის ქვეშ იმყოფებიან. ისტორიულ წარსულში ამერიკის მიერ „იმპერიული“ ძალაუფლების გამოყენება, მნიშვნელოვანწილად წარმოადგენს წარმატებული ორგანიზაციის, სამხედრო მიზნებისთვის უზარმაზარი ეკონომიკური და ტექნოლოგიური რესურსების სწრაფად მობილიზების უნარის, ფარული, მაგრამ ამერიკული ცხოვრების წესის მნიშვნელოვანი კულტურული მიზიდულობის, დინამიზმისა და ამერიკის სოციალური და პოლიტიკური ელიტის მეტოქეობის ღვთითბოძებული სულის შედეგს.

ძველ იმპერიებს ასევე ახასიათებდათ მსგავსი თვისებები. უპირველეს ყოვლისა, გავიხსენოთ რომი. რომის იმპერია შეიქმნა ორსაუკუნენახევრიანი მუდმივი ტერიტორიული ექსპანსიის, თავდაპირველად ჩრდილოეთის, შემდეგ კი დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებებით, ასევე, ხმელთაშუა ზღვის მთელ სანაპირო ზოლზე ეფექტური საზღვაო კონტრო-

ლის დაწესების გზით. გეოგრაფიული თვალსაზრისით მან თავის მაქსიმალურ განვითარებას მიაღწია დაახლოებით ჩვენი წელთაღრიცხვის 211 წელს (იხ. რუკა II). რომის იმპერია წარმოადგენდა ერთიანი დამოუკიდებელი ეკონომიკის ცენტრალიზებულ სახელმწიფოს. მისი იმპერიული ძალაუფლება ხორციელდებოდა წინდახედული და მიზანდასახული რთული პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურის მეშვეობით. სახმელეთო და საზღვაო გზების სტრატეგიულად ჩაფიქრებული სისტემა, რომელსაც საწყისი დედაქალაქში ჰქონდა, სერიოზული მუქარის შემთხვევაში, უზრუნველყოფდა უსაფრთხოებას რომის იმ ლეგიონების სწრაფი გადაადგილებისა და კონცენტრაციის საშუალებით, რომლებიც დაბანაკებული იყვნენ სხვადასხვა ვასალურ სახელმწიფოსა და დამორჩილებულ პროვინციებში.



რუკა II

რიმული იმპერია ციმბირი აყვავების დროს

იმპერიის აყვავების ჟამს რომის ლეგიონები, რომლებიც განლაგებულნი იყვნენ საზღვარგარეთ, ითვლიდნენ არანაკლებ 300 ათას კაცს. ეს იყო უზარმაზარი ძალა, რომელიც სულ უფრო მომაკვდინებელი ხდებოდა რომაელთა ტაქტიკისა და შეიარაღების უპირატესობის წყალობით, ასევე ცენტრის უნარით, უზრუნველყო ძალთა შედარებით სწრაფი გადაჯგუფება (საოცარია, რომ 1996 წელს, გაცილებით უფრო მჭიდროდ დასახლებულმა ზესახელმწიფომ, ამერიკამ, თავისი სამფლობელოების საზღვრების დასაცავად საზღვარგარეთ განალაგა 296 ათასი ჯარისკაცი – პროფესიონალი).

რომის იმპერიული ძალაუფლება, მიუხედავად ამისა, ეყრდნობოდა მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ რეალობასაც. სიტყვები „Civis Romanus sum“ („მე რომაელი მოქალაქე ვარ“) წარმოადგენდა პირადულობის უმაღლეს შეფასებას, სიამაყის წყაროს იმათთვის, ვინც ამისკენ მიისწრაფოდა. რომაელი მოქალაქის უმაღლესი სტატუსი, რომელიც ენიჭებოდა არარომაული წარმომავლობის პირებს, გამოხატული იყო კულტურული უპირატესობითაც, რომელიც ამართლებდა იმპერიის „საგანგებო მისიის“ გრძნობას. ეს რეალობა არა მარტო აკანონებდა რომის მმართველობას, არამედ ითანხმებდა იმათ, ვინც ემორჩილებოდა რომს ასიმილაციასა და იმპერიულ სტრუქტურაში ჩართვაში. ამრიგად, კულტურული უპირატესობა, რომელიც აღიქმებოდა მმართველების მიერ, როგორც რაღაც თავისთავადი და ასევე აღიარებული იყო დამორჩილებულთა მიერ, აძლიერებდა იმპერიულ ძალაუფლებას.

ამ უმაღლესმა და მნიშვნელოვანწილად უდავო იმპერიულმა ხელისუფლებამ იარსება დაახლოებით სამი ათეული წელი. განსაზღვრულ ეტაპზე, მეზობელი კართაგენისა და აღმოსავ-

ლეთ საზღვრებზე პართიის იმპერიის მიერ ორთაბრძოლაში
გაწვევის გარდა, გარე სამყაროს, ძირითადად ბარბაროსულ,
ცუდად ორგანიზებულ და კულტურული ურთიერთობებითაც
რომისგან ჩამორჩენილს, უმეტესწილად, მხოლოდ ცალკეული
თავდასხმების ძალა შესწევდა. მანამ, სანამ იმპერიას შეეძლო
მხარი აება საშინაო სიცოცხლისუნარიანობისა და ერთიანობი-
სათვის, გარე სამყაროს მასთან კონკურენცია არ შეეძლო.

საბოლოო ჯამში, რომის იმპერია სამმა ძირითადმა მიზეზმა
მიიყვანა კრახამდე. უპირველეს ყოვლისა, იმპერია უზომოდ გა-
იზარდა ერთი ცენტრიდან მმართველობისათვის, თუმცა, მისმა
გაყოფამ დასავლეთად და აღმოსავლეთად, ავტომატურად
მოსპო მისი ძალაუფლების მონოპოლიური ხასიათი. მეორე,
იმპერიული ქედმაღლობის ხანგრძლივმა პერიოდმა წარმოქ-
მნა კულტურული გედეონიზმი, რომელმაც თანდათანობით ძი-
რი გამოუთხარა პოლიტიკური ელიტის განდიდებისაკენ მის-
წრაფებას. მესამე, ხანგრძლივმა ინფლაციამ ასევე ძირი გამო-
უთხარა სისტემის უნარს, შეენარჩუნებინა თავი სოციალური
მსხვერპლის გაღების გარეშე, რომლისთვისაც მოქალაქენი უკ-
ვე მზად აღარ იყვნენ. კულტურული დეგრადაციის, პოლიტიკუ-
რი დანაწევრიანებისა და ფინანსური ინფლაციის ერთობლიო-
ბამ რომი აქცია მოწყვლადად იმპერიის მოსაზღვრე ბარბარო-
სებისთვისაც კი.

თანამედროვე სტანდარტების მიხედვით, რომი არ იყო ჭეშმა-
რიტი მსოფლიო იმპერია, ის რეგიონული „დერჟავა“ იყო. მაგ-
რამ იმ დროს არსებული კონტინენტების იზოლირების გამო
უშუალო ან თუნდაც შორეულ მეტოქეთა არარსებობის გათვა-
ლისწინებით, მისი რეგიონალური ძალაუფლება სრულყოფი-
ლი იყო. ამრიგად, რომის იმპერია თავისთავად იყო მთლიანი
სამყარო, მისმა უპირატესმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ და
კულტურამ აქციეს ის უფრო გვიანი გეოგრაფიული მასშტაბე-

ბით გაცილებით გრანდიოზული იმპერიული სისტემების წინა-
მორბედად.

თუმცა ზემოთქმულის გათვალისწინებითაც კი, რომის იმპერია ერთადერთი არ იყო. რომისა და ჩინეთის იმპერიები აღმოცენ-დნენ თითქმის ერთდროულად, თუმცა კი, არაფერი იცოდნენ ერთმანეთის შესახებ. ძვ. წ. 221 წლისათვის (კართაგენსა და რომს შორის პუნიკური ომების დროს) ცინის მიერ არსებული შვიდი სახელმწიფოს პირველ ჩინურ იმპერიად გაერთიანება საწინდარი აღმოჩნდა ჩრდილოეთ ჩინეთში დიდი კედლის მშე-ნებლობისათვის, რათა ასე გამოეყოთ სამეფოს შიდა რაიონები გარეშე ბარბაროსული სამყაროდან. გაცილებით გვიანი ხანის იმპერია, რომელმაც ფორმირება დაიწყო დაახლოებით ძვ. წ. 140 წელს, გაცილებით შთამბეჭდავი იყო, როგორც მასშტაბუ-რად, ასევე ორგანიზაციითაც. ქრისტიანული ერის დასაწყისი-სათვის, მისი ძალაუფლების ქვეშ იმყოფებოდა არანაკლებ 57 მილიონი ადამიანი. ეს უზარმაზარი რიცხვი, რომელიც თავის-თავად უპრეცედენტო იყო, გვიდასტურებს არაჩვეულებრივად ეფექტური ცენტრალური მმართველობის არსებობას, რომე-ლიც ხორციელდებოდა ცენტრალიზებული და რეპრესიული ბიუროკრატიული აპარატის მიერ – იმპერიის ძალაუფლება ვრცელდებოდა თანამედროვე კორეის ტერიტორიაზე, მონღო-ლეთის ცალკეულ რაიონებზე და დღევანდელი ჩინეთის სანა-პიროს დიდ ნაწილზე. თუმცა კი, რომის მსგავსად, ხანის იმპე-რია ექვემდებარებოდა შინაგან ავადმყოფობებს და მისი კრახი დაჩქარებულ იქნა 220 წელს იმპერიის სამ დამოუკიდებელ სა-ხელმწიფოდ დაშლით.

ჩინეთის შემდგომი ისტორია შედგებოდა შეერთებისა და გა-ფართოების ციკლებისაგან, რასაც მოჰყვებოდა ხოლმე დაცემა და დაშლა. ჩინეთმა ერთხელ შეძლო შეექმნა იმპერიული სის-ტემები, რომლებიც ავტონომიურები და იზოლირებულები იყ-

ვნენ, მათ გარეშე მხრიდან არ ემუქრებოდნენ არანაირი ორგა-
ნიზებული მეტოქეები. ხანის სახელმწიფოს სამ ნაწილად დაშ-
ლას ბოლო მოეღო 589 წელს, რის შედეგადაც შეიქმნა იმპე-
რიული სისტემის მსგავსი წარმონაქმნი. მაგრამ ჩინეთს, რო-
გორც იმპერიას, თვითდამკვიდრების ყველაზე წარმატებული
დრო მანჯურიელთა მმართველობის პერიოდისას, განსაკუთ-
რებით კი, ცინების დინასტიის საწყის პერიოდში დაუდგა. XVIII
საუკუნის დასაწყისისთვის ჩინეთი კვლავ იქცა სრულყოფილ იმ-
პერიად, რომელშიაც იმპერიული ცენტრი გარშემორტყმული
იყო ვასალური და დამოკიდებული სახელმწიფოებით, მათ შო-
რის დღევანდელი კორეით, ინდოჩინეთით, ტაილანდით, ბირ-
მითა და ნეპალით, ამრიგად, ჩინეთის გავლენა ვრცელდებოდა
დღევანდელი რუსეთის შორეულ აღმოსავლეთიდან სამხრეთ
ციმბირის გავლით ბაიკალის ტბამდე და თანამედროვე ყაზახე-
თის ტერიტორიაზე, შემდეგ სამხრეთით ინდოეთის ოკეანისკენ,
აღმოსავლეთით ლაოსისა და ჩრდილოეთ ვიეტნამის გავლით
(იხ. რუკა III).

რომის მაგალითის მსგავსად, იმპერია თავისთავად წარმოად-
გენდა ფინანსების, ეკონომიკის, განათლებისა და უსაფრთხოე-
ბის დარგების რთულ სისტემას. დიდი ტერიტორიის კონტრო-
ლი, რომელზედაც 300 მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა,
ხორციელდებოდა ყველა ამ საშუალების დახმარებით, ცენტრა-
ლურ პოლიტიკურ ძალაუფლებაზე ძლიერი აქცენტით და
არაჩვეულებრივი ეფექტური საშიკრიკო სამსახურის მხარდაჭე-
რით. მთელი იმპერია დაყოფილი იყო ოთხ ზონად, რომლებიც
სხივებად იყვნენ განფენილნი პეკინიდან და ადგენდნენ იმ რაი-
ონების საზღვრებს, სადამდისაც შიკრიკს შეეძლო მიეღწია შესა-
ბამისად ერთი, ორი, სამი ან ოთხი კვირის განმავლობაში. ცენ-
ტრალიზებული ბიუროკრატიული აპარატი პროფესიონალუ-

რად იყო მომზადებული და არსებული კონკურენციის საფუძ-
ველზე უზრუნველყოფდა ერთიანობის ფუნდამენტს.


რუკა III
მანჯურიელთა იმპერია აყვავების პერიოდში
კოლონიალური საკითხების სამმართველოს გამგებლობაში
არსებული მანჯურიის რეგიონები.

ერთიანობა მტკიცდებოდა, კანონდებოდა და მხარდაჭერით სარგებლობდა რომის მაგალითის მსგავსად – ძლიერი და ღრმად განტოტვილი იმ კულტურული უპირატესობის გრძნობით, რომელიც შეზავებული იყო კონფუციანელობით, იმპერიის არსებობის თვალსაზრისით, მიზანდასახული ფილოსოფიური მოძღვრებით, რომელიც ეფუძნებოდა ჰარმონიას, იერარქიასა და დისციპლინას. ჩინეთის ზეციური იმპერია განიხილებოდა, როგორც მსოფლიო ცენტრი, რომლის საზღვრებს გარეთ მხოლოდ ბარბაროსები ცხოვრობდნენ. ჩინელად ყოფნა ნიშნავდა ყოფილიყავი კულტურული და ამ მიზეზით დანარჩენი სამყარო ჩინეთს უნდა მოქცეოდა სათანადო პატივისცემით. ჩინეთის სულ უფრო მზარდი დაცემის პერიოდშიც კი, XVIII საუკუნის ბოლოს, უპირატესობის ამ გრძნობით იყო გაჟღენთილი ჩინეთის იმპერატორის წერილი დიდი ბრიტანეთის მეფის გეორგ III-დმი, რომლის წარგზავნილები ბრიტანული სამრეწველო ნივთების ძღვენის მირთმევით შეეცადნენ ჩინეთის სავაჭრო ურთიერთობებში ჩათრევას:

„ჩვენ, ზეცის წყალობით, იმპერატორი, ვთავაზობთ ინგლისის მეფეს ყურად იღოს ჩვენი მოწერილობა:

ზეციური იმპერია, რომელიც ოთხ ზღვას შორის არსებულ სივრცეს მართავს...

არ საჭიროებს იშვიათ და ძვირფას ნივთებს...

ზუსტად ასევე ჩვენ სრულებითაც არ ვსაჭიროებთ თქვენი ქვეყნის სამრეწველო საქონელს...

შესაბამისად ამისა, ჩვენ... ვუბრძანებთ თქვენს სამსახურში მყოფ წარმოგზავნილებს სვესვიანად დაბრუნებულიყვნენ სახლში. თქვენცო, მეფეო, თანახმად ჩვენი სურვილებისა, უბრალოდ უნდა იმოქმედოთ, განამტკი-

ცოთ თქვენი ერთგულება და შემოგვფიცოთ სამუდამო მორჩილებაზე“.

რამდენიმე ჩინური იმპერიის დაცემა და დაღუპვა ასევე აიხსნებოდა, უპირველეს ყოვლისა, საშინაო ფაქტორებით: მონღოლებმა და მოგვიანებით აღმოსავლეთელმა „ბარბაროსებმა“ გამარჯვება იზეიმეს იმის შედეგად, რომ საშინაო დაღლილობამ, გახრწნამ, გედეონიზმმა და შემოქმედებითი უნარის დაკარგვამ ეკონომიკურ, ასევე სამხედრო დარგებში ჩაკლეს ჩინეთის ნებისყოფა, შემდეგ კი, დააჩქარეს მისი კრახი. საგარეო ძალებმა ისარგებლეს ჩინეთის ავადმყოფობით: ბრიტანეთმა საოპიუმო ომის დროს, 1839-1842 წლებში,[3] იაპონიამ – ერთი საუკუნის შემდეგ, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია კულტურული გრძნობის ღრმა შელახვა და განაპირობა ჩინეთის მოქმედებანი XIX საუკუნის მანძილზე. დამცირება მით უფრო ძლიერი იყო კულტურული უპირატესობის თანდაყოლილი გრძნობისა და პოსტიმპერიული ჩინეთის დამამცირებელი პოლიტიკური სინამდვილის ურთიერთდაპირისპირების ფონზე.

ისევე, როგორც რომის შემთხვევაში, იმპერიული ჩინეთი დღეს შეიძლება კლასიფიცირებულ იქნეს, როგორც რეგიონალური სახელმწიფო, თუმცა კი, თავის აყვავების დროს მას მსოფლიოში არ ჰყავდა თანასწორი იმ აზრით, რომ არც ერთ სხვა სახელმწიფოს არ შეეძლო ორთაბრძოლა შეეთავაზებინა მისი იმპერიული სტატუსისათვის, ანდა წინააღმდეგობა მაინც გაეწია მისი შემდგომი ექსპანსიისათვის, თუკი ჩინეთს ასეთი ზრახვები აღეძრებოდა. ჩინეთის სისტემა ავტონომიური და ეგოისტური იყო, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, დაფუძნებული იყო ერთიან ეთნიკურ კუთვნილებაზე ცენტრალური ხელი-

3 ინგლის-ჩინეთის „საოპიუმო ომი“ მიმდინარეობდა 1840-1842 წლებში (რედ. შენიშვნა).

სუფლების შედარებით შეზღუდული პროექციისა ეთნიკურად უცხო და გეოგრაფიულად პერიფერიული დამორჩილებული სახელმწიფოების მიმართ.

მრავალრიცხოვანი და დომინირებული ეთნიკური ერთობა ჩინეთს ნებას რთავდა, პერიოდულად აღედგინა თავისი იმპერია. ამ მიმართებაში ის განსხვავდებოდა სხვა იმპერიებისაგან, რომლებშიაც რიცხობრივად მცირე, მაგრამ ჰეგემონიური მისწრაფებებით ხელმძღვანელ ხალხებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გარკვეული დროით დაემყარებინათ და შეენარჩუნებინათ თავის ბატონობა გაცილებით უფრო მრავალრიცხოვან ეთნიკურად განსხვავებულ ხალხებზე, მაგრამ თუკი ასეთი მცირერიცხოვანი ეთნიკური ერთობის გრძნობის მქონე იმპერიების დომინირებულ მდგომარეობას ძირი ეთხრებოდა, იმპერიის რესტავრაციაზე ლაპარაკიც კი არ ღირდა.

იმისათვის, რომ რაღაც დონით მოვითხოვოთ დღევანდელი მსოფლიო „დერჟავის“ განმარტების უფრო მიახლოებული ანალოგია, ჩვენ უნდა მივმართოთ მონღოლეთის იმპერიის ერთ ყურადსაღებ მოვლენას. ის აღმოცენდა ძლიერ და კარგად ორგანიზებულ მოწინააღმდეგეებთან გააფთრებული ბრძოლების შედეგად. დამარცხებულთა შორის იყვნენ პოლონეთისა და უნგრეთის სამეფოები, წმინდა რომის იმპერიის ძალები, რამდენიმე რუსული სამთავრო, ბაღდადის სახალიფო და მოგვიანებით სუნების ჩინეთის დინასტიაც კი.


ЕЭЗ IV
1280

ჩინგიზ-ყაენმა და მისმა მემკვიდრეებმა დაამარცხეს რა თავისი რეგიონალური მოწინააღმდეგეები, დაამყარეს ცენტრალიზებული კონტროლი ტერიტორიაზე, რომელიც გეოპოლიტიკური დარგის თანამედროვე სპეციალისტებმა „მსოფლიოს გულად", ანუ მსოფლიო ბატონობის საყრდენ წერტილებად განსაზღვრეს. მათი ევრაზიული კონტინენტალური იმპერია გადაშლილი იყო ჩინეთის ზღვის სანაპიროდან ანატოლიამდე მცირე აზიაში და ცენტრალურ ევროპამდე (იხ. რუკა IV). მხოლოდ და მხოლოდ სტალინური ჩინეთ-სსრკ-ს ბლოკის აყვავების პერიოდში ევრაზიის კონტინენტზე მონღოლეთის იმპერიას მოეძია ღირსეული მეტოქე იმაში, რაც მიმდებარე ტერიტორიებზე ცენტრალიზებული კონტროლის მასშტაბებს შეეხებოდა.

რომის, ჩინეთისა და მონღოლეთის იმპერიები უფრო გვიანი მსოფლიო ბატონობის პრეტენდენტების რეგიონალური წინამორბედები იყვნენ. რომისა და ჩინეთის მოვლენებთან დაკავშირებით, როგორც აღინიშნა, იმპერიული სტრუქტურა აღწევდა უმაღლეს დონეს როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ ურთიერთობაშიც, მაშინ, როცა ცენტრის კულტურული უპირატესობის ფართო გავრცელების აღიარება თამაშობდა მნიშვნელოვან შემაკავშირებელ როლს. მონღოლეთის იმპერია, პირიქით, ინარჩუნებდა პოლიტიკურ კონტროლს ძირითადად სამხედრო დაპყრობებით, რასაც მოსდევდა ადგილობრივ პირობებთან ადაპტაცია (ასიმილაციაც კი).

1280 წელს მონღოლეთის იმპერიის ქვეშ მყოფი მიახლოებითი ტერიტორიები, მონღოლეთის იმპერიული ხელისუფლება, ძირითადად ეყრდნობოდა სამხედრო ბატონობას, რომელიც ბრწყინვალე და მკაცრი სამხედრო ტაქტიკის გამოყენების წყალობით მიიღწეოდა, რასაც ენაცვლებოდა ძალების სწრაფი გა-

დასროლისა და დროული თავმოყრის შესანიშნავი შესაძლებ-
ლობანი. მონღოლეთის ბატონობას თან არ სდევდა ორგანიზე-
ბული ეკონომიკური და ფინანსური სისტემა, მონღოლების ხე-
ლისუფლება არც კულტურული უპირატესობის შეგნებას ეყ-
რდნობოდა. მონღოლი მმართველები ერთობ მცირერიცხოვ-
ნები იყვნენ იმისათვის, რომ თავი თვითმყოფად მმართველ
კლასად წარმოედგინათ, ნებისმიერ შემთხვევაში, აშკარად ჩა-
მოყალიბებული, ძვალ-რბილში გამჯდარი კულტურული ანდა
ეთნიკური უპირატესობის მაინც არარასებობა, იმპერიულ ელი-
ტას ხელიდან აცლიდა ერთობ აუცილებელ თვითრწმენას.

სინამდვილეში მონღოლმა მმართველებმა თავი გამოიჩინეს
საკმაოდ კარგი ამთვისებლობის უნარით. ხშირად, კულტურუ-
ლი თვალსაზრისით, იმ ხალხებთან თანდათანობითი ასიმილა-
ციით, რომლებიც დაპყრობილი ჰყავდათ. ასე, მაგალითად,
ჩინგიზ-ყაენის ერთ-ერთი შვილიშვილი, რომელიც ჩინეთის დი-
დი სახანოს ნაწილის იმპერატორი იყო, კონფუციანელობის
გულმხურვალე გამავრცელებელი გახდა; მეორე - ღვთისმოსა-
ვი მუსლიმანი სპარსეთის სულთანთან ყოფნის ჟამს, მესამე კი,
კულტურული თვალსაზრისით, ცენტრალური აზიის სპარსი
მმართველი.

სწორედ ამ ფაქტორმა – მმართველთა ასიმილაციამ მათთან,
ვინც მათი გამგებლობის ქვეშ იმყოფებოდნენ, დომინირებული
პოლიტიკური კულტურის არარსებობამ, ასევე იმპერიის დამა-
არსებლის დიდი ხანის მემკვიდრის პრობლემის გადაუჭრელო-
ბამ, საერთო ჯამში, მიიყვანა იმპერია დაღუპვამდე. მონღოლე-
თის სახელმწიფო ერთიანი ცენტრიდან სამართავად ერთობ გა-
დიდდა, იმპერიის რამდენიმე ავტონომიურ ნაწილად დაყოფის
გზით, ამ პრობლემის გადაჭრის მცდელობამ კი, მიიყვანა კიდევ
უფრო სწრაფ ასიმილაციამდე და დააჩქარა იმპერიის დაშლა.

იარსება რა ორი საუკუნე 1026 წლიდან 1405 წლამდე – ეს უზარმაზარი სახმელეთო მსოფლიო იმპერია უკვალოდ გაქრა.

ამის შემდეგ ევროპა იქცა მსოფლიო ხელისუფლების ცენ-ტრად და მსოფლიოზე ბატონობისათვის ძირითადი ბრძოლე-ბის არენად. და მართლაც, დაახლოებით სამი ასწლეულის მან-ძილზე, ევრაზიის კონტინენტის ჩრდილო-დასავლეთის პატარა განაპირა მხარემ, ზღვებზე უპირატესობის მოპოვებით, პირველ-მა შეძლო გამხდარიყო ჭეშმარიტი მსოფლიო სახელმწიფო და შეენარჩუნებინა თავისი პოზიციები დედამიწის ყველა კონტინენ-ტზე. აუცილებელია შევნიშნოთ, რომ დასავლეთევროპული იმ-პერიული ჰეგემონიები მაინცდამაინც მრავალრიცხოვანნი არ იყვნენ, განსაკუთრებით იმათთან შედარებით, ვინც თავის ბატო-ნობას დაუმორჩილეს, და მაინც, XX საუკუნის დასაწყისისთვის დასავლეთ ნახევარსფეროს საზღვრებს იქით (რომელიც ორი ასეული წლით ადრე ასევე დასავლეთ ევროპის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა და ძირითადად დასახლებული იყო ევროპე-ლი ემიგრანტებისა და მათი შთამომავლების მიერ) მხოლოდ ჩინეთი, რუსეთი, ოტომანის იმპერია და ეთიოპია დარჩნენ და-სავლეთ ევროპის ბატონობისგან (იხ. რუკა V) თავისუფლები.

და მაინც, დასავლეთევროპული ბატონობა დასავლეთ ევრო-პის მსოფლიო ძალაუფლების მიღწევის ტოლფასი არ იყო. სი-ნამდვილეში ადგილი ჰქონდა ევროპული ცივილიზაციის მსოფ-ლიო ბატონობას და ევროპის ფრაგმენტულ კონტინენტურ


ატლანტის
ოკეანე
წყნარი ოკეანე
ინდოეთის
ოკეანე
წყნარი ოკეანე
ევროპის მსოფლიო ბატონობა. 1900 წ.
ბრიტანეთის ბატონობა ზღვაზე
ევროპის პოლიტიკური კონტროლი
ევროპის კულტურული ზეგავლენა

ხელისუფლებას. მონღოლების მიერ სახმელეთო „ევრაზიული გულის დაპყრობისა, ანდა, შემდგომში რუსეთის იმპერიისგან განსხვავებით, ევროპის ოკეანისიქითა იმპერიალიზმი მიღწეულ იქნა ოკეანისიქითა უწყვეტი გეოგრაფიული აღმოჩენებისა და მსოფლიო ვაჭრობის გაფართოების ხარჯზე, მაგრამ ეს პროცესი ასევე მოიცავდა ევროპის წამყვან სახელმწიფოებს შორის განუწყვეტელ ბრძოლას არა მარტო ოკეანის იქითა დომინანტობის, არამედ თვით ევროპაში გაბატონებისათვისაც კი. ამ გარემოების გეოპოლიტიკური შედეგი იყო ის, რომ ევროპის მსოფლიო ბატონობა არ წარმოადგენდა ევროპაში რომელიმე ერთი ევროპული დერჟავის ბატონობის შედეგს.

საერთოდ, XVII საუკუნის შუა ხანებამდე, პირველხარისხოვან ევროპულ სახელმწიფოს წარმოადგენდა ესპანეთი. XV საუკუნის ბოლოს ის იქცა დიდ იმპერიულ „დერჟავად“ ოკეანისიქითა სამფლობელოებითა და მსოფლიო ბატონობაზე პრეტენზიებით. გამაერთიანებელ დოქტრინად და იმპერიული მისიონერული გულმოდგინების წყაროდ რელიგია იქცა. და მართლაც, ტორსედილას (1494) და სარაგოსას (1529) შეთანხმებებში საჭირო შეიქნა პაპის შუამდგომლობა ესპანეთსა და მის საზღვაო მეტოქესთან პორტუგალიასთან სამყაროს ფორმალური გაყოფის შესახებ ესპანურ და პორტუგალიურ სფეროებად. და მაინც, ინგლისთან, საფრანგეთსა და ჰოლანდიასთან შეტაკებებისას, ესპანეთმა ვერ შეძლო დაეცვა თავისი ბატონობა ვერც თავად დასავლეთ ევროპაში და ვერც ოკეანეზე.

ესპანეთმა თავისი უპირატესობა თანდათანობით დაუთმო საფრანგეთს. 1815 წლამდე საფრანგეთი წარმოადგენდა დომინირებულ ევროპულ სახელმწიფოს, თუმცა კი, მას გამუდმებით აფერხებდნენ ევროპელი მეტოქეები როგორც კონტინენტზე,

ასევე ოკეანის იქით. ნაპოლეონის მმართველობის დროს საფ-
რანგეთი უშუალოდ მიუახლოვდა ევროპაზე თავის რეალურ
ჰეგემონიის დამყარებას. ის თუ ამას შეძლებდა, მიაღწევდა კი-
დეც გაბატონებული მსოფლიოს სახელმწიფოს სტატუსის მიღე-
ბასაც. მაგრამ ევროპულ კოალიციასთან ბრძოლაში მისმა და-
მარცხებამ აღადგინა ძალთა შედარებითი თანაფარდობა კონ-
ტინენტზე.


ATLANTIS
OCEAN
PACIFIC OCEAN
PACIFIC OCEAN
INDIAN
OCEAN
ბრიტანეთის მფლობელობა 1860-1914 წწ.
ბრიტანეთის კონტროლის ქვეშ მყოფი ოკეანეების სრუტეები
ბრიტანეთის საზღვაო ბატონობა
ბრიტანეთის კონტროლის ქვეშ მყოფი ტერიტორიები

რუკა VI

შემდგომი ასწლეულის მსვლელობისას, პირველ მსოფლიო ომამდე, მსოფლიო საზღვაო ბატონობა ხელთ იგდო დიდმა ბრიტანეთმა, მაშინ, როცა ლონდონი მსოფლიოს მთავარ ფინანსურ და სავაჭრო ცენტრად იქცა, ბრიტანეთის ფლოტი „მბრძანებლობდა ტალღებზე“. დიდი ბრიტანეთი მართლაც ყოვლისშემძლე იყო ოკეანის იქით, მაგრამ როგორც მსოფლიო ბატონობისათვის გაცილებით ადრეულ მეტოქეებს, ბრიტანეთის იმპერიასაც არ შეეძლო მარტოს ებატონა ევროპაზე. ამის მაგიერ ბრიტანეთი დაეყრდნო ძალთა თანაფარდობის ეშმაკურ დიპლომატიას და საბოლოო ჯამში, ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებას იმისათვის, რომ ხელი შეეშალა რუსეთის ან გერმანიის კონტინენტალური ბატონობისათვის.

ოკეანისიქითა ბრიტანეთის იმპერია თავდაპირველად შექმნილ იქნა გეოგრაფიული აღმოჩენების, ვაჭრობისა და დაპყრობების რთული კომბინაციის წყალობით. მაგრამ ის თავისი წინამორბედების, რომისა და ჩინეთის, ან არადა, თავის მეტოქეების, საფრანგეთისა და ესპანეთის მსგავსად უმეტესწილად ძალას კულტურული უპირატესობის კონცეფციაში იძენდა. ეს უპირატესობა არა მარტო იმპერიული მმართველი კლასის მხრიდან ამპარტავნობის გამომხატველი იყო, არამედ მსოფლმხედველობის, რომელსაც იზიარებდა არაბრიტანული წარმომავლობის მრავალი ქვეშევრდომი. როგორც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პირველმა შავკანიანმა პრეზიდენტმა ნელსონ მანდელამ თქვა: „მე აღზრდილი ვიყავი ბრიტანულ სკოლაში, იმ დროს კი ბრიტანეთი მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო სახლი იყო. უარვყოფ იმ გავლენას, რომელიც ბრიტანეთმა და ბრიტანულმა ისტორიამ და კულტურამ ჩვენზე მოახდინა“.

იმპერიული ცენტრის ხელისუფლების შენარჩუნებისათვის კულ-
ტურულმა უპირატესობამ, რომელიც წარმატებით შეინარჩუნეს
და ადვილად აღიარეს, თავისი როლი ითამაშა მსხვილ სამ-
ხედრო ფორმირებებზე დაყრდნობის აუცილებლობაზე. 1914
წლისათვის მხოლოდ რამდენიმე ათასი ბრიტანელი სამხედრო
და სამოქალაქო მოსამსახურე უწევდა კონტროლს დაახლოე-
ბით 11 მილიონ კვადრატულ მილს და, თითქმის 400 მილიონ
არაბრიტანელს (იხ. რუკა VI).


ატლანტის
ოკეანე
წყნარი ოკეანე
ინდოეთის
ოკეანე
წყნარი ოკეანე
ამერიკის მსოფლიო ბატონობა
აშშ-ს საოკეანო კონტროლი
აშშ-ს პოლიტიკური გავლენა
აშშ-ს გეოპოლიტიკური ბატონობა

რუკა VII

მოკლედ, რომი თავის ბატონობას ძირითადად უზრუნველ ყოფდა გაცილებით თანამედროვე სამხედრო სტრუქტურის დახმარებით და კულტურული მიმზიდველობით. ჩინეთი მნიშვნელოვანწილად ეყრდნობოდა ეფექტურ ბიუროკრატიულ აპარატს, რომელიც მართავდა იმპერიას, რომელიც დაფუძნებული იყო საერთო ეთნიკურ კუთვნილებაზე და, თავის კონტროლს განამტკიცებდა ძლიერ განვითარებული კულტურული უპირატესობის ხარჯზე. მონღოლეთის იმპერია თვითმმართველობის საფუძვლად მიიჩნევდა დაპყრობითი ომების მსვლელობის დროს მოწინავე სამხედრო ტაქტიკის გამოყენებისა და ასიმილაციისადმი მიდრეკილების ერთმანეთთან შეთავსებას. ბრიტანელები (ისევე როგორც ესპანელები, ჰოლანდიელები და ფრანგები) თავის უპირატესობას უზრუნველყოფდნენ იმის მიხედვით, თუ როგორ ედგა კვალში მათი დროშა ბრიტანელთა ვაჭრობის განვითარებას. მათი კონტროლი ასევე შემაგრებული იყო უფრო მოწინავე სამხედრო სტრუქტურითა და კულტურული თვითრწმენით. მიუხედავად ამისა, არც ერთი ამ იმპერიებიდან არ იყო ჭეშმარიტად მსოფლიო მნიშვნელობის, თვით დიდი ბრიტანეთიც კი არ იყო ჭეშმარიტად მსოფლიო „დერჟავა“. ის კონტროლს კი არ უწევდა ევროპას, არამედ ინარჩუნებდა მასში ძალთა თანაფარდობას. სტაბილურ ევროპას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ბრიტანეთის საერთაშორისო ბატონობისათვის, ევროპის თვითგანადგურება კი, გარდაუვლად მოასწავებდა ბრიტანეთის წამყვანი როლის დასასრულს.

შეერთებული შტატების, როგორც მსოფლიო სახელმწიფოს მასშტაბები და გავლენა, პირიქით, დღეს უნიკალურია. ის არა მარტო კონტროლს უწევს მსოფლიოს ყველა ოკეანესა და

ზღვას, მან შექმნა კიდეც საზღვაო სადესანტო ძალების მიერ სანაპირო კონტროლის დაწესებისათვის დამაჯერებელი სამ-ხედრო შესაძლებლობები, რაც მას ნებას აძლევს დიდი პოლი-ტიკური შედეგებით განახორციელოს თავისი ძალაუფლება ხმე-ლეთზე.

მისი სამხედრო ლეგიონები საიმედოდ დამკვიდრდნენ ევრაზიის დასავლეთისა და აღმოსავლეთის განაპირა მხარეებ-ში. გარდა ამისა, ისინი კონტროლს უწევდნენ სპარსეთის ყუ-რეს. ამერიკის ვასალები და მასზე დამოკიდებული სახელმწი-ფოები, რომელთაგან ზოგიერთი მიისწრაფვის ვაშინგტონიდან სულ უფრო და უფრო მყარი ოფიციალური კავშირების დამყა-რებისაკენ, განფენილი არიან მთელ ევრაზიულ კონტინენტზე (რასაც გვიმოწმებს რუკა VII).

ამერიკის ეკონომიკური დინამიზმი აუცილებელ წინაპირობად ემსახურება მსოფლიოში მისი წამყვანი როლის უზრუნველყო ფას. თავდაპირველად, კონკრეტულად კი, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ამერიკის ეკონომიკა დამოუკიდებული იყო ყვე-ლა სხვა ქვეყნის ეკონომიკისგან და მარტო უზრუნველყოფდა მსოფლიო მრეწველობის ხვედრითი პროდუქციის 50%-ზე მეტს. დასავლეთ ევროპისა და იაპონიის ეკონომიკური აღორ-ძინება, რასაც აზიის ეკონომიკური დინამიზმის გაყოფა მოჰყვა, ნიშნავდა იმას, რომ ამერიკის ხვედრითი წილი მსოფლიო მრეწველობის პროდუქციის საერთო ჯამში უნდა შემცირებული-ყო ომის შემდგომ არაპროპორციულად მაღალ დონესთან შე-დარებით. მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, იმ დროისთვის, როცა ცივი ომი დასრულდა, ამერიკის ხვედრითი წილი მსოფ-ლიო მრეწველობის პროდუქციაში, უფრო კონკრეტულად კი – მთელი მსოფლიოს სამრეწველო წარმოების მოცულობაში სტაბილიზებულ იქნა დაახლოებით 30% დონეზე, რაც, გარდა

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი განსაკუთრებული წლებისა, ამ ასწლეულის დიდი ხნის ნორმას წარმოადგენდა.

რაც უფრო მნიშვნელოვანია, ამერიკამ შეინარჩუნა და გაიფართოვა კიდეც თავის ლიდერობა ახალი სამეცნიერო აღმოჩენების სამხედრო მიზნებისათვის გამოყენებაში, შექმნა რა, ამრიგად, მსოფლიოში ტექნიკური თვალსაზრისით, შეუდარებელი, ჭეშმარიტად გლობალური მომცველობა, ერთადერთი შეიარაღებული ძალები. მთელი ამ დროის განმავლობაში ამერიკა ინარჩუნებდა თავის მნიშვნელოვან უპირატესობას ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ეკონომიკის განვითარებისათვის. ამერიკის უპირატესობა თანამედროვე ეკონომიკის მოწინავე სექტორებში გვიდასტურებს იმას, რომ მისი ტექნოლოგიური ბატონობა, როგორც ჩანს, შეუძლებელია ადვილად გადაილახოს ახლო მომავალში, განსაკუთრებით კი იმის გათვალისწინებით, რომ ეკონომიკის დარგებში არსებულ გადამწყვეტ მდგომარეობას ამერიკელები ინარჩუნებენ და ზრდიან კიდეც თავისი საწარმოების უპირატესობას დასავლეთევროპელ და იაპონელ კონკურენტებთან შედარებით.

რა თქმა უნდა, რუსეთი და ჩინეთი მიეკუთვნებიან იმ სახელმწიფოების რიცხვს, რომლებიც მტკივნეულად აღიქვამენ ამერიკის ჰეგემონიას. 1996 წლის დასაწყისში, რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის პეკინში ვიზიტის მსვლელობის დროს, ისინი ერთიანი განცხადებებით გამოვიდნენ ამ თემაზე. გარდა ამისა, ისინი ფლობენ ბირთვულ არსენალს, რომლითაც შეიძლება დაემუქრონ ამერიკის შეერთებული შტატების სასიცოცხლო ინტერესებს. მაგრამ მკაცრი სინამდვილე იმაში მდგომარეობს, რომ მოცემულ მომენტსა და ახლო მომავალში, მათ, მართალია, შეუძლიათ გააჩაღონ თვითმკვლელობითი ბირთვული ომი, მაგრამ მასში არც ერთ მხარეს არ ძალუძს გამარჯვების

მიღწევა. მათ თავიანთი პოლიტიკური ნების თავზე მოსახვევად არ გააჩნიათ შორ მანძილზე ჯარების გადასროლის შესაძლებლობანი და ძლიერ ჩამორჩებიან რა ამერიკას ტექნოლოგიური თვალსაზრისით, არა აქვთ იმის საშუალება, რომ მუდმივი პოლიტიკური ზეგავლენა იქონიონ (ან ახლო დროში უზრუნველყონ თავი ასეთი საშუალებით) მთელ მსოფლიოზე.

მოკლედ რომ ვთქვათ, ამერიკას დომინირებული პოზიციები უკავია მსოფლიოს ძალაუფლების ოთხი გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე დარგში: სამხედრო დარგში ის ფლობს გლობალური განლაგების შეუდარებელ შესაძლებლობებს; ეკონომიკის დარგში რჩება განვითარების ძირითად მოქმედ ძალად იაპონიისა და გერმანიის მხრიდან ცალკეულ დარგებში კონკურენციის მიუხედავადაც კი (ამ ქვეყნებიდან არც ერთს არ ახასიათებს მსოფლიოს ძლიერების სხვა განმასხვავებელი ნიშნები). ტექნოლოგიური თვალსაზრისით, აშშ ინარჩუნებს მეცნიერებისა და ტექნიკის მოწინავე დარგებში აბსოლუტურ ლიდერობას; კულტურის დარგში, მიუხედავად ზოგიერთი პრიმიტიულობისა, ამერიკა სარგებლობს შეუდარებლად უთანასწორო მიმზიდველობით, განსაკუთრებით კი, მსოფლიოს ახალგაზრდობაში – ყოველივე კი, უზრუნველყოფს შეერთებულ შტატებს ისეთი პოლიტიკური გავლენით, რომლის მსგავსი არ გააჩნია მსოფლიოს არც ერთ სახელმწიფოს. ოთხივე ფაქტორის სწორედ ასეთი შეთავსება ქმნის შეერთებულ შტატებს ერთადერთ ზესახელმწიფოდ სიტყვის პირდაპირი გაგებით.

ამერიკული გლობალური სისტემა

მართალია, საერთაშორისო მასშტაბებით ამერიკელების უპირატესობა გარდაუვლად ქმნის წარმოდგენას წარსული იმპერიების მსგავსებაზე, განსხვავება მაინც არსებითია, ის სცილდება პრობლემის ფარგლებს ტერიტორიული საზღვრების შესახებ. ამერიკის ძალა ვლინდება გლობალური სისტემის აშკარა ამერიკული ყალიბის მეშვეობით, რომელიც ამერიკულ შინაგან გამოცდილებას აირეკლავს. ამ შინაგან გამოცდილებაში ცენტრალური ადგილი ეთმობა როგორც ამერიკული საზოგადოების, ისე მისი პოლიტიკური სისტემის პლურალისტულ ხასიათს.

წარსული იმპერიები შექმნილი იყო არისტოკრატული პოლიტიკური ელიტების მიერ და უმრავლეს შემთხვევაში, თავისი არსით, იმართებოდა ავტორიტეტული ან აბსოლუტური რეჟიმებით. იმპერიული სახელმწიფოების მოსახლეობის ძირითადი ნაწილი იყო ან პოლიტიკურად ინდიფერენტული, ან არადა, როგორც ახლო წარსულში, მოწამლული იყო იმპერიული ემოციებითა და სიმბოლოებით: ეროვნული დიდებისკენ სწრაფვა, „თეთრი ადამიანის ტვირთი“, „ცივილიზებული მისია“, არაფერს თუ არ ვიტყვით პირადი გამდიდრების შესახებ – ყველაფერი ეს გამიზნული იყო იმპერიული ავანტიურიზმის მხარდაჭერისა და ხელისუფლების იერარქიული იმპერიული პირამიდის შენარჩუნების მობილიზაციისთვის.

ამერიკული საზოგადოების ამერიკული ძალის გარეგნული დემონსტრაციის მიმართ დამოკიდებულება მნიშვნელოვანწილად გაორებულიყო: საზოგადოება მხარს უჭერდა ამერიკის მონაწილეობას მეორე მსოფლიო ომში ძირითადად იმ შოკით,

რომელიც გამოწვეული იყო იაპონელების პერლ-ჰარბორზე თავდასხმით. ამერიკის შეერთებული შტატების ცივ ომში მონაწილეობას, თავდაპირველად, ბერლინის ბლოკადამდე და კორეაში მომდევნო ომამდე, მხარს ძლიერ უხალისოდ უჭერდნენ. ცივი ომის დამთავრების შემდეგ შეერთებული შტატების, როგორც ერთადერთი გლობალური ძალის სტატუსს საზოგადოების დიდი აღტაცება კი არ გამოუწვევია, მან უფრო საზღვარგარეთ ამერიკის ამოცანებისადმი შეზღუდული მსჯელობის ტენდენცია გამოავლინა, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებმა, რომლებიც 1995 წელსა და 1996 წელს ჩატარდა, დაადასტურა, რომ საზოგადოება ერთობლიობაში უპირატესობას უფრო გლობალური ძალაუფლების სხვებთან „განაწილებას“ ანიჭებდა, ვიდრე მის მონოპოლიურ სარგებლობას.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით ამერიკის გლობალური სისტემა გაცილებით მეტ ყურადღებას აქცევს კოოპტაციის მეთოდებს (როგორც დამარცხებული მოწინააღმდეგეების – გერმანიის, იაპონიის და შემდეგ რუსეთის მიმართაც კი), ვიდრე ამას აკეთებდნენ ძველი იმპერიული სისტემები. ის, როგორც ჩანს, უფრო ენდობა დამოკიდებულ უცხოურ ელიტებზე გავლენის არაპირდაპირ გამოყენებას, იმავდროულად კი, მნიშვნელოვან სარგებელს პოულობს თავისი დემოკრატიული პრინციპებისა და ინსტიტუტების მომხიბვლელობისგან. ყველა ზემოთ დასახელებული შემაგრებულია დიდი, მაგრამ ამერიკელების ბატონობის უხილავი ყურადღებით გლობალური კომუნიკაციების, სახალხო გართობებისა და მასობრივი კულტურის დარგებში, ასევე, მათი ტექნოლოგიური უპირატესობისა და გლობალური სამხედრო ყოფნის პოტენციურად საკმაოდ საგრძნობი გავლენით.

კულტურული უპირატესობა ამერიკის გლობალური ძლიერების შეუფასებელი ასპექტია, რაც არ უნდა იფიქროს ზოგიერთმა

თავის ეთნიკურ ღირებულებებზე, ამერიკული მასობრივი კულ-
ტურა სხივებად ავლენს მაგნიტურ მიზიდულობას, განსაკუთრე-
ბით კი, მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობისათვის. მისი მიმ-
ზიდველობა, როგორც ჩანს, სათავეს იღებს ცხოვრების იმ სი-
ცოცხლისმოყვარეობიდან, რომელსაც ის ქადაგებს, მისი
მიმზიდველობა მთელი მსოფლიოსთვის ეჭვგარეშეა. ამერიკის
სატელევიზიო პროგრამებსა და ფილმებს მსოფლიო ბაზრის
თითქმის სამი მილიონი უპყრიათ. ამერიკულ პოპულარულ მუ-
სიკას, ასევე, გაბატონებული მდგომარეობა აქვს და ამერიკელ-
თა გატაცებებს, ჩვევებს, კვებასა და ტანსაცმელსაც კი სულ უფ-
რო მეტი მიმბაძველი ჰყავს მთელ მსოფლიოში. „Internet“-ის
ენა ინგლისურია, გლობალური კომპიუტერული „ყბედობის“ აბ-
სოლუტური ნაწილიც კი, ასევე, ამერიკულია და გავლენას ახ-
დენს საუბრების გლობალურ არსზე. დაბოლოს, ამერიკა გადა-
იქცა მექად მათთვის, ვინც მიისწრაფვის, მიიღოს თანამედროვე
„განათლება“, უცხოელ სტუდენტთა დაახლოებით ნახევარი მი-
ლიონი თავმოყრილია შეერთებულ შტატებში, თანაც, ყველაზე
ნიჭიერთა უმრავლესობა სამშობლოში არ ბრუნდება, ამერიკის
უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები შეიძლება იხილოთ
ყველა კონტინენტის თითქმის ყოველ მთავრობაში.

საზღვარგარეთის ბევრი დემოკრატი პოლიტიკოსის სტილი
სულ უფრო ემსგავსება ამერიკულს. არა მარტო ჯონ ფიცჯე-
რალდ კენედიმ პოვა აღფრთოვანებული თაყვანისმცემლები
საზღვარგარეთ, არამედ სულ ახლა (და ნაკლებ სახელგან-
თქმული) ამერიკელი პოლიტიკოსიც კი, გულმოდგინე შესწავ-
ლის ობიექტად და პოლიტიკურ მისაბაძ ნიმუშად იქცა. მაგალი-
თად, ისეთი განსხვავებული კულტურის მქონე, როგორიცაა: ია-
პონელი და ინგლისელი პოლიტიკოსები (მაგალითად, 90-იანი
წლების შუახნის იაპონელი პრემიერ-მინისტრი რ. ჰამიტოტო
და ბრიტანელი პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი (თანაც, ყუ-

რადღება მიაქციეთ „ტონის“ ადარებენ „ჯიმი“ კარტერს, „ბილ“ კლინტონს ან „ბობ“ დოულს), საკმაოდ მართებულად მიიჩნევ-დნენ, ასლად მიიღონ ბილ კლინტონის საშინაო მანერები, მხარში ამოდგომის პოპულისტური გრძნობა და საზოგადოებას-თან ურთიერთობის ტაქტიკა.

ამერიკულ პოლიტიკურ ტრადიციებთან დაკავშირებული დე-მოკრატიული იდეალები კიდევ უფრო ამაგრებენ იმას, რასაც ზოგიერთები აღიქვამენ ამერიკულ „კულტურულ იმპერიალიზ-მად“. მმართველობის დემოკრატიული მეთოდების ყველაზე ფარ თოდ გავრცელების საუკუნეში ამერიკელთა პოლიტიკური გამოცდილება სულ უფრო მისაბაძ სტანდარტად გამოიყენება. მთელ მსოფლიოში გავრცელებულია აქცენტი წერილობითი კონსტიტუციის ცენტრალური მდგომარეობისა და პოლიტიკურ უპრინციპობაზე კანონის უზენაესობის შესახებ, განურჩევლად იმისა, თუ რამდენად დაკნინებულია ისინი პრაქტიკაში, სარგებ-ლობენ ამერიკული მართვის კონსტიტუციური წესის ძალით. უკანასკნელ დროს ყოფილი კომუნისტური ქვეყნების მიერ მო-ქალაქეთა სამხედროებზე უზენაესობის აღიარება (როგორც სა-განგებო წინაპირობა ნატოში გაწევრიანებისათვის), ასევე, ძლი-ერ ზეგავლენას განიცდის მოქალაქეთა და სამხედროებს შო-რის ურთიერთობების ამერიკული სისტემისგან.

დემოკრატიული ამერიკული პოლიტიკური სისტემის პოპულა-რობისა და ზეგავლენის ასევე თანმხლებია ის ამერიკული მწარმოებლური ეკონომიკური მოდელის მომხიბვლელობის ზრდა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მსოფ-ლიოს თავისუფალ ვაჭრობას და შეუფერხებელ კონკურენციას. საყოველთაო კეთილდღეობის დასავლეთის სახელმწიფო მწარმოებელთა და პროფკავშირებს შორის „საკითხების გადაწ-ყვეტაში მონაწილეობის უფლებაზე“ გერმანული აქცენტის ჩათ-ვლით, იმის შესაბამისად, თუ თანდათან როგორ კარგავს ეკო-

ნომიკურ დინამიზმს, სულ უფრო მეტი ევროპელი გამოთქვამს აზრს იმაზე, რომ აუცილებელია მიბაძონ უფრო კონკურენტუნარიან (მკაცრსაც კი), ამერიკული ეკონომიკური კულტურის მაგალითს, თუკი არ სურთ, რომ ევროპა სულ უფრო მეტად ჩამორჩეს. იაპონიაშიც კი, ეკონომიკურ ქცევაში მეტი ინდივიდუალიზმი ეკონომიკური წარმატების აუცილებელ თანმხლებ გარემოებადაა აღიარებული.

ამრიგად, ამერიკული აქცენტი პოლიტიკურ დემოკრატიასა და ეკონომიკურ განვითარებაზე ითვისებს უბრალო იდეოლოგიურ გულახდილობას, რომელიც მრავალ შემთხვევაში გამოიყენება: პირადი წარმატებისკენ სწრაფვა ამტკიცებს თავისუფლებას, ქმნის რა სიმდიდრეს. იდეალიზმისა და ეგოიზმის საბოლოო ნარევი მძლავრი კომბინაციაა. ინდივიდუალური თვითგამოვლენა, როგორც ამბობენ, ეს ღვთით ბოძებული უფლებაა, რომელსაც ერთდროულად შეუძლია სარგებლობა მოუტანოს სხვებს, მაგალითი მისცეს და შექმნას სიმდიდრე. ეს დოქტრინაა, რომელიც გვიზიდავს ენერგიულობით, ამბიციებითა და მაღალი კონკურენტუნარიანობით.

ვინაიდან, ამერიკული გზით განვითარების მიბაძვა თანდათანობით მთელ მსოფლიოს მოიცავს, ეს ქმნის უფრო ხელსაყრელ პირობებს ირიბი ან გარეგნულად კონსესუალური ამერიკული ჰეგემონიის დამყარებისათვის. როგორც საშინაო ამერიკული სისტემის შემთხვევაში, ეს ჰეგემონია თავისკენ იზიდავს იმ ურთიერთდამოკიდებული ინსტიტუტებისა და პროცედურების კომპლექსურ სტრუქტურას, რომელიც გამიზნულია კონსესუსის და ხელისუფლებისა და გავლენის სფეროში უხილავი ასიმეტრიის გამოსამუშავებლად. ამერიკული გლობალური უპირატესობა, ამრიგად, მტკიცდება კავშირებისა და კოალიციების იმ რთული სისტემით, რომელიც, სიტყვის პირდაპირი გაგებით, ბადეში ხვევს მსოფლიოს.

ჩრდილოატლანტიკური შეთანხმების ორგანიზაცია (ნატო) აკავშირებს ევროპის ყველაზე განვითარებულ და გავლენიან სახელმწიფოებს ამერიკასთან, გარდაქმნის რა შეერთებულ შტატებს მთავარ მოქმედ პირად შიდაევროპულ საქმეებშიც კი. ორმხრივი პოლიტიკური და სამხედრო კავშირები იაპონიასთან აზიის ყველაზე ძლიერ ეკონომიკას აკავშირებს შეერთებულ შტატებთან, თანაც, იაპონია რჩება (უკიდურეს შემთხვევაში ახლანდელ დროში) თავისი არსით, ამერიკის პროტექტორატად. ამერიკა, ასევე მონაწილეობს ისეთი ფორმირების პროცესში მყოფი ტრანსწყნაროკეანის მრავალმხრივი ორგანიზაციების საქმიანობაში, როგორიცაა: ეკონომიკური თანამშრომლობის აზიურწყნარიოკეანის ფორუმი (LPEC), ხდება რა ასე რეგიონის საქმეებში მთავარ მოქმედ პირად. დასავლეთის ნახევარსფერო, ძირითადად, დაცულია გარე ზეგავლენისაგან, ნებას რთავს რა ამერიკას, ითამაშოს მთავარი როლი აქ არსებულ მრავალმხრივ ორგანიზაციებში. სპარსეთის ყურეში უსაფრთხოების სპეციალურმა ღონისძიებებმა, განსაკუთრებით, ერაყის წინააღმდეგ 1991 წელს ჩატარებული ხანმოკლე დამსჯელი ოპერაციის შემდეგ, ეს ეკონომიკურად მნიშვნელოვანი რეგიონი სამხედრო ნაკრძალის ზო ნად აქცია. თვით ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეებშიც კი, თავისი გავრცელება პოვა ამერიკელების მიერ ნატოსთან უფრო მჭიდროდ თანამშრომლობის მატერიალურად მხარდამჭერმა სხვადასხვა სქემამ, ისეთებმა, როგორიცაა: „მშვიდობის სახელით პარტნიორობის“ პროგრამა.

ამას გარდა, ამერიკელების სისტემის ნაწილად უნდა მივიჩნიოთ სპეციალიზებული ორგანიზაციების, განსაკუთრებით, „საერთაშორისო“ ფინანსური ინსტიტუტების გლობალური ქსელი. საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსვ) და მსოფლიო ბანკი კი,

შეიძლება ითქვას, წარმოადგენენ გლობალურ ინტერესებს და მათ კლიენტებად შეიძლება დავასახელოთ მთელი მსოფლიო.

სინამდვილეში კი, მათში დომინირებენ ამერიკელები და მათ შექმნაში კვალი აქვთ დაჩნეული ამერიკულ ინიციატივებს, კერძოდ კი, 1944 წლის კონფერენციებს ბრეტონ-ვუდსში.

წარსული იმპერიებისაგან განსხვავებით, ეს რთული გლობალური სისტემა არ წარმოადგენს იერარქიულ პირამიდას. პირიქით, ამერიკა ურთიერთდამოკიდებული სამყაროს ცენტრშია, ისეთში, რომელშიც ხელისუფლება ხორციელდება მუდმივი მანევრირების, დიალოგების, დიფუზიისა და ფორმალური კონსენსუსის საშუალებით, თუმცა კი, ბოლოს და ბოლოს, ეს ხელისუფლება ერთი და იმავე წყაროდან მომდინარეობს, სახელდობრ კი, ვაშინგტონიდან, კოლუმბიის ოლქიდან. სწორედ, აქ უნდა მიმდინარეობდეს ხელისუფლების სფეროში პოლიტიკური თამაშები, თანაც, ამერიკის გლობალურ ჰეგემონიაში დემოკრატიული პროცესის ცენტრალურ მდგომარეობას ამერიკის შინაპოლიტიკურ გარიგებებში თავად საზღვარგარეთის ქვეყნების მონაწილეობის ხარისხი განსაზღვრავს. საზღვარგარეთის ქვეყნების მთავრობები, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მიისწრაფვიან თანამშრომლობისაკენ, მიიმხრონ ის ამერიკელები, რომლებთანაც მათ საერთო ეთნიკური, ანდა რელიგიური ფესვები აქვთ. უცხოეთის მთავრობის უმრავლესობა, ასევე ქირაობს ამერიკელ ლობისტებს, რათა მათ, განსაკუთრებით კი კონგრესში, უპირატესობა მიანიჭონ მათ საკითხებს, თანაც, ამას ემატება ამერიკის დედაქალაქში მყოფი დაახლოებით ათასამდე უცხოეთის „ინტერესების ჯგუფები“, რომლებიც რეგისტრირებული და მოქმედნი არიან. ამერიკის ეთნიკური სათემოები, ასევე ისწრაფვიან, გავლენა მოახდინონ ამერიკის საგარეო პოლიტიკაზე, თანაც, ყველაზე ეფექტურად ორგანიზებულებად გვევლინებიან ებრაული, ბერძნული და სომხური ლობები.

ამრიგად, ამერიკულმა უპირატესობამ შვა ახალი საერთაშორისო წესრიგი, რომელთაგანაც არა მარტო ასლს იღებენ, არამედ საზღვარგარეთ აღადგენს ამერიკული სისტემის მრავალ წესს. მისი ძირითადი მომენტები მოიცავს:

• უსაფრთხოების კოლექტიურ სისტემას, მათ შორის, გაერთიანებულ მთავარსარდლობასა და შეიარაღებულ ძალებს, მაგალითად, ნატოს, უსაფრთხოების შესახებ ამერიკა-იაპონიის ხელშეკრულებას და ა. შ.

• რეგიონალურ ეკონომიკურ თანამშრომლობას, მაგალითად, APEC, NAFTA (ჩრდილოეთ ამერიკის შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ) და თანამშრომლობის სპეციალიზებულ გლობალურ ორგანიზაციებს, მაგალითად, მსოფლიო ბანკს, MPF, BTO-ს (შრომის მსოფლიო ორგანიზაციას).

• პროცესებს, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ერთობლივად მიღებულ გადაწყვეტილებებს, თვით შეერთებული შტატების დომინირების შემთხვევაშიც კი.

• საკვანძო კავშირებში დემოკრატიული გაწევრიანებისთვის უპირატესობის მიცემას.

• რუდიმენტულ გლობალურ კონსტიტუციურ და დემოკრატიულ სტრუქტურას (საერთაშორისო სასამართლოდან დაწყებული ბოსნიაში სამხედრო დანაშაულობათა განმხილველ სპეციალურ ტრიბუნალამდე).

ამ სისტემის დიდი ნაწილი წარმოიქმნა ცივი ომის პერიოდში, როგორც შეერთებული შტატების ძალისხმევის ნაწილი, რომე-

ლიც მიმართული იყო თავისი გლობალური მეტოქის, საბჭოთა კავშირის შესაკავებლად. ამრიგად, ის უკვე მზად იყო გამოყენებისათვის, როდესაც ეს გლობალური მეტოქე შეკრთა და ამერიკა იქცა პირველ და უკანასკნელ გლობალურ სახელმწიფოდ. მისი არსი კარგად გადმოსცა პოლიტოლოგმა ჯ. ჯონ აიკენბერმა:

> „სისტემა ჰეგემონიური იყო იმ თვალსაზრისით, რომ კონცენტრირებული იყო შეერთებული შტატების ირგვლივ და ირეკლავდა ამერიკული ნიმუშის პოლიტიკურ მექანიზმებსა და ორგანიზებულ პრინციპებს. ეს იყო ლიბერალური წესი იმაში, რომ ის კანონიერი იყო და ხასიათდებოდა ორმხრივი ურთიერთმოქმედებით. ევროპელებმა (შეიძლება დავუმატოთ იაპონელებმაც) შეძლეს გადაწყობა და თავისი საზოგადოებისა და ეკონომიკის ისეთი გაერთიანება, რომ ისინი შეესაბამებოდნენ ამერიკულ ჰეგემონიას, მაგრამ იმავდროულად, დაიტოვეს ადგილი თავისი საკუთარი ავტონომიური და ნახევრად დამოუკიდებელი პოლიტიკური სისტემების ექსპერიმენტისათვის. ეს კომპლექსური სისტემის ევოლუცია ემსახურებოდა მოწინავე დასავლეთ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების „საოჯახო პირობების შექმნას“. დროდადრო ამ სახელმწიფოებს შორის იქმნებოდა დაძაბული კონფლიქტები, მაგრამ არსი იმაში იყო, რომ კონფლიქტი ექცეოდა მყარი, სტაბილური და სულ უფრო მჭევრმეტყველური პოლიტიკური წესრიგის ჩარჩოებში... ომის მუქარა უკვე აღარ არსებობდა“.[4]

---

4 John Ikenberry Creating Liberal Order: The Origins and Persistence of the Postwar Western Settlememt – Philadellphia. University of Pensilvania – 1995

თანამედროვე დროში უპრეცედენტო ამერიკულ გლობალურ ჰეგემონიას არ ჰყავს მეტოქეები. მაგრამ დარჩება კი ის ასეთად ახლო მომავალში?

თავი II

ევრაზიული საჭადრაკო დაფა

ამერიკისათვის ძირითადი გეოპოლიტიკური ჯილდო ევრაზიაა. ნახევარი ათასწლოვანი ხანის განმავლობაში, მსოფლიოს საქმეებში უპირატესი გავლენა ჰქონდათ ევროპულ სახელმწიფოებსა და ხალხებს, რომლებიც ერთმანეთს ებრძოდნენ რეგიონალური ბატონობისათვის და აპირებდნენ გლობალური ძალაუფლების ხელში ჩაგდებას. დღეს ევრაზიაში გაბატონებულ როლს თამაშობს არაევრაზიული სახელმწიფო და ამერიკის გლობალური პირველობა უშუალოდ დამოკიდებულია იმაზე, რამდენად დიდხანს და ეფექტურად იქნება შენარჩუნებული მისი უპირატესობა ევრაზიის კონტინენტზე.

როგორც ჩანს, ეს პირობა დროებითია. მაგრამ მის ხანგრძლივობასა და ვითარებას, რაც მას მოჰყვება, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მარტო ამერიკის კეთილდღეობის, არამედ, საერთო ჯამში, მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში. პირველი და ერთადერთი გლობალური „დერჟავის “უეცარმა აღმოცენებამ შექმნა ვითარება, რომლის დროსაც – ამერიკის ამ სამყაროდან გაქრობით ან წარმატებული მეტოქის უეცარი გამოჩენით – თანაბარწილად შექმნიდა საერთო საზოგადოებრივ არასტაბილურობას. სინამდვილეში ეს გამოიწვევდა გლობალურ ანარქიას, სწორია ჰარვარდის უნივერსიტეტის პოლიტოლოგი სამუელ ჰანტინგტონი გაბედულ მტკიცებაში, რომ:

> „მსოფლიოში, სადაც არ იქნება შეერთებული შტატების ხელმძღვანელი ძალა, იქნება მეტი ძალმომრეობა და

> უწესრიგობა, ნაკლები დემოკრატია და ეკონომიკური ზრდა, ვიდრე მსოფლიოს იმ ნაწილში, სადაც შეერთებული შტატები აგრძელებს სულ უფრო მეტი ზეგავლენის მოხდენას გლობალურ საკითხებზე, ვიდრე ნებისმიერი სხვა ქვეყანა. შეერთებული შტატების მუდმივი საერთაშორისო წინამძღოლობა ყველაზე მნიშვნელოვანია ამერიკელების კეთილდღეობისა და მომავალი ხელისუფლების, დემოკრატიის, ღია ეკონომი კისა და საერთაშორისო წესრიგისათვის დედამიწაზე".[5]

ამასთან დაკავშირებით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ „მართავს“ ამერიკა ევრაზიას. ევრაზია უდიდესი კონტინენტია დედამიწის ზურგზე და გეოპოლიტიკური თვალსაზრისით საღერძო მდგომარეობას იკავებს. სახელმწიფო, რომელიც ბატონობს ევრაზიაში, კონტროლს გაუწევდა სამიდან ორ ყველაზე განვითარებულ და ეკონომიკურად პროდუქტიულ მსოფლიო რეგიონს. რუკის თვალის ერთი შევლება საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ევრაზიაზე კონტროლი თითქმის ავტომატურად გამოიწვევს აფრიკის დამორჩილებას, გარდაქმნიდა რა დასავლეთ ნახევარსფეროს და ოკეანიას მსოფლიოს ცენტრალური კონტინენტის გეოპოლიტიკურ პერიფერიად (იხ. რუკა VIII). მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 75% ცხოვრობს ევრაზიაში, მსოფლიოს ფიზიკური სიმდიდრის დიდი ნაწილი, ასევე, განლაგებულია როგორც წარმოებებში, ისე მიწის ქვეშ. ევრაზიაზე მოდის მსოფლიოს სამრეწველო პროდუქციის ხვედრითი წილის 60% და სოფლის ენერგეტიკული მარაგების დაახლოებით სამი მეოთხედი ნაწილი (იხ. ტაბულები გვ. 58-59).

---

5 Samuel P. Hantington. Who International Primacy Matters International Security. Spring 1993. p. 83.



რუკა VIII

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით მსოფლიოს ცენტრალური კონტინენტი და მისი სასიცოცხლოდ მხიბვნელოვანი პერიფერიები

განსხვავებით ტრადიციული გამოხატულებისგან, რუკა გადატრიალებულია მეტი თვალსაჩინოების მიზნით

კონტინენტების ფართობი (მლნ. კვ. მტ-ბში)



კონტინენტების მოსახლეობა (მლნ. კაცი)



კონტინენტები პინ (ბილიარდ დოლარში)





რუკა IX

ევრაზიული საქადრაკო დაფა

ევრაზიაში, ასევე, იმყოფებიან მსოფლიოში ყველაზე პოლიტიკურად აქტიური და დინამიკური სახელმწიფოები. შეერთებული შტატების მომდევნო ექვსი ეკონომიკა და ექვსი ქვეყანა, რომელთაც ყველაზე დიდი დანახარჯები აქვთ შეიარაღებაში, იმყოფებიან ევრაზიაში. ყველა, ერთის გარდა, ლეგალური ბირთვული სახელმწიფოა და ყველა, ერთის გარდა, არალეგალური, იმყოფება ევრაზიაში. რეგიონული ჰეგემონიისა და გლობალური გავლენის ორი პრეტენდენტი, რომელთაც ყველაზე დიდი რაოდენობის მოსახლეობა ჰყავთ, იმყოფებიან ევრაზიაში. პოტენციური პოლიტიკური, ანდა ამერიკელთა ეკონომიკური უპირატესობის მიმართ ყველა გამოწვევა ევრაზიიდან მომდინარეობს. ერთობლიობაში ევრაზიის ძლიერება გაცილებით აჭარბებს ამერიკულს. ამერიკის საბედნიეროდ, ევრაზია გაცილებით დიდია, რათა პოლიტიკური თვალსაზრისით ერთიანი იყოს (იხ. რუკა IX).

ამრიგად, ევრაზია წარმოადგენს საჭადრაკო დაფას, რომელზედაც გრძელდება ბრძოლა გლობალური ბატონობისათვის. მართალია, გეოსტრატეგია – გეოპოლიტიკური ინტერესებით სტრატეგიული მართვა, შეიძლება შევადაროთ ჭადრაკს, ევრაზიულ საჭადრაკო დაფას, რომელსაც ოდნავ ოვალური ფორმა აქვს და, რომელზედაც თამაშობს არა ორი, არამედ რამდენიმე მოთამაშე, რომელთაგან თითოეულს სხვადასხვა დონის ძალაუფლება გააჩნია. წამყვანი მოთამაშენი არიან საჭადრაკო დაფის დასავლეთ, აღმოსავლეთ, ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილებში. საჭადრაკო დაფის როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ნაწილში არიან მჭიდროდ დასახლებული რეგიონები, რომლებიც შეიქმნა რამდენიმე, შედარებით მძლავრი სახელმწიფოს ჭარბდასახლებულ სივრცეში.

რაც შეეხება ევრაზიის დასავლეთ პერიფერიას, ამერიკელთა ძალები უშუალოდ მასზეა განლაგებული. შორეული აღმოსავლეთის მატერიკა, რომელიც სულ უფრო მძლავრი და დამოუკიდებელი მოთამაშის ადგილსამყოფელი ხდება, აკონტროლებს უზარმაზარ მოსახლეობას, მიუხედავად იმისა, რომ მისი აქტიური მეტოქენი – რამდენიმე ახლომდებარე კუნძულსა და შორეული აღმოსავლეთის ნახევარკუნძულის ნახევარზე არიან გამომწყვდეულნი, ისინი გზას უხსნიან აქ ამერიკული ბატონობის შეჭრას.

დასავლეთ და აღმოსავლეთ კიდეებს შორის მდებარე სივრცეს მოსახლეობის ნაკლები სიმჭიდროვე ახასიათებს. ამჟამად ის წარმოადგენს პოლიტიკურად არამდგრად, ორგანიზაციულად დანაწევრებულ, ვრცელ, საშუალო სივრცეს, რომელიც უწინ ეკავა ამერიკელთა უპირატესობის იმ მძლავრ მეტოქეს, ოდესღაც ევრაზიიდან ამერიკის გაძევებას რომ ისახავდა მიზნად.

ამ უზარმაზარი, უცნაური მოხაზულობის ევრაზიულ საჭადრაკო დაფაზე, რომელიც გადაშლილია ლისაბონიდან ვლადივოსტოკამდე, „თამაშისათვის“ განლაგებულია ფიგურები. თუ მისი საშუალო ნაწილი შეიძლება ჩავრთოთ დასავლეთის (სადაც დომინირებს ამერიკა) სულ უფრო გაფართოებად ორბიტაში, სამხრეთ რეგიონში, სანამ არ აღდგება ერთი მოთამაშის უპირატესობა და, თუ აღმოსავლეთი არ გაერთიანდება იმგვარად, რომ ამერიკა აიძულოს, მიატოვოს თავისი ზღვისიქითა ბაზები, მაშინ, შეიძლება ვთქვათ, რომ ამერიკა გაიმარჯვებს მათზე. მაგრამ თუ საშუალო ნაწილი წინააღმდეგობას გაუწევს დასავლეთს, გახდება აქტიური ერთიანი მთელი და, ან კონტროლს დააწესებს სამხრეთზე, ან არადა, შექმნის აღმოსავლეთის დიდი სახელმწიფოების კავშირს, მაშინ ევრაზიაში ამერიკელთა უპირატესობა მკვეთრად შემცირდება. იგივე მოხდება,

თუ აღმოსავლეთის ორი დიდი მოთამაშე რაღაცნაირად გაერთიანდება. დაბოლოს, თუკი დასავლეთის პარტნიორები ამერიკას გამოდევნიან თავისი მუდმივი სადგომიდან დასავლეთ პერიფერიაზე, ეს ავტომატურად მიგვანიშნებდა, რომ ამერიკას ევრაზიულ საჭადრაკო დაფაზე თამაშში მონაწილეობის დასასრული დაუდგა, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ეს, საბოლოო ჯამში, სავარაუდოდ, მიგვანიშნებდა დასავლეთის კიდის საშუალო ნაწილის მქონე მოსულიერებული მოთამაშისადმი დამორჩილებას.

ამერიკელთა გლობალური ჰეგემონიის მასშტაბები, საერთო აღიარების თანახმად, უზარმაზარია, მაგრამ არა სიღრმისეული, რომელიც ფერხდება როგორც საშინაო, ისე საგარეო შეზღუდვებით. ამერიკული ჰეგემონია გულისხმობს გადამწყვეტ გავლენას, მაგრამ წარსული იმპერიებისგან განსხვავებით, უშუალო მართვის განუხორციელებლად. სწორედ, ევრაზიის ზომები და მრავალფეროვნება, ასევე, ზოგიერთი მისი სახელმწიფოს ძლიერება, ზღუდავს ამერიკელთა გავლენის სიღრმესა და მოვლენების მსვლელობაზე კონტროლის მასშტაბებს. ეს მეგაკონტინენტი ერთობ დიდია, ერთობ მჭიდროდაა დასახლებული მრავალმხრივი, კულტურული თვალსაზრისით და მოიცავს ერთობ ბევრ ისტორიულად ამბიციურ და პოლიტიკურად ენერგიულ სახელმწიფოს, იმისათვის, რომ დამორჩილდნენ, ეკონომიკურად ყველაზე წარმატებულ, პოლიტიკური თვალსაზრისით, ყველაზე თვალსაჩინო მსოფლიო სახელმწიფოსაც კი. ეს განაპირობებს გეოსტრატეგიული ოსტატობის მნიშვნელობას, ამერიკული რესურსების გულმოდგინედ შერჩევას და უზარმაზარ საჭადრაკო დაფაზე კარგად მოფიქრებულ განლაგებას.

ფაქტია ისიც, რომ ამერიკა ერთობ დემოკრატიულია შინ იმისათვის, რომ დიქტატორი იყოს საზღვარგარეთ. ეს ზღუდავს ამერიკული ძლიერების, განსაკუთრებით კი, მისი სამხედრო

დაშინების გამოყენების შესაძლებლობას. უწინ პოპულისტურ დემოკრატიას ვერასდროს მიეღწია საერთაშორისო ბატონობისათვის. მაგრამ ძლიერებისაკენ სწრაფვა არ წარმოადგენს იმ მიზანს, რომელიც მიმართავს სახალხო ენთუზიაზმს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ჩნდება მოულოდნელი მუქარა, ან შინაგანი კეთილდღეობის საზოგადოებრივი აღქმის გამოწვევა. ეკონომიკურ სიკეთეზე უარის თქმა (ანუ სამხედრო ხარჯები) და ადამიანური თვითგანწირვა (მსხვერპლი თვით პროფესიულ სამხედრო მოსამსახურეთა რიგებში), რომლებიც აუცილებლობას წარმოადგენენ ბრძოლის მსვლელობისას, შეუთავსებელნი არიან დემოკრატიული ინსტიტუტებისათვის დემოკრატია მტრულადაა განწყობილი იმპერიული მობილიზაციისადმი.

უფრო მეტიც, ამერიკელთა უმრავლესობა ერთობლიობაში არავითარ განსაკუთრებულ დაკმაყოფილებას არ პოულობს მათი ქვეყნის, როგორც ერთადერთი ზესახელმწიფოს ახალი სტატუსისაგან. პოლიტიკურ „ტრიუმფალიზმს“, რომელიც დაკავშირებულია ამერიკის ცივ ომში გამარჯვებასთან, საერთოდ, გულგრილი მიღება ხვდა და გარკვეულწილად იქცა დაცინვის ობიექტად, უპირატესად, ყველაზე ლიბერალურად განწყობილ კომენტატორთა მხრიდან. მართლაცდა, ამერიკის ყოფილ საბჭოთა კავშირთან შეჯიბრში ისტორიულ გამარჯვებაზე ორი საკმაოდ განსხვავებული შეხედულება არსებობს, რომლებიც, პოლიტიკური თვალსაზრისით, შეიძლება ყველაზე მისაღები იყოს: ერთი მხრივ, არსებული მოსაზრებით, აშშ-ის რეპუტაციისათვის ცივი ომის დასასრულის მისაღებმა შედეგებმა, შეიძლება გამოიწვიოს ამერიკული აქტიურობის შემცირება, მეორე თვალსაზრისით კი, მრავალმხრივი მოღვაწეობისათვის დადგება ჭეშმარიტად ინტერნაციონალური დრო, როდესაც ამერიკა ვალდებული იქნება საკუთარი სუვერენიტეტის ნაწილიც კი დათმოს. ორივე იდეურ სკოლას თავისი მომხრეები ჰყავს.

ამერიკის ხელმძღვანელობის წინაშე არსებული დილემები რთულდება თავად მსოფლიო ვითარების ხასიათის ცვლილებებით: ძალის პირდაპირი გამოყენება ამჯერად ისე ადვილი აღარაა, როგორც უწინ. ბირთვულმა შეიარაღებებმა არსებითად შეამცირეს ომის, პოლიტიკისა და მუქარის ინსტრუმენტად გამოყენების სარგებლიანობა. სახელმწიფოთა მზარდი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება ნაკლებად წარმატებულს ხდის ეკონომიკური მონტაჟის პოლიტიკურ გამოყენებას. ამრიგად, მანევრირება, დიპლომატია, კოალიციათა შექმნა, კოოპტაცია და ძლიერ მოზომილი პოლიტიკური ფსონების გამოყენება, ძირითად, შემადგენელ ნაწილებად იქცნენ ევროპის საჭადრაკო დაფაზე გეოსტრატეგიული ძალაუფლების წარმატებით განხორციელებისათვის.

გეოპოლიტიკა და გეოსტრატეგია

ამერიკული გლობალური წინამძღოლობის გამოყენება დახვეწილად უნდა რეაგირებდეს იმ ფაქტზე, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში პოლიტიკური გეოგრაფია რჩება, როგორც პრინციპულად მნიშვნელოვანი მცნება. ამბობენ, ნაპოლეონმა, როგორღაც განაცხადა, რომ საკუთარი ქვეყნის გეოგრაფიის ცოდნა საკუთარი საგარეო პოლიტიკის ცოდნაა. თუმცა კი, პოლიტიკური გეოგრაფიის მნიშვნელობის ჩვენეული აღქმა აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს ხელისუფლების ახალ რეალიებს.

საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის დიდი ნაწილისათვის პოლიტიკური კონფლიქტების ფოკუსს წარმოადგენს ტერიტორიული კონტროლი. ნაციონალიზმის აღმოცენების მომენტიდან სისხლისმღვრელი ომების უმრავლესობის მიზეზი იყო ან თავისი ეროვნული მისწრაფებების დაკმაყოფილება, რომლებიც დიდი ტერიტორიების მიღებით იყო განპირობებული, ან თავისი „წმინდა“ მიწის დაკარგვის შიში; ზედმეტი არ იქნება ვთქვათ, რომ ტერიტორიული იმპერატივი იყო სახელმწიფოთა – ნაციების ქცევის ძირითადი იმპულსი. იმპერიებიც იქმნებოდა გულმოდგინედ მოფიქრებული დაპყრობის გზით და ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გეოგრაფიული მონაპოვრის, ჰიბრალტარის, სუეცის არხის ან სინგაპურის შენარჩუნებით, რომლებიც იმპერიული კონტროლის სისტემაში საკვანძო საფარების ან კლიტეების როლს ასრულებდა.

ნაციონალიზმსა და ტერიტორიულ მფლობელობას შორის კავშირის ყველაზე ექსტრემალური გამოვლინება დემონსტრირებულ იქნა ნაცისტური გერმანიისა და იმპერატორის იაპონიის

მიერ. „ათასწლოვანი რეისის“ შექმნის მცდელობა, როგორც ფოკუსში, თავს იყრიდა და დიდად სცილდებოდა გერმანულენოვანი ხალხების ერთი პოლიტიკური სახურავის ქვეშ გაერთიანების ამოცანას და სურვილში, კონტროლი გაეწია როგორც უკრაინის ბეღელზე, ისე სხვა სლავურ მიწებზე, რომელთა მოსახლეობაც ვალდებული იყო, მოემარაგებინა იმპერიული სამფლობელოები იაფფასიანი მონური შრომით. იაპონელებიც ასევე დასნეულებულნი იყვნენ აკვიატებული იდეით, რომლის თანახმად, მანჯურიის, მოგვიანებით კი, ჰოლანდიის ოსტ-ინდოეთის მნიშვნელოვანი ნავთობმომპოვებელი ტერიტორიების უშუალო მფლობელობა აუცილებელი პირობა იყო იაპონიის ეროვნული სიძლიერისა და გლობალური მისწრაფებების სტატუსის დასაკმაყოფილებლად. საუკუნეების მანძილზე ანალოგიურ კონტექსტში განიმარტებოდა თავად რუსეთის ნაციონალური სიდიადე, რომელიც გაიგივებული იყო ტერიტორიების მოპოვებასთან, თვით XX საუკუნის ბოლოსაც კი რუსეთი დაბეჯითებით მოითხოვდა ისეთ არარუს ხალხზე კონტროლის შენარჩუნებას, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნავთობის ხაზის გარშემო ცხოვრობდნენ და ამას ხსნიდა რუსეთის, დიდი „დერჟავის“ სტატუსისათვის პრინციპული მნიშვნელობით.

სახლმწიფოები – ნაციები აგრძელებენ მსოფლიო სისტემის ძირითად რგოლებად დარჩენას. მართალია, დიდმპყრობელური ნაციონალიზმის დაცემამ და იდეოლოგიური კომპონენტების ჩანაცვლებამ დააქვეითა გლობალური პოლიტიკის ემოციური შინაარსი, იმავდროულად კი, ბირთვულმა იარაღმა სერიოზული შემაკავებელი მომენტები ჩართო ძალის გამოყენების გეგმაში, კონკურენცია, რომელიც დაფუძნებულია ტერიტორიების ფლობაზე, ჯერ კიდევ დომინირებს საერთაშორისო ურთიერთობებში იმ შემთხვევაშიც კი, თუ მის ფორმებს თანამედროვე დროს გააჩნიათ ტენდენციები, უფრო ცივილური სახე მიიღონ.

ამ კონკურენციაში გეოგრაფიული მდგომარეობა ჯერ კიდევ საწყისი წერტილია სახელმწიფო – ნაციების საგარეო ურთიერთობის პრიორიტეტების განსაზღვრისათვის, ეროვნული ტერიტორიების ზომები კი უწინდებურად ინარჩუნებენ სტატუსისა და ძალის უმაღლესი კრიტერიუმის მნიშვნელობას.

მიუხედავად ამისა, სახელმწიფო – ნაციების უმრავლესობისათვის ტერიტორიული მფლობელობის საკითხმა მოგვიანებით თანდათან იწყო თავისი მნიშვნელობის დაკარგვა. განზომილება, რომელშიაც ტერიტორიული დავები ზოგიერთი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ფორმირების მნიშვნელოვან მომენტებად რჩებოდა, წარმოადგენდა არა ტერიტორიების გაფართოების გზით ეროვნული სტატუსის გაძლიერებისკენ სწრაფვას, არამედ იმ ეთნიკურ თანამოძმეთა თვითგამორკვევაზე უარის თქმით გამოწვეულ წყენის საკითხს, რომლითაც, მათი თქმით, უფლება ჰქონდათ წართმეული შეერთებოდნენ „დედა-სამშობლოს“ ანდა, უკმაყოფილების პრობლემად რჩებოდა მეზობლის მიერ ე. წ. უდიერი დამოკიდებულება ეთნიკური უმცირესობებისადმი.

მმართველი ეროვნული ელიტები სულ უფრო მიდიან იმის აღიარებამდე, რომ არა ტერიტორიული, არამედ სხვა ფაქტორები წარმოადგენენ უფრო პრინციპულს სახელმწიფოს ეროვნული სტატუსის, ან სახელმწიფოს საერთაშორისო გავლენის დონის განსაზღვრაში. ეკონომიკური გამბედაობა და მის ტექნოლოგიურ ინოვაციებში ხორცის შესხმა ასევე, შეიძლება იქცეს ძალის საკვანძო კრიტერიუმად. ამის უპირველესი ნიმუშია იაპონია. და მაინც, ჯერ კიდევ არსებობს ტენდენცია, რომლის მიხედვითაც, გეოგრაფიული მდგომარეობა განსაზღვრავს სახელმწიფოს უშუალო პრიორიტეტებს: რაც უფრო მეტია მისი სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური სიძლიერე, მით უფრო მეტია უშუალო მეზობლების გაუთვალისწინებლად ამ სა-

ხელმწიფოს სასიცოცხლო გეოპოლიტიკური ინტერესების გავლენისა და მიზიდულობის რადიუსი.

ახლო წარსულამდე გეოპოლიტიკური დარგის წამყვანი ანალიტიკოსები კამათობდნენ იმაზე, აქვს თუ არა ძალაუფლებას ხმელეთზე უფრო მეტი მნიშვნელობა, ვიდრე ზღვაზე ძლიერებას და კონკრეტულად ევრაზიის რომელი რეგიონია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მთელ კონტინენტზე კონტროლის დაწესების თვალსაზრისით. ჰაროლდ მაკ კინდერი, ამ საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო გეოპოლიტიკოსი, იმ დისკუსიის ინიციატორად იქცა, რომლის შემდეგაც გაჩნდა მისი ევრაზიის „საყრდენი ტერიტორიის“ კონცეფცია (რომელსაც, როგორც ამტკიცებდა, უნდა მოეცვა მთელი ციმბირი და შუა აზიის დიდი ნაწილი), მოგვიანებით კი – კონცეფცია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის „შუაგულის“, როგორც კონტინენტზე დომინირების მოპოვებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პლაცდარმის შესახებ. ის პოპულარობას უწევდა თავის „დედამიწის შუაგულის“ კონცეფციას ცნობილი აფორიზმით:

> „ის, ვინც მართავს აღმოსავლეთ ევროპას, ფლობს დედამიწის შუაგულს.
>
> ის, ვინც მართავს დედამიწის შუაგულს, ფლობს მსოფლიო კუნძულს“ (ევრაზიას).
>
> „ის, ვინც მართავს მსოფლიო კუნძულს, ფლობს მსოფლიოს“.

ზოგიერთმა წამყვანმა გერმანელმა პოლიტიკურმა გეოგრაფმა გეოპოლიტიკას მიმართა, რათა დაეფუძნებინა თავისი ქვეყნის „აღმოსავლეთისკენ სწრაფვის“ („Drang nach Osten“), კერძოდ კი, კარლ ჰაუსჰოფერის მიერ მაკ კინდერის კონცეფციების

ადაპტაცია გერმანელთა სტრატეგიული მოთხოვნილებების განსახორციელებლად. ამ კონცეფციის უფრო ვულგარიზებული გამოძახილი შეიძლება განჭვრიტოთ ადოლფ ჰიტლერის მიერ გერმანელი ხალხის – „Lebensraum“ -ში „სასიცოცხლო სივრცის“ მოთხოვნილების ხაზგასმაში. ამ საუკუნის პირველ ნახევარში ზოგიერთმა ევროპელმა მოაზროვნემ გაითვალისწინა აღმოსავლეთის მიმართულებით გეოპოლიტიკური ბალანსის გადანაცვლება, თანაც, წყნარი ოკეანის რეგიონი, კერძოდ კი, ამერიკა და იაპონია უნდა ქცეულიყვნენ დაცემის პერიოდში მყოფი ევროპის მემკვიდრეებად იმისათვის, რათა თავიდან აეცილებინათ ასეთი გადაადგილება, ფრანგი პოლიტიკური გეოგრაფი პოლ დემანჟონი, ისევე როგორც დანარჩენი ფრანგი გეოპოლიტიკოსები, ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე, გამოდიოდნენ ევროპის სახელმწიფოების უფრო მჭიდრო გაერთიანების მომხრეებად.

დღეს გეოპოლიტიკური საკითხი უკვე აღარაა გათანაბრებული იმასთან, თუ ევრაზიის რომელი ნაწილია კონტინენტზე ბატონობის დამყარებისათვის ამოსავალი წერტილი, ანდა იმასთან, თუ რაა მნიშვნელოვანი: ძალაუფლება ხმელეთზე თუ ზღვაზე. გეოპოლიტიკამ წინ წაიწია რეგიონალურიდან გლობალურ აზროვნებამდე, თანაც, მთელ ევრაზიის კონტინენტზე უპირატესობა გამოიყენება ცენტრალურ საყრდენად გლობალური წინამძღოლობისათვის. ამჟამად შეერთებული შტატები, არაევროპული სახელმწიფო, ხელმძღვანელობს საერთაშორისო მასშტაბით, თანაც მისი ძალაუფლება უშუალოდ ვრცელდება ევრაზიის კონტინენტის სამ პერიფერიულ რეგიონზე, რომელთა პოზიციებიდან ახორციელებს კიდეც თავის მძლავრ ზეგავლენას იმ სახელმწიფოებზე, რომლებსაც მისი ცენტრალური რაიონები უკავიათ. მაგრამ სწორედ დედამიწის სფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი სამხედრო მოქმედებების თეატრზე – ევრაზიაში

– გარკვეულ მომენტში, შეიძლება იშვას ამერიკის პოტენციური მეტოქე. ამრიგად, ყურადღების კონცენტრაცია ძირითადად მოქმედ პირებზე და მოქმედების თეატრის სწორი შეფასება გარდაუვალად უნდა იქცეს შეერთებული შტატების გეოსტრატეგიის ფორმულირებისათვის ამოსავალ წერტილად, ევრაზიაში ამერიკის შეერთებული შტატების გეოპოლიტიკური ინტერესების პერსპექტიული ხელმძღვანელობის ასპექტში. . ამიტომაც, საჭიროა ორი ძირითადი რამ:

- პირველი: უნდა გამოვლინდეს, გეოსტრატეგიული თვალსაზრისით, დინამიკური ევრაზიული სახელმწიფოები, რომლებიც ფლობენ ძალას, უნარი შესწევთ, მოახდინონ პოტენციურად მნიშვნელოვანი გადაადგილება საერთაშორისო ძალთა გადანაწილებაში და ამოიცნონ მათი პოლიტიკური ელიტების ცენტრალური საგარეო-პოლიტიკური მიზნები, ასევე მათი მისწრაფებების შესაძლებელი შედეგები დასახული მიზნების რეალიზაციის მიღწევის საქმეში; ზუსტად მიანიშნონ პრინციპულად მნიშვნელოვანი, გეოგრაფიული თვალსაზრისით, ევრაზიული სახელმწიფოები, რომელთა განლაგებას (ან არსებობას) გააჩნია კატალიზატორის ეფექტი, ან უფრო აქტიური გეოსტრატეგიული მოქმედი პირებისათვის, ანდა რეგიონში სათანადო პირობების ფორმირებისათვის;

- მეორე: ფორმირებულ უნდა იქნეს აშშ-ს კონკრეტული პოლიტიკა იმისათვის, რომ კომპენსაცია გაეწიოს, ჩაერთოს ან კონტროლი დაუწესდეს ზემოთ ნათქვამს აშშ-ს სასიცოცხლო ინტერესების შენარჩუნებისა და წინსვლის მიზნებისთვის, ასევე, უნდა შემუშავდეს უფრო ყოვლისმომცველი გეოსტრატეგიული კონცეფცია, რომელიც გლობალურ მასშტაბებში დაამყა-

რებდა აშშ-ის კონკრეტულ პოლიტიკურ კურსებს შორის ურთიერთკავშირს.

მოკლედ რომ ვთქვათ, შეერთებული შტატებისათვის ევრაზიის გეოსტრატეგია გეოგრაფიული თვალსაზრისით, მოიცავს დინამიკური სახელმწიფოების მიზანდასახულ ხელმძღვანელობას და გეოპოლიტიკური არსით ფრთხილ მიდგომას კატალიზატორული სახელმწიფოებისადმი ამერიკის ორი ტოლფასოვანი ინტერესის დაცვით: უახლოეს პერსპექტივაში – შეინარჩუნოს თავისი განსაკუთრებული გლობალური ძალაუფლება, შორეულ პერსპექტივაში კი – მოახდინოს მისი ტრანსფორმაცია სულ უფრო ინსტიტუციონალურ გლობალურ თანამშრომლობაში. ვიყენებთ რა უძველესი იმპერიების შედარებით მკაცრი პერიოდების ტერმინოლოგიას, იმპერიული გეოსტრატეგიის სამი უდიდესი მოვალეობა იყო ვასალებს შორის შეთანხმების თავიდან აცილებას და მათ საერთო უსაფრთხოება, ხელქვეითთა მორჩილების შენარჩუნება და მათი დაცვის უზრუნველყოფა და ბარბაროსთა გაერთიანების აღკვეთა.

გეოსტრატეგიულად მოქმედი პირები და გეოპოლიტიკური ცენტრები

გეოსტრატეგიულად აქტიური მოქმედი პირებია სახელმწიფოები, რომლებსაც აქვთ უნარი და ეროვნული ნება, განახორციელონ ხელისუფლება, ან გავლენა მოახდინონ საკუთარ საზღვრებს გარეთ იმისათვის, რომ შეცვალონ არსებული გეოპოლიტიკური მდგომარეობა იმ დონემდე, რომელიც ამერიკის ინტერესებზე აისახება. მათ აქვთ პოტენციალი (ან მიდრეკილება) გეოპოლიტიკური მერყეობის თვალსაზრისითაც. რა მიზეზითაც არ უნდა იყოს გამოწვეული – ეროვნული განდიდებისკენ სწრაფვით, იდეოლოგიური რეალიზაციით, რელიგიური მესიანიზმით, ან ეკონომიკური აღზევებით – ზოგიერთი სახელმწიფო მართლაც მიისწრაფვის, ხელთ იგდოს რეგიონული ბატონობა ანდა პოზიციები მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მათ ამოქმედებთ ღრმად ფესვგადგმული რთული მოტივაციები, რომლებიც ყველაზე უკეთ აიხსნება რობერტ ბრაუნინგის ფრაზით: „ ... ადამიანის შესაძლებლობა რამეს მიაღწიოს, უნდა აღემატებოდეს მის შესაძლებლობას, ეს რაიმე რომ ხელთ იგდოს, წინააღმდეგ შემთხვევაში რიღასთვისღა არსებობს ზეცა?“ ამრიგად, ისინი დიდი გულმოდგინებით კრიტიკულად აფასებენ ამერიკის სიძლიერეს, ავლებენ ზღვარს, რომელთა ჩარჩოებში მათი ინტერესები ემთხვევა, ან მათ გარეშე, წინააღმდეგობაშია ამერიკელებთან და, ამის შემდეგ აყალიბებენ თავის საკუთარ, გაცილებით შეზღუდულ ევრაზიულ ამოცანებს, რომლებიც ზოგჯერ შემთანხმებლურია, ზოგჯერ კი წინააღმდეგობრივი ამერიკულ პოლიტიკასთან. შეერთებულმა შტატებმა აუცილებლად ყურად-

ღება უნდა მიაქციოს ასეთი მოტივებით ამოქმედებულ ევროპულ სახელმწიფოებს.

გეოპოლიტიკური ცენტრები – ეს ის სახელმწიფოებია, რომელთა მნიშვნელობა გამომდინარეობს არა მათი ძალისა და მოტივაციისგან, არამედ მნიშვნელოვანი ადგილმდებარეობითა და გეოსტრატეგიულად მოქმედი პირების მხრიდან მოქმედებისათვის მათი პოტენციური მოწყვლადობის შედეგებისგან. უმეტესწილად, გეოპოლიტიკური ცენტრები განხორციელებულია თავიანთი გეოგრაფიული მდგომარეობით, რაც მთელ რიგ შემთხვევაში, მათ ანიჭებს განსაკუთრებულ როლს, ან მნიშვნელოვან რაიონებში შეღწევის კონტროლის დაწესებაში, ან გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან მოქმედ პირთა მიერ რესურსების მიღებაზე უარის მიღების შესაძლებლობაში. სხვა შემთხვევაში, გეოპოლიტიკურმა ცენტრმა იმ სახელმწიფოს, ან რეგიონისათვის მაინც შეიძლება ითამაშოს ფარის როლი, რომელსაც სასიცოცხლოდ აუცილებელი მნიშვნელობა ექნება გეოპოლიტიკურ არენაზე. ზოგჯერ თავად გეოპოლიტიკური ცენტრის არსებობას, შეიძლება ითქვას, აქვს ძლიერ სერიოზული პოლიტიკური და კულტურული შედეგები უფრო აქტიურ მეზობელ გეოსტრატეგიულად მოქმედი პირებისათვის. ამრიგად, ცივი ომის შემდგომი პერიოდის ევრაზიული საკვანძო გეოპოლიტიკური ცენტრების იდენტიფიკაცია, ასევე მათი დაცვა, წარმოადგენს ამერიკის გლობალური გეოსტრატეგიის პოტენციურ ასპექტს.

ასევე, აუცილებელია თავიდანვე ითქვას, რომ, მართალია, გეოსტრატეგიულად მოქმედი პირი უმრავლეს შემთხვევაში წარმოადგენს მნიშვნელოვან და უძლიერეს ქვეყანას, მაგრამ მათგან ყველა ავტომატურად არ ხდება გეოსტრატეგიულად მოქმედი. ასე რომ, მაშინ, როცა გეოსტრატეგიულად მოქმედ პირთა იდენტიფიკაცია შედარებით ადვილია, ზოგიერთი თავისთავად

მნიშვნელოვანი ქვეყნის ასეთ ნუსხაში არყოფნა განმარტების აუცილებლობას მოითხოვს.

მიმდინარე პირობებში, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ყოველ შემთხვევაში შეიძლება იდენტიფიცირებულ იქნეს, ხუთი საკვანძო გეოსტრატეგიულად მოქმედი პირი და ხუთი გეოპოლიტიკური ცენტრი (თანაც ორი უკანასკნელი, სავარაუდოა, ასევე ნაწილობრივ კვალიფიცირებულ უნდა იქნეს, როგორც მოქმედი პირი). საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი, ჩინეთი და ინდოეთი დიდი და აქტიური ფიგურებია, მაშინ როცა დიდი ბრიტანეთი, იაპონია და ინდონეზია (საერთო აღიარებით ძალიან მნიშვნელოვანი ქვეყნები) არ ექცევიან ამ კვალიფიკაციაში. უკრაინა, აზერბაიჯანი, სამხრეთ კორეა, თურქეთი და ირანი თამაშობენ პრინციპულად მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ცენტრის როლს, თუმცა, თურქეთიც და ირანიც წარმოადგენენ, რამდენადმე, უფრო ლიმიტირებული შესაძლებლობების ფარგლებში, ასევე გეოსტრატეგიულად აქტიურ ქვეყნებს. თითოეულ მათგანზე უფრო დაწვრილებით მოგითხრობთ მომდევნო თავებში.

მოცემულ სტადიაზე საკმარისია ითქვას, რომ ევრაზიის დასავლეთ კიდეზე საკვანძო და დინამიკურ გეოსტრატეგიულად მოქმედ პირებად ჩანან საფრანგეთი და გერმანია. ორივეს მოტივაციას წარმოადგენს ევროპის გაერთიანებული სახე, თუმცა კი, ისინი განსხვავდებიან თავიანთ შეხედულებებში იმასთან მიმართებაში, თუ რამდენად და რანაირად უნდა დარჩეს ასეთი ევროპა ამერიკასთან დაკავშირებული. მაგრამ ორივეს სურს ევროპაში შექმნას რაღაც ამბიციურად ახალი და ამგვარად, შეცვალოს სტატუს-კვო. კერძოდ, საფრანგეთს აქვს ევროპის ისეთი საკუთარი გეოსტრატეგიული კონცეფცია, რომელიც ზოგიერთ არსებით მომენტში განსხვავდება შეერთებული შტატების კონცეფციებისაგან და ამჟღავნებს მიდრეკილებას, მონაწილეო-

ბა მიიღოს ისეთ ტაქტიკურ მანევრებში, რომლებიც მიმართულია იმისკენ, რომ აიძულოს რუსეთი, თავი გაიმუღავნოს არახელსაყრელი მდგომარეობით ამერიკის, დიდი ბრიტანეთისა და გერმანიის წინაშე, თანაც ვარაუდობს ფრანკო-გერმანულ ალიანსს, რათა თავისი შედარებითი სისუსტის კომპენსაცია მოახდინოს.

უფრო მეტიც, საფრანგეთიცა და გერმანიაც საკმაოდ ძლიერები და თავისი ნების გამტარებლები არიან იმისათვის, რომ ზეგავლენა მოახდინონ მოქმედების უფრო ფართო რადიუსის მასშტაბებში. საფრანგეთი არა მარტო მიისწრაფვის ცენტრალური პოლიტიკური როლისადმი გაერთიანებულ ევროპაში, არამედ თავის თავს ხმელთაშუა ზღვის – ჩრდილოაფრიკული ჯგუფის, ერთიანი ინტერესების მქონე ქვეყნების ბირთვად მიიჩნევს. გერმანია, როგორც ევროპის ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფო, სულ უფრო და უფრო აცნობიერებს რეგიონის ეკონომიკურად „გამწევი ძალის“ და ევროპული კავშირის (ეკა ფორმირებადი ლიდერის განსაკუთრებულ სტატუსს. გერმანია გრძნობს, რომ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას კისრულობს ახლად ემანსიპირებულ ცენტრალურ ევროპაზე, რაც რამდენადმე ბუნდოვნად გვახსენებს წარსულ წარმოდგენებს გერმანიის მიერ ცენტრალური ევროპის მეთაურობის შესახებ. ამას გარდა, საფრანგეთიცა და გერმანიაც, მიიჩნევენ, რომ მათ დაკისრებული აქვთ ვალდებულება, წარმომადგენლობდნენ ევროპის ინტერესებს რუსეთთან საქმეების წარმართვისას, გერმანია კი გეოგრაფიულ მდებარეობასთან დაკავშირებით, უკიდურეს შემთხვევაში, თეორიულად მაინც, მხარსაც კი უჭერს რუსეთთან ორმხრივი შეთანხმების დიდ კონცეფციას.

დიდი ბრიტანეთი, საბედნიეროდ, არ არის გეოსტრატეგიული ფიგურა. ის მხარს უჭერს მნიშვნელოვანი კონცეფციების მცირე რაოდენობას, თავს არ იქცევს მომავალი ევროპის ამბიციური

ჭვრეტით და მისმა შედარებითმა დაქვეითებამ, ასევე, შეამცირა მისი შესაძლებლობანი, ითამაშოს იმ ტრადიციული სახელმწიფოს როლი, რომელიც ევროპაში ძალთა ბალანსს ინარჩუნებდა. ევროპის გაერთიანების შესახებ საკითხის მიმართ გაორებამ, აგრეთვე ამერიკასთან განსაკუთრებული ურთიერთობისადმი მინავლებულმა ერთგულებამ, დიდი ბრიტანეთი აქცია უინტერესო სახელმწიფოდ ევროპის მომავლის არჩევის სერიოზული ვარიანტების საქმეში. ლონდონმა თავად გამოითიშა თავი ევროპული თამაშიდან.

ევროპული კომისიის ყოფილი მაღალჩინოსანი, ბრიტანელი მოღვაწე სერ როი დენმანი, მემუარებში იხსენებს, რომ «ჯერ კიდევ 1955 წელს მესინაში, კონფერენციაზე, სადაც წინასწარ განიხილებოდა საკითხი ევროპული კავშირის შექმნაზე, დიდი ბრიტანეთის ოფიციალურმა წარმომადგენელმა კატეგორიულად განუცხადა აქ შეკრებილ ევროპის არქიტექტორებს:

„მომავალ ხელისუფლებას, რომელსაც თქვენ განიხილავთ, არ გააჩნია შანსი დაიმსახუროს საერთო მოწონება; თუ მასზე შეთანხმება მიღწეულ იქნება, მაშინ, მას არ ექნება შანსი რეალიზებისა, თუ ის რეალიზებული იქნება, მაშინ ის სრულიად მიუღებელი იქნება დიდი ბრიტანეთისთვის... ნახვამდის ბატონებო! გისურვებთ წარმატებას“.[6]

ორმოცი წლის შემდეგ, ზემოთ დასახელებული ფრაზა, მნიშვნელოვანწილად, ჭეშმარიტად რჩება გაერთიანებული ევროპის შექმნის მიმართ დიდი ბრიტანეთის მისდამი პრინციპული დამოკიდებულების განმსაზღვრელად. დიდი ბრიტანეთის უარი, მონაწილეობა მიიღოს ეკონომიკურ და მონეტარულ კავშირში, რომელიც გეგმის მიხედვით თავის ფუნქციონირებას 1999 წლის იანვრიდან დაიწყებს, ასახვას ამ ქვეყნის არაკეთილგანწყობას, მოახდინოს თავისი ბედის იდენტიფიცირება ევროპასთან. ამ

6 Roy Denman. Missed Chances. London, Cassel, 1996.

ურთიერთობის არსი ბრწყინვალედ იქნა შეჯამებული 90-იანი წლების დასაწყისში.

- დიდი ბრიტანეთი უარყოფს პოლიტიკური გაერთიანების მიზანს;
- დიდი ბრიტანეთი თავისუფალი ვაჭრობის საფუძველზე უპირატესობას ანიჭებს ეკონომიკური ინტეგრაციის მოდელს;
- დიდი ბრიტანეთი ევროპული კავშირის სტრუქტურული ჩარჩოების გარეთ, უპირატესობას ანიჭებს საგარეო პოლიტიკის კოორდინაციას, უსაფრთხოებასა და თავდაცვას;
- დიდი ბრიტანეთი იშვიათად იყენებს თავის ავტორიტეტს ეკში.[7]

დიდი ბრიტანეთი, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჯერ კიდევ ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას ამერიკისათვის. ის აგრძელებს განსაზღვრულ გლობალურ ზეგავლენას თანამედროვეობის საშუალებით, მაგრამ უკვე აღარ წარმოადგენს დაუოკებელ სახელმწიფოს, ისევე, როგორც, მისი მოქმედებები არ მოტივირდება ამბიციური ოცნებებით. ის არის ამერიკის ძირითადი, ძლიერ ლოიალური მოკავშირე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამხედრო ბაზა და უახლოესი პარტნიორი პრინციპულად მნიშვნელოვან სადაზვერვო მოქმედებაში. მისი მეგობრობა უნდა შემოწმდეს ხოლმე, თუმცა კი, მისი პოლიტიკური კურსი არ საჭიროებს გულმოდგინე თვალთვალს. ის მოსასვენებლად წასული გეოსტრატეგიული ფიგურაა, რომელიც განისვენებს დიდებული წარმატებების დაფნის გვირგვინით დამშვენებული, მნიშვნელოვანწილად განდგომილი იმ დიდი ევროპული ავანტიურებისაგან, რომლებშიაც მთავარ მოქმედ პირებად საფრანგეთი და გერმანია არიან.

7 Robert Skidelsky. Great Britanian and the New Europe//From the Atlantic to the Urals/Ed. David P. Calleo and Philip H. Gordon. Arlington, 1992, p. 145.

თავისი მასშტაბებით სხვა საშუალო ევროპის სახელმწიფოები, რომელთა უმრავლესობა ნატოს ან ევროპული კავშირის წევრები არიან, ან მიჰყვებიან ამერიკის წამყვან როლს, ან წყნარად ეწყობიან გერმანიისა და საფრანგეთის ზურგს უკან. მათ პოლიტიკას არ გააჩნია განსაკუთრებული, ფართო, რეგიონალური გავლენა, თუმცა, არ იმყოფებიან ისეთ მდგომარეობაში, რომ შეცვალონ თავიანთი ძირითადი ორიენტაცია. ამ სტადიაზე ისინი არც გეოსტრატეგიულად მოქმედი პირები არიან და არც გეოპოლიტიკური ცენტრები. იგივე ითქმის პოლონეთის, ნატოსა და ეკ-ის ყველზე მნიშვნელოვანი პოტენციური, ცენტრალური ევროპული წევრის მიმართაც. პოლონეთი ერთობ სუსტია იმისათვის, რომ იყოს გეოსტრატეგიულად მოქმედი პირი და მხოლოდ ერთი გზა აქვს – ინტეგრირება მოახდინოს დასავლეთთან. მეტიც, ძველი რუსეთის იმპერიის გაქრობა და პოლონეთის კავშირების სულ უფრო მზარდი განმტკიცება ატლანტიკურ ალიანსთან, ისევე როგორც აღორძინებულ ევროპასთან, სულ უფრო და უფრო სძენს პოლონეთს ისტორიულად უპრეცედენტო უსაფრთხოებას, იმავდროულად კი, ზღუდავს მის სტრატეგიულ არჩევანს.

რუსეთი, რაც ოდნავადაც კი არ საჭიროებს შეხსენებას, მიუხედავად მისი სახელმწიფოებრივი დასუსტებისა და, შესაძლო გახანგრძლივებული ავადმყოფობისა, რჩება დიდ გეოსტრატეგიულად მოქმედ პირად. თავად მისი არსებობა საგრძნობ ზეგავლენას ახდენს ყოფილ საბჭოთა კავშირის ფართო ევრაზიული სივრცის ფარგლებში დამოუკიდებლობას მიღწეულ სახელმწიფოებზე. ის ელოლიავება ამბიციურ გეოპოლიტიკურ მიზნებს, რომლებსაც სულ უფრო და უფრო აშკარად აცხადებს საჯაროდ. როგორც კი ის აღიდგენს თავის სიძლიერეს, მაშინვე დაიწყებს მნიშვნელოვანი ზემოქმედების გაწევას თავის დასავლეთ და აღმოსავლეთ მეზობლებზე. ამას გარდა, რუსეთს ჯერ კიდევ

მოუწევს, გააკეთოს ძირეული გეოსტრატეგიული არჩევანი ამერიკასთან ურთიერთობაში: მეგობარია ის, თუ მტერი? ის შეიძლება ბრწყინვალედ გრძნობდეს, რომ ამ ვითარებაში ევრაზიის კონტინენტზე აქვს არჩევის სერიოზული ვარიანტები. ბევრია დამოკიდებული შიდაპოლიტიკური სიტუაციის განვითარებაზე, განსაკუთრებით კი იმაზე, გახდება თუ არა რუსეთი ევროპული დემოკრატიის კერა, თუ კვლავ დარჩება ევრაზიულ იმპერიად. ნებისმიერ შემთხვევაში, ეჭვგარეშეა, რომ ის ევრაზიის საჭადრაკო დაფაზე რჩება მოქმედ პირად იმისდა მიუხედავადაც, რომ მან დაკარგა რამდენიმე „თავისი“ ნაწილი, ისევე, როგორც ზოგიერთი საკვანძო პოზიცია.

ანალოგიურად, თითქმის არ საჭიროებს მტკიცებას, რომ ჩინეთი პოლიტიკურ არენაზე წარმოადგენს დიდ მოქმედ პირს. ჩინეთი უკვე არის მნიშვნელოვანი რეგიონული სახელმწიფო და დიდი იმპერიის ისტორიის მქონე, ინარჩუნებს რა ჩინეთის სახელმწიფოზე, როგორც მსოფლიო ცენტრზე წარმოდგენას, როგორც ეტყობა, ელოლიავება გაცილებით მეტ იმედებს. არჩევანის ის ვარიანტები, რომელსაც მიჰყვება ჩინეთი, უკვე იწყებს ზემოქმედებას აზიაში გეოპოლიტიკურ ძალთა თანაფარდობაზე, მაშინ, როცა მისი ეკონომიკური დაწინაურება, ეჭვგარეშეა, მას, როგორც დიდ ფიზიკურ ძალას, ასევე მზარდ ამბიციებსაც შესძენს. „დიდი ჩინეთის“ აღდგენით ყურადღების გარეშე არ რჩება ტაივანის პრობლემაც, ეს კი, გარდაუვალად მოახდენს ზემოქმედებას შორეულ აღმოსავლეთში ამერიკელების პოზიციებზე. საბჭოთა კავშირის დაშლამ მიგვიყვანა ჩინეთის დასავლეთ კიდეებში მთელ რიგ სახელმწიფოთა შექმნამდე, რომელთა მიმართ ჩინელ ლიდერებს არ შეუძლიათ გულგრილები დარჩნენ. ამრიგად, მსოფლიო არენაზე ჩინეთის უფრო გააქტიურებული როლი, ასევე მნიშვნელოვან ზემოქმედებას მოახდენს რუსეთზე.

ევრაზიის აღმოსავლეთ პერიფერიებში პარადოქსია ჩადებული. იაპონია აშკარად წარმოადგენს დიდ სახელმწიფოს მსოფლიო ურთიერთობებში და, ამერიკა-იაპონიის ალიანსი ხშირად და, სამართლიანადაც, განისაზღვრება, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი ორმხრივი ურთიერთობა. როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ანგარიშგასაწევი სახელმწიფო, იაპონია აშკარად ფლობს პირველი კლასის პოლიტიკური სახელმწიფოს პოტენციალს. მიუხედავად ამისა, ის მას არ იყენებს, გულმოდგინედ გაურბის რა ნებისმიერი რეგიონალური დომინირებისადმი მისწრაფებას და ამის მაგიერ უპირატესობას ანიჭებს ამერიკის პროტექციის საფარქვეშ იმოქმედოს. იაპონია ისევე, როგორც დიდი ბრიტანეთი, ევროპასთან მიმართებაში უპირატესობას ანიჭებს მატერიკული აზიის პოლიტიკურ პერიპეტიებში ჩაურევლობას, თუმცა, ამის მიზეზს, მართალია, ნაწილობრივ, მაგრამ მაინც წარმოადგენს რეგიონში წამყვან პოლიტიკურ როლზე იაპონიის ნებისმიერი პრეტენზიის მიმართ მისი თანამოძმე აზიელების დიდი ხნის მტრობა.

თავის მხრივ, იაპონიის ასეთი თავშეკავებული პოლიტიკური პოზიცია საშუალებას უქმნის შეერთებულ შტატებს, ითამაშოს ცენტრალური როლი შორეული აღმოსავლეთის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში. ამრიგად, იაპონია არ წარმოადგენს გეოსტრატეგიულ მოქმედ პირს, თუმცა, ქვეყნის აშკარა პოტენციალს უნარი შესწევს, სწრაფად აქციოს იაპონია ასეთად, განსაკუთრებით მაშინ, თუ ჩინეთი ან ამერიკა მოულოდნელად შეცვლიან თავიანთ თანამედროვე საგარეო პოლიტიკას, რაც შეერთებულ შტატებს მოვალეობას აკისრებს, გულმოდგინედ გაუწიონ მეურვეობა ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობებს. ეს კი სრულებითაც არ გახლავთ იაპონიის ის საგარეო პოლიტიკა, რომელზეც ამერიკამ გულმოდგინედ უნდა მოახდინოს დაკვირვება, მის თავშეკავებულობას უნდა ფრთხილი კულტივირება

გაუწიოს. ამერიკა-იაპონიის პოლიტიკური კავშირების ნებისმიერი არსებითი შესუსტება უშუალო ზემოქმედებას იქონიებს რეგიონის სტაბილურობაზე.

დინამიკურ გეოსტრატეგიულ მოქმედ პირთა ჩამონათვალში შედარებით ადვილია დავასაბუთოთ ინდონეზიის არარსებობა. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ინდონეზია წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან ქვეყანას, მაგრამ ზეგავლენის მოხდენის მისი შესაძლებლობანი, თვით რეგიონშიც კი, შეზღუდულია ეკონომიკის შედარებითი განუვითარებლობით, შიდაპოლიტიკური უწყვეტი არასტაბილურობით, არქიპელაგში შემავალი კუთვნილების გაფანტულობითა და ეთნიკური კონფლიქტებისადმი მიდრეკილებით, რაც უფრო ღრმავდება ქვეყნის საშინაო ფინანსებში ჩინელთა უმცირესობის ცენტრალური როლით. გარკვეულწილად ინდონეზიას შეეძლო სერიოზული დაბრკოლება შეექმნა ჩინეთის სამხრეთით მისწრაფებებისთვის. ბოლოს და ბოლოს, ავსტრალიამ აღიარა ეს. ის გარკვეულ დროს უფრთხოდა ინდონეზიის ექსპანსიონიზმს, მაგრამ მოგვიანებით, უსაფრთხოების სფეროში მხარის დაჭერა დაუწყო ავსტრალია-ინდონეზიის უფრო მჭიდრო ურთიერთობებს. მაგრამ იმისათვის, რომ რეგიონში ინდონეზია განვიხილოთ დომინირებულ მოქმედ პირად, აუცილებელია კონსოლიდაციის პერიოდი და მყარი ეკონომიკური წარმატება.

ინდოეთი, პირიქით, იმყოფება, რეგიონალური „დერჟავის“ ჩამოყალიბების პროცესში და თავს მიიჩნევს მსოფლიო მასშტაბით, პოტენციურად დიდ მოქმედ პირად. ის თავის თავში ჩინეთის მეტოქესაც კი ხედავს. შეიძლება ეს იყოს უძველესი შესაძლებლობების გადაჭარბება. მაგრამ ინდოეთი, ეჭვგარეშეა, წარმოადგენს სამხრეთ აზიის ყველაზე ძლიერ სახელმწიფოს და ასეთად იქცა არა იმდენად იმისათვის, რომ დააშინოს ან შანტაჟირება დაუპიროს პაკისტანს, არამედ იმისათვის, რომ

მოახდინოს ჩინეთის ბირთვული იარაღის ბალანსირება. ინდოეთს გააჩნია თავისი რეგიონალური როლის გეოსტრატეგიული ჭვრეტის უნარი როგორც თავისი მეზობლების მიმართ, ასევე ინდოეთის ოკეანეშიც. მაგრამ მისი ამბიციები მოცემულ ეტაპზე, მხოლოდ პერიფერიულად იჭრება ამერიკის ევრაზიულ ინტერესებში და, ამრიგად, როგორც გეოსტრატეგიულად მოქმედი პირი, ინდოეთი თავისთავად არ წარმოადგენს, ყოველ შემთხვევაში, ისეთი დონის გეოპოლიტიკური უსაფრთხოების წყაროს, როგორიც რუსეთი ან ჩინეთია.

უკრაინა, ახალი და მნიშვნელოვანი სივრცეა ევრაზიის საჭადრაკო დაფაზე იმიტომ, რომ წარმოადგენს გეოპოლიტიკურ ცენტრს. საკუთრივ მისი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა გვეხმარება, მოვახდინოთ რუსეთის ტრანსფორმირება. უკრაინის გარეშე რუსეთი წყვეტს ევრაზიულ იმპერიად ყოფნას. უკრაინის გარეშე რუსეთს ჯერ კიდევ შეუძლია იბრძოლოს იმპერიული სტატუსისათვის, მაგრამ მაშინ ის, ძირითადად, იქცეოდა აზიურ იმპერიულ სახელმწიფოდ და, როგორც ჩანს, მალე აღმოჩნდებოდა ჩარეული იმ დამაუძლურებელ კონფლიქტებში, სულ უფრო რომ ძლიერდება შუა აზიაში, რომელიც, ასეთ შემთხვევაში, განაწყენებული იქნებოდა ახლახან მოპოვებული დამოუკიდებლობის მოსალოდნელი დაკარგვით და ამიტომ დახმარებას მიიღებდა მისდამი მეგობრულად განწყობილი სამხრეთის ისლამური სახელმწიფოებისგან. ჩინეთი, როგორც ჩანს, ასევე წინააღმდეგობას გაუწევდა შუა აზიაზე რუსეთის დომინირების რესტავრაციის ნებისმიერ მცდელობას, მხედველობაში მიიღებდა რა თავის სულ უფრო მზარდ ინტერესს ამ რეგიონში ახლად აღმოცენებული დამოუკიდებელი სახელმწიფოებისადმი. მაგრამ თუკი მოსკოვი დაიბრუნებს კონტროლს უკრაინაზე, მის 52-მილიონიან მოსახლეობაზე და დიდ რესურსებზე, აგრეთვე შავ ზღვაზე გასასვლელებზე, მაშინ რუსე-

თი, ავტომატურად, კვლავ მიიღებს საშუალებას. იქცეს ევროპასა და აზიაში განთვენილ მძლავრ იმპერიულ სახელმწიფოდ. უკრაინის მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვა დაუყოვნებლივ თავის შედეგს იქონიებდა ცენტრალურ ევროპაზე, მოახდენდა გაერთიანებული ევროპის აღმოსავლეთ საზღვრებთან პოლონეთის ტრანსფორმირებას გეოპოლიტიკურ ცენტრად.

მიუხედავად შეზღუდული ტერიტორიული მასშტაბებისა და მოსახლეობის რაოდენობის უმნიშვნელობისა, აზერბაიჯანს, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, თავისი უზარმაზარი ენერგეტიკული რესურსებით, ასევე საკვანძო მნიშვნელობა გააჩნია, ეს საცობია ჭურჭლისა, რომელშიც მოქცეულია კასპიის ზღვის აუზისა და შუა აზიის სიმდიდრე. შუა აზიის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობა შეიძლება განხილულ იქნეს პრაქტიკულად უაზრო მცნებად, თუკი აზერბაიჯანი მთლიანად დაემორჩილება მოსკოვის კონტროლს. მისი და აზერბაიჯანის ერთობ მნიშვნელოვანი ნავთობის რესურსები, შეიძლება, ასევე დაექვემდებაროს რუსეთის კონტროლს, თუკი, ამ ქვეყნის დამოუკიდებლობა გაუქმებული აღმოჩნდება. დამოუკიდებელი აზერბაიჯანი, რომელიც დასავლეთის ბაზრებთან იმ ნავთობსადენის ხაზებითაა დაკავშირებული, რომლებიც გაყვანილია რუსეთის არაკონტროლირებად ტერიტორიებზე, ასევე ხდება დიდ მაგისტრალად ენერგეტიკით მდიდარი შუა აზიის რესპუბლიკების მოწინავე და ენერგომომხმარებელ ეკონომიკებთან დასაკავშირებლად. აზერბაიჯანისა და შუა აზიის მომავალი, თითქმის იმავე დონით, როგორც უკრაინის, პრინციპულად დამოკიდებულია იმაზე, როგორი შეიძლება და როგორი არ უნდა გახდეს რუსეთი.

თურქეთი და ირანი სარგებლობენ რა რუსეთის მიერ ძალაუფლების დაკარგვით, გარკვეული დონით, დაკავებულნი არიან კასპია-შუა აზიის რეგიონში გავლენის დამყარებით. ამ მიზე-

ზით ისინი შეიძლება მივიჩნიოთ გეოსტრატეგიულად მოქმედ პირებად. მაგრამ ორივე ეს სახელმწიფო ეჯახება სერიოზულ შიდა პრობლემებს და მათი შესაძლებლობები, განახორციელონ მნიშვნელოვანი რეგიონალური („ცვლილება ხელისუფლების ძალთა განლაგებაში, შეზღუდულია. ამას გარდა, ისინი მეტოქეებს წარმოადგენენ და, ამრიგად, აქარწყლებენ ერთმანეთის გავლენას. მაგალითად, აზერბაიჯანში, სადაც თურქეთმა ხელთ იგდო გავლენიანი როლი, ირანის პოზიცია (რომელიც საკუთარ ტერიტორიაზე აზერბაიჯანელების შესაძლებელი ეროვნული მღელვარებით არის გამოწვეული), რუსეთისათვის გაცილებით სასარგებლო აღმოჩნდა.

მაგრამ თურქეთიც და ირანიც, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენენ მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ ცენტრებს. თურქეთი სტაბილიზებას უწევს შავი ზღვის რეგიონს, კონტროლს უწევს იქიდან ხმელთაშუა ზღვაში გასასვლელს, აწონასწორებს რუსეთს კავკასიაში, ჯერ კიდევ რჩება მუსლიმანური ფუნდამენტალიზმის მოწინააღმდეგედ და გამოიყენება ნატოს სამხრეთ ნავსაყუდელად. დესტაბილური თურქეთი, როგორც ჩანს, მეტ თავისუფლებას მისცემდა სამხრეთ ბალკანეთში ძალმომრეობას, იმავდროულად, უზრუნველყოფდა რუსეთის მიერ ახლო წარსულში კავკასიის სახელმწიფოების მიერ მიღწეულ დამოუკიდებლობაზე კონტროლის აღდგენას. ირანი, მიუხედავად აზერბაიჯანის მიმართ მისი გაორებული დამოკიდებულებისა, ანალოგიურად, უზრუნველყოფს მასტაბილიზებელ მხარდაჭერას შუა აზიის ახალი პოლიტიკური მრავალფეროვნებისადმი. ირანი დომინირებს სპარსეთის ყურის აღმოსავლეთ სანაპიროზე და მისი დამოკიდებულება, მიუხედავად შორეულ შტატებთან მისი ამჟამინდელი მტრული განწყობილებისა, თამაშობს ბარიერის როლს ამ რეგიონში ამერიკელთა ინტერესებისადმი რუსეთის მხრიდან მუქარის ნებისმიერი პერსპექტივისათვის.

დაბოლოს, სამხრეთ კორეა, შორეული აღმოსავლეთის გეოპოლიტიკური ცენტრი. მისი მჭიდრო კავშირები შეერთებულ შტატებთან ნებას რთავს ამერიკას, ითამაშოს ფარის როლი იაპონიისათვის და მისი დახმარებით, თავად იაპონიაში ამერიკელთა აბსოლუტური ყოფნის არსებობის გარეშე, არ მისცეს ამ უკანასკნელს საშუალება, იქცეს დამოუკიდებელ და მძლავრ სამხედრო სახელმწიფოდ. სამხრეთ კორეის სტატუსში ნებისმიერი არსებითი (ცვლილება, ისეთი, როგორიც ჩრდილოეთ კორეასთან გაერთიანებაა, ან ჩინეთის გავლენის სფეროს მზარდ გაფართოებაში შესვლა, გარდუვალად, ძირფესვიანად შეცვლიდა ამერიკელების როლს შორეულ აღმოსავლეთში და, ამგვარად, იაპონიის როლსაც. ამას გარდა, სამხრეთ კორეის სულ უფრო მზარდი ეკონომიკური სიძლიერე ასევე თავისთავად გარდაქმნის მას სულ უფრო მნიშვნელოვან „სივრცედ“, რომელზედაც კონტროლი სულ უფრო დიდ ღირებულებას იძენს.

გეოსტრატეგიულად მოქმედ პირთა და გეოპოლიტიკური ცენტრების ზემოთ მოყვანილი სია არ წარმოადგენს არც მუდმივს, არც უცვლელს. დროდადრო ზოგიერთი სახელმწიფო შეიძლება შეყვანილ ან გამოყვანილ იქნეს. რა თქმა უნდა, რომელიღაცა თვალსაზრისით, შეიძლება, ისეც მოხდეს, რომ ტაივანი ან ტაილანდი, ყაზახეთი ან უზბეკეთი შეყვანილ იქნეს ბოლო კატეგორიაში. მაგრამ მოცემულ ეტაპზე, ზემოთ დასახელებული ქვეყნებიდან თითოეულის გარშემო შექმნილი ვითარება გვკარნახობს ასეთ ქმედებას. თითოეული იმათგანის სტატუსში ცვლილებები მნიშვნელოვანი მოვლენა იქნებოდა და გამოიწვევდა ძალთა განლაგებაში ზოგიერთ ძვრას, თუმცა კი, საეჭვოა, რომ მათი შედეგები შორს მიმავალი იყოს. ერთადერთ გამონაკლისად შეიძლება იქცეს ტაივანი, თუკი ვინმე უპირატესობას მიანიჭებს მისი საკითხის განხილვას ჩინეთის გარეშე. მაგრამ ეს სა-

კითხი წამოიჭრება იმ შემთხვევაში, თუ ჩინეთი კუნძულის დასაპ-ყრობად განიზრახავს მნიშვნელოვანი ცვლილებების გამოყენე-ბას და ორთაბრძოლაში გაიწვევს შეერთებულ შტატებს და, ამ-გვარად, უფრო ფართო მასშტაბებით დაემუქრება შორეულ აღ-მოსავლეთში ამერიკის პოლიტიკურ რეპუტაციას. მოვლენათა ასეთი მსვლელობის ალბათობა ნაკლებ წარმოსადგენია, თუმ-ცა კი, ეს მოსაზრებები გათვალისწინებულ უნდა იქნეს ჩინეთის მიმართ შეერთებული შტატების პოლიტიკის ფორმირებისას.

მნიშვნელოვანი არჩევანი და პოტენციური პრობლემები

ცენტრალურ მოქმედ პირთა და საკვანძო ცენტრების გამოვლენა გვეხმარება განვსაზღვროთ საერთო ამერიკული პოლიტიკის დილემები და წინასწარ განვჭვრიტოთ ევრაზიის სუპერკონტინენტზე დიდი პრობლემების წარმოქმნა. შემდგომ თავებში ეს მომენტები ყოველმხრივ განხილვამდე შეიძლება ხუთ ძირითად საკითხად გავაერთიანოთ:

- როგორი ევროპაა ამერიკისათვის უმჯობესი და აქედან გამომდინარე, როგორი ევროპის შექმნას უნდა შეუწყოს მან ხელი?

- როგორი უნდა იყოს რუსეთი, რომ შეესაბამებოდეს ამერიკის ინტერესებს და რა და როგორ უნდა გააკეთოს ამისათვის ამერიკამ?

- როგორია ცენტრალურ ევროპაში ახალი „ბალკანეთის“ აღმოცენების პერსპექტივები და რა უნდა გააკეთოს ამერიკამ, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს საფრთხე, რომელიც შეიძლება ამის შედეგად წარმოიქმნას?

- რომელ როლზე უნდა იქნეს წახალისებული შორეულ აღმოსავლეთში ჩინეთი და როგორი შედეგები ექნება ზემოთ დასახელებულს არა მარტო შეერთებული შტატებისათვის, არამედ ასევე იაპონიისთვის?

- რომელია შესაძლებელი ევრაზიული კოალიციები, რომლებიც ყველაზე უფრო დიდი დონით შეიძლება საშიში იყვნენ შეერთებული შტატების ინტერესებისათვის და რაა აუცილებელი გაკეთდეს, რომ თავიდან იქნეს აცილებული მათი წარმოქმნა?

აშშ ყოველთვის აცხადებდა ერთიანი ევროპის შექმნის საქმისადმი თავისი ერთგულების შესახებ. ჯერ კიდევ კენედის ადმინისტრაციის მმართველობის დროიდან ჩვეულებად იქცა „თანაბარი პარტნიორობისაკენ“ მოწოდება. ოფიციალური ვაშინგტონი მუდამ აცხადებდა თავისი სურვილის შესახებ, ეხილა ევროპის ერთიანი ფორმირება, საკმაოდ მძლავრი იმისათვის, რომ გაენაწილებინა ამერიკასთან მსოფლიო ლიდერის პასუხისმგებლობა და უღელი.

ეს ჩვეულებრივი რიტორიკაა. თუმცა კი, პრაქტიკაში შეერთებული შტატები არც ასეა მოწყობილი და არც ასე ჯიუტია. ნუთუ ვაშინგტონს მსოფლიო საქმეებში მართლა გულწრფელად სურს, ევროპაში ჭეშმარიტად თანაბარი პარტნიორი იხილოს თუ უპირატესობას ანიჭებს არათანასწორ ალიანსს? მაგალითად, მზად არის თუ არა შეერთებული შტატები, ლიდერობა გაიყოს ევროპასთან მახლობელ აღმოსავლეთში, რეგიონში, რომელიც არა მარტო გეოგრაფიულად უფრო ახლოს მდებარეობს ევროპასთან, ვიდრე ამერიკასთან და, რომელშიაც რამდენიმე ევროპულ ქვეყანას აქვს თავის დიდი ხნის ინტერესები? აქვე, უმალ გვიჩნდება კითხვები, რომლებიც ისრაელთანაა დაკავშირებული. აშშ-სა და ევროპის ქვეყნებს შორის უთანხმოება, ირანსა და ერაყთან დაკავშირებით ურთიერთობა შეერთებული შტატების მიერ განიხილება არა როგორც საკითხი თანაბარ პარტნიორთა შორის, არამედ, როგორც დაუმორჩილებლობა.

ევროპის გაერთიანების პროცესისადმი ამერიკელთა მხარდაჭერის დონის ორაზროვნება, ასევე ვრცელდება იმ საკითხზე, როგორ უნდა განისაზღვროს ევროპული ერთიანობა, განსაკუთრებით კი, თუ რომელმა ქვეყანამ უნდა უმეთაუროს გაერთიანებულ ევროპას (ან საერთოდაც, უნდა იყოს კი ასეთი ქვეყანა). ვაშინგტონს არაფერი აქვს საწინააღმდეგო ევროპის ინტეგრაციასთან დაკავშირებით ლონდონის გამთიშველი პოლიტიკისა, თუმცა, ის ევროპაში აშკარა უპირატესობას გერმანიას უფრო ანიჭებს, ვიდრე საფრანგეთის ლიდერობას. ეს გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ საფრანგეთის პოლიტიკის ტრადიციულ მიმართულებას, თუმცა კი, ამ არჩევანსაც თავისი განსაზღვრული შედეგები აქვს, რომლებიც დროგამოშვებით გამოიხატება როგორც გერმანიისთვის წინააღმდეგობის გაწევის მიზანდასახულობით, ისე ფრანკო-ბრიტანული შეთანხმებისათვის ხელის შეწყობით, ასევე, ამერიკა-გერმანიის კოალიციის წინააღმდეგ დაპირისპირების მიზნით, საფრანგეთის მოსკოვთან თამაშით.

ჭეშმარიტად ერთიანი ევროპის გაჩენა – განსაკუთრებით კი, თუ ეს უნდა მოხდეს ამერიკული კონსტრუქციული დახმარებით – მოითხოვს მნიშვნელოვან ცვლილებებს ნატოს ბლოკის სტრუქტურასა და პროცესებში. ნატოსი, რომელიც წარმოადგენს ძირითად დამაკავშირებელ რგოლს ამერიკასა და ევროპას შორის. ის არა მარტო უზრუნველყოფს ევროპის საქმეებში ამერიკული გავლენის განხორციელების ძირითად მექანიზმს, არამედ წარმოადგენს დასავლეთ ევროპაში, კრიტიკულად მნიშვნელოვანი პოლიტიკის თვალსაზრისით, ამერიკელთა სამხედრო ყოფნის საფუძველს. მაგრამ ევროპული ერთობა მოითხოვს ალიანსის ახალი რეალობის ისეთი სტრუქტურისადმი შეგუებას, რომელიც დაფუძნებული იქნება ორ მეტ-ნაკლებად თანასწორ პარტნიორზე იმ ალიანსის მაგიერ, რომელიც, თუკი

ვისარგებლებთ ტრადიციული ტერმინოლოგიით, ვარაუდობდა ჰეგემონისა და მისი ვასალების არსებობას. ეს საკითხი დღემდე მნიშვნელოვანწილად არ განიხილება, მიუხედავად იმისა, რომ 1996 წელს მიღებულ იქნა საკმაოდ მოკრძალებული ისეთი ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იყო ნატოს ჩარჩოებში დასავლეთევროპული კავშირისა (დევ) და დასავლეთ ევროპის სამხედრო კოალიციის როლის გაზრდისადმი. ამრიგად, გაერთიანებული ევროპის სასარგებლოდ რეალური არჩევანი მოითხოვს ნატოს შორს მიმავალ რეორგანიზაციას, რაც ალიანსის ჩარჩოებში გარდაუვლად მიგვიყვანს ამერიკის წინამძღოლი როლის შემცირებამდე.

მოკლედ რომ ვთქვათ, ევროპის მიმართ თავის ხანგრძლივ სტრატეგიაში, ამერიკული მხარე უნდა ზუსტად ჩამოყალიბდეს ევროპული ერთიანობისა და ევროპასთან რეალური პარტნიორობის საკითხებში. ამერიკა, რომელსაც ჭეშმარიტად სურს, რომ ევროპა ერთიანი იყოს და, აქედან გამომდინარე, უფრო დამოუკიდებელი, ვალდებულია, მთელი თავისი ავტორიტეტით მხარი დაუჭიროს იმ ევროპულ ძალებს, რომლებიც მართავენ და გამოდიან ევროპის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციისათვის. ასეთი სტრატეგია, ასევე უნდა ნიშნავდეს, ოდესღაც აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს შორის კურთხეული განსაკუთრებული ურთიერთობების შემორჩენილ ნაშთებზე უარის თქმას.

გაერთიანებული ევროპის შექმნის პოლიტიკა ასევე მიმართული უნდა იყოს, ევროპელებთან ერთად მაინც, ევროპის გეოგრაფიული საზღვრების შესახებ უკიდურესად მნიშვნელოვანი საკითხისადმი. რამდენად შორს უნდა გაფართოვდეს აღმოსავლეთით ევროპული კავშირი? ეკ-ის აღმოსავლეთის საზღვრები აუცილებლად უნდა დაემთხვეს ნატოს აღმოსავლეთის საზღვრებს? ამ ორი კითხვიდან პირველი უფრო ის საკითხია, რომლის გადაჭრაზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს ევ-

როპაში, თუმცა, ამ საკითხზე ევროპის ქვეყნების მოსაზრება პირდაპირ ზეგავლენას მოახდენს ნატოს გადაწყვეტილებაზე. მაგრამ მეორე საკითხზე გადაწყვეტილების მიღება, ვარაუდობს შეერთებული შტატების მონაწილეობას და აშშ-ისა და ნატოს ხმები უწინდებურად გადამწყვეტი იქნება. ანგარიშს უწევს რა ცენტრალური ევროპის ქვეყნების მზარდ თანხმობას, მათი როგორც ეკ-სა, ისე ნატოში გაწევრიანების სურვილის შესახებ, ამ საკითხის პრაქტიკული მნიშვნელობა აიძულებს მათ ყურადღების ფოკუსში მოაქციონ როგორც ბალტიისპირა რესპუბლიკების მომავალი სტატუსი, ასევე ალბათ უკრაინისაც.

ამრიგად, არსებობს მნიშვნელოვანი ნაწილობრივი დამთხვევა ზემოთ განხილულ ევროპულ დილემასა და მეორეს შორის, რომელიც რუსეთს ეხება. ადვილია, პასუხი გაეცეს საკითხს, რომელიც რუსეთის მომავალს ეხება, იმის განცხადებით, რომ უპირატესობა ენიჭება დემოკრატიულ რუსეთს, რომელიც მჭიდროდ იქნება ევროპასთან დაკავშირებული. შესაძლოა, რომ დემოკრატიული რუსეთი დიდი მოწონებით მოექცეს იმ ღირებულებებს, რომელთაც იზიარებს ამერიკა და ევროპა და, აქედან გამომდინარე, ასევე ერთობ სავარაუდოა, რომ გახდეს უფრო სტაბილური და თანამშრომლობაზე დაფუძნებული ევრაზიის უმცროსი პარტნიორი. მაგრამ რუსეთის ამბიციები შეიძლება გასცდეს მისი, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს უბრალო აღიარებისა და პატივისცემის მიღწევას. რუსეთის საგარეოპოლიტიკური ისტებლიშმენტის (რომელიც ძირითადად შედგება ყოფილი მოხელეებისაგან) ჩარჩოებში, დღემდე ცოცხლობს ღრმადფესვგადგმული სურვილი, ითამაშოს განსაკუთრებული ევრაზიული როლი, ისეთი, რომელსაც უნარი ექნება, რომ ახლად შექმნილი, დამოუკიდებელი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოები კვლავ დაუქვემდებაროს მოსკოვს.

ამ კონტექსტში, დასავლეთის მეგობრული პოლიტიკაც კი, იმ ზოგიერთი გავლენიანი წევრის მიერ, ვინც პოლიტიკას ქმნის, განიხილება, როგორც იმისაკენ მიმართული, რომ რუსეთს აღეკვეთოს მსოფლიო სახელმწიფოს სტატუსზე მისი კანონიერი უფლება. აი, როგორ ჩამოაყალიბა ეს ორმა რუსმა გეოპოლიტიკოსმა:

> „შეერთებული შტატები და ნატოს ქვეყნები, მართალია, გონიერ ფარგლებში პატივს სცემენ რუსეთის თავის თავისადმი პატივისცემის გრძნობას, მაგრამ მიუხედავად ამისა, განუხრელად, თანმიმდევრულად სპობენ იმ გეოპოლიტიკურ საფუძველს, რომლებსაც, ბოლოს და ბოლოს, თეორიულად მაინც, შეეძლოთ რუსეთისთვის მიეცათ შესაძლებლობა, იმედი ჰქონოდა მიეღო მსოფლიო პოლიტიკაში სახელმწიფო ნომერი ორის სტატუსი, ის, რომელიც საბჭოთა კავშირს ეკუთვნოდა“.

მეტიც, ითქვა, რომ ამერიკა ატარებს პოლიტიკას, რომლის ჩარჩოებში:

> „თანამედროვე დასავლეთის მიერ ყალიბდება ევრაზიული სივრცის ახალი ორგანიზაცია, რომელიც არსებითად იქნება დაფუძნებული მსოფლიოს ამ ნაწილში ახალი, შედარებით პატარა და სუსტი ნაციონალური სახელმწიფოებისათვის დახმარების გაწევის იდეაზე, მათი ნატოსთან, ეკ-თან და ა. შ. მეტ-ნაკლებად მჭიდრო დაახლოებით“.[8]

ზემოთ მოყვანილი ციტატები კარგად განსაზღვრავენ – თუმცა კი, გარკვეული წინასწარი აკვიატებით – იმ დილემას, რომლის

---

8 Bogaturov A. Krenebiuk V. Sovremennie Otnoshenia i perspektivi vzaimodeostvia mejdu Rossiei i Soedinennimi Shtatami Ameriki // Nezavisimaia gazeta – 1996, 28 June (ორივე ავტორი წამყვანი მეცნიერები არიან, რომლებიც აშშ-სა და კანადის ინსტიტუტში მუშაობენ).

წინაშეც იმყოფება აშშ. რა დონემდე უნდა გაეწიოს რუსეთს ეკონომიკური დახმარება, რომელიც გარდაუვლად მიიყვანს მას როგორც პოლიტიკური, ასევე სამხედრო ასპექტით, გაძლიერებამდე და, რა დონემდე უნდა გაეწიოს იმავდროულად დახმარება ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს მათ პირობებში თავიანთი დამოუკიდებლობის დაცვისა და განმტკიცებისათვის? შეძლებს კი, რუსეთი იყოს მძლავრი და იმავდროულად დემოკრატიული სახელმწიფო? თუკი, ის კვლავ მოიპოვებს თავის სიძლიერეს, ხომ არ მოისურვებს, უკან დაიბრუნოს დაკარგული იმპერიული სამფლობელოები და, შეძლებს ასეთ შემთხვევაში იმპერიაც იყოს და დემოკრატიულიც?

აშშ-ს პოლიტიკა მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ცენტრების მიმართ, ისეთებისა, როგორიც უკრაინა და აზერბაიჯანია, ნებას არ რთავს, გვერდი აუაროს ამ საკითხს. ამრიგად, ამერიკაც, ძალთა ტაქტიკური განლაგებისა და სტრატეგიული მიზნის მიმართებაში, რთული დილემის წინაშე დგას. რუსეთის შინაგანი გაჯანსაღება აუცილებელია რუსეთის დემოკრატიზაციისათვის და საბოლოო ჯამში, მისი ევროპეიზაციისათვის. მაგრამ მისი იმპერიული ძლიერების ნებისმიერმა აღდგენამ შეიძლება ზიანი მიაყენოს ორივე ამ მიზანს. უფრო მეტიც, უშუალოდ ამ საკითხთან დაკავშირებით, შეიძლება წარმოიშვას უთანხმოება ამერიკასა და ზოგიერთ ევროპულ სახელმწიფოებს შორის, განსაკუთრებით კი ეკ-სა და ნატოს გაფართოების შემთხვევაში. საჭიროებს თუ არა რუსეთის ორივე ამ სტრუქტურაში შესაძლებელი წევრობის კანდიდატად მიჩნევა? მაშინ რა უნდა მოვიმოქმედოთ უკრაინის მიმართ? დანახარჯები, რომლებიც რუსეთის ამ სტრუქტურებში დაუშვებლობასთანაა დაკავშირებული, შეიძლება უკიდურესად მაღალი იყოს – რუსულ წარმოდგენაში ხორცს ისხამს იდეა რუსეთის განსაკუთრებულ დანიშნულებაზე, ეკ-სა

და ნატოს დასუსტების შედეგებმაც შეიძლება ასევე დესტაბილიზაცია მოახდინოს.

კიდევ ერთი დიდი გაურკვევლობა ჩნდება ცენტრალური ევრაზიის დიდ გეოპოლიტიკურად არამყარ სივრცეში. ეს გაურკვევლობა უკიდურესობამდეა მიყვანილი თურქეთისა და ირანის ცენტრების სისუსტის შესაძლებლობით. რაიონი, რომლის საზღვრები ნაჩვენებია X რუკაზე, მოიცავს ყირიმის გავლით შავ ზღვას და პირდაპირ აღმოსავლეთით რუსეთის ახალი სამხრეთის საზღვრების გასწვრივ, ჩინეთის პროვინციის სინცზიანის საზღვარს, შემდეგ ეშვება ქვევით, ინდოეთის ოკეანისკენ, აქედან მიდის დასავლეთით წითელ ზღვამდე, შემდეგ იწევს ჩრდილოეთით ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილისაკენ და კვლავ უბრუნდება ყირიმს, 25 ქვეყანაში ცხოვრობს დაახლოებით 400 მილიონი კაცი, რომელთაგან თითქმის ყველა, როგორც ეთნიკურად, ისე რელიგიურად, სხვადასხვაგვარია და პრაქტიკულად ამ ქვეყნებიდან არც ერთი არაა პოლიტიკურად სტაბილური. ამ ქვეყნებიდან ზოგიერთი შეიძლება იმყოფებოდეს ბირთვული იარაღის შექმნის პროცესში.

ეს უზარმაზარი რეგიონი აღსავსეა სიძულვილით, რომელიც ადვილად შეიძლება გაღვივებულ იქნეს და გარშემორტყმული ურთიერთკონკურენტი უძლიერესი სახელმწიფოებით. როგორც ჩანს, ის წარმოადგენს ბრძოლის უზარმაზარ ველსაც, რომელზედაც მიმდინარეობს ეროვნულ სახელმწიფოთა შორის ომები და, ზონასაც (რაც უფრო სავარაუდოა), სადაც მეფობს გაჭიანურებული ეთნიკური და რელიგიური ძალმომრეობა. გამოვა თუ არა ინდოეთი შემაკავებელ ფაქტორად, თუ ისარგებლებს ზოგიერთი შესაძლებლობით იმისათვის, რომ პაკისტანს თავს მოახვიოს თავისი ნება, რაც დიდ ზეგავლენას იქონიებს შესაძლებელი კონფლიქტების რეგიონალურ ჩარჩოებზე. შინაგანი დაძაბულობა თურქეთსა და ირანში, ალბათ, არათუ


1 საქართველო
2 სომხეთი
3 აზერბაიჯანი
4 ტაჯიკეთი
5 ლიბანი
6 ისრაელი
7 იორდანია
რუსეთი
ყაზახეთი
ბალკანეთი
ბალკანეთი
ბალკან

გააძლიერებდა, არამედ მნიშვნელოვნად შეამცირებდა იმ მასტაბილირებელ როლს, რომელიც ამ სახელმწიფოებს შეუძლიათ ითამაშონ ფეთქებადსაშიშ რეგიონში. ასეთმა მოვლენებმა, თავის მხრივ, შეიძლება შეაფერხონ საერთაშორისო გაერთიანების მიერ განხორციელებული ცენტრალური აზიის ახალი სახელმწიფოების ასიმილაციის პროცესი, ასევე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინონ სპარსეთის ყურის უსაფრთხოებაზე, რომლის უზრუნველყოფაში დომინირებულ როლს თამაშობს ამერიკა. ნებისმიერ შემთხვევაში, ამერიკაც და საერთაშორისო გაერთიანებაც აქ შეიძლება შეეჯახოს პრობლემას, რომელთანაც შედარებით ყოფილ იუგოსლავიაში მიმდინარე კრიზისი უმნიშვნელოდ მოგეჩვენებათ (იხ. რუკა XI).

ამ არასტაბილური რეგიონის პრობლემის ნაწილებად შეიძლება იქცეს გამოწვევა ამერიკის წინამძღოლი როლისადმი ისლამური ფუნდამენტალიზმის მხრიდან. ამერიკული ცხოვრების წესისადმი რელიგიური მტრული განწყობის ექსპლუატაციით და არაბების და ისრაელის კონფლიქტიდან სარგებლობის ნახვით, ისლამურ ფუნდამენტალიზმს შეუძლია ააფეთქოს რამდენიმე დასავლეთისადმი კეთილგანწყობილი მახლობელი აღმოსავლეთის მთავრობის პოზიციები და საფრთხე შეუქმნას ამერიკის რეგიონალურ ინტერესებს, განსაკუთრებით კი, სპარსეთის ყურის რეგიონში. მაგრამ პოლიტიკური ერთიანობის გარეშე და ჭეშმარიტად მძლავრი ისლამური სახელმწიფოს არარსებობის შემთხვევაში, ისლამური ფუნდამენტალიზმის მხრიდან გამოწვევას გეოპოლიტიკური ბირთვი დააკლდება და, აქედან გამომდინარე, ის უფრო ძალმომრეობითი სახით გამოიხატება.

ჩინეთის, როგორც დიდი სახელმწიფოს გამოჩენა, გეოპოლიტიკურ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობით აყენებს. ყველაზე მისაღები შედეგი იქნებოდა დემოკრატიის გზით მიმავალი და თავისუფალი ვაჭრობის განვითარებადი ჩინეთის კოოპ-

ტირება გაცილებით დიდი აზიური რეგიონული თანამშრომლობის სტრუქტურაში. მაგრამ თუ ჩინეთი არ დაადგება დემოკრატიული გარდაქმნების გზას და გააგრძელებს თავისი ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების ზრდას? როგორიც არ უნდა იყოს მისი მეზობლების სურვილი და გათვლები, შეიძლება იშვას დიდი ჩინეთი და ამის ხელის შეშლის ნებისმიერმა მცდელობამ, შეიძლება მიიყვანონ ჩინეთთან კონფლიქტის გამწვავებამდე. ასეთმა კონფლიქტმა შეიძლება დაძაბოს ამერიკა-იაპონიის ურთიერთობები, რამეთუ სრულიად არაა აუცილებელი, რომ იაპონიამ მიბაძოს ამერიკელების მაგალითს ჩინეთის შეკავების საქმეში და, აქედან გამომდინარე, შეიძლება რევოლუციური შედეგი იქონიოს იაპონიის რეგიონულ დონეზე როლის განსაზღვრისათვის, რამაც შეიძლება, გამოიწვიოს ამერიკელების შორეულ აღმოსავლეთში ყოფნის შეწყვეტაც კი.

მაგრამ ჩინეთთან შეთანხმების მიღწევა საკუთარ ფასს მოითხოვს. ჩინეთის აღიარება რეგიონულ „დერჟავად“ არ ნიშნავს მარტო ლოზუნგის უბრალო მოწონებას. რეგიონულ დონეზე ასეთ უპირატესობას არსებითი შინაარსიც უნდა ჰქონდეს. გულახდილად რომ ითქვას, როგორი მოცულობით და სადაა მზად ამერიკა, აღიაროს ჩინეთის გავლენის სფერო, რაა აუცილებელი გააკეთოს იმისათვის, რომ მისი პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი მიმართული იყოს ჩინეთის მსოფლიო საქმეებში წარმატებით ჩართვისათვის? ამჟამად, ჩინეთის პოლიტიკური მოქმედების რადიუსის საზღვრებს გარეთ რომელი რაიონებია დარჩენილი, რომლებიც შეიძლება კვლავ დავუთმოთ ცისქვეშეთის ახლად აღმოცენებულ იმპერიას გავლენის სფეროში?

ამ კონტექსტში სამხრეთ კორეაში ამერიკელთა ყოფნის შენარჩუნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება. ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ ამის გარეშე თავდაცვის სფეროში ამერიკა--იაპონიის შეთანხმება, ახლანდელი ფორმით, მომავალშიც იარ-

სებებს, რამდენადაც იაპონია იძულებული იქნება, სამხედრო თვალსაზრისით, უფრო დამოუკიდებელი გახდეს. მაგრამ კორეის ხელახალი შეერთებისკენ გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი, ალბათ დაანგრევს სამხრეთ კორეაში ამერიკელთა სამხედრო ყოფნის გახანგრძლივების საფუძველს. გაერთიანებულმა კორეამ შეიძლება უარი თქვას ამერიკელთა სამხედრო დაცვაზე. ეს, ფაქტობრივად, შეიძლება იქცეს იმ ფასად, რომელსაც ჩინეთი მოითხოვს იმისათვის, რომ მთელი თავისი ავტორიტეტით მხარი დაუჭიროს ნახევარკუნძულის გაერთიანებას. მოკლედ რომ ვთქვათ, აშშ-ის მიერ ჩინეთთან ურთიერთობის რეგულირება, გარდაუვალად, უშუალოდ დაეტყობა ამერიკა-იაპონია-კორეის „სამკუთხედის“ ჩარჩოებში უსაფრთხოების სფეროში ურთიერთობების სტაბილურობას.

დაბოლოს, მოკლედ უნდა შევჩერდეთ იმ ზოგიერთ შესაძლებელ გარემოებაზე, რომელთაც შეუძლიათ მიგვიყვანონ მომავალი კავშირების შექმნამდე. უფრო სრულყოფილად ეს საკითხი განხილულ იქნება შესაბამის თავებში. წარსულში საერთაშორისო საქმეებზე ზეგავლენას ახდენდა ცალკეულ სახელმწიფოთა შორის ბრძოლა რეგიონულ დონეზე გაბატონებისათვის. ამიერიდან შეერთებულმა შტატებმა, როგორც ჩანს, აუცილებლად უნდა გადაწყვიტოს, როგორ დაძლიოს ის რეგიონული კოალიციები, რომლებიც ამერიკის ევრაზიიდან გარეკვისკენ მიისწრაფვიან და ამგვარად, საფრთხეს უქმნიან ამერიკის, როგორც მსოფლიო „დერჟავის“, სტატუსს. გაუბედავენ თუ არა ასეთი კოალიციები ამერიკელთა ბატონობას გამოწვევას. ფაქტობრივად, ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, რამდენად ეფექტურად შეძლებს შეერთებული შტატები იმ ძირითადი დილემის გადაწყვეტას, რომელიც აქ იყო აღნიშნული.

პოტენციურად, მოვლენების განვითარების ყველაზე საშიში სცენარი შეიძლება იყოს „ანტიჰეგემონისტური“ კოალიციის შექ-

მნა ჩინეთის, რუსეთისა და შეიძლება ირანის მონაწილეობით, რომელთაც გააერთიანებთ არა იდეოლოგია, არამედ აშშ-სადმი წყენა. მოვლენების ასეთმა განვითარებამ, თავისი ზომითა და მასშტაბით, შეიძლება გაგვახსენოს პრობლემა, რომელიც ერთხელ უკვე იყო დასმული ჩინეთ-საბჭოთა ბლოკის მიერ, თუმცა, ამჯერად უფრო სავარაუდოა, ჩინეთი გამოვიდეს ლიდერად და არა რუსეთი. რათა თავიდან ავიცილოთ ასეთი ბლოკის შექმნა, რამდენად ნაკლებსავარაუდოდაც არ უნდა გამოიყურებოდეს ის — აშშ-ს დასჭირდება ერთდროულად მთელი მისი გეოსტრატეგიული ოსტატობის გამოვლენა ევრაზიის დასავლეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ საზღვრებთან.

გეოგრაფიულად უფრო შეზღუდულ, მაგრამ პოტენციურად გაცილებით უფრო მნიშვნელოვან პრობლემას შეიძლება წარმოადგენდეს ჩინეთ-იაპონიის „ღერძი“, რომელიც შეიძლება შეიქმნას შორეულ აღმოსავლეთში ამერიკელთა პოზიციების დამსხვრევისთანავე და მსოფლიო პრობლემებზე იაპონიის შეხედულებებში რევოლუციური ცვლილებებით. ასეთ ბლოკს შეუძლია გააერთიანოს ორი განსაკუთრებულად პროდუქტიული ხალხის ძლიერება და ანტიამერიკული დოქტრინის სახით, გამოიყენოს „აზიის ხმის“ მსგავსი ფორმა (asianism), თუმცა კი, ნაკლებად დასაჯერებელია, რომ ახლო მომავალში, მხედველობაში თუ მივიღებთ მათ წარსულ ისტორიულ გამოცდილებას, ჩინეთი და იაპონია ჩამოაყალიბებენ ასეთ ალიანსს, შორეულ აღმოსავლეთში ამერიკელთა შორსმჭვრეტელური პოლიტიკა კი, რა თქმა უნდა, აუცილებლად შეძლებს მსგავსი მოვლენების რეალიზაციის აღკვეთას.

ასევე, არსებობს შესაძლებლობა – თუმცა კი ნაკლებად დასაჯერებელი, მაგრამ ისეთი, რომელიც მთლიანად შეუძლებელია გამორიცხულ იქნეს – ევროპაში ძალთა სერიოზული გადაჯგუფება, რომელიც გამოიხატება, ან საიდუმლო გერმანია-რუსე-

თის შეთანხმების დადებით ან ფრანკო-რუსული კავშირის შექ-
მნით. ისტორიაში არის მსგავსი პრეცედენტები და თითოეული
ამ ორი შესაძლებლობიდან, შეიძლება განხორციელდეს იმ
შემთხვევაში, თუკი შეწყდება ევროპული გაერთიანების პროცე-
სი და წარმოიქმნება ევროპასა და ამერიკას შორის ურთიერ-
თობების სერიოზული გაუარესება, ფაქტობრივად, ჩვენ მიერ
დასახელებული შესაძლებლობებიდან ამ უკანასკნელის რე-
ალიზაციის შემთხვევაში, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ამე-
რიკის კონტინენტიდან გამოდევნის მიზნით, მოხდება ევროპასა
და რუსეთს შორის ურთიერთგაგების მოწესრიგება. მოცემულ
სტადიაზე ყველა ვარიანტი წარმოუდგენელია. მათი განხორ-
ციელებისათვის აუცილებელი იქნება არა მარტო ამერიკის მი-
ერ უკიდურესად მცდარი ევროპული პოლიტიკის გატარება,
არამედ, ასევე, ევროპის ძირითადი სახელმწიფოების მიერ
ორიენტაციის მკვეთრი შეცვლა.

როგორიც არ უნდა იყოს მომავალი, კონკრეტული დასკვნა
უნდა გაკეთდეს იმაზე, რომ ამერიკელთა უპირატესობა ევრაზი-
ის კონტინენტზე შეეჯახება სხვადასხვაგვარ მღელვარებას და
შეიძლება ცალკეულ შემთხვევაში, ძალმომრეობას. ამერიკის
წამყვანი როლი პოტენციურად დაცული არაა ახალი პრობლე-
მებისაგან, რომელთაც შეუძლია შექმნას როგორც რეგიონული
მეტოქეები, ასევე, ძალთა ახალი განლაგებაც. დღევანდელი
მსოფლიო სისტემა ამერიკის გაბატონებული მდგომარეობით,
დღის წესრიგიდან „ომის მუქარის“ მოხსნით, სტაბილურია, ალ-
ბათ, მსოფლიოს მხოლოდ იმ ნაწილებში, რომელშიაც ამერი-
კელთა წინამძღოლობა განპირობებულია გრძელვადიანი გე-
ოსტრატეგიით, ეყრდნობა ერთობლივ და მონათესავე საზოგა-
დოებრივ-პოლიტიკურ სისტემებს, რომლებიც ერთმანეთთან
დაკავშირებულნი არიან მრავალმხრივი ჩარჩოებით.

თავი III

დემოკრატიული პლაცდარმი

ევროპა წარმოადგენს ამერიკის ბუნებრივ მოკავშირეს. ევროპა იზიარებს იმავე ღირებულებებს, რასაც ის; ძირითადად კი, იმავე რელიგიურ შეხედულებებს; ატარებს იმავე დემოკრატიულ პოლიტიკას და არის ამერიკელთა უმრავლესობის ისტორიული სამშობლო. იკაფავს რა გზას სახელმწიფო-ნაციების კოლექტიურ ზესახელმწიფოებრივ ეკონომიკურ და, საბოლოო ჯამში, პოლიტიკურ კავშირში ინტეგრაციისაკენ, ევროპა, ასევე, მიანიშნებს მიმართულებას იმ პოსტნაციონალისტური ორგანიზაციების უფრო დიდი ფორმების შექმნისაკენ, რომლებიც ცდებიან ვიწრო წარმოდგენებს და დესტრუქციულ ემოციებს, რაც ნაციონალიზმის ეპოქისთვისაა დამახასიათებელი. ეს უკვე მრავალმხრივ ორგანიზებული რეგიონია მსოფლიოში (იხ. სქემა გვ. 90). ამ რეგიონის პოლიტიკური გაერთიანების სფეროში წარმატების მიღწევამ შეიძლება მიგვიყვანოს ისეთი ერთიანი სტრუქტურის შექმნამდე, რომელიც გააერთიანებს 400 მილიონ კაცს, რომლებიც იცხოვრებენ დემოკრატიის პირობებში და ექნებათ ცხოვრების ისეთი დონე, როგორიცაა შეერთებულ შტატებში. ასეთი ევროპა გარდუვალად იქცევა მსოფლიო სახელმწიფოდ.

ევროპა, ასევე, ასრულებს ტრამპლინის როლს ევროპის სიღრმეში დემოკრატიის შემდგომი წინსვლისთვის. ევროპის გაფართოებამ აღმოსავლეთისკენ შეიძლება განამტკიცოს 90-იანი წლების დემოკრატიული გამარჯვება. პოლიტიკურ და ეკონომიკურ დონეზე გაფართოება, თავისი არსით, შეესაბამება იმ ევროპის ცივილურ მიზნებს, რომ მოიხსენიებოდა პეტრეს ევრო-

პად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ უძველესი და, საერთო რელიგიური მემკვიდრეობით, რომელიც ქრისტიანობის დასავ-ლეთის განშტოებამ დაუტოვა ევროპას. ასეთი ევროპა ოდეს-ღაც არსებობდა, დიდი ხნით ადრე ნაციონალიზმის ეპოქამდე, დიდი ხნით ადრე თვით ევროპის უკანასკნელ დანაწევრებამდე ორ ნაწილად, რომელთაგან ერთ ნაწილში გაბატონებული იყო ამერიკული გავლენა, მეორეში კი – საბჭოთა. ასეთი დიდი ევ-როპა, ალბათ, შეძლებდა შეეძინა მაგნიტური მიზიდულობა იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც მდებარეობენ აღმოსავლე-თიდან შორსაც კი, დაამყარებდა რა უკრაინას, ბელორუსიასა და რუსეთთან კავშირების სისტემასთან მათი თანამშრომლო-ბის სულ უფრო დიდ პროცესებსა და იმავდროულად ჩართავ-და მათ საერთო დემოკრატიული პრინციპების აზროვნებაში. საერთო ჯამში, ასეთ ევროპას შეეძლო ყოფილიყო უსაფ-რთხოების უზრუნველყოფისა და თანამშრომლობის დიდი ევ-რაზიული სტრუქტურის მნიშვნელოვანი საყრდენიდან ერთ-ერ-თი მათგანი, რასაც მიემხრობოდა ამერიკა.

მაგრამ ევროპა ევროპულ კონტინენტზე, უპირველეს ყოვლი-სა, ამერიკის მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური პლაცდარმია. ამერიკის გეოსტრატეგიული დაინტერესება უზარმაზარია. ამე-რიკას იაპონიასთან კავშირისაგან განსხვავებით, ატლანტიკური ალიანსი ევრაზიის კონტინენტზე აძლიერებს ამერიკის პოლი-ტიკურ გავლენას და სამხედრო ძლიერებას. ამერიკა-ევროპის ურთიერთობის ამ სტადიაზე, როცა მოკავშირე ევროპული სა-ხელმწიფოები ჯერ კიდევ მნიშვნელოვანწილად დამოკიდე-ბულნი არიან ამერიკელების მიერ უსაფრთხოების უზრუნველ-ყოფაზე, ევროპის საზღვრების ნებისმიერი გაფართოება, ასევე, ავტომატურად იწვევს ამერიკელების გავლენის პირდაპირ გა-ფართოებას. ანდა პირიქით, მჭიდრო ტრანსატლანტიკური

ევროპის ორგანიზაციები



კავშირების გარეშე ამერიკის წინამძღოლობა ევრაზიაში დაუყოვნებლივ გაქრება. აშშ--ს კონტროლი ატლანტიკის ოკეანეზე და იმის შესაძლებლობა, რომ განავრცოს თავისი გავლენა და ძლიერება ევროპის სიღრმეში, შეიძლება მნიშვნელოვნად შეიზღუდოს.

მაგრამ პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ჭეშმარიტი „ევროპული ევროპა“, როგორც ასეთი, არ არსებობს. ეს არის სახეც, კონცეფციაც და მიზანიც, მაგრამ ჯერ კიდევ არარსებული რეალობა. დასავლეთ ევროპა უკვე არის საერთო ბაზარი, მაგრამ ის ჯერ კიდევ შორსაა იმისაგან, რომ ერთიან პოლიტიკურ ფორმირებად იქცეს. პოლიტიკური ევროპა ჯერ კიდევ არ ჩანს. კრიზისი ბოსნიაში იქცა უსიამო დამამტკიცებელ საბუთად თუ ეს კიდევ საჭიროებს დამამტკიცებელ საბუთებს, სახეზეა ევროპის, როგორც ერთიანი ორგანიზმის არარსებობის გახანგრძლივება. მწარე გამოცდილება იმაში მდგომარეობს, რომ დასავლეთ ევროპა, განსაკუთრებით ცენტრალური ევროპა, არსებითად რჩება ამერიკის პროტექტორატად, თანაც, მოკავშირე სახელმწიფოები მოგვაგონებენ უძველეს ვასალებს და დამორჩილებულ ქვეყნებს. ასეთი მდგომარეობა ნორმალური არაა არც ამერიკისათვის და არც ევროპული სახელმწიფოებისათვის.

მოვლენები მიმდინარეობს ევროპის სიცოცხლისუნარიანობის გაუარესების ხარჯზე. არსებული სოციო-ეკონომიკური სისტემის ლეგიტიმურობაც და ევროპული იდენტურობის გრძნობის გარეგნული გამოვლენაც კი მოწყვლადი ხდება. ზოგ ევროპულ სახელმწიფოში შეიძლება აღმოვაჩინოთ ნდობის კრიზისი და შემოქმედი იმპულსის დაკარგვა, ასევე, როგორც იზოლაციონისტური, ისე ესკაპისტური შინაგანი პერსპექტივები, რომლებიც დიდი მსოფლიო პრობლემებისაგან აშორებთ მათ. აშკარა

არაა, სურს თუ არა ევროპელთა უმრავლესობას, იხილოს ევროპა დიდ სახელმწიფოდ მაინც და მზად არიან ისინი თუ არა, გააკეთონ ყველაფერი აუცილებელი, რომ ის ასეთი გახდეს. ევროპული ანტიამერიკანიზმის მონარჩენიც კი, რომელიც თანამედროვე დროში ძალიან სუსტია, გასაოცრად ცინიკურია. ევროპელები უჩივიან ამერიკულ „ჰეგემონიას“, მაგრამ იმავდროულად თავს კომფორტულად გრძნობენ მისი დაცვის ქვეშ.

ოდესღაც, ევროპის გაერთიანებისთვის პოლიტიკურ ბიძგად წარმოგვიდგა სამი ძირითადი მომენტი, სახელდობრ: ორი დამანგრეველი მსოფლიო ომის ხსოვნა, ეკონომიკური გაჯანსაღების სურვილი და საბჭოთა მუქარით შობილი უსაფრთხოების გრძნობის არარსებობა. თუმცა, 90-იანი წლების შუა ხანებში, ეს მომენტები გაქრა. ეკონომიკური გამოჯანმრთელება ერთობლიობაში მიღწეულ იქნა. პრობლემა, რომელსაც უფრო მეტად ეჯახება ევროპა, იმ სოციალური უზრუნველყოფის ზედმეტად დამამძიმებელი სისტემის არსებობაში მდგომარეობს, რომელიც ძირს უთხრის მის ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობას, მაშინ როცა განსაკუთრებით დაინტერესებული წრეების მხრიდან ნებისმიერი რეფორმის გააფთრებულ წინააღმდეგობას ევროპის პოლიტიკური ყურადღება გადააქვს საშინაო პრობლემებზე. საბჭოთა მუქარა გაქრა, მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ევროპელის სურვილი, გათავისუფლდეს ამერიკელთა მეურვეობისაგან, არ იქნა განივთებული კონტინენტის გაერთიანების გადაულახავ იმპულსში.

ევროპის საქმე სულ უფრო მძლავრად პოვებს მხარდაჭერას იმ ბიუროკრატიული ენერგიის მხრიდან, რომელიც წარმოადგენდა ევროპული გაერთიანებისა და მისი მემკვიდრის – ევროპული კავშირის მიერ შექმნილი დიდი ორგანიზაციული აპარატის შედეგს. გაერთიანების იდეა ჯერ კიდევ სარგებლობს ხალხის მნიშვნელოვანი მხარდაჭერით, მაგრამ მისი პოპულარობა

ეცემა, ამ იდეაში არ არსებობს ენთუზიაზმი და მიზნის მნიშვნელობის გაგება. საერთოდ კი, თანამედროვე დასავლეთ ევროპა შთაბეჭდილებას ახდენს გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი მიზნის არმქონე, თუმცა კი სვეკეთილ, მაგრამ სოციალური თვალსაზრისით, იმ მშფოთვარე საზოგადოებრივი წრეების, რომლებიც მონაწილეობას არ იღებენ რაიმე უფრო დიდი იდეების რეალიზაციაში. ევროპული გაერთიანება სულ უფრო წარმოადგენს პროცესს და არა მიზანს.

და მაინც, ორი წამყვანი ევროპული ქვეყნის – საფრანგეთისა და გერმანიის პოლიტიკური ელიტები, ძირითადად, ერთგულნი რჩებიან ისეთი ევროპის შექმნისა და გამორკვევის საქმისა, რომელიც შეიძლება იქცეს ჭეშმარიტ ევროპად. ამრიგად, ისინი არიან ევროპის მთავარი არქიტექტორები. ერთობლივი თანამშრომლობისას მათ შეუძლიათ შექმნან მისი წარსულისა და პოტენციალის ღირსი ევროპა. მაგრამ თითოეულ მხარეს აქვს საკუთარი, რაღაც სხვებისაგან განმასხვავებელი წარმოდგენები და გეგმები და, არც ერთი მხარე არაა ისე ძლიერი, რომ საწადელს მიაღწიოს.

ასეთი ვითარება შეერთებულ შტატებს უქმნის განსაკუთრებულ საშუალებას ენერგიული ჩარევისათვის. ის გარდაუვალს ხდის ამერიკელების მონაწილეობას ევროპის გაერთიანების საქმეებში, რამეთუ წინააღმდეგ შემთხვევაში, გაერთიანების პროცესი შეიძლება შეფერხდეს და თანდათან უკუღმა დატრიალდეს კიდეც. მაგრამ ნებისმიერი ეფექტური ამერიკული მონაწილეობა ევროპის მშენებლობაში, ამერიკის მხრიდან უნდა განისაზღვროს ზუსტი წარმოდგენებით იმაზე, თუ როგორ ევროპას ანიჭებს ის უპირატესობას და როგორაა მზად, მხარი დაუჭიროს ევროპას – პარტნიორის თუ უმცროსი მოკავშირის სახით, ამავე დროს, ჩამოყალიბდეს როგორც ევროპული კავშირის, ისე ნატოს შესაძლებელი საზღვრების მიმართაც. ეს, ასევე მოითხოვს

ამ ორი მთავარი არქიტექტორის საქმიანობის ფრთხილ რეგულირებას.

სიდიადე და მონანიება

საფრანგეთი კვლავ მიისწრაფვის, თავად განასახიეროს ევროპა; გერმანია, ევროპის დახმარებით, იმედოვნებს მონანიებას. ეს სხვადასხვაგვარი მოტივაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს საფრანგეთისა და გერმანიის ალტერნატიული პროექტების არსის განმარტებასა და განსაზღვრაში.

საფრანგეთისათვის ევროპა იარაღია ძველი დიდების დასაბრუნებლად. ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, საერთაშორისო ურთიერთობების სერიოზული ფრანგი მკვლევრები შეშფოთებულნი იყვნენ მსოფლიოს საქმეებში ევროპის ცენტრალური როლის თანდათანობითი დაქვეითებით. ცივი ომის რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, ეს შეშფოთება გადაიზარდა დასავლეთზე ინგლის-საქსური ბატონობის უკმაყოფილებაში, თუ არაფერს ვიტყვით, უკვე ზიზღზე დასავლეთის კულტურის „ამერიკანიზაციასთან“ დაკავშირებით. ჭეშმარიტი ევროპის შექმნას, შარლ დე გოლის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ატლანტიკიდან ურალამდე" უნდა გამოესწორებინა საქმეთა სავარაუდო მდგომარეობა, იმის გამო, რომ ასეთი ევროპის სათავეში, ალბათ, პარიზი იქნებოდა, ეს კი, იმავდროულად, საფრანგეთს დაუბრუნებდა იმ დიდებას, რომელიც, ფრანგების თვალსაზრისით, ამთავითვე ერის ხვედრს წარმოადგენდა.

გერმანიისთვის ევროპისადმი ერთგულება ეროვნული მონანიების საფუძველია, მაშინ, როცა ამერიკასთან მჭიდრო კავშირი აუცილებელია მისი უსაფრთხოებისათვის. აქედან გამომდინარე, ამერიკისაგან უფრო დამოუკიდებელი ევროპის ვარიანტი შეუძლებელია განხორციელებულ იქნეს. გერმანია იზიარებს

ფორმულას: „მონანიება+უსაფრთხოება+ევროპია+ამერიკა“. ამ ფორმულით განისაზღვრება გერმანიის პოზიცია და პოლიტიკა; ამასთან, გერმანია, იმავდროულად, ხდება ევროპის ჭეშმარიტად წესიერი მოქალაქე და ამერიკის ძირითადი ევროპული მომხრე.

ერთიანი ევროპისადმი გულმხურვალე ერთგულებაში გერმანია ჭვრეტს ისტორიულ განწმენდას, მორალური და პოლიტიკური ნდობის აღორძინებას საკუთარი თავისადმი. ევროპის დახმარებით ინანიებს რა თავის ცოდვებს, გერმანია იბრუნებს თავის სიდიადეს, თავის თავზე იღებს მისიას, რომელიც ევროპაში არ გამოიწვევს უნებლიე აღშფოთებასა და შიშს. თუკი გერმანელები მოინდომებენ გერმანიის ეროვნული ინტერესების განხორციელებისაკენ სწრაფვას, ისინი რისკს გასწევენ, ჩამოსცილდნენ დანარჩენ ევროპელებს. თუკი გერმანელები შეეცდებიან საერთოევროპული ინტერესების განხორციელებას, ისინი დაიმსახურებენ ევროპის მხარდაჭერასა და პატივისცემას.

საფრანგეთი ცივი ომის საკვანძო საკითხებთან მიმართებაში, უტყუარი, ერთგული და ენერგიული მოკავშირე იყო. გადამწყვეტ მომენტში ის მხარდამხარ იდგა ამერიკასთან. ბერლინის ორი ბლოკადის დროსაც და კუბის[9] სარაკეტო კრიზისის დროსაც არავის შეჰპარვია ეჭვი საფრანგეთის პრინციპულობაში. მაგრამ საფრანგეთის მიერ ნატოსადმი გაწეული მხარდაჭერა, გარკვეულწილად, გაწონასწორებული იყო საფრანგეთის სურვილით, იმავდროულად, გაემტკიცებინა თავისი პოლიტიკური თვითმყოფადობა და შეენარჩუნებინა მოქმედების არსებითი თავისუფლება, განსაკუთრებით იმ საკითხისადმი, რომელიც ეხებოდა საფრანგეთის მდგომარეობას მსოფლიოში, ან მომავალ ევროპაში.

---

9 საბჭოთა ლიტერატურაში ეს მოვლენა ცნობილია კარიბის კრიზისის სახელით. რედ. შენიშვნა.

არის წინასწარ აკვიატებული (ცდომილების ელემენტი იმაში, რომ ფრანგული პოლიტიკური ელიტა, საფრანგეთს ჯერ კიდევ მიიჩნევს მსოფლიო სახელმწიფოდ. როცა პრემიერ-მინისტრმა ალენ ჟიუპემ, ეთანხმებოდა რა წინამორბედებს, 1995 წლის მაისში, ეროვნულ კრებაზე განაცხადა, რომ „საფრანგეთს შეუძლია და ვალდებულია, დაამტკიცოს თავისი მოწოდება, იყოს მსოფლიო სახელმწიფო“, იქ შეკრებილები უნებლიე აღტყინებით, ტაშის ცემით შეეგებნენ მას. საფრანგეთის სიჯიუტე ბირთვული დაშინების საკუთარი საშუალებების განვითარებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვნად მოტივირებული იყო იმ თვალსაზრისით, რომ, ამგვარად, საფრანგეთი შეძლებდა მოქმედების თავისუფლების გაფართოებას და იმავდროულად შესაძლებლობა მიეცემოდა, მთლიანობაში ზეგავლენა მოეხდინა ამერიკის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე დასავლეთის ალიანსის უსაფრთხოების საკითხების მიმართ. საფრანგეთი არ მიისწრაფვოდა, აემაღლებინა საკუთარი ბირთვული სტატუსი საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულებაში იმიტომ, რომ საფრანგეთის ბირთვული დაშინების საშუალებებს, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ უმნიშვნელო ზეგავლენის მოხდენა შეეძლო საბჭოთა სამხედრო პოტენციალზე. ამის მაგიერ პარიზი მიიჩნევდა, რომ საკუთარი ბირთვული იარაღი ნებას მისცემდა საფრანგეთს, ცივი ომის მსვლელობის დროს, ერთობ საშიში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში როლი ეთამაშა.

ფრანგების აზრით, ბირთვული იარაღის ფლობამ განამტკიცა საფრანგეთის პრეტენზიები მსოფლიო სახელმწიფო სტატუსზე და იმაზე, რომ მის ხმას ყურად იღებდნენ მთელ მსოფლიოში. მან საგრძნობლად გააძლიერა საფრანგეთის, როგორც გაერთიანებული ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს იმ ხუთი წევრიდან ერთერთი წევრის პოზიცია, რომელთაც ვეტოს უფლება ჰქონდათ და წარმოადგენდნენ ბირთვულ სახელმწიფოებს.

საფრანგეთის წარმოდგენებში, დიდი ბრიტანეთის ბირთვული დაშინების საშუალებები, უბრალოდ, ამერიკული პოლიტიკის გაგრძელება იყო, განსაკუთრებით დიდი ბრიტანეთის მიერ აშშ-სთან გამორჩეული ურთიერთობების, ერთგულების და დამოუკიდებელი ევროპის შექმნის ძალისხმევისაგან შორს დგომის გათვალისწინებით (ის, რომ საფრანგეთის ბირთვულმა პროგრამამ აშშ-ს მნიშვნელოვანი საიდუმლო დახმარება მიიღო, არ იწვევდა, როგორც ფრანგები ვარაუდობენ, მოსალოდნელ რაიმე ცუდ შედეგს საფრანგეთის სტრატეგიული გაანგარიშებისათვის). საფრანგეთის ბირთვული დაშინების საშუალებანი, რადგანაც მას ასეთი რამ ჰქონდა, ასევე, განამტკიცებდა ფრანგების წარმოსახვებში, საფრანგეთის, როგორც წამყვანი კონტინენტური „დერჟავის“, ერთადერთ ჭეშმარიტად ევროპულ სახელმწიფოს მდგომარეობას.

მსოფლიო არენაზე საფრანგეთის პატივმოყვარე ზრახვებმა, ასევე, თავი იჩინა მის კატეგორიულ ძალისხმევაში, განსაკუთრებული როლის თამაში განაგრძოს აფრიკის ფრანგულენოვანი ქვეყნების უმრავლესობის უსაფრთხოების სფეროში. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ვიეტნამისა და ალჟირის დაკარგვისა და ვრცელ ტერიტორიებზე უარის თქმის მიუხედავად, მისი უსაფრთხოების მხარდაჭერის ამ მისიამ, ასევე, საფრანგეთის მიერ წყნარი ოკეანის გაფანტულ კუნძულებზე კონტროლის შენარჩუნებამ (რომლებიც საფრანგეთის ბირთვული იარაღის გამოცდის ადგილად იქცნენ და, რამაც დიდი კამათი გამოიწვია ატომური იარაღის გამოცდასთან დაკავშირებით) განამტკიცეს ელიტის რწმენა იმაში, რომ საფრანგეთი, მართლაც აგრძელებს მსოფლიოს საქმეებში მონაწილეობას, თუმცა კი, სინამდვილეში, კოლონიალური იმპერიის დაშლის შემდეგ, თავისი არსით, წარმოადგენდა საშუალო რანგის ევროპულ „დერჟავას“.

ყველაფერი ზემოთ თქმული ამტკიცებს და მოტივაციას უწევს საფრანგეთის ევროპის ლიდერობაზე პრეტენზიებს. მხედველობაში თუ მივიღებთ იმას, რომ დიდი ბრიტანეთი თავად განდგა და არსებითად აშშ-ს დანამატია, გერმანია კი დანაწევრებული იყო ცივი ომის მსვლელობის დიდი ხნის მანძილზე და იმ მოვლენებისგან, რაც მას თავს გადახდა XX საუკუნეში, ჯერ კიდევ მთლიანად ვერ მოსულიყო გონს, საფრანგეთს შეეძლო ხელი მოეკიდა ერთიანი ევროპის იდეისთვის, გაეიგივებინა მასთან საკუთარი თავი და ერთპიროვნულად გამოეყენებინა ის, როგორც საკუთარ თავზე საფრანგეთის წარმოდგენების თანმხვედრი. ქვეყანამ, რომელმაც პირველმა გამოიგონა სუვერენული სახელმწიფო-ნაციის იდეა და ნაციონალიზმი აღამაღლა სამოქალაქო რელიგიის სტატუსამდე, – იმავე ემოციური პათოსით, რასაც ოდესღაც „la patrie-ს“ ცნობიერებაში ანივთებდა – თავის თავში სრულიად ბუნებრივად იხილა დამოუკიდებელი, მაგრამ ერთიანი ევროპის ხორცშესხმა. ევროპის დიდება, რომელსაც სათავეში საფრანგეთი ეყოლებოდა, იმავდროულად, თავად საფრანგეთის დიდებაც იქნებოდა.

ეს განსაკუთრებული ხვედრი, რომელიც შექმნილი იყო ღრმად ფესვგადგმული ისტორიული დანიშნულებით და შემაგრებული თავისი კულტურის არაჩვეულებრივი სიამაყით, დიდი პოლიტიკური აზრის მატარებელია. მთავარი გეოპოლიტიკური სივრცე, სადაც საფრანგეთი ვალდებული იყო, მხარი დაეჭირა თავისი გავლენისათვის – ან, უკიდურეს შემთხვევაში, არ დაეშვა უფრო ძლიერი სახელმწიფოს ბატონობა – შეიძლება გამოხატულ იქნეს რუკაზე ნახევარწრის ფორმით. ის თავის თავში მოიცავს იბერიის ნახევარკუნძულს, დასავლეთ ევროპის ჩრდილოეთ სანაპიროს, ხმელთაშუა ზღვის პირსა და გერმანიას ევროპის ცენტრალურ-აღმოსავლეთამდე (იხ. რუკა XI). ეს საფრანგეთის უსაფრთხოების მინიმალური რადიუსია, მისი პოლი-

ტიკური ინტერესების ძირითადი ზონაცაა. მხოლოდ სამხრეთის სახელმწიფოებისა და გერმანიის გარანტირებული მხარდაჭერის



შემთხვევაში, შეძლებდა ის საფრანგეთის მეთაურობით ეფექტურად გადაეჭრა ერთიანი და დამოუკიდებელი ევროპის მშენებლობის ამოცანა. ცხადია ისიც, რომ ამ გეოპოლიტიკურ სივრცეში ყველაზე ძნელი იქნება სულ უფრო და უფრო მზარდ გერმანიასთან თავის გატანა.

საფრანგეთის თვალსაზრისით, ერთიანი და დამოუკიდებელი ევროპის შექმნის ძირითადი ამოცანა შეიძლება გადაიჭრას საფრანგეთის მეთაურობით ევროპის გაერთიანების გზით, იმავდროულად, ევროპის კონტინენტზე ამერიკის წინამძღოლობით თანდათანობითი შემცირებით. მაგრამ თუკი საფრანგეთს სურს მომავალი ევროპის ფორმირება, მან უნდა მიიზიდოს კიდეც და შეაკავოს გერმანია და იმავდროულად, ეცადოს, თანდათან შეზღუდოს ევროპის საქმეებში ვაშინგტონის პოლიტიკური ლიდერობა. ამის შედეგად, საფრანგეთის წინაშე დგას ორმაგი შინაარსის მქონე ორი ძირითადი პოლიტიკური დილემა: როგორ შეინარჩუნოს ამერიკის მონაწილეობა – რასაც საფრანგეთი ჯერ კიდევ აუცილებლობად მიიჩნევს – ევროპაში უსაფრთხოების შენარჩუნებაში, იმავდროულად, განუხრელად შეამციროს ამერიკელთა აქ ყოფნა და მეორე, ევროპის გაერთიანების პოლიტიკურ-ეკონომიკური მექანიზმის სახით, როგორ შეინარჩუნოს ფრანკო-გერმანული თანამშრომლობა, არ დაუშვას რა, ამასთან, ევროპაში გერმანიის მიერ ლიდერის პოზიციების დაკავება.

საფრანგეთი მართლაც მსოფლიო სახელმწიფო რომ ყოფილიყო, მისთვის რთული არ იქნებოდა მთავარი ამოცანის განხორციელების მსვლელობაში ამ დილემის გადაჭრა. სხვა ევროპული სახელმწიფოებიდან არც ერთს, გერმანიის გარდა, არ გააჩნია მსგავსი ამბიციები და თავისი დანიშნულების ასეთი შეგნება. შეიძლება გერმანიაც კი შერიგებოდა მის წინამძღოლ როლს გაერთიანებულ, თუმცა კი (ამერიკისგან) დამოუკიდე-

ბელ ევროპაში. მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ის იგ-
რძნობოდა, რომ საფრანგეთი ჭეშმარიტად იყო მსოფლიო სა-
ხელმწიფო და ამგვარად, შეძლებდა ევროპისათვის უსაფ-
რთხოების უზრუნველყოფას, რასაც ვერ იძლევა გერმანია, სა-
მაგიეროდ იძლევა ამერიკა.

მაგრამ გერმანიამ იცის საფრანგეთის ძლიერების რეალური
საზღვრები. საფრანგეთი გერმანიაზე გაცილებით სუსტია ეკო-
ნომიკური თვალსაზრისით, მაშინ როცა მისი სამხედრო მანქანა
(როგორც 1991 წლის ომმა გვიჩვენა სპარსეთის ყურეში) არ გა-
მოირჩევა მაღალი კომპეტენტურობით. ის სრულიად გამოსა-
დეგია აფრიკის სახელმწიფო-სატელიტების საშინაო გადატრია-
ლებების ჩაქრობაში, მაგრამ უუნაროა დაიცვას ევროპა ან გაავ-
რცელოს თავისი გავლენა ევროპის საზღვრებიდან შორს. საფ-
რანგეთი არც მეტი და არც ნაკლები, საშუალო რანგის ევროპუ-
ლი სახელმწიფოა. ამიტომაც, ერთიანი ევროპის აშენებისთვის,
ევროპაში ჭეშმარიტი უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის,
გერმანია მზადაა მხარი დაუჭიროს საფრანგეთის პატივმოყვა-
რეობას. გერმანიას არ სურს, ბრმად მიენდოს საფრანგეთს. ის
დაჟინებით მოითხოვს, რომ ევროპის უსაფრთხოებაში ცენტრა-
ლური როლი აუცილებლად ამერიკამ ითამაშოს.

ეს რეალობა, რომელიც უკიდურესად უსიამოა საფრანგეთის
პატივმოყვარეობისათვის, გამოვლინდა ზუსტად გერმანიის გა-
ერთიანების შემდეგ, აქამდე, ფრანკო-გერმანული დაზავება გა-
მოიყურებოდა როგორც გერმანიის დინამიკურ ეკონომიკაზე
ხელსაყრელი დაყრდნობის შედეგი და საფრანგეთის პოლიტი-
კური ლიდერობა. ასეთი გაგება ორივე მხარისათვის იყო ხელ-
საყრელი. იგი ახშობდა გერმანიასთან დაკავშირებით ევროპი-
სათვის ტრადიციულ საშიშროებას, ასევე, ამტკიცებდა და აკმა-
ყოფილებდა საფრანგეთის ილუზიებს იმის შთაბეჭდილების
შექმნით, რომ ევროპული მშენებლობის სათავეში საფრანგეთი

იდგა, რომელსაც მხარს უჭერდა ეკონომიკური თვალსაზრისით, დინამიკური დასავლეთ გერმანია.

ფრანკო-გერმანული დაზავება, მისი არასწორი განმარტების შემთხვევაშიც კი, ევროპის ცხოვრებაში მაინც იქცა დადებით მოვლენად და მისი მნიშვნელობა ძნელია გადაჭარბებით არ შევაფასოთ. მან უზრუნველყო იმ წარმატებებისათვის მყარი საფუძვლის შექმნა, რომელიც თანამედროვე მომენტისათვის მიღწეული იქნა ევროპის გაერთიანების ძნელ პროცესში. ამრიგად, ის, ასევე, მთლიანად ემთხვევა ამერიკელთა ინტერესებს და შეესაბამებოდა ამერიკის ევროპაში დიდი ხნის მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარებისათვის ხელის შეწყობის სურვილს. ფრანკო-გერმანული თანამშრომლობის შეწყვეტა საბედისწეროდ არახელსაყრელი იქნებოდა ევროპისათვის და კატასტროფული ამერიკის პოზიციებისთვის ევროპაში.

ამერიკის უსიტყვო მხარდაჭერა საფრანგეთსა და გერმანიას საშუალებას მისცემდა, წინ წაეწიათ ევროპის გაერთიანების პროცესი. გერმანიის ხელახალი გაერთიანება, ამას გარდა, გააძლიერებდა საფრანგეთის მისწრაფებას, მოემწყვდია გერმანია მკაცრ ევროპულ ჩარჩოებში. ამრიგად, 1990 წლის 6 დეკემბერს საფრანგეთის პრეზიდენტმა და გერმანიის კანცლერმა გააკეთეს განცხადება ფედერალური ევროპის შექმნის მიმართ თავის ერთგულებაზე, ათი დღის შემდეგ კი, პოლიტიკური კავშირის შექმნის თაობაზე. რომის სამთავრობათაშორისო კონფერენციამ – დიდი ბრიტანეთის შენიშვნების მიუხედავად, ევროპული კავშირის თორმეტი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებს ზუსტი მითითება მისცა, მოემზადებინათ პოლიტიკური კავშირის შესახებ მოლაპარაკების პროექტი.

მაგრამ გერმანიის გაერთიანებამ მკვეთრად შეცვალა ევროპული პოლიტიკის ხასიათიც. ის იქცა, იმავდროულად, გეოპოლიტიკურ დამარცხებად რუსეთისა და საფრანგეთისთვისაც. გაერ-

თიანებულმა გერმანიამ არა მარტო შეწყვიტა საფრანგეთის უმ-
ცროს პოლიტიკურ პარტნიორად ყოფნა, არამედ, ავტომატუ-
რად, უდავოდ იქცა მნიშვნელოვან სახელმწიფოდ დასავლეთ
ევროპაში, ზოგიერთ შემთხვევაში, განსაკუთრებით, სათავო სა-
ერთაშორისო ინსტიტუტებისადმი მსხვილი ფინანსური ანაბრე-
ბის მხარდაჭერის საშუალებით, მსოფლიო სახელმწიფოდაც
კი.[10] ახალმა რეალობამ გამოიწვია ზოგიერთი ურთიერთზიარი
იმედგაცრუება საფრანგეთსა და გერმანიას შორის ურთიერთო-
ბაში, იმიტომ, რომ გერმანიამ შესაძლებლობა მიიღო და სურ-
ვილი გამოავლინა ფორმირება მოეხდინა და აშკარად ხორცი
შეესხა მომავალი ევროპის ნებისმიერი ჭვრეტისათვის, რომელ-
შიაც ის უწინდებურად საფრანგეთის პარტნიორად გამოვიდო-
და და არავითარ შემთხვევაში პროტეჟედ.

საფრანგეთისთვის პოლიტიკური გავლენის შემცირებამ გამო-
იწვია ზოგიერთი პოლიტიკური შედეგი: საფრანგეთს ესაჭიროე-
ბოდა კვლავ აღედგინა მნიშვნელოვანი გავლენა ნატოში (რო-
მელშიც მონაწილეობაზე ის, მნიშვნელოვანწილად, თავს იკა-
ვებდა აშშ-ს ბატონობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად), იმავ
დროულად, კომპენსაციას უწევდა თავის შედარებით სისუსტეს
უფრო მასშტაბური დიპლომატიური მანევრებით. ნატოში დაბ-
რუნება საფრანგეთს საშუალებას მისცემდა, დიდი ზეგავლენა
მოეხდინა ამერიკაზე; დროგამოშვებით კი, მოსკოვთან ან
ლონდონთან თამაშით, შეეძლო ნატოს გარეშე ზეგავლენა მო-
ეხდინა როგორც ამერიკაზე, ისე გერმანიაზე.

---

10 მაგალითად, პროცენტული თვალსაზრისით, საერთო ბიუჯეტის მი-
მართ გერმანიის წილზე მოდიოდა ევროპული კავშირის ბიუჯეტის
28,5%, ნატოს ბიუჯეტის – 22,8%, გაეროს ბიუჯეტის – 8,93%. ამას
გარდა, გერმანია არის რგებ-ისა (რეკონსტრუქციისა და
განვითარების ევროპული ბანკის) და მსოფლიო ბანკის უმსხვილესი
აქციონერი.

ამის შედეგად, მისდევდა რა უფრო თავის მანევრულ და არა გამომწვევ პოლიტიკას, საფრანგეთი დაუბრუნდა ნატოს სამეთაურო სტრუქტურას. 1994 წლისათვის საფრანგეთი, ფაქტობრივად, კვლავ იქცა პოლიტიკურ და სამხედრო სფეროებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესის აქტიურ წევრად. 1995 წლის ბოლოს მისი საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრები კვლავ რეგულარულად შეუდგნენ ნატოს სხდომებზე დასწრებას. მაგრამ არცთუ უანგაროდ: იქცნენ რა ალიანსის სრულუფლებიან წევრებად, მათ კვლავ განაცხადეს თავიანთი გადაწყვეტილების შესახებ, მოეხდინათ მისი სისტემის რეფორმირება იმისათვის, რომ მიეღწიათ მნიშვნელოვანი თანაფარდობისათვის მის ამერიკელ ხელმძღვანელობასა და ევროპელ მონაწილეთა შორის. მათ უნდოდათ, რომ კოლექტიურ ევროპულ ელემენტს უფრო აქტიური პოზიცია დაეკავებინა და გაცილებით მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა. როგორც საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ერვე დე შარეტმა თავის 1996 წლის 8 აპრილის სიტყვაში განაცხადა: „საფრანგეთისათვის მთავარ მიზანს (პარტნიორული ურთიერთობის აღდგენის) წარმოადგენს ნდობის ღირსსა და პოლიტიკური სახის ალიანსში, როგორც ევროპული სახელმწიფოს თვითდამკვიდრება“.

იმავდროულად, პარიზი სრულიად მზად იყო ტაქტიკურად გამოეყენებინა რუსეთთან თავისი ტრადიციული კავშირები იმისათვის, რომ შეეკავებინა ამერიკის ევროპული პოლიტიკა და აეღორძინებინა, როცა კი ეს მიზანშეწონილი იქნებოდა, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის ძველი შეთანხმება, რათა ასე კომპენსაცია მოეხდინა გერმანიის როლის ზრდისათვის ევროპაში. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა 1996 წლის აგვისტოში ამის შესახებ თითქმის აშკარა ტექსტით განაცხადა: „თუ საფრანგეთს სურს საერთაშორისო დონეზე როლი ითამაშოს, მისთვის ხელსაყრელია ძლიერი რუსეთის არსებობა და

მისთვის დახმარების გაწევა, ძლიერი სახელმწიფოს სახით განმეორებით თვითდამკვიდრებაში“, რითაც წააქეზა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ეთქვა, რომ „მსოფლიოს ყველა ლიდერიდან ფრანგ ხელმძღვანელებს ყველაზე კონსტრუქციული მიდგომა აქვთ რუსეთთან ურთიერთობების მიმართ”.[11]

თავდაპირველად, ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებისადმი საფრანგეთის ზერელე მხარდაჭერა – მისი სასურველობის შესახებ, თავისი არსით, იყო ცუდად შენიღბული სკეპტიციზმი, რომელიც, გარკვეული აზრით, იქცა ტაქტიკად, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული, განემტკიცებინა საფრანგეთის გავლენა შეერთებულ შტატებთან ურთიერთობაში. სწორედ იმიტომ, რომ ამერიკა და გერმანია იყვნენ ნატოს გაფართოების მთავარი მომხრეები, საფრანგეთს აწყობდა ემოქმედა წინდახედულად, თავშეკავებულად გამოეთქვა თავისი მწუხარება ამ ინიციატივის რუსეთზე შესაძლებელ ზეგავლენაზე და მოსკოვთან ურთიერთობებში გამოსულიყო ყველაზე გულისხმიერ ევროპელ თანამოსაუბრედ. ცენტრალური ევროპის ზოგიერთ წარმომადგენელს ისიც კი მოეჩვენა, რომ საფრანგეთმა იმის შესაძლებლობა მოგვცა, გაგვეგო, რომ ის აღმოსავლეთ ევროპაში რუსეთის გავლენის სფეროს წინააღმდეგი არ იყო. ამრიგად, რუსეთის ბანქოს გათამაშება არა მარტო დაეხმარა საფრანგეთს დაპირისპირებოდა ამერიკას და აშკარად ეჩვენებინა გერმანიისთვის საფრანგეთის ზრახვები, არამედ განამტკიცა კიდეც შეერთებული შტატების მიერ ნატოს რეფორმების შესახებ საფრანგეთის მოთხოვნილების დადებითად განხილვის აუცილებლობა.

საბოლოო ჯამში, ნატოს გაფართოება მოითხოვს ალიანსის 16 წევრს შორის სრულ თანხმობას. პარიზმა იცოდა, რომ მისი უსიტყვო თანხმობა არა მარტო უკიდურესად აუცილებელი იქნებოდა ასეთი თანხმობის მისაღწევად, არამედ ისიც, რომ

---

11 ციტ. Le Nouvel Observateur, 1996, Aug. 12 მიხედვით.

საფრანგეთისგან დასჭირდებოდათ რეალური მხარდაჭერა, რათა თავიდან აეცილებინათ ალიანსის სხვა წევრების ობსტრუქცია. ამიტომაც საფრანგეთი არ მალავდა თავის განზრახვას, ნატოს გაფართოებისადმი მხარდაჭერა ისე განეხორციელებინა, რომ ის, როგორც ალიანსის შინაგან ძალთა ბალანსის, ასევე მისი ორგანიზაციის საფუძვლების მიმართ, შეერთებული შტატების ალიანსში საფრანგეთის მისწრაფებების საბოლოო დაკმაყოფილების საწინდრად ქცეულიყო.

საფრანგეთი თავიდანვე უხალისოდ უჭერდა მხარს ევროპული კავშირის აღმოსავლეთით გაფართოებას. აქ, ძირითადად, ამერიკის დახმარებით, ლიდერობდა გერმანია, თუმცა კი, მისი მონაწილეობა უფრო უმნიშვნელო იყო, ვიდრე ნატოს გაფართოების შემთხვევაში. ნატოში საფრანგეთი მზად იყო ემტკიცებინა, რომ ევროპული კავშირის გაფართოება ყველაზე ხელსაყრელი თავშესაფარი გახდებოდა ყოფილი კომუნისტური ქვეყნებისათვის, მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც კი გერმანიამ დაიწყო დაჟინებული მოთხოვნა ევროპული კავშირის, რაც შეიძლება სწრაფი გაფართოებისა და მასში ცენტრალური ევროპის ქვეყნების ჩართვის შესახებ, საფრანგეთმა შეშფოთება გამოხატა ტექნიკური ფორმალობის მიმართ და მოითხოვა, რომ ევროპულ კავშირს ისეთივე ყურადღება გამოევლინა დაუცველი სამხრეთის ფლანგის – ევროპული ხმელთაშუა ზღვისპირეთისადმი (ეს უთანხმოება ჯერ კიდევ 1994 წლის ნოემბერში წარმოიშვა უმაღლეს დონეზე ფრანკო-გერმანული შეხვედრისას). იმ სიჯიუტემ, რომელიც საფრანგეთმა ამ საკითხის მიმართ გამოიჩინა, მას ნატოს სამხრეთევროპული წევრი ქვეყნების მხარდაჭერა მოუპოვა და ამგვარად, საფრანგეთის მოლაპარაკებების წარმართვის შესაძლებლობანი მაქსიმალურად გაზარდა. მაგრამ ამის შედეგად, გაიზარდა ევროპაზე საფრანგეთისა და გერმანიის გეოპოლიტიკურ წარმოდგენებს შორის გან-

ხეთქილება, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ იქნა შენელებული საფრანგეთის მიერ 1996 წლის მეორე ნახევარში პოლონეთის ნატოსა და ევროპის კავშირში შესვლის დაგვიანებული მოწონების წყალობით.

ეს განხეთქილება, თუ მხედველობაში მივიღებთ ცვალებად ისტორიულ კონტექსტს, გარდაუვალი იყო. ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, დემოკრატიული გერმანია აღიარებდა საფრანგეთისა და გერმანიის შერიგების აუცილებლობას, ევროპის დაქუცმაცებულ დასავლეთ ნაწილში ევროპული თანამეგობრობის შექმნისათვის. ეს შერიგება ფრიად მნიშვნელოვანი იყო გერმანიის ისტორიული რეაბილიტაციისათვის. ამიტომაც, საფრანგეთის მიერ ლიდერობის მიღება ამის სამართლიანი საფასური იყო, იმავდროულად, დაუცველი დასავლეთ გერმანიის მიმართ ჯერ კიდევ შემორჩენილი საბჭოური საფრთხის გამო. ამერიკისადმი ერთგულება გადარჩენის უმნიშვნელოვანეს პირობად იქცა. ამას თვით ფრანგებიც კი აღიარებდნენ. მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საფრანგეთის დაქვემდებარება გაფართოებული და მნიშვნელოვანწილად გაერთიანებული ევროპული საზოგადოების შექმნისათვის, არ იყო არც გარდაუვალი და არც მიზანშეწონილი. თანასწორუფლებიანი ფრანკო-გერმანული პარტნიორობა – თანაც გერმანია ახლა, არსებითად იქცა უფრო ხელსაყრელ პარტნიორად – იქნებოდა უაღრესად სამართლიანი გარიგება პარიზისათვის. ამიტომაც, ფრანგებს მოუწევდათ, უბრალოდ, შერიგებოდნენ იმას, რომ გერმანია უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხში უპირატესობას ანიჭებდა თავის ოკეანისგაღმელ მოკავშირესა და დამცველს.

ცივი ომის დამთავრების შემდეგ ეს კავშირი ამერიკასთან გერმანიისთვის უფრო მნიშვნელოვანი გახდა. წარსულში ის გერმანიას იცავდა საგარეო, მაგრამ უშუალო მუქარისაგან და აუცი-

ლებელი პირობა იყო ქვეყნის საბოლოო გაერთიანებისათვის. საბჭოთა კავშირის დაშლისა და გერმანიის გაერთიანების შემდეგ, ამერიკასთან კავშირი იქცა „ქოლგად“, რომლის საფარქვეშ გერმანიამ შეძლო უფრო აშკარად დამკვიდრებულიყო ცენტრალური ევროპის ლიდერის როლში, არ შეექმნა რა, ამასთან ერთად, მუქარა თავის მეზობლებისათვის. ამერიკის კავშირი იქცა მისი წესიერების არა უბრალო დამამტკიცებელ საბუთად, მან გერმანიის მეზობლებს უჩვენა, რომ გერმანიასთან მჭიდრო ურთიერთობები, ასევე, ნიშნავდა გაცილებით მჭიდრო ურთიერთობებს ამერიკასთან. ყველაფერმა ამან გერმანიას საშუალება მისცა აშკარად განესაზღვრა საკუთარი გეოპოლიტიკური პრიორიტეტები.

გერმანიას, რომელმაც მყარად მოიკიდა ფეხი ევროპაში და თავად აღარ წარმოადგენდა საფრთხეს, თავიდან აიცილა რა საშიშროება ამერიკელთა სამხედრო ყოფნის წყალობით, ახლა უკვე შეეძლო, დახმარება გაეწია ცენტრალური ევროპის გათავისუფლებული ქვეყნებისთვის და ჩართულიყო ერთიანი ევროპის სტრუქტურაში. ეს იქნებოდა არა ძველი, გერმანული იმპერიალიზმის დროინდელი „მიტტელ-ევროპა“,[12] არამედ გერმანიის კაპიტალდაბანდებებითა და ვაჭრობით სტიმულირებული ქვეყნებშორისი მეგობრული ურთიერთობების უფრო მეტი ეკონომიკური აღორძინების გაერთიანება. საბოლოო ჯამში, როგორც ევროპული კავშირის, ისე ნატოს შემადგენლობაში ახალი „მიტტელ-ევროპის ფორმალური ჩართვით, გერმანია გამოვიდოდა ორგანიზატორის როლშიც. ვინაიდან საფრანგეთისა და გერმანიის კავშირი საშუალებას აძლევდა გერმანიას, უფრო მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა რეგიონებში, მისთვის აუცი-

12 Mitteleuropa – „ცენტრალური ევროპა“ (გერ.) მთარგმნელის შენიშვნა.

ლებლობას არ წარმოადგენდა სიფრთხილის გამოჩენა თავისი განსაკუთრებული ინტერესების ზონაში თვითდამკვიდრებაში.

ევროპის რუკაზე გერმანიის განსაკუთრებული ინტერესების ზონა შეიძლება ისეთი ოვალის სახით გამოიხატოს, რომელიც დასავლეთით მოიცავს, რა თქმა უნდა, საფრანგეთს, აღმოსავლეთით კი, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის გათავისუფლებულ პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებს – ბალტიისპირა რესპუბლიკებს, უკრაინასა და ბელორუსიას, აგრეთვე, ნაწილობრივ, რუსეთსაც (იხ. რუკა XI). ეს ზონა, ისტორიული მნიშვნელობით, ხშირ შემთხვევაში, ემთხვევა გერმანიის იმ შემოქმედებითი კულტურული გავლენის ტერიტორიას, რასაც ის ახდენდა ნაციონალიზმამდელ ეპოქაში ცენტრალურ, აღმოსავლეთ და ბალტიისპირა რესპუბლიკებზე იმ გერმანული ქალაქისა და სოფლის კოლონისტებით, რომლებიც მთლიანად იქნენ განადგურებულნი მსოფლიო ომის მსვლელობის ჟამს. უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გერმანელებისა და ფრანგების განსაკუთრებული ინტერესების ზონები (რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ), თუ მათ რუკაზე ერთობლიობაში განვიხილავთ, არსებითად, განსაზღვრავენ ევროპის დასავლეთ და აღმოსავლეთ საზღვრებს, მაშინ, როცა ამ ზონების ნაწილობრივი დამთხვევა, ხაზს უსვამს საფრანგეთისა და გერმანიის კავშირის, როგორც ევროპის სასიცოცხლო საფუძვლის, უეჭველ გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას.

გერმანიის, ცენტრალურ ევროპაში უფრო აშკარა თვითდამკვიდრების საკითხში, გარდატეხის მომენტად გადაიქცა 90-იანი წლების შუახანებში გერმანია-პოლონეთის ურთიერთობების რეგულირება. მიუხედავად თავდაპირველი არასასურველობისა, გაერთიანებულმა გერმანიამ (აშშ-ს წაქეზებით) ბოლოს, მაინც, ოფიციალურად აღიარა პოლონეთთან მუდმივ საზღვრად ოდერნოისი და ამ ნაბიჯმა მოსპო პოლონეთისათვის გერმანი-

ასთან მჭიდრო ურთიერთობების გზაზე ხელის შემშლელი ყველაზე მნიშვნელოვანი დაბრკოლება. მომდევნო კეთილი ნებისა და ურთიერთპატიების ჟესტის წყალობით, ეს ურთიერთობები მნიშვნელოვნად შეიცვალა. გერმანიასა და პოლონეთს შორის ვაჭრობამ მკვეთრად იმატა (1995 წელს პოლონეთმა შეცვალა რუსეთი აღმოსავლეთში გერმანიის ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორის სახით), გარდა ამისა, გერმანიამ ყველაზე დიდი ძალისხმევა გაიღო პოლონეთის ევროპულ კავშირსა და (შეერთებული შტატების დახმარებით) ნატოში შესვლის ორგანიზაციაში. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ 90-იანი წლების შუახანებისათვის, პოლონეთ-გერმანიის თანამშრომლობამ თანდათანობით ისეთივე მნიშვნელობა მიიღო ცენტრალური ევროპისათვის, როგორიც დასავლეთ ევროპისთვის ადრე მომხდარმა ფრანკო-გერმანულმა რეგულირებამ.

პოლონეთის საშუალებით გერმანიის გავლენა შეიძლება გავრცელდეს ჩრდილოეთით ბალტიისპირეთის რესპუბლიკებზე – და, აღმოსავლეთით – უკრაინასა და ბელორუსიაზე. მეტიც, პოლონეთ-გერმანიის თანამშრომლობის ჩარჩოები გარკვეულწილად გაფართოვდა იმის წყალობით, რომ პოლონეთმა მომავალი ევროპის საკითხებზე რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა ფრანკო-გერმანულ მნიშვნელოვან დისკუსიებში. ეგრეთ წოდებულმა „ვაიმარის სამკუთხედმა“ (ეს სახელი ეწოდა იმ გერმანული ქალაქის პატივსაცემად, სადაც პირველად ჩატარდა ფრანკო-გერმანულ-პოლონური კონსულტაციები უმაღლეს დონეზე, და, რომელიც შემდეგშიც რეგულარულად ტარდებოდა) ევროპის კონტინენტზე შექმნა პოტენციურად დიდი მნიშვნელობის მქონე გეოპოლიტიკური „ღერძი“, რომელიც მოიცავდა დაახლოებით 180 მილიონ კაცს, რომლებიც ეკუთვნოდნენ აშკარად ეროვნული თვითმყოფადობით გამოხატულ სამ ერს. ამან, ერ-

თი მხრივ, კიდევ უფრო განამტკიცა ცენტრალურ ევროპაში გერმანიის წამყვანი როლი, მაგრამ მეორე მხრივ, ეს როლი, რამდენადმე გათანაბრებული იყო საფრანგეთისა და პოლონეთის სამმხრივ დიალოგში მონაწილეობით.

გერმანიის აშკარა ერთგულებამ ევროპული საკვანძო ინსტიტუტების აღმოსავლეთისკენ გადაადგილებისადმი, დახმარება გაუწია ცენტრალური ევროპის ქვეყნებს, განსაკუთრებით კი, შედარებით პატარებს, შერიგებოდნენ გერმანიის ლიდერობას. აიღო რა თავის თავზე ასეთი ვალდებულებები, გერმანიამ განახორციელა ისტორიული მისია, რომელიც ძლიერ განსხვავდებოდა ზოგიერთი საკმაოდ ფესვგადგმული დასავლეთევროპული შეხედულებისაგან. ამ შეხედულებების თანახმად, მოვლენები, რომლებიც გერმანიისა და ავსტრიის აღმოსავლეთით ვითარდებოდა, აღიქმებოდა ისეთად, რომელთაც თანამედროვე ევროპისადმი არავითარი კავშირი არ ჰქონდა. ასეთი მიდგომა, რომელიც ჩამოყალიბებულ იქნა XVIII საუკუნის დასაწყისში ლორდი ბოლინბროკის[13] მიერ, ამტკიცებდა, რომ აღმოსავლეთში პოლიტიკურ ძალადობას მნიშვნელობა არა აქვს დასავლეთ ევროპისათვის – გაჩნდა მიუნხენის კრიზისის დროს 1938 წელს; მან, ასევე, თავისი ტრაგიკული ასახვა პოვა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ურთიერთობაში ბოსნიის კონფლიქტის დროს 90-იანი წლების შუახანებში. მან, მომავალი ევროპის საკითხებთან დაკავშირებით, შეიძლება თავი იჩინოს თანამედროვე დისკუსიებშიც.

გერმანიაში, ამის საწინააღმდეგოდ, ერთადერთ არსებით სადისკუსიო საკითხად მიჩნეულ იქნა საკითხი იმაზე, თავდაპირველად საჭირო იყო ნატოს თუ ევროპული კავშირის გაფართოება. თავდაცვის მინისტრი ემხრობოდა პირველს, საგარეო საქ-

13 იხ. History of Europe from the Pirenean Peace to the Death of Louis XIV.

მეთა მინისტრი – მეორეს და, ამის შედეგად, გერმანია მიჩნეულ იქნა გაფართოებადი და მეტწილად გაერთიანებადი ევროპის მომხრედ. გერმანიის კანცლერი ლაპარაკობდა იმაზე, რომ 2000 წელი უნდა ქცეულიყო აღმოსავლეთით ევროპული კავშირის გაფართოების საწყის წლად, გერმანიის თავდაცვის მინისტრმა კი, ერთ-ერთმა პირველმა, აღნიშნა, რომ ნატოს შექმნის 50 წლისთავი წარმოადგენდა ჭეშმარიტ, სიმბოლურ თარიღს ალიანსის ამ მიმართულებით გაფართოებისათვის. ამრიგად, მომავალი ევროპის გერმანული კონცეფცია არ დაემთხვევა გერმანიის მთავარი მოკავშირეების წარმოდგენებს – ინგლისელებმა აზრი გამოთქვეს ევროპის გაერთიანების სასარგებლოდ, რადგანაც ამაში ხედავენ ევროპის ერთიანობის დასუსტების ხერხს. ფრანგები შიშობდნენ, რომ ევროპის გაერთიანება გააძლიერებდა გერმანიის როლს და ამიტომაც, უპირატესობას ანიჭებდნენ უფრო ვიწრო საფუძველზე ინტეგრაციას. გერმანიამ მხარი დაუჭირა ერთსაც და მეორესაც და ამგვარად, ცენტრალურ ევროპაში მოიპოვა საკუთარი განსაკუთრებული მდგომარეობა.

აშშ-ის ძირითადი მიზანი

ამერიკისათვის ცენტრალური საკითხია, როგორ მოაწყოს სასიცოცხლოდ გამძლე, უწინდებურად შეერთებულ შტატებთან დაკავშირებულ ფრანკო-გერმანულ გაერთიანებაზე დაფუძნებული ისეთი ევროპა, რომელიც გააფართოებს თანამშრომლობის საერთაშორისო დემოკრატიული სისტემის ჩარჩოებს, რაზეც მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული ამერიკული გლობალური პირველობის განხორციელება. აქედან გამომდინარე, საქმე იმაში კი არაა, არჩევანი გავაკეთოთ საფრანგეთსა და გერმანიას შორის. ევროპა შეუძლებელია როგორც საფრანგეთის, ისე გერმანიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან შეიძლება სამი ძირითადი დასკვნის გამოტანა:

1. აშშ-ს ევროპული გაერთიანების საქმეში ჩაბმა აუცილებელია იმისათვის, რომ მოვახდინოთ მორალისა და მიზნის იმ შინაგანი კრიზისის კომპენსირება, რომელიც ძირს უთხრის ევროპის სიცოცხლისუნარიანობას, გადავლახოთ ევროპელთა ფართოდ გავრცელებული ეჭვი, რომ შეერთებული შტატები, საბოლოო ჯამში, მხარს არ უჭერს ევროპის ჭეშმარიტ ბედნიერებას და სული ჩაბეროს ევროპულ წამოწყებაში აუცილებელი დემოკრატიული გზნების მუხტს. ეს მოითხოვს აშშ-ს მხრიდან გულახდილ დაპირებას, საბოლოოდ აღიაროს ევროპა, როგორც ამერიკელთა გლობალური პარტნიორი.

2. ხანმოკლე პერსპექტივაში ფრანგული პოლიტიკის ტაქტიკური დაპირისპირება და გერმანიის ლიდერობის მხარდაჭერა გა-

მართლებულია; შემდეგში კი, თუ ჭეშმარიტი ევროპა მართლაც უნდა რეალობად იქცეს, ევროპულ გაერთიანებას მოეთხოვება აღიქვას უფრო მეტი პოლიტიკური და სამხედრო იდენტურობის მახასიათებელი. ეს მოითხოვს ატლანტიკურშორისო ორგანოებში უფლებამოსილებათა განაწილების საკითხის ფრანგული ჭვრეტისადმი თანდათანობით შეგუებას.

3. არც საფრანგეთი და არც გერმანია იმდენად ძლიერები არ არიან, რომ ევროპა ცალ-ცალკე ააშენონ, ან ევროპის გეოგრაფიული სივრცის განსაზღვრაში რუსეთთან გაურკვევლობის საკითხი გადაწყვიტონ. ევროპის სივრცის განსაზღვრა, აქედან გამომდინარე კი, რუსეთისათვის ისეთი გამაღიზიანებელი საკითხების გადაჭრა, როგორიც ბალტიისპირეთისა და უკრაინის რესპუბლიკების ევროპულ სისტემაში შესაძლებელი სტატუსია, მოითხოვს გერმანელებთან ერთად აშშ-ს ენერგიულ, დაძაბულ და გადამჭრელ მონაწილეობას.

ევრაზიის გრანდიოზული სივრცეების თვალის მხოლოდ ერთი შევლება ხაზს უსვამს აშშ-სათვის ევროპული პლაცდარმის როგორც გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას, ისე მის გეოგრაფიულ უბრალოებას. ამ პლაცდარმის შენარჩუნებას და მისი, როგორც დემოკრატიის წინსვლის ტრამპლინის გაფართოებას უშუალო დამოკიდებულება აქვს შეერთებული შტატების უსაფრთხოებასთან. ერთი მხრივ, ამერიკული წარმოდგენების და მათთან დაკავშირებული დემოკრატიის გავრცელების გლობალურ მასშტაბებსა და მეორე მხრივ, ევროპის ამ საკითხებისადმი (მიუხედავად საფრანგეთის, როგორც გლობალური „დერჟავის თვითდამკვიდრების სტატუსისა) მოჩვენებით გულგრილობას შორის არსებული განსხვავებები აუცილებლად უნდა მოიხსნას, პოზიციების დაახლოება კი, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევა-

ში, თუკი ევროპა უფრო კონფედერაციულ ხასიათს მიიღებს. ევროპას არ შეუძლია იქცეს ერთეროვნულ სახელმწიფოდ მისი მრავალმხრივი ეროვნული ტრადიციების სიმტკიცის გამო, მაგრამ მას უნარი შესწევს იქცეს ფორმირებად, რომელიც საერთო პოლიტიკური ორგანოებით ერთობლიობაში გამოხატავდა მის მიერ გაზიარებულ დემოკრატიულ ღირებულებებს, განსაზღვრავდა საკუთარ, უნიფიცირებულ ინტერესებს და წარმოადგენდა ევრაზიულ სივრცეში მიზიდულობის წყაროს მეზობლებისათვის.

განმარტოებული ევროპელები რისკავენ, ჩაფლულები აღმოჩნდნენ საკუთარ სოციალურ პრობლემებში. ევროპული ეკონომიკის აღდგენა ჩრდილავს მისი შესაძლო წარმატების გრძელვადიან ფასს, რასაც მოაქვს როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური ზიანი. პოლიტიკური ლეგიტიმურობისა და ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის კრიზისი, რომელსაც დასავლეთ ევროპა სულ უფრო მეტი ძალით ეჯახება – მაგრამ უნარი არ შესწევს გადალახოს – ღრმად ფესვგადგმულია საყოველთაოდ გავრცელებულ და სახელმწიფოს მიერ წახალისებულ საზოგადოებრივ წესში, რომელიც ხელს უწყობს პატერნალიზმს, პროტექციონიზმსა და კუთხურობას. ამის შედეგია კულტურული მდგომარეობა, რომლის ესკაპისტური ჰედონიზმი[14] შეხამებულია სულიერ სიცარიელესთან, მდგომარეობასთან, რომელიც შეიძლება გამოიყენონ თავის ინტერესებისთვის ნაციონალურად განწყობილმა ექსტრემისტებმა ან იდეოლოგ-დოგმატიკოსებმა.

ასეთი მდგომარეობა, თუკი ეპიდემიურ ხასიათს მიიღებს, სასიკვდილო აღმოჩნდება დემოკრატიისა და ევროპული იდეებისათვის, ეს ორი "უკანასკნელი, სინამდვილეში, დაკავშირებულია ევროპის ახალ პრობლემასთან – ემიგრაციასთან ან ამე-

14 სინამდვილიდან გაქცევა ეგოისტური კმაყოფილებისა და ტკბობის საშუალებით. მთარგმ. შენიშვნა.

რიკასთან, ან აზიასთან ეკონომიკურ ტექნოლოგიურ მეტოქეობასთან; თუ არაფერს ვიტყვით იმ არსებული სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურების სტაბილური რეფორმირების პოლიტიკურ აუცილებლობაზე, რომელთა ეფექტური გამოყენებაც შესაძლებელია მხოლოდ გაფართოებად კონტინენტურ კონტექსტში, ევროპა უფრო დიდია, ვიდრე მისი ნაწილების ჯამი – ე. ი. ევროპა, რომელიც თავის გლობალურ როლს დემოკრატიის წინსვლასა და ჰუმანიტარული ღირებულებების უფრო ფართო მოძღვრებაში ჭვრეტს, ის დიდი ალბათობით იქნება ევროპა, რომელიც განუხრელად შეუვალი იქნება პოლიტიკური ექსტრემიზმის, ვიწრო ნაციონალიზმისა და სოციალური ჰედონიზმისათვის.

არ ღირს გერმანია-რუსეთის დაახლოების შესახებ ადრე არსებული შიშის განახლება და, არც ფრანგების ტაქტიკური ფლირტის შედეგების გაზვიადება მოსკოვთან, რომელიც შეშფოთებას მოუცავს ევროპაში გეოპოლიტიკური სტაბილურობის – და მასში იმ ადგილით, ამერიკამ რომ დაიკავა, ევროპელების მიერ გაერთიანებისათვის წამოწყებული ამჟამინდელი ძალისხმევის შესაძლებელი წარუმატებლობის გამო.

ნებისმიერმა მსგავსმა წარუმატებლობამ, მართლაც, შეიძლება, გამოიწვიოს ევროპისათვის ტრადიციული ზოგიერთი მანევრის განახლება. ეს, უეჭველია, როგორც რუსეთისათვის, ისე გერმანიისათვის შექმნიდა გეოპოლიტიკური თვითდამკვიდრების შესაძლებლობას, მიუხედავად იმისა, რომ თუკი, ევროპის ისტორია რაიმეს გვასწავლის, ამ თვალსაზრისით არც ერთი და არც მეორე, ალბათ, ვერ მიაღწევდა ხანგრძლივ წარმატებას, თუმცა, უკიდურეს შემთხვევაში, გერმანია, ალბათ, უფრო ჯიუტად და არაორაზროვნად განსაზღვრავდა საკუთარ ეროვნულ ინტერესებს.

ამჟამად გერმანიის ინტერესები ემთხვევა ევროპული კავშირისა და ნატოს ინტერესებს და ამით კეთილშობილდება. თვით „ალიანსი-90-მწვანეების მემარცხენე წარმომადგენლებიც კი, იცავდნენ როგორც ნატოს, ისე ეკ-ის გაფართოებას. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ევროპის გაერთიანება და გაფართოება შეფერხდება, უნდა ვივარაუდოთ ზოგიერთი მიზეზი, რომ ამოტივტივდება ევროპული „წესრიგის გერმანული კონცეფციის უფრო ნაციონალური ახსნა-განმარტებანი და მაშინ ის იქცევა ევროპული სტაბილურობისათვის ზიანის მომტან პოტენციურ წყაროდ. ბუნდესტაგში ქრისტიან-დემოკრატების ლიდერმა და კანცლერ ჰელმუტ კოლის შესაძლებელმა მემკვიდრემ, ვოლფგანგ შოიბლემ, ეს მიდგომა გამოხატა განცხადებით, რომ გერმანია უკვე აღარ წარმოადგენს აღმოსავლეთის წინააღმდეგ დასავლეთის ბასტიონს: „ჩვენ ცენტრად ვიქეცით“. თან მრავალმნიშვნელოვნად დაამატა, რომ შუა საუკუნეებში, დიდი ხნის მანძილზე... გერმანია ჩართული იყო ევროპის წესრიგის შექმნაში (ხაზგასმა ჩემია – ზბ. ბ.)[15]. ამ წარმოდგენების თანახმად, იმის მაგიერ, რომ „მიტტელ-ევროპა“ ყოფილიყო ევროპის რეგიონი, სადაც გერმანიას ექნებოდა ეკონომიკური უპირატესობა, ის ალბათ, იქცევა გერმანიის აშკარა უპირატესობის ზონად და, ასევე აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიმართ გერმანიის უფრო ცალმხრივი პოლიტიკის საფუძვლად.

ევროპა მაშინ, ალბათ, აღარ იქნება ამერიკელთა ძლიერებისათვის ევრაზიის პლაცდარმი და პოტენციური ტრამპლინი ევრაზიაში გლობალური დემოკრატიული სისტემის გაფართოებისათვის. ამიტომ, აშკარად აუცილებელია, დავეთანხმოთ ევროპის გაერთიანებისათვის არაორაზროვან და საგრძნობ მხარდაჭერას. თუმცა, როგორც ევროპის ეკონომიკური აღდგენის მსვლელობის დროს, ისე აშშ-ს ატლანტიკური თავდაცვის ალი-

15 Politiken Sondag - 1996 – Aug. 2.

ანსში, აშშ მრავალგზის აცხადებდა ევროპის გაერთიანებისა და ევროპაში საერთაშორისო თანამშრომლობისათვის მხარდაჭერის შესახებ, ის ისე იქცევა, თითქოსდა, ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხების განხილვისას უპირატესობას ანიჭებდა საქმის დაჭერას ევროპის ცალკეულ სახელმწიფოებთან და არა ევროპულ კავშირთან. შეერთებული შტატების მიერ დროგამოშვებით წამოყენებულ პრეტენზიებს, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ხმის უფლების შესახებ, მივყავდით ევროპელთა ეჭვების გაძლიერებამდე, რომ აშშ მათ შორის ურთიერთობებს მხარს უჭერს მხოლოდ იმ დროს, როცა ისინი ამერიკელების მითითებებს ასრულებენ და არა მაშინ, როცა ისინი ევროპული პოლიტიკის დამუშავებით არიან დაკავებული. ასეთი წარმოდგენის შექმნა არასწორი და ზიანის მომტანია.

ევროპის ერთიანობისადმი ამერიკელთა ერთგულება, რაც კიდევ ერთხელ დამაჯერებლად გაცხადდა 1995 წლის დეკემბერში ამერიკა-ევროპის მადრიდის ერთობლივ დეკლარაციაში, გულწრფელი არ იქნება მანამდე, სანამ აშშ არ დათანხმდება არა მარტო არაორაზროვნად აღიაროს, რომ ის მზად არის მიიღოს ევროპის ჭეშმარიტ ევროპაში გარდაქმნის შედეგები, არამედ იმოქმედებს შესაბამისად. ამ უკანასკნელისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანი იქნებოდა პრივილეგირებული, მაგრამ მაინც გულწრფელი პარტნიორობა შეერთებულ შტატებთან. უმცროსი მოკავშირის სტატუსის მაგიერ გულწრფელი პარტნიორობა კი ნიშნავს როგორც გადაწყვეტილების მიღების, ისე პასუხისმგებლობის განაწილებას. ამ განზრახვისათვის ამერიკელების მხარდაჭერა, ალბათ, დაეხმარება ატლანტიკურშორისი დიალოგისათვის იმპულსის მიცემას და წააქეზებს ევროპელებს იმ როლის უფრო სერიოზული გათავისებისათვის, რომელიც შეუძლია ითამაშოს ჭეშმარიტად მნიშვნელოვან ევროპას მსოფლიოში.

ალბათ, განსაზღვრულ მომენტში, ერთიანი და მძლავრი ევროპული კავშირი შეძლებდა შტატებისათვის გლობალურ პოლიტიკურ მეტოქედ გადაქცევას. ის, უეჭველია, შეიძლება აღმოჩენილიყო იმ ეკონომიკურ-ტექნოლოგიურ კონკურენტად, რომლის ინტერესები ახლო აღმოსავლეთსა და, სადაც არ უნდა იყოს, ჯერ კიდევ შორდება ამერიკელებისას. სინამდვილეში კი, ასეთი მძლავრი და პოლიტიკურად ერთსულოვანი ევროპა, შეუძლებელია ვიხილოთ ახლო მომავალში. იმ პირობებისაგან განსხვავებით, რომლებიც ბატონობდა ამერიკაში შეერთებული შტატების შექმნის დროს, არსებობს ევროპის სახელმწიფო – ნაციების სიცოცხლისუნარიანობის ღრმა ისტორიული ფესვები, მრავალეროვანი ევროპის შექმნის მიმართ ენთუზიაზმი კი აშკარად მცირდება.

მომავალი ერთი ან ორი ათწლეულის რეალური ალტერნატივებია, ან სულ უფრო გაფართოებადი და გაერთიანებადი ევროპა, რომელიც, მართალია, გაუბედავად, მაგრამ ნახტომისებურად მიზნად ისახავს კონტინენტურ ერთიანობას, ანდა ევროპა, საყაიმო მდგომარეობაში მოქცეული, რომელიც ფეხსაც კი ვერ მოიცვლის ინტეგრაციის ამჟამინდელი მდგომარეობიდან და გეოგრაფიული სივრცის საზღვრებიდან, და როგორც საყაიმო მდგომარეობაში მყოფისათვის, სავარაუდოდ, შესაძლებელია თანდათანობით დაქუცმაცებადი ევროპა, სადაც განახლდება სახელმწიფოთა ძველი მეტოქეობა. საყაიმო მდგომარეობის ვითარებაში გერმანიის თვითგაიგივება ევროპასთან თითქმის გარდაუვლად შემცირდება, გამოიწვევს რა გერმანიის სახელმწიფოებრივი ინტერესების ნაციონალურ ახსნა-განმარტებებს. ამერიკის შეერთებული შტატებისათვის პირველი ვარიანტი, როგორც ჩანს, ყველაზე საუკეთესოა, მაგრამ იმისათვის, რომ ის რეალიზებულ იქნეს, საჭიროებს მასტიმულირებელ მხარდაჭერას.

ევროპის გაუბედავი მშენებლობის ამ ეტაპზე აუცილებელი არაა, რომ შეერთებული შტატები უშუალოდ ჩაერიოს ისეთი საკითხების მიმართ დახლართულ დისკუსიაში, როგორიცაა: ვალდებულია თუ არა ევროპა საგარეო-პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიიღოს ხმათა უმრავლესობით (ამ პოზიციას განსაკუთრებით გერმანია უჭერს მხარს); ულირს კი ევროპარლამენტს, თავს იდოს უზენაესი საკანონმდებლო ხელისუფლების ფუნქციები, ევროკომისია კი ბრიუსელში, არსებითად, იქცეს ევროპის აღმასრულებელ ხელისუფლებად? აუცილებელია, თუ არა ევროპის ეკონომიკური და სავალუტო კავშირის მიმართ შეთანხმებების შესრულების გრაფიკის შერბილება; დაბოლოს, ვალდებულია თუ არა ევროპა, იყოს ფართო კონფედერაცია, ან მრავალსაფეხურიანი ფორმირება შინაგანი ფედერაციული ბირთვითა და გარკვეულ დონეზე უფრო ბუნდოვანი საგარეო პოლიტიკით? ეს საკითხები ევროპელებმა თავიანთ წრეში უნდა დასძლიონ, უფრო მეტად კი, სავარაუდოა, რომ ყველა ამ პრობლემასთან მიახლოება არათანაბარზომიერი იქნება, შეწყდება პაუზებით და საბოლოო ჯამში, წინ წაიწევს მხოლოდ რთული კომპრომისების ხარჯზე.

მიუხედავად ამისა, არის იმის საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ ეკონომიკური და სავალუტო კავშირი აღმოცენდება 2000 წლისათვის, თავდაპირველად, შესაძლო, ეკ-ის ახლანდელი 15 წევრიდან 7-10 წევრის შემადგენლობით. ეს დააჩქარებს ევროპის ეკონომიკურ ინტეგრაციას და სავალუტო განზომილების ფარგლებს გარეთ მომავალში მოახდენს მის პოლიტიკურ ინტეგრაციას. ამრიგად, ერთიანი ევროპა, თანდათანობით, შინაგანად უფრო ინტეგრირებული ბირთვით, აგრეთვე ბუნდოვანი გარეგნული ფენით, ევრაზიის საჭადრაკო დაფაზე, სულ უფრო მეტად იქცევა მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოქმედ პირად.

შეერთებულმა შტატებმა არ უნდა შექმნას იმის შთაბეჭდილება, რომ ის უპირატესობას ანიჭებს უფრო დაჩაჩანაკებულ, თუმცა კი, უფრო ევროპულ გაერთიანებას. პირიქით, ის ვალდებულია სიტყვითა და საქმით მუდმივად ადასტურებდეს მზადყოფნას, საბოლოო ჯამში, საქმე იქონიოს ეკ-თან, როგორც პოლიტიკისა და უშიშროების სფეროში ამერიკის გლობალურ პარტნიორთან და არა უბრალოდ, როგორც რეგიონალურ საერთო ბაზართან, რომელიც შედგება აშშ-სა და ნატოს მოკავშირე ქვეყნებისაგან. ეს ვალდებულებები რომ უფრო ნდობის ღირსად იქცეს და ამგვარად, პარტნიორობაში რიტორიკაზე მაღლა ავმაღლდეთ, შეიძლება შეგვეთავაზებინა და დაგვეწყო გადაწყვეტილებათა მიღების ორმხრივი ატლანტიკურშორისი მექანიზმების შესახებ ეკ-თან ერთობლივი დაგეგმარება.

იგივე პრინციპი თანაბარზომიერად ეხება ნატოსაც. მისი შენარჩუნება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ატლანტიკურშორისი კავშირებისათვის. ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს ერთსულოვანი ამერიკულ-ევროპული თანხმობა. ნატოს გარეშე ევროპა არა მარტო აქილევსის ქუსლის მსგავსი გახდება, არამედ, თითქმის დაუყოვნებლივ, პოლიტიკურად დაშლის პირას აღმოჩნდება. ნატო მას უშიშროების გარანტიას აძლევს და უზრუნველყოფს ევროპული ერთიანობის მყარ კარკასს. აი, რა ქმნის ნატოს ისტორიულად ასე სასიცოცხლოდ აუცილებელს ევროპისათვის.

მაგრამ იმ დროს, როცა ევროპა თანდათან და გაუბედავად გაერთიანდება, აუცილებელია ნატოს შინაგანი პროცესებისა და მოწყობის რეგულირება. ამ საკითხთან დაკავშირებით, ფრანგებს განსაკუთრებული აზრი აქვთ. შეუძლებელია, ოდესმე მივიღოთ ჭეშმარიტი ერთიანი ევროპა და იმავდროულად გვქონდეს ალიანსი, რომელიც გაერთიანდება ერთი ზესახელმწიფოს პლუს 15 დამოუკიდებელი სახელმწიფოს საფუძველზე. რადგან

ევროპა ეკ-თან საკუთარი ჭეშმარიტი პოლიტიკური იდენტურობის შეძენას იწყებს, ის საკუთარ თავზე სულ უფრო მეტი ზეეროვნული მთავრობის ფუნქციებს მიიღებს, ნატო კი, იძულებული იქნება შეიცვალოს ფორმულა 1+1-ის (აშშ+ეკ) საფუძველზე.

ეს მოხდება არც ჩქარა და არც უეცრად. ამ მიმართულებით წინსვლა, ვიმეორებთ, გაუბედავი იქნება. მაგრამ ასეთი წინსვლა აუცილებელია აისახოს არსებული ალიანსის ორგანიზაციაში, რამეთუ, მსგავსი კორექტივების არარსებობა, თავისთავად, არ იქცეს დაბრკოლებად შემდგომი განვითარებისათვის. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა 1996 წელს, გაერთიანებული ერთობლივი ოპერატიული ჯგუფის დაარსების შესახებ, ნატოს გადაწყვეტილებით, რომელიც ითვალისწინებდა იმ გარკვეულწილად მხოლოდ ევროპული სამხედრო ინიციატივების შესაძლებლობას, რომლებიც დაფუძნებული იქნებოდა ნატოს უზრუნველყოფაზე, აგრეთვე, ალიანსის სარდლობის კონტროლის, კავშირისა და დაზვერვის სისტემაზე. აშშ-ს დიდი მზადყოფნა, გაითვალისწინოს საფრანგეთის მოთხოვნები ნატოში დასავლეთევროპული კავშირის როლის გაზრდის შესახებ, განსაკუთრებით კი, სარდლობისა და გადაწყვეტილებების მიღების მიმართ, ასევე იქნებოდა ევროპული გაერთიანებისადმი შეერთებული შტატების უფრო ჭეშმარიტი მხარდაჭერის მანიშნებელი და ალბათ, გარკვეულწილად, დახმარებას გაუწევდა მომავალი ევროპული თვითგამორკვევის მიმართ აშშ-სა და საფრანგეთს შორის შეუთანხმებლობის მოგვარებას.

შემდგომში დასავლეთევროპულ კავშირს (დეკ) შეუძლია თავის თავში ჩართოს ზოგიერთი ეკ-ის წევრი – ქვეყანა, რომლებიც, სხვადასხვა გეოპოლიტიკური ან ისტორიული მიზეზით, არ მიისწრაფვიან ნატოში გაწევრიანებისაკენ. ეს, ალბათ, შეიძლე-

ბა შეეხოს ფინეთს, შვედეთს, ან, შესაძლოა, ავსტრიასაც კი, რომელთაგან თითოეულმა უკვე მიიღო დეკ-ში მეთვალყურის სტატუსი.[16] შეიძლება, ნატოში შესაძლებელი გაწევრიანების წინასწარი ეტაპის სახით სხვა სახელმწიფოსაც მიზნად ჰქონდეს დეკ-თან გაერთიანება. დეკ-მა ალბათ, ასევე, შეიძლება, განსაზღვრულ მომენტში გადაწყვეტილება მიიღოს, შექმნას რაღაც ნატოს მსგავსი პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“, რომელიც გამიზნული იქნებოდა ეკ-ის პოტენციურ წევრებზე. ყველაფერი ეს დაეხმარებოდა ევროპას, უშიშროების სფეროში შექმნას თანამშრომლობის უფრო ფართო ქსელი, რომელიც განივრცობოდა ჩრდილოეთატლანტიკური ალიანსის ფორმალურ საზღვრებს იქითაც.

ამასობაში, სანამ წარმოიქმნება უფრო ერთიანი ევროპა, რაც, ყველა ხელსაყრელ პირობებშიც კი, ჩქარა არ მოხდება, შეერთებულ შტატებს მოუწევს მჭიდროდ ითანამშრომლოს საფრანგეთთანაც და გერმანიასთანაც იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ერთიანი და ფართო ევროპის წარმოქმნას. ამრიგად, საფრანგეთთან დამოკიდებულებაში ამერიკული პოლიტიკის მთავარი დილემა იყო და შემდგომშიაც იქნება: როგორ ჩაერთოს საფრანგეთი უფრო მჭიდრო ატლანტიკურ პოლიტიკურ და სამხედრო ინტეგრაციაში. საფრთხის რისკის ქვეშ რომ არ მოექცეს

---

16 აღსანიშნავია, რომ ფინეთსა და შვედეთშიც, გავლენიანმა მოღვაწეებმა დაიწყეს ნატოსთან თანამშრომლობის შესაძლებლობის განხილვა. 1996 წლის ფინეთის შეიარაღებული ძალების სარდალმა, შვედეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ცნობით, დააყენა საკითხი ნორვეგიის ტერიტორიაზე ნატოს განმსაზღვრელი კონტინგენტის ბაზირების შესაძლებლობის შესახებ, 1996 წლის აგვისტოში კი, შვედეთის პარლამენტის თავდაცვის კომიტეტმა, წამოაყენა რა რეკომენდაცია შვედეთის დასავლეთევროპულ შეიარაღებულ ჯგუფთან (დეშჯ) შეერთების შესახებ, რომელსაც მარტო ნატოს წევრები ეკუთვნოდნენ, მოიმოქმედა ის, რაც სიმპტომატური იყო უშიშროების სფეროში ნატოსთან უფრო მჭიდროდ თანამშრომლობისკენ თანდათანობით დრეიფისათვის.

ამერიკა-გერმანული კავშირი, გერმანიასთან დამოკიდებულებაში კი – როგორ გამოიყენოს აშშ-ის ატლანტიკურ ევროპაში გერმანელთა ლიდერობისადმი ნდობა ისე, რომ არ გამოიწვიოს განგაში საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში, ისევე, როგორც სხვა ევროპულ სახელმწიფოებში.

ალიანსის მომავალი მოდელის მიმართ შეერთებული შტატების უფრო დამაჯერებელი მოქნილობა, საბოლოო ჯამში, სასარგებლო იქნებოდა საფრანგეთის აღმოსავლეთის მიმართულებით გაფართოების მხარდასაჭერად. ბოლოს და ბოლოს, გაერთიანებული სამხედრო პასუხისმგებლობის ზონა გერმანიის ორივე მხარეზე უფრო მკაცრად განამტკიცებდა ამ უკანასკნელს მრავალმხრივ კარკასში, ამას კი, მნიშვნელობა ექნებოდა საფრანგეთისთვის. ამას გარდა, ალიანსის გაფართოება გაზრდიდა იმის შესაძლებლობას, რომ „ვაიმარის სამკუთხედი“ (გერმანიის, საფრანგეთისა და პოლონეთის შემადგენლობით) შეიძლება მოხდენილ საშუალებად ქცეულიყო იმისათვის, რომ გაეთანაბრებინა გერმანიის ლიდერობა ევროპაში. მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთი ნატოში შესვლის სწრაფვაში გერმანიის მხარდაჭერას ვარაუდობს (მიუხედავად მსგავსი გაფართოების მიმართ ახლო წარსულში საფრანგეთის ხანგრძლივი ყოყმანისა), მისი ალიანსის შიგნით ყოფნის შემთხვევისას, საერთო ფრანკო-პოლონურ გეოპოლიტიკურ პერსპექტივას აღმოცენებისათვის დიდი შანსი ექნებოდა.

ნებისმიერ შემთხვევაში, ვაშინგტონში მხედველობაში უნდა მიიღონ ის ფაქტი, რომ საფრანგეთი, მოკლევადიან პერსპექტივაში, ერთადერთი ოპონენტია ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა: ნატოს ევროპული იდენტურობა ან შინაგანი საქმიანობა. უფრო მნიშვნელოვანია, მხედველობაში ვიქონიოთ ის ფაქტი, რომ საფრანგეთი მნიშვნელოვან საქმეში აუცილებელი პარტნიორია და რომ, დემოკრატიული გერმანია მუდმივად

უნდა მივაჯაჭვოთ ევროპას. ასეთი ფრანკო-გერმანული ურთიერთობების ისტორიული როლი და, აღმოსავლეთით როგორც ეკ-ის, ისე ნატოს გაფართოება, ალბათ, გაზრდიდა ამ ურთიერთობების ევროპის შინაგანი ბირთვის მნიშვნელობას. დაბოლოს, საფრანგეთი იმისათვის საკმაოდ ძლიერი არაა, რომ დაბრკოლება შეუქმნას შეერთებულ შტატებს, მათ ევროპული პოლიტიკის გეოსტრატეგიულ პრინციპებს და, რომ დამოუკიდებლად იქცეს ევროპის, როგორც ასეთის, ლიდერად. ამიტომაც, საჭიროა ავიტანოთ მისი უცნაურობები და თვით გაღიზიანებული შეტევებიც კი.

ასევე მართებულია აღვნიშნოთ ის, რომ საფრანგეთი ჩრდილოეთ აფრიკასა და ფრანგულენოვანი აფრიკის ქვეყნებში ჭეშმარიტად კონსტრუქციულ როლს ასრულებს. ის მაროკოსა და ალჟირის უშუალო პარტნიორია. არსებობს ფრანგების ასეთი მიზიდულობის მნიშვნელოვანი შინაგანი მიზეზი: ამჟამად საფრანგეთში ცხოვრობს დაახლოებით 5 მილიონი მუსლიმანი. ამრიგად, საფრანგეთმა ყველაზე მნიშვნელოვანი ფსონი გააკეთა ჩრდილოეთ აფრიკაში სტაბილურობასა და მშვიდობიან განვითარებაზე. მაგრამ ეს დაინტერესება სასარგებლოა უფრო ფართო თვალსაზრისით – ევროპული უშიშროებისათვისაც. საფრანგეთის მიერ თავისი მისიის შეგრძნების გარეშე ევროპის სამხრეთი ფლანგი გაცილებით უფრო არასტაბილური და მუქარის ქვეშ მყოფი იქნებოდა. ევროპის მთელ სამხრეთს აწუხებს ის სოციალურ-პოლიტიკური მუქარა, რომელიც მომდინარეობს ხმელთაშუა ზღვის სამხრეთი ნაპირების მთელ სიგრძეზე არსებული არასტაბილურობიდან. საფრანგეთის მნიშვნელოვან შეშფოთებას, თუ რა ხდება ხმელთაშუა ზღვის იქითა მხარეს, აქვს, ამრიგად, უშუალო დამოკიდებულება ნატოს უსაფრთხოებასთან და ეს მოსაზრება მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, მაშინ, როცა შეერთებულ შტატებს ზოგჯერ მოუწევს დასძლიოს

საფრანგეთის გადაჭარბებული პრეტენზიები ლიდერის განსაკუთრებით სტატუსზე.

სხვა საქმეა გერმანია. მისი დომინირებული როლი უეჭველია, მაგრამ ნებისმიერი ოფიციალური მხარდაჭერის დროს აუცილებელია სიფრთხილე ევროპაში გერმანელთა ლიდერობის მიმართ. ეს ლიდერობა შეიძლება ხელსაყრელი იყოს ცენტრალური ევროპის იმ ზოგიერთი სახელმწიფოსათვის, რომლებიც აფასებენ გერმანელთა გერგილიანობას ევროპის აღმოსავლეთით გაფართოების ინტერესებისათვის და, რამაც, შესაძლოა, დააკმაყოფილოს ევროპელები მანამ, სანამ ის კვალდაკვალ მიჰყვება აშშ-ს ლიდერობას, თუმცა კი, გრძელვადიან პერსპექტივაში ევროპის მშენებლობა შეუძლებელია მასზე დაეფუძნოს. ჯერ კიდევ ძალზე ბევრი მოუშუშებელი მოგონება ცოცხლობს, ძალზე ბევრი ხიფათი შეიძლება წარმოიქმნას. კონსტრუქტირებული ევროპა ბერლინით სათავეში, უბრალოდ, განუხორციელებელი იდეაა. ამიტომაც, სურს გერმანიას საფრანგეთი. ევროპას სჭირდება ფრანკო-გერმანული ურთიერთკავშირი, აშშ-ს კი, არ ძალუძს არჩევანი გააკეთოს გერმანიასა და საფრანგეთს შორის.

ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით არსებითი მომენტი არის ის, რომ ეს პროცესი „განუხრელად დაკავშირებულია თავად ევროპის გაფართოებასთან. თუ ევროპის კავშირი უნდა იქცეს გეოგრაფიულად უფრო ფართო გაერთიანებად – უფრო მეტად ინტეგრირებულ ფრანკო-გერმანულ წინამძღოლ ბირთვად და ნაკლებ ინტეგრირებულ საგარეო შრეებად – და, თუ ასეთმა ევროპამ თავისი უსაფრთხოება უნდა დააფუძნოს აშშ-თან ალიანსის გახანგრძლივებაზე, მაშინ აქედან გამომდინარეობს, რომ მისი გეოპოლიტიკურად ყველაზე უფრო მუქარის ქვეშ მყოფ ნაწილს, ცენტრალურ ევროპას, არ შეიძლება დემონსტრაციულად წაართვა უსაფრთხოების ის შეგრძნება, რო-

მელიც ახასიათებს მთელ ევროპას ჩრდილოატლანტიკური ალიანსის არსებობის წყალობით. ამაში ამერიკა და გერმანია ერთმანეთს ეთანხმებიან. მათთვის გაფართოებისადმი იმპულსი – პოლიტიკური, ისტორიული და შემოქმედებითია. ამ იმპულსს არ მართავს არც რუსეთისადმი მტრული განწყობა, არც მისდამი შიში, არც მისი იზოლირების სურვილი.

აქედან გამომდინარე, შეერთებულმა შტატებმა, რაც შეიძლება მჭიდროდ უნდა იმუშაოს გერმანიასთან, ხელი შეუწყოს ევროპის აღმოსავლეთით გაფართოებას. ამ საკითხში ამერიკულ-გერმანული თანამშრომლობა და ერთობლივი ლიდერობა აუცილებელია. გაფართოება განხორციელდება, თუ შეერთებული შტატები და გერმანია ერთობლივად შეაგულიანებენ ნატოს სხვა მოკავშირეებს, გადადგან ნაბიჯი ან ეფექტურად მოიძიონ განსაზღვრული შეთანხმებები რუსეთთან, თუკი მას კომპრომისზე წასვლა სურს (იხ. თავი მეოთხე), ან იმოქმედონ მტკიცე, მყარი რწმენით, რომ ევროპის მშენებლობის ამოცანა არ შეიძლება დამოკიდებული იყოს მოსკოვის უარზე. ამერიკულ-გერმანული ზეწოლა განსაკუთრებით აუცილებელი იქნება იმისათვის, რომ მიაღწიოს ნატოს ყველა წევრის აუცილებელ ერთობლივ თანხმობას და ამ უკანასკნელისგან ვერც ერთი ვერ შეძლებს უარის თქმას, თუკი აშშ და გერმანია ერთობლიობაში, ამის მიღწევას მოინდომებენ.

საბოლოო ჯამში, ამ ძალისხმევის პროცესში ფსონზე დადებულია აშშ-ს გრძელვადიანი როლი ევროპაში. ახალი ევროპა მხოლოდ ახლა განიცდის ფორმირებას და, თუ ეს ახალი ევროპა გეოპოლიტიკურად უნდა დარჩეს „ევროატლანტიკური“ სივრცის ნაწილად, მაშინ ნატოს გაფართოება აუცილებელია. და მართლაც, ევროპისათვის აშშ-ის ყოვლისმომცველი პოლიტიკა ერთიანობაში შეუძლებელი იქნება, თუ ნატოს გაფართოებისათვის ძალისხმევა, რომელსაც დღევანდლამდე ატარებს შე-

ერთებული შტატები, დაკარგავს ტემპს და მიზანდასახულობას. ეს წარუმატებლობა დისკრედიტირებას გაუწევს ამერიკელთა ლიდერობას, დაანგრევს გაფართოებადი ევროპის იდეას, მოახდენს ცენტრალური ევროპელების დემორალიზებას და შეძლებს გააღვივოს რუსეთის დღესდღეობით მიძინებული თუ მინავლებული გეოპოლიტიკური მისწრაფებები ცენტრალურ ევროპაში. დასავლეთისთვის ეს თავისთავად იქნებოდა მძიმე დარტყმა, რომელიც მომაკვდინებელ ზიანს მიაყენებდა ევრაზიის უსაფრთხოების ნებისმიერი შესაძლებელი შენობის, ჭეშმარიტი ევროპული საყრდენის პერსპექტივებს, აშშ-სათვის კი ეს იქნებოდა არა მარტო რეგიონული, არამედ გლობალური დამარცხებაც.

ძირითად მომენტად, რომელიც ევროპის წინსვლით გაფართოებას წარმართავს, უნდა იყოს იმის მტკიცება, რომ არსებული ატლანტიკურშორისი უსაფრთხოების სისტემის გარეშე მყოფ არც ერთ ძალას არა აქვს ვეტოს უფლება ევროპულ სისტემაში ნებისმიერი მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებელი ევროპული სახელმწიფოს თანამონაწილეობაზე – აქედან, ასევე მის ატლანტიკურშორისი უსაფრთხოების სისტემაშიც – რომ არც ერთი, ეკ-სა და ნატოში შესაძლებელი გაწევრიანების მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი სახელმწიფო არ უნდა იქნეს წინასწარ გამორიცხული. განსაკუთრებით ძლიერ მოწყვლად და მოთხოვნილების სულ უფრო დამაკმაყოფილებელ ბალტიის სახელმწიფოებს აქვთ უფლება იცოდნენ, რომ ისინი, თავის დროზე, შეიძლება გახდნენ ორივე ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრები და, რომ მათ სუვერენიტეტს საფრთხე არ დაემუქრება მანამდე, სანამ შელახული არ იქნება გაფართოებადი ევროპისა და მისი ამერიკული პარტნიორის ინტერესები. არსებითად, დასავლეთმა – განსაკუთრებით აშშ-მ და მისმა დასავლეთევროპელმა მოკავშირეებმა – პასუხი უნდა გასცენ

იმ კითხვას, რომელიც მჭვრეტელურად დასვა ვაცლავ ჰაველმა აახენში 1996 წლის 15 მაისს:

> „მე ვიცი, რომ არც ევროპულ კავშირს და არც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს არ შეუძლიათ დაუყოვნებლივ კარი გაუღონ ყველას, ვისაც მათ რიგებში შესვლა სწყურია. რაც, ცხადია, რომ ორივე მათგანს შეუძლია გააკეთოს და, რაც, სანამ გვიანი არაა, მათ უნდა გააკეთონ, მისცენ მთელ ევროპას, რომელიც აღიქმება, როგორც საერთო ინტერესების სფერო, იმის აშკარა რწმენა, რომ ისინი არ წარმოადგენენ დახურულ კლუბებს. მათ უნდა ჩამოაყალიბონ ნათელი და საფუძვლიანი გაფართოებადი პოლიტიკა, რომელიც თავის თავში მოიცავს არა მარტო დროის გრაფიკს, არამედ ახსნის კიდეც ამ გრაფიკის ლოგიკასაც“.

ევროპის ისტორიული განრიგი

მართალია, მოცემულ ეტაპზე ევროპის აღმოსავლეთის საზღვრები შეუძლებელია მყარად განისაზღვროს და დადგინდეს, ევროპა, სიტყვის ფართო გაგებით, ცივილიზაციაა, რომლის წარმომავლობა მომდინარეობს ერთიანი ქრისტიანული ტრადიციებისგან. დასავლეთი, ევროპის უფრო ვიწრო განმარტება, ასოცირდება რომთან და მის ისტორიულ მემკვიდრეობასთან. მაგრამ ევროპის ქრისტიანულ ტრადიციებს განეკუთვნებოდა ბიზანტიაც და მისი რუსული ორთოდოქსალური განშტოებაც. ამრიგად, კულტურის თვალსაზრისით „ევროპა“ თავის თავში მოიცავს უფრო მნიშვნელოვან ცნებას, ვიდრე უბრალოდ პეტრეს ევროპას, პეტრეს ევროპა კი, თავის მხრივ, წარმოადგენდა უფრო ვრცელ განსაზღვრებას, ვიდრე უბრალოდ დასავლეთ ევროპას, თუმცა კი, მან, უკანასკნელ წლებში, „ევროპის“ სახელწოდების უზურპაცია მოახდინა. XII საუკუნის რუკის ერთი თვალის გადავლებაც კი გვიდასტურებს იმ ფაქტს, რომ ამჟამად არსებული ევროპა არ არის ერთიანი და მთლიანი ევროპა. უფრო მეტიც, ეს ის ევროპაა, რომლის ტერიტორიაზე, ევროპასა და რუსეთს შორის უსაფრთხოების თვალსაზრისით, არასტაბილური ზონაა, რომელსაც შეუძლია ნეგატიური ეფექტი მოახდინოს ორივესთვის და, აშკარად წარმოადგენს დაძაბულობისა და მეტოქეობის არენას.

კარლოს დიდის ევროპას (დასავლეთ ევროპის საზღვრებით შემოფარგლულს) მნიშვნელობა ჰქონდა ცივი ომის პერიოდში, მაგრამ ახლანდელ დროში ასეთი ევროპა ანომალიაა. ეს ასეა, იმიტომ რომ, ცივილიზაციის განსაზღვრულ ტიპად ჩამოყალიბებული ერთიანი ევროპა, ამას გარდა, წარმოადგენდა განსაზღვრულ წყობასა და ცხოვრების ნორმას, ერთობლივი დემოკ-

რატიული მმართველობის პრინციპის სახელმწიფოებრივ მოწ-
ყობას, რომელიც არც ეთნიკური და არც ტერიტორიული კონ-
ფლიქტებით არ იყო დამძიმებული. ეს ევროპა, თავის ოფიცია-
ლურად მიღებული ტერიტორიული საზღვრების ფარგლებში,
ამჟამად მნიშვნელოვნად ნაკლებია თავის ფაქტობრივ პოტენ-
ციალზე. ცენტრალური ევროპის ზოგიერთი ყველაზე

რუკა XII

პროგრესული და პოლიტიკურად სტაბილური სახელმწიფო, რომლებიც პეტრეს დასავლური ტრადიციების ერთგულნი დარჩნენ, ისეთები, როგორიცაა: ჩეხეთის, პოლონეთის, უნგრეთის და, შესაძლოა, ასევე, სლოვენიის რესპუბლიკები, უეჭველად შეესაბამებიან და მზად არიან „ევროპასა“ და მის უსაფრთხოების პრობლემების ტრანსატლანტიკურ გაერთიანებაში გაწევრიანებისათვის.

თანამედროვე ვითარების მიხედვით, ნატოს ბლოკის აღმოსავლეთით გაფართოება აშკარად სავარაუდოა, 1999 წელს მის შემადგენლობაში პოლონეთის, ჩეხეთისა და უნგრეთის რესპუბლიკების ჩართვის გზით. ამ საწყისი, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმისათვის, კავშირის ნებისმიერი შემდგომი გაერთიანება, როგორც ჩანს, ან დროის მიხედვით, დაემთხვევა, ან ევროპის კავშირის გაფართოებას მოჰყვება, რაც, მიუხედავად ამისა, თავისთავად, უფრო რთული პროცესია როგორც მოსამზადებელი ეტაპების რიცხვით, ისე გაწევრიანებისათვის აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების თვალსაზრისით (იხ. სქემა 129-ე გვერდზე). ამრიგად, ევროპულ კავშირში ცენტრალური ევროპის ქვეყნების პირველი მიღებაც ნაკლებ სარწმუნოს წარმოადგენს 2002 წლამდე, ან, როგორც ჩანს, გაცილებით გვიანი ვადითაც კი. და მაინც, ნატოს მხოლოდ პირველი სამი ახალი წევრი შეუერთდება ევროპულ კავშირს, ასე რომ, ევროპული კავშირიც და ნატოც იძულებული იქნებიან, სასწრაფოდ შეუდგნენ ბალტიისპირა რესპუბლიკების, სლოვენიის, რუმინეთის, ბულგარეთის, სლოვაკეთისა და, ბოლოს, ალბათ, უკრაინის გაწევრიანების საკითხის გადაწყვეტას.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, რომ გაწევრიანების შესაძლებელი პერსპექტივა უკვე ახდენს კონსტრუქციულ ზეგავლე-

ნას პრეტენდენტი ქვეყნების საქმეთა მდგომარეობასა და საქ-
მიანობაზე. იმის შეგნება, რომ არც ევროპულ კავშირს და არც
ნატოს არ სურთ, თავი შეიწუხონ დამატებითი კონფლიქტებით
კავშირის წევრ-ქვეყნების ერთმანეთის მიმართ უმცირესობათა
უფლებებით, ანდა, ქვეყნების ტერიტორიულ პრეტენზიებთან
დაკავშირებით (თურქეთისა და საბერძნეთის ურთიერთდაპი-
რისპირებაც სრულიად საკმარისია) – სლოვაკეთის, უნგრეთისა
და რუმინეთისთვის უკვე ნიშნავს იმას, რომ აუცილებელი სტი-
მულია საჭირო ერთმანეთს შორის ისეთი კომპრომისული გა-
დაწყვეტილებების მისაღებად, რომლებიც პასუხობენ ევროპის
საბჭოს მიერ დაწესებულ ნორმებს. იგივე დებულება, ასევე მი-
ესადაგება უფრო საერთო პრინციპსაც, რომელიც იმაში მდგო-
მარეობს, რომ მხოლოდ დემოკრატიულ სახელმწიფოებს შეუძ-
ლიათ დააკმაყოფილონ გაწევრიანების კრიტერიუმები. სურვი-
ლი, არ ჩამორჩნენ მატარებელს, მნიშვნელოვან დადებით ზე-
გავლენას ახდენს ახალ დემოკრატებზე.

ნებისმიერ შემთხვევაში, აქსიომად უნდა იქნეს მიჩნეული, რომ
ევროპის პოლიტიკური ერთობა და უშიშროება განუყოფელი
ცნებებია. პრაქტიკული თვალსაზრისით, ფაქტობრივად, ძნე-
ლად წარმოსადგენია ჭეშმარიტად ერთიანი ევროპა ამერიკას-
თან ერთობლივი უშიშროების უზრუნველყოფის საერთო ღო-
ნისძიების გარეშე. აქედან გამომდინარეობს, რომ ის ქვეყნები,
რომლებიც ევროპულ კავშირში შესვლის თაობაზე მზად არიან
და მიწვეულები არიან მოლაპარაკებების დასაწყებად, ამ დრო-
იდან, ავტომატურად მიჩნეულ იქნენ ნატოს მხრიდან შესაძლე-
ბელი დაცვის სუბიექტებად.

ამის შესაბამისად, ევროპის გაფართოებისა და უსაფრთხოე-
ბის ტრანსატლანტიკური სისტემის გავრცელებას, როგორც
ჩანს, მოფიქრებული, ეტაპობრივი ხასიათი ექნება. ამერიკისა
და დასავლეთ ევროპის მიერ განხორციელებული ძალისხმევის



სქემა მომზადებულია აშშ-პოლონეთის სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევითი სამმხრივი კომისიის მიერ.

პირობებში, ამ ეტაპის გონებაჭვრეტითი, ფრთხილი რეალისტური გრაფიკი შეიძლება შემდეგი იყოს:

1. 1996 წლისათვის ცენტრალური ევროპის პირველი ახალი წევრი ქვეყნები მიღებული იქნებიან ნატოში, თუმცა, მათი შესვლა ევროპულ კავშირში მოხდება არა უგვიანეს 2002-2003 წლებისა.

2. ამასთან, ევროპული კავშირი მოლაპარაკებებს დაიწყებს ბალტიისპირა რესპუბლიკებთან მათ ბლოკში შესვლის შესახებ. ნატო კი დაიწყებს წინსვლას ამ რესპუბლიკების, აგრეთვე რუმინეთის გაწევრიანების შესახებ ისე, რომ ეს პროცესი დაამთავროს 2005 წლისათვის. იმავდროულად, ბალკანეთის სხვა სახელმწიფოებს, როგორც ჩანს, ასევე, შეუძლიათ მიიღონ ბლოკში დაშვების უფლება.

3. ნატოში ბალტიის ქვეყნების შესვლა, უპირველეს ყოვლისა, უბიძგებს შვედეთსა და ფინეთს, დაიწყონ ნატოში გაწევრიანების საკითხის განხილვა.

4. სადღაც 2005-სა და 2010 წლებს შუა უკრაინა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწევს ქვეყნის შიგნით რეფორმების გატარებაში და უფრო მკვეთრად გამოირკვევა, როგორც ცენტრალური ევროპის ქვეყანა, მზად უნდა იყოს როგორც ევროპის კავშირთან, ისე ნატოსთან სერიოზული მოლაპარაკებებისათვის.

ამასობაში ფრანკო-გერმანულ-პოლონური თანამშრომლობა ეკ-ისა და ნატოსთან, როგორც ჩანს, მნიშვნელოვნად გაფართოვდება, განსაკუთრებით თავდაცვის სფეროში. ეს თანამ-

შრომლობა თავისებურად შეიძლება ქცეულიყო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ნებისმიერ, უფრო ფართო იმ ევროპულ ღონისძიებათა დასავლეთის ცენტრად, რომლებიც, საბოლოო ჯამში, შეიძლება გავრცელებულიყო როგორც რუსეთზე, ისე უკრაინაზე. გერმანიისა და პოლონეთის, უკრაინის დამოუკიდებლობით განსაკუთრებული გეოპოლიტიკური დაინტერესების გათვალისწინებით, სრულიად შესაძლებლად მიგვაჩნია ისეთი ვითარება, რომლის დროსაც უკრაინა თანდათან ჩაებმება ფრანკო-გერმანულ-პოლონურ განსაკუთრებულ ურთიერთობებში. 2000 წლისათვის ფრანკო-გერმანულ-პოლონურ-უკრაინული თანამშრომლობა, რომელიც დაახლოებით 230 მილიონ კაცს მოიცავს, როგორც ჩანს, შეიძლება გადაიქცეს ისეთ პარტნიორობად, რომელიც გააღრმავებს გეოსტრატეგიულ ურთიერთობებს ევროპაში (იხ. რუკა XIII).

საკითხი იმის შესახებ, განვითარდება თუ არა ზემოთ მოყვანილი სცენარი ასეთი მშვიდობიანი კალაპოტით, თუ რუსეთთან სულ უფრო მზარდი დაძაბულობის კონტექსტში, საგანგებოდ მნიშვნელოვანია. აუცილებელია, რუსეთი მყარად დავარწმუნოთ იმაში, რომ ევროპის კარი ღიაა მისთვის ისევე, როგორც მისი საბოლოო მონაწილეობისათვის, უსაფრთხოების გაფართოებადი ტრანსატლანტიკური სისტემის და, ალბათ, მომავალში, უსაფრთხოების ტრანსევრაზიული ახალი სისტემის კარი. იმისათვის, რომ ასეთ დაპირებებს მეტი დამაჯერებლობა მიეცეს, საჭიროა მოფიქრებულად და გონივრულად ხელი შევუწყოთ სხვადასხვა სფეროში რუსეთსა და ევროპას შორის კავშირების განვითარებას (რუსეთის ევროპასთან ურთიერთობებისა და ამ ასპექტში უკრაინის როლის შესახებ ჩვენ დაწვრილებით ვისაუბრებთ მომდევნო თავში).

თუკი ევროპა წარმატებას მიაღწევს როგორც გაერთიანების, ისე გაფართოების პროცესში და, რუსეთი, იმავდროულად, წარმატებით დაძლევს დემოკრატიული კონსოლიდაციისა და


 რუკა XIII
პოლონეთი
გერმანია
უკრაინა
საფრანგეთი
2010 წლის ძემდეგ ევროპის უსაფრთხოების ძირითადი პირიდი

სოციალური მოდერნიზაციის პროცესს, მაშინ, რუსეთი, განსაზღვრულ მომენტში, ასევე, შეძლებს შესაბამის კანდიდატად იქცეს ევროპასთან უფრო ორგანული ურთიერთობების დასამყარებლად. ამან, თავის მხრივ, შეიძლება დასაშვები გახადოს უსაფრთხოების ტრანსატლანტიკური სისტემის უსაფრთხოების ტრანსკონტინენტურ ევრაზიულ სისტემასთან საბოლოო გაერთიანება. მაგრამ რუსეთის ოფიციალური გაწევრიანების, როგორც პრაქტიკული რეალობის საკითხი, არ დაისმება განსაზღვრულ მომენტამდე და ეს ყველაფერი, დანარჩენის გარდა, კიდევ ერთი მიზეზია იმისათვის, რომ მის წინაშე უაზროდ არ მოვაჯახუნოთ კარი.

ზემოთ თქმულიდან შეიძლება დავასკვნათ: იალტის ნიმუშის ევროპის დასასრული საგანგებოდ მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ არ დავუბრუნდეთ ვერსალის ნიმუშის ევროპას. ევროპის სტანდარტების დასასრული არ უნდა იქცეს უკანგადადგმულ ნაბიჯად, სახელმწიფო ნაციებს შორის მოქიშპე ევროპად, პირიქით, ეს პროცესი უნდა იქცეს საწყის მომენტად უფრო ვრცელი და სულ უფრო დიდი დონის გაერთიანებად ევროპის ფორმირებისათვის, რომელიც უფრო დაცულად წარმოგვიდგება გაფართოებული ნატოს ბლოკის წყალობითა და უსაფრთხოების სფეროში რუსეთთან კონსტრუქციული თანამშრომლობის შედეგად. აქედან გამომდინარე, ევროპაში ამერიკის მთავარი გეოსტრატეგიული მიზანი შეიძლება ფორმირებულ იქნეს ერთობ უბრალოდ: უფრო გულწრფელი ტრანსატლანტიკური თანამშრომლობის გზით ევრაზიულ კონტინენტზე განამტკიცოს ამერიკელების პლაცდარმი იმისათვის, რომ მზარდი ევროპა იქცეს ევრაზიაში საერთაშორისო დემოკრატიული წესრიგისა და თანამშრომლობის წინსვლისათვის სულ უფრო რეალურ ტრამპლინად.

თავი IV

შავი ხვრელი

1991 წლის ბოლოს მსოფლიოში ტერიტორიულად ყველაზე დიდი სახელმწიფოს დაშლამ ხელი შეუწყო ევრაზიის შუაგულში „შავი ხვრელის“ შექმნას. ეს იმას ჰგავს, რომ, თითქოსდა, ხმელეთის ცენტრალური და გეოპოლიტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაწილი გააქრეს რუკიდან.

ამერიკისთვის ეს ახალი და ჩიხში მომქცევი გეოპოლიტიკური სიტუაცია სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენდა. გასაგებია, რომ დაუყოვნებელი საპასუხო ამოცანა განივთებული იყო ან პოლიტიკური ანარქიის აღმოცენების შესაძლებლობის შემცირებაში, ან დაშლის პროცესში მყოფ სახელმწიფოში იმ მტრული დიქტატურის აღორძინებაში, რომელიც კიდევ ფლობდა მძლავრ ბირთვულ არსენალს. გრძელვადიანი ამოცანა კი მოიცავდა, თუ რა სახით უნდა გაგვეწია რუსეთში დემოკრატიული გარდაქმნების და ეკონომიკური აღდგენისათვის მხარდაჭერა და, იმავდროულად, არ დაგვეშვა იმ ევრაზიული იმპერიის ხელახალი აღორძინება, რომელსაც უნარი შესწევდა, ხელი შეეშალა ამერიკული გეოსტრატეგიული მიზნის – უფრო დიდი ევროატლანტიკური სისტემის შექმნის განხორციელებისათვის, რომელთანაც მომავალში რუსეთი შეიძლება მჭიდროდ და საიმედოდ ყოფილიყო დაკავშირებული.

რუსეთის ახალი გეოპოლიტიკური მდგომარეობა

საბჭოთა კავშირის კრახი დამამთავრებელ ეტაპად იქცა იმ მძლავრ ჩინეთ-საბჭოთა კომუნისტური ბლოკის თანდათანობით დაშლისათვის, რომელიც დროის მცირე მონაკვეთში გაუტოლდა, ზოგიერთ სფეროში გადააჭარბა კიდეც, ჩინგიზ-ყაენის სამფლობელოების საზღვრებს. თუმცა, უფრო თანამედროვე, ტრანსკონტინენტურ, ევრაზიულ ბლოკს, დიდხანს არ უარსებია; მისგან ტიტოს იუგოსლავიის განდგომამ და მაოს ჩინეთის დაუმორჩილებლობამ, ადრე დაგვიდასტურა კომუნისტური ბანაკის სისუსტე იმ ნაციონალისტური მისწრაფებების მიმართ, რომლებიც, როგორც აღმოჩნდა, უფრო ძლიერი იყო იდეოლოგიურ კავშირებზე. ჩინეთ-საბჭოთა ბლოკმა იარსება დაახლოებით ათი, საბჭოთა კავშირმა კი – 70 წელი.

მაგრამ გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, გაცილებით უფრო მნიშვნელოვან მოვლენად მოგვევლინა მრავალსაუკუნოვანი, მოსკოვში მართვადი ცენტრით, დიდი რუსეთის „დერჟავის“ დაშლა. ამ იმპერიის დაშლა დაჩქარდა საბჭოთა სისტემის საერთო სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრახით, თუმცა კი, მისი ავადმყოფობის ხანგრძლივობა გასაიდუმლოებისა და თვითიზოლაციის სისტემის წყალობით, თითქმის ბოლომდე მიჩქმალული რჩებოდა. ამიტომაც, მსოფლიო გაოგნებული იყო საბჭოთა კავშირის თვითდამსხვრევის მოჩვენებითი სისწრაფით. 1991 წლის დეკემბრის სულ რაღაც ორი კვირის მანძილზე, საბჭოთა კავშირის დაშლის შესახებ განაცხადი, თავდაპირველად, დემონსტრაციულად გააკეთეს რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსიის რესპუბლიკების მეთაურებმა, შემდეგ კი, ის ოფიციალურად შეიცვალა უფრო გაურკვეველი ფორმირე-

ბით, რომელსაც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობ-
რობა უწოდეს და, რომელშიაც, ბალტიისპირეთის რესპუბლი-
კების გარდა, გაერთიანდნენ სხვა საბჭოთა რესპუბლიკები. შემ-
დეგ, საბჭოთა პრეზიდენტი, სურვილის გარეშე, გადადგა, საბ-
ჭოთა დროშა დაუშვეს კრემლის კოშკიდან, დაბოლოს, რუსე-
თის ფედერაცია – ამჟამად უპირატესად რუსეთის ეროვნული
სახელმწიფო 150-მილიონიანი მოსახლეობის საერთო რაოდე-
ნობით – გაჩნდა არენაზე, ყოფილი საბჭოთა კავშირის, დეფაქ-
ტო მემკვიდრის სახით, მაშინ, როცა დანარჩენი რესპუბლიკები,
რომლებიც ასევე 150 მილიონ მოსახლეობას ითვლიდნენ,
არათანაბარი დონით ამტკიცებდნენ თავიანთ უფლებას დამოუ-
კიდებლობასა და სუვერენიტეტზე.

საბჭოთა კავშირის კრახმა გამოიწვია კოლოსალური გეოპო-
ლიტიკური დაბნეულობა. 14 დღის განმავლობაში რუსებმა,
რომლებიც, საერთოდ, უფრო ნაკლებ იყვნენ გათვითცნობიე-
რებულნი, ვიდრე გარესამყარო საბჭოთა კავშირის მოახლოე-
ბული დაშლის შესახებ, თავისდა მოულოდნელად, აღმოაჩი-
ნეს, რომ ისინი უკვე აღარ იყვნენ ტრანსკონტინენტური იმპერი-
ის პატრონები, სხვა რესპუბლიკების რუსეთთან საზღვარი კი,
აღდგა ისე, როგორც იყო კავკასიასთან 1800-იანი წლების და-
საწყისში, შუა აზიასთან 1800-იანი წლების შუახანებში და, რაც
უფრო დრამატული და მტკივნეული იყო, დასავლეთთან – და-
ახლოებით 1600 წელს, უშუალოდ ივანე მრისხანის მეფობის
შემდგომი პერიოდისას. კავკასიის დაკარგვამ ხელი შეუწყო
სტრატეგიული საშიშროების გაჩენას თურქეთის გავლენის აღ-
დგენის სახით. შუა აზიის დაკარგვამ გააჩინა როგორც მნიშვნე-
ლოვანი ენერგეტიკული და მინერალური რესურსების დაკარ-
გვის, ასევე მუსლიმური პოტენციური საფრთხის პრობლემის ში-
ში; უკრაინის დამოუკიდებლობამ კი ორთაბრძოლაში გამოიწ-

ვია რუსეთის პრეტენზიები პანსლავიანური გაერთიანების მედროშეობის ღვთიურ დანიშნულებაზე.

სივრცე, რომელიც რუსების ბატონობით განეკუთვნებოდა მეფის იმპერიას საუკუნეების მანძილზე და საუკუნის სამი მეოთხედი – საბჭოთა კავშირს, ახლა შევსებულია თორმეტი სახელმწიფოთი, რომელთა უმრავლესობა (რუსეთის გარდა) საეჭვოა, რომ მზად იყოს ჭეშმარიტი სუვერენიტეტის მოსაპოვებლად. იმავდროულად, ამ სახელმწიფოების მოსახლეობის რაოდენობა, ასევე, სხვადასხვაგვარია – საკმაოდ დიდი უკრაინიდან 52-მილიონიანი მოსახლეობით, სომხეთამდე, რომელიც 3,5 მილიონ მოსახლეს ითვლის. მათი სიცოცხლისუნარიანობა საეჭვოს წარმოადგენდა, მაშინ, როცა, მოსკოვის მუდმივი მზად ყოფნა, შეგუებოდა ახალ რეალობას, ასევე, განუჭვრეტელი ჩანდა. ისტორიული შოკი, რომელიც რუსებმა განიცადეს, უფრო გართულდა იმითაც, რომ დაახლოებით 20 მილიონი რუსულენოვანი ადამიანი, ამჟამად მუდმივად ცხოვრობს უცხო სახელმწიფოების ტერიტორიებზე, სადაც პოლიტიკური ბატონობა მოექცა იმ ნაციონალისტურად მზარდი განწყობილების ელიტის ხელში, რომელთაც, ათეული წლების მეტ-ნაკლები იძულებითი რუსიფიკაციის შემდეგ, გადაწყვიტეს აღედგინათ საკუთარი ეროვნული თვითმყოფადობა.

რუსეთის იმპერიის კრახმა ძალის ვაკუუმი შექმნა ევრაზიის შუაგულ ცენტრში. სისუსტე და დაბნეულობა დამახასიათებელი იყო არა მარტო ახალ, დამოუკიდებლობას მიღწეულ სახელმწიფოებისათვის, არამედ თავად რუსეთისთვისაც: შეზანზარებამ თავად სისტემის სერიოზული კრიზისი გამოიწვია, განსაკუთრებით მაშინ, როცა პოლიტიკურ გადატრიალებას დაემატა მცდელობა, დაენგრიათ ძველი სოციალურ-ეკონომიკური მოდელი. ერის ტრავმირება გაღრმავდა რუსეთის ტაჯიკეთში სამხედრო ჩარევით, რაც განპირობებული იყო მუსლიმანების მიერ

ამ ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ხელში ჩაგდების საშიშროებით, უფრო მეტად კი, გამწვავდა თავად რუსების მიერ როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად, ტრაგიკული, სისხლიანი და წარმოუდგენლად ძვირად ღირებული შეჭრით ჩეჩნეთში. ამ სიტუაციაში ყველაზე მტკივნეული იყო იმის გააზრება, რომ საერთაშორისო არენაზე რუსეთის ავტორიტეტს საკმაოდ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს; ადრე ორი წამყვან მსოფლიო ზესახელმწიფოდან ერთ-ერთი, ამჟამად, პოლიტიკური წრეების უმრავლესობის მიერ უბრალოდ შეფასებულია, როგორც „მესამე სამყაროს“ რეგიონული „დერჟავა“; თუმცა კი მას, უწინდებურად, შენარჩუნებული აქვს მნიშვნელოვანი, მაგრამ სულ უფრო და უფრო მოძველებული ბირთვული იარაღი.

რუსეთში შექმნილი გეოპოლიტიკური ვაკუუმი სულ უფრო ფართოვდება სოციალური კრიზისის სწრაფი მიმდინარეობით. კომუნისტურმა მმართველობამ 3/4 საუკუნის მანძილზე, რუსეთის ხალხს უპრეცედენტო ბიოლოგიური ზიანი მიაყენა. მეტნაკლებად ნიჭიერი და გერგილიანი ადამიანების უდიდესი ნაწილი დაიხოცა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა გულაგის ბანაკებში (GULAG). ასეთი ადამიანების რიცხვი კი რამდენიმე მილიონს ითვლიდა. გარდა ამისა, ქვეყანამ დანაკარგი განიცადა პირველი მსოფლიო ომის დროს, მრავალრიცხოვანი მსხვერპლი გაიღო გაჭიანურებული სამოქალაქო ომის მსვლელობაში, იტანდა მხეცობასა და გაჭირვებას მეორე მსოფლიო ომის დროს. მმართველმა კომუნისტურმა რეჟიმმა მთელ ქვეყანას თავს მოახვია მახრჩობელა ორთოდოქსული დოქტრინა, იმავდროულად კი, იზოლაციაში მოაქცია დანარჩენი მსოფლიოსაგან. ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა აბსოლუტურად ინდიფერენტული იყო ეკოლოგიური პრობლემების მიმართ, რის შედეგადაც საკმაოდ დაზიანდა როგორც გარემომცველი გარემო, ისე ჯანმრთელი ადამიანებიც, 90-იანი წლების შუახანისათვის, რუ-

სეთის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ახალშობილთა რიცხვიდან დაახლოებით 40% დაიბადა ჯანმრთელი, მაშინ როცა რუსეთის პირველკლასელების დაახლოებით მეხუთედი ნაწილი დაავადებული იყო გონებრივი შეზღუდულობით. მამაკაცების სიცოცხლის ხანგრძლივობა შემცირდა 57,3 წლამდე, რუსების სიკვდილიანობა კი, აღემატებოდა დაბადებულთა რიცხვს. რუსეთში სოციალური პირობები, ფაქტობრივად, შეესაბამებოდა „მესამე სამყაროს“ საშუალო კატეგორიის ქვეყნის პირობებს.

შეუძლებელია, გავაზვიადოთ ის საშინელება და ტანჯვა-წამება, რაც წილად ხვდა რუს ხალხს ამ საუკუნის მანძილზე. ძნელად თუ მოიძებნება ერთი რუსული ოჯახიც კი, რომელსაც შესაძლებლობა ჰქონდა, ეცხოვრა ნორმალურ ცივილიზებულ პირობებში. განვიხილოთ შემდეგი მოვლენების სოციალური შედეგები:

- 1905 წლის რუსეთ-იაპონიის ომი, რომელიც რუსეთის დამამცირებელი დამარცხებით დამთავრდა.

- 1905 წლის პირველი „პროლეტარული“ რევოლუცია, რომელმაც შვა სამოქალაქო ძალმომრეობის მრავალრიცხოვანი აქტი.

- 1914-17 წლების პირველი მსოფლიო ომი, რომელიც ეკონომიკაში იქცა მილიონობით მსხვერპლისა და მრავალრიცხოვანი დარღვევის მიზეზად.

- რუსეთ-პოლონეთის 1919-1920 წლების ომი, რომელიც რუსეთის დამარცხებით დამთავრდა.

• 20-იანი წლების დასაწყისში გულაგის სისტემის შექმნა, რომელიც მოიცავდა რევოლუციის წინა პერიოდის ელიტის წარმომადგენელთა განადგურებას და მათ მასობრივ გაქცევას რუსეთიდან.

• 30-იანი წლების დასაწყისისა და შუახანების ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის პროცესებმა უკრაინასა და ყაზახეთში წარმოქმნა მასობრივი შიმშილი და მილიონობით სიკვდილი.

• 30-იანი წლების შუახანისა და მიწურულის „დიდი წმენდა და ტერორი“, როცა შრომით ბანაკებში მილიონობით პატიმარი იმყოფებოდა, მილიონ ადამიანზე მეტი დაიხვრიტა, რამდენიმე მილიონი კი, შეუბრალებელი მოპყრობის შედეგად დაიღუპა.

• 1941-1945 წლების მეორე მსოფლიო ომი, რომელმაც ეკონომიკაში გამოიწვია მრავალმილიონიანი სამხედრო და სამოქალაქო მსხვერპლი და ძლიერი ნგრევები.

• 40-იანი წლების ბოლოს სტალინური ტერორის განახლება, რომელსაც თან ახლდა მასობრივი დაპატიმრებები და სიკვდილით დასჯა.

• შეერთებულ შტატებთან შეიარაღებაში 44-წლიანი შეჯიბრის პერიოდი, რომელიც 40-იანი წლების ბოლოს დაიწყო და 80-იანი წლების ბოლოს დამთავრდა, იქცა სახელმწიფოს გაღატაკების მიზეზად.

• 70-80-იან წლებში, კარიბის ზღვის აუზში, მახლობელ აღმოსავლეთსა და აფრიკაში საბჭოთა ხელისუფლების დანერგვის მცდელობამ, შეარყია ქვეყნის ეკონომიკა.

• 1979-1989 წლებში ავღანეთში გაჭიანურებულმა ომმა ძლიერ შეასუსტა ქვეყნის პოტენციალი.

• საბჭოთა კავშირის მოულოდნელი კრახი, რომელსაც თან ახლდა სამოქალაქო უწესრიგობა და მტკივნეული ეკონომიკური კრიზისი, სისხლისმღვრელი და დამამცირებელი ომი ჩეჩნეთში.

რუსეთს და, განსაკუთრებით, რუსული პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებს, მტკივნეულად აფრთხობთ არა მარტო საშინაო კრიზისი და საერთაშორისო სტატუსის დაკარგვა, არამედ რუსეთის გეოპოლიტიკური მდგომარეობაც, რომელიც ასევე, არასასურველი აღმოჩნდა მათთვის. საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად რუსეთისთვის დასავლეთი საზღვრები არახელსაყრელად შეიცვალა, გეოპოლიტიკური სფერო კი სერიოზულად შემცირდა (იხ. რუკა XIV) ბალტიისპირა სახელმწიფოები 1700 წლიდან იმყოფებოდნენ რუსეთის კონტროლის ქვეშ და ისეთი ნავსადგურების დაკარგვამ, როგორიც რიგა და ტალინია, რუსეთის ბალტიის ზღვის მისადგომები უფრო შეზღუდა, თანაც, იმ ზონებში, სადაც ზღვა ზამთრობით იყინება. მართალია, მოსკოვმა პოლიტიკურად მაინც შეძლო შეენარჩუნებინა წამყვანი მდგომარეობა ახალ, ოფიციალურად დამოუკიდებლობააღიარებულ და მაღალი დონის რუსიფიცირებულ ბელორუსიაში, მაგრამ ჯერ კიდევ მთლად გარკვეული არაა, საბოლოო ჯამში, აქაც ხომ არ იჩენს თავს ნაციონალისტური ინფექცია. ყოფილი საბჭოთა კავშირის საზღვრებს იქით კი, ვარშავის

ხელშეკრულების ორგანიზაციის კრახი ნიშნავდა, რომ ცენტრალური ევროპის ყოფილმა სატელიტებმა, რომელთა შორის პირველი ადგილი დაიკავა პოლონეთმა, სწრაფი ტემპით იწყეს ნატოსა და ევროპული კავშირის მხარეზე გადასვლა.

რუკა XIV
იდეოლოგიური კონტროლის დაკარგვა და იმპერიის შემცირება
ტერიტორიული სამფლობელოების დანაკარგი
იდეოლოგიური დანაკარგი

ყველაზე შემაშფოთებელ მომენტად იქცა უკრაინის დაკარგვა. უკრაინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს გაჩენამ არა მარტო აიძულა ყველა რუსი, ახლებურად გაეაზრებინა საკუთარი პოლიტიკური და ეთნიკური კუთვნილების ხასიათი, არამედ აღენიშნა კიდეც რუსეთის სახელმწიფოს დიდი გეოპოლიტიკური მარცხი. თითქმის 300-წლიანზე მეტი რუსეთის იმპერიის ისტორიაზე უარის განაცხადი ნიშნავდა პოტენციურად მდიდარი ინდუსტრიული და სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკისა და იმ 52 მილიონი ადამიანის დაკარგვას, რომლებიც ეთნიკურად და რელიგიურად ყველაზე ახლოს იყვნენ დაკავშირებული რუსებთან და შეეძლოთ, რუსეთი ჭეშმარიტად დიდ და თავის თავში დარწმუნებულ იმპერიულ „დერჟავად" ექციათ. უკრაინის დამოუკიდებლობამ რუსეთს, ასევე ხელიდან გამოაცალა დომინირებული მდგომარეობა შავ ზღვაზე, სადაც ოდესა, როგორც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნავსადგური, ემსახურებოდა მას ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან და საერთოდ, მთელ მსოფლიოსთან ვაჭრობაში.

უკრაინის დაკარგვა გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან მომენტად იქცა რუსეთის გეოსტრატეგიული არჩევანის არსებითი შეზღუდულობის გამოც. ბალტიისპირა რესპუბლიკებისა და პოლონეთის გარეშეც კი რუსეთს, შეინარჩუნებდა რა კონტროლს უკრაინაზე, შეეძლო არ დაეკარგა ლიდერის ადგილი ენერგიულად მოქმედ ევრაზიის იმპერიაში, რომლის ფარგლებში მოსკოვი, როგორმე შეძლებდა თავისი ნებისადმი დაემორჩილებინა ყოფილი საბჭოთა კავშირის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთის არასლავური მოსახლეობა. უკრაინის გარეშე მოსკოვის ნებისმიერი ცდა, ხელახლა აღადგინოს ევრაზიული იმპერია, როგორც ჩანს, ხელს შეუწყობდა იმას, რომ მედიდურ მარტოო-

ბაში გახლართული რუსეთი აღმოჩნდება თავისი ეროვნული და რელიგიური ინტერესებისათვის აღმდგარ არასლავურ ძალებთან გაჭიანურებულ კონფლიქტებში; ომი ჩეჩნეთთან, ალბათ, ამის პირველ მაგალითს წარმოადგენს. უფრო მეტიც, მხედველობაში თუ მივიღებთ რუსეთში შობადობის დონის დაქვეითებას და შუა აზიის რესპუბლიკებში, სიტყვის პირდაპირი გაგებით, შობადობის აფეთქებას, ნებისმიერი ახალი ევრაზიული სახელმწიფო, რომელიც დაფუძნებული იქნება უკრაინის გარეშე მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ხელისუფლებაზე, ყოველწლიურად სულ უფრო ნაკლებად ევრაზიული და სულ უფრო მეტად აზიური გახდება.

უკრაინის დაკარგვა იყო არა მარტო ცენტრალური გეოპოლიტიკური მოვლენა, ის იქცა გეოპოლიტიკურ კატალიზატორადაც. სწორედ, უკრაინის მოქმედებამ 1991 წლის დეკემბერში, დამოუკიდებლობის შესახებ მისმა განცხადებამ, ბელოვეჟის ტევრის მნიშვნელოვანი მოლაპარაკებისას, უკრაინის დაჟინებამ, რომ საბჭოთა კავშირი უნდა შეცვლილიყო უფრო თავისუფალი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობით და, განსაკუთრებით, უკრაინის ტერიტორიაზე განლაგებულ საბჭოთა არმიის ნაწილებზე უკრაინის მთავარსარდლობის გადატრიალების მსგავსმა მოულოდნელმა დაწესებამ, – უბრალოდ ხელი შეუშალეს დსთ-ს, ქცეულიყო უფრო ფედერალურ სსრკ-ს ახალ სახელწოდებად. უკრაინის დამოუკიდებლობამ თავზარი დასცა მოსკოვს და იქცა იმის მაგალითად, რასაც თავდაპირველად, მართალია, ისე მყარად არა, მაგრამ შემდეგ, მიბაძეს სხვა საბჭოთა რესპუბლიკებმაც.

რუსეთის მიერ ბალტიის ზღვაზე წამყვანი მდგომარეობის დაკარგვა განმეორდა შავ ზღვაზეც არა იმიტომ, რომ უკრაინამ დამოუკიდებლობა მიიღო, არამედ იმიტომაც, რომ კავკასიის ახალმა დამოუკიდებელმა რესპუბლიკებმა – საქართველომ,

სომხეთმა და აზერბაიჯანმა გააძლიერეს თურქეთის შესაძლებლობანი ამ რეგიონში ოდესღაც დაკარგული გავლენის აღდგენაში. 1991 წლამდე შავი ზღვა რუსეთის სასტარტო ხაზს წარმოადგენდა ხმელთაშუა ზღვის რაიონზე თავისი სამხედრო-საზღვაო ძლიერების პროექციის თვალსაზრისით, მაგრამ 90-იანი წლების შუახანებში, რუსეთი დარჩა შავი ზღვის სანაპიროს მცირე ზონითა და ყირიმში, საბჭოთა შავი ზღვის ფლოტის ნარჩენების ბაზირების უფლებების შესახებ, უკრაინასთან გადაუჭრელი სადავო საკითხების ამარა. ის აშკარად გაღიზიანებული უთვალთვალებდა უკრაინის ნატოსთან ერთობლივ სამხედრო-საზღვაო და საზღვაო სადესანტო მანევრების განხორციელებას და აგრეთვე, თურქეთის, შავი ზღვის რეგიონში, როლის ზრდას. რუსეთი ასევე ეჭვიანობდა, თურქეთის მხრიდან ჩეჩნეთის წინააღმდეგობის ძალების ეფექტური დახმარების გაწევაში.

სამხრეთ-აღმოსავლეთის მოშორებით გეოპოლიტიკურმა გადატრიალებამ ძირითადად გამოიწვია რუსეთის სტატუსის ანალოგიური არსებითი ცვლილებები კასპიის აუზისა და შუა აზიის ზონაში. საბჭოთა კავშირის კრახამდე კასპიის ზღვა, ფაქტობრივად, იყო რუსეთის ტბა, რომლის მცირე სამხრეთის სექტორი მდებარეობდა ირანის საზღვართან. დამოუკიდებელი და მყარად ნაციონალისტური აზერბაიჯანის გაჩენამ, რომლის პოზიციები გაძლიერდა ამ რესპუბლიკისკენ მიმავალი ხარბი დასავლელი სანავთობო ინვესტორებით და ასევე, დამოუკიდებელმა ყაზახეთმა და თურქმენეთმა რუსეთი აქციეს კასპიის ზღვის სიმდიდრის ხუთიდან მხოლოდ ერთ-ერთ პრეტენდენტად. რუსეთს უკვე აღარ შეეძლო მყარად ევარაუდა, რომ საკუთარი შეხედულებით შეეძლო განეგო ეს რესურსები.

შუა აზიის დამოუკიდებელი სახელმწიფოების გაჩენა ნიშნავდა, რომ რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარი, ჩრდილოეთის მიმართულებით, ზოგიერთ ადგილას შევიწროვდა ათას

მილზე მეტად. ახალი სახელმწიფოები აკონტროლებენ მინერალური საბადოებისა და ენერგეტიკული სიმდიდრეების იმ დიდ ნაწილს, რომელიც აუცილებლად მიიზიდავს უცხო სახელმწიფოებს. გარდაუვალი ხდება, რომ არა მარტო ელიტის წარმომადგენლები, არამედ მალე უბრალო ადამიანებიც კი ამ რესპუბლიკებში სულ უფრო და უფრო ნაციონალისტურად განეწყობიან და, ალბათ, სულ უფრო მეტად გაიზიარებენ მაჰმადიანურ რელიგიას. ყაზახეთი ვრცელი ქვეყანაა, რომელიც განაგებს უზარმაზარი წიაღისეული რესურსების მარაგებს და, დაახლოებით 20 მილიონამდე მოსახლეობას, რომელიც თითქმის თანაბრადაა განაწილებული ყაზახებსა და სლავებს შორის და ლინგვისტურ და ეროვნულ უთანხმოებებს, როგორც ჩანს, გაძლიერების ტენდენციები აქვთ. უზბეკეთი, რომელიც მოსახლეობის უფრო ერთგვაროვანი შემადგენლობისაა და დაახლოებით 25 მილიონ კაცს ითვლის, თავისი ლიდერებით, რომლებიც რეგიონში პოსტკოლონიური ახალი სტატუსის დამყარებაში ყურადღებას ამახვილებენ ქვეყნის ისტორიულ სიდიადეზე, სულ უფრო აქტუალური ხდება. თურქმენეთი, რომელიც ყაზახეთის მიერ რუსეთთან ყოველგვარი გეოგრაფიული კავშირისაგან დაცულია, რუსული სისტემისგან თავისი დამოკიდებულების შესუსტებისა და მსოფლიო ბაზარზე დაშვების უფლების მიღების მიზნით, აქტიურად აწესრიგებს და ავითარებს ირანთან ახალ კავშირებს.

შუა აზიის რესპუბლიკებს, რომლებმაც მხარდაჭერა პოვეს თურქეთის, ირანის, პაკისტანისა და საუდის არაბეთისგან, ხელსაყრელი ეკონომიკური ინტეგრაციის გულისთვისაც კი, არ სურთ ივაჭრონ რუსეთთან ახალი პოლიტიკური სუვერენიტეტით, რისი იმედი ჯერ კიდევ აქვს ბევრ რუსს. უკიდურეს შემთხვევაში, ამ რესპუბლიკების რუსეთთან დამოკიდებულებაში დაძაბულობა და მტრობა გარდაუვალია, თუნდაც, ჩეჩნეთთან

და ტაჯიკეთთან უსიამო პრეცედენტების გამო. შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ ბოლომდე არ არის გამორიცხული მოვლენათა მიმდინარეობის უფრო უარესი ვარიანტი, რუსებისათვის მუსლიმურ სახელმწიფოებთან (რომელთა მოსახლეობის ერთობლივი რაოდენობა თურქეთთან, ირანთან და პაკისტანთან ერთად შეადგენს 300 მილიონ კაცამდე) პოტენციური კონფლიქტის სპექტრი, რუსეთის მთელ სამხრეთ ფლანგზე, შეიძლება სერიოზული შეშფოთების წყაროდ იქცეს.

დაბოლოს, საბჭოთა იმპერიის კრახის მომენტში, მიუხედავად იმისა, რომ შორეული აღმოსავლეთის რეგიონს არ შეხებია არც ტერიტორიული და არც პოლიტიკური გარდაქმნები, რუსეთი აქაც შეეჯახა გეოპოლიტიკურ საფრთხეს. რუსეთთან შედარებით ჩინეთი რამდენიმე საუკუნის მანძილზე უფრო სუსტი და ჩამორჩენილი სახელმწიფო იყო, განსაკუთრებით პოლიტიკურ და სამხედრო სფეროში. არც ერთ რუსს, ვინც ქვეყნის მომავლით იყო შეშფოთებული და ამ ათწლეულის დრამატული ცვლილებებით შეფიქრიანებული, არ შეეძლო იმ ფაქტის იგნორირება, რომ რუსეთთან შედარებით, ამჟამინდელი ჩინეთი იმყოფება უფრო განვითარებადი, უფრო დინამიკური და უფრო კეთილდღეობითი სახელმწიფოს დამკვიდრებისა და გარდაქმნის გზაზე. ჩინეთის ეკონომიკური ძლიერება, მისი 1,12-მილიარდიანი მოსახლეობის დინამიკურ ენერგიასთან ერთობლიობაში, არსებითად, (ცვლის ორ ქვეყანას შორის ისტორიულ თანაფარდობას, ციმბირის ტერიტორიების დაუსახლებლობა კი ჩინელებს, თითქოსდა, მისი ათვისებისკენ მოუწოდებს.

ასეთი ახალი, არამყარი რეალობა არ შეიძლება არ აისახოს რუსეთის უსაფრთხოების განწყობაზე როგორც შორეული აღმოსავლეთის ტერიტორიების, ისე შუა აზიაში მისი ინტერესების მიმართ. გრძელვადიან პერსპექტივაში მსგავს ცვლილებებს შეუძლია გააღრმაოს რუსეთის მიერ უკრაინის დაკარგვის გეოპო-

ლიტიკური მნიშვნელობაც კი. რუსეთისათვის ასეთი ვითარების სტრატეგიული შედეგები საუცხოოდ შენიშნა ვლადიმერ ლუკინ-მა, ამერიკის შეერთებულ შტატებში რუსეთის პოსტკომუნისტური პერიოდის პირველმა ელჩმა, შემდეგ კი სახელმწიფო „დუმაში“ საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ:

> „წარსულში რუსეთი თავს აზიის სათავეში ჭვრეტდა, თუმცა კი, ევროპის ზურგს უკან. მაგრამ შემდეგ, აზიამ უფრო სწრაფი ტემპით იწყო განვითარება... და ჩვენ ჩვენ-ნი თავი აღმოვაჩინეთ არა იმდენად „თანამედროვე ევ-როპასა“ და „ჩამორჩენილ აზიას“ შორის, რამდენადაც, „ორ ევროპას“ შორის უცნაურ შუალედურ სივრცეში“.[17]

მოკლედ რომ ვთქვათ, რუსეთი, რომელიც ახლო წარსულში იყო უზარმაზარი ტერიტორიული „დერჟავის“ შემოქმედი და იმ სახელმწიფო სატელიტების იდეოლოგიური ბლოკის ლიდერი, რომელთა ტერიტორიები გადაჭიმული იყო თვით ევროპის ცენ-ტრამდე და ერთ დროს სამხრეთ ჩინეთის ზღვამდეც კი, იქცა შეშფოთებულ ეროვნულ სახელმწიფოდ, რომელსაც არ გააჩ-ნდა გარესამყაროსთან თავისუფალი გეოგრაფიული მისადგო-მი და გახდა პოტენციური აქილევსის ქუსლი იმ მეზობლების-თვის, რომლებთანაც კონფლიქტები დასავლეთ, სამხრეთ და აღმოსავლეთ ფლანგებზე ასუსტებენ მას. მხოლოდ ცხოვრების-თვის გამოუყენებელი და მიუღწეველი ჩრდილოეთის სივრცე-ები, რომლებიც თითქმის მუდმივ შებოჭილია ყინულით და თოვლით დაფარული, იქცნენ გეოპოლიტიკური თვალსაზრი-სით, უხიფათო ტერიტორიად.

---

17 Our Security Predicamen//Foreign Policy 1992 -No88. p. 60. Prokhanov A. Tragedia tsentralizma // Literaturnaia Rossia – 1990 – Jan. - p. 4-5.

გეოსტრატეგიული ფანტასმაგორია

ამრიგად, პოსტიმპერიულ რუსეთში ისტორიული და სტრატეგიული პერიოდის დაბნეულობა გარდაუვალი იყო. საბჭოთა კავშირის შემაძრწუნებელმა ნგრევამ და საერთოდ, დიდი რუსეთის იმპერიის განსაკუთრებით თავზარდამცემმა და მოულოდნელმა დაშლამ, რუსეთში სათავე დაუდო სულიერების ძიების ფართო პროცესს, ფართო დებატებს იმ საკითხზე, თუ ისტორიული თვალსაზრისით როგორ უნდა განსაზღვროს რუსეთმა საკუთარი თავი, წარმოშვა ისეთი მრავალრიცხოვანი სახალხო და კერძო მსჯელობების პრობლემები, რომლებიც დიდი ქვეყნების უმრავლესობაში არც კი აღიძვრებოდა: „რას წარმოადგენს რუსეთი?“ „სადაა რუსეთი?“ „რას ნიშნავს იყო რუსი?“

ეს მხოლოდ თეორიული კითხვები კი არ არის: მათზე ნებისმიერი პასუხი აღსავსეა მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური შინაარსით. არის თუ არა რუსეთი ეროვნული სახელმწიფო, რომლის საფუძველს შეადგენენ მხოლოდ რუსები, თუ რუსეთი თავისი განმარტებებით, რაღაც უფრო დიდია (როგორც დიდი ბრიტანეთი – რომელიც დიდია, ვიდრე ინგლისი) და შესაბამისად, ბედით აქვს მინიჭებული, იყოს იმპერია? როგორია რუსეთის ისტორიული, სტრატეგიული და ეთნიკურად ჭეშმარიტი საზღვრები? საჭიროებს თუ არა დამოუკიდებელი უკრაინის განხილვა, როგორც დროებითი გადახვევისა ამ ისტორიული, სტრატეგიული და ეთნიკური გაგების ჩარჩოებში? (ბევრი რუსი, სწორედ, ისეა განწყობილი მიიჩნიოს). რუსი რომ იყო, სავალდებულოა თუ არა ადამიანი იყოს რუსი ეთნიკური თვალსაზრისით? (ე. ი. „რუსი“ ეკვივალენტურია იყო „ბრიტანელი“, და არა „ინგლისელი“ ?). მაგალითად, ელცინი და ზოგიერთი რუსი ამ-

ტკიცებენ (ტრაგიკული შედეგებით), რომ ჩეჩნები შეიძლება და აუცილებლად უნდა მივიჩნიოთ რუსებად.

საბჭოთა კავშირის დანგრევამდე ერთი წლით ადრე, რუსმა ნაციონალისტმა, ერთ-ერთმა მათგანმა, რომელიც კავშირის მოახლოებულ დასასრულს ჭვრეტდა, ყველას გასაგონად სასოწარკვეთილმა განაცხადა:

> „თუკი საშინელი უბედურება, რაც წარმოუდგენელია რუსებისათვის, მაინც მოხდება და სახელმწიფოს ნაწილებად დაშლის, თავისი 1000-წლოვანი ისტორიით გაძარცვული და მოტყუებული ადამიანები უეცრად მარტო დარჩებიან, როცა ახლო წარსულში ყოფილი მათი „ძმები“ მიიტაცებენ თავიანთ ბარგი-ბარხანას, მოიკალათებენ საკუთარ „ეროვნულ მაშველ ნავებში“ და გაცურავენ ჩასაძირად განწირული გემიდან შორს. რას იზამ, სხვა გამოსავალი არ დაგვრჩენია“...

რუსული სახელმწიფოებრიობა, რომელიც პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სულიერად განასახიერებს „რუსულ იდეას“, ხელახლა იქნება შესაქმნელი. ის თავის თავში მოიცავს ცარიზმის იმ ხანგრძლივი 1000-წლოვანი და საბჭოთა 70-წლის ყველაზე საუკეთესოს, რომელმაც ერთი წამივით გაიელვა.[18]

კი მაგრამ როგორ? პასუხის მოძიება, რომელიც მისაღები იქნებოდა რუსი ხალხისათვის და იმავდროულად რეალისტურიც, რთულდება თავად რუსული სახელმწიფოს ისტორიული კრიზისით. ეს სახელმწიფო პრაქტიკულად, მთელი მისი ისტორიის მანძილზე, ერთსა და იმავე დროს იყო როგორც ტერიტორიული ექსპანსიის, ისე ეკონომიკური განვითარების ინსტრუმენტი.

---

18 Prokhanov A. Tragedia tsentralizma // Literaturnaia Rossia – 1990 – Jan. - p. 4-5.

ის ასევე იყო სახელმწიფო, რომელიც შეგნებულად თავს არ წარმოსახავდა ნამდვილ ეროვნულ ინსტრუმენტად, როგორც ეს მიღებულია დასავლეთევროპული ტრადიციებით, მაგრამ თავს მიიჩნევდა სპეციალური ნაციონალური მისიის – იმ „რუსული იდეის“ განმახორციელებლად, რომელიც სხვადასხვანაირად იყო განსაზღვრული რელიგიურ, გეოპოლიტიკურ ან იდეოლოგიურ ჩარჩოებში. ამჯერად კი, მას ამ მისიაზე უეცრად უარი განუცხადეს და სახელმწიფო ტერიტორიულად ძირითადად, შემცირდა ეთნიკურ მოცულობამდე.

უფრო მეტიც, რუსული სახელმწიფოს პოსტსაბჭოთა კრიზისი (ასე ვთქვათ, მისი „არსი“) გართულდა იმ ფაქტით, რომ რუსეთმა უეცრად არა მარტო თავისი იმპერიული მისიონური როლი დაკარგა, არამედ ის იმ საკუთარი მოდერნიზატორების (და მათი დასავლელი კონსულტანტების) გავლენის ქვეშ აღმოჩნდა, რომლებიც იმისათვის, რომ შეამცირონ უფსკრული რუსეთის სოციალურ ჩამორჩენასა და ევრაზიის, მეტ-ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს შორის, მოითხოვენ, რომ რუსეთმა უარი განაცხადოს ტრადიციული ეკონომიკური მენტორის, სოციალურ სიკეთეთა მფლობელისა და გამგებლის როლზე. ამან, არც მეტი და არც ნაკლები, მოითხოვა საერთაშორისო არენასა და ქვეყნის შიგნით რუსეთის სახელმწიფოს როლის პოლიტიკურად რევოლუციური შეზღუდვა. ეს ქვეყანაში ცხოვრების წესის მრავალი ფესვგადგმული მოდელის უმრავლესობისათვის აბსოლუტურ დამანგრეველად იქცა და რუსულ პოლიტიკურ ელიტაში გაზარდა გეოპოლიტიკური დეზორგანიზაციის გამაცალკავებელი აზრი.

ამ ვითარებაში, როგორც მოსალოდნელი იყო, კითხვაზე: „საით მიდის რუსეთი და რას წარმოადგენს ის?“ მრავალი პასუხი დაიბადა. ევრაზიაში რუსეთის დიდი მიზიდულობა დიდი ხანია ხელს უწყობდა იმას, რომ ელიტას გეოპოლიტიკურად ეაზროვ-

ნა. პოსტიმპერიული და პოსტკომუნისტური რუსეთის პირველმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრეი კოზირევმა, ერთერთი პირველი მცდელობისას, განსაზღვრა რა, თუ როგორ უნდა მოიქცეს ახალი რუსეთი საერთაშორისო არენაზე, კვლავ დაადასტურა ასეთი აზროვნების წესი, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ერთი თვე არ იყო გასული, რომ მან შენიშნა: „მესიანობაზე უარის თქმის შემდეგ, ჩვენ კურსი ავიღეთ პრაგმატიზმზე... ჩვენ სწრაფად მივედით იმ აზრამდე, რომ გეოპოლიტიკა... ცვლის იდეოლოგიას“.[19]

საერთოდ რომ ითქვას, როგორც რეაქცია საბჭოთა კავშირის მსხვრევისა წარმოქმნილ იქნა სამი ზოგადი და ნაწილობრივ გადაჭარბებული გეოსტრატეგიული ვარიანტი, რომელთაგან თითოეული მათგანი, საბოლოო ჯამში, დაკავშირებულია რუსეთის, ამერიკასთან შედარებით, თავისი სტატუსის შეშფოთებასთან და შეიცავს ზოგიერთ საშინაო ვარიანტს. აზრთა ეს რამდენიმე მი მართულება შეიძლება კლასიფიცირებულ იქნეს შემდეგნაირად:

1. ამერიკასთან „თანაბარი პარტნიორობის პრიორიტეტი“, რაც სინამდვილეში ამ იდეის ზოგიერთი მომხრისათვის იყო ტერმინი, რომელშიაც დაშორებული იყო გლობალური კონდომინიუმი.

2. „მახლობელ საზღვარგარეთზე“, როგორც რუსეთის ძირითადი ინტერესის ობიექტზე ყურადღების გამახვილება, რასაც, მოსკოვის დომინირებით, ზოგიერთი იცავს როგორც, რაღაც ეკონომიკური ინტეგრაციის მოდელს, სხვები კი ასევე, იმედოვნებენ ზოგიერთი იმპერიული კონტროლის შესაძლებლობის

19 Rosiskaia gazeta 1992, 12 January

რესტავრაციას და ამგვარად, ისეთი „დერჟავის“ შექმნას, რომელიც უნარიანი იქნებოდა გაეთანაბრებინა ამერიკა და ევროპა.

3. კონტრალიანსი, რომელიც, რაღაც ევრაზიული, ანტიამერიკული კოალიციის შექმნას ვარაუდობდა, მიზნად ისახავდა ევრაზიაში ამერიკის უპირატესობის დაქვეითებას.

მართალია, ეს იდეა თავდაპირველად პრეზიდენტ ელცინის ახალი მმართველი გუნდის წევრთა შორის დომინირებდა, მაგრამ მეორე ვარიანტმა, პირველი იდეის შემდეგ, პოლიტიკურ წრეებში ჩქარა მოიხვეჭა პოპულარობა, როგორც ელცინის გეოპოლიტიკური პრიორიტეტების ნაწილობრივმა კრიტიკამ; მესამე იდეა აღმოცენდა რამდენადმე გვიან, სადღაც 90-იანი წლების შუახანებში იმ მზარდი განწყობილებების რეაქციის სახით, რომ პოსტსაბჭოთა რუსეთის გეოსტრატეგია ნათელი არაა და არ მუშაობს. როგორც ხდება ხოლმე, სამივე ვარიანტი, ისტორიული თვალსაზრისით, მოუქნელი აღმოჩნდა და შემუშავებული რუსეთის თანამედროვე ძლიერების, საერთაშორისო პოტენციალისა და საზღვარგარეთ რუსეთის ინტერესების საკმაოდ ფანტასმაგორიული შეხედულებების საფუძველზე.

საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე ელცინის პირველი პოზიცია ასახავდა რუსული პოლიტიკური აზროვნების მუდამჟამ ნალოლიავებ, მაგრამ ბოლომდე არასდროს განხორციელებულ იმ კონცეფციას, რომელიც „მედასავლეთეების“ მიერ იყო წამოყენებული: რუსეთი “– დასავლეთ სამყაროს სახელმწიფოა, მისი ნაწილია და მან ბევრ რამეში უნდა მიბაძოს ევროპას თავის განვითარებაში. ამ თვალსაზრისს ემხრობოდნენ თავად ელცინი და მისი საგარეო საქმეთა მინისტრი, თანაც ელცინი ერთობ არაორაზროვნად კიცხავდა რუსულ იმპერიულ მემკვიდრეობას. 1990 წლის ნოემბერში, კიევში გამოსვლისას, გამოთქვამდა რა

აზრებს, რომლებიც უკრაინელებმა და ჩეჩნებმა შემდეგში მის საწინააღმდეგოდ გამოიყენეს, ელცინმა მჭევრმეტყველურად განაცხადა:

„რუსეთი არ მიისწრაფვის, იქცეს რაიმე ახალი იმპერიის მსგავს ცენტრად.. რუსეთი სხვებზე უკეთ აცნობიერებს ასეთი როლის დამღუპველობას, რამეთუ, სწორედ რუსეთი დიდი ხნის მანძილზე ასრულებდა ამ როლს. რა მისცა მან რუსეთს? რა, რუსები უფრო თავისუფლები გახდნენ? მდიდრები? ბედნიერები?.. ისტორიამ გვასწავლა ჩვენ, რომ ხალხი, რომელიც განაგებს სხვა ხალხებს, შეუძლებელია იყოს ბედნიერი".

დასავლეთის, განსაკუთრებით კი შეერთებული შტატების მიერ ახალი რუსეთის ხელისუფლების მიმართ დაკავებულმა შეგნებულმა მეგობრულმა პოზიციამ, რუსეთის საგარეო-პოლიტიკურ ისტებლიშმენტში, წაახალისა პოსტსაბჭოთა „მედასავლეთენი". მან გააძლიერა მისი პროამერიკული განწყობილება და მოხიბლა ამ ისტებლიშმენტის წევრები. ახალ ლიდერებს სიამოვნებდათ იმ მაღალი თანამდებობის პირებთან ახლოს ყოფნა, ვინც აყალიბებდა მსოფლიოში ერთადერთი ზესახელმწიფოს პოლიტიკას და ადვილად შეცდნენ იმაში, რომ მათაც თავი ზესახელმწიფოს ლიდერებად წარმოიდგინეს. როდესაც ამერიკელებმა ხმარებაში შემოიღეს ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის „თანაბარი სტრატეგიული პარტნიორობის" ლოზუნგი, რუსებს მოეჩვენათ, რომ ამით, წარსული მეტოქეობის ნაცვლად, კურთხეულ იქნა ახალი, დემოკრატიული ამერიკულ-რუსული კონდომინიუმი.

ეს კონდომინიუმი, თავისი მასშტაბურობით, გლობალური უნდა ყოფილიყო. ამრიგად, რუსეთი იქნებოდა არა მარტო საბჭოთა კავშირის კანონიერი, უფლებამოსილი მემკვიდრე, არა-

მედ დე-ფაქტო პარტნიორიც იმ მსოფლიო წყობაში, რომელიც ჭეშმარიტ თანასწორობაზეა დაფუძნებული. როგორც დაუღლელად აცხადებენ რუსი ლიდერები, ეს იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოს დანარჩენმა ქვეყნებმა რუსეთი უნდა ცნონ არა მარტო ამერიკის თანასწორად, არამედ ისიც, რომ არც ერთი გლობალური პრობლემა არ უნდა იქნეს განხილული ან გადაწყვეტილი რუსეთის მონაწილეობის ან ნებართვის გარეშე. თუმცა კი, ამაზე აშკარად არაფერს ამბობენ, მაგრამ ამ ილუზიაში გარეული იყო ის თვალსაზრისიც, რომ ცენტრალური ევროპის ქვეყნები ვალდებული იყვნენ, რაღაცნაირად დარჩენილიყვნენ ან გადაეწყვიტათ დარჩენილიყვნენ რეგიონად, რომელიც პოლიტიკურად განსაკუთრებით ახლო იქნებოდა რუსეთთან. ვარშავის ხელშეკრულებისა და ეკონომიკური ურთიერთობების საბჭოს დაშლას თან არ უნდა ხლებოდა მისი ყოფილი წევრების ნატოს ან მხოლოდ ეკ-საკენ სწრაფვა.

დასავლეთის დახმარება კი ამასობაში რუსეთის მთავრობას საშუალებას არ მისცემდა, ქვეყნის შიგნით რეფორმები განეხორციელებინა, გამოერიცხა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა და შეექმნა პირობები დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცებისათვის. რუსეთის ეკონომიკის აღდგენა, ამერიკის თანასწორუფლებიანი პარტნიორის სპეციალური სტატუსი და უბრალოდ, მისი მიზიდულობა, აიძულებდა ახლახან ჩამოყალიბებულ დამოუკიდებელ ქვეყნებს – რომლებიც ემადლიერებოდნენ რუსეთს იმისათვის, რომ არ ემუქრებოდა მათ და საბოლოოდ დარწმუნებულიყვნენ მასთან რაიმენაირი კავშირის ხელსაყრელობაში – დაემყარებინათ ყველაზე მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები, შემდეგ კი რუსეთთან პოლიტიკური ინტეგრაციაც, რაც ამგვარად გააფართოებდა ამ ქვეყნის საზღვრებს და გაზრდიდა მის ძლიერებას.

ასეთი მიდგომის პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ის მოკლებულია საგარეო-პოლიტიკურ და შინაპოლიტიკურ რეალიზმს. მართალია, „თანაბარი სტრატეგიული პარტნიორობის“ კონცეფცია მზერასა და სმენას ატკბობს, მაგრამ ის მაცდურია. ამერიკა არასდროს აპირებდა დედამიწის ზურგზე ხელისუფლების გაყოფას რუსეთთან. მას არც შეეძლო ამის ჩადენა კიდევაც რომ სდომოდა ეს. ახალი რუსეთი, უბრალოდ, საკმაოდ სუსტი იყო, საკმაოდ გაღატაკებული კომუნისტების 75-წლიანი მმართველობით და საკმაოდ ჩამორჩენილი სოციალურად, იმისათვის, რომ ყოფილიყო მსოფლიოში ამერიკის რეალური პარტნიორი. ვაშინგტონის აზრით, გერმანია, იაპონია და ჩინეთი არანაკლებ იყვნენ მნიშვნელოვანნი და გავლენიანნი. მეტიც, ზოგიერთი, ცენტრალური გეოსტრატეგიული საკითხის მიხედვით, რომელიც ამერიკის ეროვნულ ინტერესს წარმოსახავდა – ევროპაში, მახლობელ და შორეულ აღმოსავლეთში – ამერიკისა და რუსეთის მისწრაფებები შორსაა თანადგომისაგან. როგორც კი, პოლიტიკურ სფეროში დისპროპორციის გამო, ფინანსურ დანახარჯებში, ტექნოლოგიურ სიახლეებსა და კულტურულ მიზიდულობაში დაიწყო გარდაუვალი წინააღმდეგობები, „თანაბარი სტრატეგიული პარტნიორობის“ იდეა ფუჭი აღმოჩნდა და, სულ უფრო მეტმა რუსმა მიიჩნია, რომ ის სპეციალურად იქნა გამოყენებული რუსეთის მოსატყუებლად.

ალბათ, იმედების ეს გაცრუება, შეიძლებოდა თავიდან აგვეცილებინა, თუკი ამერიკა ადრე, ამერიკა-რუსეთის „თაფლობის თვის დროს, მიიღებდა ნატოს გაფართოების კონცეფციას და იმავდროულად, რუსეთს შესთავაზებდა „გარიგებას, რომელზეც უარის თქმა შეუძლებელი იყო“, კერძოდ კი, რუსეთსა და ნატოს შორის თანამშრომლობის განსაკუთრებულ “ურთიერთობებს. იმ შემთხვევაში, თუ ამერიკა ზუსტად და გადაჭრით მიიღებდა ალიანსის გაფართოების კონცეფციას იმის დამატებით, რომ

რუსეთი რაიმენაირად ჩართული იქნებოდა ამ პროცესში, ალბათ, შესაძლებელი იქნებოდა თავიდან აგვეცილებინა შემდეგში მოსკოვის „თანაბარი პარტნიორობისადმი“ გაჩენილი იმედების გაცრუება, ასევე კრემლში „მედასავლეთეების პოლიტიკური პოზიციების პროგრესირებადი შესუსტება.

ამის გაკეთების დრო იყო 1993 წლის მეორე ნახევარი, ზუსტად იმის შემდეგ, როცა ელცინმა აგვისტოში დაადასტურა, რომ პოლონეთის ტრანსატლანტიკური ალიანსისადმი შეერთება არ ეწინააღმდეგება „რუსეთის ინტერესებს“. ამის მაგიერ, ბილ კლინტონის ადმინისტრაციამ, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ „რუსეთისათვის უპირატესობის მინიჭების პოლიტიკას ატარებდა, კიდევ ორი წელი იცოდვილა, ამასობაში კი კრემლმა „გეზი იცვალა და სულ უფრო მტრულად განეწყო ნატოს გაფართოების, ამერიკის სურვილების ის-ის იყო გაჩენილი, მაგრამ გაუბედავი სიგნალებისადმი. 1996 წელს, როცა ვაშინგტონმა გადაწყვიტა, უფრო დიდი და უფრო უვნებელი ევროატლანტიკური გაერთიანება შეექმნა, ამერიკის პოლიტიკის ცენტრალურ ამოცანად კი მიეჩნია ნატოს გაფართოება, რუსებმა გააფთრებული ოპოზიცია გამოავლინეს. აქედან გამომდინარე, 1998 წელი შეიძლება მივიჩნიოთ ისტორიული შესაძლებლობების ხელიდან გაშვების წლად.

შეუძლებელია არ ვაღიაროთ, რომ რუსეთის გაფართოების მიმართ გამოვლენილი შეშფოთებიდან ყველაფერი არაა კანონიერ საფუძველს მოკლებული, ანდა არაა გამოწვეული მისი არაკეთილგანწყობილებით. ნატოს გაფართოების ზოგიერთმა მოწინააღმდეგემ, განსაკუთრებით კი, რუსეთის სამხედრო წრეებში, რა თქმა უნდა, ისარგებლა რა ცივი ომის მენტალიტეტით, ნატოს გაფართოებას განიხილავს არა როგორც საკუთრივ ევროპის განვითარების განუყოფელ ნაწილად, არამედ უფრო ამერიკის მეთაურობით ჯერ კიდევ მტრულად განწყობილი

ალიანსის რუსეთის საზღვრებისკენ წინსვლად. რუსეთის საგარეო-პოლიტიკური ელიტის ზოგიერთი წარმომადგენელი, რომელთა უმრავლესობა, მართლაც, ყოფილი საბჭოთა თანამდებობის პირები არიან, ჯიუტად იცავენ ძველ გეოსტრატეგიულ თვალსაზრისს, რომ ამერიკას ადგილი არ აქვს ევრაზიაში და, რომ ნატოს განვითარება მნიშვნელოვანად დაკავშირებულია ამერიკელთა სურვილთან, გააფართოონ თავიანთი გავლენის სფერო. გარკვეულწილად, მათი ოპოზიცია იმ იმედითაა, რომ ცენტრალური ევროპის ის ქვეყნები, რომლებიც არავისთანაა დაკავშირებული, ოდესმე, როცა რუსეთი „მოიკეთებს“, კვლავ დაუბრუნდება მოსკოვის გეოპოლიტიკური გავლენის სფეროს.

ბევრი რუსი დემოკრატი იმასაც შიშობდა, რომ ნატოს გაფართოება იმის მაუწყებელი იქნებოდა, რომ რუსეთი ევროპის გარეშე დარჩებოდა, აღმოჩნდებოდა პოლიტიკური ოსტრაკიზმისა და ევროპული ცივილიზაციის ინსტიტუტების ქვეშ და მას მიიჩნევდნენ ევროპული ცივილიზაციის ინსტიტუტების უღირს წევრად. კულტურული უსაფრთხოების არარსებობა აღრმავებდა პოლიტიკურ შიშს, რამაც ნატოს გაფართოება დაამსგავსა დასავლეთის იმ დიდი ხნის პოლიტიკის კულმინაციას, რომელიც მიმართული იყო რუსეთის იზოლირებისკენ, იმისკენ, რომ მოწყვლადი რუსეთი მარტო დაეტოვებინა მისი სხვადასხვა მტრის ხელყოფისათვის. გარდა ამისა, რუსმა ანტიდემოკრატებმა, უბრალოდ ვერ შეძლეს გაეგოთ, ვერც მოსკოვის თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ბატონობისადმი ცენტრალური ევროპის მოსახლეობის აღშფოთება და ვერც მათი სურვილი, ყოფილიყვნენ უფრო დიდი ევროატლანტიკური სისტემის ნაწილი.

მეორე მხრივ, ალბათ, შეუძლებელი იყო რუსი მედასავლეთეების იმედების გაცრუებისა და დასუსტების თავიდან აცილება, ახალი რუსეთის ელიტა, რომელიც თავისთავად ერთიანი არ იყო, პრეზიდენტთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად,

უუნარო აღმოჩნდა, უზრუნველეყო მყარი გეოსტრატეგიული ლიდერობა, ვერ შეძლო, ზუსტად გაერკვია, რა სურდა ახალ რუსეთს ევროპაში, ასევე რეალისტურად შეეფასებინა არსებული შეზღუდვები, რომლებიც რუსეთის სისუსტესთან იყო დაკავშირებული. რუსმა დემოკრატებმა, რომლებიც პოლიტიკურ ბრძოლებს აწარმოებდნენ, ვერ შეძლეს თავი დაეძლიათ და თამამად განეცხადებინათ, რომ დემოკრატიული რუსეთი წინააღმდეგი არაა ტრანსატლანტიკური დემოკრატიული გაერთიანებისა და სურს მასში შევიდეს. მსოფლიოში ამერიკასთან თანაბარი სტატუსის მიღების მანიამ დააბრკოლა პოლიტიკური ელიტა, უარი ეთქვა რუსეთის გეოპოლიტიკური მდგომარეობის პრივილეგირებულ იდეაზე, არა მარტო ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიების, არამედ ცენტრალური ევროპის ყოფილი ქვეყნების – სატელიტების მიმართაც.

ვითარების ასეთმა განვითარებამ წყალი დაასხა ნაციონალისტების წისქვილზე, რომლებმაც 1994 წლიდან კვლავ აღიმაღლეს ხმა და, ასევე მილიტარისტებისაც, რომლებიც იმ დროს ელცინისთვის, ქვეყნის შიგნით, იქცნენ კრიტიკულად მნიშვნელოვან მომხრეებად. ცენტრალური ევროპის ქვეყნების ხალხთა იმედების მიმართ მათმა სულ უფრო და უფრო მკვეთრმა და დროდადრო შურით აღსავსე რეაქციამ, მხოლოდ განამტკიცა იმ ქვეყნების – სატელიტების გადაწყვეტილება, ეხილათ ნატოში საიმედო თავშესაფარი, მათ ახსოვდათ, რომ ახლო წარსულში სწორედ რუსეთის ბატონობისგან მოიპოვეს თავისუფლება.

ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის უფსკრული უფრო მეტად გააღრმავა კრემლის უარმა, ხელი აეღო სტალინის მიერ დაპყრობილ ყველა ტერიტორიაზე. დასავლეთის საზოგადოებრივი აზრი, განსაკუთრებით სკანდინავიის ქვეყნებში, აგრეთვე, შეერთებულ შტატებშიც, შეშფოთებული იყო რუსეთის ორპირი და-

მოკიდებულებით ბალტიისპირა რესპუბლიკებისადმი. აღიარებდა რა მათ დამოუკიდებლობას და არ აიძულებდა მათ გამხდარიყვნენ დსთ-ს წევრები, რუსეთის დემოკრატიული ხელმძღვანელები, დროდადრო მუქარას მიმართავდნენ, რათა შეღავათები მიეღწიათ იმ რუსი კოლონისტების მსხვილი გაერთიანებისათვის, რომლებიც შეგნებულად დაასახლეს სტალინის მმართველობის დროს ამ ქვეყნებში. ვითარება უფრო გაუარესდა კრემლის ხაზგასმული (კატეგორიული) უარით, მოეხდინა 1939 წლის გერმანია-საბჭოთა კავშირის იმ საიდუმლო ხელშეკრულების დენონსირება, რომელმაც გზა გაუკაფა ამ რესპუბლიკების საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ძალით გაერთიანებას. საბჭოთა კავშირის დაშლის ხუთი წლის შემდეგაც კი კრემლის წარმომადგენლები დაჟინებით აცხადებდნენ (1996 წლის 10 სექტემბრის ოფიციალურ განაცხადში), რომ 1940 წელს ბალტიისპირა სახელმწიფოები ნებაყოფილობით „შეუერთდნენ“ საბჭოთა კავშირს.

რუსეთის პოსტსაბჭოთა ელიტა აშკარად ელოდა, რომ დასავლეთი დაეხმარებოდა ან, უკიდურეს შემთხვევაში, ხელს არ შეუშლიდა რუსეთს, წამყვანი როლი აღედგინა პოსტსაბჭოთა სივრცეში. ამიტომაც აღაშფოთა ისინი დასავლეთის სურვილმა, დახმარებოდა ახლახან დამოუკიდებლობას მიღწეულ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, განმტკიცებულიყვნენ მათ დამოუკიდებელ პოლიტიკურ არსებობაში. მიუხედავად გაფრთხილებისა, რომ „შეერთებულ შტატებთან კონფრონტაცია... – ეს ის ვარიანტია, რომელსაც თავი უნდა აარიდონ“, რუსეთის მაღალჩინოსანი ანალიტიკოსები, რომლებიც დაკავებული იყვნენ აშშ-ს საგარეო პოლიტიკით, ამტკიცებდნენ (არცთუ ყოველთვის მცდარად), რომ შეერთებული შტატები ცდილობდა მთელ ევრაზიაში სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების რეორგანიზაციას... რათა, ამის შედეგად, კონტინენტზე არ ყოფილიყო ერთი წამყვანი

სახელმწიფო, არამედ შედარებით სტაბილური და ზომიერად ძლიერი მრავალი საშუალო სახელმწიფო... მაგრამ აუცილებლად უფრო სუსტი როგორც ცალკე, ასევე ერთობლივად, შეერთებულ შტატებთან შედარებით".[20] ამ შემთხვევაში, უკრაინას უკიდურესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აშშ-ს სულ უფრო მზარდმა მისწრაფებამ, განსაკუთრებით 1994 წელს, მაღალი პრიორიტეტით აღეჭურვა ამერიკა-უკრაინის ურთიერთობები და დახმარება გაეწია უკრაინისთვის, შეენარჩუნებინა ახლახან მოპოვებული თავისუფლება, რაც მოსკოვში ბევრის, თვით „მედასავლეთეების" მიერ განიხილებოდა, როგორც პოლიტიკა, რომელსაც სამიზნედ ამოღებული ჰქონდა რუსეთისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ინტერესები, რომლებიც, საბოლოო ჯამში, უკრაინის საერთო ფარეხში დაბრუნებასთან იყო დაკავშირებული. ის, რომ უკრაინა, თავის დროზე, რაღაცნაირად, „რეინტეგრირებული" იქნებოდა, რუსული პოლიტიკური ელიტიდან მრავალთათვის რწმენის დოგმად დარჩა.[21] უკრაინის დამოუკიდებლობის სტატუსის მიმართ რუსეთის გეოპოლიტიკური

---

20 Bogaturov A. And Kremetiuk V. Amerikantsi sami nikagda ne ostanobatsia. Nezavisimaia gazeta – 1996 – 28 Jun.

21 მაგალითად, თვით ელცინის მთავარი მრჩეველი დიმიტრი რიურიკოვი, რომლის ციტირება მოახდინა „ინტერფაქსმა" (1996 წლის 20 ნოემბერს), უკრაინას მიიჩნევს „დროებით ფენომენად", მოსკოვის „საერთო გაზეთი" კი (1996 წლის 10 დეკემბერს) იტყობინებოდა, რომ ახლო მომავალში უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში მოვლენებმა შეიძლება რუსეთის წინაშე წამოჭრას ერთობ რთული ამოცანა, უკმაყოფილების მასობრივი გამოხატვის... თანმხლები იქნება მოწოდებები ან მოთხოვნებიც კი, რათა რუსეთმა მიისაკუთროს ეს რეგიონი. მოსკოვში საკმაოდ ბევრი მხარს დაუჭერს ასეთ გეგმებს". რუსეთის გეგმით შეფიქრიანებული დასავლეთის ქვეყნების შეშფოთება აშკარად არ შემცირებულა რუსეთის პრეტენზიებით ყირიმსა და სევასტოპოლზე და ისეთი პროვოკაციული მოქმედებებით, როგორიც იყო 1996 წლის ბოლოს, რუსეთის ქალაქების ტელევიზიის საღამოს მეტეოროლოგიურ ცნობებში სევასტოპოლის წინასწარგანზრახული ჩართვა.

და ისტორიული ეჭვები შეეჯახა აშშ-ს იმ თვალსაზრისს, რომ იმ-პერიული რუსეთი შეუძლებელია დემოკრატიული იყოს.

ამას გარდა, იყო წმინდა საშინაო მოსაზრებანი, რომ „თანაბა-რი სტრატეგიული სივრცე“ ორ „დემოკრატიას“ შორის ილუზო-რული აღმოჩნდა. რუსეთი კომუნისტური მმართველობის შედე-გად საკმაოდ ჩამორჩენილი და ძალზე გაჩანაგებული იყო იმი-სათვის, რომ თავი შეერთებული შტატების სიცოცხლისუნარიან დემოკრატიულ პარტნიორად წარმოედგინა. ჰოდა, ეს ძირეუ-ლი რეალობა შეუძლებელი იყო, შეენიღბა პარტნიორობის მა-ღალფარდოვან რიტორიკას. გარდა ამისა, პოსტსაბჭოთა რუ-სეთმა მხოლოდ ნაწილობრივ გაწყვიტა წარსულთან კავშირი. თითქმის ყველა მისი „დემოკრატიული“ ლიდერი იმ შემთხვევა-შიც კი, თუ მათ მართლაცდა, გულწრფელად ჰქონდათ გული აყრილი საბჭოთა წარსულზე – წარმოადგენდა არა მარტო საბ-ჭოთა სისტემის პროდუქტს, არამედ მისი მმართველი ელიტის ყოფილ მაღალჩინოსან წევრებს წარსულში. ისინი არ ყოფი-ლან დისიდენტები, როგორც პოლონეთსა და ჩეხეთის რესპუბ-ლიკაში. საბჭოთა ხელისუფლების საკვანძო ინსტიტუტები – მართალია, სუსტები, დემორალიზებულები და კორუმპირებუ-ლები არიან – მაგრამ მაინც დარჩნენ. ამ სინამდვილის სიმბო-ლოდ და იმად, რომ კომუნისტურმა წარსულმა ჯერ კიდევ შე-ინარჩუნა მარწუხები – არის მოსკოვის ისტორიული ცენტრი: ჯერ კიდევ თავის არსებობას აგრძელებს ლენინის მავზოლეუ-ემი. ეს იმის ტოლფასია, რომ პოსტნაციონალისტური გერმანია განეგოთ ყოფილი ნაცისტური საშუალო რგოლის „ჰაულაიტე-რებს“, რომლებიც აღიარებდნენ დემოკრატიულ ლოზუნგებს და ამავდროულად ადოლფ ჰიტლერის მავზოლეუმი კვლავ ბერლინის ცენტრში ყოფილიყო.

ახალი დემოკრატიული ელიტის პოლიტიკური სისუსტე გააღ-რმავა რუსეთის ეკონომიკური კრიზისის მასშტაბურობამ. ფარ-

თო რეფორმების გარდუვალობამ – რათა სახელმწიფო ეკონომიკიდან გამოეთიშათ – გამოიწვია დასავლეთის, განსაკუთრებით კი, აშშ-ისგან დახმარების მოლოდინის გადაჭარბება. მიუხედავად იმისა, რომ ეს დახმარება, განსაკუთრებით კი, გერმანიისა და აშშ-ს მხრიდან, სულ უფრო და უფრო დიდ მოცულობას აღწევდა, მას, თავის ყველაზე საუკეთესო მდგომარეობაშიც კი, არ შეეძლო ხელი შეეწყო სწრაფი ეკონომიკური ზრდისათვის. ამის შედეგად არსებული სოციალური უკმაყოფილება იმ იმედგაცრუებულ კრიტიკოსთა მზარდი წრისათვის დამატებით სტიმულად იქცა, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ შეერთებულ შტატებთან პარტნიორობა აშშ-ს მხრიდან ხელსაყრელი ტყუილი იყო, რუსეთისათვის კი – ზარალის მომტანი.

მოკლედ რომ ვთქვათ, საბჭოთა კავშირის მსხვრევის პირველ წლებში, გლობალური პარტნიორობის ეფექტურობისთვის, არ არსებობდა არც ობიექტური და არც სუბიექტური წანამძღვრები. დემოკრატიულად განწყობილ „მედასავლეთეებს“, უბრალოდ, ძალიან ბევრი უნდოდათ, მაგრამ გაკეთებით ძალიან ცოტა შეძლეს. მათ აშშ-სთან თანასწორუფლებიანი პარტნიორობა, უფრო კი კონდომინიუმი სურდათ, დსთ-სა და გეოპოლიტიკურად „არავის კუთვნილ მიწაზე“ – ცენტრალურ ევროპაში კი მოქმედების შედარებითი თავისუფლება. მაგრამ მათი საბჭოთა ისტორიისადმი გაორებული მიდგომა, გლობალურ ხელისუფლებაზე შეხედულებებში რეალიზმის არარსებობა, ეკონომიკური კრიზისის სიღრმე და საზოგადოების ყველა ფენაში ფართო მხარდაჭერის არქონა, მანიშნებელი იყო იმისა, რომ ისინი ვერ შექმნიდნენ სტაბილურ და ჭეშმარიტ დემოკრატიულ რუსეთს, რომლის არსებობა გულისხმობდა „თანასწორუფლებიანი პარტნიორობის“ კონცეფციას. რუსეთისათვის აუცილებელია, გაიაროს რეფორმების ხანგრძლივი პერიოდი, ასევე, დემოკრატიზაციის სტაბილიზაციის ხანგრძლივი და სოციალურ-ეკონომიკუ-

რი გარდაქმნების კიდევ უფრო ხანგრძლივი პროცესი, შემდეგ
უნდა შეძლოს, გადადგას ყველაზე არსებითი ნაბიჯი იმპერიუ-
ლი აზროვნებიდან ეროვნული აზროვნებისაკენ, რომელიც გა-
ითვალისწინებდა ახალ გეოპოლიტიკურ რეალობებს არა მარ-
ტო ცენტრალურ ევროპაში, არამედ, განსაკუთრებით, ყოფილი
რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზეც, მანამ, სანამ ამერიკასთან
პარტნიორობა შეიძლება იქცეს სიტუაციის განვითარების რე-
ალურად განხორციელებად გეოპოლიტიკურ ვარიანტად.

ასეთ გარემოებებში გასაკვირი არაა, რომ პრიორიტეტი „მახ-
ლობელი საზღვარგარეთის“ მიმართ იქცა მედასავლეთელთა
ვარიანტის კრიტიკის ძირითად ელემენტად, ასევე, ადრეულ სა-
გარეო-პოლიტიკურ ალტერნატივადაც. ის ეფუძნებოდა იმ დას-
კვნას, რომ „პარტნიორობის“ კონცეფცია უგულებელყოფს იმას,
რაც აუცილებლად მნიშვნელოვანი უნდა იყოს რუსეთისათვის:
სახელდობრ კი, მის ურთიერთობებს ყოფილ საბჭოთა რესპუბ-
ლიკებთან. „მახლობელი საზღვარგარეთი“ იქცა იმ პოლიტიკის
დაცვის მოკლე ფორმულირებად, რომელიც ძირითად ყურად-
ღებას მიაქცევდა იმ გეოპოლიტიკური სივრცის საზღვრებში,
რომელიც ოდესღაც საბჭოთა კავშირს ეკუთვნოდა, ისეთ სი-
ცოცხლისუნარიანი სტრუქტურის აღდგენის აუცილებლობას,
რომლის ცენტრი იქნებოდა მოსკოვი, გადაწყვეტილებებს თა-
ვად რომ მიიღებდა. ამ ამოსავალი პირობის გათვალისწინე-
ბით, საზოგადოების ფართო ფენები მივიდოდნენ შეთანხმებას-
თან, რომ დასავლეთზე, განსაკუთრებით კი, აშშ-ზე კონცენტრი-
რებულ პოლიტიკას

ნაკლები სარგებლობა მოაქვს, ღირებულებით კი ძვირი
ღირს. მან უბრალოდ, დასავლეთს შეუმსუბუქა იმ შესაძლებ-
ლობათა სარგებლობა, რომლებიც საბჭოთა კავშირის მსხვრე-
ვის შედეგად შეიქმნა.

მაგრამ „მახლობელი საზღვარგარეთის“ კონცეფცია იყო ის დიდი ქოლგა, რომლის ქვეშაც შეიძლება გაერთიანებულიყო რამდენიმე სხვადასხვა გეოპოლიტიკური კონცეფცია. ამ კონ-ცეფციებმა თავისი დროშების ქვეშ თავი მოუყარა არა მარტო ეკონომიკური ფუნქციონალიზმისა და დეტერმინიზმის (ზოგი-ერთ „მედასავლეთელის“ ჩათვლით) მომხრეებს, რომლებსაც სჯეროდათ, რომ დსთ მოსკოვის მეთაურობით შეძლებდა ეკ-ის ვარიანტის ევოლუციას, არამედ იმათაც, ვინც ეკონომიკურ ინ-ტეგრაციაში ხედავდა იმ იმპერიის რესტავრაციის ერთ-ერთ ინ-სტრუმენტს, რომელიც მუშაობას შეძლებდა ან დსთ-ს „ქოლგის“ ქვეშ, ანდა რუსეთსა და ბელორუსიას, ან რუსეთს, ბელორუსი-ას, ყაზახეთსა და ყირგიზეთს შორის (1996 წელს გაფორმებუ-ლი) სპეციალური შეთანხმებით: რასაც, ასევე იზიარებდნენ რო-მანტიკოსი – სლავიანოფილები, რომლებიც გამოდიოდნენ რუ-სეთის, უკრაინისა და ბელორუსიის „სლავიანური კავშირის“ მომხრეებად, დაბოლოს, ევრაზიულობაზე, გარკვეულწილად მისტიკური წარმოდგენების, როგორც რუსეთის მუდმივი ისტო-რიული მისიის ძირითადი განმსაზღვრელის, მომხრეები.

მის ყველაზე ვიწრო გაგებაში, პრიორიტეტი „მახლობელი საზ-ღვარგარეთის“ მიმართ, შეიცავდა ერთობ გონიერ წინადადე-ბას, რომ რუსეთს აუცილებლად უნდა მოეხდინა თავისი ძალის-ხმევის კონცენტრირება ახლო წარსულში ფორმირებულ და-მოუკიდებელ სახელმწიფოებთან ურთიერთობებზე, განსაკუთ-რებით იმიტომ, რომ ყველანი დაკავშირებული იყვნენ რუსეთ-თან იმ რეგალიებით, რომლებსაც სპეციალურად ხელს უწყობ-და მათ შორის საბჭოთა ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებუ-ლების სტიმულირების პოლიტიკა. ამას ჰქონდა როგორც ეკო-ნომიკური, ისე გეოპოლიტიკური აზრი. „საერთო ეკონომიკური სივრცე“, რაზეც ხშირად ლაპარაკობდნენ რუსეთის ახალი ხელ-მძღვანელები, იყო რეალობა, რომელიც არ შეეძლოთ უგულე-

ბელეეყოთ ახლო წარსულში ჩამოყალიბებული დამოუკიდებელი სახელმწიფოების ლიდერებს. კოოპერაცია, და რაღაც ინტეგრაციაც კი, აუცილებელი ეკონომიკური მოთხოვნილება იყო. ამრიგად, დსთ-ს ქვეყნების საერთო ინსტიტუტების შექმნისათვის ხელის შეწყობა, რათა უკან შემოებრუნებინათ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური დაშლის შედეგად გამოწვეული ეკონომიკური დეზინტეგრაცია და დაქუცმაცების პროცესი, იყო არა მარტო ნორმალური, არამედ სასურველიც.

ამრიგად, ზოგიერთი რუსისთვის ეკონომიკური ინტეგრაციისთვის ხელის შეწყობა იყო ფუნქციონალურად ქმედითი და პოლიტიკურად საპასუხისმგებლო რეაქცია იმაზე, რაც მოხდა. ხშირად აკეთებენ ანალოგიას ეკ-სა და იმ ვითარებას შორის, რომელიც შეიქმნა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. იმპერიის რესტავრაციას არაორაზროვნად უარყოფდნენ ეკონომიკური ინტეგრაციის ყველაზე ზომიერი მომხრეები. მაგალითად, მნიშვნელოვან მოხსენებაში – „სტრატეგია რუსეთისათვის“, – რომელიც გამოქვეყნებული იყო საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის საბჭოს ცნობილი პიროვნებებისა და მაღალჩინოსან სახელმწიფო მოხელეთა ჯგუფის მიერ, უკვე 1992 წლის აგვისტოში „პოსტიმპერიული განათლებული ინტეგრაცია“ საკმაოდ არგუმენტირებულად იყო დაცული, როგორც მოქმედების ყველაზე სწორი პროგრამა პოსტსაბჭოური ეკონომიკური სივრცისათვის.

მაგრამ „მახლობელი საზღვარგარეთისადმი“ გაძლიერებული ყურადღების მიქცევა არ იყო მხოლოდ პოლიტიკურად რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობის რბილი დოქტრინა. მის გეოპოლიტიკურ შინაარსს იმპერიული კონტექსტი ჰქონდა. თვით საკმაოდ ზომიერ მოხსენებაშიც კი, 1992 წელს, ლაპარაკი იყო აღდგენილ რუსეთზე, რომელსაც, საბოლოო ჯამში, დასავლეთთან უნდა დაემყარებინა სტრატეგიული თანამშრომლობა, თანამშრომლობა, რომელშიაც „რუსეთი ვითარებას და-

არეგულირებდა აღმოსავლეთ ევროპაში, შუა აზიასა და შორეულ აღმოსავლეთში“. ამ პრიორიტეტების სხვა მომხრეები უფრო მოურიდებელნი აღმოჩდნენ, არაორაზროვნად აცხადებდნენ რა რუსეთის განსაკუთრებულ როლზე პოსტსაბჭოთა სივრცეში და ბრალს სდებდნენ დასავლეთს ანტირუსულ პოლიტიკაში, რომელსაც ის ატარებდა უკრაინისა და სხვა ახლო წარსულში შექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოებისთვის დახმარებით.

ტიპურ, მაგრამ სრულიადაც არაექსტრემალურ მაგალითად იქცა 1993 წელს უცხოეთის საქმეთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარისა და თანამშრომლობის პრიორიტეტის ყოფილი მომხრის ი. აბრამოვიჩის მსჯელობა, რომელიც აშკარად ამტკიცებდა, რომ ყოფილი საბჭოთა სივრცე იყო გეოპოლიტიკური ზეგავლენის განსაკუთრებული რუსული სფერო. 1994 წლის იანვარში მას მხარი დაუჭირა უწინ დასავლეთთან თანამშრომლობის პრიორიტეტის ენერგიულმა მომხრემ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრეი კოზირევმა, რომელმაც განაცხადა, რომ რუსეთი „ვალდებულია შეინარჩუნოს თავისი სამხედრო ყოფნა იმ რეგიონებში, რომლებიც საუკუნეების მანძილზე იმყოფებოდა მისი ინტერესების სფეროში“. და მართლაც, 1994 წლის 8 აპრილს „იზვესტიამ“ განაცხადა, რომ რუსეთმა შეძლო შეენარჩუნებინა არანაკლებ 28 სამხედრო ბაზა ახლო წარსულში დამოუკიდებლობამიღწეული სახელმწიფოების ტერიტორიებზე და, ის ხაზი რუკაზე, რომელიც აერთიანებს რუსეთის სამხედრო დაჯგუფებებს კალინინგრადის ოლქში, მოლდავეთში, სომხეთში, ტაჯიკეთსა და კურილიის კუნძულებზე, თითქმის ემთხვევა ყოფილ საბჭოთა კავშირის საზღვრების ხაზს, როგორც ეს ჩანს XV რუკაზე.

1995 წლის სექტემბერში პრეზიდენტმა ელცინმა დსთ-ს მიმართ რუსეთის პოლიტიკის შესახებ გამოსცა ოფიციალური

დოკუმენტი, რომელშიც შემდეგნაირად ჩამოაყალიბა რუსეთის მიზნების კლასიფიცირება:

> „რუსეთის პოლიტიკის ძირითადი ამოცანაა, დსთ-ს მიმართ ისეთი ეკონომიკური და პოლიტიკურად ინტეგრირებული სახელმწიფოების გაერთიანების შექმნა, რომელსაც უნარი ექნება მსოფლიო გაერთიანებაში პრეტენზიები განაცხადოს მის შესაფერის ადგილზე, რუსეთის, როგორც წამყვანი ძალის, კონსოლიდაციაზე პოსტსაბჭოთა სივრცეზე სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების ახალი სისტემის ფორმირებაში".

აუცილებელია, აღვნიშნოთ ამ ძალისხმევის პოლიტიკური გაქანება იმ სამართლებრივ ცალკე სუბიექტზე მითითებით, რომელიც პრეტენზიას აცხადებდა მსოფლიო სისტემაში „თავის" ადგილზე და რუსეთის დომინირებულ როლზე ამ ახალი სამართლებრივი სუბიექტის შიგნით. ამის შესაბამისად, მოსკოვი დაბეჯითებით მოითხოვდა რუსეთსა და ახლო წარსულში აღმოცენებულ დსთ-ს შორის პოლიტიკური სამხედრო კავშირების განმტკიცებას, რათა შექმნილიყო ერთიანი სამხედრო მთავარსარდლობა, რომ დსთ-ს სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალები ოფიციალურად დაკავშირებული ყოფილიყვნენ ხელშეკრულებით, დსთ-ს „საგარეო" საზღვრები ყოფილიყო ცენტრალიზებული (წაიკითხე: მოსკოვის კონტროლის ქვეშ), რათა რუსულ ჯარს დსთ-ს შიგნით შეესრულებინა გადამწყვეტი როლი ნებისმიერ სამშვიდობო ოპერაციებში და ფორმირებული ყოფილიყო დსთ-ს ქვეყნების საერთო საგარეო პოლიტიკა, რომლის ძირეული ინსტიტუტები უნდა ყოფილიყო მოსკოვში (და არა მინსკში, როგორც თავდაპირველად იყო გადაწყვეტილი, 1991

წელს), იმავდროულად, რუსეთის პრეზიდენტი უნდა ყოფილიყო დსთ-ს მიერ უმაღლეს დონეზე ჩატარებული შეხვედრების თავმჯდომარე.

ეს კიდევ ყველაფერი არ იყო. 1995 წლის სექტემბრის დოკუმენტში, ასევე, ცხადდებოდა, რომ:

> „მახლობელი საზღვარგარეთის" ქვეყნებში გარანტირებული უნდა იყოს რუსეთის ტელევიზიისა და რადიოს პროგრამების გავრცელება, მხარდაჭერა გაეწიოს რუსული გამოცემების გავრცელებას რეგიონში და რუსეთმა უნდა მოამზადოს დსთ-ს ქვეყნებისათვის ეროვნული კადრები.
>
> განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის, როგორც მთავარი განმანათლებელი ცენტრის პოზიციების აღდგენას, მხედველობაში მივიღებთ რა დსთ-ს ქვეყნებში ახალგაზრდა თაობის რუსეთისადმი მეგობრული სულისკვეთებით აღზრდის აუცილებლობას“.



რუკა XV

ყოფილი საბჭოთა ბიოლოგიური რეკონიტის საძიებელი ბაზები

ასახავდა რა მსგავს განწყობას, რუსეთის სახელმწიფო „დუმა“ 1996 წლის დასაწყისში, იმდენად შორს წავიდა, რომ საბჭოთა კავშირის გაუქმება თეორიულად გაუმართლებელ ნაბიჯად გამოცხადდა. გარდა ამისა, იმავე წლის გაზაფხულზე, რუსეთმა ხელი მოაწერა ორ ხელშეკრულებას, რომლებიც უზრუნველყოფდნენ უფრო მჭიდრო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტეგრაციას რუსეთსა და დსთ-ს შედარებით დამყოლ წევრებს შორის. შეთანხმება, რომელიც, დიდი პომპეზურობით და ფუფუნებით ჩატარდა, ითვალისწინებდა რუსეთსა და ბელორუსიას შორის კავშირის შექმნას „სუვერენული რესპუბლიკების გაერთიანების ჩარჩოებში (რუსული შემოკლებით სსრ, რაც მრავლისმეტყველად მოგვაგონებდა საბჭოთა კავშირის შემოკლებულ სახელს სსსრ-ს). მეორე შეთანხმება კი, რომელსაც ხელი მოაწერეს რუსეთმა, ყაზახეთმა, ბელორუსიამ და ყირგიზეთმა, პერსპექტივაში განაპირობებდა „გაერთიანებული სახელმწიფოების ერთიანობის შექმნას“. ორივე ინიციატივა ასახავდა დსთ-ს შიგნით გაერთიანების ნელი ტემპებით უკმაყოფილებას და რუსეთის ენერგიულ გადაწყვეტილებას, ხელი შეეწყო გაერთიანების პროცესისათვის.

ამრიგად, „მახლობელი საზღვარგარეთის“ დსთ-ს ცენტრალური მექანიზმების გაძლიერებაზე ყურადღების გამახვილებაში ერთმანეთთან გაერთიანდა ობიექტური ეკონომიკური დეტერმინიზმიდან საკმაოდ ძლიერ სუბიექტურ იმპერიულ ზრახვაზე დამოკიდებულების ზოგიერთი ელემენტი. მაგრამ ვერც ერთმა და ვერც მეორემ ვერ გასცეს ფილოსოფიური, მით უმეტეს, გეოპოლიტიკური, პასუხი ჯერ კიდევ გატანჯულ კითხვაზე: „რა არის რუსეთი? როგორია მისი ჭეშმარიტი მისია და კანონიერი საზღვრები?“

ეს სწორედ ის ვაკუუმია, რომლის შევსებას შეეცადა ევრაზიულობის უფრო მომხიბლავი დოქტრინა მისი ასევე, „მახლობელ საზღვარგარეთზე“ გამიზნული ფოკუსით, ამ ორიენტაციის ამოსავალი წერტილის წინამძღვარი, რომელიც ტერმინოლოგიაში განსაზღვრულია უფრო კულტურასთან და მისტიკასთან კავშირში, გახლდათ ის, რომ გეოპოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით, რუსეთი არ იყო ევროპული და, აგრეთვე არ იყო აზიური ქვეყანა და ამიტომ იგი აშკარად ევრაზიული სახელმწიფოა, რაც მხოლოდ მისთვის იყო დამახასიათებელი. ეს რუსეთის ცენტრალურ ევროპასა და წყნარ ოკეანეს შორის უზარმაზარი ტერიტორიის უნიკალური კონტროლის მემკვიდრეობაა, რომელსაც მოსკოვი ქმნიდა თავისი აღმოსავლეთისაკენ წინსვლის ოთხი საუკუნის მანძილზე. ამ წინსვლის შედეგად რუსეთმა მოახდინა მრავალრიცხოვანი არარუსი და არაევროპელი ხალხების ასიმილირება, შეიძინა რა ამით ერთიანი პოლიტიკური და კულტურული ინდივიდუალობა.

ევრაზიულობა, როგორც დოქტრინა, გაჩნდა არა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. პირველად ის აღმოცენდა XIX საუკუნეში, მაგრამ უფრო მეტი გავრცელება ჰპოვა XX საუკუნეში, როგორც საბჭოთა კომუნიზმის მიმართ აშკარად ჩამოყალიბებული ალტერნატივა, დასავლეთის თითქოსდა დაცემის რეაქციის სახე. რუსი ემიგრანტები ამ დოქტრინას განსაკუთრებული აქტიურობით ავრცელებდნენ, როგორც საბჭოთა გზისადმი ალტერნატივას, ესმოდათ რა, რომ საბჭოთა კავშირში, არარუსი ხალხების ეროვნული გამოღვიძება მოითხოვდა ყოვლისმომცველ ეროვნულ დოქტრინას, რათა კომუნიზმის საბოლოო კრახს არ მიეყვანა, ასევე, რუსეთის იმპერია დაშლამდე.

უკვე ჩვენი საუკუნის 20-იანი წლების შუახანებში ეს აშკარად ჩამოყალიბებული ჰქონდა თავად ნ. ს. ტრუბეცკოის, ევრაზიულობის იდეის წამყვან გამომხატველს, რომელიც წერდა:

„კომუნიზმი, მართლაც წარმოადგენს ევროპეიზმის დამახინჯებულ ვარიანტს მისი რუსული საზოგადოების სულიერი საფუძვლებისა და ეროვნული უნიკალობის ნგრევაში, მასში იმ მატერიალური კრიტერიუმების გავრცელებაში, რომლებიც, ფაქტობრივად, მართავენ ევროპასაც და ამერიკასაც... ჩვენი ამოცანაა, შევქმნათ სრულიად ახალი კულტურა, ჩვენი საკუთარი კულტურა, რომელიც არ დაემსგავსება ევროპულ ცივილიზაციას... მაშინ, რუსეთი შეწყვეტს ევროპული ცივილიზაციის დამახინჯებულ ანარეკლად ყოფნას... მაშინ, ის კვლავ იქცევა თავისთავად რუსეთ-ევრაზიად, დიდი ჩინგიზ-ყაენის მემკვიდრეობის შეგნებულ მემკვიდრედ და მატარებლად”.[22]

ამ თვალსაზრისმა მადლიერი აუდიტორია პოვა დახლართულ პოსტსაბჭოთა ვითარებაში, ერთი მხრივ, კომუნიზმი დაღდასმული აღმოჩნდა, როგორც მოღალატე რუსული მართლმადიდებლობისა და განსაკუთრებული, მისტიკური „რუსული იდეისა”, მეორე მხრივ – უარყოფილ იქნა მედასავლეთეობა, რამეთუ, დასავლეთი, კულტურული თვალსაზრისით, ითვლებოდა გამხრწნელად, ანტირუსულად და მიდრეკილი, უარი ეთქვა რუსეთისათვის მისი ისტორიულად და გეოგრაფიულად დასაბუთებული პრეტენზიებისათვის ევრაზიულ სივრცეზე ექსკლუზიური კონტროლის დაწესებაზე.

ევრაზიულობას აკადემიური პენი მისცა ლევ გუმილიოვმა, ისტორიკოსმა, გეოგრაფმა და ეთნოგრაფმა, რომელმაც თავის შრომებში – „შუასაუკუნეობრივი რუსეთი და დიდი სტეპი“, „ევროპის რითმები“ და „ეთნოსის გეოგრაფია ისტორიულ პერიოდში“ - მისი ხშირი და მრავალგზისი გამეორებით თავის მტკი-

22 N. S. Trubetzkoy. The Legacy of Chennghis Khan//Cross Currents – 1990. No9, p. 68.

ცებას გამოუნახა მძლავრი ბაზა, რომ ევრაზია ბუნებრივი გეოგ-
რაფიული გარემოა განსაკუთრებული რუსული ეთნოსისთვის,
რომელიც შეიქმნა იმ სტეპების ბინადარი რუსი და არარუსი
ხალხების ისტორიული სიმბიოზის შედეგად, რამაც მიგვიყვანა
უნიკალური ევრაზიული კულტურისა და სულიერი თვითმყოფა-
დობის აღმოცენებამდე. გუმილიოვი გვაფრთხილებდა, რომ
დასავლეთთან ადაპტაცია რუს ხალხს ემუქრებოდა თავისი „ეთ-
ნოსისა და სულის“ დაკარგვით.

ამ შეხედულებებს იმეორებდნენ, თუმცა კი პრიმიტიულად,
სხვადასხვა რუსი პოლიტიკოს-ნაციონალისტი. ყოფილი ვიცე-
პრეზიდენტი ალექსანდრე რუცკოი, მაგალითად, ამტკიცებდა,
რომ „ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან ნათე-
ლია, რომ რუსეთი ერთადერთი ხიდია აზიასა და ევროპას შო-
რის. ვინც ამ სივრცეს დაეპატრონება, ის იქნება მსოფლიოს
პატრონიც“.[23]

1996 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში ელცინის მეტოქემ, კო-
მუნისტმა გენადი ზუგანოვმა, მიუხედავად მარქსიზმ-ლენინიზმი-
სადმი ერთგულებისა, მხარი დაუჭირა ევრაზიის ვრცელ სივ-
რცეებზე ევრაზიულობის მისტიკურ აქცენტს რუსი ხალხის განსა-
კუთრებული სულიერი და მისიონერული როლის შესახებ, ამ-
ტკიცებდა რა, რომ ამგვარად რუსეთს ღვთით ნაბოძები აქვს
როგორც უნიკალური კულტურული როლი, ისე საკმაოდ ხელ-
საყრელი გეოგრაფიული მდგომარეობა იმისათვის, რომ ითა-
მაშოს მსოფლიოში წამყვანი როლი.

ევრაზიულობის უფრო ზომიერი და პრაგმატული ვარიანტი
დასმულ იქნა ყაზახეთის ხელმძღვანელის, ნურსულთან ნაზარ-
ბაევის მიერაც. საკუთარ ქვეყანაში ის, შეეჯახა რა ადგილობრივ
ყაზახებსა და რუს გადმოსახლებულთა,

---

23 Interview with L“Espresso (Rome) – 1994 – July, 15.

რომელთა რიცხვი თითქმის ყაზახების თანაბარია, შორის განხეთქილებას. ის შეეცადა მოეძია ფორმულა, რომელიც როგორმე შეასუსტებდა პოლიტიკური ინტეგრაციისკენ მიმართული მოსკოვის ზეწოლას, უფერული და არაეფექტური დსთ-ს ალტერნატივის სახით კი, წამოაყენა „ევრაზიული კავშირის“ კონცეფცია. მიუხედავად იმისა, რომ მის ვარიანტს აკლდა მისტიკური შინაარსი, რომელიც დამახასიათებელი იყო უფრო ტრადიციული ევრაზიული აზროვნებისთვის, და აშკარად არ აყენებდა რუსების, როგორც ევრაზიის ლიდერების, განსაკუთრებულ მისიონერულ როლს, ის ეფუძნებოდა იმ თვალსაზრისს, რომ ევრაზია, გეოგრაფიულად მოცემულ საზღვრებში, ანალოგიური იყო საბჭოთა კავშირის საზღვრებისა და წარმოადგენდა ორგანულ მთელს, რომელსაც, ასევე, უნდა ჰქონოდა პოლიტიკური განზომილებაც.

მცდელობა, „მახლობელი საზღვარგარეთისთვის“ უმაღლესი პრიორიტეტი მიეცათ რუსულ გეოპოლიტიკურ აზროვნებაში, გარკვეულწილად, გამართლებული იყო იმ აზრით, რომ პოსტიმპერიულ რუსეთსა და ახლო წარსულში შექმნილ, დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის გარკვეული წესრიგი და დაზავება, უშიშროებისა და ეკონომიკის თვალსაზრისით, აბსოლუტურად აუცილებელი იყო, მაგრამ ამ დისკუსიის დიდი ნაწილის რამდენადმე სიურრეალისტურმა ელფერმა, თუ არაფერს ვიტყვით რუსეთის ევრაზიული ან სლავური, განსაკუთრებული მისიის შესახებ, მას შესძინა გვიანდელი წარმოდგენები იმაზე, რომ ყოფილი იმპერიის პოლიტიკური „გაერთიანება“, გარკვეულწილად, სასურველი და განხორციელებადი იყო, განურჩევლად იმისა, ნებაყოფლობითი იქნებოდა ის (ეკონომიკური მოსაზრებებით), თუ, საბოლოო ჯამში, რუსეთის მიერ დაკარგული ძლიერების აღდგენის შედეგი.

ამ თვალსაზრისით, ეკ-თან ხშირად მოყვანილ შედარებაში უგულებელყოფილია ძირითადი განსხვავება: ეკ-ში, მიუხედავად იმისა, რომ მასში არსებობს გერმანიის განსაკუთრებული გავლენა, არ დომინირებს ერთი რომელიმე სახელმწიფო, რომელიც დაჩრდილავდა ეკ-ის ყველა დანარჩენ წევრს ერთად აღებულს, შესაბამისი მრეწველობის ხვედრითი წილით, მოსახლეობის რაოდენობით ანდა ტერიტორიით. ეკ-ი, ასევე, არ წარმოადგენს რომელიმე ეროვნული იმპერიის მემკვიდრესაც, რომლის გათავისუფლებული წევრები ეჭვს შეიტანდნენ, რომ „ინტეგრაციის“ ქვეშ კოორდინირებული არ ყოფილიყო დაქვემდებარების აღდგენა. ამ შემთხვევაშიც კი, ადვილი წარმოსადგენია, როგორი იქნებოდა ევროპული ქვეყნების რეაქცია, თუკი გერმანია ოფიციალურად განაცხადებდა, რომ მის მიზანს წარმოადგენს ეკ-ში წამყვანი როლის განმტკიცება და გაფართოება, როგორც ეს გაჟღერდა 1995 წლის სექტემბერში რუსეთის ზემოთ ციტირებულ ოფიციალურ განცხადებაში.

ეკ-ითან ანალოგიაში არის კიდევ ერთი ხარვეზი. დასავლეთ ევროპის ქვეყნების ღია, შედარებით განვითარებული ეკონომიკური სისტემები მზად იყვნენ დემოკრატიული ინტეგრაციისთვის, დასავლეთევროპელთა უმრავლესობა ასეთ ინტეგრაციაში ჭვრეტდა საგრძნობ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ხელსაყრელობასაც. დასავლეთ ევროპის ნაკლებად მდიდარ ქვეყნებს ასევე შეეძლოთ ესარგებლათ მნიშვნელოვანი დოტაციებით. ამის საწინააღმდეგოდ, ახლო წარსულში დამოუკიდებლობას მიღწეული სახელმწიფოები, რუსეთში ხედავდნენ პოლიტიკურად არასტაბილურ სახელმწიფოს, რომელიც ჯერ კიდევ ელოლიავებოდა ბატონობის ამბიციებს და, ეკონომიკური თვალსაზრისით, დაბრკოლებას მსოფლიო ეკონომიკაში მონაწილეობისა და უკიდურესად აუცილებელი უცხოეთის ინვესტიციების მიღებისათვის.

„ინტეგრაციის მიმართ მოსკოვის იდეებისადმი ოპოზიცია განსაკუთრებით ძლიერი იყო უკრაინაში. მისი ლიდერები სწრაფად გაერკვნენ, რომ ასეთი „ინტეგრაცია“, განსაკუთრებით კი რუსეთის მიერ უკრაინის დამოუკიდებლობის კანონიერების შენიშვნების ჭრილში, საბოლოო ჯამში, მიიყვანდა ეროვნული სუვერენიტეტის დაკარგვამდე. გარდა ამისა, რუსეთის მძიმე ხელი უკრაინის ახალ სახელმწიფოსთან მიმართებაში: მისი სურვილის არქონა, ეღიარებინა უკრაინის საზღვრები, უკრაინის ყირიმზე უფლების მიმართ ყოყმანი, დაბეჯითებითი პრეტენზიები სევასტოპოლის განსაკუთრებულ ექსტერიტორიულ კონტროლზე – ყოველივე ამან, უკრაინის გამოღვიძებულ ნაციონალიზმს აშკარა ანტირუსული მიმართება მისცა. ამრიგად, თვითგამორკვევის პროცესისას უკრაინის სახელმწიფოს ფორმირების კრიტიკული სტადიის დროს, უკრაინელი ხალხი ტრადიციული, ანტიპოლონური ან ანტირუმინული პოზიციებიდან გადაერთო რუსეთის იმ ნებისმიერი წინადადებისადმი დაპირისპირებაზე, რომელიც მიმართული იყო დსთ-ს ქვეყნების დიდი ინტეგრაციის (რუსეთთან და ბელორუსიასთან), განსაკუთრებული სლავური გაერთიანების ან ევრაზიული კავშირის შექმნისადმი, ამხელდა რა ასე მათ, როგორც რუსეთის იმპერიულ ტაქტიკურ ხერხებს.

უკრაინის გადაწყვეტილებას, შეენარჩუნებინა დამოუკიდებლობა, ხელი შეუწყო გარეშე მხარდაჭერამ. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად, დასავლეთმა და, განსაკუთრებით, შეერთებულმა შტატებმა, დააგვიანეს ეღიარებინათ, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, დამოუკიდებელი უკრაინის სახელმწიფოს არსებობის უდიდესი მნიშვნელობა, 90-იანი წლების შუახანისთვის, აშშ-ც და გერმანიაც მყარი მომხრეები გახდნენ კიევის დამოუკიდებლობისა. 1996 წლის ივლისში, აშშ-ს თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ „არ შემიძლია გადაჭარბებით არ შევაფასო უკრაინის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს

არსებობის მნიშვნელობა მთელი ევროპის უსაფრთხოებისა და სტაბილურობისათვის“. იმავე წლის სექტემბერში კი, გერმანიის კანცლერი, პრეზიდენტ ელცინისადმი მისი ძლიერი მხარდაჭერის მიუხედავად, უფრო შორს წავიდა, როცა თქვა: „ევროპაში უკრაინის მყარი ადგილი უკვე შეუძლებელია ვისიმე მიერ ეჭვქვეშ იქნეს დაყენებული... ამიერიდან ვერავინ შეძლებს უკრაინის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის შეცილებას: პიროვნებებმა, ვინც აშშ-ს პოლიტიკას ქმნის, ასევე, დაიწყეს ამერიკა-უკრაინის ურთიერთობისათვის „სტრატეგიული პარტნიორობის“ დარქმევა, შეგნებულად სარგებლობდნენ რა იმავე გამოთქმით, რითაც განსაზღვრავდნენ ამერიკა-რუსეთის ურთიერთობებს.

როგორც აღნიშნული იყო, უკრაინის გარეშე იმპერიის რესტავრაცია, ის დსთ-ს საფუძველზე მოხდება თუ ევრაზიულობის ბაზაზე, არასიცოცხლისუნარიან საქმედ იქცევა. იმპერია, უკრაინის გარეშე, საბოლოო ჯამში, მიგვანიშნებს, რომ რუსეთი, როგორც სახელმწიფო, უფრო აზიური იქნება და ევროპისგან უფრო შორს მყოფი. გარდა ამისა, ევრაზიულობის იდეა ასევე, ძლიერ მიმზიდველი არ იქნება შუა აზიის ახლახან შექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოების მოქალაქეებისთვის, რომელთაგან მხოლოდ ერთეულები თუ მოისურვებენ მოსკოვთან კავშირის აღდგენას. უზბეკეთმა, მხარს უჭერდა რა უკრაინის დსთს ნებისმიერ ეროვნულ ფორმირებაში გარდაქმნის უკუქმედებას და წინააღმდეგობას უწევდა რა დსთ-ს გაძლიერებისათვის რუსეთის ინიციატივებს, განსაკუთრებული სიმტკიცე გამოავლინა. დსთ-ს სხვა წევრებიც, ასევე, ფრთხილად განეწყვნენ მოსკოვის განზრახვისადმი, გამოავლინეს რა უკრაინისა და უზბეკეთის გარშემო დაჯგუფებების ტენდენციები იმისათვის, რომ წინააღმდეგობა გაეწიათ ან თავი აერიდებინათ მოსკოვის იმ გავლენისადმი, რომელიც მიმართული იყო უფრო მჭიდრო პო-

ლიტიკური და სამხედრო ინტეგრაციისკენ. გარდა ამისა, თითქმის ყველა ახლახან წარმოქმნილ სახელმწიფოში ღრმავდება ეროვნული თვითშეგნება, რომლის ყურადღების ცენტრი სულ უფრო ხდება კოლონიალიზმის, როგორც წარსული მორჩილების დაღდასმა და იმ ეპოქის ყოველნაირი მემკვიდრეობის ამოძირკვა. ამრიგად, ეთნიკური თვალსაზრისით, დასუსტებული ყაზახეთიც კი შეუერთდა შუა აზიის სახელმწიფოების მიერ კირილიცის უარყოფას და მისი ლათინური ანბანით შეცვლას, როგორც ეს ადრე თურქეთმა გააკეთა. არსებითად, რუსეთის მიერ დსთ-ს როგორც პოლიტიკური ინტეგრაციის ინსტრუმენტად გამოყენების მცდელობათა დასაბრკოლებლად, უკრაინის ფარული მეთაურობით ჩამოყალიბდა ბლოკი, რომელშიც შედიოდნენ: უზბეკეთი, თურქმენეთი, აზერბაიჯანი და დროგამოშვებით, ყაზახეთი, საქართველო და მოლდავეთი.

უკრაინის დაჟინებულმა მოთხოვნამ, მხოლოდ შეზღუდული და, ძირითადში, ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართ, „სლავური კავშირის“ ცნებას მოაკლო ყველანაირი პრაქტიკული აზრი... ზოგიერთი „სლავიანოფილის“ მიერ გავრცელებულმა და ალექსანდრე სოლჟენიცინის წყალობით, სახელმოხვეჭილმა იდეამ, როგორც კი უარყოფილი იქნა “უკრაინის მიერ, ავტომატურად დაკარგა გეოპოლიტიკური აზრი. მან ბელორუსია დატოვა რუსეთთან პირისპირ; რაც ასევე გულისხმობდა ყაზახეთის შესაძლებელ გაყოფას, რამეთუ, რუსებით დასახლებულ მის ჩრდილოეთ რაიონებს შეეძლოთ პოტენციურად გამხდარიყვნენ ამ კავშირის ნაწილი. ასეთი ვარიანტი, ბუნებრივია, არ აწყობდათ ყაზახეთის ახალ ხელმძღვანელებს და უფრო გააძლიერეს ყაზახური ნაციონალიზმის ანტირუსული მიმართულება. ბელორუსიისთვის უკრაინის გარეშე „სლავთა კავშირი“ სხვას არაფერს ნიშნავდა, თუ არა, რუსეთის შემადგენლობაში ჩარ-

თვას, რამაც უფრო გააღვივა ნაციონალისტების უკმაყოფილება.

„მახლობელი საზღვარგარეთის“ მიმართ პოლიტიკის გზაზე გარეგნული დაბრკოლებები საკმაოდ გაძლიერებულ იქნა მნიშვნელოვანი საშინაო შემზღუდველი ფაქტორით: რუსი ხალხის განწყობილებით. მიუხედავად ყოფილი იმპერიის ტერიტორიებზე რუსეთის განსაკუთრებული მისიის მიმართ რიტორიკისა და პოლიტიკური ელიტის მგზნებარებისა, რუსმა ხალხმა ნაწილობრივ, აშკარა დაღლილობისგან, მაგრამ ჯანმრთელი აზრის გამოც ნაკლები ენთუზიაზმი გამოავლინა იმპერიის რესტავრაციის პატივმოყვარე პროგრამებისადმი.

რუსები იწონებდნენ საზღვრების გახსნას, ვაჭრობის გადაადგილების თავისუფლებას და რუსული ენის განსაკუთრებულ სტატუსს, მაგრამ პოლიტიკური ინტეგრაცია, განსაკუთრებით კი, თუ ის დაკავშირებული იყო ხარჯებთან ან მოითხოვდა სისხლის დაღვრას, მცირე ენთუზიაზმს იწვევდა. კავშირის დაშლას ნანობდნენ, მისი აღდგენისადმი კეთილგანწყობილნი იყვნენ, მაგრამ ჩეჩნეთში ომზე საზოგადოების რეაქციამ გვიჩვენა, რომ ნებისმიერი პოლიტიკა, რომელიც რაღაც დიდის, ვიდრე ეკონომიკური ბერკეტებისა და (ან) პოლიტიკური ზეწოლის გამოყენებასთან იქნება დაკავშირებული, ხალხის მხარდაჭერას ვერ მიიღებს.

მოკლედ რომ ვთქვათ, „მახლობელ საზღვარგარეთზე“ ორიენტაციის გეოპოლიტიკური პრიორიტეტის უსაფუძვლობა, მდგომარეობდა იმაში, რომ რუსეთი პოლიტიკურად არ იყო საკმაოდ ძლიერი იმისათვის, რომ საკუთარი ნება მოეხვია თავს, ეკონომიკურად კი, ნაკლებ მიმზიდველი, რათა მოეხიბლა ახალი სახელმწიფოები. რუსეთის მხრიდან ზეწოლა მხოლოდ აიძულებდა მათ, უფრო საზღვარგარეთთან მოეძიათ კავშირები, პირველ ყოვლისა კი, დასავლეთთან, ზოგიერთ

შემთხვევაში – ჩინეთთან და სამხრეთით ისლამურ სახელმწიფოებთან. როცა რუსეთმა ნატოს გაფართოების საპასუხოდ მუქარით განაცხადა თავისი სამხედრო ბლოკის შექმნის შესახებ, თავის თავს მტკივნეული კითხვა დაუსვა: – „ვისთან?“ და მიიღო უფრო მტკივნეული პასუხი: დიდი-დიდი ბელორუსიასთან და ტაჯიკეთთან.

ახალი სახელმწიფოები, ეშინოდათ რა შესაძლებელი პოლიტიკური შედეგების, უფრო იმის მიდრეკილებას ამჟღავნებდნენ, რომ არ სურდათ გაეზიარებინათ რუსეთთან ეკონომიკური ინ ტეგრაციის თვით სრულიად გამართლებული და აუცილებელი ფორმები, იმავდროულად რუსეთისათვის, თითქოსდა, დამახასიათებელი ევრაზიულობის მისიისა და სლავიანური ამოუცნობლობის იდეებმა კიდევ უფრო იზოლაციაში მოაქცია რუსეთი ევროპისაგან და საერთოდ, დასავლეთისგან, ამრიგად, გაახანგრძლივა, პოსტსაბჭოთა კრიზისი და შეაჩერა რუსეთის საზოგადოების აუცილებელი მოდერნიზაცია და ვესტერნიზაცია იმ პრინციპით, როგორც ეს ქემალ ათათურქმა გააკეთა თურქეთში ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ. ამრიგად „მახლობელ საზღვარგარეთზე“ ყურადღების გამახვილება რუსეთისათვის იქცა არა გეოპოლიტიკურ გადაწყვეტილებად, არამედ გეოპოლიტიკურ დაბნეულობად.

თუ არა აშშ-თან კონდომინიუმი და არა „მახლობელი საზღვარგარეთი“, მაშინ, კიდევ რომელი გეოპოლიტიკური ვარიანტები ჰქონდა რუსეთს? „დემოკრატიული“ რუსეთის აშშ-სთან სასურველი გლობალური თანასწორობის მისაღწევად დასავლეთზე ორიენტაციის წარუმატებელმა ცდამ, რაც უფრო ლოზუნგს წარმოადგენდა, ვიდრე რეალობას, იმედების გაცრუება გამოიწვია დემოკრატთა შორის, მაშინ, როცა, იძულებითმა აღიარებამ, რომ ძველი იმპერიის „რეინტეგრაცია“, საუკეთესო შემთხვევაში, შორეულ პერსპექტივას ქმნიდა, მოხიბლა ზოგი-

ერთი რუსი გეოპოლიტიკოსი, გათამაშებოდა რაღაც კონტრალიანსის იდეას, რომელიც მიმართული იქნებოდა ევრაზიაში აშშ-ს ჰეგემონიის წინააღმდეგ.

1996 წლის დასაწყისში პრეზიდენტმა ელცინმა დასავლეთზე ორიენტირებული საგარეო საქმეთა მინისტრი კოზირევი შეცვალა უფრო გამოცდილი, მაგრამ ორთოდოქსალური ევგენი პრიმაკოვით, ყოფილი კომუნისტური სპეციალისტით, რომლის დიდი ხნის ინტერესს წარმოადგენდა ირანი და ჩინეთი. ზოგიერთი რუსი მიმომხილველი ვარაუდობდა, რომ პრიმაკოვის ორიენტაციას შეიძლება დაეჩქარებინა იმ ახალი „ანტიჰეგემონური“ კოალიციის ფორმირება, რომელიც შეიქმნებოდა ამ სამი ქვეყნის გარშემო ევრაზიაში აშშ-ს უპირატესი გავლენის შეზღუდვაზე არსებული უზარმაზარი გეოპოლიტიკური ფსონით.

პრიმაკოვის რამდენიმე ვიზიტმა და კომენტარმა კიდევ უფრო გააძლიერა ასეთი შთაბეჭდილება. გარდა ამისა, ჩინეთსა და ირანს შორის იარაღით ვაჭრობის სფეროში არსებული კავშირები, ასევე რუსეთის მიდრეკილება, დახმარება გაეწია ირანისთვის მის მცდელობაში, მიეღო ატომური იარაღისადმი უფრო ფართო დაშვება, როგორც ჩანს, უზრუნველყოფდნენ უფრო მჭიდრო პოლიტიკური დიალოგისთვის მშვენიერ შესაძლებლობებს და, საბოლოო ჯამში, ალიანსის შექმნას. შედეგს შეეძლო, უკიდურეს შემთხვევაში, თეორიულად მაინც, გაეერთიანებინა მსოფლიოს წამყვანი სლავური სახელმწიფო, მსოფლიოში ყველაზე მებრძოლი ისლამური სახელმწიფო და მოსახლეობის რაოდენობით ყველაზე დიდი და ძლიერი აზიური სახელმწიფო, შეექმნა რა, ამგვარად, მძლავრი კოალიცია.

აუცილებელი ამოსავალი წერტილი ნებისმიერი ასეთი კონტრალიანსისათვის იყო ორმხრივი ჩინეთ-რუსეთის ურთიერთობების განახლება ორივე სახელმწიფოს პოლიტიკური უკმაყოფილების საფუძველზე, რომ აშშ იქცა ერთადერთ ზესახელმწი-

ფოდ. 1996 წელს ელცინი ვიზიტით იმყოფებოდა პეკინში და ხელი მოაწერა დეკლარაციას, რომელიც არაორაზროვნად კიცხავდა გლობალურ „ჰეგემონიურ“ ტენდენციებს, რაც ასევე გულისხმობდა, რომ რუსეთი და ჩინეთი გაერთიანდებოდნენ კავშირში შეერთებული შტატების წინააღმდეგ. 1996 წლის დეკემბერში ჩინეთის პრემიერმინისტრი ლი პენი საპასუხო ვიზიტით ეწვია და ორივე მხარემ არა მარტო კვლავ დაადასტურა, რომ ისინი წინააღმდეგი არიან საერთაშორისო სისტემისა, რომელშიაც „დომინირებს ერთი სახელმწიფო“, არამედ ასევე, მოიწონეს არსებული ალიანსების გაძლიერება. რუსი მიმომხილველები მიესალმნენ მოვლენათა ასეთ განვითარებას, განიხილავდნენ რა მათ, როგორც დადებით ძვრას გლობალურ ძალთა თანაფარდობაში, საკადრის პასუხად შეერთებული შტატების მიერ ნატოს გაფართოების მხარდაჭერისადმი. ასევე ზოგიერთი ზეიმობდა კიდეც, რომ რუსეთ-ჩინეთის ალიანსი აშშ-სათვის იქნებოდა ის მკაცრი პასუხი, რაც მათ დაიმსახურეს.

მაგრამ რუსეთის ერთდროული კოალიცია ჩინეთთან და ირანთან შეიძლებოდა შექმნილიყო იმ შემთხვევაში, თუ შეერთებული შტატები იმდენად არაშორსმჭვრეტელი აღმოჩნდებოდა, რომ ერთდროულად გამოეწვია ანტაგონიზმი ჩინეთსა და ირანში. რა თქმა უნდა, ასეთი შესაძლებლობა გამორიცხული არაა და აშშ-ს მოქმედებანი 1995-1996 წლებში, თითქოსდა, ამართლებდა აზრს, რომ შეერთებული შტატები მიისწრაფვის შევიდეს ანტაგონისტურ ურთიერთობებში თეირანთან და პეკინთანაც. მაგრამ არც ირანი და არც ჩინეთი მზად არ იყვნენ სტრატეგიულად დაეკავშირებინათ თავიანთი ბედი არასტაბილურ და სუსტ რუსეთთან. ორივე სახელმწიფოს ესმოდა, რომ ნებისმიერ მსგავს კოალიციას, როგორც კი ის გასცდებოდა ტაქტიკური ორკესტრირების ზოგიერთი დასახული, განსაზღვრული მიზნის ფარგლებს, შეეძლო მუქარის ქვეშ დაეყენებინა მათი

დაახლოება უფრო განვითარებულ სახელმწიფოებთან, რომ-ლებიც ინვესტირების არაჩვეულებრივ შესაძლებლობებსა და ერთობ აუცილებელ მოწინავე ტექნოლოგიებს ფლობდნენ. რუ-სეთს: შეეძლო მათთვის შეეთავაზებინა ძალიან ცოტა, რათა ყოფილიყო ჭეშმარიტად ღირსეული პარტნიორი ანტიჰეგემო-ნისტური მიმართულებების კოალიციაში.

საერთო იდეოლოგიას მოკლებული და მხოლოდ „ანტიჰეგე-მონისტური“ გრძნობებით გაერთიანებული მსგავსი კოალიცია, არსებითად, იქნება „მესამე სამყაროს“ ქვეყნების ერთი ნაწილის ალიანსი, ყველაზე განვითარებული სახელმწიფოების წინააღ-მდეგ. ასეთი კოალიციის ვერც ერთი წევრი ბევრს ვერ მიაღ-წევს, განსაკუთრებით კი ჩინეთი, რომელიც რისკავს, დაკარგოს ინვესტიციების უზარმაზარი მოდინება. რუსეთისათვის – ანალო-გიურად – რუსეთ-ჩინეთის ალიანსის აჩრდილი... მკვეთრად გაზრდის იმის შანსს, რომ კვლავ აღმოჩნდეს დასავლეთის ყვე-ლა სახელმწიფოს ტექნოლოგიებისა და კაპიტალებისგან[24] მოკვეთილ მდგომარეობაში. როგორც შენიშნა ერთმა კრიტი-კულად განწყობილმა რუსმა გეოპოლიტიკოსმა, ასეთი კავში-რი, საბოლოო ჯამში, გასწირავს ყველა მონაწილეს, განურჩევ-ლად იმისა, ორი იქნება თუ სამი, ხანგრძლივი იზოლაციისა და მათთვის საერთო ჩამორჩენილობისათვის.

გარდა ამისა, ჩინეთი უფროსი პარტნიორი იქნება რუსეთის მი-ერ მსგავსი „ანტიჰეგემონისტური“ კოალიციის შექმნის ნებისმიე-რი სერიოზული მცდელობის დროს, მოსახლეობის დიდი რა-ოდენობის მქონე, მრეწველობის თვალსაზრისით უფრო განვი-თარებული, უფრო ნოვატორული, უფრო დინამიკური და პო-ტენციურად რუსეთის ზოგიერთი ტერიტორიის პრეტენდენტი ჩი-ნეთი, იმავდროულად ავლენდა სახსრების უკმარისობას (შესაძ-

24 Bogaturov A. Sovremenie Otnoshenia i perspektivi vzaimodeistvia Rosia i Soedinennikh Shtatov. Nezavistimaia gazeta – 1996 – 28 June.

ლოა, სურვილის არქონას), დახმარებოდა რუსეთს, დაეძლია თავისი ჩამორჩენილობა, გარდაუვლად მიაკუთვნებდა რუსეთს უმცროსი პარტნიორის სტატუსს. ამგვარად, რუსეთი იქცეოდა ბუფერად გაფართოებად ევროპასა და ექსპანსიონისტურ ჩინეთს შორის.

დაბოლოს, ზოგიერთი საერთაშორისო საქმეების რუსი ექსპერტი აგრძელებდა იმ იმედების ლოლიავს, რომ ევროპის ინტეგრაციაში საყაიმო მდგომარეობას, ასევე ნატოს მომავალი მოდელის შესახებ დასავლეთის ქვეყნების შიდა უთანხმოებებს, ალბათ, საბოლოო ჯამში, შესაძლოა რუსეთი მიეყვანა, სულ მცირე, გერმანიასთან ან საფრანგეთთან „ფლირტის“ ტაქტიკური შესაძლებლობების აღმოცენებამდე, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, აშშ-სთან ევროპის ტრანსატლანტიკური კავშირების დაკარგვის გარეშე ასეთი პერსპექტივა ძნელად თუ იქნებოდა რაიმე ახალი, რადგან ცივი ომის მსვლელობის მთელი პერიოდის მანძილზე მოსკოვი პერიოდულად ცდილობდა, გაეთამაშებინა გერმანული ან ფრანგული ბანქო, მიუხედავად იმისა, რომ ევროპის საქმეებში საყაიმო მდგომარეობას შეეძლო შეექმნა ისეთი ხელსაყრელი ტაქტიკური პირობები, რომლებიც გამოყენებულ იქნებოდა აშშ-ს საზიანოდ.

მაგრამ ეს იყო წმინდა ტაქტიკური ვარიანტები, თითქმის ყველაფერი ის, რისი მიღწევაც შეიძლებოდა. ნაკლებდასაჯერებელია, რომ გერმანია ან საფრანგეთი უარს განაცხადებდა ამერიკასთან კავშირებზე. „ფლირტის“ დასახული განსაზღვრული მიზნები, განსაკუთრებით, საფრანგეთთან, რომელიმე წვრილმან საკითხზე გამორიცხული არაა, მაგრამ ალიანსების სტრუქტურის გეოპოლიტიკურ ცვლილებებს აუცილებლად წინ უნდა უძღოდეს ევროპულ საქმეებში მასირებული გადატრიალება, ევროპის გაერთიანების ჩავარდნა და ტრანსატლანტიკური კავშირების გაწყვეტა. მაგრამ მაშინაც ნაკლებდასაჯერებელია,

რომ ევროპული სახელმწიფოები სურვილს გამოთქვამენ, გაერთიანდნენ ჭეშმარიტად კურსდაკარგულ რუსეთთან ყოვლისმომცველ კავშირში.

ამრიგად, გულმოდგინე განხილვისას, კონტრალიანსის არც ერთი ვარიანტი არ არის სიცოცხლისუნარიანი ალტერნატივა. რუსეთის ახალი გეოპოლიტიკური დილემის გადაწყვეტა შეუძლებელია მოინახოს არც კონტრალიანსში, არც აშშ-თან თანასწორუფლებიანი სტრატეგიული პარტნიორობის ილუზიებში, არც მცდელობებში, საბჭოთა კავშირის სივრცეზე შეიქმნას რაიმე ახალი პოლიტიკური ან ეკონომიკური „ინტეგრირებული" ფორმირება. არც ერთ მათგანში არაა გათვალისწინებული ის გამოსავალი, რომელიც მართლაც შეიძლება გააჩნდეს რუსეთს.

ერთადერთი ალტერნატივის დილემა

რუსეთისათვის ერთადერთი გეოსტრატეგიული არჩევანი, რომლის შედეგად მას შეეძლო შეესრულებინა საერთაშორისო არენაზე რეალური როლი და მიეღო ტრანსფორმირებისა და თავისი საზოგადოების მოდერნიზაციის მაქსიმალური შესაძ-ლებლობა – ესაა ევროპა. ეს არის არა უბრალოდ, რომელიმე ევროპა, არამედ ტრანსატლანტიკური ევროპა გაფართოებადი ეკ-ითა და ნატოთი. ასეთი ევროპა, როგორც მესამე თავში ვი-ხილეთ, იღებს ხელშესახებ ფორმას და, გარდა ამისა, ის, ალ-ბათ უწინდებურად მჭიდროდ იქნება დაკავშირებული ამერიკას-თან. აი, ასეთ ევროპასთან მოუწევს რუსეთს ურთიერთობა იმ შემთხვევაში, თუ მას სურს, თავი აარიდოს საშიშ გეოპოლიტი-კურ იზოლაციას.

ამერიკისათვის რუსეთი ძლიერ სუსტია იმისათვის, რომ მისი პარტნიორი იყოს, მაგრამ როგორც უწინ, ძალზე ძლიერია იმი-სათვის, რომ, უბრალოდ მისი პაციენტი იყოს. უფრო სავარა-უდოა სიტუაცია, რომლის დროსაც რუსეთი პრობლემად იქცე-ვა, თუკი ამერიკა ვერ შეიმუშავებს პოზიციას, რომლითაც იგი შეძლებს დაარწმუნოს რუსები, რომ საუკეთესო არჩევანი მათი ქვეყნისათვის არის ტრანსატლანტიკურ ევროპასთან ორგანუ-ლი კავშირების გაძლიერება. მართალია, გრძელვადიანი რუ-სეთ-ჩინეთისა და რუსეთ-ირანის სტრატეგიული კავშირი ნაკ-ლებდასაჯერებელია, ამერიკისათვის ერთობ მნიშვნელოვანია, თავი აარიდოს პოლიტიკას, რომელსაც შეუძლია რუსეთის ყუ-რადღება გადაიტანოს საჭირო გეოპოლიტიკური არჩევანიდან. ამიტომ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ამერიკის ჩინეთთან და ირანთან ურთიერთობანი ასევე ფორმულირებულ უნდა იქ-

ნეს მათი, რუსების გეოპოლიტიკურ გათვლებზე ზეგავლენის გათვალისწინებით. დიდ გეოსტრატეგიულ ვარიანტებზე ილუ-ზიების შენარჩუნებამ შეიძლება მხოლოდ დროებით გადასწიოს ის ისტორიული არჩევანი, რომელიც რუსეთმა უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ თავი აარიდოს მძიმე ავადმყოფობას.

მხოლოდ რუსეთი, რომელსაც სურს მიიღოს ევროპის ახალი რეალობა როგორც ეკონომიკური, ისე გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, შეძლებს საერთაშორისო უპირატესობების მო-პოვებას გაფართოებადი ტრანსკონტინენტური ევროპული თა-ნამშრომლობიდან ვაჭრობის, კომუნიკაციის, კაპიტალდაბანდე-ბებისა და განათლების სფეროებში. ამიტომაც, რუსეთის მონა-წილეობა ევროპულ კავშირში – ეს სწორი მიმართულებისკენ გადადგმული ნაბიჯია. ის რუსეთსა და გაფართოებად ევროპას შორის დამატებითი ინსტიტუციონალური კავშირების მაუწყებე-ლია. ის, ასევე, ნიშნავს, რომ რუსეთის მიერ ამ გზის არჩევის შემთხვევაში, მას უკვე აღარ დარჩება სხვა არჩევანი, გარდა იმისა, რომ, საბოლოო ჯამში, გაჰყვეს იმ კურსს, რომელიც აირჩია პოსტოტომანის თურქეთმა, როცა მან გადაწყვიტა, უარი ეთქვა თავის იმპერიულ ამბიციებზე და გულმოდგინედ აწონა რა ყველაფერი, დაადგა მოდერნიზაციის, ევროპიზაციისა და დემოკრატიზაციის გზას. ვერავითარ სხვა არჩევანს ვერ ძა-ლუძს, რუსეთს იმ უპირატესობების კარი გაუღოს, როგორც ამე-რიკასთან დაკავშირებულ, თანამედროვე მდიდარ და დემოკ-რატიულ ევროპას. ევროპა და ამერიკა არ უქმნიან არავითარ საფრთხეს რუსეთს. ისინი წარმოადგენენ არაექსპანსიონისტურ ეროვნულ და დემოკრატიულ სახელმწიფოებს. მათ არ გააჩნი-ათ რუსეთისადმი რაიმე ტერიტორიული პრეტენზიები, რაც შე-იძლება ერთ მშვენიერ დღეს გაუჩნდეს რუსეთს. მათ ასევე არ გააჩნიათ რუსეთთან სადავო და პოტენციურად ფეთქებადსაში-ში საზღვრები, რაც ეთნიკური და ტერიტორიული თვალსაზრი-

სით, აშკარად არსებობს რუსეთის სამხრეთით მუსლიმურ სახელმწიფოებთან. პირიქით, როგორც ევროპისთვის, ისე ამერიკისთვის, ეროვნული და დემოკრატიული რუსეთი, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, სასურველი სუბიექტია, სტაბილურობის წყაროა ცვალებად ევრაზიულ კომპლექსში.

აქედან გამომდინარე, რუსეთი დილემის წინაშე დგას: საგრძნობი უპირატესობების მოპოვების მიზნებით, ევროპისა და ამერიკის სასარგებლოდ არჩევანი, პირველ ყოვლისა, საჭიროებს მკვეთრ განდგომას იმპერიულ წარსულთან და მეორე – ამერიკასთან პოლიტიკასა და უსაფრთხოების სფეროში, ევროპის გაფართოებადი კავშირების მიმართ არავითარ ორაზროვნებას. პირველი მოთხოვნა ნიშნავს იმ გეოპოლიტიკურ პლურალიზმთან თანხმობას, რომელმაც გავრცელება პოვა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ასეთი თანხმობა არ გამორიცხავს ეკონომიკურ თანამშრომლობას, უპირატესად, თავისუფალი ვაჭრობის ძველი ევროპული ზონის მოდელის საფუძველზე, თუმცა კი მას არ შეუძლია ჩართოს ახალ სახელმწიფოთა პოლიტიკური სუვერენიტეტის შეზღუდვა იმ მიზეზით, რომ მათ ეს არ სურთ. ამ თვალსაზრისით, ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთის მიერ უკრაინის ცალკე არსებობის, მისი საზღვრებისა და ეროვნული თვითმყოფადობის აშკარა და არაორაზროვან აღიარებას.

მეორე მოთხოვნაზე, შესაძლოა, უფრო ძნელი იყოს დათანხმება, რადგან ტრანსატლანტიკურ გაერთიანებასთან თანამშრომლობის ჭეშმარიტი ურთიერთობები არ შეიძლება დაფუძნებული იყოს იმ პრინციპზე, რომ რუსეთის სურვილის შესაბამისად, უარი ვუთხრათ ევროპის იმ დემოკრატიულ სახელმწიფოებს, რომელთაც სურთ იქცნენ მის შემადგენელ ნაწილად. არ შეიძლება ავჩქარდეთ ამ გაერთიანების საქმეში და, რა თქმა უნდა, ხელი არ უნდა შეეწყოს ამას ანტირუსული თემის გამოყე-

ნებით. მაგრამ ეს პროცესი არ შეიძლება და არც უნდა იყოს შეწყვეტილი იმ პოლიტიკური მითითებით, რომელიც თავად ასახავს უშიშროების სფეროში ევროპულ ურთიერთობებზე მოძველებულ აზრებს. ევროპის გაფართოებისა და დემოკრატიზაციის პროცესი უნდა იყოს უდავო ისტორიული პროცესი, რომელიც პოლიტიკური თვალსაზრისით არ დაექვემდებარება არანაირ გეოგრაფიულ შეზღუდვებს.

მრავალი რუსისთვის ამ ერთადერთი ალტერნატივის დილემა თავდაპირველად და მომავალშიც, გარკვეული დროის განმავლობაში, შეიძლება გადასაჭრელად ძალიან ძნელი აღმოჩნდეს. ამისათვის აუცილებელი იქნება პოლიტიკური ნების უზარმაზარი აქტი, ასევე, შესაძლოა, გამოჩენილი ლიდერი, რომელსაც ექნება იმის უნარი, რომ გააკეთოს არჩევანი და ჩამოაყალიბოს დემოკრატიული, ეროვნული, ჭეშმარიტად თანამედროვე და ევროპული რუსეთის ჭვრეტა. ეს რომ ახლო მომავალში მოხდეს, პოსტკომუნისტური და პოსტიმპერიული კრიზისის გადასალახად საჭირო იქნება არა მარტო მეტი დრო, ვიდრე ცენტრალური ევროპის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციისათვის, არამედ შორსმჭვრეტელი და სტაბილური ხელმძღვანელობის გამოჩენაც. ამჟამად ჰორიზონტზე არ ჩანს რუსი ათათურქის მსგავსი პირი. მიუხედავად ამისა, რუსებს, საბოლოო ჯამში, მოუწევთ აღიარონ, რომ რუსეთის ეროვნული რედეფინიცია წარმოადგენს არა კაპიტულაციის, არამედ განთავისუფლების აქტს,[25] მათ მოუწევთ დაეთანხმონ, რომ რუსეთის არაიმპერიული მომავლის შესახებ 1990 წლის კიევში ელცინის გამონათქვამი, აბსოლუტურად მართებულია, რომ ჭეშმარიტად არაიმპერიული რუსეთი დარჩება დიდ „დერჟავად“, იმ ევრაზი-

25 1996 წლის დასაწყისში გენერალმა ალექსანდრე ლებედმა გამოაქვეყნა შესანიშნავი სტატია – „გამქრალი იმპერია, ანუ აღორძინებული რუსეთი“ (Segodnia – 1996 აპრ.), რომლის ჭეშმარიტების დასამტკიცებლად დიდი დრო დასჭირდა.

ის გამაერთიანებლად, რომელიც, უწინდებურად, მსოფლიოში ყველაზე მსხვილ ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენს.

ყოველ შემთხვევაში, „რა არის რუსეთი და სად არის რუსეთის“ რედეფინიციის პროცესი, მოხდება, ალბათ, მხოლოდ თანდათანობით და, ამისათვის, დასავლეთმა უნდა დაიკავოს ბრძნული და მტკიცე პოზიცია. ამერიკასა და ევროპას მოუწევთ მას დაეხმარონ. მათ რუსეთს უნდა შესთავაზონ არა მარტო სპეციალური ხელშეკრულების დადება ანდა ნატოსთან ქარტია, არამედ რუსეთთან ერთად უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ტრანსკონტინენტალური იმ სისტემის მომავალი შესაძლებელი ფორმის შესწავლის პროცესის დაწყება, რომელიც მნიშვნელოვანწილად სცილდება ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) ბუნდოვანი სისტემის ფარგლებს. და, თუ რუსეთი განიმტკიცებს თავის შინაგან დემოკრატიულ ინსტიტუტებს და მიაღწევს საგრძნობ უპირატესობას თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში, მაშინ მან არ უნდა გამორიცხოს იმის შესაძლებლობა, რომ უფრო მჭიდრო თანამშრომლობა ჰქონდეს ნატოსთან და ეკ-თან. იმავდროულად, დასავლეთისა და განსაკუთრებით, ამერიკისათვის, ასევე, მნიშვნელოვანია, გაატაროს რუსეთისთვის ერთადერთი ალტერნატიული დილემის უკვდავყოფის ხაზი. პოსტსაბჭოთა სახელმწიფოთა პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაცია არის მთავარი ფაქტორი, რათა რუსეთის ისტორიული წარმოსახვების თვითგადაფასება აუცილებლობად იქცეს. აქედან გამომდინარე, ახალი სახელმწიფოებისადმი მხარდაჭერა – ყოფილი საბჭოთა იმპერიის ჩარჩოებში გეოპოლიტიკური პლურალიზმის უზრუნველსაყოფად, - უნდა იქცეს პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად და მიზნად უნდა დაისახოს ის, რომ წააქეზოს რუსეთი, გააკეთოს აშკარა არჩევანი ევროპის სასარგებლოდ.

ამ სახელმწიფოთა შორის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სამ ქვეყანას: აზერბაიჯანს, უზბეკეთსა და უკრაინას.

დასავლეთისთვის დამოუკიდებელი აზერბაიჯანი შეიძლება იქცეს დერეფნად კასპიისპირა და შუა აზიის მდიდარ ენერგეტიკულ რესურსებთან დასაკავშირებლად. და, პირიქით, რუსეთის მიერ მისი რეინტეგრაციის მიზნით ზემოქმედების შემთხვევაში დამორჩილებული აზერბაიჯანი მიგვანიშნებდა შუა აზიის შესაძლებელ იზოლაციაზე გარესამყაროსგან და მის პოლიტიკურ სუსტ, მდგომარეობაზე. უზბეკეთი, რომელიც, ეროვნული თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი და შუა აზიის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა, ძირითადი დაბრკოლებაა რეგიონზე რუსეთის კონტროლის განახლებისათვის. უზბეკეთის დამოუკიდებლობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შუა აზიის სხვა სახელმწიფოების გადარჩენისათვის. ამას გარდა, ის ყველაზე ნაკლებ მოწყვლადია რუსეთის მხრიდან ზემოქმედებისათვის.

მაგრამ ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს უკრაინას. ეკ-ისა და ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით უკრაინას შეუძლია, საბოლოო ჯამში, გადაწყვიტოს, სურს თუ არა იქცეს ამა თუ იმ ორგანიზაციის ნაწილად. შესაძლოა, უკრაინამ მისი განსაკუთრებული სტატუსის გასაძლიერებლად მოინდომოს, შევიდეს ორივე ორგანიზაციაში, რამეთუ ისინი ესაზღვრებიან უკრაინას და უკრაინაში მიმდინარე შიდა გარდაქმნებისათვის იზრუნებენ, ის მიიღებს ამ ორგანიზაციებში გაწევრიანების უფლებას. თუმცა კი, ამისათვის აუცილებელია განსაზღვრული დრო – დასავლეთისათვის არც ისე ადრეა კიევთან ეკონომიკისა და უსაფრთხოების სფეროში კავშირების შემდგომი გაძლიერებისთვის იზრუნოს, შეუდგეს ათწლიან 2005-2015 წლების პერიოდზე ყურადღების გამახვილებას, როგორც უკრაინის თანდათანობითი ჩართვის ინიციაციის მისაღებ ვადაზე, რის შედეგადაც უკრაინე-

ლებში შემცირდება იმ შესაძლებელი შიშის რისკი, რომ ევროპის გაერთიანება შეჩერდება პოლონეთ-უკრაინის საზღვარზე.

მიუხედავად პროტესტისა, რუსეთი ალბათ მდუმარედ დაეთანხმა ნატოს გაფართოებას 1999 წელს და მასში ცენტრალური ევროპის მთელი რიგი ქვეყნების ჩართვას, რაც კომუნიზმის დაცემის დროიდან რუსეთსა და ცენტრალური ევროპის ქვეყნებს შორის კულტურული და სოციალური განხეთქილების მნიშვნელოვან გაფართოებასთან იყო დაკავშირებული. შეიძლება პირიქით მოხდეს და რუსეთს შეუდარებლად გაუძნელდეს უკრაინის ნატოში შესვლაზე დათანხმება, რადგან მისი თანხმობა აღნიშნავდა მის მიერ იმ ფაქტების აღიარებას, რომ უკრაინის ბედი ამიერიდან ორგანულად უკვე აღარ იქნება დაკავშირებული რუსეთის ბედთან. მაგრამ თუ უკრაინას სურს, შეინარჩუნოს თავისი დამოუკიდებლობა, მას მოუწევს გახდეს ცენტრალური ევროპის და არა ევრაზიის ნაწილი, თუ მას სურს, გახდეს ცენტრალური ევროპის ნაწილი, მას მოუწევს სრულყოფილად მიიღოს მონაწილეობა ცენტრალური ევროპის ნატოსთან და ევროპის კავშირთან ურთიერთობებში. რუსეთის მიერ ამ კავშირების მიღება განსაზღვრავდა მის საკუთარ გადაწყვეტილებას, ასევე ყოფილიყო ევროპის კანონიერი ნაწილი. რუსეთის უარი კი თანაბარძალოვანი იქნება ევროპაზე უარისა, განკერძოებული „ევრაზიული დამოუკიდებლობისა და განკერძოებული არსებობის სასარგებლოდ.

მთავარი მომენტი, რომელიც აუცილებლად უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, შემდეგია: რუსეთს არ შეუძლია იყოს ევროპაში უკრაინის გარეშე, რომელიც ასევე ეკუთვნის ევროპის შემადგენლობას, მაშინ როცა უკრაინას შეუძლია იყოს ევროპაში რუსეთის გარეშე, რომელიც ევროპის შემადგენლობაში შედის. თუ ვივარაუდებთ, რომ რუსეთი მიიღებს გადაწყვეტილებას თავისი ბედი დაუკავშიროს ევროპას, მაშინ აქედან გამომდინარეობს,

რომ უკრაინის გაფართოებად ევროპულ სტრუქტურებში ჩართვა, საერთო ჯამში, პასუხობს რუსეთის საკუთარ ინტერესებს. და მართლაც, უკრაინის ევროპისადმი დამოკიდებულება, შესაძლოა, შემობრუნებით მომენტად იქცეს თავად რუსეთისთვის, მაგრამ ეს ასევე, ნიშნავს, რომ რუსეთის ევროპასთან ურთიერთობის მომენტის განსაზღვრა უწინდებურად მომავლის საქმეა, – „განსაზღვრა“ იმ აზრით, რომ უკრაინის არჩევანი ევროპის სასარგებლოდ სამკუთხედის სათავეში ჩააყენებს რუსეთის მიერ გადაწყვეტილების მიღებას მისი ისტორიული განვითარების შემდგომი ეტაპის მიმართ: ან ასევე იქცეს ევროპის ნაწილად, ან ევრაზიის იზგოედ ე. ი. სინამდვილეში არ მიეკუთვნებოდეს არც ევროპას, არც აზიას და ჩაფლული დარჩეს „მახლობელი საზღვარგარეთის“ ქვეყნებთან კონფლიქტებში.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გაფართოებად ევროპასა და რუსეთს შორის თანამშრომლობის ურთიერთობები შეიძლება გადაიზარდოს ოფიციალური ორმხრივი კავშირებიდან უფრო ორგანულ და დამავალდებულებელ კავშირებში ეკონომიკის, პოლიტიკისა და უსაფრთხოების სფეროში. ამრიგად, მომდევნო საუკუნის პირველი ორი ათწლეულის მანძილზე რუსეთს შეუძლია სულ უფრო აქტიურად მოახდინოს ინტეგრირება ევროპაში, რომელიც არა მარტო მოიცავდა უკრაინას, არამედ მიაღწევდა ურალამდე და გავრცობილი იქნებოდა მისი საზღვრების იქი თაც კი. რუსეთის შეერთება ევროპულ და ტრანსატლანტიკურ სტრუქტურებთან და გაწევრიანების განსაზღვრული ფორმა მათში, თავის მხრივ, კარს გაუღებდა სამ კავკასიურ ქვეყანას – საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს, ასევე თავგამოდებით რომ ცდილობენ ევროპასთან შეერთებას.

შეუძლებელია იწინასწარმეტყველო, რამდენად სწრაფად განვითარდება ეს პროცესი, მაგრამ ერთი რამ აშკარაა: პროცესი განვითარდება სწრაფად, თუ გეოპოლიტიკური სიტუაცია გა-

ფორმდება და სტიმულირებულ იქნება რუსეთის ამ მიმართულებით წინსვლა, გამორიცხავს რა ყველა სხვა ხიბლს. და რაც უფრო სწრაფად წავა წინ ევროპის მიმართულებით, მით უფრო სწრაფად საზოგადოებრიობა, სულ უფრო გათვითცნობიერებადი თანამედროვეობისა და დემოკრატიის პრინციპებში, შეავსებს ევრაზიაში „შავ ხვრელს“. და მართლაც, რუსეთისთვის ერთადერთი ალტერნატივის დილემას უკვე აღარ წარმოადგენს გეოპოლიტიკური არჩევანის საკითხი. ეს საკითხი გადარჩენის საჭირბოროტო მოთხოვნილებებია.

თავი V

„ევრაზიული ბალკანეთი“

ევროპაში სიტყვა „ბალკანეთი“ იწვევს ამ რეგიონში ეთნიკური კონფლიქტებისა და დიდი სახელმწიფოების მეტოქეობის ასოცირებას. ევრაზიასაც გააჩნია თავისი „ბალკანეთი“, თუმცა, „ევრაზიული ბალკანეთი“ გაცილებით მეტია მოცულობით, უფრო მჭიდროდ დასახლებულია და ეთნიკურად არაერთფეროვანი. ის განლაგებულია უზარმაზარ ტერიტორიაზე, რომელიც მიჯნავს გლობალური არასტაბილურობის ცენტრალურ ზონას (განხილული იყო მეორე თავში) და მოიცავს სამხრეთაღმოსავლეთ ევროპის, შუა აზიის რაიონებს და სამხრეთ აზიის ნაწილს, სპარსეთის ყურისა და მახლობელი აღმოსავლეთის რაიონს.

„ევრაზიული ბალკანეთი“ შეადგენს უზარმაზარი ტერიტორიის შინაგან ბირთვს, რომელსაც მოგრძო ფორმა აქვს (იხ. რუკა XVI და ერთობ სერიოზულად განსხვავდება გარშემორტყმული ზონიდან: ის წარმოადგენს ძალისმიერ ვაკუუმს. თუმცა სპარსეთის ყურისა და მახლობელი აღმოსავლეთის რაიონში განლაგებულ სახელმწიფოთა უმრავლესობას არ აქვთ სტაბილურობა, ამ რეგიონში ბოლო არბიტრს ამერიკული ძალა წარმოადგენს. ამრიგად, გარე ზონის არასტაბილური რეგიონი ერთადერთი ძალის ჰეგემონიის რაიონია და შეკავებულია ამ ჰეგემონიით. პირიქით, „ევრაზიული ბალკანეთი“ სინამდვილეში მოგვაგონებს უფრო ძველ, უფრო ნაცნობ ბალკანეთს ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთში: პოლიტიკურ სუბიექტებში არა მარტო შეინიშნება არასტაბილური სიტუაცია, არამედ ისინი წარმოადგენენ ცდუნების ობიექტებს იმ უფრო ძლიერი მეზობლებისათვის, რომელთაგან თითოეული აღსავსეა გადაწყვეტილე-

ბით, წინააღმდეგობა გაუწიოს რეგიონში მეორე მეზობლის დომინირებულ როლს, სწორედ, ამ ნაცნობი ძალის ვაკუუმის შეთავსების და ძალის შესრუტვას ამართლებს „ევრაზიული ბალკანეთის“ ტერმინი.

ტრადიციული ბალკანეთი ევროპაში ბატონობისთვის ბრძოლაში წარმოადგენს პრეტენზიების პოტენციურ გეოპოლიტიკურ ობიექტს. „ევრაზიული ბალკანეთი“, რომელიც განლაგებულია გარდაუვალად აღმოცენებული იმ სატრანსპორტო ქსელის ორივე მხარეს, რომელმაც ყველაზე სწორი ხაზით უნდა შეაერთოს ევრაზიის ყველაზე მდიდარი რაიონები და დასავლეთის ყველაზე განვითარებული სამრეწველო რაიონები აღმოსავლეთის ყველაზე უკიდურეს წერტილებს, რომლებსაც, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ასევე ერთობ დიდი მნიშვნელობა აქვთ. უფრო მეტიც, „ევრაზიულ ბალკანეთს“ საყურადღებო მნიშვნელობა აქვს ისტორიული და უსაფრთხოების ამბიციებით, უკიდურეს შემთხვევაში სამი ყველაზე უშუალო და მძლავრი მეზობლისთვის, კერძოდ კი, რუსეთის, თურქეთის და ირანისთვის, თანაც, მათ ემატება ჩინეთიც, რომელიც ასევე თავს გვახსენებს რეგიონში თავისი მზარდი პოლიტიკური ინტერესებით. მაგრამ „ევრაზიული ბალკანეთი“ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია პოტენციური ეკონომიკური მომგებიანობით: რეგიონში მნიშვნელოვანი წიაღისეული საბადოების, მათ შორის, ოქროს გარდა, თავმოყრილია ბუნებრივი გაზისა და ნავთობის უზარმაზარი მარაგი.

მომავალში, ორი-სამი ათწლეულის მანძილზე, ენერგიის გამოყენება მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს. აშშ-ს ენერგეტიკის სამინისტროს შეფასებებით, ენერგეტიკის მსოფლიო მოთხოვნილება 1993-2015 წლებს შორის პერიოდში გაიზრდება 50%-ზე უფრო მეტად, თანაც მოთხოვნილების ყველაზე მნიშვნელოვან ზრდას ადგილი ექნება შორეულ აღმოსავლეთში. აზიის


1 საქართველო
2 სომხეთი
3 აზერბაიჯანი
4 ტაჯიკეთი
5 ლიბანი
6 ისრაელი
7 იორდანია
ეროპა XVI
რუსეთი
უკრაინა
ყაზახეთი
რუმინეთი
ბულგარეთი
შავი ზღვა
კასპიის ზღვა
ესპანეთი
ყირგიზეთი
საბერძნეთი
თურქეთი
ირანი
ჩინეთი
ხმელთაშუა ზღვა
სირია
ერაყი
ავღანეთი
ირანი
პაკისტანი
ეგვიპტე
საუდის არაბეთი
ინდოეთი
ომანი
სუდანი
ერიტრეა
იემენი
სომალი
ეთიოპია
„ევროპული ბალკანები"
გეოპოლიტიკური ზენოლა
„ევროპული ბალკანები"
არასტაბილურობის ზონა
კონფლიქტების გამწვავების ნერტილები

ეკონომიკის განვითარებაში ბიძგი ენერგიის ახალი წყაროების შესწავლისა და ექსპლუატაციის თვალსაზრისით უკვე ბადებს უზარმაზარ ზეწოლას, თანაც, როგორც ცნობილია, ცენტრალური აზიის რეგიონისა და კასპიის ზღვის აუზის წიაღში მოიძიება ბუნებრივი გაზისა და ნავთობის მარაგები, რომლებიც აღემატება ქუვეითის, მექსიკის ყურისა და ჩრდილოეთის ზღვის მსგავს საბადოებს.

ამ რაიონის მითითებული რესურსებისა და პოტენციური სიმდიდრის ათვისებაში მონაწილეობასთან დაკავშირებით ჩნდება მიზნები, რომლებიც ბადებენ ეროვნულ ამბიციებს, მოტივირებას უკეთებენ კორპორაციულ ინტერესებს, კვლავ აღვივებენ ისტორიულ პრეტენზიებს, აღორძინებენ იმპერიულ იმედებს და აცოცხლებენ საერთაშორისო მეტოქეობას. სიტუაცია ხასიათდება უფრო მეტი არამდგრადობით იმის შედეგად, რომ რეგიონი არა მარტო ძალის ვაკუუმია, არამედ გამოირჩევა შინაგანი არასტაბილურობითაც. თითოეული ქვეყანა განიცდის სერიოზულ, შინაურ პრობლემებს. ყველას აქვს საზღვრები, რომლებიც ან მეზობლის პრეტენზიების ობიექტია, ან ეთნიკური წყენის ზონები. მათი უმცირესობა, ეროვნული თვალსაზრისით, ერთგვაროვანია. ზოგიერთი მათგანი კი, უკვე ჩარეულია ტერიტორიულ, ეთნიკურ და რელიგიურ არეულობაში.

ეთნიკური ურთიერთწინააღმდეგობების ქვაბი

„ევრაზიული ბალკანეთი“ მოიცავს ცხრა ქვეყანას, რომელიც ამა თუ იმ დონით შეესაბამება ზემოთ მოყვანილ აღწერილობას, თანაც ორი ქვეყანა წარმოადგენს პოტენციურ კანდიდატს. ამ ცხრა ქვეყნის რიცხვს განეკუთვნება: ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო (ადრე ყველა შედიოდა ყოფილ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში) და ასევე, ავღანეთი. ამ სიაში ჩასართავად პოტენციური კანდიდატები არიან თურქეთი და ირანი. ორივე ქვეყანა, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით, გაცილებით უფრო სიცოცხლისუნარიანია სხვებთან შედარებით, ორივე აქტიურად იბრძვის „ევრაზიულ ბალკანეთზე" რეგიონული გავლენისთვის და ამიტომაც, ამ რეგიონში არიან მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მოთამაშეები. იმავდროულად, ორივე ქვეყანა, საშინაო ეთნიკური თვალსაზრისით, პოტენციურად მოწყვლადია. ნებისმიერ მათგანში თუკი მოხდება ვითარების დესტაბილიზაცია, რეგიონის შინაგანი პრობლემები შეიძლება დაუყოვნებლივ გამოვიდეს კონტროლის ქვეშიდან, რუსეთის რეგიონში ბატონობის აღსადგენად ძალისხმევა კი გამოუსადეგარი აღმოჩნდეს.

ამიერკავკასიის სამი სახელმწიფოს – სომხეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ისინი შექმნილია, როგორც ჭეშმარიტად ისტორიულად ჩამოყალიბებული ერები. ამის შედეგად, მათ ნაციონალიზმს აქვს ტენდენცია როგორც გავრცობისადმი, ასევე, გაძლიერებისადმი. საგარეო კონფლიქტები კი შეიძლება მათი კეთილდღეობისათვის საკვანძო პრობლემად იქცეს. შუა აზიის ხუთი ახალი სახელმწი-

ფო, პირიქით, ახლა იმყოფება ერებად შექმნის ეტაპზე, თანაც, მათში უწინდებურად კვლავ ძლიერია ის განწყობილება, რომელიც დაკავშირებულია იმ ტომობრივ და ეთნიკურ კუთვნილებასთან, რომლის შედეგადაც, მთავარი პრობლემაა საშინაო ურთიერთდაპირისპირება. ნებისმიერი ტიპის სახელმწიფოში ეს მოწყვლადი მომენტები შეიძლება გამოიყენონ უფრო ძლიერმა და იმპერიული ამბიციების მქონე მეზობლებმა.

ეთნიკური თვალსაზრისით „ევროპული ბალკანები“ მოზაიკაა (იხ. ტაბულა, გვ. 193 და რუკა XVII). ამ სახელმწიფოების საზღვრები თვითნებურად იყო დადგენილი საბჭოთა კარტოგრაფების მიერ 20-30-იან წლებში, როცა ოფიციალურად იქმნებოდა შესაბამისი საბჭოთა რესპუბლიკები (ავღანეთი, რომელიც არასდროს შედიოდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, გამონაკლისია), ამ სახელმწიფოების საზღვრები, ძირითადად, დადგენილი იყო ეთნიკური პრინციპების შესაბამისად, მაგრამ ისინი, ასევე, ასახავდნენ მოსკოვის ინტერესს ამ ქვეყნების ურთიერთშორის უთანხმოებებსა და ამგვარად, რუსეთის იმპერიის სამხრეთ რეგიონის მნიშვნელოვან დაქვემდებარების შენარჩუნებაში. ამის შესაბამისად, მოსკოვმა უარყო შუა აზიის ნაციონალისტების წინადადება შუა აზიის სხვადასხვა ხალხის გაერთიანებაზე (მათ დიდ ნაწილს ჯერ კიდევ არ გააჩნია ეროვნული მოტივირება), ერთიან პოლიტიკურ ფორმირებაში (მაგალითად, „თურქესტანში“). ამის მაგიერ, მან ირჩია, შეექმნა ხუთი დამოუკიდებელი „რესპუბლიკა“, რომელთაგან თითოეულს ჰქონდა განსხვავებული სახელწოდება და შეკოწიწებული საზღვრები. როგორც ჩანს, ხელმძღვანელობდა რა ანალოგიური გათვლებით, კრემლმა უარი განაცხადა ერთიანი კავკასიის ფედერაციის შექმნის გეგმებზეც. ამიტომაც, გასაოცარი არაა, რომ საბჭოთა კავშირის დაცემის შემდეგ, კავკასიის სამი და შუა აზიის


ყაზახეთი
ARAL SEA
CASPIAN SEA
UZBEKISTAN
TURKMENISTAN
ცენტრალურ აზიაში ძირითადი ეთნიკური ჯგუფები
უზბეკები
ყაზახები
ტაჯიკები
რუსები და უკრაინელები
თურქმენები
ყირგიზები

რუკა XVII

მოსახლეობა	ავღანეთი	სომხეთი	აზერბაიჯანი	საქართველო	ყაზახეთი	ყირგიზეთი	ტაჯიკეთი	თურქმენეთი	უზბეკეთი
მილიონი – 1995 წ.	21,3	3,6	7,3	5,7	17,4	4,8	6,2	4,1	23,1
სიცოცხლის საშუალო ხანგრძლ.	45,5	72,4	71,1	73,1	68,5	68,1	69,0	65,4	68,8
ეროვნებები 1995 წ.	პუშტუნები 38% ტაჯიკები 15% ხაზარები 13% უზბეკები 6%	სომხები 93% აზერბაიჯან. 3% რუსი 2% სხვები 2%	აზერბაიჯანელი 90% დაღესტნელი 3,2% რუსი 2,5%	ქართველი 70,1% სომეხი 8,1% რუსი 6,3% აზერბ. 5,7% ოსი 3% აფხაზი 1,8% სხვები 5%	ყაზახი 52,4% რუსი 21,5% უზბეკი 12,9% უკრ. 2,5% გერმ. 4,7% უზბეკი 2,1% თათარი 2% სხვები 7%	ყირგიზი 52,4% რუსი 21,5% უზბეკი 12,9% უკრ. 2,5% გერმ. 2,4% სხვები 8,3%	ტაჯიკი 64,9% უზბეკი 25% რუსი 3,6% სხვები 8,6%	თურქმენი 73,3% რუსი 9,8% უზბეკი 9% ყაზახი 2% სხვები 5,9%	უზბეკი 79,4% რუსი 8,3% თათარი 2,4% ყარაკალპაკი 2,1% სხვები 7%
პროდუქციის ხვედრითი წონა მლნ დოლ-ში*	მონაცემები არაა	8,1	13,8	6,0	55,2	8,4	8,5	13,1	54,5
ექსპორტის ძირითადი საგები	შინაური ცხოველები ხილი ხალიჩები შალი ძვირფასი ქვები	ოქრო ალუმინი საგრანსპორტო მონყობილობები ელექტრომონყობილობები	ნავთი, გაზი ქიმიკატები სანავთობო მონყობილობა ტექსტილი ბამბა	ციტრუსები ჩაი, ღვინო სამანქანო მონყობილობა შავი მეტალები ფერადი მეტალები ხორცი ქვანახშირი	ნავთი შავი მეტალები, ფერადი მეტალები ქიმიკატები მარცვლეული შალი სამანქანო მონყობილობა თამბაქო	შალი ქიმიკატები ბამბა შავი მეტალები, ფერადი მეტალები ფეხსაცმელი	ბამბა ალუმინი ჩილი მცენარეული ზეთი ტექსტილი	ბუნებრივი გაზი ბამბა** ნავთობპროდუქტი ელექტროენერგია ტექსტილი ხალიჩები	ბამბა ოქრო ბუნებრივი გაზი მინერალური სასუქები ფერადი მეტალები ტექსტილი პროდუქტები

* სყიდვითუნარიანობის პარიტეტი ექსტრაპოლირებული 1992 ნლის მსოფლიო ბანკების რეკონსტრუქციისა და რეორგანიზაციის შეფასების საფუძველზე.

** თურქმენეთს, რომელიც ბამბის უმსხვილეს მწარმოებელთა შორის მეათეა მსოფლიოში, უკავია V ადგილი ბუნებრივი გაზის მარაგის მიხედვით და ფლობს ნავთის მარაგის მნიშვნელოვან ნაწილს.

ხუთი სახელმწიფოდან არც ერთი ბოლომდე არ იყო მზად ახალი, დამოუკიდებელი სტატუსის მისაღებად, ასევე, აუცილებელი რეგიონული თანამშრომლობის განვითარებისთვის.

კავკასიაში სომხეთის მოსახლეობამ, რომელიც არანაკლებ 4 მილიონი კაცისგან შედგებოდა და აზერბაიჯანის მოსახლეობამ, რომელიც 8 მილიონ კაცზე მეტს ითვლიდა, მაშინვე ნამდვილი ომი დაიწყეს მთიანი ყარაბაღის სტატუსის გამო, რომელიც აზერბაიჯანის ტერიტორიის ანკლავში იმყოფებოდა და ძირითადად სომხებით იყო დასახლებული. კონფლიქტის შედეგად წარმოქმნილი ფართომასშტაბიანი წმენდით, ასეულათასობით დევნილი და ქვეყნიდან გასახლებული პირები სხვადასხვა მიმართულებით გაიფანტნენ. მხედველობაში ვიღებთ რა იმ ფაქტს, რომ სომხები ქრისტიანები არიან, აზერბაიჯანელები კი – მუსლიმანები, კონფლიქტს რელიგიური შეფერილობაც ჰქონდა. ეკონომიკისათვის დამღუპველმა ომმა კიდევ უფრო მეტად დააბრკოლა ამ ქვეყნების ძლიერ, დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბება. სომხეთი იძულებული შეიქნა, უფრო რუსეთის იმედი ჰქონოდა, რომელიც მნიშვნელოვან სამხედრო დახმარებას უწევდა მაშინ, როცა სომხეთს თავისი დამოუკიდებლობისა და საშინაო სტაბილურობის საფასურად შეიძლება მთიანი ყარაბაღი დაეკარგა.

აზერბაიჯანის მოწყვლადობა, შეიძლება, უფრო მნიშვნელოვანი შედეგებისა იყოს რეგიონისთვის, რადგან ადგილმდებარეობის შედეგად ქვეყანა გეოპოლიტიკური საყრდენი პუნქტია. აზერბაიჯანს შეიძლება ვუწოდოთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი „საცობი“, რომელიც აკონტროლებს კასპიისპირა და შუა აზიის აუზის სიმდიდრეების მისადგომ „ბოთლს“. დამოუკიდებელმა თურქულენოვანმა აზერბაიჯანმა, რომლის ტერიტორიაზე მდებარეობს ნავთობსადენები, რომლებიც მონათესავე და პოლიტიკურად მხარდამჭერი თურქეთის ტერიტორიაზე

გრძელდება, შეიძლება ხელი შეუშალოს რუსეთს, განახორციელოს რეგიონის მისადგომების მონოპოლია და ხელიდან გამოაცალოს მას შუა აზიის ახალ სახელმწიფოებზე ზეწოლის ძირითადი პოლიტიკური ბერკეტი. და მაინც, ზემოქმედებისთვის აზერბაიჯანი ერთობ მოწყვლადია ჩრდილოეთიდან ძლევამოსილი რუსეთისა და სამხრეთიდან – ირანის მხრიდან. ირანის ჩრდილო-დასავლეთით ორჯერ მეტი აზერბაიჯანელი (ზოგიერთი შეფასებით, დაახლოებით 20 მილიონი კაცი) ცხოვრობს, ვიდრე თვით აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. ეს აიძულებს ირანს, შიშით ადევნოს თვალი მის ტერიტორიაზე მაცხოვრებელ აზერბაიჯანელთა შორის იმ პოტენციურ სეპარატიზმს, რომელმაც ირანში, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ერი მუსლიმანურია, აზერბაიჯანის სუვერენული სტატუსისადმი გაორებული დამოკიდებულება შექმნას. ამის გამო აზერბაიჯანი, მისი დასავლეთთან ურთიერთობების შეზღუდვის მიზნით, იქცა როგორც რუსეთის, ისე, ირანის მხრიდან ზეწოლის ობიექტად.

სომხეთისა და აზერბაიჯანისგან (ორივე სახელმწიფო ეთნიკური თვალსაზრისით საკმაოდ ერთფეროვანია) განსხვავებით, საქართველოს 6-მილიონიანი მოსახლეობის დაახლოებით 30% ეროვნული უმცირესობაა. მეტიც, ეს უმცირესობები, რომლებიც თავიანთი ორგანიზაციითა და იდენტურობით უფრო ტომებია, მკვეთრ აღშფოთებას გამოხატავენ ქართველების ბატონობის მიმართ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ოსები და აფხაზები, შეეცადნენ საქართველოში მიმდინარე საშინაო პოლიტიკური ბრძოლა იმისთვის გამოეყენებინათ, რომ სახელმწიფოს შემადგენლობიდან გასულიყვნენ, რასაც მიზანდასახულად, ფარულად, მხარს უჭერდა რუსეთი, რათა აეძულებინა საქართველო, დამორჩილებოდა მის ზეწოლას და დარჩენილიყო დსთ-ს შემადგენლობაში (საიდანაც საქართველო თავდაპირველად, საერთოდ, გასვლას აპირებდა), ასევე დაეტოვე-

ბინა საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზები და ამრიგად, თურქეთისათვის საქართველოს მისადგომების კარი ჩაეკეტა.

შუა აზიაში არასტაბილურობის შექმნაში გაცილებით მნიშვნელოვან როლს საშინაო ფაქტორები ასრულებენ. კულტურისა და ლინგვისტიკის თვალსაზრისით, შუა აზიის ხუთი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოდან ოთხი თურქულენოვანი სამყაროს ნაწილია. ლინგვისტიკური და კულტურული თვალსაზრისით, ტაჯიკეთში ჭარბობენ სპარსელები, მაშინ როცა ავღანეთისთვის (ყოფილი საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ) დამახასიათებელია ისეთი ეთნიკური მოზაიკა, რომელიც პატონების, ტაჯიკების, პუშტუნებისა და სპარსელებისგან შედგება. ექვსივე ქვეყანა მუსლიმანურია. დიდი ხნის მანძილზე მათი უმრავლესობა იმყოფებოდა სპარსეთის, თურქეთისა და რუსეთის იმპერიის გარდამავალი გავლენის ქვეშ, თუმცა კი, ამ გამოცდილებამ მათში ვერ განამტკიცა საერთო რეგიონული ინტერესების ერთსულოვნება, პირიქით, სხვადასხვაგვარი ეთნიკური შემადგენლობის შედეგად, ისინი მოწყვლადნი არიან საშინაო და საგარეო კონფლიქტებით, რაც ერთობლიობაში, მათი ხელში ჩაგდების სურვილს უღვიძებთ უფრო ძლიერ მეზობლებს.

შუა აზიის ხუთი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოსგან რეგიონში ყველაზე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ყაზახეთი და უზბეკეთი. ყაზახეთი წარმოადგენს ფარს, უზბეკეთი კი მრავალფეროვანი ეროვნული გრძნობის გამოღვიძების სულს. თავისი გეოგრაფიული მდებარეობითა და მასშტაბურობის წყალობით, ყაზახეთი, რომელიც რუსეთის უშუალო მეზობელია, სხვა ქვეყნებს იცავს რუსეთის უშუალო ფიზიკური ზეწოლისაგან. რაც შეეხება ყაზახეთის მოსახლეობას, რომელიც ასე 18 მილიონ კაცს შეადგენს, მისი დაახლოებით 35% მოდის რუსების წილზე (რუსების რიცხვი ყაზახეთში თანდათან მცირდება) და

20% – არაყაზახზე, რის შედეგადაც ახალ ყაზახ მმართველებს, რომლებიც სულ უფრო ნაციონალიზმის პოზიციებისკენ იხრებიან და ქვეყნის საერთო მოსახლეობის დაახლოებით ნახევარს წარმოადგენენ – ძალიან გაუჭირდებათ ცხოვრებაში გაატარონ ერის ეთნიკურ და ენობრივ საფუძველზე შექმნის პოლიტიკა.

ახალ სახელმწიფოში მცხოვრები რუსები, ბუნებრივია, განაწყენებულნი არიან ახალი ყაზახი ხელმძღვანელობისა და, რადგანაც ისინი ყოფილ მმართველ, კოლონიალურ კლასს განეკუთვნებოდნენ, უფრო განათლებულები იყვნენ, საზოგადოებაში დაკავებული ჰქონდათ უკეთესი ადგილები და ამიტომაც შიშობენ, არ დაკარგონ თავიანთი პრივილეგირებული მდგომარეობა; უფრო მეტიც, ისინი მზად არიან, ოდნავ ფარული კულტურული უგულებელყოფით, აღიქვან ყაზახეთის ახალი ნაციონალიზმი. ამასთან დაკავშირებით, ვინაიდან ყაზახეთის ჩრდილო-დასავლეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის რეგიონებში მნიშვნელოვანწილად დომინირებენ რუსი კოლონისტები, თუკი ყაზახეთისა და რუსეთის ურთიერთობებში სერიოზული გართულებანი გაჩნდება, ყაზახეთი, შეიძლება შეეჯახოს ტერიტორიული გამიჯვნის საშიშროებას. იმავდროულად, რამდენიმე ასი ათასი ყაზახი ცხოვრობს სახელმწიფო საზღვრის იქით რუსეთის მხარეზე და უზბეკეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, სახელმწიფოში, რომელსაც ყაზახები მიიჩნევენ თავიანთ მთავარ მეტოქედ შუა აზიაში ლიდერობისთვის ბრძოლაში.

ფაქტობრივად უზბეკეთი მთავარი კანდიდატია შუა აზიის რეგიონული ლიდერის როლზე. მართალია, უზბეკეთი თავისი ტერიტორიული მოცულობით ნაკლებია და ბუნებრივი რესურსებით იმდენად მდიდარი არაა, როგორც ყაზახეთი, მაგრამ მას უფრო მრავალრიცხოვანი (დაახლოებით, 25 მილიონი კაცი) და, რაც გაცილებით მთავარია, მნიშვნელოვნად უფრო ერთგვაროვანი მოსახლეობა ჰყავს, ვიდრე ყაზახეთს. თუ მხედვე-

ლობაში მივიღებთ უზბეკების შობადობის მაღალ ტემპს, ადრე დომინირებული რუსების ქვეყნიდან თანდათანობით დენადობას და უზბეკეთში რუსების უმცირესობის ყოფნას (ძირითადად, ქვეყნის დედაქალაქ ტაშკენტში), მალე ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 75% შეადგენენ უზბეკები.

უფრო მეტიც, ქვეყნის პოლიტიკური ელიტა ახალ სახელმწიფოს შეგნებულად უწოდებს თემურ-ლენგის (1336-1404) შუა საუკუნეების უზარმაზარი იმპერიის პირდაპირ შთამომავალს, რომლის დედაქალაქი სამარყანდი იქცა რელიგიის, ასტრონომიისა და ხელოვნების ცნობილ რეგიონულ ცენტრად. ეს გარემოება თანამედროვე უზბეკეთში, მის მეზობლებთან შედარებით, აძლიერებს ისტორიული მემკვიდრეობითობისა და რელიგიური მისიის ღრმა შეგნებას. მართლაცდა, ზოგიერთი უზბეკი ლიდერი უზბეკეთს, ალბათ, მის დედაქალაქ ტაშკენტთან ერთად, მიიჩნევს შუა აზიაში ერთიანი დამოუკიდებელი ფორმირების ეროვნულ ბირთვად. შუა აზიის ნებისმიერ სხვა სახელმწიფოზე უფრო მეტად უზბეკეთის პოლიტიკური ელიტა და უფრო ხშირად მისი ხალხი, რომელიც საშინაო სიძნელეების მიუხედავად, უკვე იზიარებს თანამედროვე სახელმწიფო – ერის სუბიექტურ მიღწევებს, აღსავსეა გადაწყვეტილებით, აღარასოდეს დაუბრუნდეს კოლონიალურ სტატუსს.

ამ გარემოების წყალობით, პოსტეთნიკური თანამედროვე ნაციონალიზმის გამოვლენაში უზბეკეთი ხდება როგორც ლიდერი, ისე განმსაზღვრელი შეშფოთების ობიექტიც მისი მეზობლებისთვის. მართალია, უზბეკი ლიდერები ერის შექმნასა და უფრო ფართო რეგიონული უზრუნველყოფის იდეების პროპაგანდაში ტემპს აჩქარებენ, ქვეყნის შედარებით დიდი ეროვნული ერთფეროვნება და თვითშეგნების უფრო აქტიური გამოვლენა შიშს ბადებს თურქმენეთის, ყირგიზეთისა და თვით ყაზახეთის მმართველებშიც კი, რომ უზბეკეთის ლიდერობა რეგიონში შე-

იძლება გადაიზარდოს მის რეგიონალურ ბატონობაში. ეს შეშფოთება აბრკოლებს ახალ სუვერენულ სახელმწიფოთა შორის რეგიონული თანამშრომლობის განვითარებას, რაც არაა რუსეთის მიერ წახალისებული და ახანგრძლივებს რეგიონის მოწყვლადობას.

მაგრამ ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, უზბეკეთშიც, შიდა ვითარება ნაწილობრივ ხასიათდება დაძაბული ეთნიკური ურთიერთობებით. სამხრეთ უზბეკეთის ნაწილი, განსაკუთრებით კი, მისი მნიშვნელოვანი ისტორიული და კულტურული ცენტრების - სამარყანდისა და ბუხარის გარშემო მყოფი რაიონები, რომლებიც მჭიდროდ დასახლებულია ტაჯიკებით, აღშფოთებას გამოთქვამენ იმ საზღვრების მიმართ, რომლებიც მოსკოვის მიერ არის დადგენილი. სიტუაცია კიდევ უფრო რთულდება უზბეკების როგორც დასავლეთ ტაჯიკეთში, ასევე ყირგიზებისთვის ეკონომიკურად მნიშვნელოვან ფერგანის ველის რაიონში (სადაც უკანასკნელ წლებში ეთნიკურ ნიადაგზე მოხდა სისხლიანი შეტაკებები) უზბეკებისა და ტაჯიკების ყოფნით, თუ არაფერს ვიტყვით ჩრდილოეთ ავღანეთში ასევე უზბეკების მოსახლეობაზე.

შუა აზიის იმ სხვა სამი სახელმწიფოდან, რომლებიც განთავისუფლდნენ რუსეთის კოლონიალური მმართველობიდან – ყირგიზეთის, ტაჯიკეთისა და თურქმენეთისგან – მხოლოდ მესამე წარმოადგენს, ეთნიკური თვალსაზრისით, შედარებით ერთგვაროვანს. მისი 4,5-მილიონიანი მოსახლეობიდან დაახლოებით 75%-ს შეადგენენ თურქმენები, თანაც, მთელი მოსახლეობის 10%-ზე მეტს წარმოადგენენ უზბეკები და რუსები ცალცალკე აღებული. თურქმენეთი დაცულია გეოგრაფიული თვალსაზრისით, ის მდებარეობს რუსეთიდან შედარებით შორ მანძილზე. ამ ქვეყნის მომავლისთვის უზბეკეთი და ირანი გაცილებით უფრო მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ როლს ასრუ-

ლებენ. როგორც კი ამ რაიონის ტერიტორიაზე გაყვანილ იქნება ნავთობსადენი, თურქმენეთის ბუნებრივი გაზის მართლაცდა უზარმაზარი მარაგი უზრუნველყოფს მისი ხალხის კეთილდღეობას.

ყირგიზეთის მოსახლეობა (მისი რაოდენობა – 5 მილიონი კაცია) განსხვავდება გაცილებით მეტი ეთნიკური მრავალფეროვნებით. თავად ყირგიზები შეადგენენ მთელი ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 55%-ს, უზბეკები – დაახლოებით 13%-ს, რუსების რაოდენობა კი, უკანასკნელ დროს შემცირდა 20%-დან 15%-ზე ოდნავ მეტამდე. ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღებამდე რუსები, ძირითადად, შეადგენდნენ საინჟირნო-ტექნიკურ ინტელიგენციას და მათი გადინება ქვეყნიდან მტკივნეულად აისახა მის ეკონომიკაზე. მართალია, ყირგიზეთი მდიდარია ბუნებრივი საბადოებით და აქვს ლამაზი ბუნება, რაც იმის საშუალებას გვაძლევს, რომ ქვეყანას შუა აზიის შვეიცარია ვუწოდოთ (ამასთან დაკავშირებით, აქ შეიძლება შეიქმნას ახალი ტურისტული ცენტრი) და თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობით მომწყვდეულია ჩინეთსა და ყაზახეთს შორის. ის ერთობ დამოკიდებულია ყაზახეთის წარმატებებსა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებაზე.

ტაჯიკეთი ეთნიკური თვალსაზრისით, მხოლოდ რამდენადმე უფრო ერთგვაროვანია – მის 6,5-მილიონიანი მოსახლეობიდან 2/3%-ზე ნაკლები წარმოადგენს ტაჯიკებს და 25%-ზე მეტი უზბეკებს (მათ მიმართ ტაჯიკები გარკვეულწილად მტრულად არიან განწყობილი). მაშინ, როცა რუსები შეადგენენ მხოლოდ 3%-ს. მაგრამ ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, თვით დომინირებული ეთნიკური თემიც კი, მკვეთრად გათიშულია ტომობრივი კუთვნილების მიხედვით, ადგილი აქვს ძალადობრივ ქმედებებს, თანაც, პოლიტიკური ელიტის მიერ თანამედროვე ნაციონალიზმის ქადაგება ძირითადად მიმდინარეობს ქალაქებში. ამის

შედეგად, დამოუკიდებლობამ არა მარტო დაძაბულობა შეიტანა ქალა ქებში, არამედ მან რუსეთისთვის ხელსაყრელი საბაბი შვა თავისი არმიის ყოფნის შესანარჩუნებლად. ეთნიკური სიტუაცია კიდევ უფრო გართულდა ქვეყნის გარე რეგიონებში – ავღანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში მრავალრიცხოვანი ტაჯიკის ყოფნით. ფაქტობრივად, ავღანეთში ცხოვრობს იმდენივე ეთნიკური ტაჯიკი, რამდენიც ტაჯიკეთში, რაც კიდევ ერთი ფაქტორია, რომელიც ხელს უწყობს რეგიონული სტაბილურობის შესუსტებას.

ავღანეთში დეზორგანიზაციის ახლანდელი ვითარება საბჭოთა მემკვიდრეობის ანალოგიურია, თუმცა კი ქვეყანა არაა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა. საბჭოთა ოკუპაციისა და მის წინააღმდეგ ხანგრძლივი პარტიზანული ომის შედეგად ცალკეულ ფრაგმენტებად დაშლილი ავღანეთი მხოლოდ ქაღალდზე არსებობს, როგორც ეროვნული სახელმწიფო, მისი 22-მილიონიანი მოსახლეობა კი მკვეთრად განცალკევებულია ეთნიკური პრინციპის მიხედვით, თანაც, უთანხმოება ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრებ პუშტუნებს, ტაჯიკებსა და ხაზარებს შორის სულ უფრო იზრდება. იმავდროულად, რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ ჯიჰადმა, რელიგია აქცია ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების დომინირებულ ფაქტორად, რომელსაც დოგმატური ვნებები შეაქვს ისედაც მკვეთრ პოლიტიკურ უთანხმოებაში. ამრიგად, ავღანეთი შუა აზიაში განხილულ უნდა იქნეს არა მარტო ეთნიკურ თავსატეხად, არამედ, პოლიტიკური თვალსაზრისით, უფრო მეტად, როგორც „ევრაზიული ბალკანეთის“ ნაწილად.

მართალია, შუა აზიის ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოებიდან ყველა, ასევე, აზერბაიჯანიც, უპირატესად დასახლებულნი არიან მუსლიმებით, მათი თითქმის ყველა პოლიტიკური ელიტა უწინდებურად, ძირითადში, საბჭოთა ერის პროდუქტია, რომლებიც არ მისდევენ რა რელიგიურ შეხედულებებს, ოფიცია-

ლურად წარმოადგენენ საერო სახელმწიფოებს. მაგრამ, ვინაიდან მათი მოსახლეობა პირველყოფილი კლანური და ტომობრივი თვითშეგნებიდან გადადის უფრო ფართო თანამედროვე, ეროვნულ შეგნებაზე, ის, ალბათ, შთაგონებული იქნება ისლამის სულ უფრო მზარდი რწმენით. ფაქტობრივად, ისლამის აღორძინება, რომლის გავრცელებას გარედან უკვე ხელს უწყობს არა მარტო ირანი, არამედ საუდის არაბეთიც, ალბათ, მობილიზების იმპულსად იქცევა ეროვნული დამოუკიდებლობისკენ იმ ახალი მისწრაფებების აქტიური გავრცელებისთვის, რომელთა მომხრეები აღსავსე არიან, გამოვიდნენ რუსეთის კონტროლის, ე. ი. ურწმუნოთა კონტროლის ქვეშ რეინტეგრაციის წინააღმდეგ.

და მართლაც, ისლამიზაციის პროცესი ალბათ გადამდები აღმოჩნდება იმ მუსლიმებისთვის, რომლებიც რუსეთში დარჩნენ. ისინი 20 მილიონ კაცს ითვლიან, ე. ი. ორჯერ მეტს იმ უკმაყოფილო რუსების დაახლოებით 9,5 მილიონ კაცთან შედარებით, რომლებიც ცხოვრებას აგრძელებენ შუა აზიის იმ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში, რომლებსაც უცხოელები მართავენ. ამრიგად, რუსეთის მუსლიმები შეადგენენ რუსეთის მოსახლეობის დაახლოებით 13%-ს და თითქმის, გარდუვალია, რომ მათ თავიანთ უფლებებთან დაკავშირებით არ წარმოადგინონ უფრო დაბეჯითებითი მოთხოვნები, ჰქონდეთ საკუთარი რელიგიური და პოლიტიკური თვითმყოფადობა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს მოთხოვნები არ მიიღებს სრული დამოუკიდებლობის მიღების გზების ძიების ფორმას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ჩეჩნეთში, ისინი, თუ გავითვალისწინებთ ახლო წარსულში მათ ისტორიულ წარსულს და, აგრეთვე ახალ სახელმწიფოებში რუსული უმცირესობების ყოფნას, გადაეხლართებიან იმ დილემებს, რომლებიც უწინდებურად დადგება შუა აზიაში რუსების წინაშე.

„ევრაზიულ ბალკანეთში“ არასტაბილურობის მნიშვნელოვანი გაძლიერების მიზეზს და იმას, რომ სიტუაცია პოტენციურად გაცილებით უფრო ფეთქებადსაშიში ხდება, წარმოადგენს რეალობას, რომ ორი დიდი მეზობელი სახელმწიფო, კერძოდ კი – თურქეთი და ირანი, რომელთაგან თითოეულს, ისტორიული თვალსაზრისით, რეგიონისადმი იმპერიული, კულტურული, რელიგიური და ეკონომიკური ინტერესები აქვს, თავად ავლენენ თავიანთ გეოპოლიტიკური ორიენტაციის არამდგრადობას და პოტენციურად შინაგანად მოწყვლადნი არიან. თუ ვითარება ამ ორ სახელმწიფოში დესტაბილიზებული გახდება, სრულიად სავარაუდოა, რომ მთელ რეგიონს მოიცავს მასობრივი უწესრიგობა, თანაც, აქ არსებული ეთნიკური და ტერიტორიული კონფლიქტები კონტროლის ქვეშიდან გამოვა და რეგიონში ძლივს მიღწეული ძალთა ბალანსი დაირღვევა. შესაბამისად, თურქეთი და ირანი წარმოადგენენ არა მარტო მნიშვნელოვან გეოსტრატეგიულ მოქმედ პირებს, არამედ ასევე გეოპოლიტიკურ ცენტრებსაც: მათი შიდა ვითარება უკიდურესად მნიშვნელოვანია რეგიონის ბედისთვის. ორივე ქვეყანა თავისი მასშტაბებით საშუალო „დერჟავებია“ ძლიერი რეგიონული მისწრაფებებით და თავიანთი ისტორიული მნიშვნელობის გრძნობით. მიუხედავად ამისა, უწინდებურად, გარკვეული არაა, თუ როგორი იქნება მათი გეოპოლიტიკური ორიენტაცია და ვითარება ორივე სახელმწიფოს ეროვნული დარაზმულობის შემთხვევაში.

თურქეთს – პოსტიმპერიულ სახელმწიფოს, რომელიც ჯერ კიდევ იმყოფება არჩევანის განსაზღვრის პროცესში – სამი მიმართულებით მიმართავენ: მოდერნისტებს მასში სურთ იხილონ ევროპული სახელმწიფო და აქედან გამომდინარე, დასავლეთისკენ იყურებიან, ისლამისტები იხრებიან მახლობელი აღმოსავლეთისა და მუსლიმანური გაერთიანებისკენ და ამგვარად, მზერა მიპყრობილი აქვთ სამხრეთისკენ; ისტორიისკენ მიმართუ-

ლი ნაციონალისტები, კასპიის ზღვისა და შუა აზიის თურქული წარმომავლობის ხალხების ახალ დანიშნულებას იმ რეგიონში ხედავენ, სადაც დომინირებს თურქეთი და ამგვარად, აღმოსავ-ლეთისკენ იყურებიან. აღნიშნული პერსპექტივები სხვადასხვა სტრატეგიული ღერძის გარშემო ტრიალებს და პირველად, ქე-მალისტური რევოლუციის დროიდან, ამ პოზიციებს შორის შე-ტაკებებს მერყეობა შეაქვს თურქეთის რეგიონული როლის შე-სახებ საკითხში.

უფრო მეტიც, თავად თურქეთი, უკიდურეს შემთხვევაში, შეიძ-ლება ნაწილობრივ მაინც გამხდარიყო რეგიონული ეთნიკური კონფლიქტების მსხვერპლი. მართალია, 65 მილიონიან თურ-ქეთის მოსახლეობას, ძირითადად, შეადგენენ თურქები, თანაც, 80% მოდის თურქულენოვან ხალხებზე (იგულისხმება ჩერქეზე-ბი, ალბანელები, ბოსნიელები, ბულგარელები და არაბები), დაახლოებით 20%-ს, მეტ-ნაკლებად, შეადგენენ ქურთები. ძი-რითადად თურქეთის აღმოსავლეთ რეგიონებში მაცხოვრებე-ლი თურქი ქურთები აქტიურად იყვნენ ჩართული იმ ეროვნული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში, რასაც ირანელი და ერა-ყელი ქურთები აწარმოებდნენ. თურქეთში ქვეყნის ერთობლივი მმართველობის შესახებ ნებისმიერი საშინაო დაძაბულობა, გან-საკუთრებული ეროვნული სტატუსის მისაღებად, უეჭველად შე-აგულიანებდა ქურთებს, უფრო კატეგორიული ზეწოლა მოეხ-დინათ. ირანის მომავალი ორიენტაცია გაცილებით უფრო პრობლემატურად გამოიყურება ფუნდამენტალისტური შიიტური რევოლუცია, რომელმაც 70-იან წლებში გამარჯვება იზეიმა, შე-იძლება შედის „თერმიდორიალურ" ფაზაში და ეს გარემოება, გეოსტრატეგიული როლის თვალსაზრისით, ააშკარავებს ირა-ნის მერყეობას. ერთი მხრივ, ათეისტური საბჭოთა კავშირის დაცემამ, ირანის ჩრდილოეთით დამოუკიდებლობას ახლად მიღწეულ მეზობლებს საშუალება მისცა სხვა რწმენაზე მოქცეუ-

ლიყვნენ, მაგრამ მეორე მხრივ, ირანის მტრულმა განწყობამ აშშ-ს მიმართ, თეირანი გადახარა ტაქტიკური, პრომოსკოვური პოზიციის დაკავებისკენ, რასაც ასევე ხელი შეუწყო ირანის შეშფოთებამ იმის შესახებ, თუ რა ზეგავლენას მოახდენდა აზერბაიჯანის მიერ დამოუკიდებლობის მიღება მის საკუთარ ერთიანობაზე.

ეს შეშფოთება, ეთნიკური კონფლიქტების თვალსაზრისით, გამოწვეულია ირანის მოწყვლადობით. ქვეყნის 65-მილიონიანი მოსახლეობიდან (ირანსა და თურქეთს თითქმის ერთნაირი რაოდენობის მოსახლეობა ჰყავთ) მხოლოდ ნახევარზე ცოტათი მეტნი არიან სპარსელები. დაახლოებით მეოთხედს შეადგენენ აზერბაიჯანელები, მოსახლეობის დანარჩენ ნაწილს კი, შეადგენენ ქურთები, ბელუჯები, თურქმენები, არაბები და სხვა. ქურთებისა და აზერბაიჯანელების გამოკლებით დღეს ირანის ეროვნული მთლიანობისთვის სხვა ეროვნებები არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენენ. თანაც, ნაწილობრივ, სათვალავში უნდა მივიღოთ ისიც, რომ სპარსელებს გააჩნიათ ეროვნულობის მაღალი დონე და იმპერიული თვითშეგნება. მაგრამ ასეთი სიტუაცია შეიძლება სწრაფად შეიცვალოს, განსაკუთრებით კი ირანის პოლიტიკის ახალი კრიზისის შემთხვევაში.

შემდეგ, თავად ის ფაქტი, რომ დღეს ამ რეგიონში არსებობენ მთელი რიგი დამოუკიდებელი სახელმწიფოები და, რომ მილიონმა ჩეჩენმა შეძლო დაეცვა თავისი პოლიტიკური ოცნებები, უეჭველად გადაედებათ ქურთებსაც და სხვა ეთნიკურ უმცირესობებს ირანში. თუკი აზერბაიჯანი წარმატებით გაართმევს თავს სტაბილურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებას, ირანელ აზერბაიჯანელებში, ალბათ, განმტკიცდება იდეა დიდი აზერბაიჯანის შექმნაზე. აქედან გამომდინარე, თეირანში პოლიტიკური არასტაბილურობა და უთანხმოება შეიძლება გადაიქცეს ირანის სახელმწიფოს ერთიანობის პრობლემად, და მკვეთრად

გააფართოოს ის ჩარჩოები და აამაღლოს იმის მნიშვნელობა, რაც „ევრაზიის ბალკანეთში“ ხდება.

მრავალმხრივი მეტოქეობა

ის, რაც ტრადიციულად ითვლება „ევრაზიულ ბალკანეთად“, უშუალოდ დაკავშირებული იყო სამი იმპერიის: ოტომანის, ავსტრია-უნგრეთთან და რუსეთის ურთიერთბრძოლასთან. გარდა ამისა, ამ ბრძოლაში იყო სამი ირიბი მონაწილეც, რომლებიც იმით იყვნენ შეშფოთებულნი, რომ მათი ევროპული ინტერესები შელახული იქნებოდა რომელიმე კონკურენტი პროტაგონისტის წარმატებით: გერმანია უფრთხოდა რუსეთის სიძლიერეს, საფრანგეთი დაპირისპირებული იყო ავსტრია-უნგრეთისადმი, დიდი ბრიტანეთი კი უპირატესობას ანიჭებდა ოტომანის იმპერიის დარდანელებზე კონტროლის საკითხში დასუსტებას, ვიდრე დანარჩენი მეტოქეებიდან, ვინც არ უნდა ყოფილიყო ის, ბალკანეთზე კონტროლში მონაწილე ეხილა. XIX საუკუნეში ეს სახელმწიფოები, ზიანი რომ არ მიეყენებინათ დანარჩენი კონკურენტების ინტერესებისათვის, ბალკანეთში კონფლიქტების შემაკავებელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, მაგრამ 1914 წელს ეს მათ ვერ შეძლეს, თანაც შედეგები ყველასათვის დამანგრეველი აღმოჩნდა.

„ევრაზიული ბალკანეთისთვის თანამედროვე მეტოქეობა, ასევე, უშუალოდ აკავშირებს სამ მეზობელ სახელმწიფოს: რუსეთს, თურქეთსა და ირანს, თუმცა ერთ-ერთ ძირითად მოქმედ პირად, საბოლოო ჯამში, შეიძლება იქცეს ჩინეთიც. ამ მეტოქეობაში, მართალია, შორიდან, ჩართულნი არიან უკრაინა, პაკისტანი, ინდოეთი და უფრო შორს მდებარე ამერიკა. სამი ძირითადიდან თითოეულს და ამ საკითხთან აშკარად დაკავშირებულ მეტოქეებს, ამოქმედებთ არა მარტო გეოპოლიტიკური და ეკონომიკური უპირატესობების მიღების პერსპექტივა, არამედ ძლიერი ისტორიული მოტივებიც. თითოეული მათგანი თავის

დროზე რეგიონში დომინირებდა პოლიტიკურად ან კულტურულად. ყველა ერთმანეთს ეჭვის თვალით უყურებს. თუმცა კი აშკარა შეიარაღებული მოქმედებანი ნაკლებმოსალოდნელია, მათი ურთიერთდაპირისპირების კუმულატური ეფექტი შეიძლება გაღრმავდეს იმ ქაოსით, რომელიც რეგიონში სუფევს.

რაც შეეხება რუსეთს, მისი მტრული დამოკიდებულება თურქეთისადმი განპირობებულია აკვიატებული იდეით. რუსეთის პრესა თურქებს წარმოადგენს, როგორც რეგიონზე კონტროლის დაწესების მსურველებს, როგორც რუსეთის ლოკალური წინააღმდეგობის პროვოკატორებს (რაც ნაწილობრივ დასტურდება ჩეჩნეთის მოვლენებით) და, როგორც რუსეთის საერთო უსაფრთხოების ისეთ მუქარას, რომელიც მთლიანად არ შეესაბამება თურქეთის ფაქტობრივ შესაძლებლობებს. თურქები პასუხობენ იმავეთი, თავს მიიჩნევენ რა რუსეთის დიდი ხნის უღლისაგან თავიანთ მოძმეთა გამათავისუფლებლად. თურქები და ირანელები (სპარსელები) ასევე ისტორიულად ურთიერთდაპირისპირებულები არიან მოცემულ რეგიონში და, უკანასკნელ წლებში ეს ურთიერთდაპირისპირება აღდგა ისეთ ვითარებაში, რომელშიაც თურქეთი გამოდის, როგორც ისლამური საზოგადოების ირანული კონცეფციის თანამედროვე და მარადიული მოწინააღმდეგე.

მართალია, შეიძლება ითქვას, რომ თითოეული მეტოქე მიისწრაფვის, ხელთ იგდოს გავლენის სფერო, მოსკოვის ამბიციები, მიუხედავად ამისა, გაცილებით უფრო ფართოა, თუ მხედველობაში მივიღებთ შედარებით ახლო წარსულში მის იმპერიულ კონტროლზე მოგონებებს, რეგიონში მილიონი რუსის არსებობას და კრემლის მისწრაფებას, დაუბრუნოს რუსეთს გლობალური მასშტაბის ერთ-ერთი დიდი სახელმწიფოს სტატუსი. მოსკოვის საგარეო-პოლიტიკური განცხადებები აშკარად გვიდასტურებს იმას, რომ ის ყოფილი საბჭოთა კავში


რუკა XVIII
თურქული ეთნოლინგვისტური ზონა

რის მთელ სივრცეს განიხილავს როგორც თავის განსაკუთრებულ გეოსტრატეგიული ინტერესების სივრცედ, რომელზედაც ყოველი გარეშე პოლიტიკური, და ეკონომიკური ზეგავლენაც კი დაუშვებელია.

ამისგან განსხვავებით, რეგიონალური გავლენისადმი თურქეთის მისწრაფებები, მართალია, თავის თავში ატარებენ წარსულის შორეულ იმპერიული გრძნობების განსაზღვრულ ნარჩენებს (ოტომანის იმპერიამ, დაიპყრო რა კავკასია და აზერბაიჯანი, თავისი განვითარების აპოგეას 1590 წელს მიაღწია, თუმცა კი მის შემადგენლობაში არ შედიოდა შუა აზია), მაგრამ თურქეთს მოცემული რეგიონის თურქულ მოსახლეობასთან ნათესაობისათვის უფრო ღრმა ფესვები აქვს ეთნოლინგვისტური თვალსაზრისით (იხ. რუკა XVIII). თურქეთს კიდევაც რომ ჰქონდეს გაცილებით უფრო განსაზღვრული პოლიტიკური და სამხედრო ძლიერება, მისი განსაკუთრებული პოლიტიკური ზეგავლენის სფერო, როგორიც არ უნდა იყოს ის, უბრალოდ, მიუწვდომელი აღმოჩნდება. პირიქით, თურქეთი თავის თავში ჭვრეტს თურქულ ენაზე მოლაპარაკე იმ ქვეყნების გაერთიანების პოტენციურ ლიდერს, რომელიც ამისათვის თამაშობს თავისი განვითარების მიმზიდველი და შედარებით თანამედროვე დონით, ენობრივი ნათესაობით, საკუთარი ეკონომიკური შესაძლებლობებით, რაც საშუალებას მისცემს მას, იქცეს ყველაზე გავლენიან ძალად ერების იმ ფორმირების პროცესში, რომელიც მოცემულ რეგიონში მიმდინარეობს.

ირანის მისწრაფებები ჯერჯერობით გაურკვეველია. მაგრამ პერსპექტივაში, ისინი შეიძლება იქცნენ რუსეთზე არანაკლებ საშიშ ამბიციად. აქემენიდთა სახელმწიფო – სპარსელთა უზარმაზარი სამფლობელოები – გაჩნდა გაცილებით უფრო ადრეულ ისტორიაში. თავისი განვითარების ზენიტში (დაახლოებით ძვ. წ. 500 წელს) ის მოიცავდა თანამედროვე სამ კავკასიურ სახელ-

მწიფოს –– თურქმენეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის[26] ტერიტორიებს – ასევე ავღანეთს, თურქეთს, სირიას, ლიბანსა და ისრაელს. მართალია, ირანის თანამედროვე გეოპოლიტიკური მისწრაფებები უფრო ვიწროა, ვიდრე თურქეთისა და ძირითადად მიმართულია აზერბაიჯანისა და ავღანეთისაკენ, რეგიონის მუსლიმური მოსახლეობა – თვით რუსეთშიც კი – წარმოადგენს ირანის რელიგიური ინტერესების ობიექტს. მართლაცდა, შუა აზიაში თანამედროვე ირანის მმართველების მისწრაფებების ორგანულ შემადგენელ ნაწილად იქცა ისლამის აღორძინება.

რუსეთის, თურქეთისა და ირანის ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების ხასიათი ასახულია XIX რუკაზე: რუსეთთან დაკავშირებით მისი გეოპოლიტიკური ზეწოლა ნაჩვენებია ორი ისრით და მკაცრად მომართულია სამხრეთისადმი – აზერბაიჯანსა და ყაზახეთზე; თურქეთთან დაკავშირებით, ერთი ისრით, რომელიც მიმართულია შუა აზიისკენ აზერბაიჯანისა და კასპიის ზღვის გავლით; ირანთან დაკავშირებით, ორი ისრით, რომლებიც მიმართულნი არიან ჩრდილოეთისკენ – აზერბაიჯანისა და ჩრილო-აღმოსავლეთისკენ – თურქმენეთსა, ავღანეთსა და ტაჯიკეთისაკენ. ეს ისრები უბრალოდ კი არ კვეთენ ერთმანეთს, ისინი შეიძლება შეეჯახონ კიდეც ერთმანეთს.

თანამედროვე ეტაპზე ჩინეთის როლი უფრო შეზღუდულია, მისი მიზნები კი ნაკლებ ცხადი. თავისთავად აშკარაა, რომ ჩინეთი უპირატესობას ანიჭებს დასავლეთით პირისპირ ჰყავდეს რამდენადმე შედარებით დამოკიდებული სახელმწიფო და არა რუსეთის იმპერია. ახალი სახელმწიფოები ასრულებენ, მინიმუმ, ბუფერულ როლს, მაგრამ იმავდროულად, ჩინეთი შეშფოთებულია იმ გარემოებით, რომ სინცზიანის პროვინციაში მისმა საკუთარმა თურქულმა უმცირესობამ შუა აზიის ახალ სახელმწიფოებში შეიძლება იხილოს თავისთვის მომხიბვლელი მაგალითი

26 ასეა ორიგინალში (მთარგ. შენიშვნა).

ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ჩინეთი მიისწრაფვის ყაზახეთიდან მიიღოს იმის გარანტია, რომ საზღვარგარეთულ უმცირესობათა აქტიურობა ჩახშობილ იქნება. ბოლოს და ბოლოს, განხილული რეგიონის ენერგორესურსები უნდა შევიდეს პეკინის განსაკუთრებული ინტერესების წრეში, მათთან უშუალო დაკავშირება კი – მოსკოვის ყოველგვარი კონტროლის გარეშე – უნდა იქცეს ჩინეთის ძირითად მიზნად. ამრიგად, ჩინეთის საერთო გეოპოლიტიკურ ინტერესებს ტენდენცია აქვს, შეეჯახონ რუსეთის მისწრაფებას, დომინირებული როლი დაიკავოს რეგიონში და იქცეს თურქეთისა და ირანის მისწრაფებების დამატებად.

რაც შეეხება უკრაინას, მისი ძირითადი პრობლემებია დსთ-ს მომავალი ხასიათი და ენერგოწყაროებისადმი უფრო თავისუფალი დაშვების უფლების მიღება, რაც დაასუსტებდა უკრაინის რუსეთზე დამოკიდებულებას. ამიტომაც, აზერბაიჯანთან, თურქმენეთთან და უზბეკეთთან უფრო მჭიდრო კავშირების განვითარებამ კიევისათვის დიდი მნიშვნელობა მოიპოვა, დამოუკიდებლად განწყობილ სახელმწიფოთა მხარდაჭერა კი, უკრაინისთვის წარმოადგენს მისი ძალისხმევის დამატებას, განამტკიცოს მოსკოვისაგან საკუთარი დამოუკიდებლობა. ამის შესაბამისად, უკრაინამ მხარი დაუჭირა საქართველოს იმ ძალისხმევას, რომ აზერბაიჯანის ნავთობი დასავლეთში ტრანსპორტირებულ იქნეს მის ტერიტორიაზე გავლით. გარდა ამისა, უკრაინამ დაამყარა თურქეთთან თანამშრომლობა, რათა შეესუსტებინა რუსეთის გავლენა შავ ზღვაზე და მხარი დაუჭირა მის ძალიხმევას, რომ შუა აზიიდან ნავთობის ნიაღვარი მიემართა თურქული ტერმინალებისკენ.

პაკისტანისა და ინდოეთის ჩართვა ჯერჯერობით უფრო შორეულ მომავალს წარმოადგენს, მაგრამ ამ სახელმწიფოებიდან არც ერთი გულგრილი არ დარჩება იმის, რაც შეიძლება



რუსეთის, ოსმალეთისა და ირანის ურთიერთდამოკიდებულების ინტერესები

რუკა XIX

მოხდეს „ევრაზიულ ბალკანეთში“. პაკისტანი, უპირველეს ყოვ-
ლისა, დაინტერესებულია, რომ გეოსტრატეგიულად მომაგ-
რდეს, პოლიტიკური ზეგავლენა მოახდინოს ავღანეთზე (აღკვე-
თოს რა ამით ავღანეთსა და ტაჯიკეთზე ირანის ზეგავლენა), და
ბოლოს და ბოლოს, სარგებლობა ნახოს რომელიმე იმ ნავ-
თობსადენის მშენებლობიდან, რომელიც დააკავშირებდა შუა
აზიას არალის ზღვასთან. ინდოეთი პაკისტანის მისწრაფებების
საპასუხოდ, და, ალბათ, შეშფოთებული ამ რეგიონში ჩინეთის
ჰეგემონიის პერსპექტივით, ირანის ავღანეთში გავლენას და
რუსეთის ყოფილ საბჭოთა კავშირის სივრცეში ყოფნის გაფარ-
თოებას შედარებით კეთილგანწყობით მოეკიდა.

მართალია, შეერთებული შტატები შორს მდებარეობს, მაგრამ
საერთო ფონზე მისი როლი პოსტსაბჭოთა ევრაზიაში გეოპო-
ლიტიკური პლურალიზმის შენარჩუნებაზე ფსონის ჩასვლით,
გამოიყურება, როგორც მუდამ მზარდი მნიშვნელობის ირიბად
მოქმედი პირის საქციელი, რომელიც აშკარად დაინტერესებუ-
ლია არა მარტო რეგიონის რესურსების დამუშავებით, არამედ
იმის მცდელობითაც, რომ მარტო რუსეთი არ დომინირებდეს
რეგიონის გეოპოლიტიკურ სივრცეზე. მოქმედებს რა ამგვარად,
ამერიკა არა მარტო მასშტაბურ სტრატეგიულ მიზნებს ისახავს
ევრაზიაში, არამედ ავლენს თავის, აგრეთვე ევროპისა და შო-
რეული აღმოსავლეთის მზარდი ეკონომიკური დაინტერესების
დემონსტრირებას, მიიღოს შეუზღუდველი სარგებლობის უფ-
ლება აქამდე დახურულ რეგიონში.

ამრიგად, ამ რთულ ვითარებაში დღის წესრიგში დგას გეოპო-
ლიტიკური ძალა, პოტენციურად უზარმაზარი სიმდიდრის გამო-
ყენებაზე უფლების მიღება, ეროვნული ან რელიგიური მიზნები-
სა და უსაფრთხოების მიღწევა. მიუხედავად ამისა, ურთიერ-
თბრძოლის პირველი რანგის ობიექტს წარმოადგენს რეგიონში
ყოფნა. საბჭოთა კავშირის დაშლამდე რეგიონში ყოფნაზე მოს-

კოვის მონოპოლია იყო დაწესებული. რკინიგზაზე ყველა ტრანსპორტირება, გაზისა და ნავთობსადენი ხაზებით გაზიდვა და, თვით საჰაერო გადაფრენებიც კი, ხორციელდებოდა ცენტრის მეშვეობით. რუსეთის გეოპოლიტიკოსებს ერჩივნათ, ყველაფერი უწინდებურად დაეტოვებინათ, რამეთუ მათ ესმოდათ, რომ ვისაც მოცემულ რეგიონში ყოფნის საკითხში დომინირება ექნებოდა, გეოპოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით, პირველ ყოვლისა, ის აღმოჩნდებოდა მოგებული.

კასპიისპირა და შუა აზიის მომავლისთვის სწორედ ამ მოსაზრებებმა აქციეს ნავთობსადენი მილების გაყვანა ესოდენ მნიშვნელოვან საკითხად. თუ რეგიონში მილების ძირითადი ხაზები გაივლის რუსეთის ტერიტორიაზე შავი ზღვის ნოვოროსიისკის ტერმინალისკენ, მაშინ ამის პოლიტიკური შედეგები თავს იჩენს რუსეთის მხრიდან ძალის, როგორიც არ უნდა იყოს ის, აშკარა დემონსტრირების გარეშე. რეგიონი პოლიტიკურად დამოკიდებული დარჩება, მოსკოვი კი, ამასთან ერთად, დაიკავებს ძლიერ პოზიციებს, თავად გადაწყვეტს საკითხს, თუ როგორ უნდა იქნეს რეგიონის ახალი სიმდიდრეები განაწილებული. პირიქით, თუკი, კიდევ ერთ ნავთობსადენ ხაზს გაიყვანენ კასპიის ზღვის გავლით აზერბაიჯანისკენ და შემდეგ თურქეთზე ხმელთაშუა ზღვისკენ, მეორე კი, გადაიჭიმება ავღანეთის გავლით არალის ზღვისკენ, მაშინ ამ რეგიონში ყოფნის საკითხში არავითარი ერთმმართველობა არ იქნება (იხ. რუკა XX).

სამწუხაროდ, რუსეთის გეოპოლიტიკურ ელიტაში არიან ადამიანები, რომლებიც ისე იქცევიან, თითქოს ის ურჩევნიათ, რომ რეგიონის რესურსები საერთოდ არ იქნეს დამუშავებული იმ შემთხვევაში, თუ რუსეთს არ შეეძლება სრული კონტროლი დაანწესოს რეგიონში ყოფნაზე. სიმდიდრეები დაუმუშავებელი დარჩეს, თუკი ალტერნატივად იქცევა ის, რომ უცხოეთის ინვესტიციები შეძლებენ სხვა სახელმწიფოების ეკონომიკურ და, აქე-

დან გამომდინარე, პოლიტიკური ინტერესების სრულ და უშუალო დაკმაყოფილებას. ასეთ კერძო მესაკუთრეობით მიდგომას ისტორიაში აქვს ფესვები გადგმული და საჭიროა დრო და გარეშე ზეწოლა, რათა ის შეიცვალოს.

მეფის რუსეთის მიერ კავკასიისა და შუა აზიის დაპყრობა მიმდინარეობდა დაახლოებით სამი საუკუნის მანძილზე, მისი ახლო წარსულში დასასრული კი უსწრაფესი და უეცარი აღმოჩნდა. იმის შესაბამისად, თუ როგორ იხრებოდა დაისისკენ ოტომანის არსებობა, რუსეთის იმპერია ფართოვდებოდა სამხრეთის, სპარსეთის მიმართულებით, კასპიის ზღვის გასწვრივ. 1556 წელს მან ჩაყლაპა ასტრახანის სახანო და 1607 წლისთვის მიაღწია სპარსეთს. 1774-1784 წლების ომით დაპყრობილ იქნა ყირიმი, შემდეგ, 1801 წელს საქართველოს სამეფო, XIX საუკუნის II ნახევარში რუსეთმა დაიმორჩილა კავკასიის ქედის ორივე მხარეზე მოსახლე ტომები (მხოლოდ ჩეჩნები უწევდნენ არაჩვეულებრივი სიჯიუტით წინააღმდეგობას) და 1878 წლისათვის დაასრულა სომხეთის დაპყრობა.

შუა აზიის დაპყრობა იმაში კი არ მდგომარეობდა, დაეჯაბნა მეტოქე. იმპერია, არამედ იმაში, რომ დაემორჩილებინა ის საკმაოდ იზოლირებული და ნახევრად პირველყოფილი ფეოდალური სახანოები და ემირატები, რომლებსაც უნარი შესწევდათ მხოლოდ სპორადული და ლოკალური წინააღმდეგობა გაეწიათ. უზბეკეთი და ყაზახეთი დაპყრობილ იქნა 1801 წლიდან 1881 წლამდე პერიოდში განხორციელებული რამდენიმე სამხედრო ექსპედიციის შედეგად, თურქმენეთი კი, დაიპყრეს და შეიერთეს 1783 წლიდან 1886 წლამდე გახანგრძლივებული კამპანიების შედეგად. მიუხედავად ამისა, 1850 წლისათვის შუა აზიის ძირითადი ნაწილის დაპყრობა დასრულებულ იქნა, თუმცა კი, წინააღმდეგობის ეპიზოდურ ლოკალურ აფეთქებებს ადგილი ჰქონდა თვით საბჭოთა ეპოქაშიც კი.



კასპიან-ხმელთაშუა ზღვის სანაოსნიანი საექსპორტო მილსადენები

**** განხილვას დაქვემდებარებული და მშენებარე მარშრუტები

საბჭოთა კავშირის დაშლამ წარმოშვა მოვლენათა მსვლელობის გასაოცარი ისტორიული უკუქცევა, სულ რამდენიმე კვირაში რუსეთის შემადგენელი აზიური ტერიტორია უეცრად შემცირდა დაახლოებით 20%-ით, რუსეთის მმართველობის ქვეშ მყოფი აზიური ნაწილის მოსახლეობის რაოდენობა კი 75 მილიონიდან დაეცა დაახლოებით 30 მილიონ კაცამდე. გარდა ამისა, კავკასიაში მუდმივი მაცხოვრებელი კიდევ 18 მილიონი ადამიანი ასევე მოწყვეტილი აღმოჩნდა რუსეთისაგან. მოვლენათა ასეთი შემობრუნება ნიშნავდა რუსეთის პოლიტიკური ელიტის კიდევ უფრო ავადმყოფურ აღქმას იმისას, რომ რაიონების ეკონომიკური პოტენციალი იმ უცხოელი სახელმწიფოების ინტერესების ობიექტი გახდა, რომელთაც ინვესტიციებისთვის ფინანსური შესაძლებლობები ჰქონდათ იმ რესურსების დამუშავებისა და სარგებლობისათვის, რომლებთანაც, სულ ახლო წასულში, ურთიერთობა მხოლოდ რუსეთს ჰქონდა.

და მაინც, რუსეთი დგას დილემის წინაშე: ის ერთობ სუსტია პოლიტიკურად იმისათვის, რომ გარეშე ძალებისაგან მთლიანად დახუროს რეგიონი და ერთობ ღარიბი, რომ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ძალით დაამუშაოს მოცემული დარგები. უფრო მეტიც, რუსეთის ჯანსაღად მოაზროვნე ლიდერები აღიქვამენ, რომ დღეს, ახალ სახელმწიფოებში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესები ნიშნავს, რომ ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერის საკითხში მათი წარუმატებლობა, ბოლოს და ბოლოს, რუსეთის სამხრეთ საზღვრების მთელ სიგრძეზე მათ მიიყვანს ფეთქებადსაშიშ სიტუაციასთან. თუ გავითვალისწინებთ ოდესღაც დაპყრობილ ხალხებს შორის ნაციონალიზმისა და ისლამიზმის აღორძინებას, ავღანეთი და ჩეჩნეთი შეიძლება განმეორდეს მთელი საზღვრის გასწვრივ, შავი ზღვიდან მონღოლეთამდე.

აქედან გამომდინარეობს, რომ რუსეთი ვალდებულია, როგორმე შეეგუოს პოსტიმპერიულ რეალობას, თუკი მიისწრაფვის, შეაკავოს თურქეთისა და ირანის ყოფნა, წინააღმდეგობა გაუწიოს ახალი სახელმწიფოების მისი ძირითადი მეტოქეებისადმი სწრაფვას, არ დაუშვას, რაიმე ჭეშმარიტად დამოუკიდებელი თანამშრომლობა შუა აზიაში და შეზღუდოს ამერიკის გეოპოლიტიკური გავლენა ახალ სუვერენულ სახელმწიფოთა დედაქალაქებზე. ამრიგად, საკითხი უკვე არ ეხება იმპერიის აღორძინებას – რაც ერთობ შეუსაბამო იქნებოდა და გამოიწვევდა, ალბათ, გააფთრებულ წინააღმდეგობას – პირიქით, ის ვარაუდობს ურთიერთობის ისეთი ახალი სისტემის შექმნას, რომელიც, ალბათ, შეაკავებდა ახალ სახელმწიფოებს და საშუალებას მისცემდა რუსეთს, შეენარჩუნებინა დომინირებული გეოპოლიტიკური და ეკონომიკური პოზიციები.

ამ ამოცანის გადაწყვეტის საშუალებად არჩევანი გაკეთდა დსთ-ზე, თუმცა კი, ზოგიერთ შემთხვევაში, რუსეთის მიერ შეიარაღებული ძალებისა და პოლიტიკის „დაჰყავი და იბატონეს“ გონივრული გამოყენება, ასევე, ემსახურებოდა კრემლის ინტერესებს. მოსკოვმა გამოიყენა თავისი ბერკეტების სისტემა იმისთვის, რომ ახალი სახელმწიფოებისგან მიეღო „თანამეგობრობის“ მზარდი ინტეგრაციის შესახებ მისი წარმოდგენების მაქსიმალური შესაბამისობა და მთელი ძალ-ღონე მოახმარა ცენტრიდან მართვადი დსთ-ს საგარეო საზღვრების ისეთი საკონტროლო სისტემის შექმნას, რომელიც საერთო საგარეო პოლიტიკის ჩარჩოებში გააძლიერებდა სამხედრო სფეროში ინტეგრაციას და უფრო მეტად გააფართოებდა არსებულ (თავდაპირველად, საბჭოთა) ნავთობსადენი ხაზების ქსელს, რათა ასე, თავიდან აეცილებინა რუსეთის გვერდის ავლით რაიმე ახალი ხაზების გაყვანა. რუსეთის სტრატეგიული ანალიზი აშკარად ადასტურებს, რომ მოსკოვი მოცემულ რაიონს განიხილავს, რო-

გორც თავის განსაკუთრებულ გეოსტრატეგიულ სივრცეს, თუმცა კი, ის უკვე აღარაა მისი იმპერიის შემადგენელი ნაწილი.

რუსეთის გეოსტრატეგიული მისწრაფებების ამოცანის გასაღებია ის სიჯიუტე, რითაც კრემლი მიისწრაფვის, შეინარჩუნოს სამხედრო ყოფნა ახალი სახელმწიფოების ტერიტორიებზე. მოხერხებულად გაითამაშა რა ბანქო აფხაზეთში სეპარატისტულ მოძრაობასთან, მოსკოვმა უფლება მიიღო ბაზების შექმნაზე საქართველოში, ისარგებლა რა სომხეთისადმი რუსეთის მიერ მხარდაჭერის მიღების აუცილებლობით აზერბაიჯანთან ომში, დააკანონა თავისი სამხედრო ყოფნა სომხეთის მიწაზე და მოახდინა პოლიტიკური და ფინანსური ზეგავლენა ყაზახეთზე იმისთვის, რომ მიეღო მისი თანხმობა იქ რუსეთის ბაზების შექმნაზე, გარდა ამისა, სამოქალაქო ომმა ტაჯიკეთში საშუალება მისცა, უზრუნველეყო თავისი ჯარების მუდმივი ყოფნა მის ტერიტორიაზე.

განსაზღვრა რა პოლიტიკური კურსი, მოსკოვი გადაერთო იმის აშკარა მოლოდინზე, რომ შუა აზიასთან ურთიერთობის მისი პოსტიმპერიული სისტემა თანდათან შინაარსს გამოაცლიდა განკერძოებულ და სუსტ სახელმწიფოთა სუვერენულობის არსს და ეს ჩააყენებდა მათ „ინტეგრირებულ“ დსთ-ს საკომანდო ცენტრის დამოკიდებულებაში. ამ მიზნის განხორციელებისათვის რუსეთს აშკარად სურს, ახალ სახელმწიფოებს გადაათქმევინოს საკუთარი შეიარაღებული ძალების შექმნა, მათი მშობლიური ენების აღორძინება, გარესამყაროსთან მჭიდრო კავშირების განვითარება და ახალი ნავთობსადენი ხაზების გაყვანა პირდაპირ არაბეთისა და ხმელთაშუა ზღვის ნაპირების ტერმინალებისკენ. ეს პოლიტიკა წარმატებით რომ განხორციელებულიყო, რუსეთი ალბათ, შეძლებდა საგარეო კავშირების საკითხში დომინირებას და გადამწყვეტი ხმა ექნებოდა შემოსავლების განაწილებისას.

რუსეთის პოლიტიკოსები მისდევდენ რა ამ კურსს, ხშირად ეყრდნობიან, როგორც ეს მეოთხე თავშია მოცემული, ევროპული კავშირის მაგალითს. სინამდვილეში კი, რუსეთის პოლიტიკა შუააზიურ სახელმწიფოებთან და კავკასიასთან ურთიერთობებში გაცილებით უფრო მოგვაგონებს სიტუაციას ფრანგულენოვანი აფრიკის ქვეყნების გაერთიანებასთან, სადაც საფრანგეთის სამხედრო კონტინგენტი და ფულადი სუბსიდიები განსაზღვრავენ ფრანგულ ენაზე მოლაპარაკე პოსტკოლონიალური აფრიკის სახელმწიფოების პოლიტიკურ ცხოვრებასა და პოლიტიკურ კურსს.

თუკი რუსეთის მიერ რეგიონში მაქსიმალურად შესაძლებელი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის აღდგენა საერთო მიზანია, დსთ-ს გაძლიერება კი – მისი მიღწევების ძირითადი საშუალება, მაშინ პოლიტიკური დამორჩილებისთვის მოსკოვის პირველი რანგის გეოპოლიტიკურ ობიექტებს წარმოადგენენ აზერბაიჯანი და ყაზახეთი. იმისთვის, რომ რუსეთის პოლიტიკური კონტრშეტევა წარმატებული იყოს, მოსკოვმა არა მარტო მჭიდროდ უნდა ჩაკეტოს რეგიონის მისასვლელები, არამედ უნდა გადალახოს კიდეც მისი გეოგრაფიული ბარიერებიც.

აზერბაიჯანი მოსკოვისთვის უნდა იქცეს პრიორიტეტულ მიზნად. მისი დამორჩილება, ალბათ, დაეხმარებოდა შუა აზიის დასავლეთიდან მოკვეთას, განსაკუთრებით კი თურქეთისაგან, რაც, სავარაუდოდ კიდევ უფრო გააძლიერებდა რუსეთის ბერკეტებს ურჩ უზბეკეთსა და თურქმენეთზე ზეგავლენისათვის. ამ მხრივ, ირანთან ტაქტიკური თანამშრომლობა ისეთ ურთიერთსაწინააღმდეგო საკითხებში, როგორიც კასპიის ზღვის ფსკერზე ჭაბურღილების კონცესიების განაწილებაა, ემსახურება მნიშვნელოვანი მიზნის მიღწევას: აიძულოს ბაქო, გაიზიაროს მოსკოვის სურვილები. აზერბაიჯანის მოსკოვისადმი პირფერობა

კი, ასევე, ხელს შეუწყობდა რუსეთის დომინირებულ პოზიციებს საქართველოსა და სომხეთში.

ყაზახეთი ასევე, პირველი რანგის სასურველი მიზანია, რამეთუ მისი ეთნიკური მოწყვლადობა მის მთავრობას საშუალებას არ აძლევს, მოსკოვთან აშკარა კონფრონტაციაში პრევალირება მოახდინოს. მოსკოვს ასევე შეუძლია ითამაშოს ყაზახეთის შიშზე ჩინეთის მზარდი დინამიზმის მიმართ, ისევე, როგორც ყაზახეთის მოსალოდნელი უკმაყოფილების ზრდაზე, ყაზახეთის მეზობელი ჩინური პროვინციის სინცზიანის ჩინელი მოსახლეობით დასახლების მასშტაბების გაფართოებით. გეოპოლიტიკური შესაძლებლობის შედეგად, ყაზახეთის თანდათანობითი დამორჩილება, ალბათ, მიგვიყვანდა ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის ალტერნატიულ ჩართვამდე მოსკოვის კონტროლის სფეროში, რაც უზბეკეთსა და თურქმენეთს გაცილებით მოწყვლადად გახდიდა უფრო აშკარა რუსული ზეგავლენისთვის.

მაგრამ რუსეთის სტრატეგია წინააღმდეგია თითქმის ყველა იმ სახელმწიფოს მისწრაფებებისა, რომლებიც განლაგებულნი არიან „ევრაზიულ ბალკანეთზე“. მათი ახალი პოლიტიკური ელიტა თავისი ნებით უარს არ იტყვის ხელისუფლებასა და პრივილეგიებზე, იმაზე, რაც მათ მიიღეს დამოუკიდებლობის წყალობით, იმის შესაბამისად, თუ ადგილობრივი რუსები როგორ ათავისუფლებენ თავიანთ ადრე დაკავებულ პრივილეგირებულ პოსტებს, ახლად წარმოქმნილმა ელიტამ ჩქარა დაიწყო სუვერენიტეტისადმი, დინამიკური და სოციალურად გადამდები პროცესისადმი კანონიერი ინტერესის გამოვლინება. გარდა ამისა, ოდესღაც პოლიტიკურად პასიური მოსახლეობა უფრო ნაციონალისტური ხდება და (საქართველოსა და სომხეთის გარდა) უფრო ღრმად აღიქვამს თავის ისლამურ კუთვნილებას.

რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, საქართველოსაც და სომხეთსაც (ამ უკანასკნელის აზერბაიჯანთან ბრძოლაში რუსეთის

მხარდაჭერაზე დამოკიდებულების მიუხედავად) თანდათანობით სულ უფრო მეტად სურთ ევროპასთან ასოცირება. შუა აზიის წიაღისეული რესურსებით მდიდარ სახელმწიფოებს, მათთან ერთად კი აზერბაიჯანსაც, ალბათ, უნდათ თავიანთ მიწებზე მაქსიმუმამდე გააფართოონ ამერიკული, ევროპული, იაპონური და, უკანასკნელი ხანებიდან კორეული კაპიტალის ეკონომიკური ყოფნა, იმედოვნებენ რა, რომ მათი დახმარებით მნიშვნელოვნად დააჩქარებენ საკუთარ ეკონომიკურ განვითარებას და განამტკიცებენ დამოუკიდებლობას. ამ თვალსაზრისით, ისინი მიესალმებიან თურქეთისა და ირანის როლის ზრდას, ხედავენ რა მათში რუსეთის მოწინააღმდეგესა და სამხრეთისკენ უზარმაზარი ისლამური სამყაროსკენ გადებულ ხიდს.

ასე, მაგალითად, თურქეთისა და ამერიკისაგან წაქეზებულმა აზერბაიჯანმა არა მარტო უარი განაცხადა რუსეთის წინადადებაზე, მის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების შექმნის შესახებ, არამედ, ასევე, აშკარად უგულებელყო რუსეთის წინადადება შავ ზღვაზე რუსეთის ნავსადგურებამდე ერთიანი ნავთობსადენი ხაზის გაყვანაზე, თანაც, ვაჭრობისას, გამოსტყუა ორმაგი ვარიანტის გადაწყვეტილების მიღების უფლება, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოზე გავლით მეორე ნავთობსადენი ხახის გაყვანას თურქეთში (სამხრეთ ირანზე გავლით ნავთობსადენი ხაზის მშენებლობაზე, რომლის ფინანსირება უნდა მოეხდინა ამერიკულ კომპანიას, გათვალისწინებულ იქნა რა აშშ-ს ფინანსური ემბარგო და უარი თქვა). 1995 წელს, საყვირების ხმამაღალი ხმაურის ფონზე, გაიხსნა ახალი რკინიგზის ხაზი, რომელმაც ერთმანეთს დაუკავშირა თურქმენეთი და ირანი, რამაც ევროპას საშუალება მისცა, ევაჭრა რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლით შუა აზიასთან რკინიგზის ტრანსპორტის საშუალებით. თანაც, უძველესი „აბრეშუმის გზის“ აღორძინებასთან დაკავშირებით ადგილი ჰქონდა სიმბოლური დრამატიზმის

გამოვლენას, იმ პირობებში, როცა რუსეთს უკვე აღარ შესწევდა ძალა, მომავალშიც მოეკვეთა ევროპა აზიისგან.

უზბეკეთიც, თავის ოპოზიციაში ასევე, სულ უფრო და უფრო მედგარ წინააღმდეგობას უწევს რუსეთის „ინტეგრაციის“ ძალისხმევას. 1996 წლის აგვისტოში მისმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ცალსახად განაცხადა: „უზბეკეთი წინააღმდეგია დსთ-ს იმ ეროვნული ინსტიტუტების შექმნის, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცენტრალიზებული მმართველობის საშუალებებად“. ამ აშკარად ნაციონალისტურმა პოზიციამ უზბეკეთის მიმართ რუსეთის პრესაში დაუყოვნებლივ მკვეთრი გამოსვლები გამოიწვია:

> „მისი ეკონომიკის ხაზგასმული პროდასავლური ორიენტაცია, დსთ-ს ჩარჩოებში ინტეგრაციული შეთანხმებების წინააღმდეგ მკვეთრი გამოსვლები, ენერგიული უარი, შეერთებოდა საბაჟო კავშირსაც კი, და მეთოდური ანტირუსული ნაციონალისტური პოლიტიკა (იხურება საბავშვო ბაღებიც კი, რომლებშიაც რუსული ენით სარგებლობენ)... შეერთებული შტატებისთვის, რომელიც აზიურ რეგიონში რუსეთის დასუსტების პოლიტიკურ კურსს ატარებს, ასეთი პოზიცია ერთობ მიმზიდველია.[27]

ყაზახეთიც კი, რუსეთის ზეწოლის საპასუხოდ მიესალმა რუსეთის გვერდის ავლით საკუთარი წიაღისეული სიმდიდრის ტრანსპორტირებისთვის დამატებითი ხაზის გაყვანას. ყაზახეთის პრეზიდენტის მრჩეველმა უმირსერიკ კასენოვმა განაცხადა:

> „ეს ფაქტია, რომ ყაზახეთის მიერ ნავთობსადენი ხაზის ალტერნატიული ძიებანი გამოწვეული იყო თავად რუსე-

27 Zavtra, 1996, N28.

თის მოქმედებით – ისეთით, როგორიცაა: ყაზახეთის ნავთობის ნოვოროსიისკში და ტიუმენის ნავთობის პავლოდარის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში მიწოდების შეზღუდვა. თურქმენეთის ძალისხმევა ირანში გაზსადენის მშენებლობაზე ნაწილობრივ გამოწვეული იყო იმით, რომ დსთ-ს ქვეყნები მსოფლიო ფასების მხოლოდ 60%-ს იხდიან, ან საერთოდ არაფერს იხდიან“.[28]

თურქმენეთმა, გამომდინარეობდა რა ბევრ რამეში იმავე მოსაზრებიდან, აქტიურად შეისწავლა ავღანეთისა და პაკისტანის გავლით არაბეთის ზღვის ნაპირებისაკენ კიდევ ერთი ნავთობსადენი ხაზის მშენებლობის საკითხი იმ ახალი რკინიგზის ხაზების დამატებით, რომლებიც მას ჩრდილოეთით, ყაზახეთსა და უზბეკეთს დააკავშირებდნენ, სამხრეთით კი, ირანსა და ავღანეთთან. ასევე წინასწარი მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ყაზახეთს, ჩინეთსა და იაპონიას შორის იმ ერთობ ამბიციური პროექტის შესახებ, რომელიც გადაიჭიმებოდა შუა აზიიდან სამხრეთ-ჩინეთის ზღვის ნაპირებამდე (იხ. რუკა XX). იმ ნავთობგაზის დარგისადმი გრძელვადიანი საინვესტიციო ვალდებულებების არსებობისას, რომლებიც აზერბაიჯანში დაახლოებით 13 მილიარდ დოლარს აღწევს, ყაზახეთში კი – 20 მილიარდზე გაცილებით მეტს (ციფრები 1996 წლისაა), მოცემული რეგიონის ეკონომიკური და პოლიტიკური იზოლაცია, აშკარად გამოირიცხება რუსეთის გლობალური ეკონომიკური ზეწოლისა და შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობების ვითარებაში.

საშიშროება, რომელიც რუსეთთან იყო დაკავშირებული, შუა აზიის სახელმწიფოებს უბიძგებდა უფრო მჭიდრო რეგიონული თანამშრომლობისკენ. თავდაპირველად უმოქმედო შუა აზიური

28 Chego khochet Rossia v Zakavkazie i Srednei Azii // Nezavisimaia gazeta, 1956, 24 January.

ეკონომიკური კავშირი, რომელიც 1993 წლის იანვარში შეიქ-
მნა, თანდათან მოქმედუნარიანად იქცა. თვით ყაზახეთის პრე-
ზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი, რომელიც თავდაპირველად
„ევრაზიული კავშირის“ შექმნის აშკარა მომხრე იყო, დროთა
განმავლობაში, გადავიდა შუა აზიაში უფრო მჭიდრო კოოპერი-
რების, რეგიონის სახელმწიფოთაშორისი უფრო შეთანხმებული
სამხედრო თანამშრომლობის, აზერბაიჯანის, კასპიისა და ყაზა-
ხეთის ნავთობის თურქეთის ტერიტორიებზე გავლით ტრან-
სპორტირების საკითხის მხარდაჭერის და რუსეთისა და ირანის
ძალისხმევისადმი ერთობლივი ოპოზიციის იმ იდეების მომხრე-
თა ბანაკში, რომლებიც მომართული იყო იმისკენ, რომ აღეკვე-
თა კასპიის ზღვის კონტინენტური შელფისა და მოსაზღვრე სა-
ხელმწიფოებს შორის ბუნებრივი მარაგების სექტორული დაყო-
ფა.

ვითვალისწინებთ რა იმ ფაქტს, რომ მოცემულ რეგიონში რე-
ჟიმებს ძლიერი მიდრეკილება აქვთ ავტორიტარიზმისკენ, შე-
საძლებელია, უფრო მეტი მნიშვნელობა მოიპოვოს ძირითად
ლიდერებს შორის პიროვნული მორიგების პრობლემამ. საყო-
ველთაოდ ცნობილია, რომ ყაზახეთის, უზბეკეთის და თურქმე-
ნეთის პრეზიდენტები მაინც და მაინც თბილი გრძნობებით არ
იყვნენ ერთმანეთის მიმართ განწყობილი (რაზეც ისინი ქედმაღ-
ლურად და გულღიად საუბრობდნენ უცხოელ ვიზიტორებთან)
და რომ პირადი ანტაგონიზმი, თავდაპირველად, ხელს აძლევ-
და კრემლს მათი ერთმანეთთან დასაპირისპირებლად. 90-იანი
წლების შუა ხანებში სამივემ შეიგნო, რომ მათ შორის უფრო
მჭიდრო თანამშრომლობა აუცილებელია მათი საკუთარი სუვე-
რენიტეტის შესანარჩუნებლად და გულმხურვალედ დაიწყეს
თავიანთი, თითქოსდა, მჭიდრო კავშირების ფართო დემონ-
სტრირება, ხაზს უსვამენ რა, რომ ამიერიდან, ისინი კოორდინი-

რებას გაუწევდნენ თავის საგარეო პოლიტიკურ მიმართულებებს.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვან მომენტად მაინც წარმოგვიდგა დსთ-ს შიგნით არაოფიციალური კოალიციის გაჩენა უკრაინასა და უზბეკეთის მეთაურობით, რომლებიც გატაცებული იყვნენ „კოოპერატიული“ და არა „ინტეგრირებული“ თანამეგობრობის იდეებით. ამ მიზნით, უკრაინამ ხელი მოაწერა უზბეკეთთან, თურქმენეთთან და საქართველოსთან შეთანხმებებს სამხედრო თანამშრომლობის შესახებ. 1996 წლის სექტემბერში კი უკრაინისა და უზბეკეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა მონაწილეობაც კი მიიღეს უმაღლესი დონის სიმბოლურ აქციაში – გამოაქვეყნეს დეკლარაცია, რომელიც მოითხოვდა, რომ ამ მომენტიდან და მომავალში დსთ-ს წევრი-სახელმწიფოების წარმომადგენელთა უმაღლეს დონეზე თათბირი უნდა ჩატარებულიყო არა რუსეთის პრეზიდენტის თავმჯდომარეობით, არამედ ამ პოსტზე წევრსახელმწიფოთა მეთაურობის როტაციის სისტემის შესაბამისად.

უკრაინისა და უზბეკეთის მაგალითმა ზეგავლენა მოახდინა იმ ლიდერებზეც კი, რომლებიც უფრო მოკრძალებით უდგებოდნენ მოსკოვის ცენტრისტულ მისწრაფებებს. კრემლი, შესაბამისად, განსაკუთრებით შეშფოთდა, როცა გაიგო, რომ ყაზახეთის ლიდერმა ნურსულთან ნაზარბაევმა და ქართველმა ედუარდ შევარდნაძემ 1996 წლის სექტემბერში განაცხადეს, რომ მათი რესპუბლიკები მიატოვებენ დსთ-ს, „თუკი მათი დამოუკიდებლობა საფრთხის ქვეშ აღმოჩნდებოდა...“

დსთ-ის საწინააღმდეგო მოქმედების საშუალებად შუა აზიისა და აზერბაიჯანის სახელმწიფოებმა თავიანთი საქმიანობის დონე აღიმაღლეს იმ ეკონომიური თანამშრომლობის ორგანიზაციაში – რეგიონული, ისლამური სახელმწიფოების ჯერ კიდევ თავისუფალ ასოციაციაში, რომელშიაც გაერთიანებული არიან

თურქეთი, ირანი და პაკისტანი და, რომელიც ემსახურება თავის წევრებს შორის ფინანსურ, ეკონომიკურ და სატრანსპორტო კავშირების გაფართოებას. მოსკოვი ოფიციალურად გამოვიდა ამ ინიციატივების კრიტიკით, შეაფასა რა ისინი, სრულიად სამართლიანადაც, როგორც დსთ-ში სახელმწიფოთა გაწევრიანების არსის საფუძვლის გამომცლელებად.

ანალოგიურ კალაპოტში თანდათან მტკიცდებოდა და ფართოვდებოდა თურქეთთან კავშირები, ნაკლებად კი – ირანთან. თურქულენოვანმა ქვეყნებმა სიხარულით აღიქვეს თურქეთის წინადადება ახალი ეროვნულ ოფიცერთა კორპუსისათვის სამხედრო მხარდაჭერის გაწევისა და სასწავლებლად დაახლოებით 10 ათასი სტუდენტის მიღების შესახებ. თურქულენოვან სახელმწიფოთა წარმომადგენელთა უმაღლეს დონეზე მეოთხე შეხვედრამ, რომელიც 1996 წლის ოქტომბერში მიმდინარეობდა ტაშკენტში და მომზადებული იყო თურქეთის ხელის შეწყობით, თავისი ყურადღების განსაკუთრებული კონცენტრირება მოახდინა სატრანსპორტო კავშირების, ვაჭრობის, აგრეთვე, განათლების საერთო სტანდარტების გამომუშავებისა და, ასევე, თურქეთთან უფრო მჭიდრო კულტურული თანამშრომლობის საკითხებზე. თურქეთმაც და ირანმაც განსაკუთრებული აქტიურობა გამოავლინეს ახალი სახელმწიფოებისადმი თავიანთი სატელევიზიო პროგრამებით დახმარების გაწევის თვალსაზრისით და ამგვარად, უშუალო ზეგავლენა მოახდინეს ფართო აუდიტორიაზე.

1996 წლის დეკემბერში, ყაზახეთის დედაქალაქ ალმა-ათაში ჩატარებული ცერემონია განსაკუთრებით სიმბოლური აღმოჩნდა თურქეთის იდენტიფიკაციისთვის რეგიონის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობასთან. ყაზახეთის დამოუკიდებლობის მე-5 წლისთავთან დაკავშირებულ ცერემონიაზე გაიხსნა მოოქროვილი 28-მეტრიანი კოლონა, რომელსაც აგვირგვინებდა გრიფო-

ნის მსგავს არსებაზე ამხედრებული ლეგენდარული ყაზახი-
თურქი მეომრის ფიგურა, პრეზიდენტ ნაზარბაევის გვერდით კი,
იდგა თურქი პრეზიდენტი სულეიმან დემირელი. ზეიმზე ყაზახე-
თის წარმომადგენლებს ცაში აჰყავდათ თურქეთი იმისათვის,
რომ „ის ყაზახეთის გვერდით იმყოფებოდა მისი, როგორც და-
მოუკიდებელი სახელმწიფოს განვითარების თითოეულ ეტაპ-
ზე“, რაზეც თურქეთმა პასუხი გასცა ყაზახეთისთვის კერძო 300-
მილიონიანი დოლარის ოდენობის თურქული საკრედიტო ხა-
ზის გადაცემით, იმ კაპიტალდაბანდებების გარდა, რომელიც
დაახლოებით 1,2 მილიარდ დოლარს მოიცავდა.

მიუხედავად იმისა, რომ არც თურქეთს და არც ირანს ძალა
არ შესწევთ, რაიმე დააკლონ რუსეთის რეგიონულ გავლენას,
ასეთი ქმედებით თურქეთი (ნაკლები დონით) და ირანი მხარს
უჭერენ ახალი სახელმწიფოების მზადყოფნასა და საშუალებებს
წინააღმდეგობა გაუწიონ მათ ჩრდილოელ მეზობელსა და ყო-
ფილ პატრონთან რეინტეგრაციას. ეს, რა თქმა უნდა, დახმარე-
ბას უწევს რეგიონის გეოპოლიტიკური მომავლის დიად შენარ-
ჩუნებას.

არც დომინიონი, არც აუტსაიდერი

გეოსტრატეგიული შედეგები ამერიკისთვის ცხადია: ამერიკა საკმაოდ შორს მდებარეობს, რომ ევრაზიის ამ ნაწილში დომინირებდეს, მაგრამ ერთობ ძლიერია, რომ ჩართული არ აღმოჩნდეს ამ თეატრის მიმდინარე მოვლენებში. თავისი გადარჩენისთვის მოცემული რეგიონის ყველა სახელმწიფო აუცილებლობად მიიჩნევს ამერიკელთა მონაწილეობას: რუსეთი მეტისმეტად სუსტია, რათა აღიდგინოს რეგიონზე იმპერიული დომინირება და გამორიცხოს სხვა მოქმედი პირები მისი არენიდან, მაგრამ ის ერთობ ახლოს მდებარეობს და საკმაოდ ძლიერია იმისათვის, რომ იგი უგულებელვყოთ. ირანი და თურქეთი საკმაოდ ძლიერები არიან, რომ ზეგავლენა მოახდინონ, მაგრამ მათი საკუთარი მოწყვლადობა, ალბათ, ხელს შეუშლიდა რეგიონს, ერთდროულად გადაეჭრა ჩრდილოეთიდან მომდინარე მუქარა და შიდარეგიონული კონფლიქტები. ჩინეთი ერთობ ძლიერია და არ შეიძლება მისი არ ეშინოდეთ რუსებს და შუა აზიის სახელმწიფოებს, მით უმეტეს, რომ მისი უშუალო ყოფნა და ეკონომიკური დინამიზმი ამსუბუქებს შუა აზიის უფრო ფართო, მსოფლიო არენაზე გასვლის მისწრაფებების რეალიზაციას.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ამერიკის უპირველესი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ დაეხმაროს ისეთი სიტუაციის შექმნას, რომლის დროსაც ვერც ერთი „დერჟავა“ ვერ მოახდენდა მოცემული გეოპოლიტიკური სივრცის კონტროლს, მსოფლიო გაერთიანებას კი მასთან ექნებოდა დაუბრკოლებელი ფინანსურ-ეკონომიკური ურთიერთობა. გეოპოლიტიკური პლურალიზმი მყარი რეალობა გახდება მხოლოდ მაშინ, როცა

ნავთობსადენის ხაზებისა და სატრანსპორტო გზების ქსელი რეგიონს უშუალოდ შეაერთებს მსოფლიო ეკონომიკური საქმიანობის მსხვილ ცენტრებს როგორც ხმელთაშუა და არაბეთის ზღვების, ისე ხმელეთის გავლით. აქედან გამომდინარე, რუსეთის ძალისხმევა რეგიონში ყოფნის მონოპოლიზაციის საქმეში, მოითხოვს უარყოფას, როგორც რეგიონში სტაბილიზაციისთვის საზიანოს.

მაგრამ რუსეთის რეგიონიდან გამორიცხვა, თანაბარი დონით სასურველიც არაა და განუხორციელებელიც, ისევე, როგორც ამ რეგიონის სახელმწიფოთა და რუსეთს შორის წინააღმდეგობრიობის გაზვიადება. და მართლაც, რუსეთის აქტიურ ეკონომიკურ მონაწილეობას რეგიონის განვითარებაში არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ ზონის სტაბილურობისათვის, რუსეთის პარტნიორის სახით და არა მხოლოდ და მხოლოდ ბატონად ყოფნას, ასევე შეუძლია მოიტანოს არსებითი ეკონომიკური სარგებლობა. რეგიონის ჩარჩოებში დიდი სტაბილურობა და მზარდი კეთილდღეობა უშუალოდ მოემსახურება რუსეთის მატერიალურ სიკეთესა და „თანამეგობრობას“ შესძენდა იმ ჭეშმარიტ მნიშვნელობას, რასაც აღუთქვამდა შემოკლებული ტერმინი „დსთ“, მაგრამ ასეთი კოოპერატიული გზა რუსეთის პოლიტიკად მხოლოდ მაშინ იქცეოდა, როცა ყველაზე პატივმოყვარე, ისტორიულად მოძველებული გეგმები, რომლებიც მტკივნეულად მოგვაგონებენ ბალკანეთთან დაკავშირებულ თავდაპირველ გეგმებს, წარმატებით იქნებოდა თავიდან არიდებული.

სახელმწიფოები, რომლებიც ამერიკის მხრიდან უძლიერეს გეოპოლიტიკურ მხარდაჭერას იმსახურებენ, არიან აზერბაიჯანი, უზბეკეთი და (არა მოცემულ რეგიონში) უკრაინა. სამივე გეოპოლიტიკური ცენტრებია. კიევის როლს ამაგრებს არგუმენტი იმის სასარგებლოდ, რომ უკრაინა, იმდენად საკვანძო სახელმწიფოა, რამდენადაც ეს ეხება საკუთრივ რუსეთის მომავალ

ევოლუციას. იმავდროულად, ყაზახეთი (მისი მასშტაბების, ეკონომიკური პოტენციალისა და გეოგრაფიულად მნიშვნელოვანი მდგომარეობის გათვალისწინებით), ასევე, იმსახურებს გონიერ საერთაშორისო მხარდაჭერასა და ხანგრძლივ ეკონომიკურ დახმარებას. თავის დროზე ყაზახეთში ეკონომიკური ზრდა, ალბათ, შეძლებდა იმ ეთნიკური განხეთქილების უფსკრულებზე ხიდების გადებას, რომლებიც ამ შუააზიურ „ფარს“ ესოდენ მოწყვლადად ხდის რუსეთის ზეწოლის საპირისპიროდ.

მოცემულ რეგიონში ამერიკა იზიარებს საერთო ინტერესებს არა მარტო მოდასავლეთო პროპაგანდის მქონე თურქეთთან, არამედ, ირანთან და ჩინეთთანაც. ამერიკა-ირანის ურთიერთობების თანდათანობითი გაუმჯობესება, ალბათ, ხელს შეუწყობდა მოცემულ რაიონში გლობალური ყოფნის მნიშვნელოვან გაფართოებას და, თუ უფრო კონკრეტულად ვიტყვით, შეამცირებდა აზერბაიჯანის თავის გადარჩენის უშუალო მუქარას. ჩინეთის მზარდი ეკონომიკური ყოფნა რეგიონში და რეგიონულ დამოუკიდებლობაში მისი პოლიტიკური ფონი ასევე, შეესაბამება ამერიკის ინტერესებს. ავღანეთში პაკისტანელთა ძალისხმევისადმი ჩინეთის მხარდაჭერაც პოზიტიური ფაქტორია, რადგანაც უფრო მჭიდრო პაკისტან-ავღანეთის ურთიერთობები ალბათ უფრო სავარაუდოს გახდიდა თურქმენეთში საერთაშორისო ყოფნას და ამით გაამაგრებდა როგორც ამ სახელმწიფოს, ისე უზბეკეთსაც (იმ შემთხვევაში, თუ ყაზახეთი ყოყმანს დაიწყებდა).

თურქეთის ევოლუცია და ორიენტაცია, როგორც ჩანს, განმსაზღვრელ როლს შეასრულებს კავკასიის სახელმწიფოთა მომავალში. თუ თურქეთი მყარად გაივლის თავის გზას ევროპისაკენ, ევროპა კი მას კარს ჩაუკეტავს, მაშინ კავკასიის სახელმწიფოები, როგორც ჩანს, ასევე, ჩართული იქნებიან ევროპის ორბიტაში და ეს პერსპექტივაა, რაც მათ გულმხურვალედ

სურთ, მაგრამ თუ თურქეთის ევროპეიზაციამ კრახი განიცადა საგარეო ან საშინაო მიზეზებით, მაშინ საქართველოსაც და სომხეთსაც არჩევანი აღარ დარჩებათ, გარდა იმისა, რომ შეეგუონ რუსეთის ინტერესებს. მათი მომავალი ამ შემთხვევაში იქცევა თავად რუსეთის განვითარებად ევროპასთან ურთიერთობების ევოლუციის ფუნქციად, განურჩევლად იმისა, თუ რა მიმართულების იქნება ეს უკანასკნელი.

ირანის როლი, როგორც ჩანს, უფრო პრობლემატურია. მოდასავლეთო პოზიციებისკენ დაბრუნება, რა თქმა უნდა, უზრუნველყოფდა რეგიონში სტაბილიზაციასა და მის კონსოლიდაციას, ამიტომაც, სტრატეგიული თვალსაზრისით, ამერიკისათვის სასურველია, ხელი შეუწყოს ირანის მოქმედების ასეთ შემობრუნებას. მაგრამ მანამ, სანამ ეს არ მოხდება, ირანი უფრო ნეგატიურ როლს ითამაშებს, მოახდენს რა არასასურველ გავლენას აზერბაიჯანის პერსპექტივებზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის, მიუხედავად დღევანდელი ფუნდამენტალიზმისა, რომელიც აძლიერებს შუაზიელების მიერ თავიანთი რელიგიური მდგომარეობის აღთქმას, ისეთ დადებით ნაბიჯებს გადადგამს, როგორიცაა: თურქმენეთის დანარჩენი მსოფლიოსთვის აღმოჩენა.

საბოლოო ჯამში, შუა აზიის მომავალი, როგორც ჩანს, ფორმირებულ იქნება გარემოებათა სულ უფრო რთული კომპლექსით, თანაც, მისი სახელმწიფოების ბედს განსაზღვრავენ რუსეთის, თურქეთის, ირანისა და ჩინეთის ინტერესების დახლართული ურთიერთობანი, ასევე იმ დონით, როგორითაც ამერიკის შეერთებული შტატები თავის ურთიერთობებს ამყარებს რუსეთთან, ამ უკანასკნელის ახალი სახელმწიფოების დამოკიდებულებისადმი პატივისცემის გამოვლენაში. ამ ურთიერთობების რეალობა გამორიცხავს იმპერიას ან მონოპოლიას, როგორც არსებით მიზანს ნებისმიერი დაინტერესებული გეოსტრატეგიული ფიგურისათვის. უფრო კი უნდა მოხდეს პრინციპული არჩე-

ვანი – სუსტ რეგიონულ თანაფარდობასა (რომელიც, მოცემულ რეგიონს, ალბათ ნელ-ნელა, ნებას დართავდა, ჩართულიყო აღმავალ გლობალურ ეკონომიკაში იმ დროს, როცა რეგიონის სახელმწიფოები თანდათან კონსოლიდაციას მოახდენენ და, ალბათ, მოიპოვებდნენ სულ უფრო ისლამური გამოხატულების ფორმებს) და ეთნიკურ კონფლიქტებს, პოლიტიკურ განხეთქილებას და, შესაძლოა, რუსეთის სამხრეთ საზღვრების გასწვრივ თვით აშკარა ეთნიკურ შეჯახებებს შორის. ევრაზიის მიმართ ასეთი რეგიონალური თანასწორობის მიღწევა და განმტკიცება უნდა იქცეს აშშ-ს ყოვლისმომცველი გეოსტრატეგიის არსებით ამოცანად.

თავი VI

საყრდენი პუნქტი შორეულ აღმოსავლეთში

ევრაზიის მიმართ ამერიკის ეფექტური პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ შორეულ აღმოსავლეთში საყრდენი პუნქტი ჰქონდეს. ეს აუცილებლობა უზრუნველყოფილი არ იქნება იმ შემთხვევაში, თუ ამერიკა გამოიდევნება, ან თავად წამოვა აზიური კონტინენტიდან. ამერიკის გლობალური პოლიტიკისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს საზღვაო სახელმწიფოსთან – იაპონიასთან მჭიდრო ურთიერთობებს, იმავდროულად, ამერიკის ევრაზიული გეოსტრატეგიისთვის აუცილებელია ნაყოფიერი თანამშრომლობა მატერიკულ ჩინეთთან. აუცილებლად მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ამ რეალურად შექმნილი ვითარების დასაშვები შედეგები, რადგან შორეულ აღმოსავლეთში არსებული ურთიერთობები სამ ძირითად სახელმწიფო – „დერჟავას“ – ამერიკა-ჩინეთ-იაპონიას შორის ქმნის პოტენციურად საშიშ რეგიონულ თავსამტვრევს და აუცილებლად გამოიწვევს სერიოზულ გეოპოლიტიკურ გარდაქმნებს.

ჩინეთისათვის წყნარი ოკეანის გალმა არსებული ამერიკა უნდა იქცეს ბუნებრივ მოკავშირედ, რადგან ამერიკას არ აქვს აზიური მატერიკისადმი არავითარი გეგმები და ისტორიულად როგორც იაპონიის, ისე რუსეთის მხრიდან, გაცილებით სუსტი ჩინეთის ხელყოფის წინააღმდეგი გამოდიოდა. ჩინელებისათვის იაპონია მთელი წარსული საუკუნის განმავლობაში ძირითადი მოწინააღმდეგე იყო; რუსეთს, ჩინურ თარგმანში „მშიერ ქვეყანას“, ჩინეთი არასდროს არ ენდობოდა; ინდოეთი მისთვის, ისევე, როგორც ახლა, პოტენციური მოწინააღმდეგე იყო. ამრი-

გად, პრინციპი, რომ „ჩემი მეზობლის მეზობელი ჩემს მოკავშირეს წარმოადგენს“, სრულიად მისასადაგებელია ჩინეთისა და აშშ-ს შორის გეოპოლიტიკური და ისტორიული ურთიერთობებისადმი.

მაგრამ ამერიკა უკვე აღარაა იაპონიის ოკეანისგაღმელი მოწინააღმდეგე. პირიქით, ის მხარს უჭერს იაპონიასთან მჭიდრო სამოკავშირეო ურთიერთობებს. ამერიკამ, ასევე, განიმტკიცა კავშირები ტაივანთან და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მთელ რიგ ქვეყნებთან. გარდა ამისა, ჩინელები მტკივნეულად ეკიდებიან ამერიკის დოქტრინაში არსებულ შენიშვნას ჩინეთის ახლანდელი რეჟიმის საშინაო ხასიათის შესახებ. ამრიგად, ამერიკა, ასევე, განიხილება, როგორც მთავარი დაბრკოლება ჩინეთის მისწრაფებების გზაზე იმისკენ, რომ არა მარტო წამყვანი მდგომარეობა დაიკავოს მსოფლიოში, არამედ დომინირებული როლი ითამაშოს რეგიონშიც. ამის შედეგად გარდუვალი ხომ არაა აშშ-სა და ჩინეთს შორის შეტაკება?

იაპონიისათვის ამერიკა იყო „ქოლგა“, რომლის ქვეშ ქვეყანას შეეძლო უშფოთველად მოსულიყო გონს ამაოხრებელი ომის შემდეგ, განევითარებინა ეკონომიკის ტემპები და ამ ნიადაგზე თანდათანობით დაეკავებინა მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი „დერჟავის პოზიციები. მაგრამ თვით ამ საფარის არსებობის ფაქტი ზღუდავდა იაპონიის თავისუფალ მოქმედებას, ქმნიდა რა პარადოქსულ სიტუაციას, როცა მსოფლიო დონის „დერჟავა“ ერთდროულად წარმოადგენდა ვიღაცის პროტექტორატსაც. იაპონიისათვის ამერიკა უწინდებურად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პარტნიორია მისი საერთაშორისო ლიდერად გარდაქმნის პროცესში. მაგრამ ამერიკა ასევე, არის იმისი ძირითადი მიზეზიც, რომ იაპონიას უწინდებურად არ გააჩნია უსაფრთხოების სფეროში ეროვნული დამოუკიდებლობა. როდემდე შეიძლება შენარჩუნდეს ასეთი სიტუაცია?

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ევრაზიის შორეულ აღმოსავლეთში, ახლო მომავალში, ამერიკის როლი განისაზღვრება იმ ორი გეოპოლიტიკური პრობლემით, რომელთაც ცენტრალური მნიშვნელობა აქვთ და უშუალოდ დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან:

1. პრაქტიკულად რამდენად შესაძლებელია და, ამერიკის თვალსაზრისით, რამდენად მისაღებია ჩინეთის გარდაქმნა დომინირებულ რეგიონულ „დერჟავად“ და რამდენად რეალურია მისი გაძლიერებული სწრაფვა მსოფლიო „დერჟავის“ სტატუსისადმი?

2. რადგან იაპონია თავად მიისწრაფვის ითამაშოს გლობალური როლი, რანაირად შესძლებს ამერიკა გადაჭრას რეგიონალური შედეგები, თუკი იაპონია გარდუვალად უარს განაცხადებს შემდგომშიც, შეურიგდეს პროტექტორატის სტატუსს?

ამჟამად, აღმოსავლეთ აზიაში, გეოპოლიტიკური ვითარებისათვის დამახასიათებელია ქვეყნებს შორის მეტასტაბილური ურთიერთობები. მეტასტაბილურობა ითვალისწინებს შედარებით მცირე მოქნილობასთან საერთო სიმყიფის იმ მდგომარეობას, რომელიც ამ ვითარებაში უფრო რკინისთვის არის დამახასიათებელი, ვიდრე ფოლადისათვის. ის მოწყვლადია იმ დამანგრეველი ჯაჭვური რეაქციის დროს, რომელიც გამოწვეულია მძლავრი, მკვეთრი დარტყმის შედეგად. დღევანდელი შორეული აღმოსავლეთი განიცდის განსაკუთრებული ეკონომიკური დინამიზმის პერიოდს მზარდ პოლიტიკურ გაურკვევლობასთან ერთად. აზიის ეკონომიკური განვითარება, ფაქტობრივად, შეიძლება კიდეც ხელს უწყობდეს ამ გაურკვევლობას, რადგან ეკონომიკური გაფურჩქვნა იმდენად აშკარას არ ხდის

რეგიონის პოლიტიკურ მოწყვლადობას, მით უმეტეს, რომ ის აქტიურს ხდის ეროვნულ ამბიციებს და მივყავართ სოციალური იმედების ზრდამდე.

იმის შესახებ, რომ აზიამ ისეთ ეკონომიკურ წარმატებას მიაღწია, რომელსაც ბადალი არ ჰყავს კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე, ლაპარაკიც არ ღირს. აი, ის ძირითადი ფუძემდებლური სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც თვალნათლივ ახდენენ ამ რეალობის დემონსტრირებას. ოთხ ათეულზე ნაკლები წლის წინ, აღმოსავლეთ აზიის ხვედრითი წილი იაპონიასთან ერთად მთელი მსოფლიოს სამრეწველო პროდუქციაში შეადგენდა დაახლოებით მხოლოდ 4%-ს, მაშინ, როცა ჩრდილოეთ ამერიკას წამყვანი მდგომარეობა ეკავა მსოფლიოში და მისი წილი შეადგენდა 35-40%-ს. 90-იანი წლების შუახანებში ორივე რეგიონს დაახლოებით თანაბარი შედეგები ჰქონდა (დაახლოებით 25%). გარდა ამისა, აზიამ მიაღწია ტემპების ისეთ ზრდას, რაც უპრეცედენტო იყო ისტორიაში. ეკონომისტები აღნიშნავენ, რომ დიდი ბრიტანეთის ინდუსტრიალიზაციას, საწყის პერიოდში მოუწია 50 წელზე მეტი, ამერიკას კი – 50 წელზე ოდნავ ნაკლები ერთ სულ მოსახლეზე წარმოების ორჯერ გადიდებისთვის, მაშინ, როცა, როგორც ჩინეთში, ისე სამხრეთ კორეაში, ასეთივე შედეგის მისაღწევად დასჭირდათ დაახლოებით ათი წელი. თუ რეგიონში არ მოხდება რაიმე მასობრივი ძვრა, საუკუნის მეოთხედის განმავლობაში აზია, როგორც ჩანს, თავისი მონაცემებით, გაუსწრებს ჩრდილოეთ ამერიკასაც და ევროპასაც.

მაგრამ იმის გარდა, რომ აზია იქცა მსოფლიოს ეკონომიკურ სიმძიმის ცენტრად, ის შეიძლება ასევე დაემსგავსოს პოლიტიკურ ვულკანს. მართალია, აზიამ ეკონომიკური განვითარებით გაუსწრო ევროპას, ის გასაოცრად ძლიერ ჩამორჩა მას რეგიონული პოლიტიკური განვითარების თვალსაზრისით. მას არ

ჰყოფნის თანამშრომლობის სფეროში მრავალმხრივი სტრუქ-
ტურები, ის, რაც განსაზღვრავს ევროპულ პოლიტიკურ
ლანდშაფტს და ასუსტებს, შთანთქავს და ამუხრუჭებს ყველაზე
ტრადიციულ ევროპულ ტერიტორიულ, ეთნიკურ და ნაციონა-
ლურ კონფლიქტებს. აზიაში არაფერია არც ევროპული კავში-
რის და არც ნატოს მსგავსი რამ. სამი რეგიონული ორგანიზა-
ციიდან არც ერთი – საასა (სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სა-
ხელმწიფოთა ასოციაცია), არფ-ი (აზიის რეგიონული ფორუმი,
საასას პლატფორმა პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხე-
ბის დიალოგისთვის), აწოეთჯ (აზიურ-წყნარი ოკეანის ეკონომი-
კური თანამშრომლობის ჯგუფი) ცალ-ცალკეც კი არ შეესაბამე-
ბა თანამშრომლობის სფეროში იმ მრავალმხრივი და რეგიო-
ნული თანამშრომლობის ქსელს, რომელიც აერთიანებს ევრო-
პას.

პირიქით, დღეს აზია არის ამ ბოლო დროს იმ გამოღვიძებუ-
ლი და სულ უფრო გააქტიურებული მასობრივი ნაციონალიზ-
მის კონცენტრაციის ადგილი, რომელიც საზრდოობს კავშირე-
ბის მასობრივ საშუალებებთან მოულოდნელი დაშვებით, ზეაქ-
ტიურობს მზარდი სოციალური იმედებით, რაც ეკონომიკური
კეთილდღეობის ზრდითაა გამოწვეული, ასევე სოციალურ
მდგომარეობაში სულ უფრო მზარდი უთანასწორობით და მო-
სახლეობისა და ურბანიზაციის სწრაფი ზრდის ტემპების წყალო-
ბით ხდება უფრო ამთვისებელი პოლიტიკური მობილიზაციი-
სადმი. აზიაში შეიარაღების მასშტაბების ზრდის შედეგად ეს
ფაქტორები სულ უფრო ავბედით ხასიათს ღებულობს. 1995
წელს, რეგიონი, სტრატეგიული კვლევის საერთაშორისო ინ-
სტიტუტების მონაცემების თანახმად, უსწრებს რა ევროპასა და
მახლობელ აღმოსავლეთს, ხდება მსოფლიოში იარაღის უდი-
დესი იმპორტიორი.

მოკლედ რომ ვთქვათ, აღმოსავლეთ აზია შეპყრობილია იმ ენერგიული საქმიანობით, რომელიც რეგიონის ეკონომიკური განვითარების სწრაფი ტემპებით აქამდე სამშვიდობო კალაპოტში მოქცეული მიმდინარეობდა, მაგრამ უსაფრთხოების სარქველს, გარკვეულ მომენტში, შეიძლება ზედ გადაევლოს თავისუფლებით გამოწვეული პოლიტიკური მისწრაფებები, რომლებიც შეიძლება პროვოცირებულ იქნეს რომელიღაც მოვლენით, თუ გნებავთ, შედარებით ტრივიალურითაც კი. ასეთი მოვლენის პოტენციური შესაძლებლობა იმალება სადავო საკითხების უზარმაზარ რაოდენობაში და თითოეული მათგანი, სავსებით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დემაგოგიური მიზნით და ფეთქებადსაშიში იყოს:

• ჩინეთის უკმაყოფილება ტაივანის დამოუკიდებელი სტატუსით იზრდება იმის მიხედვით, როგორ მტკიცდება ჩინეთის პოზიციები, სულ უფრო აყვავებული ტაივანი კი, იწყებს თავისი ფორმალური დამოუკიდებლობით, როგორც ეროვნული სახელმწიფოს სტატუსით, სარგებლობას.

• პარასელის კუნძულები და სამხრეთ ჩინეთის ზღვაში სპრეტლის კუნძულები საშიშროებას ქმნიან ჩინეთისა და სამხრეთაღმოსავლეთ აზიის მთელ რიგ სახელმწიფოებს შორის საზღვაო ფსკერის, პოტენციურად ძვირფასი, რესურსების სარგებლობის თაობაზე, თანაც, ჩინეთი იმპერიულად განიხილავს სამხრეთ-ჩინეთის ზღვას, როგორც თავის კანონიერ ეროვნულ საკუთრებას.

• სენკაუს კუნძულებს ერთმანეთს ედავებიან იაპონია და ჩინეთი (თანაც, მეტოქეები – ტაივანი და მატერიკული ჩინეთი - გაათურებით იცავენ ერთიან თვალსაზრისს ამ საკითხთან დაკავ-

შირებით). რეგიონში იაპონიასა და ჩინეთს შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული მეტოქეობა ასევე სიმბოლურ მნიშვნელობას სძენს ამ საკითხს.

- კორეის დანაწევრება და არასტაბილურობა, რაც დამახასიათებელია ჩრდილოეთ კორეისათვის, სულ უფრო საშიშ ხასიათს ღებულობს მისი მისწრაფების შედეგად იქცეს ბირთვულ „დერჟავად“, რაც ქმნის იმის საშიშროებას, რომ უეცარმა შეჯახებამ, შეიძლება ნახევარკუნძული ომში ჩაითრიოს, რაც, თავის მხრივ, კონფლიქტში ჩართავს შეერთებულ შტატებს და ირიბი სახით იაპონიას.

- კურილიის ყველაზე სამხრეთ კუნძულების საკითხი, რომელიც საბჭოთა კავშირის მიერ ცალსახად იქნა დაპყრობილი 1945 წელს, უწინდებურად პარალიზებას ახდენს და წამლავს რუსეთ-იაპონიის ურთიერთობებს.

- სხვა, ფარული, ტერიტორიულ-ეთნიკური კონფლიქტების რიცხვში შედიან ჩინეთის, ჩინეთ-ვიეტნამის, იაპონია-კორეისა და ჩინეთ-ინდოეთის სასაზღვრო საკითხები; სინცზიანის პროვინციაში ეთნიკური მღელვარება, აგრეთვე, ჩინეთ-ინდონეზიის უთანხმოებანი ოკეანის საზღვრების თაობაზე (იხ. რუკა – XXI).

რეგიონში ძალთა განლაგება ასევე არაა ბალანსირებული. ჩინეთი თავის ბირთვული არსენალითა და უზარმაზარი შეიარაღებული ძალებით წარმოადგენს აშკარა დომინირებულ სამხედრო „დერჟავას“ (იხ. ტაბ. გვ. 235). ჩინეთის მეიარაღებაში სამხედრო საზღვაო ძალებმა უკვე მიიღეს „აქტიურ სასაზღვრო თავდაცვის“ შესახებ სტრატეგიული დოქტრინა, რომელიც, მიისწრაფვის მომავალი 15 წლის განმავლობაში შეიძინოს საოკეა-

ნო შესაძლებლობები. „კუნძულების პირველი ჯაჭვის ფარგლებში მყოფ ზღვებზე ეფექტური კონტროლის“ დაწესებისათვის, რაც ტაივანის სრუტისა და სამხრეთ ჩინეთის ზღვის ტერიტორიებზე მიგვანიშნებს. რა თქმა უნდა, იაპონიის სამხედრო პოტენციალი, ასევე, იზრდება და შეიარაღების ხარისხის მიხედვით მას ბადალი არ ჰყავს რეგიონში. მაგრამ, იაპონიის შეიარაღებული ძალები არ წარმოადგენენ იაპონიის საგარეო პოლიტიკის განხორციელების საშუალებას და ისინი მნიშვნელოვანწილად განიხილებიან, როგორც რეგიონში ამერიკელთა სამხედრო ყოფნის ფარგლებში მოქმედი ძალები.

ჩინეთის პოზიციების გამაგრებამ უკვე ხელი შეუწყო იმას, რომ მისი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მეზობლები განსაკუთრებული პატივისცემით განეწყვნენ მისი ინტერესებისადმი. აღსანიშნავია, რომ 1996 წლის დასაწყისში, ტაივანთან დაკავშირებული მინი-კრიზისის დროს (როცა ჩინეთმა რამდენადმე დამაშინებელი სამხედრო მანევრები წამოიწყო და ტაივანის მახლობელ ზონაში გადაკეტა საჰაერო და საზღვაო გზები და ამით გამოიწვია აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ძალების დემონსტრაციული ამოქმედება), ტაივანის საგარეო საქმეთა მინისტრმა სასწრაფოდ განაცხადა, რომ ასეთი მოქმედებები წარმოადგენენ ნორმალურ მოვლენას, მისმა ინდონეზიელმა კოლეგამ კი, ხაზი გაუსვა, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩინეთის საქმეა, ამ საკითხთან დაკავშირებით ფილიპინებმა და მალაზიამ განაცხადეს თავიანთი ნეიტრალური პოლიტიკის შესახებ.

რეგიონში ძალთა წონასწორობის არარსებობამ აიძულა ავსტრალია და ინდონეზია, აქამდე რომ საკმაოდ ფრთხილად ეკიდებოდნენ ერთმანეთს, სამხედრო სფეროში უფრო აქტიური ურთიერთობები დაეწყოთ. ორივე ქვეყანას საიდუმლოდ არ უქცევია თავიანთი შეშფოთება – რეგიონში ჩინეთის სამხედრო ბატონობის გრძელვადიანი პერსპექტივებისა და


რუკა XXI
1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
1 ჩინეთის პრეტენზიები
2 ინდოეთის პრეტენზიები
3 ჩინეთის პრეტენზიები
4 ჩინეთ-ვიეტნამის სასაზღვრო
კონფლიქტები
5 პარასელის კუნძულები
6 სპრეტლის კუნძულები
7 პრატასის კუნძულები
8 სენკაკუს კუნძულები
(დიაო-იუტაი)
9 ლიანკური კლდეები
10 სადემარკაციო ხაზი
11 ჩრდილოეთის ტერიტორიები

უსაფრთხოების გარანტის სახით აშშ-ს შეიარაღებული ძალების ყოფნის შენარჩუნების აუცილებლობაზე. ამ შეშფოთებამ აიძულა სინგაპურიც, განეხილა ამ ქვეყნებთან უსაფრთხოების სფეროში უფრო მჭიდრო თანამშრომლობის შესაძლებლობა. ფაქტობრივად, მთელ რეგიონში, ცენტრალურ, დღემდე პასუხგაუცემელ კითხვად, რითაც დაკავებულნი არიან სტრატეგები, იქცა შემდეგი: „როდემდე შეძლებს 100 ათასამდე ამერიკელი ჯარისკაცი მშვიდობის უზრუნველყოფას ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ და მსოფლიოში შეიარაღებით სულ უფრო მზარდ რეგიონში, ნებისმიერ შემთხვევაში, რა დროით დარჩებიან ისინი რეგიონში?“

ამ არასტაბილურ ვითარებაში, რომელიც ხასიათდება მზარდი ნაციონალიზმით, მოსახლეობის რაოდენობის ზრდით, კეთილდღეობის ამაღლებით, სწრაფად მზარდი იმედებითა და ხელისუფლებისთვის მეტოქეობით, აღმოსავლეთ აზიის გეოპოლიტიკურ ლანდშაფტებში მიმდინარეობდა, მართლაც, რომ ტექტონიკური ძვრები:

- ჩინეთი, როგორიც არ უნდა იყოს მისი პერსპექტივები, გავლენის მომპოვებელი და პოტენციურად მბრძანებელი „დერჟავაა“.
- ამერიკის როლი უსაფრთხოების უზრუნველყოფაში სულ უფრო მეტად დამოკიდებულია იაპონიასთან თანამშრომლობაზე.
- იაპონია ეძებს შესაძლებლობას, უზრუნველყოს თავი უფრო ზუსტი და დამოუკიდებელი პოლიტიკური როლით.
- რუსეთის როლი მნიშვნელოვნად შემცირდა მაშინ, როდესაც ოდესღაც რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფი შუა აზია საერთაშორისო მეტოქეობის ობიექტად იქცა.

	პირადი	ტანკები	ავიაგამანად-გურებლები	წყალზე გემები	წყალქვეშა ნავები
	სულ	სულ	სულ	სულ	სულ
ჩინეთი	3030000	9400(500)[3]	5224(124)	57(40)	53(7)
პაკისტანი	577000	1890(40)	336(160)	11(8)	6(6)
ინდოეთი	1100000	3500(2700)	700(374)	21(14)	18(12)
ტაილანდი	295000	633(313)	74(18)	14(6)	0(0)
სინგაპური	55500	350(0)	143(6)	0(0)	0(0)
ჩრდ. კორეა	1127000	4200(2225)	730(136)	3(0)	23(0)
სამხრ. კორეა	633000	1860(450)	334(48)	17(9)	3(3)
იაპონია	237700	1200(929)	324(231)	62(40)	17(7)
ტაივანი[1]	442000	1400(0)	460(10)	38(11)	4(2)
ვიეტნამი	857000	1900(400)	240(0)	7(5)	0(0)
მალაიზია[2]	114500	26(26)	50(0)	2(0)	0(0)
ფილიპინები	106500	41(0)	7(0)	1(0)	0(0)
ინდონეზია	270900	235(110)	54(12)	12(4)	2(2)

1. ტაივანს თავის განკარგულებაში ჰყავს 150 ავიაგამანადგურებელი F-16, 16 ავიაგამანადგურებელი „მირაჟი" და 130 სხვა სახეობის რეაქტიული ავიაგამანადგურებლები, რამდენიმე სამხედრო-საზღვაო გემი იმყოფება მშენებლობის სტადიაში.

2. მალაიზია მოლაპარაკებებს აწარმოებს 8 F-18 ტიპის ავიაგამანადგურებელ და შესაძლებელია 18 ავიაგამანადგურებელ მიგ-29-ის შესყიდვის თაობაზე.

3. რიცხვები ფრჩხილებში ასახავენ იარაღის მოწინავე სისტემებს.

პირად შემადგენლობაში მხედველობაშია მიღებული ყველა სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც აქტიურ სამხედრო სამსახურს ეწევიან. ტანკების რიცხვში კი შედიან ძირითადად საბრძოლო ტანკები და მიწისზედა ბაზირების მოიერიშე ავიაგამანადგურებლები. წყალსზედა გემების რიცხვში – ავიამზიდები, კრეისერები, ნაღმსანინააღმდეგო გემები და ფრეგატები. წყალქვეშა ნავების რიცხვში – წყალქვეშა ნავების ყველა ტიპის სახეობა. იარაღის მოწინავე სისტემების რიცხვს განეკუთვნება ის სისტემები, რომლებიც შექმნილი იყო 60-იანი წლების შუახანებამდე და იყენებდნენ მოწინავე ტექნოლოგიებს, ისეთებს, როგორიცაა ტანკებისთვის ლაზერული სიშორის მზომელები.

წყარო: მთავარი საკონტროლო-ფინანსური სამმართველოს 1995 წლის ივნისის ანგარიში წყნარი ოკეანის რეგიონისთვის ჩინეთის შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის შედეგები.

• კორეის გაყოფა ნაკლებად მყარი ხდება, რის შედეგადაც, მისი მომავალი ორიენტაცია ძირითადი მეზობლების მხრიდან სულ უფრო მეტ გეოსტრატეგიულ ინტერესს იწვევს. ეს სერიოზული გარდაქმნები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ ქვეთავის დასაწყისში გამოტანილ ორ ცენტრალურ საკითხს.

ჩინეთი: არა მსოფლიო, არამედ რეგიონული „დერჟავაა“

ჩინეთის ისტორია ეროვნული სიდიადის ისტორიაა. ჩინელი ხალხის დღევანდელ აქტიურ ნაციონალიზმს შეიძლება ვუწოდოთ ახალი მხოლოდ მისი სოციალური გავრცელების აზრით, რადგან ის დაკავშირებულია ჩინელთა უპრეცედენტო რაოდენობის თვითგამორკვევასა და ემოციებთან. ნაციონალიზმი უკვე აღარაა მოვლენა, რომელიც უპირატესად გავრცელებული იყო სტუდენტებს შორის, და რომლებმაც ამ საუკუნის პირველ წლებში შექმნეს პარტიები, ისინი წინამორბედებად იქცნენ გომინდანისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიისთვის. დღეს ჩინეთის ნაციონალიზმი მასობრივი მოვლენაა, რომელიც განსაზღვრავს მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი სახელმწიფოს მოსახლეობის გონებრივ განწყობას.

ამ გონებრივ განწყობას თავისი ისტორიული ფესვები აქვს. ისტორია ხელს უწყობს იმას, რომ ჩინეთის ელიტას, ჩინეთი მიაჩნია მსოფლიოს ბუნებრივ ცენტრად. ჩინურ ენაზე ჩინეთის აღმნიშვნელი სიტყვა – Chung-kuo, ანუ „შუა სამეფო“ – გადმოგვცემს ჩინეთის ცენტრალური მდგომარეობის მნიშვნელობას მსოფლიო საქმეებში და ხაზს უსვამს ეროვნული ერთიანობის მნიშვნელობას. აქ ასევე ნაგულისხმევია გავლენის იერარქიული გავრცელება ცენტრიდან პერიფერიებისკენ და ამიტომაც, ჩინეთი, როგორც ცენტრი, სხვა ქვეყნების მხრიდან მოწიწებით დამოკიდებულებას იმსახურებდა.

გარდა ამისა, უხსოვარი დროიდან ჩინეთს თავისი უზარმაზარი მოსახლეობით საკუთარი, თავისებური და საამაყო ცივილიზა-

ცია ჰქონდა. განვითარებული იყო ყველა დარგი: ფილოსოფია, კულტურა, ხელოვნება, სოციალური სიახლეები, ტექნიკური გამომგონებლობა და პოლიტიკური ხელისუფლება. ჩინელებს ახსოვთ, რომ დაახლოებით 1600 წლამდე ჩინეთს მოწინავე პოზიციები ეკავა მსოფლიოში სასოფლო-სამეურნეო შრომითი წარმოებით, ახალ სამრეწველო ტექნოლოგიებითა და ცხოვრების დონით. მაგრამ განსხვავებით ევროპული და ისლამური ცივილიზაციებისაგან, რომლებმაც შექმნეს დაახლოებით 75 სახელმწიფო, ჩინეთი, თავისი ისტორიის დიდი ხნის მანძილზე, რჩებოდა ერთიან სახელმწიფოდ, რომელიც ამერიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს, უკვე ითვლიდა 200 მილიონზე მეტ მოსახლეს და მსოფლიოში წამყვანი სამრეწველო „დერჟავა“ იყო.

ამ თვალსაზრისით, ჩინეთის მიერ სიდიადის დაკარგვა – უკანასკნელი 130 წლის ჩინეთის დამცირება – წარმოადგენს გადახრას, ჩინეთის განსაკუთრებული მდგომარეობის შებილწვას და თითოეული ჩინელისთვის პირად შეურაცხყოფას. ასეთი მდგომარეობა დაუშვებელი იყო და დამნაშავენი შესაბამის დასჯას იმსახურებდნენ. ასეთ დამნაშავეებს, სხვადასხვა დონით, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენდნენ დიდი ბრიტანეთი, იაპონია, რუსეთი და ამერიკა: დიდი ბრიტანეთი „საოპიუმო“ ომის გამო, რომელსაც მოჰყვა ჩინეთის სამარცხვინო დამცირება; იაპონია მძარცველური ომების გამო, რომლებიც არ წყდებოდა მთელი წარსული საუკუნის მანძილზე და რომლებმაც ჩინელ ხალხს მოუტანა საშინელი (დღემდე მოუშუშებელი) ტანჯვა-წამება; რუსეთ-ჩინეთის ჩრდილოეთ ტერიტორიებზე დიდი ხნის შეჭრის და, აგრეთვე, სტალინის ჩინეთის პირადი ღირსებისადმი ქედმაღლური გულგრილობის გამო, დაბოლოს, ამერიკა იმის გამო, რომ აზიაში თავისი ყოფნით და იაპონიისადმი მხარ-

დაჭერით, ჩინეთს საგარეო მისწრაფებების განხორციელების გზაზე გადაეღობა.

ჩინელების თვალსაზრისით, ორი ამ ოთხი „დერჟავიდან“, როგორც იტყვიან, უკვე დასჯილი არიან ისტორიის მიერ: დიდმა ბრიტანეთმა, როგორც იმპერიამ, შეწყვიტა თავისი არსებობა და ჰონკონგში „იუნიონ ჯეკის“ დროშის ჩამოშვებამ სამუდამოდ დახურა ჩინეთის ისტორიაში ეს განსაკუთრებით მტკივნეული თავი; რუსეთი კვლავინდებურად გვერდით იმყოფება, თუმცა კი, მნიშვნელოვნად დაკარგა თავისი პოზიციები, პრესტიჟი და ტერიტორია. ამჟამად ჩინეთისათვის ყველაზე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ამერიკა და იაპონია. სწორედ ამ ქვეყნებთან ურთიერთქმედებებში მნიშვნელოვანწილად გაირკვევა ჩინეთის რეგიონული და გლობალური როლი.

მაგრამ ამის გარკვევა, პირველ ყოვლისა, დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ განვითარდება თავად ჩინეთი, სინამდვილეში რამდენად ძლიერ „დერჟავად“ იქცევა ის ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით. ამ მხრივ ჩინეთისთვის პროგნოზები, ძირითადად, მრავლისმთქმელია, თუმცა კი, ზოგიერთი არსებითი შენიშვნითა და გაურკვევლობით. ჩინეთის ეკონომიკური განვითარების ტემპებიც და ჩინეთში უცხოეთის კაპიტალდაბანდებების მასშტაბები – ერთიც და მეორეც ყველაზე მაღალია მსოფლიოში – უზრუნველყოფენ სტატისტიკურ საფუძველს ტრადიციული პროგნოზისთვის იმის შესახებ, რომ დაახლოებით ორი ათეული წლის განმავლობაში ჩინეთი აშშ-სა და ევროპის დარად იქცევა მსოფლიო „დერჟავად“ (იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი კიდევაც გაერთიანდება და კიდევაც გაფართოვდება). ამ დროისათვის მრეწველობის ხვედრითი წონის მონაცემებით, ჩინეთს შეუძლია მნიშვნელოვნად გაუსწროს იაპონიას, ის უკვე ბევრად უსწრებს რუსეთს. ეს ეკონომიკური იმპულსი საშუალებას მისცემს ჩინეთს, მოიპოვოს სამხედ-

რო ძლიერება, რომ მუქარად იქცეს ყველა თავისი მეზობლისათვის, შეიძლება, თვით ჩინეთის იმედების განხორციელების ყველაზე შორეული გეოგრაფიული მოწინააღმდეგეებისთვისაც კი. მან კიდევ უფრო განიმტკიცა თავისი პოზიციები ჰონკონგისა და მაკაოს შეერთებით და, შესაძლოა, საბოლოო ჯამში, ტაივანის პოლიტიკური დამორჩილებით, დიდი ჩინეთი გადაიქცეს შორეული აღმოსავლეთის არა მარტო გაბატონებულ სახელმწიფოდ, არამედ, პირველი რანგის მსოფლიო „დერჟავად“.

მაგრამ „შუა სამეფოს“, როგორც მსოფლიოს ცენტრალური „დერჟავის“ გარდუვალი აღორძინების შესახებ ნებისმიერ ასეთ პროგნოზში, არის გამონაკლისები, რომელთაგან, ყველაზე აშკარა სტატისტიკურ პროგნოზზე მექანიკური დამოკიდებულებაა. სწორედ ეს შეცდომა იქნა დაშვებული მრავალი წლის წინ მათ მიერ, ვინც წინასწარმეტყველებდა, რომ იაპონია, როგორც ეკონომიკურად განვითარებული მსოფლიო ქვეყანა, გაუსწრებდა შეერთებულ შტატებს და ბედად ეწერა, გამხდარიყო ახალ „ზედერჟავად“. ასეთი შეხედულება მხედველობაში არ იღებდა არც იაპონიის ეკონომიკური მოწყვლადობის ფაქტორს, არც პოლიტიკაში უწყვეტელობის არარსებობის პრობლემებს, იგივე შეცდომა მეორდება მათ მიერ, ვინც აცხადებს (და ეშინია ამის) ჩინეთის გარდაუვლად მსოფლიო „დერჟავად“ გადაქცევის შესახებ.

ჯერ ერთი, სრულიად აუცილებელი არაა, რომ ჩინეთმა მომავალი ორი ათეული წლის განმავლობაში შეძლოს ზრდის სწრაფი ტემპების შენარჩუნება. არ შეიძლება გამოვრიცხოთ ეკონომიკური განვითარების ტემპების შემცირების შესაძლებლობა, რაც თავისთავად, აკნინებს პროგნოზის სანდოობას. ამ ტემპების შენარჩუნებისთვის, დროის ისტორიულად ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, საჭირო იქნება ეფექტური ეროვნული ხელმძღვანელობის, პოლიტიკური სტაბილურობის, ქვეყნის

შიგნით სოციალური დისციპლინის, დაგროვების მაღალი დონის, უცხოური კაპიტალდაბანდებების უფრო მაღალი დონის შენარჩუნებისა და რეგიონალური სტაბილურობის არაჩვეულებრივად ხელსაყრელი შესაბამისობა. ყველა ამ პოზიტიური ფაქტორის ხანგრძლივი დროის მანძილზე შენარჩუნება პრობლემატურია.

ამას გარდა, ჩინეთის ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს, როგორც ჩანს, ექნებათ გვერდითი პოლიტიკური შედეგები, რომლებსაც შეუძლიათ შეზღუდონ მისი თავისუფალი ქმედებები. ჩინეთის მიერ ენერგიის გამოყენება ისეთი ტემპებით იზრდება, რომ ისინი ბევრად აღემატება შინაგანი წარმოების საშუალებებს. ეს უთანაბრობა ნებისმიერ შემთხვევაში გაიზრდება, მაგრამ ის უფრო დაჩქარდება, თუკი ჩინეთის ეკონომიკური ზრდის ტემპები ძლიერ მაღალი დარჩება. ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა სურსათთან დაკავშირებითაც. დემოგრაფიული ზრდის ტემპების დაქვეითების გათვალისწინებითაც კი, ჩინეთის მოსახლეობა განაგრძობს ზრდას თავის აბსოლუტურ გამოხატვაში და სურსათის იმპორტი სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს საშინაო კეთილდღეობისა და პოლიტიკური სტაბილურობისთვის. იმპორტზე დამოკიდებულება ჩინეთის ეკონომიკური რესურსების დატვირთვას არა მარტო გაზრდის უფრო მაღალი ფასების გამო, არამედ მას უფრო მოწყვლადად აქცევს საგარეო ზეწოლისადმი.

სამხედრო თვალსაზრისით ჩინეთს ნაწილობრივ შეიძლება ვუწოდოთ მსოფლიო „დერეჟავა“, რადგან თავად მისი ეკონომიკის მასშტაბებმა და ამ უკანასკნელის ზრდის მაღალმა ტემპებმა საშუალება უნდა მისცეს მის ხელმძღვანელობას ქვეყნის მრეწველობის ხვერდითი წონის მნიშვნელოვანი ნაწილი მიმართოს შეიარაღებული ძალების არსებით გაფართოებასა და მოდერნიზაციაზე, მათ შორის, სტრატეგიული ბირთვული არსე-

ნალის შემდგომ ზრდისაკენ. მაგრამ თუ ძალისხმევა მეტისმეტი იქნება – დასავლეთის ზოგიერთი შეფასების თანახმად კი, 90-იანი წლების შუახანებში ამ საჭიროებებზე დაიხარჯება ჩინეთის მხწ-ის დაახლოებით 20% – მას შეუძლია ისეთივე ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს ჩინეთის გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდაზე, როგორიც საბჭოთა ეკონომიკაზე, როცა მისი ხელ-მძღვანელობის ხელმოცარულმა მცდელობამ, შეიარაღების შე-ჯიბრში კონკურენცია გაეწია შეერთებული შტატებისთვის, კრახი განიცადა. გარდა ამისა, ჩინეთში ამ სფეროში აქტიური საქმია-ნობა, როგორც ჩანს, დააჩქარებს იაპონიის შეიარაღების საპა-სუხო ზრდას და, ამგვარად, არარაობად აქცევს ჩინეთის სამ-ხედრო სრულყოფისთვის მზარდ პოლიტიკურ უპირატესობას. ასევე არ შეიძლება იმ ფაქტის უგულებელყოფაც, რომ თავისი ბირთვული ძალების გარდა, ჩინეთს, როგორც ჩანს, დროის რომელიღაც პერიოდის მანძილზე, არ ექნება იმის საშუალებე-ბი, რომ თავისი რეგიონის ფარგლებს გარეთ გაავრცელოს სამხედრო ზეგავლენა.

ჩინეთის შინა დაძაბულობა, ასევე შეიძლება გარდაუვალად გაიზარდოს იმ დაჩქარებული ეკონომიკური ზრდის არათანა-ბარზომიერი ხასიათის შედეგად, რომელიც მნიშვნელოვნად უზ-რუნველყოფილია ზღვისპირა სახელმწიფოს უპირატესობების შეუზღუდველი გამოყენებით. ჩინეთის საზღვრისპირა სამხრეთ და აღმოსავლეთ რაიონები, ასევე, მნიშვნელოვანი საქალაქო ცენტრები, რომლებიც უფრო ხელმისაწვდომი იყო უცხოეთის კაპიტალდაბანდებებისა და საგარეო ვაჭრობისათვის – ჩინეთის შთამბეჭდავი ეკონომიკური ზრდის შედეგად, დღემდე ყველაზე მომგებიან მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. სასოფლო-სამეურ-ნეო რაიონები და ზოგიერთი შორეული რაიონი კი, რომლებიც ქვეყნის სიღრმეში მდებარეობენ, პირიქით, საერთოდ ჩამორჩე-ბიან განვითარებაში (მათ შორის, დაახლოებით 100 მილიონი

უმუშევარი სასოფლო-სამეურნეო მუშაა და ეს ციფრი ჯერ კიდევ იზრდება).

სხვადასხვა რაიონის უთანასწორობით უკმაყოფილება შეიძლება დაემატოს სოციალური უთანასწორობით გამოწვეულ აღშფოთებას. ჩინეთის სწრაფი განვითარება ზრდის სოციალურ უთანასწორობას. გარკვეულ მომენტში მთავრობა შეიძლება შეეცადოს ამ უთანასწორობის ჩარჩოებში მოქცევას. ცალკეული რაიონების განვითარებისა და ცხოვრების დონის უთანასწორობის მიმართ ქვემოდან გამოვლენილ უკმაყოფილებას, თავის მხრივ, შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ქვეყნის პოლიტიკურ სტაბილურობაზე.

ფრთხილი სკეპტიციზმის მეორე მიზეზი იმ ფართოდ გავრცობილი პროგნოზის მიმართ, რომ ჩინეთი მომავალი საუკუნის მეოთხედში მსოფლიო საქმეებში იქცევა დომინირებულ „დერჟავად“, რა თქმა უნდა, არის ჩინეთის შემდგომი პოლიტიკური განვითარება. ჩინეთში ეკონომიკური ტრანსფორმაციის დინამიკური ხასიათი, მისი დანარჩენი მსოფლიოსათვის სოციალური სახის ჩათვლით, შორეულ პერსპექტივაში წინააღმდეგობაში მოვა შედარებით კარჩაკეტილ და ბიუროკრატიულად მკაცრ კომუნისტურ დიქტატურასთან მიმართებაში. ამ დიქტატურის მიერ გამოცხადებული კომუნისტური მიზნები სულ უფრო მეტად უარს აცხადებენ იდეოლოგიური ერთგულების საქმეზე და სულ უფრო მეტად გარდაიქმნებიან ბიუროკრატიული აპარატის ქონებრივი ინტერესების საკითხად. ჩინეთის პოლიტიკური ელიტა, უწინდებურად, ორგანიზებულია როგორც ავტონომიური, მკაცრი, დისციპლინირებული და მონოლითურად შეუწყნარებელი იერარქია, რომელიც ძველებურად რიტუალურად აცხადებს თავის იმ დოგმისადმი ერთგულებას, რომელიც, როგორღაც ამართლებს მის ხელისუფლებას, მაგრამ რასაც იგივე ელიტა, სოციალური თვალსაზრისით, უკვე აღარ ახორციელებს ცხოვ-

რებაში. რომელიღაც მომენტში ეს ორი ცხოვრებისეული განზომილება ფრონტალურად შეეჯახება ერთმანეთს, თუკი ჩინეთის პოლიტიკური ცხოვრება არ დაიწყებს თანდათანობით შეგუებას ჩინეთის ეკონომიკურ იმპერატივებთან.

ამრიგად, შეუძლებელია, უსასრულოდ დიდხანს გვერდი ავარიდოთ დემოკრატიზაციის საკითხს, თუკი ჩინეთი უეცრად არ მიიღებს 1474 წლის მსგავს გადაწყვეტილებას და ჩრდილოეთ კორეის მსგავსად არ მოიკვეთავს თავს დანარჩენი მსოფლიოსგან. ამისათვის ჩინეთმა უნდა გაიწვიოს ამჟამად ამერიკაში მოსწავლე 70 ათაზე მეტი თავისი სტუდენტი, გააძევოს უცხოელი ბიზნესმენები, გამორთოს კომპიუტერები და მილიონობით ჩინელის სახლს მოუხსნას თანამგზავრული ანტენები. ეს იქნებოდა სიგიჟის ტოლფასი აქტი, რომელიც „კულტურულ რევოლუციას" მოგვაგონებდა. დროის რომელიღაც მოკლე მომენტში, ხელისუფლებისათვის შინაგანი ბრძოლის ჩარჩოებში, მმართველმა, თუმცა, თავის პოზიციებდაკარგულმა ჩინეთის კომუნისტური პარტიის დოგმატურმა ფრთამ, შეიძლება სცადოს, მიბაძოს ჩრდილოეთ კორეის მაგალითს, მაგრამ ეს შესაძლებელი იქნებოდა დროის მხოლოდ ხანმოკლე ეპიზოდში. ეს უფრო ეკონომიკური გაყინვის მიზეზი გახდებოდა, შემდეგ კი, პოლიტიკურ აფეთქებას გამოიწვევდა.

ნებისმიერ შემთხვევაში, თვითიზოლაცია ალბათ ბოლოს მოუღებდა ჩინეთის ნებისმიერ სერიოზულ იმედს არა მარტო იმაზე, რომ მსოფლიო „დერჟავად" იქცეს, არამედ, იმაზეც, რომ რეგიონში წამყვანი მდგომარეობა დაიკავოს. გარდა ამისა, ქვეყანა ერთობ დაინტერესებულია იმით, რომ შეინარჩუნოს მსოფლიოსთან ურთიერთობა, ეს მსოფლიო კი, 1474 წლის მსოფლიოსგან განსხვავებით უბრალოდ, იმდენად მომცველია, რომ ერთობ საეჭვოა, ჩინეთმა მისგან წარმატებით შეძლოს იზოლირება. ამის შედეგად, ჩინეთს, პრაქტიკულად არ გააჩნია ეკონო-

მიკურად პროდუქტიული და პოლიტიკურად სიცოცხლისუნა-
რიანი ალტერნატივები, გარდა იმისა, რომ მსოფლიოსადმი
თავისი ღია პოზიციები შეინარჩუნოს.

ამრიგად, დემოკრატიზაციის გარდუვალობა სულ უფრო მეტ
აუცილებლობად იქცევა ჩინეთისათვის. შეუძლებელია, დიდი
ხნით თავი აარიდო ამ პროცესს და მასთან დაკავშირებულ ადა
მიანის უფლებათა საკითხს. ჩინეთის მომავალი პროგრესი, ისე-
ვე, როგორც მისი მსოფლიოს ერთ-ერთ მთავარ „დერჟავად“
გადაქცევა, მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდე-
ნად უნარიანად შეძლებს ჩინეთის მმართველი ელიტა ორი ურ-
თიერთდამოკიდებული პრობლემის გადაჭრას, სახელდობრ
კი, დღევანდელი თაობის მმართველთა მიერ შედარებით
ახალგაზრდა რაზმისადმი ხელისუფლების გადაცემას და ქვეყ-
ნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემებს შორის მზარდი ურ-
თიერთდაპირისპირების დარეგულირების პრობლემებს.

ჩინელმა ლიდერებმა შეიძლება განახორციელონ ნელი და
თანდათანობითი გადასვლა ძლიერ შეზღუდულ ელექტორა-
ლურ ავტორიტარიზმზე, რომლის დროსაც, დაბალ დონეზე გა-
მოვლინდება ზოგიერთი პოლიტიკური არჩევანისადმი შემწყნა-
რებლობა და მხოლოდ ამის შემდეგ გადაიდგმება ნაბიჯი ნამ-
დვილი პოლიტიკური პლურალიზმისკენ, დიდი ყურადღება მი-
ექცევა რა ჩანასახში მყოფ კონსტიტუციონალურ მმართველო-
ბას. ასეთი კონტროლირებადი გადასვლა დიდი ოდენობით
ერთობლივი იქნებოდა ქვეყნის სულ უფრო ღია ეკონომიკურ
იმპერატივებთან, ვიდრე პარტიის პოლიტიკურ ხელისუფლება-
ზე განსაკუთრებული მონოპოლიის ჯიუტი შენარჩუნება. ასეთი
კონტროლირებადი დემოკრატიის განხორციელებისთვის ჩინე-
თის პოლიტიკური ელიტა საჭიროებს განსაკუთრებით უნარიან
ხელისუფლებას, პრაგმატულად ჯანსაღ აზრს, შეფარდებითი
ერთიანობის შენარჩუნებას და თავის ხელისუფლებაზე მონო-

პოლიის ნაწილის (და პირადი პრივილეგიების) დათმობის სურვილს, მაშინ, როცა მოსახლეობა საერთოდ უნდა იყოს მომთმენიც და არც ერთობ მომთხოვნი. ასეთ ხელსაყრელ გარემოებათა ერთიანობა ძნელია მიღწეულ იქნეს. გამოცდილება გვასწავლის, რომ ქვევიდან მომდინარე დემოკრატიზაციის მოთხოვნა წარმოდგება იმათი მხრიდან, ვინც პოლიტიკური თვალსაზრისით თავს შელახულად მიიჩნევს (ინტელიგენცია და სტუდენტები), ან ეკონომიკურად ექსპლუატირებულია (ქალაქის ახალი მუშათა კლასი და სოფლის ღარიბობა) და, როგორც წესი, წინ უსწრებს მმართველთა მზადყოფნას, წავიდნენ დათმობაზე. რომელიღაც მომენტში ჩინეთში პოლიტიკური და სოციალური ოპოზიცია უფრო იმ ძალებს შეუერთდება, ვინც დემოკრატიის გაფართოებას, თავისუფლების თვითგამოხატვასა და ადამიანის უფლებათა დაცვას მოითხოვს. ეს არ მოხდა 1989 წელს ტიანანმენის (Tiananmen) მოედანზე, მაგრამ სავსებით შესაძლებელია მოხდეს მომავალში.

ამრიგად, ჩინეთი ძლივს თუ გაექცევა პოლიტიკური არასტაბილურობის ეტაპს. მხედველობაში ვიღებთ ამ ქვეყნის ზომებს, რეგიონული დაპირისპირების ზრდის რეალურ შესაძლებლობას, თითქმის 50 წლის დოგმატური დიქტატურის მემკვიდრეობას, ეს ფაზა, შეიძლება დამანგრეველ ძალად იქცეს როგორც პოლიტიკური, ასევე, ეკონომიკური თვალსაზრისით. თვით ჩინელი ხელმძღვანელებიც კი რაღაც ამის მსგავსს მოელიან, რადგან 90-იანი წლების დასაწყისში ჩინეთის კომუნისტური პარტიის მიერ ჩატარებული გამოკვლევები პროგნოზირებას ახდენს სერიოზული პოლიტიკური მღელვარების შესაძლებლობების შესახებ.[29] ზოგიერთი ჩინელი ექსპერტი იმასაც კი

29 * Official Document Anticipates Disorder the Post-Deng Period//Cheng Ming (Hong Kong – 1995 – Febr. 1). ჟურნალი გადმოგვცემს ორი ანალიტიკური კვლევის მოკლე შინაარსს, რომელიც მომზადებულ იქნა პარტიული ხელმძღვანელობის მიერ და ეხება შე-

წინასწარმეტყველებდა, რომ ჩინეთი შეიძლება აღმოჩენილიყო შინაგანი დაშლის ერთ-ერთ ისტორიულ წრეზე, რასაც შეეძლო საბოლოოდ შეეჩერებინა მისი წინსვლა სიდიადისაკენ. მაგრამ მოვლენების მსგავსი ექსტრემალური განვითარების ალბათობა შემცირდება მასიური ნაციონალიზმის ორმაგი ზემოქმედებისა და კავშირების თანამედროვე საშუალებების წყალობით, რადგანაც ერთიც და მეორეც მუშაობს ერთიანი ჩინეთის სახელმწიფოსთვის.

დაბოლოს, სკეპტიციზმისთვის არსებობს მესამე საბაბიც, ჩინეთის, ახლო ორი ათეული წლის მანძილზე ჭეშმარიტ მძლავრ – და, ზოგიერთი ამერიკელის აზრით, უკვე საფრთხედ წარმოდგენილ, – მსოფლიო „დერჟავად“ გადაქცევის შესაძლებლობის შესახებ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩინეთი თავიდან აიცილებს სერიოზულ პოლიტიკურ კრიზისებს და ასევე, თუკი ის, რაიმე სახით, შეძლებს ეკონომიკური ზრდის დამაჯერებლად მაღალი ტემპები შეინარჩუნოს საუკუნის ერთი მეოთხედის მანძილზე – ეს ორი პირობა კი უკვე ძნელად შესასრულებელია – ქვეყანა, ამისდა მიუხედავად, სხვა სახელმწიფოებთან შედარებით, დარჩება ძლიერ ღარიბ სახელმწიფოდ. მრეწველობის ხვედრითი წონის სამჯერ გადიდების შემთხვევაშიც კი, ჩინეთში მოსახლეობა მსოფლიოს სახელმწიფოთა უკანასკნელ რიგებში დარჩება მოსახლეობის ერთ სულ კაცზე შემოსავლების მიხედვით, თუ არაფერს ვიტყვით ჩინელი ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილის ნამდვილ სიღარიბეზე.[30] შედარებითი დონე ერთ სულ

საძლებელი მღელვარების სხვადასხვა ფორმას. დასავლური პროგნოზი იმავე თემაზე მოყვანილია სტატიაში: Richard Baum. China after Deng: Ten Scenarios in Seareth of Reality // China quarterly – 1996 – March.

30 საკმაოდ ოპტიმისტურ მოხსენებაში, სათაურით – ჩინეთის ეკონომიკა გამოქვეყნებულ იქნა 1996 წლის ჩინეთის რაოდენობრივი ეკონომიკური ტექნოლოგიური კვლევის ინსტიტუტის მიერ, გამოთვლილი იყო, რომ 2010 წელს ჩინეთში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი

მოსახლეზე ტელეფონების, ავტომანქანებისა და კომპიუტერებით სარგებლობის შესახებ სამომხმარებლო საქონლის ჩაუთვლელად ძლიერ დაბალი იქნება.

შევაჯამოთ ნათქვამი: ერთობ ნაკლებსავარაუდოა, რომ 2020 წელს, მოვლენათა ყველაზე ხელსაყრელ შემთხვევაშიც კი, ჩინეთი, საკვანძო მონაცემებით, იქცეს ჭეშმარიტად მსოფლიო სახელმწიფოდ. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ქვეყანა მნიშვნელოვან ნაბიჯებს გადადგამს, რომლებიც საშუალებას მისცემენ, იქცეს აღმოსავლეთ აზიაში დომინირებულ რეგიონალურ „დერჟავად“. ჩინეთი, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, უკვე წარმოადგენს (სკანში აკლია 247-ე გვერდი. ჩანაცვლებულია ინგლისურით)

«China is well on the way to becoming the preponderant regional power in East Asia. It is already geopolitically dominant on the mainland. Its military and economic power dwarfs its immediate neighbors, with the exception of India. It is, therefore, only natural that China will increasingly assert itself regionally, in keeping with the dictates of its history, geography, and economics. Chinese students of their country's history know that as recently as 1840, China's imperial sway extended throughout Southeast Asia, all the way down to the Strait of Malacca, including Burma, parts of today's Bangladesh as well as Nepal, portions of today's Kazakstan, all of Mongolia, and the region that today is called the Russian Far EasternProvince, north of where the Amur River flows into the ocean (see map on page 14 in chapter 1). These areas were either under some form of Chinese control or paid tribute to China. Franco-

---

შეადგენს დაახლოებით 735 დოლარს, დაახლოებით 30 დოლარით მეტს, ვიდრე რიცხვი, რომელიც დადგენილი იყო მსოფლიო ბანკის მიერ შემოსავლების დაბალი დონის ქვეყნებისათვის.

British colonial expansion ejected Chinese influence from Southeast Asia during the years 1885-95, while two treaties imposed by Russia in 1858 and 1864 resulted in territorial losses in the Northeast and Northwest. In 1895, following the Sino-Japanese War, China also lost Taiwan. It is almost certain that history and geography will make the Chinese increasingly insistent-- even emotionally charged-- regarding the necessity of the eventual reunification of Taiwan with the mainland. It is also reasonable to assume that China, as its power grows, will make that goal its principal objective during the first decade of the next century, following the economic absorption and political digestion of Hong Kong. Perhaps a peaceful reunification-- maybe under a formula of "one nation, several systems" (a variant of Deng Xiaoping's 1984 slogan "one country, two systems")-- might become appealing to Taiwan and would not be resisted by America, but only if China has been successful in sustainingits economic progress and adopting significant democratizing reforms.»

წელს დენ სიაოპინმა: „ერთი ქვეყანა, ორი სისტემა“) მიმზიდველი აღმოჩნდეს ტაივანისთვის და არ გამოიწვევს ამერიკის მხრიდან საწინააღმდეგო აზრს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩინეთი შეძლებს ეკონომიკური ზრდის ტემპების შენარჩუნებასა და მნიშვნელოვანი დემოკრატიული რეფორმების განხორციელებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თვით რეგიონში დომინირებულ ჩინეთს, განსაკუთრებით, ამერიკელთა უკუქმედების შედეგად, არ ექნება სამხედრო სახსრები თავისი ნების თავზე მოსახვევად, ამ შემთხვევაში კი, პრობლემას კვლავ ჩინური ნა-

ციონალიზმი გამოკვებავს და ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობებს მოწამლავს.

პაკისტანთან კავშირის შექმნისა და ბირმაში თავისი სამხედრო ყოფნის უზრუნველყოფისათვის გეოგრაფიული ფაქტორი, ასევე, ჩინეთის ინტერესების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ორივე შემთხვევაში გეოსტრატეგიული მიზანია ინდოეთი. ჩინეთის პაკისტანთან მჭიდრო სამხედრო თანამშრომლობა ართულებს ინდოეთის წინაშე მდგარ უსაფრთხოების პრობლემების გადაწყვეტას და ზღუდავს მის შესაძლებლობას, იქცეს სამხრეთ აზიაში ლიდერად და ჩინეთის გეოპოლიტიკურ მეტოქედ, ჩინეთის ბირმასთან სამხედრო თანამშრომლობა, ამ უკანასკნელს კარს უღებს, ისარგებლოს ინდოეთის ოკეანეში ბირმის მოსაზღვრე რამდენიმე კუნძულზე არსებული სამხედრო ობიექტით და ამგვარად, მიიღოს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ახალი სტრატეგიული ბერკეტები საერთოდ და მალაკის სრუტეში კონკრეტულად. ჩინეთი რომ კონტროლს უწევდეს მალაკის სრუტეს და გეოსტრატეგიულ „არტერიას“ სინგაპურში, ის შეინარჩუნებდა თავის კონტროლს იაპონიის მახლობელი აღმოსავლეთის ნავთობისა და ევროპული ბაზრების მისადგომებზე.

გეოგრაფიული ფაქტორი, შემაგრებული ისტორიით, კარნახობს ჩინეთს, კორეისადმი ინტერესსაც. გაერთიანებული კორეა ოდესღაც იყო სახელმწიფო, რომელიც ხარკს უხდიდა ჩინეთს, ამერიკელების (ირიბი სახით, აგრეთვე, იაპონელების) გავლენის გავრცელების ზონად წარმოდგენა, აუტანელ დარტყმად იქცეოდა პეკინისათვის. ყველაზე ნაკლები, რასაც, ალბათ, დაჟინებით მოითხოვს ჩინეთი, იქნებოდა ის, რომ გაერთიანებული კორეა ნეიტრალური ბუფერი იყოს ჩინეთსა და იაპონიას შორის და, გარდა ამისა, ჩინეთი იმედოვნებს, რომ კორეის იაპონიის მიმართ არსებული, ისტორიული მტრული ფესვები, თავისთავად, ჩართავს მას ჩინეთის გავლენის სფეროში. კორეას უფ-

რო აწყობს ჩინეთი და, ამრიგად, ჩინეთი, როგორც აშკარად ჩანს, გამოვა ჩრდილოეთ კორეის რეჟიმის დამცველად.

ეკონომიკური მოსაზრებები ასევე, გარდუვალ ზეგავლენას მოახდენს პატივმოყვარე რეგიონული ჩანაფიქრების აქტიურ გამოვლენაზე. ამ თვალსაზრისით, ენერგიის ახალი წყაროების სწრაფად მზარდმა მოთხოვნილებამ უკვე აიძულა ჩინეთი: დაბეჯითებით შეეცადოს, მოწინავე პოზიციები მოიპოვოს სხვადასხვა ქვეყნის მიერ სამხრეთ ჩინეთის ზღვის სანაპირო შელფის რეგიონის წიაღისეულის ექსპლუატაციის სფეროში. იმავე მიზეზით, ჩინეთი, სულ უფრო და უფრო დიდი ინტერესის დემონსტრირებას იწყებს რესურსებით მდიდარი შუა აზიის ქვეყნების დამოუკიდებლობის საკითხისადმი. 1996 წლის აპრილში, ჩინეთმა, რუსეთმა, ყაზახეთმა და ტაჯიკეთმა ხელი მოაწერეს ერთობლივ შეთანხმებას საზღვრებისა და უსაფრთხოების შესახებ, ყაზახეთში ვიზიტის დროს კი, იმავე წლის ივლისში, თავმჯდომარე ძიან ძემინმა, როგორც ამტკიცებენ, ჩინეთის მხარდაჭერის გარანტია აღუთქვა „ყაზახეთის მიერ თავისი დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის განხორციელებულ ძალიხმევას“.

გარდა ამისა, ისტორია და ეკონომიკა, ერთობლივად ასაზრდოებენ რეგიონში უფრო მძლავრი პოზიციების მქონე ჩინეთის ინტერესს რუსეთის შორეული აღმოსავლეთის მიმართ. პირველად მას შემდეგ, რაც რუსეთსა და ჩინეთს ოფიციალური საზღვარი ყოფს, უკანასკნელი წარმოადგენს უფრო დინამიკურ და პოლიტიკურად ძლიერ მხარეს. ჩინელი ემიგრანტებისა და ვაჭრების შეჭრამ რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში უკვე მნიშვნელოვნი მასშტაბები მიიღო, ჩინეთი სულ უფრო დიდ აქტივობას იჩენს, ავითარებს რა ეკონომიკურ თანამშრომლობას ჩრდილოეთ აზიასთან, რომელშიც დიდ როლს თამაშობენ იაპონიაც და კორეაც. ამ თანამშრომლობაში რუსეთს, ამჯერად,

მნიშვნელოვნად შესუსტებული პოზიციები აქვს, მაშინ, როცა რუსეთის შორეული აღმოსავლეთი სულ უფრო დიდ დამოკიდებულებას განიცდის ჩინეთის მანჯურიასთან კავშირების განმტკიცებით. იგივე ეკონომიკური ძალები განსაზღვრავენ ჩინეთის მონღოლეთთან ურთიერთობების ხასიათს, რომელიც უკვე აღარაა რუსეთის მოკავშირე და რომლის ოფიციალური დამოუკიდებლობა ჩინეთმა იძულებით აღიარა. ამრიგად, ჩინეთის რეგიონული გავლენის სფერო სრულყოფის სტადიაში იმყოფება. მაგრამ გავლენის სფეროს არევა არ შეიძლება განსაკუთრებული პოლიტიკური დომინირების ზონაში, ურთიერთობების ხასიათში, როგორიც ჰქონდა საბჭოთა კავშირს აღმოსავლეთ ევროპასთან. სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს გავლენა წარმოადგენს უფრო თავისუფალს, პოლიტიკურად კი – ნაკლებ მონოპოლიურს. მიუხედავად ამისა, ყალიბდება გეოგრაფიული სივრცე, რომელშიაც სხვადასხვა სახელმწიფო საკუთარი პოლიტიკის შემუშავებისას განსაკუთრებული პატივისცემით ეკიდება ამ რეგიონში დომინირებული „დერჟავის“ ინტერესებს, აზრს და შესაძლებელ რეაქციას. მოკლედ, ჩინეთის გავლენის სფერო – შესაძლოა, უფრო ზუსტად ვუწოდოთ – „პატივისცემის სფერო“ – შეიძლება განისაზღვროს როგორც რაიონი, სადაც ამ ტერიტორიაზე მყოფი ქვეყნების დედაქალაქებში ნებისმიერი პრობლემის აღმოცენებისას, პირველი შეკითხვა, რომელიც შეიძლება დაისვას, იქნება: „რას ფიქრობს, ამასთან დაკავშირებით პეკინი?“

XXII და XXIII რუკებზე ნაჩვენებია საუკუნის ახლო მეოთხედში ჩინეთის შესაძლებელი რეგიონული დომინირების ზონები. ასევე, ჩინეთის როგორც მსოფლიო „დერჟავად“ გახდომის იმ შემთხვევაში, თუ – მიუხედავად ზემოთ აღნიშნული საშინაო და საგარეო დაბრკოლებებისა – ის ჭეშმარიტად ასეთად იქცევა. დიდი ჩინეთი, რომელსაც უპირატესი გავლენა აქვს რეგიონში,

ალბათ, მობილიზაციას გაუკეთებდა თავის არაჩვეულებრივად მდიდარი და ეკონომიკურად ძლიერი დიასპორის პოლიტიკურ მხარდაჭერას სინგაპურში, ბანგკოკში, კუალა-ლუმპურში, მანილასა და ჯაკარტაში, თუ არაფერს ვიტყვით ტაივანსა და ჰონკონგზე (რომელთა გასაოცარი მონაცემები იხილეთ ქვემოთ, სქოლიოში)[31] შეიჭრებოდა როგორც ცენტრალურ აზიაში, ასევე რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში და თავისი ტერიტორიული მოცულობით მიუახლოვდებოდა იმ იმპერიას, რომელიც ეკავა მას 150 წლის წინ დაცემის დაწყებამდე, მეტიც, გაიფართოებდა კიდეც თავის გეოპოლიტიკურ ზონას პაკისტანთან კავშირის შედეგად. იმის შესაბამისად, თუ როგორ გაძლიერდება და განიმტკიცებს თავის პრესტიჟს ჩინეთი, სხვა ქვეყნებში მაცხოვრებელი მდიდარი ჩინელები, როგორც ჩანს, სულ უფრო გააიგივებენ თავის ინტერესებს ჩინეთის მისწრაფებებთან და, ამგვარად, ჩინეთის იმპერიული თავდასხმის მძლავრ ავანგარდად იქცევიან. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოებს შეუძლიათ

---

31 Yazhow Zhoukan (Asianweek) 1994 – Sept. 25) ცნობით, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის 500 წამყვანი კომპანიის ერთობლივმა აქციებმა, რომელთა მფლობელები ჩინელები არიან, შეადგინეს 540 მლრდ დოლარი. სხვათა შეფასებით, ისინი გაცილებით მნიშვნელოვანია; „International Economy“-ს ცნობით (1996 - Nov-Dec) საზღვარგარეთ მაცხოვრებელი 50 მილიონი ჩინელის ყოველწლიური შემოსავალი დაახლოებით შეადგენს ზემოთ დასახელებულ რიცხვს. იგი, ამრიგად, უხეში ანგარიშით, თანაბარი იყო თავად ჩინეთის შინაგანი პროდუქტის ხვედრითი წილისა. ამტკიცებენ, რომ საზღვარგარეთ მცხოვრები ჩინელები აკონტროლებდნენ ინდონეზიის ეკონომიკის დაახლოებით 90%-ს, ტაილანდის ეკონომიკის 75%-ს, მალაიზიის ეკონომიკის 50-60%-ს, აგრეთვე მთლიანად აკონტროლებენ ტაივანის, ჰონკონგისა და სინგაპურის ეკონომიკას. საქმეთა ასეთმა ვითარებამ იაპონიაში ინდონეზიის ყოფილი ელჩი აიძულა, ოფიციალურად გაეფრთხილებინა ისინი „რეგიონში ჩინეთის ეკონომიკური ინტერვენციის“ შესახებ, რომლის შედეგადაც არა მარტო სარგებლობა ჰქონდათ ჩინეთის იქ ყოფნით, არამედ ჩინეთის მხარდაჭერით ჰყოლოდათ მარიონეტული მთავრობებიც“ (Savdiman Suryohadiprojio. How to deal with China and Taiwan. // Asahi Shimbun (Tokyo) – 1996, 23 Sep).

გონივრულად მიიჩნიონ ჩინეთის პოლიტიკური განწყობილებები და ეკონომიკური ინტერესები და სულ უფრო ხშირად მიიღონ ისინი მხედველობაში.[32] ზუსტად ასევე იქცევიან შუა აზიის ახალგაზრდა სახელმწიფოებიც, ისინი ჩინეთს სულ უფრო მიიჩნევენ იმ ქვეყნად, რომელიც სამკვდრო-სასიცოცხლოდ არის დაინტერესებული მათი დამოუკიდებლობით და იმით, რომ მათ ითამაშონ ბუფერის როლი ჩინეთისა და რუსეთის ურთიერთობაში.

ჩინეთის, როგორც მსოფლიო „დერჟავის“ გავლენის სფერო, უფრო სავარაუდოა, რომ მნიშვნელოვანწილად გაფართოვდება სამხრეთით, თანაც, ინდონეზიაც და ფილიპინებიც იძულებულნი იქნებიან, შეურიგდნენ იმას, რომ ჩინეთის ფლოტი ბატონობდეს სამხრეთ ჩინეთის ზღვაში. ასეთი ჩინეთი დიდი (ცდუნების ქვეშ იქნება, რომ ტაივანის საკითხი არ გადაჭრას ძალადობრივი საშუალებით, უგულებელყოს რა ასე აშშ-ს პოზიცია. დასავლეთში ჩინეთის ძალთა განლაგების გათანაბრების მომხრედ შეიძლება გამოვიდეს უზბეკეთი, შუა აზიის სახელმწიფო, რომელიც ყველაზე დიდ პრინციპულობას იჩენს რუსეთის მხრიდან თავისი ყოფილი სამფლობელოების ხელყოფის წინააღმდეგობაში. ასეთივე პოზიცია შეიძლება დაიკავოს თურქმენეთმაც; ჩინეთს ასევე შეუძლია გაცილებით თვითდაჯერებული იყოს ეთნიკურად დაშლილ და, აქედან გამომდინარე, ევროპული ურთიერთობების სფეროში უფრო მოწყვლად ყაზახეთში.

---

32 „ამასთან დაკავშირებით სიმპტომატური იყო ინგლისურენოვან ყოველდღიურ გაზეთ „The nation“-ში (1997 – March) გამოქვეყნებული ტაილანდის პრემიერ-მინისტრის ჩავალიტა იონგჩაიიუდხას მოხსენება პეკინში თავისი ვიზიტის შესახებ. ვიზიტის მიზანი განსაზღვრული იყო, როგორც დიდ ჩინეთთან მყარი სტრატეგიული კავშირის დამყარება. იტყობინებოდნენ, რომ ტაილანდის ხელმძღვანელობამ „აღიარა ჩინეთი ზესახელმწიფოდ, რომელსაც გავლენა გააჩნია მსოფლიოში“ და, რომ მან სურვილი განაცხადა ითამაშოს „ხიდის როლი ჩინეთსა და ACEAH-ს შორის. სინგაპური უფრო შორს წავიდა, ხაზი გაუსვა რა თავის ერთობას ჩინეთთან.

იქცევა რა ნამდვილ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გიგანტად, ჩინეთს, ასევე, შეუძლია უფრო ღია პოლიტიკური გავლენა მოახდინოს რუსეთის შორეულ აღმოსავლეთზე, იმავდროულად კი მხარი დაუჭიროს თავისი მფარველობის ქვეშ კორეის გაერთიანებას (იხ. რუკა XXII). მაგრამ ჩინეთის

რუსეთი
ყაზახეთი
მონღოლეთი
ჩინეთი
ინდოეთი
ბანგლადეში
ბირმა
ინდონეზია
ფილიპინები
1 ჯონგარეთი
2 ტიენშანი
3 ლაოსი
4 ტაილანდი
5 კამბოჯა
6 ვიეტნამი
ინდოეთის
ოკეანე
ჩინეთის გავლენის ხვერის
ძალისმიერი კონფლიქტები და
ჩინაღმდეგობების ადგილები
პოტენციური ძალისმიერი კონფ-
ლიქტები
ჩინეთის რეგიონალური ბატონ-
ბის ზონა
ჩინეთის, როგორც მსოფლიო
„დერეფანის", გავლენის ზონა
რუკა XXII

ასეთი ზრდა შეიძლება შეეჯახოს ძლიერ საგარეო ოპოზიციასაც. ზემოთ მოხსენებულ რუკაზე აშკარად ჩანს, რომ დასავლეთით როგორც რუსეთს, ასევე ინდოეთს სერიოზული გეოპოლიტიკური მიზეზები ექნებათ კავშირის დასადებად, იმისათვის, რომ აიძულონ ჩინეთი, უარი თქვას თავის პრეტენზიებზე. მათ შორის თანამშრომლობისადმი ინტერესი, როგორც ჩანს, გამოწვეული იქნება, ძირითადად, შუა აზიისა და პაკისტანის რაიონებით, საიდანაც ჩინეთს შეეძლო ყველაზე მეტად დამუქრებოდა მათ. სამხრეთიდან ყველაზე დიდი წინააღმდეგობა შეიძლება წარმომდგარიყო ვიეტნამისა და ინდონეზიისგან (შეიძლება, ავსტრალიის მხარდაჭერით), აღმოსავლეთით ამერიკამ იაპონიის მხარდაჭერით შეიძლება თავისი უარყოფითი რეაქცია გამოავლინოს ჩინეთის ნებისმიერ ცდაზე, უპირატესობა მოიპოვოს კორეაში და ძალით შეიერთოს ტაივანი, ქმედება, რომელიც შეასუსტებდა შორეულ აღმოსავლეთში ამერიკელების პოლიტიკურ ყოფნას, შეზღუდავდა რა მის პოტენციურად არასტაბილურ და ერთადერთ ფორპოსტს იაპონიაში.

საბოლოო ჯამში, რუკაზე აღნიშნული ნებისმიერი ზემოთ ჩამოთვლილი სცენარებიდან სრული რეალიზაციის ალბათობა დამოკიდებულია არა მარტო თავად ჩინეთის განვითარების მსვლელობით, არამედ, მნიშვნელოვანწილად, ასევე აშშ-ს მოქმედებითაც და მისი იქ ყოფნით. საქმეებს ჩამოშორებული ამერიკა მოვლენათა შესაძლებელ განვითარებას, ალბათ, მოახდენდა მეორე სცენარის შესაბამისად, მაგრამ თვით პირველი სცენარის სრული რეალიზაციაც კი, აშშ-საგან მოითხოვდა თვითშეგუებასა და თვითშეზღუდვას. ჩინელებისათვის ეს ცნობილია, და ამიტომაც ჩინეთის პოლიტიკა, ძირითადად, უნდა იყოს მიმართული აშშ-ის მოქმედებაზე გავლენის მოხდენასა და განსაკუთრებით, აშშ-სა და იაპონიას შორის უკიდურესად მნიშვნელოვან კავშირებზე, თანაც, ჩინეთის სხვა სახელმწიფოებთან

ურთიერთობაში ტაქტიკა უნდა შეცლილი იქნეს ამ სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით.

ჩინეთის ამერიკისადმი უსიამო განწყობის ძირითადი მიზეზი ნაკლებადაა დაკავშირებული აშშ-ს ქცევასთან, ის უფრო იმითაა გამოწვეული, თუ რას წარმოადგენს ამჟამად და სად იმყოფება ის. ჩინეთი თანამედროვე ამერიკას მიიჩნევს მსოფლიო ჰეგემონად, რომლის რეგიონში მარტო ყოფნაც კი, რომელიც იაპონიაში მის ავტორიტეტზეა დაფუძნებული, ზღუდავს ჩინეთის გავლენის გაფართოების პროცესს. ჩინელი მკვლევარის, ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს კვლევითი განყოფილების თანამშრომლის სიტყვებით: „აშშ-ის სტრატეგიული მიზანია, მთელ მსოფლიოში ბატონობისკენ სწრაფვა და მათ არ შეუძლიათ შეურიგდნენ ევროპულ ან აზიურ კონტინენტზე ნებისმიერი სხვა ისეთი დიდი „დერჟავის გამოჩენას, რომელიც საფრთხეს შეუქმნის მათ, როგორც ლიდერის მდგომარეობას“.[33] აქედან გამომდინარე, უბრალოდ იმის გამო, რომ აშშ წარმოადგენს იმას, რაც არის და იმყოფება განვითარების იმ დონეზე, რომელზედაც იმყოფება, იმის მაგიერ, რომ ჩინეთის ბუნებრივი მოკავშირე იყოს, ჩინეთის მოწინააღმდეგე ხდება.

ამიტომ, ჩინეთის პოლიტიკოსთა ამოცანაა „სუნ ძის“ („Sun Tsu") უძველესი სტრატეგიული სიბრძნის მიხედვით გამოიყენონ ამერიკის სიძლიერე იმისათვის, რომ მშვიდობიანი გზით „დამარცხება აგემონ“ რეგიონში მათ ჰეგემონიას, მაგრამ ისე, რომ, ამასთან ერთად, არ გამოიწვიონ იაპონიის ფარული რეგიონუ-

33 Song yunin. A Discussion of the Division and Grouping of Forces in the World After the End of the Cold War // International Studies – 1996 – No 6-8, p. 10. (ჩინეთის საერთაშორისო კვლევის ინსტიტუტი). იმას, რომ ამერიკის ეს შეფასება აირეკლავს ჩინეთის უმაღლესი ხელისუფლების აზრს, ადასტურებს ის ფაქტი, რომ ანალიზის უფრო რთული ვარიანტი გაჩნდა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ბეჭდვითი ორგანოს „ჟენმინ ჟიბაოს“ მასობრივ ტირაჟში 1996 წლის 29 აპრილს.

ლი მისწრაფებები. საბოლოო ჯამში, ჩინეთის გეოსტრატეგიას ერთსა და იმავე დროს უნდა განეხორციელებინა ორი მიზანი, რომლებიც ერთობ შენიღბული სახით იქნა გამოხატული. 1994 წლის აგვისტოში დენ სიაოპინის მიერ: „პირველი – წინ აღვუდგეთ ჰეგემონიზმს და ძალის პოლიტიკას და დავიცვათ მშვიდობა; მეორე – შევქმნათ ახალი საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური წესრიგი“. პირველი ამოცანა, აშკარაა, მიმართულია აშშ-ს ინტერესების წინააღმდეგ და მიზნად ისახავს ამერიკელთა უპირატესობის შემცირებას, საგულდაგულოდ გვერდს უხვევს რა მასთან სამხედრო შეჯახებას, რაც ბოლოს მოუღებდა ჩინეთის ეკონომიკური სიძლიერის წინსვლას, მეორე ამოცანა – მსოფლიოში ძალთა განლაგების გადასინჯვაა, ვისარგებლებთ რა ზოგიერთი ყველაზე განვითარებულ სახელმწიფოთა თანამედროვე იმ არაოფიციალური იერარქიის უკმაყოფილებით, რომლის სათავეში განლაგებული არის აშშ, ევროპის, ან გერმანიის მხარდაჭერით ევრაზიის უკიდურეს დასავლეთში, იაპონიის მხარდაჭერით კი უკიდურეს აღმოსავლეთში.

ჩინეთის მეორე მიზანი ვარაუდობს პეკინის უახლოეს მეზობლებთან რაიმე სერიოზული კონფლიქტებისგან თავის შეკავებას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის რეგიონში უპირატესობის მოპოვებისთვის გზების ძიებას გააგრძელებს. განსაკუთრებით დროულია ჩინეთ-რუსეთის ურთიერთობების მოგვარება, კერძოდ კი, იმიტომ, რომ ამჟამად რუსეთი ჩინეთზე სუსტია. ამასთან დაკავშირებით, 1997 წლის აპრილში ორივე მხარემ გაკიცხა „ჰეგემონიზმი“ და ნატოს გაფართოებას უწოდეს „დაუშვებელი“. მაგრამ შეუძლებელია, რომ ჩინეთმა სერიოზულად განიხილოს აშშ-ს წინააღმდეგ რუსეთ-ჩინეთის გრძელვადიანი და ყოვლისმომცველი ალიანსის საკითხი. ეს, ალბათ, გააღრმავებდა და გააფართოებდა ამერიკა-იაპონიის კავშირს, რომლის ჩაშლაც სულ უფრო სურს ჩინეთს, გარდა ამისა, ეს ალბათ ჩამოაშო-

რებდა ჩინეთს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და კაპიტალებ-ის მიღების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან წყაროებს.

როგორც რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობებში, ჩინეთისთვის ასე-ვე ხელსაყრელია როგორმე თავიდან აიცილოს ინდოეთთან შეჯახება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ გააგრძელებს მჭიდრო სამ-ხედრო თანამშრომლობის შენარჩუნებას პაკისტანთან და ბირ-მასთან. ღია ანტაგონიზმის პოლიტიკა, ალბათ, ცუდ როლს ითამაშებდა, გაართულებდა რა რუსეთთან დაახლოების ტაქ-ტიკურ სარგებლიანობას, იმავდროულად უბიძგებდა ინდოეთს ამერიკასთან თანამშრომლობის გაფართოებისაკენ. ვინაიდან, ინდოეთი ასევე, იზიარებს ღრმად და გარკვეული დონით ფეს-ვგადგმულ ანტიდასავლურ განწყობილებებს, რომლებიც მი-მართულია მსოფლიო „ჰეგემონიის“ არსებობის წინააღმდეგ, ჩინეთ-ინდოეთის ურთიერთობებში დაძაბულობის დაქვეითება, ასევე ჰარმონიულად ეწერებოდა გაცილებით ფართო გეოს-ტრატეგიულ სპექტრში.

მთლიანობაში იგივე მოსაზრებები გამოიყენება ჩინეთის მიერ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებთან თანამედროვე ურთი-ერთობების მიმართ. სამხრეთ ჩინეთის ზღვაზე თავისი პრეტენ-ზიების შესახებ ცალმხრივი წესით განცხადების შემთხვევაშიც კი, ჩინელები, იმავდროულად, მხარს უჭერენ სამხრეთ-აღმოსავ-ლეთი აზიის ქვეყნების ხელმძღვანელებთან ურთიერთობებს (გარდა ჩინეთისადმი ისტორიულად მტრულად განწყობილი ვიეტნამისა), იყენებენ რა ყველაზე. აშკარა ანტიდასავლურ გან-წყობილებებს (კერძოდ კი, დასავლეთის ღირებულებებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ საკითხებზე), რომელთა დემონ-სტრირებას უკანასკნელ წლებში ახდენენ მალაიზიისა და სინგა-პურის ხელმძღვანელები. ისინი განსაკუთრებული სიხარულით მიესალმებოდნენ მალაიზიის პრემიერ-მინისტრის დათუკა მა-ჰათჰირას ზოგჯერ აშკარად ანტიამერიკულ თავდასხმებს, რომ-

ლებმაც 1996 წლის მაისში, ტოკიოს ფორუმზე ოფიციალურადაც კი ეჭვქვეშ დააყენა უსაფრთხოების შესახებ ამერიკა-იაპონიის შეთანხმებები, დაინტერესდა რა, თუ რომელი მტრისგან ვარაუდობდა ალიანსი თავის დაცვას და განაცხადა, რომ მალაიზია არ საჭიროებს მოკავშირეებს. ჩინელები აშკარად ვარაუდობენ, რომ მოცემულ რეგიონში მათი გავლენა ავტომატურად გაძლიერდება აშშ-ს პოზიციების შესუსტების შედეგად.

ანალოგიურად, მზარდი ზეგავლენა, როგორც ჩანს, წარმოადგენს ჩინეთის დღევანდელი პოლიტიკის ძირითად მოტივს ტაივანთან მიმართებაში. ჩინეთს იმდენად უკომპრომისო პოზიცია უკავია ტაივანის საერთაშორისო სტატუსის საკითხის მიმართ, რომ მზადაც კი არის, შეგნებულად გაზარდოს საერთაშორისო დაძაბულობა, რათა ასე ყველა დაარწმუნოს ამ საკითხისადმი ჩინეთის (ისევე, როგორც 1996 წლის მარტში) სერიოზულ დამოკიდებულებაში – ჩინეთის ხელმძღვანელებს, როგორც ჩანს, შეგნებული აქვთ, რომ ახლანდელ დროში მათ უწინდებურად ძალა არ შესწევთ, მიაღწიონ მათთვის ხელსაყრელ გადაწყვეტილებებს. მათ ესმით, რომ მოუფიქრებელი გაანგარიშება ძალაზე მხოლოდ დააჩქარებს ამერიკასთან თვითმკვლელობით შეჯახებას, იმავდროულად განამტკიცებს ამერიკის, როგორც რეგიონში მშვიდობის გარანტის როლს. მეტიც, თავად ჩინელები აღიარებენ, რომ პირველი წარმატებული ნაბიჯისგან – ჰონკონგის ჩინეთთან შეერთებით – მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იქნება, რეალური გახდა თუ არა დიდი ჩინეთის შექმნა.

დაახლოება, რომელსაც ადგილი აქვს ჩინეთის სამხრეთ კორეასთან ურთიერთობებში, ასევე, ფლანგებზე კონსოლიდაციის პოლიტიკის ნაწილია იმისთვის, რომ საშუალება ჰქონდეს, მოახდინოს ძირითადი ძალების თავმოყრა მთავარ მიმართულებებზე. მხედველობაში იღებს რა, ჩინეთის ისტორიასა და მასე-

ბის განწყობას, ჩინეთ-კორეის დაახლოება თავისთავად ხელს უწყობს იმ როლის შესუსტებას, რომელიც იაპონიას შეუძლია ითამაშოს რეგიონში და ამზადებს ნიადაგს ჩინეთსა და კორეას შორის უფრო ტრადიციული ურთიერთობების აღდგენისათვის.

ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ რეგიონში ჩინეთის პოზიციების მშვიდობიანი განმტკიცება, მას შეუმსუბუქებს იმ მთავარი მიზნის მიღწევას, რასაც უძველესი ჩინეთის სტრატეგი სუნ ძი („Sun Tsu“) შემდეგნაირად აყალიბებდა: რეგიონში ამერიკელთა ხელისუფლება ისე უნდა წარიხოცოს, რომ დასუსტებულმა ამერიკამ იმის აუცილებლობა იგრძნოს, რომ ჩინეთი, რომელიც რეგიონული გავლენით სარგებლობს, თავის მოკავშირედ აქციოს, თავის დროზე კი, მსოფლიო „დერჟავად“ ქცეული ჩინეთი პარტნიორად იყოლიოს. ამ მიზნისკენ უნდა მიისწრაფოდნენ და უნდა მიაღწიონ მას ისეთნაირად, რომ არ უნდა დააჩქარონ არც ამერიკა-იაპონიის ალიანსის თავდაცვითი მასშტაბების გაფართოება და არც რეგიონში ამერიკელთა გავლენის შეცვლა იაპონელებით.

მთავარი მიზნის მიღწევის დაჩქარების მიზნით, ჩინეთი ცდილობს, ხელი შეუწყოს ამერიკა-იაპონიის სამხედრო სფეროში თანამშრომლობის განმტკიცებას და გაფართოებას. ჩინეთი განსაკუთრებით შეშფოთებული იყო 1996 წლის დასაწყისში ამერიკა-იაპონიის თანამშრომლობის მასშტაბების სავარაუდო გაფართოებით უფრო ვიწრო ჩარჩოებიდან – „შორეულ აღმოსავლეთის“ - უფრო ფართო - „აზიურ-წყნაროკეანურ რეგიონად“, რაშიც ის არა მარტო თავის ინტერესების უშუალო მუქარას ჭვრეტდა, არამედ ამოსავალ წერტილსაც აშშ-ს პატრონაჟის ქვეშ იმ უსაფრთხოების აზიური სისტემის შექმნისათვის, რომელიც მიმართული იქნებოდა ჩინეთის შეკავებისკენ (რაშიც ია-

პონია წამყვან როლს ითამაშებდა[34] და ძლიერ დაემსგავსებოდა იმას, რასაც გერმანია თამაშობდა ნატოს ორგანიზაციაში, ცივი ომის წლებში). პეკინში ეს შეთანხმება მთლიანობაში შეფასდა, როგორც საშუალება, რომელიც მომავალში იაპონიას შეუმსუბუქებდა დიდ სამხედრო „დერჟავაში გარდაქმნას, შესაძლოა, ისეთშიც კი, რომელსაც უნარი ექნებოდა, ფსონი დაედო ძალაზე ჯერ კიდევ გადაუჭრელი ეკონომიკური და საზღვაო უთანხმოებების დამოუკიდებლად გადასაჭრელად. ამრიგად, ჩინეთი, როგორც ჩანს, რეგიონში იაპონიის რაიმე მნიშვნელოვანი სამხედრო როლის მიმართ, ენერგიულად გააღვივებს აზიაში ჯერ კიდევ არსებულ ძლიერ შიშს იმისათვის, რომ შეაკავოს აშშ და დააშინოს იაპონია.

მაგრამ უფრო შორეულ მომავალში, ჩინეთის სტრატეგიული გაანგარიშებით, ამერიკელთა ჰეგემონია შენარჩუნდება. მართალია, ზოგიერთი ჩინელი, განსაკუთრებით კი, სამხედროები, ამერიკას განიხილავენ, როგორც შეურიგებელ მტერს. პეკინში იმედოვნებენ, რომ ამერიკა რეგიონში დიდ იზოლაციაში აღმოჩნდება იმიტომ, რომ გადაჭარბებით ენდობა იაპონიას, ის სულ უფრო დამოკიდებული გახდება იაპონიაზე ამერიკა-იაპო-

---

34 აშშ-ის მიერ ანტიჩინური აზიური სისტემის შექმნის თითქოსდა არსებული განზრახვის შესახებ დაწვრილებითი კვლევა მოცემულია ვან ჩუნინის შრომაში (Wang Chunynn. Looking Abhead to asia – pasific Scurity in the Early Twenty – First Century // World Outlook – 1996 – Febr.). მეორე ჩინელი ანალიტიკოსი ამტკიცებს, რომ ამერიკა-იაპონიის უსაფრთხოების შესახებ შეთანხმება შეცვლილ იქნა და „თავდაცვის ფარისგან“ იქცა ჩინეთის წინააღმდეგ „შეტევის ბასრ იარაღად“ (Yang Baijinang Implication of Japan-US Security Declaration Outlined // Cotemporary International Relations - 1996 – June 20). 1997 წლის 31 იანვარს ავტორიტეტულმა ყოველდღიურმა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ბეჭდვითმა ორგანომ „ჟენმინ ჟიბაომ“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით „სამხედრო ალიანსის გამაგრება არ შეესაბამება დროის სულისკვეთებას“, რომელშიაც ამერიკა-იაპონიის სამხედრო თანამშრომლობის მასშტაბების გადასინჯვა გაკიცხულ იქნა, როგორც „საშიში ნაბიჯი“.

ნიის წინააღმდეგობების ერთდროული გაძლიერებისა და ამერიკელების იაპონიის მილიტარიზმის შიშით. ეს საშუალებას მისცემს ჩინეთს, როგორც ამას წარსულში აკეთებდა, აშშ-სა და საბჭოთა კავშირის მსგავსად, ერთმანეთს წაჰკიდოს აშშ და იაპონია. პეკინის აზრით, დადგება დრო, როცა ამერიკა გაიგებს, რომ იმისათვის, რათა თავისი გავლენა შეინარჩუნოს აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში, მას აღარაფერი დარჩება, გარდა იმისა, რომ მიმართოს თავის ბუნებრივ პარტნიორს მატერიკულ აზიაში.

იაპონია არა რეგიონული, არამედ მსოფლიო „დერჟავაა“

ამრიგად, ჩინეთის გეოპოლიტიკური მომავლისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ განვითარდება ამერიკა-იაპონიის ურთიერთობა. 1949 წელს ჩინეთის სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ, ამერიკელების პოლიტიკა შორეულ აღმოსავლეთში ეყრდნობოდა იაპონიას. თავდაპირველად იაპონია მხოლოდ ამერიკელთა საოკუპაციო ჯარების ადგილსამყოფელი იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში, ის იქცა ამერიკელთა სამხედრო-პოლიტიკური ყოფნის საფუძვლად აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში და ამერიკის მნიშვნელოვან გლობალურ მოკავშირედ, თუმცა კი, იმავდროულად, საიმედო პროტექტორადაც. მაგრამ ჩინეთის გამოჩენამ კითხვა დასვა: შესაძლებელია კი – და რა მიზნით – ამერიკა-იაპონიის მჭიდრო ურთიერთობების გამორიცხვა ცვალებად რეგიონულ კონტექსტში? ანტიჩინურ კავშირში იაპონიის როლი აშკარა იქნებოდა, მაგრამ როგორი უნდა იყოს იაპონიის როლი, თუკი გაძლიერებულ ჩინეთთან რამენაირად უნდა გამოინახოს ურთიერთგაგება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს შეასუსტებდა რეგიონში ამერიკელთა პირველობას?

იაპონია, ისევე, როგორც ჩინეთი, წარმოადგენს სახელმწიფო ნაციას ღრმად გამჯდარი შეგნებით თავისი უნიკალური ხასიათისა და განსაკუთრებული სტატუსის შესახებ. მისი კუნძულებრივი ისტორია, მისი იმპერიული მეთოდოლოგიაც კი, წინასწარ განაწყობს ძლიერ შრომისმოყვარე და დისციპლინირებულ იაპონელებს იმისკენ, რომ თავი მიიჩნიონ ზეციდან მოვლენილე-

ბად, რომელთაც განსაკუთრებული და არაჩვეულებრივი ცხოვ-
რების წესი აქვთ, რასაც იაპონია, თავდაპირველად იცავდა
ბრწყინვალე იზოლაციით, შემდეგ კი, როცა მსოფლიომ XIX
საუკუნეში შეაბიჯა, მიბაძა რა ევროპულ იმპერიებს, შეეცადა, შე-
ექმნა ისეთივე იმპერია საკუთარ აზიურ მატერიკზე. ამის შემ-
დეგ, მეორე მსოფლიო ომში დამარცხებამ, იაპონელებს ყუ-
რადღება გადაატანინა ეკონომიკური აღორძინების ერთსახო-
ვან ამოცანაზე, თუმცა მათში დაბადა ქვეყნის უფრო ფართო მე-
სიანლობისადმი ურწმუნოების გრძნობა.

ჩინეთის ბატონობისადმი თანამედროვე ამერიკელთა შიში
მოგვაგონებს შედარებით ახლო წარსულში ამერიკულ პარა-
ნოიას იაპონიასთან მიმართებაში. ამჯერად, იაპონოფობია იქცა
სინოფობიად. სულ რაღაც ათი წლის წინ იაპონიის, როგორც
მსოფლიო ზესახელმწიფოს, გაჩენის გარდუვალობისა და მო-
ახლოების წინასწარმეტყველება – რომელიც მზად იყო არა
მარტო ამერიკა ჩამოეგდო ტახტიდან (მისი კუთვნილი წილის
გამოსყიდვითაც კი!), არამედ თავს მოეხვია თავისებური „იაპო-
ნური ზავი“ („Pax Niponica“) – ნამდვილი ხურდა ფულივით გა-
მოიყურებოდა ამერიკელ კომენტატორებსა და პოლიტიკოსებს
შორის. და არა მარტო ამერიკელებს შორის – მალე თავად ია-
პონელები იქცნენ მათ გულმხურვალე მიმბაძველებად, თანაც
იაპონიაში გაჩნდა ბესტსელერების სერია, რომლებმაც განსა-
ხილველად წამოაყენეს თეზისი იმაზე, რომ იაპონია მოწოდებუ-
ლია, მაღალი ტექნოლოგიების დარგში გამარჯვება მოიპოვოს
შეერთებულ შტატებთან მეტოქეობაში და რომ იაპონია ჩქარა
იქცევა მსოფლიოს ინფორმაციის იმპერიად, მაშინ, როცა ამე-
რიკა, თითქოსდა, ქვევით. დაეშვებოდა, ისტორიული დაღლი-
ლობისა და სოციალური სიბარიტობის გამო.

ამ ზედაპირულმა ანალიზმა ხელი შეგვიშალა, დაგვანახა, თუ
როგორ იყო და არის იაპონია მოწყვლადი ქვეყანა. ის მოწ-

ყვლადია მსოფლიო რესურსებისა და ვაჭრობის ზუსტი მსვლელობის უმცირესი დარღვევების წინაშე, თუ არაფერს ვიტყვით, მსოფლიო სტაბილურობაზე უფრო ფართო გაგებით, მასაც განუწყვეტლივ თავს აბეზრებს შიდა პრობლემები – დემოგრაფიული, სოციალური და პოლიტიკური. იაპონია ერთდროულად მდიდარია, დინამიკური და ეკონომიკურად ძლიერი, მაგრამ ასევე რეგიონულად იზოლირებული და პოლიტიკურად შეზღუდულიც უშიშროების სფეროში თავის იმ ძლევამოსილ მოკავშირეზე დამოკიდებულების გამო, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, მსოფლიო სტაბილურობის მთავარი მცველია (რომელზედაც ასე დამოკიდებულია იაპონია) და ასევე იაპონიის მთავარი ეკონომიკური მეტოქეც.

საეჭვოა, რომ იაპონიის, ერთი მხრივ, როგორც მთელ მსოფლიოში პატივცემული ხელისუფლების, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც ამერიკული ძლიერების გეოპოლიტიკური პროლონგაციის ცენტრის დღევანდელი მდგომარეობა მისაღები დარჩება იაპონელთა ახალი თაობებისათვის, რომელთაც ტრავმას აღარ აყენებთ მეორე მსოფლიო ომის გამოცდილება და, რომლებსაც უკვე აღარ რცხვენიათ მისი. როგორც ისტორიული, ისე თავის თავისადმი პატივისცემის მიზეზებით, იაპონია ქვეყანაა, რომელიც სრულიადაც არაა კმაყოფილი გლობალური „სტატუს-კვოთი“, თუმცა კი უფრო მიყუჩებულია, ვიდრე ჩინეთი. ის გრძნობს, რომ სამართლიანი უფლება გააჩნია ოფიციალურად აღიარებულ იქნეს, როგორც მსოფლიო „დერჟავა“, მაგრამ ასევე შეგნებული აქვს, რომ უშიშროების სფეროში რეგიონულად სასარგებლო (ასევე, მისი აზიელი მეზობლების დამაიმედებელი) დამოკიდებულება ამერიკაზე აფერხებს ამ აღიარებას.

უფრო მეტიც: აზიის კონტინენტზე ჩინეთის მზარდი ძლიერება იმ პერსპექტივასთან ერთად, რომ მისი გავლენა შეიძლება სწრაფად გავრცელდეს საზღვაო რეგიონებზეც, რომლებიც

ეკონომიკურად მნიშვნელოვანია იაპონიისთვის, ზრდის იაპონელთა გაურკვევლობას მათი ქვეყნის გეოპოლიტიკური მომავლის მიმართ. იაპონიაში არსებობს როგორც ძლიერი კულტურული და ემოციური გაიგივება ჩინეთთან, ასევე, აზიური ერთიანობის ფარული გრძნობაც. ზოგიერთი იაპონელი შეიძლება გრძნობდეს, რომ, რადგან ამერიკის რეგიონული პირველობის დონე დაბლა ეშვება, უფრო ძლიერი ჩინეთის გაჩენა კი შეერთებული შტატებისათვის შექმნის იაპონიის მნიშვნელობის ამაღლების ეფექტს. მეორე მხრივ, მრავალი იაპონელისთვის ჩინეთი ტრადიციული მეტოქეა, ყოფილი მტერი და რეგიონში სტაბილურობის პოტენციური საფრთხე. ეს, დღეს, როგორც არასდროს, უფრო ამაღლებს უსაფრთხოების სფეროში კავშირის მნიშვნელობას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის იაპონიის პოლიტიკური და სამხედრო დამოუკიდებლობის შეზღუდვით გაღიზიანებული ზოგიერთი ყველაზე ნაციონალისტურად განწყობილი იაპონელის გულისწყრომას გამოიწვევს.

ზედაპირული მსგავსება არსებობს ევრაზიულ შორეულ აღმოსავლეთში იაპონიის მდგომარეობასა და ევრაზიის შორეულ დასავლეთში გერმანიას შორის. ორივე ქვეყანა იყო შეერთებული შტატების ძირითადი რეგიონული მოკავშირე. მართლაცდა, ამერიკის ძლიერება ევროპასა და აზიაში ამ ორ ქვეყანას შორის მჭიდრო კავშირების პირდაპირი შედეგია. ორივეს ჰყავს მნიშვნელოვანი შეიარაღებული ძალები, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იყო დამოუკიდებელი ამ ურთიერთობაში: გერმანია შებორკილია ნატოს ორგანიზაციაში თავისი ინტეგრაციით, იაპონიას აჩერებს საკუთარი (თუმცა ამერიკის მიერ შედგენილი) კონსტიტუციური შეზღუდვები და უსაფრთხოების შესახებ იაპონია-ამერიკის ხელშეკრულება. ორივე წარმოადგენს რეგიონში დომინანტ სავაჭრო და ფინანსური ხელისუფლების ცენტრებს, ასევე, მსოფლიო მასშტაბითაც თვალსაჩინო ქვეყნებს. ორივე

შეიძლება კლასიფიცირებულ იქნეს, როგორც კვაზიგლობალური „დერჟავები“, ორივეს აღიზიანებს ის, რომ ფორმალურად არ აღიარებენ, უარს ეუბნებიან რა, მათთვის გაეროს უსაფრთხოების საბჭოში მუდმივი ადგილის გადაცემაზე. მაგრამ ამ ქვეყნების გეოპოლიტიკურ პირობებში განსხვავებას შეიძლება მოჰყვეს პოტენციურად მნიშვნელოვანი შედეგები. გერმანიის თანამედროვე ურთიერთობები ნატოსთან, ქვეყანას ერთ დონეზე აყენებს მის მთავარ ევროპულ მოკავშირეებთან, ჩრდილოატლანტიკური შეთანხმებითაც გერმანიას ოფიციალურად საპასუხისმგებლო სამხედრო ვალდებულებები გააჩნია შეერთებულ შტატებთან. უსაფრთხოების შესახებ ამერიკა-იაპონიის ხელშეკრულება განაპირობებს ამერიკელთა ვალდებულებას, დაიცვას იაპონია, მაგრამ არ ითვალისწინებს (ფორმალურადაც კი) იაპონიის შეიარაღებული ძალების გამოყენებას ამერიკის დაცვისათვის. სინამდვილეში ეს ხელშეკრულება აკანონებს პროტექციონისტურ ურთიერთობებს.

მეტიც, ევროპულ კავშირსა და ნატოში გერმანიის პროაქტიური მონაწილეობის გამო, მისი მეზობლები, რომლებიც წარსულში ამ ქვეყნის აგრესიის მსხვერპლად იქცნენ, უკვე აღარ მიიჩნევენ მას მუქარად, პირიქით, განიხილავენ სასურველ ეკონომიკურ და პოლიტიკურ პარტნიორად. ზოგიერთი მიესალმება კიდეც შუა ევროპის – Mitteleuropa – აღმოცენებას გერმანიის მეთაურობით, თანაც, გერმანია განიხილება, როგორც მშვიდობიანი რეგიონული „დერჟავა“. სრულიად განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ იაპონიის მეზობლებს, რომლებიც დიდი ხანია, ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომიდან, მტრულად განწყობილნი არიან მის მიმართ. მეზობლების განაწყენების ხელშემწყობ ფაქტორად იქცა იენის აღორძინება, რომელიც არა მარტო მძაფრ საჩივრებს იწვევს, არამედ ხელს უშლის შერიგებას მალაიზიასთან, ინდონეზიასთან, ფილიპინებთან და თვით ჩი-

ნეთთანაც კი. ამ უკანასკნელს იაპონიის გრძელვადიანი ვალის 30% იენებში ერიცხება.

იაპონიას აზიაში არც ისეთი პარტნიორი ჰყავს, როგორც გერმანიას საფრანგეთი, ესე იგი რეგიონში ჭეშმარიტი და მეტნაკლებად თანაბარი სახელმწიფო. მართალია, ჩინეთისადმი არსებობს ძლიერი კულტურული მიზიდულობა, რომელიც შერეულია დანაშაულის გრძნობასთან, მაგრამ ეს მიზიდულობა პოლიტიკურად ორაზროვანია იმაში, რომ არც ერთი მხარე არ ენდობა მეორეს და არც ერთი არაა მზად, მეორის რეგიონული ლიდერობა აღიაროს. იაპონიას არ ჰყავს გერმანიის ეკვივალენტის მქონე პოლონეთიც. ესე იგი უფრო სუსტი, მაგრამ გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი მეზობელი, რომელთანაც შერიგება და თანამშრომლობაც კი, რეალური ხდება. შესაძლოა, კორეა, განსაკუთრებით მომავალში გაერთიანებული კორეა, ქცეულიყო ასეთ ეკვივალენტად, მაგრამ იაპონია-ჩინეთის ურთიერთობები მხოლოდ ფორმალურად არის კარგი, რადგან წარსული ბატონობის შესახებ კორეული მოგონებები და იაპონელთა კულტურული უპირატესობის გრძნობა ხელს უშლის ჭეშმარიტ შერიგებას.[35] დაბოლოს, იაპონიის რუსეთთან ურთიერთობები გაცილებით გულგრილია, ვიდრე გერმანიის ურთიერთობები რუსეთთან. რუსეთი ჯერ კიდევ ძალით ინარჩუნებს კურილიის სამხრეთ კუნძულებს, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დამთავრების წინ დაიპყრო და ასე გაყინა რუსეთ-იაპონიის ურთიერთობები. მოკლედ, იაპონია პოლიტიკურად იზოლირებულია თავის რეგიონში, მაშინ როცა გერმანია – არა.

ამას გარდა, გერმანია თავის მეზობლებთან იყოფს როგორც საერთო დემოკრატიულ პრინციპებს, ასევე ევროპის უფრო

35 * The Japan Digest((1997 წლის 25 თებერვალი) იტყობინებოდა, რომ მთავრობის მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის თანახმად, იაპონელთა მხოლოდ 30% მეგობრულად არის განწყობილი სამხრეთ კორეის მიმართ.

ფართო ქრისტიანულ მემკვიდრეობას. ის ასევე მიისწრაფვის, მოახდინოს თავისი იდენტიფიცირება და აღზევებაც კი – გაცილებით დიდ ვიდრე თავადაა, სახელდობრ კი, ევროპის ადმინისტრაციული ერთეულისა და საერთო საქმის ჩარჩოებში. ამის საპირისპიროდ კი „აზიას“ არაფერი გააჩნია. მართლაცდა, იაპონიის კუნძულებრივ წარსულს და მის დღევანდელ დემოკრატიულ სისტემასაც კი, მიუხედავად ბოლო წლებში ზოგიერთ აზიურ ქვეყანაში დემოკრატიის აღმოცენებისა, ტენდენციები აქვთ, ჩამოაშორონ ის დანარჩენ რეგიონს. მრავალი აზიელი იაპონიას განიხილავს არა მარტო როგორც ეროვნულად ეგოისტურს, არამედ როგორც დასავლეთის მიმართ გადაჭარბებულად მიმბაძველს და დასავლეთში ადამიანების უფლებებისა და ინდივიდუალიზმის მნიშვნელობის მიმართებაში კამათში ჩართვის უგულებელმყოფველს. ამრიგად, იმისდა მიუხედავად, რომ დასავლეთი იშვიათად თუ დაინტერესებულა, რა დონით დაემსგავსა სინამდვილეში იაპონია დასავლეთს, მრავალი აზიელის მიერ ის აღიქმება არა როგორც ჭეშმარიტი აზიური ქვეყანა.

სინამდვილეში იაპონია აზიაში კი მდებარეობს, მაგრამ ის არასაკმარისად აზიური ქვეყანაა. ასეთი მდგომარეობა მნიშვნელოვნად ზღუდავს მის გეოსტრატეგიულ მოქმედების თავისუფლებას. ჭეშმარიტად რეგიონული არჩევანი იაპონიის რეგიონში ის დომინირებული არჩევანია, რომელსაც უპირატესობა აქვს ჩინეთის მიმართ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის არა იაპონურ ბატონობაზეა დაფუძნებული, არამედ უფრო იაპონიის მეთაურობით რეგიონალურ ნაყოფიერ თანამშრომლობაზე, რაც მნიშვნელოვანი ისტორიული, პოლიტიკური და კულტურული მიზეზების გამო არ მიგვაჩნია სიცოცხლისუნარიანად. მეტიც, იაპონია რჩება ამერიკისა და საერთაშორისო სპონსორების სამხედრო მფარველობაზე დამოკიდებული. უსაფრთხოების შესახებ ამერიკა-ია-

პონიის შეთანხმების შეცვლა ან მისი შენელებული გამოშიგვნაც კი იაპონიას თანდათანობით აქცევდა მუდმივ მოწყვლადად იმ კრახის წინაშე, რასაც სერიოზული რეგიონალური ან გლობალური უწესრიგობანი შეეძლო გამოეწვია. მაშინ, ერთადერთი ალტერნატივა იქნებოდა ან ჩინეთის რეგიონულ ბატონობაზე დათანხმება, ანდა, ფართო და არა მარტო ძვირად ღირებული, არამედ ძალიან საშიშიც - სამხედრო გადაიარაღების პროგრამის განხორციელება.

გასაგებია, რომ ბევრი იაპონელი მშობლიური ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობას - ერთდროულად კვაზიგლობალურ „დერჟავად“ და უშიშროების ნაწილში პროტექტორატად ყოფნას – არანორმალურად მიიჩნევს, თუმცა კი მნიშვნელოვანი და სიცოცხლისუნარიანი ალტერნატივები არსებული მდგომარეობის მიმართ აშკარა არაა. თუ შეიძლება ითქვას, რომ ჩინეთის ეროვნული მიზანი, კონკრეტულ საკითხებზე ჩინელ სტრატეგებს შორის აზრთა გარდაუვალი სხვადასხვაობის მიუხედავად, საკმაოდ ნათელია და ჩინეთის გეოსტრატეგიული ამბიციების რეგიონული მიმართულება შედარებით გამოსაცნობია, მაშინ, როცა იაპონიის გეოსტრატეგიული კონცეფცია, როგორც ჩანს, შედარებით ბუნდოვანია, იაპონიის საზოგადოების განწყობილება კი – გაცილებით უფრო გაურკვეველი. იაპონელთა უმრავლესობას ესმის, რომ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი კურსის უეცარი შეცვლა შეიძლება სახიფათო იყოს. შეუძლია, თუ არა იაპონიას იყოს რეგიონული „დერჟავა“ იქ, სადაც ის ჯერ კიდევ არაკეთილგანწყობის ობიექტია და სადაც ჩინეთი აღმოცენდება, როგორც რეგიონულად დომინირებული „დერჟავა“? ვალდებულია კი იაპონია, უბრალოდ, მდუმარედ დაეთანხმოს ჩინეთის ამ როლს? შეძლებს, თუ არა იაპონია, იქცეს ჭეშმარიტად ფართო გლობალურ „დერჟავად“ (ყოველ გამოვლენაში) ისე, რომ რისკი ამერიკელების მხარდაჭერით არ გასწიოს და არ

გამოიწვიოს კიდევ უფრო მტრული განწყობა რეგიონში? ნებისმიერ შემთხვევაში, დარჩება, თუ არა ამერიკა აზიაში და თუ, – კი, მაშინ მისი რეაქცია ხომ არ მოახდენდა გავლენას ჩინეთის იმ მზარდ პრიორიტეტებზე, რომლებიც დღემდე მიეკუთვნებოდა ამერიკა-იაპონიის კავშირებს? ცივი ომის ხანგრძლივი მსვლელობის პერიოდში ეს საკითხები არასოდეს დასმულა. დღეს ისინი სტრატეგიულად მნიშვნელოვან საკითხებად იქცა და სულ უფრო გაცხოველებულ კამათს იწვევს იაპონიაში. 50-იან წლებში იაპონიის საგარეო პოლიტიკას მართავდა ოთხი ძირითადი პრინციპი, რომლებიც ომის შემდგომ გამოცხადებულ იქნა პრემიერ-მინისტრ სიგერუ იოსიდას მიერ. იოსიდას დოქტრინა აცხადებდა: 1) იაპონიის ძირითადი მიზანი უნდა იყოს ეკონომიკური განვითარება; 2) იაპონია უნდა იყოს მსუბუქად შეიარაღებული და თავიდან აიცილოს საერთაშორისო კონფლიქტებში მონაწილეობა; 3) იაპონიამ უნდა მისდიოს შეერთებული შტატების პოლიტიკურ ხელმძღვანელობას და მიიღოს შეერთებული შტატების სამხედრო დაცვა; 4) იაპონიის დიპლომატია უნდა იყოს არაიდეოლოგიური და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საერთაშორისო თანამშრომლობას. მაგრამ ვინაიდან ბევრი იაპონელი შეშფოთებული იყო იაპონიის ცივ ომში მონაწილეობით, იმავდროულად, კულტივირებული იყო გამონაგონი ნახევრად ნეიტრალურობის შესახებ. მართლაცდა, 1981 წელს საგარეო საქმეთა მინისტრი მასაიოსი იტო იძულებული შეიქნა, გადამდგარიყო იმის გამო, რომ ისარგებლა ტერმინით „კავშირი“ („დომეი“) ამერიკა-იაპონიის ურთიერთობების დასახასიათებლად.

ამჟამად ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. იაპონია აღდგენით სტადიაში იმყოფება, ჩინეთი – თვითიზოლირებაში, ევრაზია კი – ურთიერთდაპირისპირებულ ბანაკებად გაყოფილი. ამჯერად პირიქითაა – იაპონიის პოლიტიკური ელიტა გრძნობს, რომ

მდიდარ იაპონიას, ეკონომიკურად მსოფლიოსთან დაკავშირებულს, უკვე აღარ შეუძლია თვითგამდიდრება ცენტრალურ ეროვნულ ამოცანად აქციოს ისე, რომ არ გამოიწვიოს საერთაშორისო უკმაყოფილება. შემდეგ კი, ეკონომიკურად უმძლავრესი იაპონია, განსაკუთრებით ის იაპონია, რომელიც კონკურენციას გაუწევდა ამერიკას, უბრალოდ შეუძლებელი იყო ამერიკის საგარეო პოლიტიკის გაგრძელება ყოფილიყო და, იმავდროულად, მორიდებოდა ნებისმიერ საერთაშორისო პოლიტიკურ პასუხისმგებლობას. პოლიტიკური თვალსაზრისით, უფრო გავლენიანმა იაპონიამ, განსაკუთრებით იაპონიამ, რომელიც მსოფლიო აღიარებისთვის იღვწის (მაგალითად, გაეროს უშიშროების საბჭოში მუდმივი ადგილისათვის), არ შეუძლია არ დაიკავოს გარკვეული პოზიცია უსაფრთხოებისა და, გეოპოლიტიკურად ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების მიმართ, რომლებიც მთელ მსოფლიოში მშვიდობას ეხება.

ამის შედეგად, ეს ბოლო წლები აღინიშნა მრავალრიცხოვანი სპეციალური გამოკვლევებითა და მოხსენებებით, რომლებიც მომზადებული იყო იაპონიის საზოგადოებრიობისა და სხვადასხვა კერძო ორგანიზაციის მიერ, ასევე იმ ცნობილი პოლიტიკოსებისა და პროფესორების ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებითა და მოჭარბებული წიგნებით, რომლებიც ზოგად ფორმებში სახავდნენ ცივი ომის შემდგომი იაპონიისთვის ახალ ამოცანებს.[36]

---

36 მაგალითად, პრემიერ-მინისტრთან არსებული კონსულტაციური საბჭოს ჰიგუტის კომისიამ 1999 წლის ზაფხულში გამოქვეყნებულ მოხსენებაში დასახა იაპონიის უსაფრთხოების სამი ნიშანსვეტი, მოხსენებაში ხაზგასმული იყო უსაფრთხოების სფეროში იაპონია-ამერიკის კავშირების პირველმნიშვნელობა, მაგრამ ის, ასევე, გამოდიოდა უსაფრთხოების შესახებ აზიის მრავალმხრივი დიალოგის დასაცავადაც. 1994 წლის ოძავას კომისიის მოხსენება – „პროგრამა ახალი იაპონიისათვის“, რომელიც 1995 წლის მაისში დაიბეჭდა „იომიური სიმბუნში“; „უსაფრთხოების ყოვლისმომცველი პოლიტიკის“ გეგმა, სხვა საკითხებს შორის, იცავდა საზღვარგარეთ მშვიდობისმყოფელ

მაგრამ სახალხო პოლიტიკის დონეზე სერიოზულად განხილული რეკომენდაციები მთლიანობაში შედარებით თავშეკავებული, მრავალგზის გააზრებული და ზომიერი აღმოჩნდა. რადიკალურმა ალტერნატივებმა – ღია პაციფიზმის (რომელსაც ანტიამერიკული ელფერი ექნებოდა), ანდა ცალმხრივი და ხელახალი დიდი შეიარაღების ალტერნატივამ (რომელიც კონსტიტუციის გადასინჯვას მოითხოვდა და რომლის განხორციელება ალბათ სურდათ, ანგარიშს არ უწევდა ამერიკელ და რეგიონულ არახელსაყრელიანობას) – მცირე მომხრეები პოვა. საზოგადოებისათვის პაციფიზმის მიმზიდველობამ, ყოველ შემთხვევაში, ბოლო წლებში, თავისი მნიშვნელობა დაკარგა, ცალმხრივმა ბირთვულმა განიარაღებამ და მილიტარიზმმაც, მიუხედავად გულმხურვალე მომხრეების გარკვეული ნაწილის არსებობისა, ასევე, ვერ პოვა საზოგადოების მნიშვნელოვანი მხარდაჭერა. საზოგადოებრიობა მთლიანობაში და, რა თქმა

ოპერაციებში იაპონელ სამხედრო მოსამსახურეთა გამოყენებასაც. იაპონიის მმართველთა ასოციაციის მოხსენებაში (.კეიძაი დოიუკაი“), რომელიც მომზადდა 1996 წლის აპრილში, გონებრივი შესაძლებლობების ცენტრის ფუძი ბანკის ხელშეწყობით, მოითხოვდა მეტ სიმეტრიას ამერიკა-იაპონიის თავდაცვის სისტემაში; მოხსენება სათაურით: „აზიურ-წყნარი ოკეანის რეგიონში უსაფრთხოების სისტემის შესაძლებლობები და როლი“, 1996 წელს პრემიერ-მინისტრს წარუდგინა საერთაშორისო უსაფრთხოების იაპონიის ფორუმმა, ასევე ბოლო წლებში გამოქვეყნებული მრავალრიცხოვანი წიგნი და სტატია. ხშირად გაცილებით უფრო პოლემიკური და ზედმეტად გადაჭარბებული იყო თავიანთ რეკომენდაციებში და ყველაზე მეტად ციტირებული დასავლეთის ინფორმაციის საშუალებების მიერ, ვიდრე ზემოთ ჩამოთვლილი ძირითადი მოხსენებები. მაგალითად, 1996 წელს ერთ-ერთი იაპონელი გენერლის მიერ გამოქვეყნებულმა წიგნმა, პრესაში ფართო კომენტარები გამოიწვია, როცა მან გაბედა და ვარაუდი გამოთქვა, რომ გარკვეულ გარემოებებში შეერთებული შტატები ალბათ ვერ შეძლებს იაპონიის დაცვას და აქედან გამომდინარე, იაპონიამ უნდა აიმაღლოს თავისი თავდაცვისუნარიანობა (იხ. იასუხირო მორინო, მომავალი თაობა ასაბუთებს თავდაცვის ძალებს, და კომენტარები „მითები იმაზე, თუ როგორ მოვლენ შეერთებული შტატები ჩვენს დასახმარებლად“ მ. სანკეი სიმბუნ – 1996 – 14 მარტი).

უნდა, გავლენიანი საქმიანი წრეები, ქვეცნობიერად გრძნობენ, რომ არც ერთი ალტერნატივა არ იძლეოდა რეალურ პოლიტიკურ არჩევანს და ფაქტობრივად მხოლოდ რისკის წინაშე შეეძლო დაეყენებინათ იაპონიის კეთილდღეობა.

საზოგადოებრიობის პოლიტიკურმა დებატებმა, თავდაპირველად, თან მოიყოლა იმ საკითხისადმი უთანხმოება, რომელიც მოითხოვდა იაპონიის საერთაშორისო მდგომარეობისადმი ყურადღების გამახვილებას და, რომელმაც ასევე გამოიწვია გეოპოლიტიკური პრიორიტეტების ცვლილებებში ზოგიერთი მეორეხარისხოვანი მომენტი. ზოგადად, შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი მიმართულება და, ალბათ, უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი მეოთხე: „ამერიკა უპირველეს ყოვლისა“ თეზისის მოურიდებელი ქომაგები, მერკანტილიზმის გლობალური სისტემის მომხრეები, პროაქტივისტური რეალისტები და საერთაშორისო უტოპისტები. მაგრამ საბოლოო ანალიზისას ყველა ოთხივე მიმართულება იზიარებს ერთ, უფრო კი საერთო მიზანს და გამოხატავს შეშფოთებას: ისარგებლონ შეერთებულ შტატებთან განსაკუთრებული ურთიერთობებით იმისათვის, რომ იაპონიისთვის მიაღწიონ მსოფლიო აღიარებას, იმავდროულად გვერდი აუარონ აზიის მტრულ განწყობას და ნაადრევად არ გასწიონ რისკი უსაფრთხოების ამერიკული „ქოლგით“.

პირველი მიმართულება თავისი ვარაუდის საწყის პუნქტად მიიჩნევს იმას, რომ არსებული (და ყველას მიერ აღიარებული ასიმეტრიული) ამერიკა-იაპონიის ურთიერთობები შენარჩუნებულ იქნეს იაპონიის გეოსტრატეგიის ღერძად. მის მომხრეებს სურთ, ისევე როგორც იაპონელთა უმრავლესობას, იაპონიისთვის უფრო ფართო საერთაშორისო აღიარება და მეტი თანასწორობა კავშირში, თუმცა კი, მათი მთავარი დოგმატი, რომელიც 1993 წლის იანვარში წარმოადგინა პრემიერ-მინისტრმა

კიიტი მიიაძავამ, იმაში მდგომარეობდა, რომ „მშვიდობის პერ-სპექტივა, რომელმაც XXI საუკუნეში უნდა შეაბიჯოს, მნიშვნე-ლოვნად დამოკიდებული იქნება იმაზე, შეძლებენ თუ არა ია-პონია და შეერთებული შტატები... უზრუნველყონ ერთიანი კონ-ცეფციის საფუძველზე კოორდინირებული ხელმძღვანელობა“. ეს თვალსაზრისი გაბატონებულია იმ საერთაშორისო-პოლიტი-კურ ელიტასა და საგარეო-პოლიტიკურ უწყებებს შორის, რო-მელთაც შენარჩუნებული ჰქონდათ ხელისუფლება უკანასკნე-ლი ორი ათეული ან დაახლოებით მაინც ამდენი წლის განმავ-ლობაში. ჩინეთის რეგიონული როლისა და კორეაში ამერი-კელთა ყოფნის შესახებ საკვანძო გეოსტრატეგიული საკითხე-ბით ხელმძღვანელობას მხარს უჭერს შეერთებული შტატებიც; ის თავის როლს ჭვრეტს იმაში, რომ შეაკავოს ჩინეთის წინააღ-მდეგ ბრძოლის პოზიციისადმი ამერიკელთა მიდრეკილება. სი-ნამდვილეში, ეს ჯგუფიც კი სულ უფრო იხრება იმისაკენ, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იაპონია-ჩინეთის უფრო მჭიდრო ურთიერთობებს, მიიჩნევს რა, რომ თავისი მნიშვნე-ლობით ისინი შედარებით ოდნავ ჩამორჩებიან ამერიკასთან ურთიერთობებს.

მეორე მიმართულება არ უარყოფს იაპონიის გეოსტრატეგიუ-ლი პოლიტიკის ამერიკულთან გაიგივებას, მაგრამ მიიჩნევს, რომ იაპონიის ინტერესები საუკეთესო სახით შენარჩუნებულ იქ-ნება იმ ფაქტის გულწრფელი აღიარებითა და მიღებით, რომ იაპონია, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური „დერჟავაა“. მო-ცემული პერსპექტივა ყველაზე ხშირად ასოცირდება ქვეყნის სა-გარეო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ტრადიციუ-ლად გავლენიან ბიუროკრატიასა და წამყვან სავაჭრო და საექ-სპორტო წრეებთან. ამ თვალსაზრისით, იაპონიის შედარებითი დემილიტარიზაცია კაპიტალია, რომელიც ღირს, რომ შენარჩუ-ნებულ იქნეს. ვინაიდან, ამერიკა ქვეყანას უშიშროებით უზრუნ-

ველყოფს, იაპონია თავისუფალია, გაატაროს გლობალური ეკონომიკური ვალდებულებების პოლიტიკა, რომელიც თანდათან განამტკიცებს მის პოზიციებს მსოფლიოში.

იდეალურ მსოფლიოში მეორე მიმართულებას უკიდურეს შემთხვევაში მიდრეკილება ექნებოდა დე-ფაქტო ნეიტრალიტეტის პოლიტიკისადმი, თანაც, ამერიკა დაუპირისპირდებოდა ჩინეთის ძლიერებას, დაიცავდა რა ამგვარად ტაივანსა და სამხრეთ კორეას, რაც საშუალებას მისცემდა იაპონიას, განევითარებინა უფრო მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები მატერიკსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასთან. მაგრამ მხედველობაში თუ მივიღებთ არსებულ პოლიტიკურ რეალობებს, მერკანტილიზმის გლობალური სისტემის მომხრეები ამერიკა-იაპონიის კავშირს მიიჩნევენ როგორც აუცილებელ სტრუქტურას, იაპონიის შეიარაღებული ძალებისთვის შედარებით მოკრძალებული საბიუჯეტო ხარჯების ჩათვლით (რაც ჯერ კიდევ დიდად არ აღემატება პროდუქციის ხვერდითი წილის 1%-ს), თანაც ისინი არ მიისწრაფვიან, ეს ხელშეკრულება შეავსონ რაიმე მნიშვნელოვანი რეგიონული არსით.

მესამე ჯგუფი - პროაქტივისტური რეალისტები – წარმოადგენენ პოლიტიკოსებისა და გეოპოლიტიკური მოაზროვნეების ახალ კატეგორიას. ისინი თვლიან, რომ მდიდარ და განვითარებული დემოკრატიის მქონე იაპონიას აქვს როგორც შესაძლებლობები, ისე ვალდებულებები, რათა ცივი ომის დამთავრების შემდეგ მსოფლიოში განახორციელოს არსებითი გარდაქმნები, ამის განხორციელებისას მას ასევე შეუძლია მიაღწიოს მსოფლიო აღიარებას, რისი უფლებაც გააჩნია, როგორც ეკონომიკურად უძლიერეს „დერჟავას“, რომელიც 80-იან წლებში ისტორიულად იმყოფებოდა მსოფლიოს ჭეშმარიტად მცირერიცხოვან დიდ ერებს შორის. ამ გაცილებით ძლიერი იაპონიის პოზიციების სათავეებთან იდგა პრემიერ-მინისტრი იასუ-

ხირო ნაკასონე, მაგრამ ამ პერსპექტივის უფრო ცნობილი ახსნისთვის, შესაძლოა მიგვეკვლია ოძავას კომისიის იმ საწინააღმდეგო მოსაზრებაში, რომელიც 1994 წელს გამოქვეყნდა და დასახელებულია მინიშნებით, როგორც „პროგრამა ახალი იაპონიისათვის: ერის ხელახალი გააზრება“.

თავბრუდამხვევი კარიერის მქონე ცენტრისტული პოლიტიკური ლიდერის, კომისიის თავმჯდომარის, იტირო ოძავას სახელით დასათაურებული მოხსენება იცავდა, იერარქიული პოლიტიკური კულტურის დემოკრატიზაციას, ასევე, იაპონიის როგორც ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობის ხელახალ გააზრებასაც. არწმუნებდა რა იაპონიას, ყოფილიყო „ნორმალური ქვეყანა“, მოხსენება რეკომენდაციას უწევდა უსაფრთხოების სფეროში ამერიკა-იაპონიის კავშირის შენარჩუნებას, მაგრამ ის ასევე წინადადებას აძლევდა იაპონიას, უარი ეთქვა თავის საერთაშორისო პასიურობაზე, მიეღო აქტიური მონაწილეობა გლობალურ პოლიტიკაში, განსაკუთრებით, საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებისას. ამ მიზნით, მოხსენება, რეკომენდაციას იძლევა უცხოეთში იაპონიის სამხედრო მოსამსახურეთა გაგზავნაზე კონსტიტუციური შეზღუდვების მოხსნის შესახებ.

ყურადღების გამახვილება „ნორმალურ ქვეყნად“ გახდომის აუცილებლობაზე, ასევე, გულისხმობდა ამერიკული „უსაფრთხოების ფარისაგან უფრო მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ განთავისუფლებას. ამ თვალსაზრისის მომხრეები ამტკიცებენ, რომ იაპონია გლობალური მნიშვნელობის საკითხებზე უყოყმანოდ უნდა საუბრობდეს აზიის სახელით, იმის მაგიერ, რომ ავტომატურად მისდევდეს ამერიკის მაგალითს. მაგრამ ნიშანდობლივია, რომ ისინი დიდად არ გამოირჩეოდნენ თავიანთი ტრადიციებისადმი ერთგული კოლეგებისგან, რომლებიც გაურკვევლად მსჯელობდნენ ისეთ მნიშვნელოვანს კითხვებზე, როგორიცაა, ჩინეთის მზარდი რეგიონული როლი, ან კორეის მო-

მავალი, ამრიგად, იმაში, რაც რეგიონულ უსაფრთხოებას ეხებოდა, ისინი ჯერ კიდევ ძლიერ ტენდენციას განიცდიდნენ, იაპონიის პოლიტიკურ შეხედულებებში იზიარებდნენ, ამერიკის კომპეტენციაში დაეტოვათ ორივე საკითხი, მაშინ როდესაც იაპონიის როლი მხოლოდ ამერიკის ნებისმიერი გადაჭარბებული მისწრაფების შეკავებაში უნდა გამოვლენილიყო.

90-იანი წლების მეორე ნახევრისათვის ამ პროაქტივისტურმა რეალისტურმა ორიენტაციამ საზოგადოებრივ ორიენტაციაში უპირატესობა მოიპოვა და საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენა დაიწყო. 1996 წლის პირველ ნახევარში, იაპონიის მთავრობამ საუბარი დაიწყო იაპონიის „დამოუკიდებელ დიპლომატიაზე“ (აძიუსიუ გაიკო“). მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის, ყოველთვის ფრთხილი საგარეო საქმეთა მინისტრი უპირატესობას ანიჭებდა ეთარგმნათ ეს გამოთქმა უფრო ბუნდოვანი (ამერიკისათვის ალბათ ნაკლებ ქედმაღლური) ტერმინით –„პრაქტიკული დიპლომატია”.

მეოთხე მიმართულება – საერთაშორისო უტოპისტების მიმართულება – ნაკლებ გავლენიანია, ვიდრე ნებისმიერი ზემოთ მოხსენიებული, მაგრამ იაპონიის მსოფლმხედველობაში ზოგჯერ გამოიყენება იდეალისტური რიტორიკის დასამტკიცებლად. ის სახალხოდ ასოცირდება ისეთ გამოჩენილ მოღვაწეებთან, როგორიცაა, აკიო მორიტა „სონიდან“, რომელიც გაზვიადებულად მიიჩნევს იაპონიისათვის ზნეობრივად პრიორიტეტული გლობალური მიზნებისადმი დემონსტრაციულ ერთგულებას. ხშირად იყენებენ რა „ახალი გლობალური წესრიგის“ ცნებას, უტოპისტები იაპონიას (სწორედ იმიტომ, რომ ის არაა შებოჭილი გეოპოლიტიკური ვალდებულებებით), მსოფლიოს მეგობრობაში ჭეშმარიტად ჰუმანური პროგრამის შემუშავებასა და წინ წამოწევაში, გლობალური ლიდერს უწოდებენ.

ყველა ოთხივე მიმართულება თავს იყრის მთავარში: აზია-წყნარი ოკეანის უფრო მრავალმხრივი თანამშრომლობა პასუხობს იაპონიის ინტერესებს. ასეთ თანამშრომლობას, თავის დროზე, შეიძლება ჰქონდეს სამი დადებითი შედეგი: მას ძალუძს ზემოქმედება მოახდინოს ჩინეთზე (ასევე ფრთხილად შეაკავოს ის); შეუძლია დაეხმაროს ამერიკას, დარჩეს აზიაში თვით მისი ბატონობის თანდათანობით შესუსტების დროსაც კი; ასევე შეარბილოს ანტიიაპონური განწყობილებანი და ამგვარად, გაზარდოს იაპონიის გავლენა. თუმცა კი, საეჭვოა, რომ ის შექმნის იაპონიის რეგიონული გავლენის სფეროს, მაგრამ ალბათ შეძლებს, იაპონიას მოუტანოს რეგიონული პატივისცემის გარკვეული წილი, განსაკუთრებით ზღვისპირა ქვეყნებში რომლებიც ჩინეთის მზარდი ძლიერების გამო, მღელვარებას მოუცავს.

ყველა ოთხივე მსოფლმხედველობა ერთმანეთს ემთხვევა იმაში, რომ ჩინეთის ფრთხილი მენტორობა გაცილებით უმჯობესი იყო, ვიდრე მისი უშუალო შეკავების ის ნებისმიერი მცდელობა, რომელსაც ამერიკა ხელმძღვანელობდა. ფაქტობრივად, ამერიკის მეთაურობით ჩინეთის შეკავების სტრატეგიის ცნებას, ანდა თვით იმ კოალიციის არაოფიციალური გათანასწორების იდეას, რომელიც შემოფარგლულია კუნძულებრივი სახელმწიფოებით (ტაივანი, ფილიპინები, ბრუნეი და ინდონეზია) და რომელსაც მხარს უჭერენ იაპონია და ამერიკა, არ გააჩნიათ განსაკუთრებული მიმზიდველობა იაპონიის საგარეო-პოლიტიკური ისტებლიშმენტისთვის. იაპონიის წარმოდგენებში, ამგვარი მცდელობა მოითხოვდა როგორც იაპონიაში, ისევე კორეაში არა მარტო ამერიკის შეუზღუდავ და მნიშვნელოვან სამხედრო ყოფნას, არამედ შექმნიდა რა ჩინეთისა და ამერიკა-იაპონიის რეგიონული ინტერესების ფეთქებადსაშიშ გეოპოლიტიკურ ხლართს (იხ. რუკა XXIII), ის, სავარაუდოდ, ჩი-

ნეთთან შეჯახების გამართლებულ წინასწარმეტყველებად იქცეოდა[37]. ამის შედეგი იქნებოდა იაპონიის ევოლუციური ემანსიპაციის შეკავება და შორეული აღმოსავლეთის ეკონომიკური აყვავებისადმი მუქარა.

თანაც, საწინააღმდეგო აზრით, იაპონიასა და ჩინეთს შორის დიდი შერიგების მომხრედ გამოდის მცირერიცხოვანი ჯგუფი. კავშირების ასეთი კლასიკური ცვლილებების რეგიონული შედეგები ალბათ ერთობ საშიშია: „ამერიკის რეგიონიდან წასვლა, ასევე ტაივანისა და კორეის ჩინეთისადმი დაუყოვნებელი დამორჩილება, იაპონიის ჩინეთის მოწყალების იმედად დატოვების მანიშნებელი იქნებოდა. ასეთი პერსპექტივა, ალბათ, მცირერიცხოვანი ექსპერიმენტების გარდა, არავისთვის მომხიბვლელი არაა. ვინაიდან რუსეთი გეოპოლიტიკურად ნეიტრალიზებულია და ისტორიულად მოძულებული, არ არსებობს ერთობლივი აზრის ალტერნატივა იმაზე, რომ ამერიკასთან კავშირი ერთადერთ იმედად რჩება იაპონიისათვის. მის გარეშე იაპონია ვერ შეძლებს ვერც ნავთობის მუდმივი მომარაგების უზრუნველყოფას, ვერც ჩინეთის (და ალბათ, ჩქარა, ასევე კორეის) ატომური ბომბისგან თავდაცვას. რეალური პოლიტიკის ერთადერთი კითხვაა: ყველაზე უკეთ როგორ უნდა მოხდეს ამერიკული კავშირების მანიპულირება იმისთვის, რომ შენარჩუნებულ იქნეს იაპონიის ინტერესები?

ამის შესაბამისად,იაპონელები მოჰყვებიან ამერიკელთა სურვილებს, განამტკიცონ ამერიკა-იაპონიის სამხედრო თანამშრომლობა, რომელიც, როგორც ჩანს, სულ უფრო გაფართოებად საზღვრებს იცავს: შედარებით მცირე „შორეული

---

37 ზოგიერთ იაპონელ კონსერვატორს ხიბლავს იაპონია-ტაივანის კავშირების განსაკუთრებული ცნება და ამ მიზნის მისაღწევად 1996 წელს შექმნილ იქნა „იაპონია-ტაივანის" პარლამენტარების ასოციაცია. ჩინეთის რეაქცია, როგორც მოსალოდნელი იყო, მტრული იყო.


1 ყირგიზეთი
2 ტაჯიკეთი
3 ლაოსი
4 ტაილანდი
5 კამბოჯა
6 ვიეტნამი
რუსეთი
ყაზახეთი
მონღოლეთი
ჩინეთი
ინდოეთი
ბირმა
მალაზია
ინდონეზია
ნაბანარი
ოკეანე
ინდოეთის
ოკეანე
ამერიკა-იაპონიის ანტიჩინური კოალიცია
ჩინეთთან, როგორ მსოფლიო „დერეკავასთან“ გავლენის ზომების ნანილობრივი დამთხვევა

რუკა XXIII

აღმოსავლეთიდან“ უფრო ფართო „აზია-წყნარ ოკეანეს“ ფორ-
მულამდე. ამის შესაბამისად, 1996 წლის დასაწყისში, ე. წ. იაპო-
ნია-ამერიკის თავდაცვითი პრინციპების განხილვისას, იაპონიის
მთავრობამ, ასევე დაბეჯითებით მოითხოვა იაპონიის თავდაც-
ვითი ძალების მიერ ფრაზის „შორეული აღმოსავლეთის საგან-
გებო სიტუაციის“, „იაპონიის მეზობელ რეგიონებში საგანგებო
სიტუაციით“ შეცვლის შესაძლებელ გამოყენებაზე. მოცემულ სა-
კითხებში იაპონიის მზადყოფნას, დაეხმაროს ამერიკას, ასევე
ამოძრავებს გარკვეული ეჭვები აზიაში ამერიკელთა ძლიერე-
ბის საკმაოდ ხანგრძლივად ყოფნასა და შეშფოთებასთან და-
კავშირებით, რომ ჩინეთის აღზევებას და მასთან დაკავშირებით
ამერიკის მოჩვენებით განგაშს, მომავალში, რომელიღაც მო-
მენტში, მაინც შეუძლია, იაპონიას თავს მოახვიოს მიუღებელი
არჩევანი: დარჩეს ამერიკასთან ჩინეთის წინააღმდეგ, ან ამერი-
კის გარეშე ჩინეთთან კავშირში.

იაპონიისათვის ეს ფუნდამენტური დილემა ასევე შეიცავს ის-
ტორიულ იმპერატივს: რამდენადაც დომინირებულ რეგიონულ
„დერჟავად“ გარდაქმნა არ წარმოადგენს პრაქტიკულად გან-
ხორციელებად მიზანს და რამდენადაც, რეგიონული ბაზის გა-
რეშე არარეალურია ჭეშმარიტად ყოვლისმომცველი გლობა-
ლური ძალის შეძენა, აქედან გამომდინარეობს, რომ იაპონიას
შეუძლია, უკიდურეს შემთხვევაში შეიძინოს გლობალური ლი-
დერის სტატუსი დედამიწის სფეროზე მშვიდობისმყოფელ ოპე-
რაციებში აქტიური მონაწილეობის მიღებით და ეკონომიკური
განვითარებით. ისარგებლებდა რა ამერიკა-იაპონიის სამხედ-
რო კავშირის უპირატესობით იმისათვის, რომ უზრუნველეყო
შორეულ აღმოსავლეთში სტაბილურობა ისე, რომ უფლება არ
ჰქონოდა ჩართულიყო ანტიჩინურ კოალიციაში, იაპონიას შეეძ-
ლო რისკის გარეშე მოეპოვებინა თავისთვის განსაკუთრებული
და გავლენიანი როლი მსოფლიოში, როგორც „დერჟავას“,

რომელიც ხელს უწყობდა ჭეშმარიტ ინტერნაციონალურ და უფრო ეფექტურად ორგანიზებულ თანამშრომლობას, იაპონიას ალბათ შეეძლო, ამგვარად ქცეულიყო კანადის უფრო მძლავრ და გავლენიან ეკვივალენტად მსოფლიოში: სახელმწიფოდ, რომელსაც პატივს სცემენ თავისი სიმდიდრის კონსტრუქციული გამოყენებისა და ძლიერებისთვის, მაგრამ ისეთად, რომლისაც არ ეშინიათ, და, რომელიც არ იწვევს გაღიზიანებას.

ამერიკის გეოსტრატეგიული ადაპტაცია

ამერიკის პოლიტიკის ამოცანა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ დარწმუნებულები იყვნენ იაპონიის არჩევანის მიმდევრობაში და, რომ ჩინეთის აღზევების დონე რეგიონში უპირატესობის მიღებამდე ხელს არ შეუშლის აღმოსავლეთ აზიის ძალთა სამმხრივ სტაბილურ ბალანსს. როგორც იაპონიის, ისე ჩინეთის მართვის გაძლიერება და სამმხრივი სტაბილური ურთიერთობის მხარდაჭერა, რომელიც ამერიკასაც მოიცავს, ამერიკისგან მოითხოვს დიპლომატიურ უნარიანობასა და პოლიტიკური წარმოდგენების სერიოზულ დაძაბვას. წარსულის იმ მუქარის აკვიატებულობაზე უარის თქმა, რომელიც, თითქოსდა, გამომდინარეობს იაპონიის ეკონომიკური ზრდისა და ჩინეთის პოლიტიკური კუნთების თამაშისადმი შიშისაგან, დაგვეხმარებოდა, ცივი რეალიზმი ჩაგვებერა პოლიტიკაში, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს გულმოდგინედ გათვლილ სტრატეგიას: როგორ მოვაქციოთ იაპონიის ენერგია საერთაშორისო კალაპოტში და როგორ წარვმართოთ ჩინეთის ძლიერება რეგიონის ინტერესებისათვის.

მხოლოდ ასეთი მოქმედებით ექნება ამერიკას შესაძლებლობა ევრაზიის აღმოსავლეთ მატერიკულ ნაწილში შეიძინოს ეკვივალენტი, რომელიც გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, მონათესავე იქნება ევრაზიის დასავლეთ პერიფერიაში ევროპის როლისა, ე. ი. შექმნას რეგიონალური სიძლიერის ისეთი სტრუქტურა, რომელიც დაფუძნებული იქნება საერთო ინტერესებზე. მაგრამ ევროპული მოვლენებისაგან განსხვავებით, მატერიკის აღმოსავლეთში, დემოკრატიული პლაცდარმი ჩქარა არ გაჩნდება. ამის მაგიერ იაპონიასთან ორიენტაციაშეცვლილი

კავშირი შორეულ აღმოსავლეთში ამერიკისთვის საფუძვლად უნდა ქცეულიყო ჩინეთის უპირატესობის მქონე რეგულირების მისაღწევად.

ამ თავის წინა ორ ნაწილში მოცემული ანალიზიდან ამერიკისთვის რამდენიმე შემდეგი მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური დასკვნა გამომდინარეობს:

გავრცელებულია ცხოვრებისეული სიბრძნე, რომ ჩინეთი ეს შემდგომი მსოფლიო „დერჟავა“, ბადებს პარანოიას ჩინეთის მიმართ და ხელს უწყობს ჩინეთის განდიდების მანიის განვითარებას. შიში აგრესიული და ანტაგონისტური ჩინეთის მიმართ, რომელსაც ბედმა არგუნა, კიდევ ერთ მსოფლიო „დერჟავად“ გადაიქცეს, უკეთეს შემთხვევაში, ნაადრევია, უარესში კი – შეიძლება იქცეს თვითგანხორციელებად წინასწარმეტყველებად. აქედან გამომდინარე, იმ კოალიციის ორგანიზაცია, რომელიც მიმართული იქნება ჩინეთის მსოფლიო „დერჟავის დონემდე ამაღლების წინააღმდეგ, ალბათ, მიგვიყვანდა უკუშედეგამდე. ეს მხოლოდ გარანტიას შექმნიდა იმისათვის, რომ, რეგიონულად გავლენიანი ჩინეთი მტრულად განწყობილიყო. იმავდროულად, ნებისმიერი მსგავსი ძალისხმევა, სავარაუდოდ, მიგვიყვანდა ამერიკა-იაპონიის ურთიერთობების დაძაბვამდე, რადგანაც იაპონელთა უმრავლესობა უეჭველად წინააღმდეგი იქნებოდა ასეთი კოალიციისა. შესაბამისად, შეერთებულმა შტატებმა თავი უნდა შეიკავოს იაპონიაზე ზეგავლენის მოხდენისაგან იმ მიზნით, რომ აიძულოს ის, იკისროს დიდი პასუხისმგებლობა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის თავდაცვის უზრუნველყოფის სფეროში. ამ მიმართულებით ძალისხმევა მხოლოდ ხელს შეუშლის იაპონიასა და ჩინეთს შორის სტაბილური ურთიერთობების აღმოცენებას და, იმავდროულად კიდევ მეტად იზოლაციაში მოაქცევს იაპონიას რეგიონში.

მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ჩინეთი, სინამდვილეში, საეჭ-ვოა, ჩქარა აღზევდეს მსოფლიოს „დერჟავამდე“ – და, სწო-რედ ამ მიზეზით, გონივრული არ იქნება განხორციელდეს ჩინე-თის რეგიონული შეკავების პოლიტიკა – სასურველია, ჩინეთს მოვექცეთ, როგორც გლობალურად მნიშვნელოვან მოქმედ პირს. ჩინეთის უფრო ფართო საერთაშორისო თანამშრომლო-ბაში ჩართვამ და მისთვის იმ სტატუსის მინიჭებამ, რომელსაც ის ნატრობს, შეიძლება იქონიოს ჩინეთის ეროვნული ამბიციების უფრო მწვავე მომენტების მოდუნების ეფექტი. ამ მიმართულე-ბით მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა ჩინეთის მსოფლიოს წამ-ყვანი ქვეყნების, ე. წ. „დიდი შვიდეულის“ ყოველწლიურ სამიტ-ში ჩართვა, განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ რუსეთი უკვე მიიწ-ვიეს მასში.

მიუხედავად მოჩვენებითობისა, ჩინეთს სინამდვილეში არა აქვს დიდი სტრატეგიული არჩევანი. ჩინეთში ხანგრძლივი ეკო-ნომიკური წარმატებები დიდად არის დამოკიდებული დასავლე-თის კაპიტალისა და ტექნოლოგიების მოდინებაზე, აგრეთვე, უცხოეთის ბაზრებზე დაშვებაზე. ეს კი არსებითად ზღუდავს მის არჩევანს. არასტაბილურ და გაღატაკებულ რუსეთთან კავშირი, ალბათ არ გაზრდიდა ჩინეთის ეკონომიკურ ან პოლიტიკურ პერსპექტივებს (ეს კი რუსეთისათვის დამორჩილებად აღიქმე-ბოდა) ამრიგად, ეს გეოსტრატეგიული არჩევანი პრაქტიკულად განუხორციელებელია იმ შემთხვევაშიც კი, თუ ტაქტიკური თვალსაზრისით, როგორც ჩინეთისათვის, ისე რუსეთისათვის, ამ იდეასთან გათამაშება მიმზიდველი იქნებოდა. ჩინეთისათვის უფრო უშუალო რეგიონალური და გეოპოლიტიკური მნიშვნე-ლობა აქვს ირანისა და პაკისტანისთვის დახმარებას, მაგრამ ესეც, არ წამოადგენს ამოსავალ პუნქტს მსოფლიო „დერჟავის“ სტატუსის სერიოზული ძიებისათვის. უკანასკნელი საშუალების ვარიანტად შეიძლება იქცეს „ანტიჰეგემონური“ კოალიცია იმ

შემთხვევაში, თუ ჩინეთი იგრძნობს, რომ მისი ეროვნული ან რეგიონალური მისწრაფებები იბლოკება შეერთებული შტატების მიერ (იაპონიის მხარდაჭერით). მაგრამ ეს იქნებოდა იმ ღარიბების კოალიცია, რომლებიც, ასეთ შემთხვევაში, · უეჭველად ღარიბებად დარჩებოდნენ საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე.

დიდი ჩინეთი აღმოცენდება, როგორც რეგიონულად დომინირებული „დერჟავა“. ასეთად არსებობისას მას შეუძლია ისეთნაირად მოახვიოს თავისი ნება მეზობლებს, რომ დესტაბილურობის მატარებელი აღმოჩნდეს რეგიონში, ან, ჩინეთის წარსული იმპერიული ისტორიის მიხედვით, შეიძლება დაკმაყოფილდეს უფრო ირიბი ზეგავლენის მოხდენით. აღმოცენდება თუ არა გავლენის ჰეგემონისტური ან პატივისცემის უფრო ბურუსით მოცული სფერო, ნაწილობრივ დამოკიდებულია იმაზე, რამდენად მკაცრი და ავტორიტეტული დარჩება ჩინური რეჟიმი, ნაწილობრივ იმაზეც, როგორ რეაგირებას მოახდენენ დიდი ჩინეთის ასეთ გამოვლენაზე ძირითადი გარეშე მოქმედი პირები. კერძოდ კი, ამერიკა და იაპონია. უბრალო დამაშოშმინებელ პოლიტიკას კი, ალბათ, შეეძლო, ხელი შეეწყო ჩინეთის უფრო მტკიცე პოზიციებისთვის, მაგრამ ასეთი ჩინეთის გამოჩენის უბრალო დამაბრკოლებელი პოლიტიკაც კი, გარდუვალად იმავე შედეგს მოგვცემდა. ფრთხილი დაახლოება ერთ საკითხში და ზუსტი გამიჯვნა მეორეში, ალბათ, დაგვეხმარებოდა ორივე უკიდურესობის თავიდან აცილებაში.

ნებისმიერ შემთხვევაში, ევრაზიის ზოგიერთ სფეროში, დიდ ჩინეთს შეეძლო მოეხდინა ისეთივე გეოპოლიტიკური ზეგავლენა, რომელიც შესაბამისი იქნებოდა ამერიკის დიდი გეოსტრატეგიული ინტერესებისა. სტაბილურ, მაგრამ პოლიტიკურად პლურალისტურ ევრაზიაში, მაგალითად, ჩინეთის მზარდი ინტერესი შუა აზიისადმი გარდუვალად ზღუდავს რუსეთის თავი-

სუფალ მისწრაფებას, ნებისმიერი ფორმით მიაღწიოს მოსკოვის კონტროლის ქვეშ რეგიონის პოლიტიკურ რეინტეგრაციას. ამასთან, სპარსეთის ყურესთან დაკავშირებულ ენერგეტიკაში ჩინეთის მზარდი მოთხოვნილება კარნახობს, ერთობლივი ინტერესები ჰქონდეს ამერიკასთან ნავთობმომპოვებელ რეგიონებში თავისუფალი დაშვებისა და იქ პოლიტიკური სტაბილურობის დამყარების მხარდაჭერის საქმეში. ჩინეთის მიერ პაკისტანისადმი ასეთივე სახით გაწეული მხარდაჭერა აკავებს ინდოეთის ამბიციებს, დაიმორჩილოს ეს ქვეყანა და კომპენსაციას უწევს ინდოეთის განზრახვას, ავღანეთის საშუალებით ითანამშრომლოს რუსეთთან და შუა აზიასთან. დაბოლოს, ჩინეთისა და იაპონიის მონაწილეობას აღმოსავლეთ ციმბირის განვითარებაში, ანალოგიურად შეუძლია დაეხმაროს, გააძლიეროს რეგიონალური სტაბილურობა. ეს საერთო ინტერესები უნდა გაირკვეს ხანგრძლივი სტრატეგიული დიალოგის გზით[38].

არსებობენ ასევე ოლქები, სადაც ჩინეთის ამბიციები შეიძლება შეეჯახოს ამერიკის (ასევე, იაპონიის) ინტერესებს, განსაკუთრებით, თუ ეს ამბიციები რეალიზებული უნდა იყოს ისტორიული თვალსაზრისით, უფრო ნაცნობი ძლიერი ხელის ტაქტიკის საშუალებით. ეს ეხება, კერძოდ, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას, ტაივანსა და კორეას.

---

38 1996 წელს ჩინეთის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის უმაღლეს წარმომადგენელთა შეხვედრის დროს მე (ვსარგებლობდი დროგამოშვებით, განზრახ ბურუსით მოსილი ფორმულირებებით) ასეთი დიალოგისთვის დავადგინე ურთიერთზიარი სტრატეგიული ინტერესების შემდეგი სფეროები: 1. მშვიდობიანი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია; 2. სასაზღვრო ზონებთან დაკავშირებული საკითხების მიმართ ძალისმიერი გადაწყვეტილების არმიღება; 3. ჩინეთის მშვიდობიანი გაერთიანება; 4. კორეაში სტაბილურობა; 5. შუა აზიის დამოუკიდებლობა; 6. ინდოეთსა და პაკისტანს შორის თანაფარდობა; 7. ეკონომიკურად დინამიკური და საერთაშორისო მნიშვნელობით თვინიერი იაპონია; 8. სტაბილური, მაგრამ არა განსაკუთრებით ძლიერი რუსეთი.

სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია პოტენციურად ერთობ მდიდარია, გეოგრაფიულად აქვს საკმაოდ დიდი განფენილობა და, უბრალოდ, ერთობ დიდია იმისთვის, რომ ადვილად დაიმორჩილოს თვით უძლიერესმა ჩინეთმა, მაგრამ ის ამასთან, სუსტია და პოლიტიკურად ერთობ დანაწევრებული, რომ არ იქცეს ჩინეთისათვის, სულ მცირე, პატივისცემის სფეროდ. ჩინეთის რეგიონში გავლენა, რომელსაც ხელს უწყობს მისი ფინანსური და ეკონომიკური ყოფნა ამ რეგიონის ყველა ქვეყანაში, აუცილებლად გაიზრდება მისი ძლიერების შესაბამისად. ბევრი რამ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გამოიყენებს ჩინეთი ამ სიძლიერეს, თუმცა, აშკარაა არაა, აქვს თუ არა ამერიკას რაიმე ინტერესი, უშუალოდ გამოვიდეს მის წინააღმდეგ ანდა ჩათრეული აღმოჩნდეს ისეთი საკითხების დავაში, როგორიცაა, სამხრეთ ჩინეთის ზღვის მიმართ უთანხმოება. ჩინელებს გააჩნიათ საკმარისი ისტორიული გამოცდილება, უნარიანად მართონ არათანასწორუფლებიანი (ან დამოკიდებულებითი) უთანხმოებები და, რა თქმა უნდა, თავიანთი ინტერესებისათვის გამოავლენენ აუცილებელ თავშეკავებას, რათა თავიდან აიცილონ ჩინეთის იმპერიალიზმის წინაშე რეგიონული შიში. ამ შიშმა შეიძლება წარმოშვას რეგიონული, ანტიჩინური კოალიცია (ამასთან დაკავშირებით ზოგიერთი ფარული მინიშნება გაჩნდა აღმოცენებად ინდონეზია-ავსტრალიის სამხედრო თანამშრომლობაში), რომელიც, ყველაზე უფრო სავარაუდოა, შემდეგ შეეცდება შეერთებული შტატების, იაპონიისა და ავსტრალიის მხარდაჭერის მოპოვებას.

დიდი ჩინეთი, განსაკუთრებით ჰონკონგის მონელების შემდეგ, სავარაუდოა, რომ უფრო ენერგიულად მოინდომებს მატერიკთან ტაივანის შეერთებას. მნიშვნელოვანია, ღირსეულად შევაფასოთ ის ფაქტი, რომ ჩინეთი არასდროს ეთანხმებოდა ტაივანს უვადო გამოყოფაზე. ამიტომ, რომელიღაც მომენტში, ამ

საკითხმა შეიძლება უშუალო შეჯახება გამოიწვიოს ამერიკელებსა და ჩინელებს შორის, ამის შედეგი ყველა მებრძოლი მხარისთვის ალბათ, ყველაზე დამღუპველი იქნებოდა: ჩინეთის ეკონომიკური პერსპექტივები შეფერხდებოდა, ამერიკის იაპონიასთან კავშირები ძლიერ დაიძაბებოდა, ამერიკელების ძალისხმევა კი, აღმოსავლეთ ევრაზიაში ძალთა სტაბილური თანაფარდობის შექმნასთან დაკავშირებით, შეიძლება ჩაშლილიყო.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ საკითხში ყველაზე მეტი გარკვეულობის მიღწევა და ურთიერთმხარდაჭერა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩინეთს ახლო მომავალში ტაივანის იძულების ეფექტური საშუალებების ნაკლებობა არ ექნება, რაც ერთობ საეჭვოა, პეკინს უნდა ესმოდეს და საიმედოდ იყოს დარწმუნებული იმაში, რომ ამერიკის თანხმობა ტაივანის იძულებითი რეინტეგრაციის მცდელობებთან დაკავშირებით, რაც სამხედრო ძალის გამოყენებით იქნება მიღწეული, იმდენად დამანგრეველი იქნებოდა ამერიკელთა პოზიციებისთვის შორეულ აღმოსავლეთში, რომ სამხედრო თვალსაზრისით ის უბრალოდ ვერ შეძლებდა, უფლება მიეცა თავისი თავისთვის პასიური დარჩენილიყო, მაშინაც კი, თუ ტაივანი ვერ შეძლებდა თავის დაცვას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამერიკას ჩარევა მოუწევდა არა განკერძოებული ტაივანის, არამედ, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში ამერიკის გეოპოლიტიკური ინტერესების მიზნით. ეს დიდი განსხვავებაა, შეერთებულ შტატებს არსებითად არა აქვს განსაკუთრებული ინტერესი განკერძოებული ტაივანისადმი, სინამდვილეში მათი ოფიციალური პოზიცია იყო და უნდა დარჩეს აზრი იმის შესახებ, რომ არსებობს მხოლოდ ერთი ჩინეთი, მაგრამ იმან, თუ ჩინეთი როგორ განახორციელებს ამ გაერთიანებას, შეიძლება ზიანი მიაყენოს ამერიკის სასიცოცხლოდ მნიშ-

ვნელოვან ინტერესებს და, ეს ჩინელებმა აუცილებლად აშკარად უნდა აღიქვან.

ტაივანის საკითხი ამერიკას ასევე სჭირდება კანონიერ მიზეზად იმისთვის, რომ ჩინეთთან თავის ურთიერთობებში აღძრას ადამიანის უფლებების შესახებ საკითხი ისე, რომ თავი იმართლოს ჩინეთის საშინაო საქმეებში ჩარევის ბრალდებების საპასუხოდ. სრულიად მართებულად ხელახლა უნდა გავუმეოროთ პეკინს, რომ გაერთიანება დასრულდება მხოლოდ მაშინ, როცა ჩინეთი იქცევა უფრო შეძლებულ და უფრო დემოკრატიულ ქვეყნად. მხოლოდ ასეთი ჩინეთი შეძლებს მიიზიდოს ტაივანი და მოახდინოს მისი ასიმილირება დიდ ჩინეთში, რომელიც, თავის მხრივ, ასევე მზადაა იმისთვის, რომ იყოს კონფედერაცია, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა პრინციპზე: „ერთი ქვეყანა, სხვადასხვა სისტემა“. ნებისმიერ შემთხვევაში, ტაივანის გამო ჩინეთის კერძო ინტერესებში შედის ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემის გაზრდა და ამიტომ ამერიკისათვის დროულია, აღძრას ეს პრობლემა.

იმავდროულად, შეერთებულ შტატებს ვალად ედება შეასრულოს ჩინეთისთვის მოცემული დაპირება – თავი შეიკავოს ტაივანის ნებისმიერი საერთაშორისო სტატუსის ამაღლების პირდაპირი ან ირიბი მხარდაჭერისაგან. 90-იან წლებში ზოგიერთი ამერიკა-ტაივანის კონტაქტი იმის შთაბეჭდილებას ქმნიდა, რომ შეერთებულმა შტატებმა აფიშირების გარეშე დაიწყეს ტაივანთან ისეთი ურთიერთობები, თითქოს ის დამოუკიდებელი ქვეყანა ყოფილიყო და ჩინელთა აღშფოთება ამასთან დაკავშირებით გასაგები იყო, ისევე, როგორც მათი აღშფოთება ოფიციალურ პირთა ძალისხმევის ინტენსიფიკაციის მიმართ, მიეღოთ ტაივანის სტატუსი, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის საერთაშორისო აღიარება.

ამიტომ შეერთებულმა შტატებმა აშკარად უნდა განაცხადოს, რომ ტაივანთან ურთიერთობებში უარყოფითად აისახება უკანასკნელის ძალისხმევა, შეცვალოს მმართველ ურთიერთობებში დიდი ხნის წინ დაწესებული განზრახ დაშვებული ორსახოვნება ჩინეთსა და ტაივანს შორის. მეტიც, თუკი ჩინეთი შეძლებული და სინამდვილეში დემოკრატიული გახდება და მის მიერ ჰონკონგის შთანთქმას არ დაემატება ადამიანის უფლებათა სფეროში რეგრესი, ასევე, სანამ სრუტის ორივე მხარის საბოლოო გაერთიანების ვადების დადგენა არ მომხდარა, ამერიკელების მიერ სტიმულირებული სერიოზული დიალოგი ხელს შეუწყობდა დემოკრატიზაციის მიზნით ჩინეთზე ზეგავლენის მოხდენას. იმავდროულად კი, განავითარებდა შეერთებულ შტატებსა და დიდ ჩინეთს შორის ფართო სტრატეგიულ ურთიერთობებს.

კორეას, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ აზიაში გეოპოლიტიკურად ცენტრალურ სახელმწიფოს, კვლავ შეეძლო გამხდარიყო განხეთქილების წყარო ამერიკასა და ჩინეთს შორის, მისი მომავალიც, ასევე, უშუალო ზემოქმედებას მოახდენდა ამერიკასა და იაპონიას შორის კავშირებზე. სანამ კორეა გაყოფილი რჩება და პოტენციურად მოწყვლადია არასტაბილურ ჩრდილოეთსა და სულ უფრო გამდიდრებად სამხრეთს შორის ომისათვის, ამერიკის ძალებს მოუწევთ ნახევარკუნძულზე დარჩენა. ამერიკელთა ცალმხრივი წესით კორეის ნებისმიერი მიტოვება ალბათ არა მარტო დააჩქარებდა ახალ ომს, არამედ, ყოველ შემთხვევაში, სრული ალბათობით, მიანიშნებდა ამერიკელთა იაპონიაში სამხედრო ყოფნას კორეიდან წასვლის შემდეგ, რატომ აგრძელებენ იაპონელები ამერიკელთა ჯარის იაპონიის ტერიტორიაზე ხანგრძლივი დისლოცირების იმედზე ყოფნას. საერთოდ, რეგიონში ფართო დესტაბილიზებადი მოვლენების

სავარაუდო შედეგი, ალბათ, იქნებოდა იაპონელების სასწრაფო ხელახალი შეიარაღება.

მაგრამ კორეის გაერთიანება, როგორც ჩანს, ალბათ, ასევე, წარმოქმნიდა სერიოზულ დილემებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამერიკის ჯარები გაერთიანებულ კორეაში დარჩებოდნენ, ისინი ჩინელების მიერ აუცილებლად შეფასდებოდნენ ჩინეთის წინააღმდეგ დაპირისპირებულ ძალებად. მართლაცდა, საეჭვოა, რომ ჩინელები დათანხმებოდნენ ასეთ პირობებს. გაერთიანება თანდათანობით რომ განხორციელებულიყო, ეგრეთ წოდებული არამკაცრი მეთოდის გამოყენებით, ჩინეთი პოლიტიკურად ალბათ მის წინააღმდეგ გამოვიდოდა და მხარს დაუჭერდა ჩრდილოეთ კორეაში იმ ელემენტებს, რომლებიც წინააღმდეგობას გაუწევდნენ გაერთიანებას. ეს გაერთიანება რომ განხორციელებულიყო ძალადობრივი გზით და ჩრდილოეთ კორეა „ხმაურით წარმოჩენილიყო“, ალბათ, შეუძლებელი იქნებოდა ჩინეთის სამხედრო ჩარევის გამორიცხვაც კი. ჩინეთის პერსპექტივებით გაერთიანებული კორეა ალბათ, მისაღები იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ ის, იმავდროულად, არ ნიშნავდეს ამერიკელთა ხელისუფლების გავრცელებას (იაპონიის უკანა ხაზზე პლაცდარმის სახით).

მაგრამ გაერთიანებულ კორეას მის მიწაზე ამერიკელთა ჯარების გარეშე, სრულიად სავარაუდოა, თავდაპირველად ჩინეთსა და იაპონიას შორის ნეიტრალიტეტის ფორმისადმი ექნებოდა მიდრეკილება, შემდეგ კი, ნაწილობრივ შემორჩენილი, მაგრამ ჯერ კიდევ ძლიერი ანტიიაპონური განწყობით ამოქმედებულს, ან ჩინეთის პოლიტიკურად უფრო დადებითი გავლენის, ანდა უფრო დელიკატური ურთიერთობებისადმი მისწრაფებები გაუჩნდებოდა. მაშინ დაისმოდა კითხვა: მოისურვებდა კი იაპონია კვლავ დარჩენილიყო აზიაში ამერიკელთა ძალების ერთადერთ საყრდენად? სულ მცირე, რასაც ასეთი კითხვა გამოიწ-

ვევდა – იქნებოდა სერიოზული უთანხმოება იაპონიის საშინაო პოლიტიკის ჩარჩოებში. შორეულ აღმოსავლეთში ამერიკელთა სამხედრო მოქმედების რადიუსის ნებისმიერი შემცირება, თავის მხრივ, ალბათ, უფრო დაამძიმებდა ევრაზიაში ძალთა სტაბილური თანაფარდობის შენარჩუნებას. ამრიგად, ეს მოსაზრებები ზრდიდა ამერიკელთა და იაპონელთა ფსონებს კორეის სტატუს-კვოში (თუმცა კი, თითოეულ შემთხვევაში, სხვადასხვა განსხვავებული მიზეზით) და თუ ეს სტატუს-კვო უნდა შეცვლილიყო, მაშინ ეს უნდა მომხდარიყო ძალიან ნელა, უფრო ამერიკა-ჩინეთის რეგიონული ურთიერთგაგების გაღრმავების ფონზე.

ამასობაში, ჭეშმარიტი დაზავება იაპონიასა და კორეას შორის, სავარაუდოდ, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს რეგიონში ნებისმიერი საბოლოო გაერთიანებისთვის უფრო სტაბილური მდგომარეობის შესაქმნელად. სხვადასხვა საერთაშორისო გართულებანი, რომელიც შეიძლება აღმოცენდეს კორეის რეინტეგრაციის შედეგად, შეიძლება შერბილდეს იაპონიასა და კორეას შორის ჭეშმარიტი შერიგებით, რაც საბოლოოდ მიგვიყვანდა ამ ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის გაფართოებასა და ურთიერთსავალდებულო პოლიტიკამდე. შეერთებულ შტატებს შეუძლია, გადამწყვეტი როლი ითამაშოს ასეთი შერიგების ხელშეწყობაში. ალბათ შესაძლო იყო გამოგვეცადა ის მრავალი კონკრეტული ნაბიჯი, რომლებიც ჯერ გამოყენებულ იქნა გერმანიასა და საფრანგეთს, მოგვიანებით, გერმანიასა და პოლონეთს შორის (მაგალითად, ერთობლივი საუნივერსიტეტო პროგრამებიდან გაერთიანებულ სამხედრო ფორმირებამდე). საერთო მომცველი და რეგიონული თვალსაზრისით, მასტაბილიზებელი იაპონია-ჩინეთის პარტნიორობა, ალბათ, შეამსუბუქებდა შორეულ აღმოსავლეთში ამერიკელთა

შემდგომ ყოფნას, შესაძლოა, თვით კორეის გაერთიანების შემ-
დეგაც კი.

თითქმის თავისთავად ცხადია, რომ ამერიკის გლობალური
გეოსტრატეგიული ინტერესების ჩარჩოებში შედის იაპონიასთან
მჭიდრო პოლიტიკური თანამშრომლობა. მაგრამ იაპონია იქნე-
ბა ამერიკის ვასალი, მეტოქე, თუ პარტნიორი დამოკიდებულია
ამერიკელებისა და იაპონელების უნარზე, უფრო ზუსტად გან-
საზღვრონ ერთობლიობაში რომელი საერთაშორისო მიზნების
განხოციელებას აპირებენ და მკვეთრად აღნიშნონ შორეულ
აღმოსავლეთში ამერიკელთა გეოსტრატეგიულ მისიასა და
მსოფლიო „დერჟავის“ როლისადმი იაპონიის მისწრაფებებს
შორის გამყოფი ხაზი. მიუხედავად საგარეო პოლიტიკის შესა-
ხებ შინაგანი დებატებისა, იაპონიის საერთაშორისო ორიენტა-
ციაში ურთიერთობები ამერიკასთან ჯერ კიდევ რჩება ცენტრა-
ლურ შუქურად. დეზორიენტირებული იაპონია, რომლის გადახ-
რა ხელახალი შეიარაღების მხარეზე ან ჩინეთთან განკერძოე-
ბით დაახლოებაზე, ამერიკელების როლის დასასრული იქნე-
ბოდა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში, ჩაშლიდა რეგიონალურ
სტაბილურ სამმხრივი შეთანხმების მიღწევას ამერიკის, იაპო-
ნიისა და ჩინეთის მონაწილეობით. ეს, თავის მხრივ, ხელს შე-
უშლიდა ევრაზიაში იმ პოლიტიკური თანაფარდობის შექმნას,
რომელიც ამერიკელების მიერ იქნებოდა მართვადი.

მოკლედ რომ ვთქვათ, დეზორიენტირებული იაპონია დაემ-
სგავსებოდა ნაპირზე გამორიყულ ვეშაპს, რომელიც შიშის მომ-
გვრელად იფართხალებდა, მაგრამ უმწეო იქნებოდა. ამას,
ალბათ, შეეძლო მოეხდინა აზიის დესტაბილიზება, მაგრამ არ
შეეძლო შეექმნა ცხოვრებისეული ალტერნატივა ამერიკას, ია-
პონიასა და ჩინეთს შორის მასტაბილიზებელი თანაფარდობი-
სათვის. მხოლოდ იაპონიასთან მჭიდრო ალიანსის საშუალე-
ბით შეეძლო ამერიკას, საჭირო კალაპოტში მიემართა ჩინეთის

რეგიონული მისწრაფებები და შეეკავებინა მათი მოულოდნელი აღმოცენება. მხოლოდ ამ ნიადაგზეა შესაძლებელი, მოახერხო და განახორციელო რთული სამმხრივი რეგულირება – რეგულირება, რომელიც ეხება ამერიკის მსოფლიო სიძლიერეს, ჩინეთის რეგიონალურ უპირატესობას და იაპონიის საერთაშორისო ლიდერობას.

აქედან გამომდინარე, ახლო მომავალში, იაპონიაში (და ამის შესაბამისად კორეაშიც) აშშ-ის შეიარაღებული ძალების შემცირება არასასურველია. გარდა ამისა, ასევე, არასასურველია ნებისმიერი გეოპოლიტიკური მასშტაბით და რეალური ჩამონათვალით იაპონიის სამხედრო ძალისხმევის მოცულობის მნიშვნელოვანი გაზრდა. ამერიკელთა ჯარების დიდი რაოდენობით გამოყვანა, სავარაუდოა, რომ უფრო გვაიძულებს ვიფიქროთ, იაპონიის შეიარაღების დიდ პროგრამაზე, მაშინ როცა ამერიკის ზეწოლამ იაპონიაზე, რათა მან ითამაშოს უფრო დიდი სამხედრო როლი, შეიძლება მხოლოდ ზიანი მოუტანოს რეგიონული სტაბილურობის პერსპექტივებს, ხელი შეუშალოს დიდ ჩინეთთან უფრო ფართო დაახლოებას, გზას ააცილოს იაპონია. თავის თავზე აიღოს უფრო კონსტრუქციული საერთაშორისო მისია და ამგვარად, გაართულოს ევრაზიაში სტაბილური გეოპოლიტიკური პლურალიზმის განვითარებისათვის ხელის შეწყობის ძალისხმევა.

აქედან გამომდინარეობს ისიც, რომ, იაპონია – თუკი ის, თავის მხრივ, მზერას მიაპყრობს მსოფლიოს და პირს შეაქცევს აზიას – მნიშვნელოვნად წახალისებულ უნდა იქნეს და მას უნდა მიეცეს განსაკუთრებული სტატუსი, რათა, ამგვარად, სრულყოფილად დაიკმაყოფილოს საკუთარი, ეროვნული ინტერესები. ჩინეთისაგან განსხვავებით, რომელსაც შეუძლია მიაღწიოს მსოფლიო „დერჟავის სტატუსს, იაპონიას, გახდება რა თავდაპირველად რეგიონული „დერჟავა“, შეუძლია მიაღწიოს მსოფ-

ლიო გავლენას, თუ უარს იტყვის რეგიონულ „დერეჟავად“ გახდომის მისწრაფებებზე. მაგრამ იაპონიისათვის უფრო მნიშვნელოვანია იგრძნოს, რომ ის, პოლიტიკური თვალსაზრისით, მსოფლიო საქმეებში წარმოადგენს ამერიკის განსაკუთრებულ პარტნიორს. ეს არა მარტო ნაყოფის მომტანია, არამედ, ეკონომიკურადაც ხელსაყრელი. ამიტომაც, შეერთებული შტატებისათვის, ალბათ, სასარგებლო იქნებოდა, განეხილა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ამერიკა-იაპონიის შეთანხმების დადების საკითხი და ამგვარად, შეექმნათ ამერიკა-იაპონიის საერთო საავაჭრო სივრცე. ასეთი ნაბიჯი ოფიციალურ სტატუსს შესძენდა ორ ქვეყანას შორის სულ უფრო მჭიდრო კავშირებს, ალბათ, უზრუნველყოფდა გეოპოლიტიკურ საყრდენს როგორც შორეულ აღმოსავლეთში ამერიკელების ხანგრძლივი ყოფნისათვის, ასევე, იაპონიის კონსტრუქციული გლობალური ვალდებულებებისათვისაც[39].

დასკვნა: იაპონია ამერიკისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და მთავარი პარტნიორი იქნება მსოფლიო თანამშრომლობის სულ უფრო გაერთიანებადი და ყველგან შეღწევადი სისტემის შექმნაში არა მარტო როგორც პირველი რანგის სამხედრო მოკავშირე, არამედ იმ რეგიონალურ რეგულირებებშიც, რომლებიც მიმართული იქნებოდა ჩინეთის რეგიონალური უპირატესობის წინააღმდეგ. სინამდვილეში, მსოფლიო ურთიერთობებისათვის ახალი უწყების შექმნის ცხოველმყოფელ მუშაობაში იაპონია ამერიკის მსოფლიო პარტნიორი უნდა გახდეს. ჩინეთი, რომელსაც უპირატესობა აქვს რეგიონში, ძალისმიერი პოლიტიკის უფრო ტრადიციულ სფეროში უნდა იქცეს

39 ამ ინიციატივის სასარგებლოდ დამაჯერებელი საბუთი, რომელიც მიგვითითებს ურთიერთმოქმედ ეკონომიკურ ხელსაყრელობაზე, მოყვანილია კურტ ტონგის მიერ მის პუბლიცისტიკაში: Reveliatonizing Amerikca“s Japan Policy//Foreign Police – Winter 1996/97.

ამერიკის საყრდენად შორეულ აღმოსავლეთში, დახმარება გაუწიოს რა, ამრიგად, ევროპის ძალთა ბალანსის ფორმირებას, თანაც, შორეულ აღმოსავლეთში დიდი ჩინეთის როლი, ამ თვალსაზრისით, გაუთანასწორდება ევრაზიის დასავლეთში გაფართოებად ევროპის როლს.

თავი VII

დასკვნა

აშშ-ს დრო დაუდგა, გამოიმუშაოს და გამოიყენოს კომპლექსური, ყოვლისმომცველი და გრძელვადიანი გეოსტრატეგია მთელ ევრაზიასთან ურთიერთობაში. ეს აუცილებლობა გამომდინარეობს ორი ფუნდამენტური რეალობის ურთიერთმოქმედებიდან: ამერიკა ამჟამად წარმოადგენს ერთადერთ „სუპერდერჟავას“, ევრაზია კი – მსოფლიოს ცენტრალურ არენას, აქედან გამომდინარე, ევრაზიის კონტინენტზე ძალთა თანაფარდობაში ცვლილებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ამერიკის მსოფლიო ბატონობისათვის, ასევე მისი ისტორიული მემკვიდრეობისათვის.

ამერიკის მსოფლიო პირველობა უნიკალურია თავისი მასშტაბებითა და ხასიათით. ეს ახალი ტიპის ჰეგემონიაა, რომელიც აირეკლავს მრავალ იმ ნიშანს, რომელიც დამახასიათებელია ამერიკული დემოკრატიული სისტემისათვის: ის პლურალისტურია, შეუღწევადი და მოქნილი. ეს ჰეგემონია ყალიბდებოდა ერთ საუკუნეზე ნაკლებ დროში და მის გეოპოლიტიკურ ძირითად გამოვლენად ითვლებოდა ამერიკის უპრეცედენტო როლი ევრაზიის კონტინენტზე, სადაც დღემდე ჩნდებოდა მსოფლიო ბატონობაზე ყველა პრეტენდენტი. ამჟამად ამერიკა ევრაზიისთვის გამოდის არბიტრის როლში, თანაც არ არსებობს არც ერთი დიდი ევრაზიული პრობლემა ამერიკის მონაწილეობის გარეშე და ამერიკის ინტერესების საწინააღმდეგო.

რანაირად მართავს შეერთებული შტატები ძირითად გეოსტრატეგიულ ფიგურებს ევრაზიის საჭადრაკო დაფაზე და რო-

გორ განალაგებს მათ, ასევე როგორ ხელმძღვანელობს ის ევ-
რაზიის საკვანძო გეოპოლიტიკურ ცენტრებს, სასიცოცხლოდ
დიდი მნიშვნელობა აქვს ამერიკას მსოფლიოში ხანგრძლივი
და სტაბილურად წამყვანი როლისათვის, ევროპაში ძირითად
მოქმედ პირებად დარჩებიან საფრანგეთი და გერმანია, ამერი-
კის ძირითად ამოცანას კი, მომავალში უნდა შეადგენდეს ევრა-
ზიის განაპირა დასავლეთში არსებული დემოკრატიული პლაც-
დარმის გამაგრება და გაფართოება, ევრაზიის შორეულ აღმო-
სავლეთში, ყველაზე უეჭველია, სულ უფრო და უფრო, ცენტრა-
ლურ როლს ითამაშებს ჩინეთი. და ამერიკას, აზიის მატერიკზე
მანამდე არ ექნება პოლიტიკური საყრდენი პუნქტი, სანამ არ
მიიღწევა გეოსტრატეგიული კონსესუსი მასა და ჩინეთის შო-
რის. ევრაზიის ცენტრში განვითარებად ევროპასა და რეგიონა-
ლურ გავლენის მომპოვებელ ჩინეთს შორის სივრცე დარჩება,
გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, „შავ ხვრელად“, უკიდურეს
შემთხვევაში, მანამდე, სანამ რუსეთში არ დასრულდება შინაგა-
ნი ბრძოლა მისი პოსტიმპერიული თვითგამორკვევის საკითხის
გარშემო მანამ, სანამ იმავდროულად, რეგიონი – „ევრაზიის
ბალკანეთი“, – რომელიც რუსეთის სამხრეთით მდებარეობს,
იმუქრება იქცეს ეთნიკური კონფლიქტებისა და დიდი „დერჟავუ-
ლი“ მეტოქეობის წინაღობად.

ამ პირობებში დროის გარკვეული პერიოდის მანძილზე – 30
წელზე მეტხანს – ძნელად თუ ვინმე გაბედავს შეედავოს ამერი-
კას, როგორც მსოფლიოს პირველი „დერჟავის სტატუსს, ვერც
ერთი სახელმწიფო ალბათ ვერ შეძლებს გაუტოლდეს ამერი-
კას ოთხ ძირითად – სამხედრო, ეკონომიკურ, ტექნიკურ და
კულტურულ ასპექტში, რომლებიც ერთიანობაში განსაზღვრა-
ვენ სწორედ მსოფლიო მასშტაბით გადამწყვეტ პოლიტიკურ
გავლენას. ამერიკის მიერ თავის სტატუსზე შეგნებული და არა-
წინასწარგანზრახული უარის შემთხვევაში, მომავალში ერთა-

დერთ რეალურ ალტერნატივას შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ საერთაშორისო მასშტაბების ანარქია. ამასთან დაკავშირებით სწორად მიგვაჩნია მტკიცება იმის შესახებ, რომ ამერიკა, როგორც პრეზიდენტმა კლინტონმა განსაზღვრა, იქცა „აუცილებელ“ სახელმწიფოდ მსოფლიოსთვის.

აქ მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას როგორც ასეთი აუცილებლობის არსებობის ფაქტს, ისე მსოფლიოში ანარქიის გავრცელების რეალურ შესაძლებლობას. დემოგრაფიული აფეთქების, სიღატაკით გამოწვეული მიგრაციის, რადიკალური ურბანიზაციის, ასევე ეთნიკური და რელიგიური მტრობისა და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებით მიღებული დამანგრეველი შედეგები შეიძლება იქცეს უმართავად, იმ შემთხვევაშიც, თუ თვით ელემენტარული გეოპოლიტიკური სტაბილურობისას, დაიშლებიან სახელმწიფო ერზე დაყრდნობილი არსებული შინაგანი სტრუქტურები. ამერიკელების მუდმივი და მიზანდასახული მონაწილეობის გარეშე, იმ ძალებს, რომლებსაც უნარი შესწევთ უწესრიგობა გამოიწვიონ მსოფლიოში, უკვე დიდი ხნის წინ შეეძლოთ გაბატონებულიყვნენ მსოფლიოს არენაზე. ასეთი სტრუქტურების დაშლის შესაძლებლობა დაკავშირებულია გეოპოლიტიკურ დაძაბულობასთან არა მარტო თანამედროვე ევრაზიაში, არამედ საერთოდ მსოფლიოში.

ამის შედეგად, მსოფლიო სტაბილურობისათვის შეიძლება გაჩნდეს საშიშროება, ეს საშიშროება, კი ალბათ, გაიზრდება ადამიანთა არსებობის პირობების სულ უფრო გაუარესების პერსპექტივით. კერძოდ კი, მსოფლიოს ღარიბ ქვეყნებში დემოგრაფიულ აფეთქებას და იმავდროულად მოსახლეობის ურბანიზაციას მივყავართ არა მარტო უქონელთა რიცხვის სწრაფ ზრდამდე, არამედ, ძირითადად, იმ მილიონობით უმუშევართა და სულ უფრო უკმაყოფილო ახალგაზრდათა გაჩენამდე, რომელთა იმედების გაცრუება სწრაფი ტემპებით იზრდება. კავში-

რების თანამედროვე საშუალებები ზრდის მათსა და ტრადიციულ ხელისუფლებას შორის დაშორებას და იმავდროულად, სულ უფრო მეტი დონით აყალიბებს მათ ცნობიერებაში მსოფლიოში გამეფებული უსამართლობის განცდას, რაც შეშფოთებას იწვევს და ამიტომ, ისინი ყველაზე მეტად აღიქვამენ ექსტრემიზმის იდეებს და ადვილად ავსებენ ექსტრემისტთა რიგებს. ისეთი მოვლენა, როგორიც მსოფლიო მასშტაბით მოსახლეობის მიგრაციაა, რომელმაც უკვე მოიცვა ათეულ მილიონობით ადამიანი, შეიძლება გამოყენებულ იქნეს დროებით დამცველ სარქველად, ერთი მხრივ, მეორე მხრივ, ასევე სავარაუდოა, იქცეს კონტინენტიდან კონტინენტზე ეთნიკური და სოციალური კონფლიქტების გადატანის საშუალებად.

ამის შედეგად შესაძლებელ უწესრიგობას, დაძაბულობას და, უკიდურეს შემთხვევაში ძალადობის ეპიზოდურ შემთხვევებს, შეეძლოთ დარტყმა მიეყენებინათ ამერიკის მსოფლიოს ხელმძღვანელი მემკვიდრეობისათვის. ახალი კომპლექსური საერთაშორისო წესრიგი, რომელიც შექმნილია ამერიკის ჰეგემონიით და, რომლის ჩარჩოებში „ომის საფრთხე არ არსებობს“, ალბათ, გავრცელდება არა მარტო მსოფლიოს იმ ნაწილებზე, სადაც ამერიკელების ძლიერება მტკიცდება დემოკრატიული სოციალურპოლიტიკური სისტემებით და სრულყოფილი ხდება საგარეო მრავალმხრივი სტრუქტურებით, არამედ მათზეც, ვისაც უშუალო ხელმძღვანელობას უწევს ამერიკა.

ამრიგად, ამერიკული გეოსტრატეგია, ევრაზიასთან მიმართებაში, იძულებული იქნება კონკურენცია გაუწიოს ტურბულენტურ ძალებს. არსებობს იმის ნიშნები, რომ ევროპაში ინტეგრაციისა და გაფართოებისკენ სწრაფვა სუსტდება და მალე შეიძლება აღორძინებულ იქნეს ტრადიციული ტიპის ევროპული ნაციონალიზმი. დიდმასშტაბური უმუშევრობა შენარჩუნებულ იქნება ევროპულ სახელმწიფოებშიც, გააჩენდა რა იქ უცხოელების მი-

მართ სიძულვილს, რასაც შეეძლო მივეყვანეთ ფრანგულ და გერმანულ პოლიტიკაში პოლიტიკური ექსტრემიზმისა და შოვინიზმის შინაგან ორიენტირებულ გადახრებამდე. ფაქტობრივად შეიძლება შეიქმნას ჭეშმარიტი რევოლუციის წინა სიტუაციაც. ევროპაში მოვლენების ისტორიული განვითარება, რომელიც მესამე თავშია გადმოცემული, რეალიზებულ იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეერთებული შტატები არა მარტო ხელს შეუწყობს ევროპის გაერთიანებისადმი მისწრაფებას, არამედ უბიძგებს კიდეც მას ამისკენ.

კიდევ უფრო დიდი გაურკვევლობა არსებობს მომავალი რუსეთის მიმართ, აქაც პოზიციური განვითარების პერსპექტივები ერთობ ბურუსითაა მოცული, აქედან გამომდინარე, ამერიკისათვის აუცილებელია, შექმნას გეოპოლიტიკური გარემო, რომელიც ალბათ, ხელს შეუწყობდა რუსეთის ასიმილაციას ევროპული თანამშრომლობის გაფართოებად ჩარჩოებში და ისეთი დამოუკიდებლობის მიღწევას, რომლის დროსაც ახალ სუვერენულ მეზობლებს საკუთარი ძალების იმედი ექნებოდათ. მაგრამ მათი სიცოცხლისუნარიანობა, მაგალითად, უკრაინისა და უზბეკეთის (არაფერი რომ არ ვთქვათ ეთნიკური თვალსაზრისით, ორ ნაწილად გაყოფილი ყაზახეთის შესახებ), ეჭვქვეშ იქნება დაყენებული, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ამერიკის ყურადღება გადართული იქნება სხვა პრობლემებზე, ისეთზე, როგორიცაა, მაგალითად, ევროპაში ახალი საშინაო კრიზისი, თურქეთსა და ევროპას შორის განხეთქილების და ამერიკა-ირანის ურთიერთობებში მტრული დამოკიდებულების ზრდა.

ჩინეთთან ურთიერთობის საბოლოო სერიოზული დარეგულირების შესაძლებლობა, ასევე შეიძლება, რეალიზებული არ დარჩეს იმ მომავალი კრიზისის შემთხვევაში, რომელიც ტაივანთანაა დაკავშირებული, ანდა, ჩინეთის შინაგანი პოლიტიკური განვითარების გამო, რომელსაც შეუძლია მიგვიყვანოს აგრე-

სიული და მტრული რეჟიმის დამყარებამდე, ანდა იმის გამო, რომ ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობები უბრალოდ გაუარესდება. ჩინეთი შეიტანს რა უზარმაზარ დაძაბულობას ამერიკა-იაპონიის ურთიერთობებში, შესაძლოა, გამოიწვიოს დამანგრეველი გეოპოლიტიკური დეზორიენტაცია, თავად იაპონია კი, ამ შემთხვევაში, შეიძლება იქცეს უკიდურესად მადესტაბილიზებელ ძალად მსოფლიოში. ასეთ პირობებში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში სტაბილურობა, რა თქმა უნდა, საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება და შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, თუ, გარემოებათა ეს დამთხვევა როგორ ზეგავლენას მოახდენს ინდოეთის პოზიციასა და ერთობაზე, ქვეყნისა, რომელიც უკიდურესად მნიშვნელოვანია სამხრეთ აზიის სტაბილურობისათვის.

ეს შენიშვნები გვჭირდება იმის გასახსენებლად, რომ, როგორც ახალი გლობალური პრობლემები, რომლებიც არ შედიან სახელმწიფო ნაციების კომპეტენციაში, ისე უფრო ტრადიციული გეოპოლიტიკური საკითხები, რომლებიც შეშფოთებას იწვევენ, არ შეიძლება გადაჭრილ იქნეს, თუ მსოფლიო ხელისუფლების ძირითადი გეოპოლიტიკური სტრუქტურა დაშლას დაიწყებს. იმ პირობებში, როცა ევროპისა და აზიის ცათამბჯენზე გამაფრთხილებელი ნიშნები გაჩნდა, ამერიკის პოლიტიკა წარმატებული რომ იყოს, მთლიანი ყურადღების ფოკუსირება უნდა მოახდინოს ევრაზიაზე და ხელმძღვანელობდეს ზუსტი გეოსტრატეგიული გეგმით.

გეოსტრატეგია ევრაზიის მიმართ

პოლიტიკის გატარებისათვის აუცილებელ ამოსავალ პუნქტად უნდა იყოს იმ სამი უპრეცედენტო პირობის ფხიზელი გაცნობიერება, რომლებიც ამჟამად განსაზღვრავენ მსოფლიო საქმეთა გეოპოლიტიკურ მდგომარეობას: 1) პირველად ისტორიაში ერთი სახელმწიფო ჭეშმარიტად წარმოადგენს მსოფლიო „დერჟავას"; 2) სახელმწიფო, რომელიც მსოფლიო მასშტაბით აჭარბებს ყველა სხვა სახელმწიფოს, წარმოადგენს არაევრაზიულ სახელმწიფოს და 3) მსოფლიოს ცენტრალური არენა – ევრაზია – იმყოფება არაევრაზიული „დერჟავის" პრევალირებული გავლენის ქვეშ.

მიუხედავად იმისა, რომ ევრაზიის მიმართ ყოვლისმომცველი და კოორდინირებული გეოსტრატეგია უნდა ეყრდნობოდეს ამერიკაში ეფექტური გავლენის საზღვრების აღიარებასა და დროთა განმავლობაში ამ გავლენის ჩარჩოების გარდუვალ შევიწროებას. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, თვით ევრაზიის მასშტაბი და მრავალფეროვნება, ისევე, როგორც მისი ზოგიერთი სახელმწიფოს პოტენციური შესაძლებლობები, მოვლენათა მსვლელობისას, ამერიკის გავლენისა და კონტროლის დონის სიღრმეს ზღუდავს. ასეთი ვითარება მოითხოვს გეოსტრატეგიული ინტუიციის გამოვლენას და უზარმაზარი ევრაზიის საჭადრაკო დაფაზე ამერიკის რესურსების გულმოდგინედ მოფიქრებული არჩევანის გამოყენებას, რამდენადაც ამერიკის უპროცედენტო გავლენა დროთა განმავლობაში შემცირდება, კონტროლის პრიორიტეტი უნდა მიეცეს სხვა რეგიონალური „დერჟავების" გაძლიერების პროცესების კონტროლს იმისთვის, რომ ის გან-

ვითარდეს იმ მიმართულებით, რომელიც არ დაემუქრება ამერიკის წინამძღოლ როლს მსოფლიოში.

როგორც მოჭადრაკეებმა, ამერიკელმა სტრატეგებმაც, რომლებიც დაკავებულნი არიან მსოფლიოს პრობლემებით, რამდენიმე სვლით ადრე უნდა განჭვრიტონ შესაძლებელი საპასუხო სვლები. ხანგრძლივ დროზე გათვლილი სტრატეგია ორიენტირებული უნდა იყოს მოკლევადიან (ხუთ ან დაახლოებით ხუთ წლამდე), საშუალოვადიან (ოც ან ოც წლამდე) და გრძელვადიან (ოც წელზე მეტ) პერსპექტივაზე. გარდა ამისა, ეს სტადიები განხილულ უნდა იქნას არა როგორც ერთმანეთისგან სრულიად იზოლირებულები, არამედ, როგორც ერთიანი სისტემის ნაწილები, პირველი სტადია მწყობრად და თანმიმდევრულად უნდა გადავიდეს მეორეში (რა თქმა უნდა, ეს უნდა იყოს წინასწარ დასახული მიზანი), მეორე კი შესაბამისად – მესამეში.

მოკლევადიან პერსპექტივაში ამერიკა დაინტერესებულია, გაამაგროს და შეინარჩუნოს ევრაზიის რუკაზე არსებული გეოპოლიტიკური პლურალიზმი. ეს ამოცანა ვარაუდობს შესაძლებელი მოქმედებებისა და მანიპულაციებისათვის ხელის შეწყობას, იმისათვის, რომ ხელი შეეშალოს ისეთი მტრული კოალიციის გაჩენას, რომელიც ალბათ შეეცდება, გამოწვევა გაუბედოს ამერიკის წამყვან როლს, თუ არაფერს ვიტყვით ნაკლებდასაჯერებელ შესაძლებლობაზე, შეეცდება კი ამის გაკეთებას რომელიმე სახელმწიფო? საშუალოვადიან პერსპექტივაში, ზემოთ აღნიშნულმა თანდათანობით ადგილი უნდა დაუთმოს საკითხს, რომლის გადაწყვეტის დროს, დიდი ყურადღება გამახვილდება სულ უფრო მნიშვნელოვანი და სტრატეგიული თვალსაზრისით ერთმანეთს შეთავსებადი პარტნიორების გაჩენაზე, რომლებსაც, ამერიკის ხელმძღვანელობის ქვეშ, ალბათ შეეძლებათ, დაეხმარონ იმ ტრანსევრაზიული უშიშროების სისტემის შექმნას,

რომელიც გააერთიანებდა ქვეყნების დიდ რაოდენობას, დაბოლოს, გრძელვადიან პერსპექტივაში: – ყველა ზემოთ ნათქვამი თანდათანობით მიგვიყვანდა ისეთი მსოფლიო ცენტრის შექმნამდე, რომელიც ნამდვილად შესაბამისობაში მოვიდოდა პოლიტიკურ პასუხისმგებლობასთან.

უახლოესი ამოცანა იმაში მდგომარეობს, დავრწმუნდეთ, რომ არც ერთ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს არ გააჩნია იმისათვის აუცილებელი პოტენციალი, რომ შეერთებული შტატები გააძევოს ევრაზიიდან, ან, მნიშვნელოვანი დონით მაინც, შეამციროს მისი მსოფლიო არბიტრის თვალსაზრისით, გადამწყვეტი როლი. ტრანსკონტინენტალური გეოპოლიტიკური პლურალიზმის განმტკიცება უნდა განხილულ იქნეს არა როგორც თვითმიზანი, არამედ, როგორც საშუალება ევრაზიის ძირითად რეგიონებში ჭეშმარიტად სტრატეგიული პარტნიორობის დადგენის საშუალოვადიანი მიზნის მისაღწევად. საეჭვოა, რომ დემოკრატიული ამერიკა მოიწადინებს მუდმივად შეასრულოს ძნელი, დიდი ძალისხმევის გაღების მომთხოვნი და ძვირად ღირებული ამოცანის – ევრაზიაზე კონტროლის შესრულების იმ მანიპულაციებისა და ქმედებათა განხორციელება, რომლებიც, იმ მიზნით, რომ ასე ხელი შეუშალოს ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს, მოიპოვოს რეგიონალური ბატონობა, უზრუნველყოფილია ამერიკის სამხედრო რესურსებით. პირველი სტადია, ამრიგად, ლოგიკურად და გააზრებულად უნდა გადავიდეს მეორეში, ისეთში, რომელზედაც ამერიკის ჰეგემონიის კეთილისმყოფელი ზეგავლენა ჯერ კიდევ აკავებს სხვებს მცდელობისაგან, გამოწვევა შებედონ არა მარტო იმის დემონსტრირებით, თუ რამდენად დიდი შეიძლება იყოს ასეთი გამოწვევის ხარჯები, არამედ იმითაც, თუ რა არ ემუქრებათ პოტენციური რეგიონალური პრეტენდენტების სასიცოცხლოდ აუცილებელ

ინტერესებს, რათა ითამაშონ მნიშვნელოვანი როლი ევრაზიაში.

საშუალოვადიან მიზანს წარმოადგენს ისეთი ჭეშმარიტი პარტნიორული ურთიერთობების დამყარებისათვის ხელის შეწყობა, რომელთა შორის გაბატონებული მდგომარეობა უნდა დაიკავოს ურთიერთობებმა, უფრო გაერთიანებულ და, პოლიტიკური თვალსაზრისით, უფრო გაფართოებულ ევროპასა და ჩინეთთან, რომლებიც რეგიონალურ დონეზე აღემატებიან სხვა ქვეყნებს და, აგრეთვე (შესაძლოა იმედი ვიქონიოთ), პოსტიმპერიულ და ევროპაზე ორიენტირებულ რუსეთთან და ევრაზიის სამხრეთ განაპირა ნაწილში – დემოკრატიულ ინდოეთთან, რომელიც რეგიონში მასტაბილირებლის როლს თამაშობს: სწორედ ასეთი ძალისხმევის წარმატება ან წარუმატებლობა, რომელიც მიმართული იქნება ევროპასა და ჩინეთთან უფრო ფართოსტრატეგიული ურთიერთობების დამყარებისკენ, შესაბამისად, ჩამოაყალიბებენ რუსეთის -– პოზიტიური ან ნეგატიური როლისათვის განსაზღვრულ პირობებს.

აქედან გამომდინარეობს, რომ ევროპისა და ნატოს გაფართოება ხელს შეუწყობს აშშ-ს პოლიტიკის მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნების რეალიზაციას. უფრო დიდი ევროპა კი, გააფართოებს ამერიკელების გავლენის საზღვრებს – ცენტრალური ევროპის ქვეყნების ახალი წევრების მიღებით, ასევე ევროპის საბჭოებში პრო-ამერიკული ორიენატაციის სახელმწიფოთა რიცხვის გაზრდით, თუმცა, იმავდროულად ვერ შექმნის, პოლიტიკური თვალსაზრისით, ისეთ ინტეგრირებულ ფორმირებას, რომელსაც მალე უნარი ექნებოდა. ორთაბრძოლაში გაეწვია ამერიკის შეერთებული შტატები ისეთ გეოპოლიტიკურ საკითხებში, რომელთაც უკიდურესად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ამერიკისთვის, კერძოდ, კი, მახლობელ აღმოსავლეთში. პოლიტიკურად გაფორმებული ევროპა ასევე აუცილებელია

რუსეთის მსოფლიო თანამშრომლობის სისტემაში პროგრესულ ასიმილაციისათვის.

დავუშვათ, რომ ამერიკას არ შეუძლია დამოუკიდებელად შექმნას უფრი მეტად ერთიანი ევროპა (ეს ევროპელების საქმეა, განსაკუთრებით ფრანგებისა და გერმანელების), მაგრამ ამერიკას შეუძლია ხელი შეუშალოს ასეთი, უფრო გაერთიანებული ევროპის გამოჩენას. ეს შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს ევრაზიაში სტაბილურობისათვის და, აქედან გამომდინარე, ამერიკის საკუთარი ინტერესებისათვის. მართლაც, თუ ევროპა უფრო ერთიანი არ გახდება, მაშინ მალე ის უფრო განცალკევებული აღმოჩნდება. აქედან გამომდინარე, როგორც ადრე ამტკიცებდნენ, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ ამერიკამ მჭიდროდ ითანამშრომლოს როგორც საფრანგეთთან, ისე გერმანიასთან ისეთი ევროპის შექმნის საქმეში, რომლიც პოლიტიკური თვალსაზრისით, იქნებოდა სიცოცხლისუნარიანი ევროპასთან, რომელიც, ალბათ შეინარჩუნებდა კავშირებს შეერთებულ შტატებთან და ევროპასთან, რომელიც საერთო დემოკრატიული საერთაშორისო სისტემის საზღვრებს აფართოებდა. დღის წესრიგში არ დგას საფრანგეთსა და გერმანიას შორის არჩევანი. როგორც საფრანგეთის, ისე გერმანიის გარეშე არ იქნება ევროპა, ევროპის გარეშეც არა იქნება არავითარი ტრანსევრაზიული სისტემა.

პრაქტიკული თვალსაზრისით, ყველაფერი ზემოთ თქმული მოითხოვს ნატოს ჩარჩოებში ერთობლივ ხელმძღვანელობაზე თანდათანობით გადასვლას, საფრანგეთის დიდი შეშფოთების აღიარებას ევროპის როლის მიმართ არა მარტო აფრიკაში, არამედ მახლობელ აღმოსავლეთშიც, ეკ-ის აღმოსავლეთით გაფართოების პროცესის შემდგომ მხარდაჭერას იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეკ-ი პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით, იქცევა უფრო დამოუკიდებლად მოქმედ მსოფლიო პი-

რად[40]. თავისუფალი ვაჭრობის სფეროში ტრანსატლანტიკურმა შეთანხმებამ, რომლის დაცვისათვის გამოვიდნენ მთელი რიგი ქვეყნების ის გამოჩენილი ლიდერები, რომლებიც გაერთიანებულნი არიან ატლანტიკურ ბლოკში, ასევე შეუძლია შეამციროს მზარდი ეკონომიკური მეტოქეობის რისკი უფრო გაფართოებულ ეკ-სა და აშშ-ს შორის. ნებისმიერ შემთხვევაში, ეკ-ის შესაძლებელი წარმატება ევროპაში ასწლობით არსებული ნაციონალისტური ანტაგონიზმის განადგურებაში, მსოფლიოსათვის მთელი თავისი დამანგრეველი შედეგებით იმად ღირს, რომ ამერიკის, როგორც თანამედროვე ევრაზიის არბიტრის განსაკუთრებული როლი ზოგიერთ რამეში თანდათანობით შესუსტდეს.

ნატოსა და ეკ-ის გაფართოება შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც საშუალება იმისათვის, რომ ევროპამ კვლავ დაიბრუნოს თავისი მნიშვნელოვანი დანიშნულების გრძნობა, რომელშიაც წყალმა ჟონვა დაიწყო, მაშინ, როცა მიმდინარეობს – როგორც ამერიკისათვის, ისე ევროპისათვის ხელსაყრელი – იმ დემოკრატიული პოზიციების გამაგრება, რომლებიც მოპოვებულ იქნა ცივი ომის წარმატებით დამთავრების შედეგად. ასეთ პირობებში ფსონს სრულებითაც არ წარმოადგენს თავად ევ-

---

40 ამ მიზნის მისაღწევად მთელი რიგი კონსტრუქციული წინადადებები წამოყენებულ იქნა ამერიკისა და ევროპის პრობლემების კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა 1997 წლის თებერვალში საერთაშორისო და სტრატეგიული საკითხების ცენტრის მიერ. ეს წინადადებები მოიცავენ ინიციატივების ფართო სპექტრს, დაწყებული ერთობლივი ძალისხმევიდან, რომელიც მიმართულია სტრუქტურული რეფორმების გატარებისადმი, გაფართოებული ევროპული თავდაცვით-სამრეწველო ბაზის შექმნამდე, რომელსაც ალბათ უნარი ექნება თავდაცვის სფეროში გაემაგრებინა ტრანსატლანტიკური თანამშრომლობა და აემაღლებინა ევროპის როლი ნატოში. ასეთი და სხვა ინიციატივების სასარგებლო სიას, რომლებიც მიმართულია ევროპის როლის ამაღლებისადმი, შეიცავენ გამოცემები: David C. Yompezi and ephen F: Stephen Larredee, eds – Amerika and Europa: A Partnership for a New Far – Santa Monika: RAND, 1997.

როპასთან გრძელვადიანი ურთიერთობანი, ახალი ევროპა ჯერ კიდევ ფორმას იძენს და თუ ეს ევროპა, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, დარჩება „ევროატლანტიკური“ სივრცის ნაწილად, მაშინ ნატოს გაფართოება აუცილებელი იქნება, გარდა ამისა, ამჟამად, როცა აღებული აქვთ ვალდებულებანი, ნატოს გაფართოების განუხორციელებლობამ შეიძლება დაშალოს ევროპის გაფართოების კონცეფცია და მოახდინოს ცენტრალური ევროპის ქვეყნების დემორალიზება. ამან შეიძლება მიგვიყვანოს რუსეთის ცენტრალურ ევროპაში ფარული და მბჟუტავი გეოპოლიტიკური მისწრაფებების აღორძინებამდეც კი.

მართლაცდა, ამერიკის ძალისხმევის შესაძლებელმა ხელის მოცარვამ, რომელიც ნატოს გაფართოებისადმი იყო მიმართული, "შეიძლება ხელახლა ააღორძინოს რუსეთის ყველა ამბიციური სურვილიც კი. ჯერჯერობით არაფერია ნათელი – ისტორიული ფაქტები კი სულ სხვა რამეზე მეტყველებენ – რომ რუსეთის პოლიტიკური ელიტა იზიარებს ევროპის მისწრაფებას ამერიკელების ძლიერი და ხანგრძლივი პოლიტიკური და სამხედრო ყოფნის შესახებ. აქედან გამომდინარე, მართალია, რუსეთთან თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობების დამყარება, რა თქმა უნდა, სასურველია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამერიკისთვის მით უფრო მნიშვნელოვანია აშკარა განაცხადი თავის მსოფლიო პრიორიტეტებზე. თუ საქმე მიდგება უფრო დიდ ჩრდილოატლანტიკურ სისტემასა და რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებას შორის აუცილებელ არჩევანზე, მაშინ პირველი ამერიკისათვის შეუდარებლად მაღლა უნდა დადგეს მეორეზე.

ამ მიზეზით ნატოს გაფართოების საკითხზე რუსეთთან ნებისმიერმა დაახლოებამ, ფაქტობრივად არ უნდა მიგვიყვანოს რუსეთის ალიანსში გადაწყვეტილების მიღების მქონე წევრად ქცევამდე, რაც დააქვეითებდა ნატოს განსაკუთრებულ ევროატ-

ლანტიკურ ხასიათს, იმავდროულად კი, დაამდაბლებდა ალიანსში ახლად მიღებულ სახელმწიფოებს მეორეხარისხოვანი ქვეყნების მდგომარეობამდე. ეს რუსეთისათვის შექმნიდა იმის შესაძლებლობას, რომ განეახლებინა თავისი მცდელობანი, დაებრუნებინა არა მარტო ცენტრალურ ევროპაში დაკარგული გავლენა, არამედ გამოეყენებინა თავისი ყოფნა ნატოში იმისათვის, რომ ეთამაშა ამერიკა-ევროპის უთანხმოებებზე, ევროპაში ამერიკის თანამედროვე როლის შესასუსტებლად.

გარდა ამისა, რამდენადაც ცენტრალური ევროპა ნატოში შევა, ერთობ მნიშვნელოვანია, რომ რეგიონის მიმართ რუსეთის მიერ მიცემული უსაფრთხოების გარანტიები სინამდვილეში, მართლაც ორმხრივი ყოფილიყო და, ამრიგად, ორმხრივ დამამშვიდებელი. ალიანსის ახალ წევრთა ტერიტორიაზე ნატოს ჯარებისა და ბირთვული იარაღის განლაგების აკრძალვა შეიძლება მნიშვნელოვანი ფაქტორი იყოს რუსეთის კანონიერი შეშფოთების თავიდან ასაცილებლად, მაგრამ მას უნდა შეესაბამებოდეს რუსეთის ტოლფასოვანი გარანტიები, რომელიც შეეხება კალინინგრადის რაიონში ფარულად არსებულ პოტენციური მუქარის დემილიტარიზაციას და ნატოსა და ეკ-ის შესაძლებელ მომავალი წევრების საზღვრების მახლობლად მსხვილი საჯარისო ფორმირების შეზღუდვას. მაშინ, როცა ყველა ახლად დამოუკიდებლობას მიღწეულ რუსეთის დასავლეთ მეზობელს მასთან სურს, იქონიოს სტაბილური და კონსტრუქციული ურთიერთობები, ფაქტი რჩება ფაქტად: ისტორიულად გასაგები მიზეზებისა გამო, მათ მაინც ეშინიათ მისი, აქედან გამომდინარე, რუსეთთან ნატოს ეკის თანაბარუფლებიანი შეთანხმების აღმოცენებას, ალბათ, ყველა ევროპული ქვეყანა მიესალმებოდა, როგორც იმის დასტურს, რომ რუსეთი იმპერიის დამსხვრევის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, გააკეთებს დიდი ხნის ნანატრ არჩევანს ევროპის სასარგებლოდ.

ამ არჩევანს შეეძლო გზა გაეკაფა რუსეთის სტატუსის განმტკიცების უფრო ფართომასშტაბური საქმიანობისა და მისდამი პატივისცემის ამაღლებისათვის. „დიდ შვიდეულში“ ფორმალური გაწევრიანება და, იმავდროულად ევროპის ქვეყნების უშიშროების ორგანიზაციის მექანიზმის როლის გაზრდა (რომლის ჩარჩოებში შესაძლო იყო უსაფრთხოების სპეციალური კომიტეტის შექმნა, რომელიც მოიცავდა აშშ-ს, რუსეთისა და ევროპის რამდენიმე ყველაზე გავლენიანი ქვეყნის წარმომადგენლებს) შესაძლებლობებს შექმნიდა ევროპის პოლიტიკური და მისი უსაფრთხოების ზონების გაფორმების პროცესში რუსეთის კონსტრუქციული ჩართვისთვის. დასავლეთის მიერ რუსეთისადმი გაწეულ ფინანსურ დახმარებასთან ერთად, პარალელურად, საავტომობილო და რკინიგზების ახალი ქსელების მშენებლობის გზით, რუსეთის ევროპასთან კავშირების შექმნის გაცილებით უფრო ამბიციური გეგმების შემუშავებით, რუსეთის ევროპის სასარგებლოდ არჩევის სრულყოფის პროცესი, შეიძლება წინ წაიწიოს.

როლი, რომელსაც გრძელვადიან გეგმაში, ევრაზიაში შეასრულებს რუსეთი, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ისტორიულ არჩევანზე, რომელიც შეიძლება მიმდინარე ათწლეულშიც კი, რუსეთმა უნდა გააკეთოს საკუთარი თვითგამორკვევის მიმართ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ევროპა და ჩინეთი გაიფართოებენ თავიანთი რეგიონალური გავლენის ზონებს, რუსეთი პასუხისმგებელი იქნება მსოფლიოს უმსხვილეს უძრავი ქონების ნაწილზე, რომელიც ათასაათიან სარტყელს მოიცავს და ორჯერ აღემატება აშშ-სა და ჩინეთის ფართობს. ის აჭარბებს ამ მხრივ თვით გაფართოებულ ევროპასაც კი. ამრიგად, რუსეთისათვის ტერიტორიების დაკარგვა არ წარმოადგენს დიდ პრობლემას. უზარმაზარმა რუსეთმა აშკარად უნდა აღიაროს და საჭირო დასკვნები გამოიტანოს იმ ფაქტიდან, რომ,

ეკონომიკური თვალსაზრისით ევროპაც და ჩინეთიც უფრო ძლიერი არიან და, რომ ამას გარდა, არსებობს იმის საშიშროებაც, რომ ჩინეთი წინ გაუსწრებს რუსეთს საზოგადოების მოდერნიზაციის გზაზეც.

ამ ვითარებაში რუსეთის პოლიტიკურმა ზედა წრემ უნდა გაიგოს, რომ რუსეთისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენს საკუთარი საზოგადოების მოდერნიზაცია და არა უიმედო მცდელობა, დაიბრუნოს ყოფილი „დერჟავას“ დაკარგული სტატუსი. ქვეყნის კოლოსალური სიდიდისა და არაერთგვაროვნების გამო დეცენტრალიზებული პოლიტიკური სისტემა, საბაზრო ეკონომიკის საფუძველზე ალბათ უფრო გამოათავისუფლებდა რუსი ხალხის შემოქმედებით პოტენციალს და მის მდიდარ წიაღისეულ რესურსებს. თავის მხრივ, ასეთი დიდი დონით დეცენტრალიზებული რუსეთი, იმპერიად გაერთიანების მოწოდებისადმი ალბათ, იმდენად მგრძნობიარე არ იქნება. რუსეთისთვის, რომელიც თავისუფალი კონფედერაციის პრინციპზე იქნებოდა მოწყობილი და, რომელშიაც ალბათ, გაერთიანდება რუსეთის ევროპული ნაწილი, ციმბირის რესპუბლიკა და შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკა, უფრო ადვილი იქნებოდა, განევითარებინა მჭიდრო ეკონომიკური კავშირები ევროპასთან, ცენტრალური აზიის ახალ სახელმწიფოსთან და აღმოსავლეთით, რაც, ალბათ, დააჩქარებდა თავად რუსეთის განვითარებას. კონფედერაციის სამივე წევრიდან თითოეულს ექნებოდა უფრო ფართო შესაძლებლობანი ადგილობრივი შემოქმედებითი იმ პოტენციალის გამოსავლენად, რომელიც საუკუნეების მანძილზე ჩახშობილი იყო მოსკოვის ბიუროკრატიის მიერ.

რუსეთი, დიდი ალბათობით, უპირატესობას მიანიჭებს ევროპის იმპერიაში დაბრუნებას იმ შემთხვევაში, თუ აშშ წარმატებით განახორციელებს რუსეთის მიმართ თავისი სტრატეგიის მეორე

მნიშვნელოვან ნაწილს, ე. ი. გააძლიერებს პოსტსაბჭოთა სივრცეზე გაბატონებულ გეოსტრატეგიულ პლურალიზმის ტენდენციებს. ამ ტენდენციების გამაგრება შეამცირებს იმპერიაში დაბრუნების მომხიბვლელობას. პოსტიმპერიულმა და ევროპაზე ორიენტირებულმა რუსეთმა უნდა შეაფასოს ამ მიმართულებით განხორციელებული ძალისხმევა, როგორც რეგიონალური სტაბილურობისათვის ხელშეწყობა და კონფლიქტების აღმოცენების საშიშროების შემცირება მის ახალ, პოტენციურად არასტაბილურ სამხრეთ საზღვრებზე, მაგრამ გეოპოლიტიკურად პლურალიზმის გამაგრების პოლიტიკა არ უნდა იყოს განპირობებული მხოლოდ რუსეთთან კარგი ურთიერთობებით, მეტიც, ის მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაშიც, თუკი ეს პლურალური ურთიერთობები შენარჩუნებული იქნება, რამეთუ ისინი ბარიერებს შეუქმნიან რომელიღაც მართლაცდა ახალი, საშიში რუსული იმპერიული პოლიტიკის აღორძინებას.

აქედან გამომდინარეობს, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური დახმარების გაწევა, ძირითადად ხელახლა აღდგენილი დამოუკიდებელი ქვეყნებისადმი, წარმოადგენს უფრო ფართო ევროპის სტრატეგიის განუყოფელ ნაწილს. სუვერენული უკრაინის გაძლიერება, რომელიც ამჟამად ცენტრალური ევროპის სახელმწიფოდ მიიჩნევს თავს და უფრო მჭიდრო თანამშრომლობას ამყარებს ამ რეგიონთან – ამ პოლიტიკის უკიდურესად მნიშვნელოვანი კომპონენტია, ისევე, როგორც უფრო მჭიდრო კავშირების განვითარება ისეთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან სახელმწიფოებთან, როგორიცაა, აზერბაიჯანი და უზბეკეთი. მისი შემადგენელი ნაწილია ის ძალისხმევაც, რომელიც რუსეთის დაბრკოლებებისდა მიუხედავად მიმართულია შუა აზიის (მსოფლიო ეკონომიკისათვის) გახსნისათვის.

ფართომასშტაბიანი საერთაშორისო დაბანდებები, რომლებიც სულ უფრო მეტი ჩაიდება კასპია-შუა აზიის რეგიონში, არა მარ-

ტო დახმარებას გაუწევს ახალი სახელმწიფოების დამოუკიდებ-
ლობის გაძლიერებას, არამედ, საბოლოო ჯამში, სასიკეთოდ
მოხმარდება პოსტიმპერიულ დემოკრატიულ რუსეთს. რეგიო-
ნის ენერგეტიკული და მინერალური რესურსების გამოყენების
დასაწყისი მიგვიყვანს აყვავებამდე, წარმოშობს ამ რეგიონში
დიდი სტაბილურობის შეგრძნებასა და უსაფრთხოებას, ამავ-
დროულად კი, ალბათ, შეამცირებს ბალკანურის მსგავსი კონ-
ფლიქტების რისკს. დაჩქარებული რეგიონალური განვითარე-
ბის უპირატესობა, რომლის ფინანსირება ხდება საგარეო და-
ბანდებებით, ალბათ გავრცელდება რუსეთის მოსაზღვრე რე-
გიონებზეც, რომლებიც, როგორც წესი, ეკონომიკურად საკმა-
რისად არ არიან განვითარებული, მეტიც, როგორც კი რეგიო-
ნების ახალი მმართველი ელიტები გაიგებენ, რომ რუსეთი თან-
ხმდება ამ რეგიონების მსოფლიო ეკონომიკაში ჩართვაზე,

ნაკლები შიში ექნებათ რუსეთთან ან მჭიდრო ეკონომიკური
კავშირების პოლიტიკური შედეგების მიმართ, თავის დროზე იმ-
პერიული ამბიციების არმქონე რუსეთი ალბათ შეძლებს, ამგვა-
რად, უკვე არა იმპერიის გამგებლის როლში ყველაზე ხელსაყ-
რელი ეკონომიკური პარტნიორის აღიარების მოპოვებას.

კავკასიის სამხრეთით მდებარე ქვეყნებისა და შუა აზიის სტაბი-
ლურობის უზრუნველყოფისა და დამოუკიდებლობის და გაძ-
ლიერებისათვის აშშ-მ სიფრთხილე უნდა გამოავლინოს იმი-
სათვის, რომ არ გამოიწვიოს თურქეთის გაუცხოება და აუცი-
ლებლად უნდა შეისწავლოს ამერიკა-ირანის ურთიერთობების
გაუმჯობესების შესაძლებლობა. თურქეთი, რომელიც თავს ჯერ
კიდევ იზგოედ მიიჩნევს ევროპაში, რომელშიც შესვლისაკენაც
მიისწრაფვის, უფრო ისლამური გახდება და ყველას ჯიბრზე
ხმას მისცემს ნატოს გაფართოების წინააღმდეგ. საეჭვოა, რომ
მან ითანამშრომლოს დასავლეთ ევროპასთან იმისათვის, რომ

სტაბილური გახადოს და მსოფლიოს გაერთიანებაში ჩართოს ყოფილი საბჭოთა შუა აზია.

ამის შესაბამისად, ამერიკამ უნდა გამოიყენოს თავისი გავლენა ევროპაში იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს თურქეთის ევროპის კავშირში დროულად შესვლას, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმასაც, რომ თურქეთს მოექცნენ როგორც ევროპულ ქვეყანას იმ პირობებით, რომ თურქეთის საშინაო პოლიტიკაში არ მოხდება მკვეთრი გადახრა ისლამური მიმართულებით. ანკარასთან აზიის მომავლის შესახებ რეგულირებული კონსულტაციები, ალბათ, ხელს შეუწყობს ამ ქვეყანაში აშშ-სთან სტრატეგიული თანამშრომლობის შეგნების გაჩენას, ამერიკა ვალდებულია, აქტიურად დაუჭიროს მხარი თურქეთის მისწრაფებას, გაიყვანოს ბაქო-ჯეიჰანის (Geyhan) ნავთობსადენი ხმელთაშუა ზღვის თურქეთის სანაპირომდე, რომელიც კასპიის ზღვის აუზის ენერგეტიკული რესურსებისათვის ძირითადი გამოსავალი გახდებოდა.

გარდა ამისა, ამერიკელების ინტერესებში არ შედის მუდმივი მტრული განწყობილების შენარჩუნება ამერიკა-ირანის ურთიერთობებში. მომავალში, ირანის თანამედროვე რეგიონალური გარემოცვის არამდგრად სტაბილიზაციაში ნებისმიერი დაახლოება უნდა დაეფუძნოს ორმხრივი სტრატეგიული დაინტერესების აღიარებას. რა თქმა უნდა, ამ ორ ქვეყანას შორის ნებისმიერი დაზავება უნდა განხორციელდეს ორივეს მიერ და არ უნდა გამოიყურებოდეს, როგორც სამსახური, რომელსაც ერთი მხარე უწევს მეორეს, აშშ-ში დაინტერესებულნი არიან ძლიერი, თვით რელიგიის მიერ მართვადი და არა ფანატიკური ანტიდასავალური განწყობების მქონე ირანით, რაც, საერთო ჯამში, ფაქტია, რომელიც თვით ირანის პოლიტიკურმა ელიტამაც კი შეიძლება აღიაროს. სხვათა შორის, ევრაზიაში ამერიკელების გრძელვადიან ინტერესებს კარგ სამსახურს გაუწევდა აშშ-ს მი-

ერ თავის ამჟამინდელ მოსაზრებებზე უარის თქმა, მომავალში თურქეთის ირანთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობის, განსაკუთრებით ახალი ნავთობსადენების მშენებლობის სფეროსა და ირან-აზერბაიჯანსა და თურქმენეთს შორის სხვა კავშირების განვითარების ცნობა. აშშ-ს გრძელვადიანი მონაწილეობა ასეთი პროექტების ფინანსირებაში ამერიკელთა ინტერესების შესაბამისიც იქნებოდა[41].

ასევე აუცილებელია აღვნიშნოთ ინდოეთის პოტენციური როლი, თუმცა, კი, ამჟამად ის ევრაზიის სცენაზე წარმოადგენს შედარებით პასიურ მოქმედ პირს. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ინდოეთს აჩერებს ჩინეთისა და პაკისტანის კოალიცია, მაშინ, როცა სუსტ რუსეთს არ ძალუძს შესთავაზოს მას ის პოლიტიკური მხარდაჭერა, რომელსაც ის ახორციელებდა წარსულში. მაგრამ ინდოეთში დემოკრატიის გადარჩენას დიდი მნიშვნელობა აქვს იმ თვალსაზრისით, რომ ის უფრო უკეთ, ვიდრე აკადემიური დისკუსიების ტომები, უკუაგდებს ცნებას იმის შესახებ, რომ ადამიანისა და დემოკრატიის უფლებები – წმინდა წყლის დასავლური ღირებულება და დამახასიათებელი მოვლენაა მხოლოდ დასავლეთისათვის. ინდოეთი ამტკიცებს, რომ

---

41 აქ მართებულია ციტატად მოვიყვანო ბერძნული რჩევა, რომელიც ჩემმა მეგობარმა საერთაშორისო კვლევის ცენტრიდან ენტონი გ. კორდესმანმა მოგვცა თავის შრომაში – „The Amerikan United States“ (February, 1997). და წარმოდგენილ იქნა საარმიო სამხედრო კოლეჯში მოხსენების სახით. ის აშშ-ს აფრთხილებდა თავი აერიდებინა და დამახინჯებული სახით არ წარმოესახათ პრობლემები და თვით ხალხებიც კი. მისი სიტყვებით, „ირანი, ერაყი და ლიბანი წარმოადგენენ. იმ შემთხვევას, როცა აშშ-მ მათგან მტრები შექმნა, არ შეიმუშავეს რა თავისი სტრატეგიისთვის რაიმე მისაღები საშუალოვადიანი ან გრძელვადიანი ენდშპილი. ამერიკელ სტრატეგებს არ შეუძლიათ, იმედი იქონიონ ამ ქვეყნების სრულ იზოლაციაზე და აზრი არა აქვს, მათ ისე მოექცნენ, თითქოსდა ერთიანად „სახელმწიფო ყალთაბანდები“ ან „სახელმწიფო ტერორისტები“ იყვნენ, აშშ მორალურად ნაცრისფერ სამყაროში იმყოფება და ვერ მიაღწევს წარმატებას თუ მათ დაყოფს შავებად და თეთრებად”.

ანტიდემოკრატიული „აზიური ღირებულებანი“, რომელთაც პროპაგანდას უწევდნენ სინგაპურიდან ჩინეთამდე არსებული ქვეყნების წარმომადგენლები, წარმოადგენდნენ უბრალოდ ანტიდემოკრატიულებს, მაგრამ არ წარმოადგენდნენ აზიისათვის გარდაუვალ მახასიათებლებს, თანაც, ინდოეთის ჩავარდნა, განსაკუთრებით ჩინეთის გეოპოლიტიკური უპირატესობის გაძლიერების გათვალისწინებით, ალბათ დარტყმას მიაყენებდა დემოკრატიის პერსპექტივებს და სცენიდან მოხსნიდა იმ ძალას, რომელიც აზიის სცენაზე ხელს უწყობდა დიდ თანაფარდობას. აქედან გამომდინარეობს, რომ ინდოეთის მუდმივი მონაწილეობა რეგიონული სტაბილურობის, განსაკუთრებით კი, შუა აზიის ბედის შესახებ დისკუსიაში თანადროულია, თუ არაფერს ვიტყვით ამერიკისა და ინდოეთის სამხედრო გაერთიანებებს შორის უფრო პირდაპირი ორმხრივი კავშირების განვითარების სტიმულირების შესახებ.

ევრაზიაში გეოპოლიტიკური პლურალიზმი მთლიანობაში მიუღწეველია და არ ექნება მყარი ხასიათი სტრატეგიულ საკითხებზე ამერიკასა და ჩინეთს შორის ურთიერთგაგების გაღრმავების გარეშე. აქედან გამომდინარეობს, რომ ჩინეთის სტრატეგიულ საკითხებზე სერიოზულ დიალოგში, საბოლოო ჯამში კი, შესაძლოა, სამმხრივ ძალისხმევაში ჩაბმის პოლიტიკა, რომელიც იაპონიასაც მოიცავს, წარმოადგენს ჩინეთის ინტერესის გაზრდის აუცილებელ პირველ ნაბიჯს ამერიკასთან დაზავების საქმეში, რასაც ასახავენ სწორედ ის გეოპოლიტიკური ინტერესები (კერძოდ კი, ჩრდილო-აღმოსავლეთ და შუა აზიაში), რომლებიც სინამდვილეში წარმოადგენენ საერთოს ორივე ქვეყნისთვის. გარდა ამისა, ამერიკას ევალება თავიდან აიცილოს ნებისმიერი გაურკვევლობა აშშ-ს ერთიანი ჩინეთის პოლიტიკის ერთგულების მიმართ, რათა ასე არ გააღრმაოს ტაივანის პრობლემა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჰონკონგი

შთანთქმულ იქნა ჩინეთის მიერ. თანაც, საკუთრივ ჩინეთის ინ-
ტერესებშია, ეს მოვლენა გარდაქმნას იმ პრინციპის წარმატე-
ბით დემონსტრაციაში, რომლის შესაბამისად თვით დიდმა ჩი-
ნეთმაც კი, შეიძლება დაუშვას და გარანტია მისცეს უფრო ფარ-
თო მრავალფეროვნებას თავის შინაგან პოლიტიკურ რეგული-
რებაში.

მართალია, ამის შესახებ ლაპარაკი იყო მეოთხე და მეექვსე
თავში – ნებისმიერი სავარაუდო ჩინეთ-რუსეთ-ირანის კოალი-
ცია, რომელიც მიმართული იქნება ამერიკის წინააღმდეგ, ძნე-
ლად თუ გამოვა ჩარჩოებს გარეთ რაღაც ტაქტიკური მოსაზრე-
ბის დროებითი პოზირებისთვის. შეერთებული შტატებისათვის
მნიშვნელოვანია აწარმოოს თავისი ურთიერთობანი ჩინეთთან
ისეთნაირად, რომ ხელი არ უბიძგოს პეკინს ამ მიმართულე-
ბით. ნებისმიერ ამგვარ „ანტიჰეგემონურ“ კავშირში ჩინეთი სარ-
ქველის გამხსნელად იქცეოდა. ის ალბათ, იქნებოდა ყველაზე
ძლიერი, ყველაზე დინამიკური და, აქედან გამომდინარე, წამ-
ყვანი კომპონენტი. ასეთი კოალიცია შეიძლება აღმოცენებული-
ყო მხოლოდ უკმაყოფილო, იმედგაცრუებული და მტრული ჩი-
ნეთის გარშემო. არც რუსეთს, არც ირანს არ გააჩნიათ აუცილე-
ბელი საშუალებები, რათა იქცნენ მსგავსი კოალიციისათვის მი-
ზიდულობის ცენტრებად.

ამიტომაც ამერიკასა და ჩინეთს შორის იმ სტრატეგიულ სა-
კითხებზე დიალოგი, რომლებიც იმ სფეროებს ეხება, რომელ-
თა თავისუფლად ყოფნა ორივე ქვეყანას სურს იხილოს სხვა
ჰეგემონობას მოწყურებული ქვეყნების ბატონობისაგან, გარდუ-
ვალად აუცილებელია. მაგრამ პროგრესის მოსაღწევად დი-
ალოგი აუცილებლად უნდა იყოს ხანგრძლივი და სერიოზული.
ასეთი ურთიერთობების მსვლელობაში შეიძლებოდა უფრო
მოტივირებულად გვემსჯელა სხვა სადავო საკითხებზეც, ისე-
თებზე, როგორიც ტაივანის საკითხია და, თვით ადამიანის უფ-

ლებებზეც კი, მართლაც, და, ალბათ, შეგვეძლო, საკმაოდ გულღიად გვესაუბრა იმის შესახებ, რომ ჩინეთში შიდა ლიბერალიზაციის საკითხი არა მარტო თავად ჩინეთის საშინაო საქმეა, რადგან მხოლოდ დემოკრატიზაციის გზაზე დამდგარ და აყვავებულ ჩინეთს გააჩნია პერსპექტივა შეიერთოს მშვიდობიანი გზით ტაივანი. ძალადობრივი შეერთების ნებისმიერი მცდელობა არა მარტო მუქარის ქვეშ დააყენებდა ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობებს, არამედ გარდუვალად მოახდენდა ზეგავლენას ჩინეთის უნარზე, მიეზიდა უცხოეთის კაპიტალი და მხარდაჭერა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. ამიტომაც, ჩინეთის რეგიონალური უპირატესობისა და გლობალური სტატუსისაკენ საკუთარი მისწრაფებები, შესაძლოა, მსხვერპლად იქნეს გაღებული.

მართალია, ჩინეთი რეგიონში ხდება დომინირებულ ძალად, ის საეჭვოა, რომ ასეთ ძალად იქცეს მსოფლიოში და ეს არ მოხდება ჯერ კიდევ დიდი ხნის მანძილზე (იმ მიზეზების გამო, რომლებიც მეექვსე თავშია ჩამოთვლილი). ჩინეთის, როგორც გლობალური ძალის მიმართ შიზოფრენიული შიში კი მას უქმნის განდიდების მანიას, რაც, შესაძლოა, ასევე გახდეს თვითშემოქმედებითი წინასწარმეტყველების წყაროდ ამერიკასა და ჩინეთს შორის მტრობის გაძლიერების შესახებ. ამიტომაც, ჩინეთი არც უნდა შევაკავოთ და არც დავაშოშმინოთ. მას, უკიდურეს შემთხვევაში, ჯერჯერობით, პატივისცემით უნდა მივუდგეთ, როგორც ყველაზე დიდ განვითარებად და საკმაოდ წარმატების მიმღწევ სახელმწიფოს. მისი გეოპოლიტიკური როლი არა მარტო შორეულ აღმოსავლეთში, არამედ, საერთოდ, ევრაზიაში, ალბათ, ასევე გაიზრდება. აქედან გამომდინარე, ალბათ, მიზანშეწონილი იქნება, მოგვეხდინა ჩინეთის კოოპტირება „დიდი შვიდეულის“ წევრად მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ყოველწლიურ სამმიტებზე, განსაკუთრებით კი, მას შემდეგ, რაც

რუსეთის ამ ჯგუფში ჩართვამ გააფართოვა სამმიტზე განხილული საკითხების სპექტრი – ეკონომიკურიდან პოლიტიკურამდე.

რამდენადაც ჩინეთი სულ უფრო აქტიურად ექცევა მსოფლიო სისტემის ინტეგრაციაში და, აქედან გამომდინარე, ნაკლებუნარიანი და ნაკლებმომხრეა რეგიონში ბლაგვი პოლიტიკური მანერით ისარგებლოს თავისი უპირატესობით, რაც იმას გვკარნახობს, რომ ჩინელების გავლენის სფერო, ფაქტობრივად, აღმოცენდება იმ რაიონებში, რომლებიც ჩინეთისთვის ისტორიულ ინტერესს წარმოადგენს და ეს, შესაძლებელია, გეოპოლიტიკური დაზავების ჩანასახობრივ მდგომარეობაში მყოფი ევრაზიული სისტემის ნაწილად იქცეს. იმოქმედებს თუ არა გაერთიანებული კორეა მსგავსი სფეროს მიმართულებით, ძალიან ბევრად დამოკიდებულია იაპონიასა და კორეას შორის დაზავების დონეზე (ამერიკამ უფრო აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი ამ პროცესს), მაგრამ კორეის გაერთიანება ჩინეთთან დაზავების გარეშე, ნაკლებდასაჯერებელია.

რომელიღაც ეტაპზე დიდი ჩინეთი, ტაივანის პრობლემის გადაჭრის მიზნით, გარდუვალად დაიწყებს ზეგავლენის მოხდენას, მაგრამ ჩინეთის საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურების სულ უფრო დამაკავშირებელ კომპლექსში ჩართვის დონე ასევე შეიძლება დადებითად აისახოს ჩინეთის საშინაო პოლიტიკის ხასიათზე. თუ ჩინეთის მიერ ჰონკონგის შთანთქმა რეპრესიული არ აღმოჩნდება, მაშინ, დენ სიაოპინის ფორმულა ტაივანისთვის – „ერთი ქვეყანა, ორი სისტემა“ შეიძლება გადაკეთებულ იქნეს ფორმულად: „ერთი ქვეყანა, რამდენიმე სისტემა“. ამას შეუძლია გაერთიანება უფრო მისაღები გახადოს დაინტერესებული მხარეებისთვის, რაც ერთხელ კიდევ გვიდასტურებს აზრს იმის შესახებ, რომ შეუძლებელია ერთიანი ჩინეთის მშვიდობიანი აღდგენა თავად ჩინეთის პოლიტიკური ევოლუციის გარეშე.

ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც ისტორიული, ასევე გეოპოლიტიკური მიზეზებით, ჩინეთმა ამერიკა უნდა განიხილოს, როგორც თავისი საკუთარი მოკავშირე. იაპონიისგან ან რუსეთისგან განსხვავებით, ამერიკას არასდროს ჰქონია ჩინეთის მიმართ ტერიტორიული ზრახვები და დიდი ბრიტანეთისგან განსხვავებით, მას არასდროს დაუმცირებია ჩინეთი. უფრო მეტიც, ამერიკასთან რეალური სტრატეგიული კონსენსუსის გარეშე ჩინეთმა, საეჭვოა მიიზიდოს უცხოეთის კაპიტალდაბანდებათა ისეთი მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ასე აუცილებელია მისი ეკონომიკური ზრდისათვის და აქედან გამომდინარე, რეგიონში უპირატესობის მისაღწევად. იმავე მიზეზით ამერიკა-ჩინეთის სტრატეგიული რეგულირების, როგორც ამერიკის ევრაზიის საქმეებში ჩართვის აღმოსავლეთის საყრდენის გარეშე, ამერიკას არ ექნება გეოსტრატეგია მატერიკული აზიისათვის, მატერიკული აზიისათვის გეოსტრატეგიის გარეშე კი ამერიკას არ ექნება გეოსტრატეგია ევრაზიისათვის. ამრიგად, ამერიკისათვის ჩინეთის რეგიონალური ძალა, რომელიც ჩართული იქნება საერთაშორისო თანამშრომლობის უფრო ფართო ჩარჩოებში, შეიძლება იყოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული საშუალება – ამ თვალსაზრისით ისეთივე მნიშვნელოვანი როგორც ევროპა, და უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე იაპონია-ევრაზიაში სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

მაგრამ ევროპისგან განსხვავებით, მატერიკის აღმოსავლეთ ნაწილში დემოკრატიული პლაცდარმი ჩქარა არ გაჩნდება. ამიტომ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ამერიკის ძალისხმევა ჩინეთთან სტრატეგიული ურთიერთობების გაღრმავებისკენ ეფუძნებოდა მის არაორაზროვან აღიარებას, რომ დემოკრატიული და ეკონომიკური თვალსაზრისით, წარმატებული იაპონია წარმოადგენს ამერიკის წყნარი ოკეანის უმნიშვნელოვანეს და ძირითად მსოფლიო პარტნიორს. მართალია, იაპონიას არ შეუძ-

ლია იქცეს აზიური რეგიონის წინამძღოლ „დერჟავად“, თუ მხედველობაში მივიღებთ ძლიერ ანტიპათიას, რასაც ის იწვევს რეგიონის ქვეყნებში, მაგრამ ის შეიძლება იქცეს საერთაშორისო დონის წამყვან „დერჟავად“. ტოკიოს შეუძლია მიაღწიოს მსოფლიო დონის გავლენას შეერთებულ შტატებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით და თანამედროვე მსოფლიო პრობლემების გადაჭრის სფეროში უნაყოფო და პოტენციურად კონტრპროდუქტიული მცდელობისგან თავის არიდებით იქცეს რეგიონში წამყვან „დერჟავად“. ამიტომაც ამერიკელთა ხელმძღვანელობა უნდა დაეხმაროს იაპონიას, იაროს ამ მიმართულებით. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ამერიკა-იაპონიის შეთანხმებას, რომელშიაც საუბარი. იქნებოდა საერთო-ეკონომიკური სივრცის შექმნის შესახებ, ალბათ შეეძლო გაემაგრებინა კავშირი ორ ქვეყანას შორის და ხელს შეუწყობდა დასახული მიზნის მიღწევას, ეს კი განაპირობებდა მისი ხელსაყრელობის ერთობლივ განხილვას.

იაპონიასთან სწორედ მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობებით შეძლებს ამერიკა უფრო დარწმუნებით დაეთანხმოს რეგიონში ჩინეთის მისწრაფებების დაკმაყოფილებას, იმოქმედებს რა, იმავდროულად, მისი თვითნებობის გამოვლენის საწინააღმდეგოდ. მხოლოდ ამ საფუძველზე შეიძლება მიღწეულ იქნეს რთული სამმხრივი კომპრომისი, რომელიც თავის თავში მოიცავს ამერიკის მსოფლიო დონის სიძლიერეს, რეგიონში ჩინეთის უპირატეს მდგომარეობას და საერთაშორისო დონეზე იაპონიის ლიდერობას. მაგრამ საერთო გეოსტრატეგიული კომპრომისი შეიძლება დანგრეულ იქნეს ამერიკისა და იაპონიის სამხედრო თანამშრომლობის მოუფიქრებელი გაფართოებით. შორეულ აღმოსავლეთში იაპონიამ არ უნდა ითამაშოს ამერიკის ჩაუძირავი ავიამზიდის როლი, ის ასევე არ უნდა იყოს აზიაში ამერიკის მთავარი სამხედრო პარტნიორი, ან აზიის რეგიონ-

ში პოტენციური წამყვანი „დერჟავა“. ზემოთ დასახელებული სფეროებიდან ერთერთის ყალბად მიმართულმა მოქმედებამ, შეიძლება ამერიკა მოკვეთოს კონტინენტურ აზიას, შეასუსტოს ჩინეთთან სტრატეგიული და კონსენსუსის მიღწევის პერსპექტივები და, ამრიგად, ჩაშალოს ამერიკის შესაძლებლობა, ევრაზიაში განამტკიცოს გეოპოლიტიკური პლურალიზმის სტაბილურობა.

უსაფრთხოების ტრანსევრაზიული სისტემა

ევრაზიის გეოპოლიტიკური პლურალიზმის სტაბილურობა, რომელიც აბრკოლებს ერთი დომინანტი „დერჟავის“ აღმოცენებას, გამაგრებულ უნდა იქნეს ტრანსევრაზიული უსაფრთხოების სისტემის შექმნით, რაც შესაძლოა მოხდეს შემდგომი საუკუნის დასაწყისში. უსაფრთხოების სფეროში ასეთმა ტრანსკონტინენტურმა შეთანხმებამ უნდა მოიცვას ნატოს გაფართოებადი ორგანიზაცია - რაც დაკავშირებულია რუსეთთან თანამშრომლობის შესახებ ქარტიის ხელის მოწერასთან – ასევე ჩინეთიც და იაპონიაც (რომელიც უწინდებურად დაკავშირებული იქნება შეერთებულ შტატებთან უსაფრთხოების შესახებ ორმხრივი ხელშეკრულებით). მაგრამ ამისათვის მოგვიწევს ნატოს გაფართოების მიღწევა, ჩავრთავთ რა, იმავდროულად, რუსეთს უსაფრთხოების სფეროს უფრო ფართო თანამშრომლობის სისტემაში. გარდა ამისა, ამერიკელებმა და იაპონელებმა ჩინეთის მონაწილეობით აქტიურად უნდა აწარმოონ კონსულტაციები ერთმანეთთან და მჭიდროდ ითანამშრომლონ შორეულ აღმოსავლეთში პოლიტიკისა და უსაფრთხოების პრობლემებზე სამმხრივი დიალოგის უზრუნველყოფისათვის. უსაფრთხოების საკითხებზე ამერიკას, იაპონიასა და ჩინეთს შორის სამმხრივი მოლაპარაკებები, საბოლოო ჯამში, შეიძლება ჩატარებულ იქნეს აზიელ მონაწილეთა დიდი რაოდენობის ჩართვით, მოგვიანებით კი, მიგვეყვანა ისინი ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან დიალოგამდე. თავის მხრივ, ასეთ დიალოგს, ყველა ევროპული და აზიური ქვეყნის მონაწილეობით შეუძლია გზა გაუკაფოს კონფერენციათა სერიებს,

რაც სათავეს დაუდებს ტრანსკონტინენტალური უსაფრთხოების სისტემის შექმნას.

თავის დროზე შესაძლოა დაწყებულიყო უფრო ფორმალური სისტემის შექმნა, სტიმული მიეცა რა ისეთი ტრანსკონტინენტური უსაფრთხოების სისტემის აღმოცენებისთვის, რომელიც ცხოვრებაში პირველად მოიცავდა ალბათ, მთელ კონტინენტს. ასეთი სისტემის ფორმირება – მისი არსის განსაზღვრა და შემდეგ კანონიერი სტატუსით აღჭურვა - შეიძლება ქცეულიყო შემდგომი ათწლეულის მთავარ არქიტექტურულ ინიციატივად, რადგან უწინ დასახულმა პოლიტიკურმა კურსმა ამისათვის აუცილებელი წინამძღვრები შექმნა. ასეთ ფართო ტრანსკონტინენტურ სტრუქტურას, ალბათ, ასევე შეეძლო ჰქონოდა ისეთი უსაფრთხოების მუდმივი კომიტეტი, რომელიც შედგებოდა ევროპის ძირითადი სუბიექტებისგან, იმისათვის, რომ აემაღლებინა ტრანსევრაზიული უსაფრთხოების სისტემის შესაძლებლობა და ხელი შეეწყო იმ საკითხებზე ეფექტური თანამშრომლობისათვის, რომელსაც მსოფლიოში სტაბილურობისთვის არსებითი მნიშვნელობა ექნებოდა. ამერიკას, ჩინეთს, იაპონიას, კონფედერაციულ რუსეთსა და ინდოეთს, ასევე შესაძლოა სხვა ქვეყნებსაც, ერთობლივად შეეძლოთ ყოფილიყვნენ უფრო სტრუქტურირებული ტრანსკონტინენტური სისტემის შუაგულად. უსაფრთხოების ტრანსევრაზიული სისტემის საბოლოო აღმოცენებას ალბათ, შეეძლო თანდათანობით გამოეთავისუფლებინა ამერიკა გარკვეული ტვირთისაგან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იმავდროულად, უკვდავყოფდა მის, როგორც სტაბილიზატორისა და ევრაზიის სამედიატორო მსაჯულის გადამწყვეტ როლს.

უკანასკნელი მსოფლიო ზესახელმწიფოს შემდეგ

ბოლოს და ბოლოს, მსოფლიო პოლიტიკაში გარდუვალად სულ უფრო „უჩვეულო“ გახდება ერთი სახელმწიფოს ხელში ხელისუფლების კონცენტრაცია, აქედან გამომდინარე, აშშ არა მარტო პირველი და ერთადერთი ზესახელმწიფოა, არამედ, ჭეშმარიტად გლობალური მასშტაბით და უფრო სავარაუდოდ, უკანასკნელიც.

ეს დაკავშირებულია არა მარტო იმასთან, რომ სახელმწიფო ერები თანდათან გამჭვირვალენი ხდებიან ერთმანეთისთვის, არამედ იმასთანაც, რომ ცოდნა, როგორც ძალა, სულ უფრო გავრცობადი ხდება, სულ უფრო საერთო და სულ უფრო ნაკლებდაკავშირებული სახელმწიფო საზღვრებთან. უფრო სავარაუდოა, რომ ეკონომიკური ძლიერებაც ასევე უფრო განაწილებადი გახდება. ნაკლებდასაჯერებელია, რომ ახლო მომავალში რომელიმე სახელმწიფომ საშინაო პროდუქციის მსოფლიო ხვედრითი წილის იმ 30%-იან დონეს მიაღწიოს, რაც აშშ-ს ჰქონდა ჩვენი ასწლეულის დიდი ხნის მანძილზე, თუ არაფერს ვიტყვით იმ 50%-ზე, რომელსაც ის გაუტოლდა 1943 წელს. ზოგიერთი გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ ჩვენი ათწლეულის ბოლოს, აშშ-ს, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ექნება საშინაო პროდუქციის მსოფლიო ხვედრითი წილის თითქმის 20% და ეს ციფრი, ალბათ, დაეცემა 10-15%-მდე 2000 წლისათვის, რომ სხვადასხვა სახელმწიფოები – ევროპა,[42] იაპონია – შესაბამისად დაახლოებით ისეთივე დონემდე გაზრდიან თავიანთ წილს, როგორც აშშ. მაგრამ ნაკლებდასაჯერებელია, რომელიმე ერთმა ეკონომიკურმა ერთეულმა მიაღწიოს

42 ასეა ორიგინალში – მთარგმ. შენიშვნა.

მსოფლიოს ეკონომიკურ ბატონობას, იმას, რასაც მიაღწია აშშ ჩვენს საუკუნეში, და რასაც მომავლისათვის საფუძველში აქვს სერიოზული სამხედრო და პოლიტიკური მნიშვნელობის შედეგები.

გარდა ამისა, ერთობ მრავალეროვნულმა შემადგენლობამ და ამერიკული საზოგადოების განსაკუთრებულმა ხასიათმა, აშშ-ს საშუალება მისცა, ისე გაევრცელებინა თავისი ჰეგემონია, რომ ის არ მოსჩვენებოდათ მხოლოდ და მხოლოდ ერთი ერის ჰეგემონიად. მაგალითად, ჩინეთის მცდელობა, მიეღწია მსოფლიო პირველობისათვის, სხვა ქვეყნების მიერ გარდუვალად განხილულ იქნება, როგორც ერთი ერის ჰეგემონიის თავს მოხვევის მცდელობა, უბრალოდ რომ ვთქვათ, ნებისმიერს შეუძლია იქცეს ამერიკელად, ჩინელად გახდომა კი მხოლოდ ჩინელს შეუძლია, რაც ფაქტობრივად ერთი ერის მსოფლიო ბატონობის გზაზე დამატებით და არსებით დაბრკოლებას წარმოადგენს.

აქედან გამომდინარე, როცა აშშ-ს უპირატესობა შემცირებას დაიწყებს, ნაკლებდასაჯერებელია, რომ რომელიმე სახელმწიფომ შეძლოს მიაღწიოს ისეთ მსოფლიო უპირატესობას, როგორიც ამჟამად აქვს აშშ-ს. ამგვარად, მომავალში პრობლემური საკითხი ასე ჟღერს: „რას უტოვებს აშშ მსოფლიოს მემკვიდრეობად თავისი უპირატესობის მყარი დანატოვარის სახით.[43]

პასუხი მოცემულ კითხვაზე ნაწილობრივ დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ხნით შეინარჩუნებს აშშ თავის პირველობას და რამდენად ენერგიულად ჩამოაყალიბებს ის იმ ძირითადი სახელმწიფოების თანამშრომლობით საფუძვლებს, რომლებიც შეიძლება თავის დროზე უფრო ოფიციალურად იყვნენ აღჭურვილნი კანონიერი სტატუსით. თავისი არსით, აშშ-ს მიერ მსოფლიო „დერჟავის სტატუსის კონსტრუქციული ექსპლუატაციისათვის ის-

43 ასეა ორიგინალში – მთარგმ. შენიშვნა.

ტორიული შესაძლებლობების არსებობის პერიოდი, საშინაო და საგარეო პირობებით, შეიძლება შედარებით ხანმოკლე აღმოჩნდეს. ჭეშმარიტად პოპულისტური დემოკრატია უწინ ვერასდროს აღწევდა მსოფლიო უპირატესობას. ხელისუფლების ხელში ჩაგდების გამოდევნება, განსაკუთრებული ეკონომიკური ხარჯები და ადამიანთა მსხვერპლი, რომელსაც ხანდახან მოითხოვს ამ ხელისუფლების რეალიზაცია, აბრკოლებს იმპერიულ მობილიზაციას.

და მართლაც, მომავლის მიმართ გაურკვევლობის მხრივ ფრიად დიდი მნიშვნელობის მქონე შეიძლება აღმოჩნდეს კითხვები: შეუძლია თუ არა აშშ-ს იქცეს ისეთ პირველ „ზედერჟავად", რომელსაც უნარი არ შესწევს, ან არ სურს, შეინარჩუნოს თავისი ხელისუფლება? შეუძლია თუ არა აშშ-ს იქცეს სუსტ მსოფლიო „დერჟავად“? საზოგადოებრივმა გამოკითხვებმა ცხადყო, რომ ამერიკელთა მხოლოდ მცირე ნაწილი (13%) ემხრობა იმას, რომ აშშ, საერთაშორისო პრობლემების გადაჭრაში როგორც ერთადერთი დარჩენილი „ზედერჟავა“, უნდა დარჩეს მსოფლიოს ერთადერთ ლიდერად. აბსოლუტური უმრავლესობა (74%) უპირატესობას ანიჭებს იმას, რომ „აშშ სხვა სახელმწიფოებთან ერთად თანაბარზომიერად უნდა წყვეტდეს საერთაშორისო პრობლემებს“.[44]

იმისდა მიხედვით, თუ აშშ თანდათან როგორ ხდება იმ საზოგადოებად, რომელიც მრავალ კულტურას აერთიანებს, ის

---

44 An Emerging Consensus – A Study of American Public Attitudes an American Role in the World – College Park: Center for Intertarional and Security Studies of the University of Maryland. 1996. მიუხედავად იმისა, რომ ეს არ შეესაბამება ზემოთ ნათქვამს, ყურადღებას იმსახურებს ის, რომ ზემოთ მითითებული ცენტრის მიერ 1997 წელს (წამყვანი მკვლევრის სტივენ კალის ხელმძღვანელობით ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ ამერიკელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მხარს უჭერს ნატოს გაფართოებას – 62% (მათგან 27% უყოყმანოდ), მხოლოდ 29% წინააღმდეგი (მათგან 14% უყოყმანოდ).

ჭეშმარიტად დიდი და ფართოდ აღქმული საგარეო მუქარის შემთხვევების გარდა, შეიძლება შეეჯახოს იმას, რომ სულ უფრო გაუჭირდეს საგარეო-პოლიტიკურ საკითხებზე კონსენსუსის მიღწევა. ასეთი კონსენსუსი ფართოდ იყო გავრცელებული მეორე მსოფლიო ომის დროს და ცივი ომის წლებშიც, მაგრამ ის დაფუძნებული იყო არა მარტო ფართოდ გაზიარებულ დემოკრატიულ ღირებულებებზე, რომლებიც, როგორც საზოგადოება თვლიდა, საფრთხის ქვეშ იმყოფებოდა, არამედ, მტრულად განწყობილ ტოტალიტარული რეჟიმების მსხვერპლთა კულტურულ და ეთნიკურ სიახლოვეზე – ძირითადად, ევროპელებზე.

მაგრამ გარეშე სამყაროსგან ამ გამოწვევისადმი დაპირისპირების არარსებობასთან შედარებით ამერიკული საზოგადოებისთვის შეიძლება უფრო რთული აღმოჩნდეს იმ საგარეო-პოლიტიკურ ქმედებებზე თანხმობის მიღწევა, რომლებიც არ შეიძლება უშუალოდ დავუკავშიროთ ძირითად რწმენებსა და ფართოდ გავრცელებულ კულტურულ-ეთნიკურ სიმპათიებს, მუდმივ და ზოგჯერ ძვირად ღირებულ იმპერიულ ჩარევას რომ მოითხოვს. გაგაცნობთ აშშ-ს ცივ ომში ისტორიული გამარჯვების მნიშვნელობის შესახებ ორ ძლიერ განსხვავებულ აზრს, რომლებიც სხვებთან შედარებით შეიძლება ყველაზე გასაზიარებელი. ერთი მხრივ, არსებობს აზრი იმის შესახებ, რომ აშშ-ს რეპუტაციისთვის ცივი ომის დასასრულის მისაღები შედეგები ამართლებს მსოფლიოს საქმეებში აშშ-ს ჩარევის მასშტაბების მნიშვნელოვან შემცირებას. საპირისპირო შეხედულებაა, რომ დადგა დრო ჭეშმარიტად საერთაშორისო მრავალმხრივი თანამშრომლობისათვის, რის გამოც აშშ-მ უნდა დათმოს თავისი უზენაესი ხელისუფლების ერთი ნაწილი მაინც. ორივე ურთიერთდაპირისპირებულ თვალსაზრისს თავისი მომხრეები ჰყავს.

საერთოდ უნდა ითქვას, ამშ-ში კულტურული ცვლილებები შეიძლება არახელსაყრელი აღმოჩნდეს საზღვარგარეთ მარ-

თლაც მუდმივი იმპერიული ხელისუფლების გამოყენებისთვის. ეს მოითხოვს დოქტრინალური მოტივირების უმაღლეს დონეს, რომელიც შეესაბამება აზრთა განწყობილებასა და პატრიოტული გრძნობების დაკმაყოფილებას. მაგრამ ქვეყანაში დომინირებულ კულტურას უფრო იმ მასობრივი გართობებისკენ მიუწევს გული, რომლებშიაც გაბატონებულია ჰედონისტური მოტივები და სოციალური პრობლემებისგან განდგომის თემები. მასთან შეჯერებული ეფექტი სულ უფრო ამძიმებს აუცილებელი პოლიტიკური კონსენსუსის შექმნის ამოცანას მსოფლიოში აშშ-ს მუდმივ და ზოგჯერ ძვირად ღირებული ლიდერის მდგომარეობის მხარდაჭერაში. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ამ ვითარებაში, თამაშობდნენ მნიშვნელოვან როლს, აყალიბებდნენ რა ადამიანებში ძლიერ ზიზღს იმ ძალების ნებისმიერი არჩევანისადმი, რომელიც სულ უფრო უმნიშვნელო დანაკარგს იწვევდა.

თანაც აღმოჩნდა, რომ აშშ-მ დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც ძნელად გაართვა თავი იმ სოციალური გედეონიზმისა და საზოგადოებაში იმ ღირებულებების მკვეთრი დაცემის კულტურულ შედეგებს, რომლებიც რელიგიურ გრძნობებზე იყო დაფუძნებული (ამ თვალსაზრისით გვაოცებს პირველ თავში მოკლედ გადმოცემული ის პარალელები, რომლებიც იმპერიის დაცემას ეხება). ამის შედეგად აღმოცენებული კულტურის კრიზისი სულ უფრო რთულდება ნარკოტიკების გავრცელებით და განსაკუთრებით აშშ-ში მისი კავშირით რასობრივ პრობლემებთან. და - ბოლოს, ეკონომიკური ტემპების ზრდას უკვე შესწევს უნარი, დააკმაყოფილოს ის მზარდი მატერიალური მოთხოვნები, რომლებიც სტიმულირებულია კულტურით და პირველ ადგილზეა გასული მოხმარებით. გადაჭარბებული არ იქნება იმის მტკიცება, რომ დასავლეთის საზოგადოების შედარებით შეგნებულ

წრეებში შეიგრძნობა ისტორიული განგაშის და შესაძლოა, თვით პესიმიზმის გრძნობაც კი.

თითქმის ნახევარი საუკუნის წინ, ცნობილი ისტორიკოსი ჰანს კონი, ორი მსოფლიო ომის ტრაგიკული გამოცდილებისა და ტოტალიტარიზმით გამოწვეული გამომფიტველი შედეგების ყოფილი მოწმე, შიშობდა, რომ დასავლეთი შეიძლება დაიღალოს და „სული გამოეცალოს“. არსებითად ის შიშობდა, რომ XX საუკუნის ადამიანი თავის თავში ნაკლებდაჯერებული გახდა, ვიდრე მისი წინამორბედი, რომელიც XIX საუკუნეში ცხოვრობდა. ის საკუთარი გამოცდილებით შეეჯახა ისტორიის შავბნელ ძალებს, ის, რაც წარსულს ჩაბარებული გვეჩვენებოდა, დაბრუნდა: „ფანატიკური რწმენა, უცოდვილო ბელადები, მონობა და მასობრივი მკვლელობები, მთელი ხალხების განადგურება, შეუბრალებლობა და ბარბაროსობა“.[45]

საკუთარი რწმენის უკმარისობა ძლიერდება ცივი ომის დამთავრების შედეგებზე ფართოდ გავრცელებული იმედების გაცრუებით. „ახალი მსოფლიო წესრიგის მაგიერ, რომელიც აგებული იქნებოდა კონსესუსსა და ჰარმონიაზე, მოვლენები, რომლებიც, როგორც გვეჩვენებოდა, „წარსულს ეკუთვნოდა“, უეცრად ჩვენს მომავლად იქცა. მართალია, ეთნონაციონალური კონფლიქტები, შესაძლოა, უკვე აღარ იმუქრებიან მსოფლიო ომით, მაგრამ ისინი მშვიდობის მუქარად იქცნენ დედამიწის სფეროს მნიშვნელოვან ნაწილებში. ამრიგად, ჯერ კიდევ რამდენიმე ხნით, ომი, როგორც ჩანს, არა და არ იქცევა მოძველებულ ცნებად. იმის შედეგად, რომ გაცილებით უზრუნველყოფილი ქვეყნებისათვის შემაკავებელ ფაქტორად წარმოადგენდნენ მათი თვითდამანგრეველი, შედარებით განვითარებული ტექნოლოგიების შესაძლებლობები, აგრეთვე მათი საკუთარი ინტერესები, ომი შეიძლება ფუფუნებად იქცეს, რაც ხელმისაწ-

45 Hans Kohn. The Twenthieth Centery. New-York, 1949. p. 53.

ვდომი მხოლოდ ღარიბი ქვეყნებისთვის იქნება. ახლო მომავალში კაცობრიობის გაღარიბებული ორი მესამედი ვერ შეძლებს თავის ქმედებაში იხელმძღვანელოს იმ შეზღუდვებით, რომლებითაც ხელმძღვანელობენ პრივილეგირებულნი.

ასევე აუცილებელია ითქვას, რომ აქამდე საერთაშორისო კონფლიქტებისა და ტერორისტული ქმედების მსვლელობის დროს, მასობრივი განადგურების იარაღი ძირითადად არ გამოიყენებოდა. რა ხნით შეიძლება იქნეს შენარჩუნებული ეს თვითშეზღუდვა, შეუძლებელია იწინასწარმეტყველო, მაგრამ იმ საშუალებებზე დაშვების ზრდამ, რომელთაც შეუძლიათ მიგვიყვანონ მასობრივ მსხვერპლთან ბირთვული ან ბაქტეროლოგიური იარაღის გამოყენების შედეგად, არა მარტო სახელმწიფოებისთვის, არამედ თვით ორგანიზებული დაჯგუფებებისთვისაც კი, გარდუვალად გაზარდა მათი გამოყენების ალბათობაც.

მოკლედ რომ ვთქვათ, ამერიკის, როგორც მსოფლიოს წამყვანი „დერჟავის“ წინაშეა მხოლოდ მცირე ისტორიული შესაძლებლობა, საერთაშორისო მშვიდობის მიმართ ახლანდელი მომენტი შეიძლება შედარებით მოკლევადიანი აღმოჩნდეს. ეს პერსპექტივა ხაზს უსვამს მსოფლიოს საქმეებში ამერიკის აქტიური ჩარევის მკვეთრ აუცილებლობას საერთაშორისო გეოპოლიტიკური სტაბილურობის განმტკიცებაზე განსაკუთრებული ყურადღების მიქცევით, რასაც დასავლეთში უნარი შესწევს, ააღორძინოს ისტორიული ოპტიმიზმის გრძნობა. ისტორიული ოპტიმიზმი მოითხოვს ერთდროულად საშინაო სოციალური და საგარეო გეოპოლიტიკური პრობლემებით დაკავების შესაძლებლობების დემონსტრაციას.

მიუხედავად ამისა, დასავლური ოპტიმიზმის აღორძინება და დასავლეთის ღირებულებების უნივერსალობა დამოკიდებულია არა მარტო ამერიკასა და ევროპაზე. იაპონია და ინდოეთი წარმოადგენენ იმის მაგალითებს, რომ ადამიანთა უფლებების

ცნება და დემოკრატიული ექსპერიმენტის ცენტრალური მნიშ-
ვნელობა არსებითია აზიურ ქვეყნებშიც როგორც განვითარე-
ბულ, ისე აქამდე განვითარებაშიც. ამგვარად, იაპონიისა და ინ-
დოეთის შემდგომ წარმატებას დემოკრატიულ მშენებლობაში
ასევე უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს დედამიწის სფეროს პო-
ლიტიკური მომავლის მეტი რწმენის შენარჩუნებისათვის. და
მართლაც, ამ ორი ქვეყნის, ასევე სამხრეთ კორეისა და ტაივა-
ნის გამოცდილება იმის ვარაუდის საფუძველს იძლევა, რომ ჩი-
ნეთის ეკონომიკური ტემპების ზრდის შენარჩუნება გარე ზემოქ-
მედების არსებობისას, მიგვიყვანს გარდუვალ გარდაქმნებსა
და, საერთაშორისო გაერთიანების საქმეებში დიდი მონაწი-
ლეობის შედეგად, შესაძლო, ჩინეთის წყობის თანდათანობით
დემოკრატიზაციამდე.

ამ პრობლემის გადაწყვეტა წარმოადგენს ამერიკისათვის
ტვირთსაც და მის უნიკალურ მოვალეობასაც. ამერიკული დე-
მოკრატიის რეალობის გათვალისწინებით, ეფექტური მოქმედე-
ბები გარდუვალად მოითხოვს საზოგადოებრიობის მიერ ამერი-
კის სახელმწიფოს მნიშვნელოვანი როლის გაგებას სულ უფრო
ფართო სტაბილური გეოპოლიტიკური თანამშრომლობის იმ
სისტემის ფორმირებაში, რომელიც ერთსა და იმავე დროს თა-
ვიდან აიცილებს გლობალური ანარქიის შესაძლებლობას და
წარმატებით დააბრკოლებს რომელიმე ქვეყნის მხრიდან ახა-
ლი მუქარის წარმოქმნას. ეს ორი მიზანი – ანარქიის თავიდან
აცილება და „დერჟავა“ – მეტოქის გაჩენა – განუყოფელია ამე-
რიკის გლობალური მოღვაწეობის უფრო გრძელვადიანი მიზ-
ნის განსაზღვრიდან: საერთაშორისო გეოპოლიტიკური თანამ-
შრომლობის მყარი ქსელის შექმნიდან.

სამწუხაროდ, ცალმხრივად იყო დღევანდლამდე განხორციე-
ლებული ძალისხმევის მიმართულება იმისკენ, რომ ცივი ომის
დამთავრების შემდეგ სუსტად ჩამოყალიბებულიყო შეერთებუ-

ლი შტატების ახალი ცენტრალური და გლობალური მიზანი. ვერ იქნა მიღწეული ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესების მოთხოვნილების დაკავშირება მსოფლიო საქმეებში ამერიკის ცენტრალური მდგომარეობის შენარჩუნების აუცილებლობასთან. შეიძლება გამოყოფილ იქნეს ამ ბოლო დროს განხორციელებული რამდენიმე ასეთი ცდა. კლინტონის ადმინისტრაციის ხელისუფლებაში პირველი ორი წლის ყოფნის დროს, „მრავალმხრივი ურთიერთობების პოზიციური პრინციპის მხარდაჭერისათვის გამოსვლებში, ძალთა განლაგების სფეროში, მხედველობაში არასაკმარისად იყო მიღებული რეალური მდგომარეობა. მოგვიანებით, ალტერნატივის სახით, ძირითადი ყურადღება მიქცეულ იქნა იმ აზრისადმი, რომ ამერიკამ თავისი ძალისხმევის კონცენტრირება უნდა მოახდინოს მთელ მსოფლიოში „დემოკრატიული სისტემის გავრცელებაზე“, თან არასაკმარისი ყურადღება ეთმობოდა იმას, რომ ამერიკისთვის, უწინდებურად, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიოში სტაბილურობის შენარჩუნებას და ზოგიერთ ქვეყანასთან (სამწუხაროდ, „არადემოკრატიულებთან“), მაგალითად, ჩინეთთან, პრაქტიკულად მიზანდასახული ურთიერთობების განვითარებასაც კი.

აშშ-ს მთავარი პრიორიტეტული ამოცანის უფრო ვიწრო ხასიათის მოწოდებების სახით წარმოჩენა უფრო ნაკლებად დამაკმაყოფილებელი იყო. მაგალითად, მსოფლიოში შემოსავლების განაწილებაში არსებული უსამართლობის მოსპობისათვის მთელი ძალისხმევის თავმოყრის, რუსეთთან განსაკუთრებული „თანაბარი სტრატეგიული პარტნიორული ურთიერთობების“ ფორმირების, იარაღის გავრცელების შეკავების მოწოდებები. სხვა ალტერნატივები, კერძოდ, ის, რომ ამერიკამ მთელი თავისი ძალისხმევის კონცენტრირება უნდა მოახდინოს გარემომცველი გარემოს დაცვაზე, ან უფრო ვიწრო სახით, იმ ლოკა-

ლური ომების წინააღმდეგ ბრძოლაზე, რომლებიც ასევე მხედ-
ველობაში არ იღებდნენ ძირითად რეალიებს, რომლებიც და-
კავშირებულნი იყვნენ მსოფლიო „დერჟავის“ სტატუსთან. ამის
შედეგად, ზემოთ დასახელებული ფორმულირებიდან არც ერ-
თი სრულყოფილად არ ასახავდა მსოფლიოში მინიმალური
გეოპოლიტიკური სტაბილურობის შექმნის აუცილებლობას,
როგორც საფუძველს აშშ-ს ჰეგემონიის უფრო ხანგრძლივი არ-
სებობის ერთდროული უზრუნველყოფისათვის და საერთაშო-
რისო ანარქიის ეფექტურად თავიდან აცილებისათვის.

მოკლედ რომ ვთქვათ, აშშ-ს პოლიტიკის მიზანი, ყოველგვა-
რი გამართლების გარეშე, უნდა შედგებოდეს ორი ნაწილისგან:
საკუთარი გაბატონებული მდგომარეობის განმტკიცების აუცი-
ლებლობისგან, უკიდურეს შემთხვევაში, ერთი თაობის არსებო-
ბის მანძილზე, ან უმჯობესია, დროის კიდევ უფრო მეტი პერიო-
დის მანძილზე, და იმ გეოპოლიტიკური სტრუქტურის შექმნის
გარდუვალობისგან, რომელსაც უნარი ექნებოდა, შეერბილები-
ნა გარდუვალი ძვრები და დაძაბულობანი, რომლებიც გამოწ-
ვეული იქნებოდა სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნებით,
იმავდროულად კი მოახდენდა, ომების გარეშე, მსოფლიოს
მართვის გეოპოლიტიკური შუაგულის ორმხრივი პასუხისმგებ-
ლობის ფორმირებას. წამყვან ევრაზიულ პარტნიორებთან თა-
ნამშრომლობის თანდათანობით გაფართოებად ხანგრძლივ
სტადიას, რომელიც სტიმულირებული და რეგულირებული იქ-
ნება ამერიკის მიერ, ასევე შეეძლო ხელი შეეწყო წინასწარი პი-
რობების შექმნისათვის გაეროსთან არსებულ და სულ უფრო
ხანდაზმულობაში შემავალი სტრუქტურების სრულყოფისათვის.
მაშინ, მოვალეობისა და პრივილეგიების მორიგი განაწილების
დროს, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მსოფლიოში ძალ-
თა განლაგების ის ახალი რეალიები, რომლებმაც ცვლილებე-
ბი განიცადეს 1945 წლიდან.

ეს საქმიანობა უზრუნველყოფს თავის ინტერესებისათვის იმ ახლად შექმნილ საერთაშორისო კავშირების ქსელის ისტორიული უპირატესობის დამატებით გამოყენებასაც, რომელიც შესამჩნევად ვითარდება ეროვნული სახელმწიფოების უფრო ტრადიციული სისტემის ჩარჩოების გარეშე. ამ ქსელმა, რომელიც მოქსოვილ იქნა მრავალეროვანი კორპორაციების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა (რომელთაგან მრავალი თავისი ხასიათით ტრანსნაციონალურს წარმოადგენს) და სამეცნიერო გაერთიანებების მიერ, დიდი გავრცელება პოვა ინტერნეტის სისტემის წყალობით, შექმნა არაოფიციალური მსოფლიო სისტემა და თავისი არსით ხელსაყრელია გლობალური მასშტაბებით მოწესრიგებული და ყოვლისმომცველი თანამშრომლობისათვის. უახლესი რამდენიმე ათწლეულის მანძილზე შეიძლება შექმნილ იქნეს გლობალური თანამშრომლობის რეალურად ფუნქციონირებადი სისტემა, რომელიც თანდათანობით თავის თავზე აიღებს საერთაშორისო „რეგენტის როლს, რომელსაც უნარი ექნება, ზიდოს სტაბილურობის და მთელ მსოფლიოში მშვიდობის პასუხისმგებლობის ტვირთი. ამ საქმეში მოპოვებული გეოსტრატეგიული წარმატება, შესაბამისად, დააკანონებს ამერიკის, როგორც ჭეშმარიტად პირველი, ერთადერთი და უკანასკნელი მსოფლიო „ზედერჟავის“ როლს.

დასასრული